UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2023 / 3 / (49)

თბილისი
2023



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,
დარდიანი ვეღარ მღერი,
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი



„ჯვარცმა“
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



„ფერისცვალება“



დეისუსი. ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...
/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



სიკეთის სხივით
(მამა ამირან ამირანაშვილს)

და მოდიოდა, სიკეთის სხივით,
ალალი გულით, სითბოს ჩვეული –
მამა ამირან, ვით ბროლის მძივი,
არის ყველასგან გამორჩეული.
აკადემიის წევრობის დღიდან,
ლოცავს დიდსა და.. ლოცავს პატარას,
მისი ხმის ტემბრი მწვერვალობს ღვთიდან,
ფლორაც, ფაუნაც, მისით დამტკბარა.
უფალო, დიდხანს არ მოგვიშალო,
მოძღვარის ლოცვა, მისი ბუბუნი –
მამაოს სითბოს არ გვაშიმშილო,
რადგანაც გალობს როგორც ბულბული.

გულნაზ ხარაიშვილი

შევქმენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

მზისფერობა

...ფიქრების გზებზე მოხეტიალევ,
შენი ამბავი ვიცი, მე, კარგად:
როცა ზეცაზე მკრთალად იალებს
და ალიონი ფერების ქარგას
ფრთხილად დაიწყებს, შენ მოხვალ მაშინ,
მოხვალ მზისფერი სახარებით და
სამყაროსხელა ტაძარში გაშლი
ამ სახარებას, ხოლო მთებიდან
ამოვარდება, იმავწამს, მნათი,
მზე გაიმარჯვებს ბნელზე, ვნებული...
შენ კი გაქრები, ვით სიზმრის კადრი
რეალობაში არარსებული...

* * *

(„არ ვიცი როგორ ვწერ, საშინლად დაღლილი ვარ“, – ასე იწყება ჩემი ერთ-ერთი ძველი ლექსი, თუმცა მას მერე, რა თქმა უნდა, კიდევ უამრავი რამ დავწერე. პოეტის შეჩერება შეუძლებელია. შემოქმედობა მარადიულია. შემოქმედებითობა მარადიულია)...

არ ვიცი როგორ ვწერ,
საშინლად დაღლილი ვარ,
თუმც გრძნობა, ლექსისა,
გამომყვა ამ დილამდე;
ხომ შენი თვალები
თვით ჩემი სიკვდილია,
მაინც გთხოვ –
თვალებში მაცხოვრე სიკვდილამდე.
ვერავინ მიშველის,
სულში მაქვს ღრმა ჭრილობა;
შენ როცა გიგონებ,
ძველი დრო მახსენდება;
პოეტი რომ ჰკარგავს
სიმაღლეს, არწივობას,
მას შენი თითებით ფერება
დასჭირდება.
შორს ლურჯი მთებია,
ვერ მივალ იმ მთებამდე,
მაინც –
შენს თვალებში ჩავატევ
დაფიქრებას;
თუ აღარ იქნები,
ვიცხოვრებ მითებადვე,
ნამდვილი ცხოვრება
შენს მერე
არ იქნება...

ფერფლად ქცევა

ქაოსია. ქარი, სიო...
სივრცე სივრცეს გადაება...
ის მზე – ზეცის მელოდია,
იქცა სულის სახარებად,
პოეზიად, პოვებს ზიანს
კაცი მისი უარყოფით...
და უდაბნო მოსესია,
და დიდ სიბრძნეს, პირველყოფილს,
აგვირგვინებს, მერე, ჯვარი,
თვით იესო – სიტყვაღმერთი...
უშიშარი, სულში ქარი,
სულ სტიქარი, სულის ხვედრი...
ვვედრი სტრიქონს, ცეცხლად შობილს,
რომ სივრცენი კვლავ არიოს,
არ დამტოვოს ძილში მყოფი,
მაფხიზლოს და გადამრიოს...
ვთქვი – მოშორდეს ამ გულს ობი,
წვავდეს ცეცხლის ღადარიო...

* * *

...თრთის სალოცავი ზედაზნის მთაზე,
მზის ბოლო სხივთა ნათელი მოსავს;
მე უსათუოდ ავალ იქ ხვალ-ზეგ,
რომ ვთქვა დაისის დაჭრილი ლოცვა.
    და იმ ჩემს სიტყვებს, სისხლისგან დაცლილს,
    ზედაზნის მადლი ზეცამდე ასწევს;
    მაინც ყოველთვის მარტოა კაცი,
    და თუმც მარკესი განსაზღვრავს ას წელს,
ბევრად მეტია მარტო სავალი,
მძიმე გზის გავლა არის მისია,
მაგრამ სტრიქონნი – სულის საგზალი,
უსასრულო და მარადისია...

* * *

ასეთი განცდა –
გული არის გოლგოთის ჯვარი;
სამყაროები ეცდებიან
გულის მისნობას;
ადამიანი თვით არის გზაც,
თვით არის მგზავრიც;
გასავლელია
წამი... წუთი... მარადისობა...

კახა ბაციკაძე

ქალი ნახატიდან

თვალების თაღები სამოთხეს აღებენ,
თუმცაღა ჩვენს შორის არა ჩანს ხიდები,
ტრფობა ხომ ხანდახან ჰგავს სისხლის გაღებას,
და როგორც მიწას – ცა, სულს ისე სჭირდები.
    დიდი სიხარული, დიდი მწუხარება,
    არის ერთი ძალის სხვადასხვა პოლუსი,
    ვინაც გადაშალა ტრფობის სახარება,
    ის შენი უღრმესი თვალებით მონუსხე.
იტევ დიდ სიხარულს და დიდ მწუხარებას,
ჩემი პოეზიის გულად შობილო და,
ამ სულს მაგ თვალების მზერა უხარია
ვინმე უცნობ მხატვრის შეშლილი ტილოდან...
    თუ მართლა მაგი ხარ, ბორდოსფერ ბაგიდან
    მასვი სიყვარულის სიტყვების ღვინო და,
    ხომ იცის ფურცელმა, ხომ იცის მაგიდამ,
    ამ სტროფებს რომ გწერდი,
                    რა ცეცხლი ღვიოდა...
თვალების თაღები სამოთხეს აღებენ,
თუმცაღა ჩვენს შორის არა ჩანს ხიდები,
ტრფობა ხომ ხანდახან ჰგავს სისხლის გაღებას,
და როგორც მიწას – ცა, სულს ისე სჭირდები...

პოეზიის ლაბოკონი

ნეტავ რას გვპირდება
ბორდოსფერ ღამეთა ფრთაჩუმი დინება...
მთვარის ალმასებში
მოჩანს ეგზოტიკად ფიქრის განტოტება...
რაც უფრო მეტს ფიქრობ,
სულის ზღვა სულ უფრო დიდდება
და მეტად იხლართება
სამყაროს ისედაც ზერთული განტოლება...
    გრძნობისფერ მუჭებში ჩაიმსხვრევ
    კლდეთა ტიტანობას,
    და ქარებს აუშვებ,
    ვიღაცის ჩამწყვდეულს, ბნელ-ბნელ უფსკრულებში...
    ადამიანი ხარ და
    ვერ ეგუები ადამიანობას...
    იქნებ ღმერთს დაეძებ
    ნატანჯ და დაცრემლილ კოსმიურ თვალებში...
შენ იცი – რა არის მთავარი მიზანი...
გწყურია ის გზანი,
რომელნიც სამყაროს გულამდე მიდიან,
მრავალი ხიდია,
რომელნიც აერთებს სივრცეში პლანეტებს,
და იცი – პოეტი არასდროს ამეტებს,
როდესაც
გაშლილი ხელებით ცდილობს, რომ
ჩაიკრას სამყარო, ვით სატრფო,
ოცნება თუ აფრობს, მიჰყევი,
იხილე ფერები სუყველა,
თვით გახდი ღვთისფერი...
დაიდნე მზეების მაღალი ცეცხლები
თეთრ ხელისგულებზე,
და თვალის ფერდობებს,
გადანისლულებზე,
აჩუქე
სიცოცხლის სულ სხვა გაბრწყინება...
    ნეტავ რას გვპირდება
    ბორდოსფერ ღამეთა ფრთაჩუმი დინება...
    ფიქრის ალმასებში
    მოჩანს ეგზოტიკად გრძნობის განტოტება...
    ხარ ლაოკოონივით შებოჭილი
    და გახვევია გველები,
    როგორც სამყაროს ზერთული განტოლება...

* * *

იცი, მრავალი შემიქმნია ლექსი ამქვეყნად,
ხშირად ვწვევივარ პოეზიის მაღალ ქარაფებს,
თუმცკი დღეს მიპყრობს სხვა ანთება, სხვა აღმაფრენა,
ჩემს სტრიქონებს რომ ცეცხლისფერად ალაპარაკებს.
შენ მზის შვილი ხარ, უთბილესი შუქის მომტანი,
მიუალერსე სულის კლდეებს ვნების ტალღებად,
ფერთა გამაა მოელვარე, ფიქრში, ეგ ტანი,
იქნებ ლექსს ძალუძს მაგ თვალების კარის გაღება.
თვალები – უცხო სამოთხეებს რომ ედრებიან,
თვალები – გულის უფსკრულამდე რომ ჩამყოლიან,
გიმზერ გრძნობის ტბას მოკამკამეს, თეთრგედებიანს,
და ეგ თითებიც უკვდავების თეთრი ბროლია.
მათი შეხება წარიტაცებს სულის მიმოზებს,
გადამავიწყებს დროის სვლას თუ დროის შეგრძნებას.
დავხეტიალობ, – შენზე ფიქრის სანაპიროზე,
და გულის თასი სიყვარულის ღვინით მევსება...

* * *

მინები მინებდნენ ძოწისფერ განთიადს,
ქარები იხრჩობენ თავს კავკასიონზე,
ეს თოვლი არ არის, ეს თეთრი დარდია,
მთებზე რომ ბინადრობს... გულში კი იყოს მზე...
ფანჯრიდან გავცქერი მისტიკურ განთიადს,
ფიქრების ნავები სივრცეებს სერავენ,
და ჩემი გრძნობები თვით ზღვების ფარდია,
მარადპოეტური სამყაროს მჯერა
მე...

* * *

ამ თოვლს რა ვუთხრა, რა ვკითხო,
მისი სიცივეც ეყოფა,
გული მე როგორ გამითბოს,
თვითონ დაეძებს მეგობარს.

ამაყად დგანან ხეები,
თეთრი დარდებით მკობილან.
ადამიანი, ამქვეყნად,
ფიქრებისათვის შობილა.

გავყევ სტრიქონთა სივრცეებს,
გადავიარე ქედები...
თუ ცხადი ვერ გაიმეტე,
ლექსებში მაინც შევხვდებით...

ამ თოვლს რა ვუთხრა, რა ვკითხო,
მისი სიცივეც ეყოფა,
გული მე როგორ გამითბოს,
თვითონ დაეძებს მეგობარს...

გიორგი ზუხბაია

დასაწყისამდელი

სულის ტკივილთაგან სრულად განმქარველი,
ჩანან უცისფრესი, შორით, არეები.
გული გარინდების განცდას გადაჰქონდა,
თითქოს დასაწყისი იყოს სამყაროთა.
ისე ყოვლისმთქმელი არის მდუმარება,
რომ თვით სიხარული ცოცხლობს მწუხარებად.
ისე ნეტარებით ფეთქავს სიდიადე,
თითქოს არასოდეს აღარ დავიბადეთ,
თითქოს სიშორეთა მშვენი სისავსეა,
და რომ ამ სამყარომ მუდამ იარსება...
ცას რომ უსაზღვობის შუქი შესევია,
თითქოს ამის მოწმე მხოლოდ ეს ლექსია,
ახლა რომ დავწერე, სულის იარებით,
მელნით მოსაღელვით, ტანჯვის სიწყნარეთი
და სხვა აღარ არის დროთა გადამდენი...
შორით, სხივმოსილი, ჩანან ლაჟვარდები...

გენიოსი და სამშობლო

(ინტერვიუ (ლექსი-ინტერვიუ) უკვდავებასთან... პასუხები კითხვების გარეშე)

1. ეს ჩემი საოცარი ავადმყოფობაა,
რომელსაც ღმერთად ყოფნაზეც
არ გავცვლი...
მე ვლაპარაკობ ისე,
როგორც მთები სდუმან...
როცა წამიც კი ჩამივარდება ხელში,
ვაქვავებ დორს და
საუკუნედ ვაქცევ მას,
მერე კი ვზივარ ჩემს შიგნით,
როგორც ბუდა, ლოტოსის პოზაში,
და ვუსმენ ღვთაებრივ უძრაობას.
ვუსმენ პოეზიას...

2. სამშობლო არ არის მიწა,
ის ერთი დიდი ადამიანის სიცოცხლეა...
აი რას უნდა გაუფრთხილდნენ ადამიანები,
როცა სამშობლოს უფრთხილდებიან...
ამაზე მოწმობს იესოს მოსვლა დედამიწაზე...
ჯვარცმისას თვითონ იესომ
შესთხოვა უფალს:
მიუტევე, არ იციან რას იქმანო,
თორემ უფალი, იესოს გამო,
წარღვნას უქადდა კაცობრიობას...
და ეს სიმბოლოა
და გზავნილია უკვდავებისა –
კაცთათვის...
ერთი დიდი ადამიანის სიცოცხლე არის
ენაც, მამულიც, სარწმუნეობაც
(მამულიც, ენაც, სარწმუნოებაც)
და საერთოდ – მთელი ყოფიერებაც...

3. ამ აზრის მოსატანად
მოდის პოეტი, მემილიონედ, ამქვეყნად...
მაგრამ ამ ნათქვამში
სულების გადასახლებას კი არ ვგულისხმობ,
არამედ – აზრების...
ის იბადება, კითხულობს, ხედავს, გრძნობს,
და თუ ჩაწვდება მას, რაც დახვდა,
თავად გახდება მისი წინამორბედი,
და ასე განაგრძობს, უწყვეტად,
თავის უკვდავ სიცოცხლეს,
ის – პირველი გენიოსი ადამიანთა შორის...
ჭეშმარიტად გეუბნებით ადამიანებო, –
გენიოსი ერთია,
მხოლოდ – მრავალი სახით...

4. გენიოსი
იყო, არის და იქნება ერთადერთი,
რამეთუ აზროვნება აერთიანებს
ყველა მოაზროვნეს
ერთ ადამიანად.
ამას, სამწუხაროდ,
ადამიანები იშვიათად ხედავენ,
და აჯიბრებენ გენიოსებს ერთმანეთს,
და არ უწყიან, რომ ეს სისულელეა,
რადგან გენიოსი ერთია.
ამას აზროვნების
მთავარი თვისება მოწმობს,
და ეს მთავარი თვისება
ჭეშმარიტებაა...

5. ცუდი და კარგი არ არსებობს.
არსებობს მხოლოდ გენიოსი,
რომელიც თავის გონებაში დგამს
პოეტურ რეალიზმზე
(პოეტურ ირეალიზმზე)
დაფუძნებულ მიზანსცენებს,
და ცუდი და კარგი
მხოლოდ შუქ-ჩრდილებია
მისი განცდების მოძრავ ტილოზე...
და გენიოსს ვერაფერს უსაყვედურებ.
ის ღმერთს ბაძავს,
ანუ – თავის აზროვნებას...
ცუდის და კარგის ნაცვლად,
უფრო მკვეთრი იქნება,
თუ ვიტყვით –
მკვდარს და
მკვდრეთით აღდგენილს...

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი 29 ნოემბერი, 2022 წელი.

მამა ნეოფიტე და
მსახიობი ლენგინოზ გიორგაძე

* * *

(გ ა რ ე ჯ ს)
შენს კედლებს მსურს სამუდამოდ ჩავეკირო,
ამ ქვა - ღორღებს, ღვთის დიდებულ ადგილს,
მხოლოდ ისე, არაფერი არ გეტკინოს,
ლოცვითაც კი არასოდეს დაგღლი.
გარეჯია ჩემი სულის სამოსახლო,
დღე და ღამე აქ ვსაუბრობ ღმეთთან,
აქვე მინდა საბოლოვოდ
დავიმარხო,
ამ კედლებში წარსული რომ ფეთქავს.
არ ვარ მარტო, უფალია ჩემთან ერთად,
როცა მძინავს ანგელოზი მიცავს
ხან ტკივილი ვულკანივით
ამოხეთქას,
შეცდომებზე უცხო ძალა მკიცხავს.
აღსარება ჩავაბარე ამ კედლებში,
სამუდამოდ აქ
დავიდე ბინა,
მოვილოცე გულწრფელობით
ამ ბეთლემში,
დამიჯერეთ უკვე მშვიდად მძინავს.

ტირის როლში

ლენგინოზ გიორგაძეს
მსახიობი ხშირად ტირის როლში,
სულ უცოდველს ტალახსაც კი სვრიან.
რეალურად როცა ბრძოლობს ომში,
მოღალატე არასოდეს ქვია.
ხშირად უწევს ჩამოჯდომა მზის ქვეშ,
და უღიმუს ვარსკვლავს მოციმციმეს,
წარსულის კვალს შეუცდომლად მისდევს,
დარდიან კაცს გულით გაუცინებს .
დახმარებას შესთავაზებს ისე,
უკითხავად არ გაივლის გვერდზე,
მოკრძალებით ფულსაც მცირედს მისცემს,
ფიქრს განაგრძობს საქართველოს ბედზე.
მსახიობი მორწმუნეა უფალს,
სულ ავადრებს მომავალის სვებედს,
ქართველი კი უფალივით უყვარს,
ყველაფერში ღვთის სიწმინდეს ეძებს.

პატარა ანა

ყვავილები მოერია ბალახებს,
ლამისაა სარეველამ დაახრჩოს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.

მერე რა რომ ძმას წაართვა მამიდა,
მიჭირს მაგრამ განა ვერ გადავიტან?
მერე რა, რომ მოვიდა და წავიდა,
ბიძას გული დაიკავა თავიდან .

პაწაწინამ მოილოცა გარეჯა,
ზოგიერთებს ერთხელ არ აქვთ ნანახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო,
ანასავით ლამაზია ზამბახი.

გარეჯაში მზე ივარცხნის დალალებს,
აქ ვარ მე და არ გავიხდი დარაჯას,
ანას ბიძას სიცხე რამეს დააკლებს?
ზაფხულის მზემ დე ურჯილო გარუჯოს.

მერე რა რომ ერთხელა მყავს ნანახი,
ბიძასათვის იმყოფება განა შორს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.

მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
მე აქ ჩემ წილ საქართველოს ვდარაჯობ.

ორი საქართველო

ნუთუ ვერასოდეს გავიხარებთ,
ნუთუ ვერ ვიხილავთ ალიონს.
ორად გახლეჩილი საქართველოს
ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ორი ჭიქით დავლიოთ?

ჩვენ სუფრაზე არც კახური შეგვერგება,
თუ ღრუბლები არ გათეთრდება,
ორად გახლეჩილი საქართველო,
უფალო, აღარ შეერთდება?.

თუ სამშობლო დასაღუპად გემეტება,
რაღად გინდა სასახლეთა კეთება,
თვალს დახუჭავ და წარსული იკვეთება,
დევკაცების საკვირველი ქმედება.

ნუ დავიშლებით კუთხეებად,
ტბაზე მიმოფანტულ გედებად,
მტერი ... მგლებს თვითონ შეება,
ღვთით ვიქცეთ ლოცვა ვედრებად.

შერიგება ქართველთ გვწყურია,
დღესვე და არა სახვალიოდ,
უფალს შევაყვარებთ შურიანს,
ძმობის სადღეგრძელო დავლიოთ.

შვილს საფლავზე დედის ცრემლი ეწვეთება,
გმირს მიჰყვება ბრძოლის სულისკვეთება,
ორად გახლეჩილი საქართველო
უფალო შენით შეერთდება!

რა ვიღონო

***

რა ვიღინო, რით გიწამლო, რით გიშველო?
შენ ტკივილო, სულ ახალო განა ძველო,
ჩემი ფეხით მონარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.

ენგურს გაღმა ლალიძგა და ტამიშია,
ღმერთო, მისთვის ხელი ვეღარ გამიშვია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ღუმურიშის დიდო ცაცხვო, ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო, სხვა რომ გჩემობს
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამრჩენო,
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო?!

აფრენა მსურს – ფრთები ვეღარ გამიშვია,
სხვამ მოთოხნა ჩემს ყანაში ჭვავი, შვრია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ზღვის კენჭებო, სათითაოდ დანათვლელო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათლელო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

ირაკლი ნადარეიშვილი

რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს...

იცით? თორმეტი მყავს საყვარელი,
ყველა, მისებურად, მაგდებს ხიბლში,
მარტი მივაბარე მოგონებებს,
ახლა აპრილია ტრფობის რიგში.

ახლა აპრილს უნდა ჩავეხუტო,
კოცნით დავუფურცლო კალენდარი,
ისე დავუფიცო სიყვარული,
თითქოს არვინ მყავდეს მისი დარი...

ახლა აპრილთან მაქვს ინტიმი და
მისი ვნება მზაფრავს ნამეწყრალი,
რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს,
მე კი ერთი ვარ და ,,გარეწარი".

ახლა აპრილთან მსურს სიმარტოვე,
მასთან ჩურჩული და საუბარი,
უნდა ვეფლირტავო იასამნებს,
იის სურნელებით გამაძღარი.

ამ ჩემს ,,ჰარამხანას" ლექსით ვკვებავ,
რითმის ზეწარსა და ქვეშაგს ვუშლი,
მერე, მუზის ბოკალს დარდით ვავსებ,
დალალს მკერდთან ნაზად ჩამოვუშლი...

განა, არ იციან რა ,,ხვითოც" ვარ?!
მაგრამ პოეზიით ხელდებიან,
ასეთ ალფონსსა და თვეთა მუსუსს
ჯერაც სიყვარულით მნებდებიან.

რა ვქნა, საყვარელი თორმეტი მყავს
და ყველას ვღალატობ წლიურ ციკლში,
წუხელ სარეცელზე მარტი მეწვა,
ახლა აპრილი მყავს ტრფობის რიგში.

ქელეხი

დღეს ქელეხია, მიაბარეს მიწას ცხედარი,
არ შეუწყვიტავს მხოლოდ ნაგაზს ყმუილით ყეფა,
ხელების ფშვნეტით და აქა -იქ დაცდენილ ოხვრით,
ხალხმა გაავსო უკანასკნელ ტრაპეზის სეფა.

გაპიმპილებულ ჭიქას წასწვდა სუფრის თავკაცი
და შიგ ჩამბალი პურის ყუით იხადა ვალი,
მჯიღი დაირტყა ფართო მკერდზე კბილთა ღრჭიალით
და ოხშივრიან ხაშლამისკენ გაექცა თვალი...

თხუთმეტი წუთი არ გასულა, სეფიდან ჩქამი
ისმოდა მხოლოდ დაუნდობელ ყბის ქნევის ზარი
და სამ ჭიქაში მოქელეხეთ ,,გულრწფელ სინანულს"
შემოეპარა შიგადაშიგ ღიმილის ბზარი.

კიდევ სამი და ყველა გახდა ,,თავის უფალი",
ალავერდების დატრიალდა აზარფეშები,
სიცილ-ხორხოცმა ჩაანაცვლა თეფშებთან ბრძოლა
და მხოლოდ ცხედრის ქვრივი დარჩა განაშეშები...

წასულთა შემდეგ, როგორც წესი, დალოცეს ისიც,
ჭირთა დათმენა, გამძლეობა უსურვეს ,,რიდით"
და მერე ყველამ იმისა თქვა, რაც სურდათ თავად,
ჭიქა-ჭიქაზე გამოსცალეს ბოლომდე მიჯრით.

აქეთ ქალები იხსენებდნენ გარდასულ ამბავს,
იქით კაცემბა გაუხსენეს ცხედარს ,,გრეხები"...
კიდევ სამიც და აერიათ სიტყვა და აზრი,
ბარბაც-ბარბაცით აითრია ბევრმა ფეხები.

ვიღაც ,,მოზვერიც" აუხირდა სუფრის თამადას,
ლაშმოქცეული, შიგ სახეში ნერწყვის შხეფს ტყორცნის,
აქეთ კი ვიღაც მონატრებულ ,,სისხლსა და ჯიგარს"
შილანაჭამი, გაქონილი ტუჩებით ჰკოცნის.

ვიღაც კითხულობს, როდის უწევს ორმოცი ცხედარს,
ვიღაც ჩუსტს იცვამს და ინახავს ჯერ ,,უხმარ ტუფლებს",
ვიღაცას, თურმე, სუფრის დოსტის არ მოსწონს მზერა
და ჯიხვებივით აჭიდებენ გაოფლილ შუბლებს.

გასრულდა სუფრა, გააცილეს ყველა სტუმარი,
დარჩა შემუსრულ ბრძლის ველად ქცეული სეფა,
დღეს ქელეხია და მხოლოდ ქვრივს სცვივა კურცხალი,
თუმც არც იმ ნაგაზს შეუწყვიტავს ყმუილით ყეფა...

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...
სისხლისფრად რომ აუნთიათ სამყარო,
მინდა ერთად შევკონო და ჩემს თბილისს
მთაწმინდიდან თავზე გადმოვაყარო.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ჩავიკრავ,
მუხლიჩოქა დავუამებ იარებს,
არაგველთა აჩრდილების შუაგულს
კვლავ, ერეკლეს ბაირაღი ფრიალებს.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ვემთხვევი,
ქართველთ ძვლებზე აყვავებულ იმედებს,
შევახსენებ, აქ შეწირულთ, ჩემს თბილისს
საფრთხის ჟამს, რომ გმირთა ყოლას იბედებს.

ყველა მკვიდრმა და სტუმარმა იცოდეს,
ვინც კი გულში ღალატს წამით გაივლებს,
დააკვირდნენ ნარიყალას მიდამოს,
თვალი ჰკიდონ ჩუქურთმიან აივნებს.

აქ ყველა ლოდს ისარი აქვს ნატყორცნი,
ყველა ქონგურს თოფის ტყვია ატყვია,
აქ დაიმსხვრა ყველა ჯურის მტარვალი,
რადგან თბილისს ქრისტეს კვართი არტყია.

ჰოდა, სანამ გმირის სახელს დავარქმევთ,
და დიდებით სანამ ვინმეს შევმოსავთ,
გავიხსენოთ იმ გმირების სახელი,
შეწირულთა მანტია რომ ემოსათ.

სანამ ვინმეს პატარა კახს შევადრით,
სანამ ვინმეს დავითობას დავწამებთ,
იქნებ, ამით არაგველთა აჩრდილებს
და ამ ქვეყნის ისტორიას ვაწამებთ?!

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ვეწვევი...
ნამდვილ გმირთა სამყოფელს და საძვალეს,
იმ მართვეთა საბუდარებს ვემთხვევი,
არწივებად ფრენა რომ არ აცალეს.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...
სისხლისფრად რომ აუნთიათ სამყარო,
მინდა ერთად შევკონო და ჩემს თბილისს
მთაწმინდიდან თავზე გადმოვაყარო.

შ ე ჩ ე რ დ ი!

შეჩერდი!
ხელები სისხლით მაქვს მოთხვრილი,
საკუთარ გრძნობების ჯალათად მაქციე,
დღეიდან აღარ ვარ იღბალის მორჩილი,
ლილიტად ღალატით შენ გადამაქციე.

გამშორდი!
მეყოფა მე ჩემი ცოდვებიც....
გამშიგნე და ვითომ მიცოდებ ნაწამებს,
მკერდიდან გრძნობები შენ ამომაცალე,
ახლა კი ფრჩხილებით ვიფლითავ ნაწლავებს.

ნუ შიშობ!
შენ მაინც არ გავნებ არაფერს,
თუმც შურისძიება გონს ბინდად ჩამოწვა,
დღეს სისხლით ვიხეხავ, სადაც კი მეფერე
და ყველა ნაკოცნი შანთით მსურს ამოვწვა...

შეჩერდი!
მანდ იდექ! შორიდან მიმზირე,
სისხლისგან დაცლილი გულით რომ ვიცინებ,
ყველაფერს, რასთანაც შენ გქონდა შეხება,
ჭუჭყივით ტანიდან რომ ჩამოვიცილებ...

მიყურე!
ვისერავ საკუთარ შეცდომებს,
აგითლი ხორციდან სარკასტულ ქილიკით,
უყურე! ერთ დროს რომ ანგელოზს ეძახდი,
თუ როგორ იცვლება ის ქალი ლილიტით...

მშვიდობით!
შენს თვალწინ მოგკალი ჩემს თავში,
იხილე შენდამი გრძნობების ხელყოფა,
ახლა კი გამშორდი და დიდხანს იცოცხლე,
ტანჯვისთვის შენ ჩემი სახელიც გეყოფა.



თემურ გოგსაძე

მოვაკანი
(ბალადა)

წმინდა მეფე - დემეტრე თავდადებულს
მტკვრის და ალაზნის შესართავს -
არს ციხე - მოვაკანისა!..
ძველთა იბერთა საზღვარს კრავს,
გზა-გასაყართან, რანისა!..
ადგილი ჯვარცმა-აღდგომის,
გაუგონარის რწმენისა!..
იბერთ ღირსების საზომი
და უძლეველი ნებისა!..
მოკვდინება და ცხოვნება -
წმინდა, დემეტრე მეფისა!..
სამრეკლო და შეგონება,
სამშობლოს შემეცნებისა!..

* * *

ამბობენ, თავად განგება,
ირჩევს - დროსა და ადგილსა...
სად შეიძლება მიღება
ჭეშმარიტ, ღვთიურ მადლისა!..

„სამყაროს სხივთა, ენერგო-კვეთა,
ხდებოდა სწორედ, მოვაკანს, მაშინ!..
რა ჟამს აღსრულდა, თავის მოკვეთა,
უფალმა მეფე, გაიხმო ცაში!..
ურწმუნო კაცნი,ხშირად ვერ ვხვდებით -
გაქრა მზის სხივი, დადგა უკუნი!..
და იქმნა, ასე, ხელშესახები,
ჯვარცმა - აღდგომა, იმ, საუკუნის!..“

* * *

ქრისტედან დრო მეცამეტე
იყო სიავით ვნებული!..
ერს, არ უნახავს, ცა, მეტი,
ღვთის სხივით გაბრწყინებული?!
მონღოლთა ურიცხვ მტრისაგან,
დაეცა ძველი დიდება!..
სამშობლოც, ცოდვილ, შვილთაგან,
მრავალჯერ გაიყიდება!..
მაინც, ისმინა ვედრება,
ღმერთმა ზენაარს - ერისა!..
და იქმნა, დიდი შეკრება -
სრულად, ქართველთა გენისა!..
აფხაზეთს, ტაოს და განას,
ნაღარა დასცეს - ეგრისსა!..
სისხლისგან დაცლილ ქვეყანას
მეფის კურთხევა ეღირსა!..
მოვიდნენ სპანი - იმერთა,
ქართლ-კახეთ, ჰერეთ და სვანთა!..
მხედრობაც შემოუერთდა -
ფშავ - ხევსურთ, მთიელთ და დვალთა!
ჯავახებმა და ჭან-მესხთა
სამშობლო უფალს ავედრეს!..
აკურთხეს ასე ღვთით, ერთად
მეფედ, ყმაწვილი, დემეტრე!..
მემკვიდრეობა - მანტიით,
დიდებით წარმოაჩინა!..
უზადო დიპლომატიით,
ქვეყანა გადაარჩინა!..
აღადგენ-აღაშენებდა
ციხე - ტაძრებს და ქვაბულებს!..
სიქველის მზეც, ამშვენებდა -
წყალობდა, მეფე - ბედკრულებს!
ზეცას მოსწყვიტა - აკორდი,
წყვდიადის გამაპობელი,
ვაზის და სამყაროს კოდის,
უკვდავი საგალობელი!..

* * *

ბევრს ყოყმანობდა ყაენი,
მერე კი - რისხვამ გაკვეთა!..
გასცეს დემეტრე მოენით
და ბრძანა თავის მოკვეთა!..
არ შედრკა, მირონცხებული,
მეფე, ღირსებით მოსილი!..
დარჩა ჯალათთა კრებული,
სისხლით და ცოდვით მოსვრილი!..

* * *

ჯერ არ ყოფილა, დამპყრობელს,
ებოძოს თვისუფლება!..
ამიტომ, მეფე, მტერთა-მძლეს,
გეგმავდა დიდ შეთქმულებას!..
არასდროს არ შეიცვლება,
იუდას გზა - სადუნამდე?!
ქართველთ განზრახვა და ნება,
მივიდა, ურდოს ყურამდე!..
აზვირთდა ცოდვის მდინარე,
ნაზიარები კაენთან!..
ბევრი ჩახოცეს, მძინარე,
დემეტრეს უხმეს ყაენთან!..
დამწუხრდა დარბაზისერი,
ცრემლები ღვარეს დედათა!..
მეფეს არ დათმობს თვის - ერი,
მცველად, მთები გვაქვს, ბედათა!..
„შენ ერთიღა ხარ, ხვალისა,
იმედი მანათობელი!..
სამსჯავრო, დივან - ხანისა,
იქნება დაუნდობელი!..“
წამოიმართა დემეტრე,
სიმტკიცით განათებული!..
სიტყვას შემატა სიმკვეთრე,
დარჩა სპა - გაოგნებული!..

„სამსჯავრო - საქართველოა!..
არა, კანონი, მონღოლთა!..
მეფის და კაცის ლელოა -
ჩემი, ჯვარი და გოლგოთა!..
ვერ გავიმეტებ, მამულსა
საჯიჯგნად მონღოლთ ჯარისა,
ვერ წარვწყმედ, ხორცსა და სულსა
ღვთის სამფლობელო - მხარისას!..
ჩემი სამშობლოს ვალადა,
ვიყავ, მტრის ომის მმართველიც,
ეგვიპტეს დარჩა, ბალადა -
სამასი, გმირი, ქართველის!..
უგნურმა, ცოდვებიც ვთესე,
ამა სოფლისა ყანასა!..
ხმლის ნაცვლად, სული ავლესე,
ვერ მივცემ მას სატანასა!
და რახან უკვე მეღირსა,
სიკვდილით ძლევა - მტერისა,
სიცოცხლე - ყრმის თუ ბერისა,
კუთვნილებაა ერისა!..
განვმზადებულვარ და ვიცი,
რაც ყაენისგან მელისა!..
საუკუნოდ ვარ, ნაფიცი,
მაღალი ღმერთის, რწმენისა!..“

* * *

განგებამ გაითავისა
გმირობა ათასწლეულის!..
ურდო, აღსასრულს თავისას
წერდა - სიკვდილით, ძლეული!..
უძღოდა მეხრე ურემსა,
მცხეთამდე ჰქონდა გზა - რთული!..
მეფის სხეულსა, ნაგვემსა,
უმღერდა, ტკბილი ქართულით!..
მტკვრის და არაგვის შესართავს,
მირონმდინარე მცხეთასა -
კრძალვით დაფლავენ, წმინდა თავს
და წმინდა მეფის ცხედარსა!..

* * *

სამყაროს არსით ტრიალი,
როცა ამ ჟამთან, მოატანს -
სვეტიცხოვლიდან - ციალი
გადიტყორცნება მოვაკანს!..
ეს არის, გზა, დიდებული!..
სხვა, რა მოძღვრება გვჭირდება?!
ერისთვის თავდადებული,
მარადიულად ბრწყინდება!..

1289 წლის 12მარტი
1989 წლის 12 მარტი
700წელი აღსრულებიდან!..

თეა ბარბაქაძე

* * *

სტიქარსაც გავიხდი - ოღონდაც გიყვარდე,
ღმერთით თუ უღმერთოდ, ცოდვა თუ მადლია...
შენ ოღონდ მაგ რწმენით ზეცამდე მიგყავდე,
ცოდვებზე არ ვჩივი - დედაო მარიამ...

ათასჯერ შევცოდავ, მაგ ღიმილს ვეღირსო,
ვეღირსო - ღაწვებზე ცრემლებად გდიოდე...
ვეღირსო- მე შენთვის რაიმედ ვეღირო,
მაგ მკერდზე ამოყრილ იებად ვღვიოდე...

ღიმილი ცას მომსკდარ მზესავით გიელავს,
ვარსკვლავთა ციალი გიელავს თვალებში,
ძარღვებში შენი ხმა დადის და მიელავს,
არიად ჩამესმის შენი ხმის ხავერდი...

ამშალე ცას აყრილ ვნებად და ფიქრებად,
გულამდე ჭაუხებს პულსივით ჩაჰყევი,
ძარღვებში სისხლს შენზე რითმები მიჰყვება
და ყველა პლანეტა გიელავს თვალებში...

* * *

ზოგის ძარღვებში სისხლი დუღს და ჩემში მელანი,
ზოგის სიკვდილის სარეცელი ერთი სტროფია,
ზოგის - ვერლიბრი,
ზოგის - პროზა,
ზოგის - ვერბლანი,
ზოგის რეფრენად დადებული ერთი ლოდია...

ზოგის ძარღვებში ვულკანი დუღს,
ზოგში წარღვნაა,
ზოგში ბადაგი ჩუხჩუხებს და სვამ და ვერ თვრები...
ზოგისთვის ლექსი დადებული გულზე დამღაა,
ზოგისთვის გზაა,
ზოგის - ზვრები,
ზოგის - ტევრები...

ვინც კი მელანი გადაისხა ყველა გაცოფდა,
მოწამლული აქვს გონება და თითქმის ვენებიც
და ეს ტკივილით დაბადებაც ალბათ ცოტაა
ყველა ცოდვისთვის, რაც ნელ-ნელა
გკლავს და ვერ ხვდები...

* * *

როგორ სიფრთხილით მოდიხარ და მეხები თუნდაც,
რაღაც სხვა მსურდა, სიცოცხლეზე უფრო ზე-მეტი...
ყველა მიწიერს რომ გავცლოდი, ტალახის გუნდად
გარდავქმნილიყავ თუნდაც, თუკი გამიმეტებდი

და მერე ვისი ბაგეთაგან იღაღადებდი,
ან ჩემი მსგავსი იქნებოდა სადმე გენახა?
ჩემსავით - ცელქი, თავნება და თუნდაც თავხედი,
რომ ყველა ბოდვა ლიტურღიად გარდაესახა...

სადაც არ უნდა ვიყო ყველგან
პირჯვრად დამყავხარ,
თვალებს ვხუჭავ და შენს პირჯვარზე
ჯალათთ ვნებდები,
რომ შენში მყოფსაც ღვინო ძმრად და
ბალღმად მომმადლდა,
ვინ ვარ რომ ჯვარცმას შევადარო ჩემი ვნებები...

ყველა ვენა რომ ამოვკვემსო, მელანის სუნი
მაინც მიდის და შენს წარღვნასაც ვერ გავექეცი,
მზად ვარ პირჯვარზე დაგიბრუნო პოეტის სული,
სული - რომელიც ამ თიხაში ვეღარ ვეტევი...

* * *

არ დავსრულდები არასოდეს, უსასრულო ვარ...
უსასრულოა ჩემთან ერთად შენი თვალებიც...
იქ - სადღაც ახლოს, ან სადღაც შორს - სადაც გველიან,
არსებობს ნეტავ სიყვარული ასე თავხედი?

რომ დაგაჩოქოს, აგატიროს რომ შეუძლია,
რომ შეუძლია გადაუსწროს ჯვარცმას წამებით,
რომ შენი თავი ჯვარზე ისე მიგალურსმინა,
რომ გარდმოხსნაც არ გნდომებია უფლის სახელით...

ხან ისეთია მეცხრე ცას რომ გაგარღვევინებს,
ნუ ელოდები მიტევებას, არ გცნობს გამხელილს,
ხან ცოდვილივით მარხვასაც კი დაგარღვევინებს,
დაგაბრმავებს და დაგაყრუებს თვალებ ახელილს...

შეგაკოწიწებს, გხატავს, გძერწავს, გქმნის და გაოცებს,
ერთ დღესაც ვეღარ გაუძლებ და ცოდვა გამხელილს -
თუ არ გიწამებს, ისე მაინც ნუ გაგაცოფებს -
რომ მესიადაც აღარ გწამდეს თვალებ ახელილს.

ათასჯერ...

მივყვები ზეცისკენ გაცრეცილ ფურცლებს და
(რომელზეც ჩემამდეც ათასებს უვლიათ...)
ენა არ დარჩება, მთარგმნიან ათასჯერ,
ათასჯერ ჯვარცმასაც ღვთის სახეს უცვლიან...

და მერე შენამდეც ოდესღაც მოვაღწევ,
ოლარსაც მოვითხოვ, გაგანდო ცოდვები : -
სამსჯავროც ჩემს თავთან ათასჯერ მოვაწყვე,
ათასჯერ ჯვარს ვაცვი ლექსი თუ ბოდვები...

ათასჯერ ლექსებშიც მოგკალი უფალო,
რომ მერე ათასჯერ აღდგომით მეხარა,
ათასჯერ შენს ნაცვლად ჯვარს ვეცვი უბრალოდ,
მელნისგან დასვრილი სხეული მენახა...

მელანი მტკივა და ჭრილობა მახარებს,
რომ ერთი მათრახი შენს ნაცვლად დავირტყი
და მერე ტკივილით გიჟივით ვხარხარებ,
ოლარშიც მტკივა და ოლარშიც განვიცდი...

* * *

ჰანგი ციური,
ათი მცნება,
შენი ხელები,
ცათამბრჯენები,
ოცნებები
და აპოგეა...
თუ ჩურჩულებენ უფოთლებოდ
ნეტავ ხეები?
რა სიგიჟეა,
სიგიჟეა და რა ორგეა...

ხან დაიკარგე - სადაც შეძლებ
იპოვო თავი,
დიდი ხნის წინათ რომ დაკარგე
და არ გიცდია,
რომ ერთხელ მაინც მოგეძებნა
ეგებ ცოცხლობდა,
ეგებ ცოცხლობდა შენს წარსულში
ცელქი ნიბლია...

ვიგრძენი სადღაც მონაკვეთში -
დროს აცდენილებს,
გვაკოწიწებდნენ ვარდის ყლორტის
გადანაჭრებით,
მჩხვლეტდნენ ეკლები, მაგრამ სიტყვაც
არ დამცდენია,
თუმცა მხიბლავდა უკვდავივით
ცაში აჭრებიც...



ეთერ ჭელიძე

ისევ არავინ ჩანს?! მიტოვებული სოფელი

დღე, თითქოს ქარ-ავდრიანი, მეჩხერს კვალავდა გზას,
ელოდებოდა მარტოსულ, ელოდებოდა მგზავრს,
არავინ ჩანდა შორ-ახლოს, მხოლოდ მოჩანდა ცა,
დადუმებული ნაბიჯი იკრავდა დილის ცვარს...

დღე, მოწყენილი აგრძელებს, ისევ აგრძელებს გზას...
ხან ძეძვის ბუჩქს შეერევა, ხან პანტა ხეხილს სხლავს
და მოხავერდო ოაზისს, ზანტად მოავლებს თვალს,
სოფლის აძენძილ ბილიკზე, ისევ არავინ ჩანს...

დაუბმელ ძაღლის ყეფამდე ისევ მიჰყვება კვალს,
ჭიშკარი ჩაგმანულია, უცხო, ჭის წყალსა სვამს,
თითქოსდა მამაპაპათა, ვიღაცა იყრის ჯავრს,
ჩატეხილ სახლის კიბეზე, ისევ არავინ ჩანს...

აღარ ღრჭიალებს გუთანი, არავინ არ კრავს ძნას,
ჯეჯილი მოწყენილია, თავთავი იკრავს ცვარს,
-სადა ხარ ძმაო, ძმობისა მტერს გავაგონოთ ხმა!
აივანგადაკიდებულს, ცრემლი ობლად სდის სახლს...

ღამე დუმილის ბუნაგში, სიზმარს უყვება ცხადს.
მიტოვებული ბაღნარი, წყარო, კამკამა ცა.
გალეშილია ტყე-ბარდი, ცრემლს ვეღარ ვუშრობ ვაზს,
ჭურ-მარანს ობი მოვწმინდე...კიდევ არავინ ჩანს...

მზეც ალმაცერად დამყურებს, დამრჩენს არ ვგავვარ მგზავრს,
მჯიღა ცრემლს მაყრის, პირქუშობს სოფლის კამკამა ცა,
გავერანებულ ეზოში ხელით ვგლეჯ-ეკალ ნარს,
წყურვილი მკლავს და მასპინძლის არსაით მესმის ხმა...

უშბის და თეთნულდის სიყვარული

შეუცვარეს შუბლი ღრუბელს
შეუთრთოლდა მყინვარს მკერდთან!
დამესიზმრა უშბა, თეთნულდს,
სიყვარულის ბარათს სწერდა!

და, ელოდა ისიც, თითქოს
საპატარძლო კაბა ეცვა,
მწვერვალები მაყრად იხმო,
მზის მანდილი შემოესხა...

ბებერ შხარას სიტყვა მისცეს!
ფიცნაჯერი იყო ღმერთთან.
ქადაგებდა მახვში სიბრძნეს,
ამინ! მთებმა ყველამ ერთხმად!

და დასწერეს ჯვარი ესე,
შეასრულეს უფლის ნება,
უშბა, როგორც მწვერვალთ მეფე
და თეთნულდი მთების დედა!

და მას შემდეგ გულზვიადნი
გულთა კავშირს ხიდად დებენ,
უხილავი ცისა თაღნი
მათ წინაშე თავს იდრეკენ!

ნუ მიატოვებ სამოთხეს შენსას...

მზეჩაკიდული ორწოხი,
ნისლმოთოვლილი მთა.
ჯიხვის და არჩვის სავანე,
ზეცას სავალი გზა.
მოლაპარაკე ჩანჩქერი,
ფერადხმოვანი ქვა
და ამ სიტურფეს ნაჩვევი
საით მიდიხარ, სად?...
ხავერდოვანი ხევები
ნეტავ რა დედამ შვა,
ლოდები როგორც დევები
ენგურს შებმიან მხარს.
ღრუბლებთან მოფარიკავე
კოშკებს ვერ ვაწვდენ თვალს,
მწვერვალებს თუ გაუვაკე
არწივი მოგხვევს ფრთას.
გზა აგერევა ცხრაფერში
თავად დაკარგავ გზას,
ამ სამოთხესთან ნაჩვევი
ნეტავ მიდიხარ სად?!

კვლავ გულში მიკრავს სიჩუმე, თვალებს ვუკოცნი ძაღლს,
ჟანგმოდებული სახნისის ჟანგი ჩემ გულსაც ჭამს,
დუმილი... მკვდარი დუმილი... სულს ძვალივით რომ ხრავს,
მიტოვებული საძვალე ნაკვერჩხალივით მწვავს...

კვლავ მოწყენილი სამზეო, დარდშეფენილი გზა...
ვეძებ თვალების ცეცებით აქაურს, არა მგზავრს...
რომ აჟღარუნდეს ჯაჭვი და რომ ახმაურდეს ჭა,
ფესვების ამონაყარი ჯარად მოადგეს კარს.

დედას პურებიც დაცხვება, გუთანიც გაჭრის კვალს,
მკათათვე აბიბინდება, ყანა ლივლივა ზღვად,
მამაპაპურსაც იტყვიან, ომახიანად ბანს,
ისევ შემოჰკრავს მთა -მდელო, შემოჰკრავს დედო-ზარს!

მტერიც დაფრთხება, ჭილ-ყვავიც ვერ შემიბინდავს თვალს.
სოფელიც ახმაურდება, შარა, ბილიკი, მთა!
ვაჟკაცი ქორებრ მზერითა ქარქაშს მოსხლიტავს ხმალს,
დედადედოფლის თანასწორს შუბლს დაუკოცნის ქალს!

მთვარეც შემოყრის ვარსკვლავებს, ლხენის რთველობა შვას.
გიშრისფერთვლიან ქალ-ვაჟებს წამოშლის როგორც სკას,
წელმოწყვეტილი მოშურნე ჩვენგან ეძებდეს ხსნას...
ყოველი ადლი მიწისა, ვერ უდიოდეს მკას...

არ დაგავიწყდეს ქართველო, ვისი გორისა ხარ.
დაბრუნდი სამურზაყანოს, მთათუშეთსა თუ ფშავს,
იმერეთს, სვანეთს, კახეთსა, სადადიანოს ზვარს
ვაჟა, აკაკი, მუხრანი, სხვა რომელ გენმა შვას?

,,სცვივა ლოდინი“ პიტალოს, შემოუვერცხლა ჟამს.
ცოტნე, გიორგი, დემეტრე, ყველა თქვენთაგანს ჰგავს,
დავითის და თამარის დროშის ჩასჭიდეთ ტარს,
ზურმუხტოვანი მთაველი შემოუზიდეთ კვლავ,

რომ მგლოვიარე ქათიბი, შემოვაცალოთ ჯვარს,
გავადიადოთ აწმყო და ქრისტეს ვემთხვიოთ კვართს!
ასიათასი მოწამე ნათლის სვეტად რომ დგას,
თუარა ჯიშმა ქართულმა, სხვა რომელ გენმა შვას?!

ვძალაობ

ვძალაობ, იქნება
დავაშრო ეს თალხი,
სიმორცხვე წვიმისა
იქნება დავძლიო.
გაჩუმდეს იქნება,
გაჩუმდეს ეს ხალხი
და ეს გალახული
სინდისი ავწიო...
ვძალაობ დაუთბე
უსაგნო ტკივილებს,
უცეცხლო სევდებში
მზის სხივი ვაპნიო,
მტერსა და მოყვარეს
მივმართო ვედრებით;
ნამუსის ყანწიდან
ერთობის ავწიოთ?!

წუთი წყვეტს ყველაფერს...

ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს.
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს...
ნებდები...განაჩენს უცდი...
სანამ ხარ, სიკეთის ჯეჯილი,
თესო და მარგლო უნდა,
რაცა გაქვს შენი შექმნილი,
გასცე უკვალოდ თუნდაც...
იცხოვრო, ისე იცხოვრო,
ღიმილს სდიოდეს მადლი.
ერთია მხოლოდ სიმბოლო
მიწის მტკაველა, ადლი...
სიცოცხლე შენი, მოყვასს,
თავის ტოლ-სწორად სურდეს...
მტერს, უხილავს და ხილულს,
შენი სიკვდილიც შურდეს...
ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს.
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი?..
მაინც ვერ გახდები ვერაფერს...
ნებდები...განაჩენს უცდი...

*

შემაშველეთ ქართული სპა არაგველთა
თითო ფილთა ჩამიტკეპნეთ საფანტივით
და სამშობლო ქართლ-არაგველ ჯავახელთა
დავინახო მტრის კარს გოლებგატანილი!

„ვოი დედეშ“... „ვოი ნანა“...

2023წლის 9ივლისს ტრაგიკულად დაღუპულ
გიორგი რატიანის და გიორგი ნიჟარაძის
ხსოვნას

დღეს რომ ცისკრის მაცნე მოვა,
ტაბლას გავშლი შხარის ძირას.
საქორწილო მაყარს ვუხმობ,
თუ გათენდა, ღმერთო, დილა!

ნისლის ჯვალოს გადავფერთხავ
არწივების ცათა ალაგს,
მყინვარიდან გადავხედავ
თქვენი სულის მყუდრო კარავს!

მაგრამ თუკი ვერ გათენდა,
ცოდვა ედოს მულხურ ჭალას,
უდრეკ ლოდებს ბზარს გაუჩენს:
,,ვოი დედეშ“! ,,ვოი ნანა“!

მაგრამ თუკი მეხთატეხად
შავღრუბლებმა შემოგბღავლათ,
მარტო თქვენ თავს არა ხდება,
იქ თქვენამდეც იყვნენ მგზავრად!

დღეს რომ დილა გათენდება,
გათენდება თქვენთვის განა?
შხარა დარდით გათეთრდება,
,,ვოი დედეშ“! ,, ვოი ნანა“!

შავთალხმოსხმულ მნათობებსაც
ენგური გზას გაუკვალავს,
ლამარია გულს ჩაგიკრავთ,
,,ვოი დედეშ“! ,,ვოი ნანა“!

რადგან ამა საწუთროში
სიყვარულით იხდით ღალას,
თქვენი სულის სიდიადით
წახვალთ ზეცას, უფლის ტაბლას!

დღეს უფალი გიხმობთ... მასაც,
გზა მართალთა თქვენთან უდევს...
რადგან კაცი, ცოდვა-მადლის,
სიცოცხლეში ავლებს ზღუდეს!

კლდეებს ზარის ექო ბზარავს;
ცოდვამ ხელი რად დაგვრია...
კვლავ საჯიშე ბიჭებს ვკარგავთ
ღაწვს იხოკავს ლამარია!

მჯიღებს იცემს მკერდზე შხარა,
,,ვოი დედეშ...ვოი ნანა"!

ვედრება

ქრისტეს ნათელით იბრწყინე,
ვაზის ხელთქმნილი კანდელით.
საქრისტიანოს ულხინე
მოჰფინე ცხოვართ ნათელი!
აკვნის სიმრავლით მაოცე,
მლოცველ მქმენ ღამენათევი,
ნინოს წმინდა ჯვრით დალოცე
დედამიწაზე ქართველი.
ერთ-გულად შეჰკარ რჯულ-ფიცით
ყოველი გოჯი ნახმლევი,
წმინდა გიორგიმ ამრავლოს
მისი დიდების მნახველი!

ისევ გათენდება

ისევ იკვირტებს შენი ხელდასმული,
შენი წილხვდომილი ქართველი!
ლოცვას ისწავლის შენკენ ხელგაწვდილი,
შენი ჯვარდასმული მთა-ველი.
ახმიანდება ზამთარს შეხიზნული,
შენი ვარდ-თოვლობის მნახველი,
და შენ მყოფადობას შეწირული,
გმირად შეწირული ქართველი!
ისევ ამაღლდება გენის სიდიადე,
ლეკვნი იმრავლებენ ალგეთის,
ნაღდი ქართველობის დროშა იფრიალებს
ათას ურდოთაგან ნახმლევი...
ისევ გამთელდება, ვიცი გამთელდება,
ჩოხის აჩეხილი კალთები,
ისევ გათენდება, მზისქვეშ გათენდება,
დილა, უფლის ბაგით ნაკმევი...

კოტე მესხიძე

* * *

გული მწყდება, გული მწყდება, გული მწყდება...
როცა სულში ჩამასხამენ ბალღამს.
ცუდი არის, რომ ადრე არ მავიწყდება,
ის სიმწარე, რაც იმ ბალღამს ახლავს.
ზამთარივით მეყინება სისხლი ძარღვში,
ნერვები კი გაყინულ ტოტს მიგავს.
ძმაკაცი რომ გიღალატებს შუა გზაში,
მოგიგონებს ღალატისფერ იგავს...
გული გტკივა, გული გტკივა, გული გტკივა...
ელოდები სიმართლისფერ სხივებს.
მზეც ამოდის, ის ძმაკაციც გაყინული,
შენს მზეს უშვერს, გასათბობად თითებს.

***

ვინ რა იცის ჩემი სულის,
ან და ჩემი გაგების,
ფილმიდან ვარ გადმოსული,
თეთრი ბაირაღების.

ქუჩისა და სცენის მტვერი
ისე სუფთად ავზილე,
არ დამსვრია არსად ხელი,
სინდისიც მაქვს საძილე...

ვერ მოვირგებ კაცის გარდა
ამ ცხოვრების პიესებს,
ვაჟკაცურად დავეცემი,
სადაც ღმერთი ინებებს.

თუკი ყველა ვერ გაიგებს
ჩემი სულის არაკებს,
ცოტა მაინც ხომ ჩაწვდება
მუზით ნალაპარაკებს...

***

ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი თუ ცხრამეტი..
ოზურგეთი... გურია...
რეპეტიციას მოვრჩი, მოვრჩი რეპეტიციას,
სახლში წასვლა მწყურია...
გზის ფულიც კი არ მქონდა,
მხოლოდ მქონდა იმედი...
ვიღაც გამიჩერებდა, „რაიკომთან“ მივედი.
გადაჭრილი ხე იყო, იქ მიყვარდა დაჯდომა,
ყველას ხელს არ ვუქნევდი, არ მიყვარდა ქაჯობა.
ვინმე გამოივლიდა, გურული თუ მეგრელი,
მერიამდე მინდოდა ჩასვლა დაუყვედრელი...
მოლოდინი გრძელი და ფიქრიც შესაფერისი...
ბოლო შანსი კი იყო მატარებლის რეისი,
იქაც უნდა გეთხოვა უბილეთოდ მგზავრობა,
თბილისამდე არ ვმგზავრობ,
არ დამიწყოთ ანჩხლობა!
ასე წვალებ-წვალებით,
დავდიოდი ,,ვტკბებოდი”
სახლს რომ დავინახავდი
ვაგონიდან ვხტებოდი...
ლექსის წერას მოვრჩი და
სახლში წასვლა მწყურია,
მაგრამ ძალზედ შორს არის ოზურგეთი, გურია.
მუდამ მემახსოვრება მოგონების ნასხლეტი,
ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი
თუ ცხრამეტი...

ზეთისხილის ბაღები

ზეთისხილის ბაღები და სუნი ზეითუნის...
მოდის კაცი, ესპანელი, სურნელით თუთუნის,
გვესალმება, იღიმება, გლეხურ თითებს გაშლის,
ამ ბაღებს რომ შემოივლის, და ბაღები ვაშლის.
,,სომბრერო” აქვს მორგებული,
ჩრდილი მხრებზე ფარავს,
ხეებს ისე ეფერება, როგორც მწყემსი ფარას;
დადის ნელი ნაბიჯებით და თუთუნის ბოლით,
მზის სხივებზე უელვარებს, თითზე ოქროს რგოლი.
მოსავალით კმაყოფილი, ბაღს ბავშვივით უცქერს,
ვით მზის გულზე, მწიფე ხილი, გულიც ისე უძგერს.
ბაღებს ასდის ოხშივარი, სუნი ზეითუნის.
მიდის გლეხი, ესპანელი, სურნელით თუთუნის.

ნინო უძილაური

დრო არ დაგვინდობს

ზოგისთვის სწრაფად გარბის დრო,
ზოგისთვის მიიზლაზნება,
ეს უცნაური სამყარო,
სიზმრის ავ-კარგი ზმანება,
საიდან მოდის, სად მიდის,
სად უცნაურად ზვავდება,
სიტყვა და ნაამაგარი,
ცოდვად და მადლად ზღვავდება,
ვერასდროს მივხვდი ამ ქვეყნად,
ვინ ვისთან რატომ ზავდება,
ერთს ვიტყვი...დრო არ დაგვინდობს,
სადაც სურს, იქ დამთავრდება.

მამა

როცა მყავდი, ვერც ვერავინ მაბრაზებდა,
მამა ჰყავსო... ჩურჩულებდნენ ჩუმად,
ძლიერი და გულმაგარი ფშაველია,
პირშიმთქმელი ვაჟკაცია, უთქვამთ.

როცა მყავდი, არაფერიც არ არ მტკიოდა,
ცას ვწვდებოდი, ვთამაშობდი მზესთან,
ვიყავ ლაღი, არ მციოდა, არ მშიოდა,
და არაფრის მეშინოდა შენთან.

როცა მთაში ლექსის კოცონს დაანთებდი
და ზღაპრებად იღვრებოდა ზეცა,
ჩემთვის ღამით უკუნსაც კი ანათებდი,
უდარდელი წლები სად გამექცა....

როცა მყავდი, მამის ძლიერ ხელებს ვგრძნობდი,
მამის სიბრძნეს, მამის გულის ხმობას,
ნეტავ მყავდე, არაფრისთვის არ დაგთმობდი,
არ დავთმობდი მამაშვილურ გრძნობას. .

სასაცილოა

ზოგჯერ უკვდავნი ვერ უკვდავობენ,
ზოგჯერ მოკვდავთაც აქვთ უკვდავთ ხვედრი,
რას არ გვარგუნებს ბედი მუხთალი,
მე მაინც უფალს ლოცვებით ვვედრი.

ყველას გულისთქმა დიდ ეკრანს ფარავს,
სადაც უკვდავთ და მოკვდავთ განსჯიან,
წუთისოფელში ვინც რას დამალავს,
იმ დიდ სოფელში ყველას დასჯიან.

სასაცილოა დროებით როკვა,
თავაწეული ფუყე თავთავი,
უფალო, ყველას გზა გაუნათე,
რომ არ ახალონ მერე ქვას თავი.

ხომ მაპატიებ

მიგიკერძოვე და მაპატიე,
მგონია სხვებზე მეტად მიყვარხარ,
ეგ სული ხორცში როგორ დატიე,
შენ ჩემი სულის იდილია ხარ.
თავისუფლება სუნთქავს სიმშვიდით,
გონიერება აზრებთან ერთობს,
დროს და სივრცეში ხარ უფრო მშვიდი,
ამიტომ შენში სიკეთე ღმერთობს.
მიგიკერძოვე...ხომ მაპატიებ,
რომ მჯერა სხვებზე მეტად მიყვარხარ.

კეთილი ფიქრი

ვემსახურები სიკეთეს,
სიკეთე საქმეს მიკეთებს,
კეთილი ფიქრი სიტყვებს წერს,
სიტყვები მოძღვრავს თავად ერს,
ფიქრები ჩნდება წარსულზე,
ან დღევანდელ დღის ავ სულზე,
დარდობ და წამლობ სიკეთით,
შთამომავალს ზრდი იმ ფესვით,
რაც წინაპართა გულშია,
მართალი არა მრუშია,
იგემო ტკბილი ნაყოფი
და მომავალი აქ მყოფი.
მარადისობის კანონი,
უფალი ჩვენი პატრონი,
ვემსახურები სიკეთეს,
ღმერთს, სამშობლოს და მოკეთეს.

ნუ გიყვარსო

ნუ გიყვარსო, ნუ გიყვარსო ღმერთის შვილი,
თვით შვილები დამძახიან ღმერთის,
თქვენც მიყვარხართ, ოღონდ გული გქონდეთ მშვიდი,
სიძულვილი სასჯელია ჩემთვის.

მებრალება ია, მორცხვად ამოსული,
ვერც ძუ მგელი შევიძულე მაგრამ,
უმადურ და მდაბიოთა მწირი სული,
ღმერთთან ასვლას ვერ ასწავლის ნაგრამს.

ნუ დამიშლით შეყვარებას ღვთის შვილების,
ღვთის შვილია მცირეა თუ დიდი,
მარცვალ-მარცვალ წამოვკრიფე მზის ღილები,
რომ ნათელში გავახვიო ბინდი.

ნუ გიყვარსო, ნუ გიყვარსო ღმერთის შვილი,
თვით შვილები რომ დამძახით ღმერთის,
თქვენც მიყვარხართ, ოღონდ გული გქონდეთ მშვიდი,
სიძულვილი სასჯელია ჩემთვის.

გაუმარჯოს

გაუმარჯოს სიძულვილის დასრულებას,
სიყვარულის გამარჯვებას გაუმარჯოს,
ფარისეველ მედროვეთა დამუნჯებას
და წრფელ ღიმილს,
ღმერთივით რომ გულში მარჯვობს.

იმ მეგობარს
და იმ ნაცნობს გაუმარჯოს,
ტყუილს, ღალატს, ორპირობას რომ არა სცნობს,
გულში აუგს არასოდეს არ გაივლებს,
ზურგში ლახვარს არასოდეს არ ჩაგასობს.

ღვთის ტრაპეზზე ღმერთის სიტყვას გაუმარჯოს,
სიყვარულით სული სადაც დაპურდება,
ფლიდებს, ოქრო-ვერცხლის მონებს რა გამოლევს,
ღვთის სუფრაზე მათი სიტყვა დასრულდება.

გაუმარჯოს სიძულვილის დამარცხებას,
სიყვარულის გამარჯვებას გაუმარჯოს!

სევდამორეული მოგონება

სევდამორეულ გრძნობებს
კვალი დაჰყვება დარდის,
როგორ მიყვარხარ ახლაც,
ჩემო სურნელო ვარდის.
ნეტავ დაბრუნდეს წლები,
სადაც ბავშვობა ქროდა,
შენი თვალების ცქერით,
გული საგულეს თრთოდა,
ვარდს ედებოდა ნამი,
ია ხარობდა ტყეში,
დაბრუნდებოდეს წამით
ის სიყვარულის თქეში,
როცა გიცქერდი შორით
და ვერ გიმხელდი ტრფობას,
ამ იდუმალი გრძნობით,
დრო მაძალებდა მოცდას.
ვერსად ვერ ვპოვე მსგავსი,
შენი დალალის ფერი,
მაგ თვალთა სხივის ელვამ
დღე გამინათა ბნელი.
ახლაც ვიხსენებ იმ დროს,
როგორ ვხარობდი როცა,
ერთი პატარა გოგო,
შემიყვარდა და მორჩა.
შემიყვარდა და მაშინ,
იყო ფიქრები წრფელი,
მოვიტაცებდი რაშით,
მერე ცხოვრება მთელი,
აენთებოდა ჩემთვის,
იმ ჩაუქრობელ ცეცხლად,
გულში რაც ენთო დღეს კი,
გადამქცევია ცრემლად.
სევდამორეულ გრძნობებს
კვალი დაეტყო დარდის
ძლიერ მიყვარხარ ახლაც
ჩემო სურნელო ვარდის.



გერონტი მესხი

უზავ, ჩემო!

მუზავ, ჩემი სულის საზრდოვ, სიტყვაუხვო, მადლიანო,
ხან მზის სხივად დაფრქვეულო, ხანაც ნათქვამავდრიანო,
თურმე, როგორ მყვარებიხარ, შენზე ჩუმ-ჩუმ ვდარდიანობ,
როცა ჩნდები ლექსთან ერთად, ცაც ნათდება ადრიანად...
ლექსად იწვის კაბადონი, საკმეველი ადის ღმერთთან...
ლექსი- სულის სამოთხეა, სავანეა სპეტაკ ფერთა...
შენ კი, ვიდრე ლექსად მოხვალ, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალი რომ შეჰკივლებს და
ტვირთს შესძრავს მემანქანე.
შემიპყარი, გამამხნევე, დამაფრქვიე რითმის წყებად,
შენ ხომ, როგორც ძველ სიყვარულს, არ გჩვევია მივიწყება.
ეს გული კი, მადლის მსგავსად, მოაბნიე სტროფებს შორის...
შენ ხომ ჩემი სულისთქმა ხარ და თქმულ სიტყვის პროფესორი.
ჩემი სისხლიც სტრიქონებს სცხე და ბგერები დამინამე,
სიტყვა ლექსში თუ არ სუნთქავს, ნამღერებიც არ მინდა მე.
ჩემთან ყოფნით, ვით აქიმმა, ყველა წყლული დამიამე,
სათქმელს ვწონით, ვარჩევთ, ვაწყობთ,
გზის იქით ვყრით შხამიანებს.
გახსოვს, როგორ გვეჩოთირა ზოგის ომით „გართობები“?
სამ დღეში რომ წყლულად გვექცა ჩამოჭრილი ფართობები...
ბოლოს ყველას ღმერთი განსჯის, მარცხსაც იწვნევს ფალავანი.
რომსაც ჰქონდა იმპერია თვალუწვდენი გალავანით!..
ბონაპარტსაც უმარჯვნია დიდ ქვეყნებთან, ბარე ათთან...
„ვატერლოო“ ზოგს-მთებს იქით, ზოგს–შინ უცდის, კვარიათთან...
დროა, ჩვენი დროც დაგვიდგეს, დრო-სხვის დროზე უკეთესი,
თესლს უხდება გადარჩევა, დრო რომ მოვა უკვე თესვის.
და თუ განძის, წყალს რომ ახლავს, მოვესწრებით გაყოფასაც,
გავვოცდებით, უფლის მადლით, ხელს გამოვკრავთ რა ყოფასაც!..
...ლექსის თხზვის დროს მხარში მყევხარ ცისკრისას თუ გვიანისას,
ერთადა ვართ ერთსულ, ერთხორც, ვით ტყუპები სიამისა.
და ვრწმუნდები, თითქოს მსგავსი არ მსმენოდეს დღემდე არსად:
პოეტი და ლექსი იშვნენ ქათმისა და კვერცხის მსგავსად!..
მოდი, მუზავ, არ დამინდო და სიმართლე გამომწურე:
მგელს თუ ცხვარი ვერ წავართვით, ნუ ვწყვეტთ ამის გამო ტურებს.
და ისევე, ვით მომკელი მომკილისგან აგებს ზვინებს,
იმედი და რწმენა მადლით, სიყვარულით მათესვინე.
მოდი, კიდევ შემანჯღრიე, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალის შეკივლებით ტვირთს რომ გაჰკრავს მემანქანე.
იქნებ, სადმე, ჩემს წიაღშიც ჰპოვო რამე მარგალიტი,
მეც ხომ მესხი-მელექსე ვარ, შოთას ციცქნა მაგალითი.

მოდი ჩემთან!

თვალს სტაცებდი ირგვლივ ყველას,
მხარზე გეჯდა ამური.
გარს აურა გეკრა მცველად
მკაცრი და საამური.
ჩამიარე, როგორც უცხოს,
როგორც ვიღაც გარეწარს.
ღაწვი ისე ამესუსხა,
თითქოს სილა გაგეწნას.
სულში თრთოლვით დამიარე,
თვალში ჩადგა წყვდიადი.
სილამაზე ვაღიარე
უსასრულო, დიადი.
ნაბიჯ-ნაბიჯ გედგნენ კვალში
ურიცხვ ვაჟთა ფიქრები.
ყველა დროის ლამაზმანში
შენ პირველი იქნები.
დამენანა უშენობა
და ამ ფიქრთა სრბოლაში
არ მეგონა, თუ მშვენება
ჩამაგდებდა კოლაფსში.
ვფიქრობ, შენგან ნაიარევს
გამომარჩევ ას ბიჭში.
ცეცხლმა დამწვა, ჩამიარე
თუმცა სამ-ოთხ ნაბიჯში.
ნეტავ, რად არ დამემალე,
ან, ვინ გთხოვდა გამოსვლას?
ქალებს შურით უვსებ თვალებს,
კაცებს უწყობ გამოცდას.
უნდა იჯდე, სადღაც, სევრში
ეტალონად მშვენების,
ან, შენს როლებს ბევრზე ბევრში
ვეღარ თვლიდნენ შენები.
მაგრამ, თუკი არ გიტაცებს
უცხოური დიდება,
და, თუ მიხვდი, ქართველ კაცებს
დედოფალი გვჭირდება,
და, თუ სევრი გიღირს გროში,
მაშ, იტვირთოს დარდი სხვამ:
მოდი ჩემს თბილ სამყაროში
და დედოფლად დაგისვამ.

მუდამ მეყვარები

(სიმღერა)

შვლის ნუკრივით შერჩენილო ამაყ მთებს,
დასხლეტილო წუთით დედის უბიდან.
შუქურა ხარ, უკუნშიც რომ ანათებ,
როგორც მთვარე, თავდახსნილი ღრუბლიდან.
დანარნარებს შენი ლაღი მშვენება,
მზის სხივივით მწვავენ შენი თვალები.
როცა ღმერთებს ჩემი ტანჯვა ენებათ,
მომახვიეს სატრფიალო ალები.
ძალებს ვიკრებ სიყვარულის აღმართთან,
დასტურს ველი შენს ბაჯაღლო ზოდიდან.
სიყვარულმა ამნეზია დამმართა:
მიყვარხარ და, არც კი ვიცი, როდიდან.
შევუყვები აღმართს, როგორც მეგზური,
დახუნძლული სიყვარულის საგზალით.
გიხილე და ბედს მე აღარ ვემდური,
მიყვარხარ და ვერ აგიწერ, რა ძალით.
სიმღერაში სულს ვაქსოვ და ყველაფერს,
და ამურის ისარს გტყორცნი მხოლოდ შენ.
ჩემზე უკეთ სხვა ვერ გეტყვის ვერაფერს:
მიყვარხარ და მეყვარები ბოლომდე!..

მომიტევე

(ძეშეცთომილის აღსარება მეუღლისადმი)
(ჯ.ვ-ს მონოლოგი)

სადაც უნდა დამიღამდეს, ღამე მთლად შენ გეკუთვნი.
შენთან ვზიდავ ჭაპანს ცამდე, ვით კავს-ხარი მეგუთნის.
კვლავ თუ ვინმე მიმიტაცებს, როგორც რკინას-მაგნიტი,
“ღმერთი დასჯის მსუნაგ კაცებს!” – თავს იმშვიდებ მაგითი.
ქალთა მუსუსს ვინ ედრება, ერთი-ორი შემთხვევა
წმინდა ბერსაც შეეშლება და ურჩის ჯვარს ემთხვევა.
ჩემი გზები შენსკენ იწევს, რა რომი და ათენი...
შენი გული ორ ზღვას იტევს, სხვას სად ძალუძს ამდენი.
რამდენჯერაც წავფორხილდი, შენზე ფიქრმა ამზიდა,
ვერ მაკრთობდა შავი ბინდი, ქუდი მეგდო ბანზედა.
ისიც გახსოვს, რის თქმაც გსურდა და რატომღაც, ვერა თქვი,
ისეთ ტალღად აგუგუნდა, ვერ ავზომე ვერაფრით.
მერე ურჩი დაცხრა ტალღა და დაოკდა მდინარე,
და ჩემს სულშიც რაღაც გალღვა შენგან გამომდინარე...
მალე ჩიბუხს მოვუყვები სხვა სახელზე, სხვა გვარზე,
ვინც მაჩუქეს ვნება, ნებით დადებული, ლანგარზე
და თავადაც თრთოდნენ ოდენ, როგორც თოვლზე-ციყვები...
(სხვანი ჩუმად გიამბობდნენ, მე ხმამაღლა გიყვები!)
კი, მე შენი ფანი ვარ და, შენ ხარ ჩემი ბატონი,
თუ ხელთ ქალი ჩამივარდა ფლირტი ენის პატრონი,
არ გაჰყვება ჩემი დარდი... კვლავ შინ მნახავ დღის ბოლოს...
იმედი ხარ სრული, მზარდი, და შენდობის სიმბოლო.
ღამე, მე რომ ნებაც მქონდეს, ვერ შევრჩები სხვის კარზე
და ვერც მნახავ, მალვით ოდეს ვბრუნდებოდე ცისკარზე.
დღისით ხდება წიაღსვლები, ღამე კვლავ შენ გეკუთვნის
და მოგართმევ, შენის ნებით, ჩემს თავს, ვნებით შეფუთვნილს.
სხვის ქურქს მიჯობს, ორიგინალს, შენი ჩითის ხალათი...
მომიტევე მორიგი და... უნებლიე ღალატი...

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ცას შესევია ავი კალია

ბოროტის გული ცრუ და ხარბია,
შორით მოსულის მზერა შავია...
ცას შესევია ავი კალია,
მძიმე თავთავებს თავი ჩახრიათ...
სულს რაც წმინდათა-წმინდა აჩნია,
რაც ოდითგანვე ჩემი ხატია,
ის, რაც მებოძა და მაბადია,
სისხლით დავიცვა, ჩემი ვალია...
ცას შესევია ავი კალია,
შორით მოსულის მზერა შავია...
ახლა სამკალი თავზე გვყრია...
სამრეკლოს უნდა ქუხდეს ზარია!..

ვაი, რა ცუდად დაგვჩემდა

სიცრუე - სულისკვეთებად,
ტვინში ღალატის გავლება,
გულებში ლოდი შავფერა,
შუბლებზე ტყავი რვაფენა,
ავთა საქმეთა ჩადენა
და ამით თავის დარჩენა...
ლაზღანდარობა, ლაყბობა,
ღვარძლი და გაუტანლობა,
ძალაზედ თვალის დავსება,
ვაი, რა ცუდად დაგვჩემდა...

გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს

სანამ სიკვდილი - ჩაგვავლებს ბრჭყალებს,
შევქმნით და დავდებთ ჩვენს ისტორიას,
ყველა ჩვენგანი თავის წიგნს დაწერს
და დავასრულებთ ამ მისტერიას.

აქ - ჩვენს ადგილას - მოვლიან სხვები,
გადაფურცლავენ წიგნებს - ნაკალმებს,
გადახედავენ ყასიდ სტრიქონებს
და ამოშლიან ცრუს და ნაყალბევს.

წლები ეპოქებს დააფარდაგებს,
დაიზნიქება სამყაროს ხიდი,
გაიხსენებენ ყველა ნასაქმევს,
რასაც უსულოდ - გულგრილად ვქმნიდით.

გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს,
ამოიხვევა გორგალის წვერი,
დააფასებენ რჩეულ პწკარედებს,
ხანდახან, სისხლის წვეთით რომ ვწერდით.

გაიხსენებენ, უღვთო მანევრებს -
როცა ჩვენს წიგნებს ვწერდით და ვქმნიდით,
დაასადაგებს - ყველაფერს იტყვის,
გულდაგულ ვინაც - ნაბიჯებს ითვლის.

ათას წლის შემდეგ

ერთხელ, ზმანებამ
საკვირველი რამ დამანახა,
ათას წლის შემდეგ
ჩემს ქალაქზე გადამატარა;
დრომ, ბუნდოვანმა,
ბარიერი ისე აღმართა,
მე ვერ ვიცანი
ჩემი სახლი - ჩემი ფანჯარა;
ვერ დავინახე
გაღებული ერთი დარაბაც -
და დავყურებდი
უხმო ქალაქს, ნგრეულს - არარას...
გაქვავებულმა,
ხორკლიანმა, უწყლოდ გამშრალმა
მიწამ და მდელომ
უიმედოდ შემომღაღადა...
მაშინ რომ, თვალმა
გამომშრალმა, ცრემლი დაღვარა,
მაშინ რომ, სევდამ
ნამუსრევმა, სული დაღარა,
მაშინ რომ, გული
საუკუნო განცდამ დალახვრა,
რაც მიკარნახა,
შთამაგონა სიმმა ჩამწყდარმა,
ვთქვი: ეს ქუჩები,
ეს ქალაქი ჩემსას არა ჰგავს...
სანამ ტკივილი,
უსაძლისო, გულმა ატარა,
სანამ ცრემლებმა,
მადლიანმა, მიწა დანამა,
გადაირბინა,
კიდევ ერთხელ, წელმა ათასმა -
მიძინებულმა
გაიღვიძა მწვანე საფარმა, -
ვთქვი: მე დავბრუნდი! -
დაუბრუნდა მიწას სიცოცხლე
და დავიჩოქე
თავდახრილმა თოთო ბალახთან...

გულნაზ ხარაიშვილს

დადიხარ და ყვავილების სურნელს აფრქვევ,
ბარხატები გეფინება მწვანე ველთა,
შენ ყველაფერს სიყვარულის სახელს არქმევ,
თუმც სიმძიმე მხრებით დაგაქვს მძიმე წელთა.

ნაღვლიანი მიუყვები კუთვნილ აღმართს,
ჩვენი ქვეყნის ტკივილები გულით დაგაქვს,
ასათუთებ ქართულ სიტყვას - ქართულ ანბანს,-
ამდიდრებ და პოეზიის ენით ქარგავ.

წილად გერგო ავ ღრუბელთა გადადენა,
გვასაზრდოებს შენი ლოცვა, ცრემლთა დენა,
შენს საქმეებს - თავგანწირვას ყველა ხედავს,
დავიწყება დიად საქმეს არ ეგება.

ამ ჩვენს დროში, ისე ელავს შენი ლექსი,
მტერთა რისხვა შენელდა და ჩაიფერფლა,
ახლა ვხვდები "მეციხოვნეულ" - ამ ქარცეცხლში,
ეს რა დიდი უკვდავება გაგიჭედავს!..

მამა ამირან ამირანაშვილი

შემოქმედს

არავინ ვიცით ხვალ რა იქნება,
ხან მზე არის და ხან ცივი ქარი.
გავითავისეთ რომ ყოველი დღე,
შემოქმედისგან გვაქვს ნაჩუქარი.

ყველა არსება, ფრინველ-ცხოველი,
წყალში ცურავს თუ დაფრინავს ცაში,
რადგან რიჟრაჟი ყველას გვახარებს,
მადლობის ნიშნად შემოვკრათ ტაში.

ყველა სულდგმული ქედს ვუხრით უფალს,
რომ გაგვითენა კიდევ დღე, ერთი,
უფლის საჩუქარს მდაბლად ვღებულობთ,
მზად ვართ ყოველმან ვადიდოთ ღმერთი.

მწვანე ბალახი დიდ ლურჯ მთებამდე,
მზის სხივებს ეტრფის იყოს ნათელი,
ადამიანი მიწიდან ცამდე,
იწვის და დნება როგორც სანთელი.

ღმერთმა გვიბოძა მზე და სიცოცხლე,
მადლობა ვუთხრათ ციური მზისთვის,
მწისთვის, წყლისთვის,მთებისთვის, ზღვისთვის
და ყოველი დღის გათენებისთვის...

მარათონი

მარათონს მართავს აქ ცბიერები,
დარახტულ ცხენებს აბამენ ეტლში...
პირსისხლიანი დაძრწიან მგლები,
რომ ეს ქვეყანა ჩაიგდონ ხელში.

ბრბოთა ღრიალი ასკდება ზეცას,
ჭექა-ქუხილის ცეცხლი ედება.
მეხი გრიალით აცხრება მიწას,
ნაცარტუტედ ქმნის, რასაც ეცემა.

გუგუნებს ზეცა, გრგვინავს სამყარო,
და გამძვინვარდა უფრორე თქეში,
თავშესაფარში ვაფარებთ თავებს,
რომ არ დავიხრჩვეთ ამ ჯოჯოხეთში.

უფალი მყისვე შეწყვეტს მარათონს,
მზე გამოდგება მწვერვალებიდან
და დედამიწას ისე გაათბობს,
ვით ჩვილი თბება დედის მკერდიდან.

შავი ღრუბლები გაიფანტება,
გადაამწვანებს მთასა და მდელოს,
გაჩახჩახებულ უფლის დარბაზში,
მზე გააბრწყინებს ჩვენ საქართველოს!

მადლობა ღმერთო!

უფლის საფლავზე ვილოცე გულით,
ცეცხლის გამოსვლაც გავიზიარე...
ჩემი ქვეყანა ღმერთს შევავედრე
ღმერთო! სამშობლო გამიმთლიანე.

ახლა სავსე ვარ უფლის წყალობით,
ღვთისმშობლითა და წმინდა ნინოთი,
მეფე დავითი, მეფე თამარი,
მათი მადლით და მათი მირონით.

გამთეთრებია თმები ლოცვაში,
ვლოცულობ გულით, სრული არსებით,
ვემსახურები უთბილეს ქრისტეს,
დაუზოგავი თავგამოდებით.

სამოცდათხუთმეტს გადავაბიჯე,
კვლავაც გუგუნებს ჩემი წირვები
ჩხარელი ბაბუ მედგრად დავდივარ
და ჩემ სიბერეს ჯერ არ ვნებდები.

მადლობა გულო უბერებელო,
მადლობა სულო გაუტეხელო,
მადლობა ჩემო ორთავ ხელებო,
სიკეთისა და მადლის მთესველო!

ლამზირა შეყილაძე

*

როდესაც სული დატოვებს ჭურჭელს
რაც დავიბადე მას შემდეგ ვომობ,
მას შემდეგ სული მიჭირავს კბილით,
მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლით მავსებს,
მზე, რომ შემოდის სარკმელში დილით.
წუთისოფელში დავბორიალებ,
ცრუ ცხოვრებაში დავეძებ სიბრძნეს...
დადუმებული უხმოდ ვღრიალებ,
დრო, ჩემი ტანჯვით, გულს ლხენით ივსებს...
შეუსვენებლივ ტრიალებს მუდამ,
"ამ წუთისოფლის ჟამსაბრუნავი"...
არ დამელია ცისა და მიწის,
საჭირბოროტო დღის საზრუნავი.
მაინც რა არის ჩემი სიცოცხლე,
წამით მოსული, წამით ვთავდები...
როდესაც სული დატოვებს ჭურჭელს,
ცის საუფლოში დავიბადები.

გამოწრთობილი შენი კალამი

ალაზნის პირზე სუფრას გაშლი და
ამოაკვნესებ გულიდან ლექსებს.
შეზარხოშდება ლურჯი ზეცა და
შეაბარბაცებს სიმთვრალე ვერხვებს.
რომ საქართველოს უმღერო ლექსით,
სულაც არაა ეს შენთვის რთული.
დაგწვან, აღსდგები შენ ისევ ფერფლით,
კვლავ ამღერდება სიცოცხლით გული.
გადმოანათებს მწვერვალებიდან,
ლექსი უებრო გულიდან თქმული,
გადმოეშვება მწვანე მთებიდან,
წყაროს წყალივით ცისკრის ნაჟური.
ღმერთმა დაგლოცოს, დაგლოცოს ცამან,
შუქით აივსოს შენი სავალი.
სამშობლოს ლექსით უმღერებ კვლავაც
გამოწრთობილი შენი კალამი.

ცოდვის სიმძიმე

უკვდავებაში ვიყავით ადრე,
თავად გავსინჯეთ სიკვდილის გემო...
აკრძალულ ხილით ჩავიტკბეთ წამი,
ამიტომ მოკლე სიცოცხლე გვერგო.
ადამიანთა მოდგმა რთულია,
თავისუფლებით ვართ შეპყრობილი,
ვერ შევიმეცნეთ ცოდვის სიმძიმე,
ჟამთ-საწუთროში დავალთ ცოდვილი.
უფალმა რადგან ვერ გაგვიმეტა,
დრო მოგვაკუთნა მრავალ გამოცდის,
ადამს და ევას შერცხვათ სიშიშვლის,
მას შემდეგ გვმოსავს ტანისამოსი.
როცა იესო მეორედ მოვა,
მაშინ დადგება განკითხვის ჟამი,
ყველა ქართულად ამეტყველდება,
ახმაურდება სამრეკლოს ზარი.
ზე-ყანასა და ქვეყანას შუა
სიბრძნით გრძნეული ბეწვის ხიდია...
კვლავ უკვდავების ღერძზე ვტრიალებთ,
ღმერთის წყალობა დიდზე დიდია.

ყოფნა არყოფნა

რა სასტიკია... მღვრიე ცხოვრება,
ვაი-ვიშობის დიდი ფერხული.
მორჩა ამ ქვეყნის შეუვალობა,
ყოფნა-არყოფნა ჯოჯოხეთური.
შავი აჩრდილი დგას ჩემს წინაშე,
და ჩქარობს ჩემი შენდობის შესმას.
სხეული გდია დედამიწაზე,
სული წყურვილით შეჰყურებს ზეცას.
სხეულს ათრთოლებს, ვით სიკვდილმისჯილს,
სულთან გაყრა და ფიქრი სამძიმო...
დაღლილ ქარივით მივყვები სიკვდილს,
სიცოცხლეს უნდა მივუსამძიმრო.

თენგიზ ფანცულაია

სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ

„სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ“
სიზმარშია თუ ცხადშია,
მწარედ გულსა მტკენს, რაც ხდება,
დავალ ცრემლების ღვრაშია.

ჩვენი დაქცევის მოსურნე,
მტერი მომდგარა კარშია,
სულ გადაგვკიდეს ერთმანეთს,
გაგვხვიეს მწარე შარშია.

სენიც მოგვადგა ბოროტი,
ვართ წასულების თვლაშია,
გაგვაწამა და გვატირებს,
ბევრი დაგვიდის თალხშია,

დედაბოძები გავრეკეთ,
აზია-ევროპაშია,
და მათი გამოგზავნილი,
ბევრია მწვანეს თვლაშია.

ფარისევლები დადიან,
ეკლესია და ხატშია,
ინდულგენციით მოირგო
მკვლელმა მოწამის არშია.

არვის არ უნდა მსახური,
საზღვრის დამცველად, ჯარშია,
ქლესა გვიჩაგრავს მეომარს,
ჩაწყობა-მარიფათშია.

თხოვნა მაქვს. „ძოპიროსები“,
არ შემოუშვათ კარშია,
არაფრით არ დააყენოთ,
ქვეყნის დამცველთა თავშია.

სამშობლოსათვის იბრძოლე,
ავდარშია თუ დარშია,
ძალა არ გამოგლეოდეს,
მუხლსა და კიდევ მკლავშია.

პატივი ეცით მშრომელებს
ცნობილებს ოფლის ღვრაშია,
ხალისიანი მენახოს,
ქართველი მარნის კარშია.

არ დაეჩაგროს არავის,
ქართველი ჭკვა და ხმალშია,
კაცი იბრძოდეს, დიაცი,
ერთგულად ჰყავდეს მხარშია.

მოძმეთა დასახმარებლად,
ერთურთს ვასწრებდეთ გზაშია,
გამრავლებული მენახოთ,
ქართველნო ფუძე-გვარშია.

გამოიღვიძეთ, გეყოფათ,
გამოიხედეთ თვალშია,
გადავშენდებით იცოდეთ,
სხვის ყურება და ცდაშია.

მოდით ერთმანეთს ალალად,
დავუდგეთ ძმებო მხარშია,
კატარღით გავისეირნოთ,
რიწის უცივეს ტბაშია.

არ დავივიწყოთ ყელის ტბა,
ევროპის,რომ დგას თავშია,
მასაც ვესტუმროთ ლაშქრობით,
წმინდა ქსნის ხეობაშია.

მუდამ შენ სახელს ვბუტბუტებ,
სიზმარში ვარ თუ ცხადშია,
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,
გაბრწყინდეს მომავალშია.

პ.ს:
ლექსად ვბუტბუტებ, გაფხიზლებთ,
ჩავარდნილი ვარ ფიქრშია,
თქვენ კი სანამდე იქნებით,
კოტრიალი და ძილშია.

აღარ დაიმძიმოთ სული

უფრო მძიმე არის სული,
ვიდრე კაცს დააქვს სხეული,
და ამიტომ ერთისათვის,
ტარებაა მეტად რთული.

ეს ცხოვრება ყველამ იცით,
რარიგ არის დაძაბული,
ინტრიგებით დაბლანდული,
ცოდვებით დამძიმებული.

ცუდი ქცევით შებღალული,
ბნელი სენით გათანგული,
ბევრია საქმის ორგული,
ან ეშმას მახეს გაბმული.

მოღალატე და ორგული,
ბინძურ ვნებით მომართული,
ამიტომაც კაცის სული,
მეტად არის დატვირთული.

ხოდა, სანამ ცოცხლები ვართ,
სანამ პირში გვიდგას სული,
დავეხმაროთ და ვატაროთ,
ყველამ ერთმანეთის სული.

თქვენ ჩემი და მე კი თქვენი,
მე სხვისი და იმ სხვამ სხვისი,
შევუმსუბუქოთ ერთმანეთს,
სული ნაბოძები ღვთისი.

როცა გულს გვტკენს მეგობარი,
გარდაცვლილი და წასული,
ამის შემდეგ, რომ არ დავრჩეთ,
ობოლი და მარტოსული.

მოუხშირეთ მოფერებას,
რასაც შველის თბილი გული,
გავამხნევოთ წაქცეული,
და გავხადოთ გაბედული.

თანამოძმის შეშველებას,
არ უჩანდეს დასასრული,
თქვენს გულებში დამენახოს,
მუდამ თბილი გაზაფხული.

განიშორეთ სიძულვილი,
დაგამძიმებთ ბოღმა-შური,
მეტი აფრქვიეთ ღიმილი,
გადნეს გული გაყინული

პ.ს:
ამიტომაც სითბო თესეთ,
აღარ დაიმძიმოთ სული,
გვარიგებდა ჩვენ მწერალი,
დიდ გურულად წოდებული.

ჩემებურად, ლექსად ვცადე,
მეთქვა, რა მძიმეა სული,
თქვენ განსაჯეთ მეგობრებო,
სწორად თუ მაქვს გაგებული.

ჩვენი ცხოვრება მშვენიერია, თუკი სამშობლო ბედნიერია

თვალი წავკარი, ამოვიკითხე,
„ცხოვრება ჩვენი მშვენიერია“,
მუზა უმალვე ჩემთან მოფრინდა,
თემა ვნახე და დასაწერია.

როცა გლეხკაცი ღონიერია,
და მოსავალი ხვავრიელია,
სოფელში ბოლავს ბუხარ-კერია,
და მაგიდაზე არ დევს მტვერია.

როცა ორგული გვყავს სამხელია,
მოღალატე კი დასასჯელია,
როცა მომხვდური გასადენია,
დამარცხებული რომ
გვყავს მტერია.

როცა მმართველი გონიერია,
მამულის მცველი კი ძლიერია,
ქართველის გული უდრეკელია
და მუხლი მისი ჩაუხრელია.

როცა შვილები განათლებული,
ზრდილობით სავსე, ნიჭიერია,
როცა უფროსი დაფასებული,
მშობელი შვილის მადლიერია.

როცა იზრდება ახალგაზრდები,
მშენებელი თუ ინჟინერია,
მოდის თაობა საქმიანი და
მათ ასახელონ უნდა ერია.

როცა სატრფოსკენ
მიგირბის გული,
და პაემანზე წასასვლელია,
როცა იფეთქებს
გულს სიყვარული,
იცით ცხოვრება მშვენიერია.

როცა ოჯახში მუდამ გელიან,
და გამართული არის კერია,
როცა მშრომელი მიღებული და
პატივში არის მეცნიერია.

როცა საზღვარი ურყეველია,
აღდგენილი და უკვე მთელია,
როცა ჩაკრულოს
ლაღად მღერიან,
მაშინ ცხოვრება მშვენიერია.

როცა ოჯახი შესაქმნელია,
როცა ქორწილში მოსალხენია,
განწყობა მაშინ შესაფერია,
და პატარძალი მოსაფერია.

თუ გაიძეძგა წელს ბეღელია,
ბარაქიანი დადგა რთველია,
ვიყოთ უფალის მადლიერია,
ერთად შევძახოთ:
„დელი დელია“.

როცა ფასდება წესიერია,
არ გვეყოლება ჩვენ მშიერია,
როცა მორალი სულიერია,
იქ სიყვარული მუდამ წრფელია.

ღმერთო გვაშორე მანკიერია,
ქართველის ქცევა უდიერია,
ძალა მომეცი შემოვიკრიბო,
მეინახენი სანატრელია.

როცა მმართველი გონიერია,
როცა სოფელი ღონიერია,
როცა ერთი გვყავს
ძმებო მტერია,
მაშინ ქართველი უძლეველია.

ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება
და ამიყვავე ქართველთ ერია,
ჩვენი ცხოვრება მშვენიერია,
როცა სამშობლო ბედნიერია.

პ.ს:
დღეს მაპატიეთ ეს მისტერია,
უფრო ცუდებიც დამიწერია,
უბრალოდ მართლა ბედნიერია,
თუ ერთად დადგა მთელი ერია.

ეთერ ისაკაძე

გერგეთი

ან რა ცაა, ან რა მიწა,
რა ყვავილი, რა მყინვარი,
ცის ტატნობზე არწივთ ბუდე,
კლდეზე სვავნი მოყივარნი!
ხან ცხრათვალა მზე ანათებს,
ხანაც ციდან ისმის გვრგვინვა,
მომლოცველთა დასი გალობს,
ღვთის წყალობა მოევლინა!
ოთხთა კუთხეს ლოცავს ჯვარი,
თვით სამება გვიხმობს წმინდა,
რაც აქ მადლი შენახულა,
ყველამ იღეთ გულით მინდა!

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები!
ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ მორცხვად თავი,
გვეხვეწება - დამკრიფეთო ჩქარა, მიდი...
პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა!
ეს რა თავბრუ დაგვახვია ღმერთო ჩემო,
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

მე ვით ვწერო

მე ვით ვწერო, გავისარჯო,
რა უნდა ვთქვა ჯერ ართქმული,
რა სიტყვები მოვიძიო,
ზეპირი თუ წაკითხული?!
ერში კარგ მთქმელს რა გამოლევს,
უჰ, იმდენი დაიწერა,
ნიჭიერი პოეტების
ქვეყნადაა უხვი ცვენა!
ჩემს სამშობლოს, შენსას, მისას,
ხოტბას ვასხამთ ყოველ კუთხით,
წინაპარნი საგმირონნი,
ვით შევამკო, რომელ ნუსხით?!
ენა ტკბილი, ანი - ჰოე,
ხელნაწერი - კალმით, ლურსმნით,
ხელთუქმნელი საოცრება,
დაუთვლელი ვაზის კურცხლით!
ველ - ზურმუხტნი, მყინვარწვერნი,
მოხატულნი მხატვრის ფუნჯით,
სანცვიფრელნი მიწა - წყალნი,
თავმდაბალი, რჩეულ გურჯით!
გვგლიჯეს, დაგვწვეს, გვაწიოკეს,
იავარგვქმნეს, მონად გვყიდეს,
არ დაგვინდეს ცის ქვეშეთში,
აღუწერელ წესით გვსჯიდნენ!
ქრისტეს რწმენით გავიმარჯვეთ,
დედა ღვთისას ლოცვა ვიმკეთ,
ათასწლეულ ვაზის ლერწმით
ნინოს ჯვარი წინ წარვიძღვეთ!
დღესაც მოდის ოკუპანტი,
თვალწინ ხლართით გვაგლეჯს მიწებს,
ვერ გადუვა, არ შერჩება
მამა ღმერთის განსჯას, რისხვებს!
საითკენაც გაიხედავ
ცად აჭრილი ჯვარი გვიმზერს,
გეშინოდეთ ყველას უფლის,
სიყვარულით ერთად ვიდგეთ!

მლეთა

შემომეფეთა ალპებში,
ულამაზესი ასული,
იქით ლომისა მოსჩანდა,
გადაგვეშალა წარსული!
ზღვა იყო - უკიდეგანო,
ჰყვაოდა ირგვლივ ყოილი,
ხევის შვილების მომრთველი,
ბარის არ იყო დობილი!
ვეროდეს წარმოვიდგენდი,
გავშრი, გავშეშდი წამიერ,
,,არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,"
მის დამწერს, მრავალჟამიერ!
სალი კლდეები მეფურად,
დგანან არწივის ბუდედა,
იქით გერგეთი მფარველობს,
ვერვინ გახედავს მრუდედა!
აქეთ, ლომისის სალოცავს,
აუუ, რა მადლი ჰქონია,
ამგვარი ძალის მოცემა,
მე არსად გამიგონია!
...გოგო ვიხილე წერწეტი,
კისერზე ჯაჭვი ეხვია,
ღვარად გადმოსდის ცრემლები,
თავადის ქალის სეხნია!
ზოგისთვის მძიმე საოცრად,
ზოგსაც გიშერი ებნია,
იწონებაო ცოდვები,
აქ არა სჭრიდა ხერხია!
რკინის ქალამნებს შევეხე,
ნეტავ რა ხელმა აკეთა,
დრომ ვერაფერი დააკლო,
დარჩა წარსულის სარკეთა!
...გახსენი პირი მიწისა,
იქ წვანან გმირი მამები,
ბორგავენ, ვერ ისვენებენ,
იქაც გვერდით აქვთ აბჯრები!
მათ გულზე ხარობს გვირილა,
ულამაზესი, სპეტაკი,
ვინაც ღალატი გაივლოს,
ეხუროს ქალის ლეჩაქი!
წმინდა მამები დღედაღამ,
დარიანში თუ ავდარში,
ახლოს არიან უფალთან,
ათენ - აღამებს საყდარში!
აი, რამ გადაგვარჩინა,
ვინ მოგვიყვანა აქამდის,
ხევის შვილები მტერს ხმალით,
ფეხით მისდევდა სახლამდის!
... ისმის გალობა მთის წვერზე,
ხან წვიმს, ხან მზე და ნისლია,
ამ საოცრების მხილველი,
გაგვხადოს ღმერთმა ღირსია!

სამების მთებში დაქროდა სიო

მე შევიმოსე
ნეტარი სხივით
და უთეთრესმა
ნისლმა დამფარა,
მე არ ვიდექი...
ჰაერში თითქოს
ანგელოზებმა
ხელით მატარა!
მამაო პეტრე
მამკობს ლოცვებით,
მაყენებს მაღლა,
დიდ კორიფეზე,
მე არც კი ვიცი
რა ჰქვია ამას,
დავფრინავ სადღაც
ცის ჰორიზონტზე!
ჩემი ბაგენი
მე არ მეკუთვნის,
თითქოს- უფალი
ამბობს
ჩემს სათქმელს,
აქ აფასებენ
მშობლიურ კუთხეს,
ჩემს ნამოღვაწარს,
ნაწერს, ჩემს საქმეს!
დიდი პოეტის
მუზეუმს ათბობს,
ტკბილი სიტყვები
გმირ პოეტების,
ქალბატონები
გულში მიკრავენ,
მუზას შერწყმია
ხმა ,,სონეტების''!
ჩოხოსან ვაჟკაცს
უჭრის სიტყვა და
სულხანის სისხლი
ძარღვებს ამჩნია,
გაშალეთ დროშა
მეფე თამარის,
კვლავ იტყვის
სათქმელს
დიდი ვარძია!
,,ოჰოი ნანა''
ბიჭმა იკითხა...
უთამაშებდა -
ძარღვები სხეულს,
ისე იკითხა,
ისე იკითხა,
შესძრავდა -
ცხრა მთას
ბუმბერაზს,
გრძნეულს!
ისმოდა
ხვეწნა - მუდარა
კაცის,
ოთხმოცი წელი
მოაქვს ბეჭებით,
გემუდარებით
შეუნდეთ ერთურთს,
თავს ნუ გაუტეხთ
ქვებით, კეტებით!...
სამების მთებში
დაჰქროდა სიო
და, შრიალებდა
გაღმა ვერხვები,
ასეთ საღამოს
გამართვის შემდეგ
ხალხნო -
აროდეს
არ დავბერდები!

ჰერეთის კარი

შემორჩენია ჟამთა სვლას აბრა
,,ჰერეთის კარი,"
მაგრამ სადღაა ნეტა ჰერეთი?!
მიტაცებული მუსლიმთა მიერ,
მიწა იბერთა გაპოხებული
წინაპართ ძვლებით,
ირგვლივ - ოაზის
თვალწარმტაც მთებით!
კაკლის ხეივანს მიყვები უბრად,
არ არის სიტყვა უფრო ქართული,
რა ვუთხრა იმას, რა ვუთხრა იმას,
ვინაც არა ჰქმნა საქმე კაცური
და, დაუტოვა შთამომავლობას,
,,ინგილოები'' ამოშანთული!
მამულიშვილნი ცრემლშეუშრობნი,
საქართველოსთვის ნაცემ-ნაგვემნი,
რომელი მცნებით შესცოდეს უფალს,
რად გაიწირნენ ნაღდი ქართველნი?!
...,,არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას ეტყოდა,“
ნეტავ სად არის უნეტარესი,
ან ქართლის დედა
მტერს რომ ებრძოდა?!
თავჩაჩეჩქვილი ვნახე ქურმუხი,
ალაზნის ველი ბორგავს მდუმარედ,
თავს წამომდგარი ვეება ლოდი,
გაშტერებული, მდგომი მწუხარედ!
...დგას მოლოდინში დიდი ტაძარი,
გასცქერის მომსვლელს:
მტერს და მოყვარეს,
ვინ რუდუნებით აუნთებს სანთელს,
ვინ ამოჩიჩქნის კედლებს და კანდელს!
გაუფატრიათ, ამოუცლიათ
თუ სასიცოცხლო რაც რამ ებადა,
ამას ცხოველიც არ ჩაიდენდა,
ადამიანმა როგორ იკადრა?!
ვუვლით გარშემო, ვავედრებთ ჩვენს სულს,
ვგრძნობთ ანგელოზთა დასი გრიალებს,
რამდენს გაუძლო წმინდა გიორგიმ,
რამდენ ქარტეხილს, შტორმს და გრიგალებს!
კვლავ ვანთებთ სანთელს უძველეს ქვაზე,
ჩვენს წინაპართა კვალი ატყვია,
ვტოვებ სალოცავს უსიერ ტყეში,
ტაძრის გუმბათზე მერცხლის ბარტყია!
გვიმზერს ტაძარი, გული მიკვდება,
ვტოვებ მრევლის და მამის გარეშე,
მივიხედე და ოო საოცრებავ, მთა მოეფარა
დროა დავეშვე!
...ჩვენ ყველას ვუღებთ გულს და უბის კარს,
რამდენი რჯული შეგვიფარია,
შენ დაიფარე საინგილოში,
ყველა ქართველი - მზეო მარიამ!

პრომეთეს მღვიმისა და ბაგრატის მოლოცვის შემდეგ

აი თურმე,
რად ,,ბლატაობს''
იმერელი,
,,სიმონ, სიმონ''
გაიძახის
დღე და ღამე,
დგას ბაგრატი,
გელათი და
მოწამეთა,
იაკობო,
რად გაყუჩდი
მითხარ რამე?!
მიწის ზევით
თვალდანახულს
სად წაუხვალ,
მიწის ქვევით
რა ჰქონიათ
შენც ხომ ნახე,
აი, წყვილებს
ელოდება
იმ მთის
ქიმზე,
ნაზიბროლას,
ამირანის,
,,მოდი ნახე!"
აქ სხვა მადლი,
სხვა ეშხია
იმერული,
საოცრებებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ წუთში,
სათაფლია,
დინოზავრის
ნაკვალევი,
საოცრების
საოცრება,
მიწის
გულში!
წყალტუბოში
მიწის ქვეშეთს
,,დავიშოკეთ,"
იმ მღვიმეში
გავათიო
მინდა ღამე,
აქ პრომეთე
არაფერ არ
შუაშია,
სასწაულებს
ღმერთი
გვჩუქნის
ყოველ
ღამე!
გაზაფხულზე
გულს გადაშლის
საპოვნელა,
საწერეთლოს
დაუდგება
წინა რამე?!
ამ მხარეში
არხევს სიო
იასამანს,
გალაკტიონს
უწერია
,,მე და ღამე!"

მანანა სამყურაშვილი

მე ამ დალოცვილ მიწიდან, თიხისგან ვიშვი...

მე მარიამის დალოცვილი მიწიდან ვიშვი,
თვით უფლისგან მაქვს ამ მიწაზე სავალი საშვი.
სულს ვერ ჩააქრობთ, მე ღმერთებმა მარგუნეს ჯიში,
კურთხეულ მიწის შვილი ვარ და არა მაქვს შიში.

ხატად შექმნილი საქართველო დამილოცეს და
უფლის ხელთქმნილი სალოცავად დამიდგეს ნიში.
ვერ მოვდუნდები მე მარიამის გაზრდილი შვილი,
აყალო მიწის ქანდაკება ვარ, ღმერთსაა აქვს წვლილი.

ძარღვებში როცა აჩუხჩუხდა ქართველის სისხლი,
ამ მიწის გულზე მე გავიდგი ჯანსაღი ფესვი.
ბედისმწერელმა სამად სამი დამწერა სიტყვა
და სწორედ მაშინ უკვდავების სასმისი შევსვი.

ვერა სულდგმული ვერ ჩამიკლავს ამ ლამაზ რწმენას,
ღმერთის გულიდან მისი შვილი ქართველად ვიშვი,
მე ქართველი ვარ,ძარღვებში ჩქეფს ქართული სისხლი
და ამ ღვთითნაქარგ სამოთხეში მაქვს, ღმერთების ჯიში!

გულში მინდა შეგიფარო საიმედოდ...

ჩემს მინდვრებში, მიმობნეულ გვირილებში,
დაგეძებდი, გეძახოდი, ქალავ, სად ხარ?!
გადამრიე, დამავიწყდა თავი სრულად,
დასევდილი გვირილები გეძახიან, სად ხარ!

ქარი ატყდა,მწვერვალ-მწვერვალ დაჯირითობს,
მისი რაშის ფლოქვის ცემას ვეღარ ვუძლებ!
არწივები საბუდრიდან წამოვშალე,
მათმა, ფრთები შემოგხვიონ, ვაიძულებ!...

სიყვარული, მხრებზე მინდა მოგახვიო,
მისი სითბო იგრძნო დღეს და მრავალჟამს!..
უგულობას ვერ ავიტან ქალავ, შენგან,
ნუთუ სითბო, სიყვარულის, არა გწამს?!

ახლა ერთსკი შემოგბედავ ცრემლიანი,
იქნებ ქარმა დაგიკოცნა ტუჩები!
რატომა ხარ დარცხვენილი, მიმალული,
ჩემთან მოსვლას, მითხარ რად ეურჩები?!

როგორც ყვავილს, ისე გეტრფი გაგიჟებით,
ქარს ვდარაჯობ შორს არ მოგიფრიალოს!...
გულში მინდა შეგიფარო საიმედოდ,
ჩემი გული, მხოლოდ შენ გეტრფიალოს!...

მტერს კი არა და მე კი მწყურია...

მე ჯერ დავლოცავ ჩემს დედა მშობელს,
შემდეგ იმ ადგილს სადაც მივლია.
სადაც მრავალი სიხარული და
დარდებიც ბევრი გამომივლია.

სადაც აინთო მზის ჩირაღდანი,
სადაც ცის დარდი ცრემლად მაწვიმდა.
კავკასიონმა სადაც წარბები
ჩემს დანახვაზე ზეცად აზიდა!

სწორედ ის არის ჩემი სამშობლო,
ტახტზე ზის ვაზი, დედოფალია!
აქა ჩქეფს ღვინის მდინარეები
და მისით ამღერდა ეს სოფელია.

ყველა კუთხიდან ღვინის გზა მიდის,
სამზერად ო, რა საამურია. არ გამამტყუნოთ,
ქინძმარაულის სისხლის წვეთები,
მტერს კი არა და მე კი მწყურია!...

დევის სისხლივით მოსჩქეფს ქვევრიდან,
ისე დუღს როგორც ვენებში სისხლი!...
საზიარებლად, წმინდა ბარძიმში ჩამისხით!
ამ ღვინით მელის დღეს უფლის სახლი!...

სიკეთე ჩემი წესია

სიმდაბლით ვერ დამიწუნებთ,
ფეხთ გაგეგები იადა!...
არასდროს არ გამოვჩნდები
ავყიად, გულად ზვიადად...
უფლის შვილი ვარ, მას უსმენ,
მივიჩნევ სულის ზიარად.
გზად წინ მიმიძღვის უფალი,
სიტყვას არ გკადრებ შაირად...
ბილწმა რაც გინდა შემკადროს,
არ უსმენ არანაირად!...

სიკეთე ჩემი წესია, ადათად
მიდგას: სულში, გულში და ჯანშია.
არ ჩავიხედავ არასდროს, სხვის
სულში, არცა ჯამშია!...
ლუკმა არ მქონდეს? გესტუმრო!
არ გაგიბედავ, რომ მშია!...
მოგეხმარები ერთგულად,
გინდაც ლომების ომშია!...
ტოლად ვიქმნები ვაჟკაცის,
გოლიათების სწორშია!...

მორალს არავის უკითხავ,
ღმერთმა, ვინ რისთვის დაბადა.
ზოგს წუთი უღირს ოქროდ და
ზოგს კი არც თივის ჩალადა!...
ზოგი არწივს გავს, ცადა ფრენს,
ზოგს ლუკმა უჭირს ბარადა...
ზოგის ქონებას ვერ დათვლი,
ზოგს, ცარელი აქვს კარადა...
ზოგს შხამი თაფლად ერგება,
ზოგი თაფლს ირგებს შხამადა.

არწივი მთისა შვილია,
ხანაც დაფრინავს ბარადა!...
ვალში არავის დავრჩები,
განძს არ წავიღებ ვალადა...
ერთი მწამს მხოლოდ იცოდეთ,
ქრისტე მყავს ყველგან მცველადა!...
მთაში და ბარში თან დამაქვს
მე, სატრფიალო ხელადა!...
იას გადავფენ სალხენად
სუფრას გადგიშლი ველადა!...

მტერთა გასაოცრად...

ჩემი საქართველოს ყოველი კუთხე,
სისხლში გაცვლილი დანატოვარია.
გრემი და ვარძია, იყალთოს ნანგრევი,
წინაპართ სისხლით მონაპოვარია.

ასხიპეს, ამიჭრეს ვაზი ჯიშიანი,
დაწვეს და ანგრიეს ციხეთა ქონგური,
მტერთა გასაოცრად ომში ხმიაბედა,
მოუღლელ მარჯვენით ქართული ჩონგური.

ვერა და ვერ გაძღა ურჯულოს ამქარი,
ანგრევდა, აქცევდა კბილებსისხლიანი.
მაგრამ მტერთა ჯინზე მაინც მედგრად იდგა,
ბურთად აგორავეს თავი ჩალმიანი...

დედა საქართველომ სისხლით დანამული,
განძად დამიტოვა ენა და მამული.
როგორ არ ვადიდო გმირი წინაპრები,
თვით მეფე იყო ბრძოლაში ჩართული!

თვით მეფე დავითის ხმალი ელვარებდა,
მტრის გულზე ნალესი, ბასრი, ფუთიანი!
მხედართმთავრის ხელში წმინდა ფრიალებდა
გორგასლიანთ დროშა, დროშა ხუთჯვრიანი!

ტაძარ მონასტრების კედლებზე ღაღადებს
სამი დამწერლობით ასონი ქართული.
დიდ მგოსათ მგოსანს შოთას მოუქარგავს
ვეფხისტყაოსანი ნუსხურ - მესხურით.

ქართველთ პოეზიი კვარცხლბეკზე ანთია
ვეფხვის ტყავზე ქმნილი კრებული მესხური!
მისი მსგავსი განძი თვით მსოფლიოში
წიგნი არა ქმნილა როგორიც მესხური!

ოდეს საქართველოს განძი რომ გასტაცეს,
ბევრი უძებნიათ ვეფხის ტყაოსანი!
მტერი ვერ მიმხვდარა მესხეთის გორაზე
პოემას ძერწავდა შოთა, ოქროს კალმოსანი!

P. S.
გამუზეუმდა
კლდეზე ნაგები გრემი და ვარძია,
ხერთვიდის ციხეს მეფეთა სისხლი
მირონად აცხია.
საფარის მონასტრის გუმბათს ცვარიანს,
სისხლიანი ნაკვალევი დღემდე ატყვია!..

პატარა ქართველო! შვილო, მამულისავ!
ერთა იმედო და გზა ნათელო!
უნდა ადღეგრძელო სანამ ძალა შეგწევს, --
მკვდრეთით აღმსდგარი დედა საქართველ!

ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს...

ჯავახეთის მთათა ზეგან,
ქარი ნისლის ფარდას ხევდა!
მაშინ მცველად წმინდა ნინო,
ქრისტეს პერანგს იხვევდა!...
მოდიოდა, ვით ქალღმერთი,
ვაზის ჯვარი ხელთ მოჰქონდა!
საქართველოს გასანათლად
მირონი და ბზა მოჰქონთა!
ვაზის ჯვარი, თმით შეკრული,
გულზე სვეტად ეყუდა,
რა განგებამ დააჯერა, ქალი -
ჩვენს სახსნელად ილტვოდა,
კერპშეპყრობილ საქართველოს
ქრისტეს სიტყვას ეტყოდა!...
უფლის ხელით მოხატული,
ხატად იყო გზავნილი,
წმინდანების რჩევით, რწმენით,
ჩვენთვის გამოგზავნილი.
კერპნი, ბნელნი მოხოცა
და ქრისტეს გული ჩამიდგა!...
თვით ქალღმერთი, წმინდა ნინო,
ბოდბეს მცველად დამიდგა!...
მირონით და ვაზის ჯვარით,
სხვა თილისმა რად მინდა!
ქრისტეს რწმენით შეპყრობილი
ჯვარს გამაკრეს რამდენჯერ!
თან შორიდან მომძახიან,
ამ წამებას დავჯერდე!
ჰა, უფალო, როგორც შენ გსურს,
მეც ისე მსურს, დავბერდე!...
მოკრძალებულ თხოვნას ვბედავ:
ვარსკვლავივით გავბევრდე!...
ცის კიდიდან საქართველოს
ნათელ სხივებს ვაბნევდე!

ჩენს გულის ცაზე

გულში შენახულ უცხო თემებზე,
ამოუხსნელი კოსვორდი დამრჩა...
კალამს წვერი კი არ მოუცვდება,
მაგრამ ვატყობ, რომ მელანი დაშრა.
არ ვიცი რატომ, სიცოცხლის განცდა,
შეშინებულს გამიორმაგდა...
სულო, გაუძელ, გაუძელ ტკივილს,
თუ გვერდში მყოფი გაგიორგულდა!..
ალბათ მოედო ბაქტერია და
ტვინმა გონება დაუავადა...
ისე მაღელვებს წარსული წლები,
ტკივილით, გულმა, თქმაც კი გაბედა.
სიკეთე თესე, ასე არა სჯობს?!
სანამ სიკვდილი გაგვატიალებს!..
და ეს საწუთრო აბობოქრებულ,
დედამიწას, უკუღმა დაატრისლებს!
მე მახსოვს შენთან, ის სკოლის მერხი,
დღის სიმფონია ერთად რომ ვწერეთ...
ბავშურ ნახატებს, ფლომასტერებით,
პატარა ხელით, ფერები-ვფერეთ...
ერთად ვმღეროდით საწყალ კურდღელზე,
ბავშობა გაქრა, და დროც გაყვითლდა.
ჭრელმა პეპელამ ფრთები გაშალა და,
დაჭრილ გულიდან შორს გადაფრინდა...
მე დღეს შენს ქცევას რომ გადავხედე,
ჟუჟუნა წვიმამ გული დანამა.
ჩემს გულის ცაზე, ამოუხსნელმა
შენმა ქცევამ, მოგონებები უკვე დაკალმა!..

შენ კი ვით ვარდი

სიზმრად ვიხილე წუხელის,
ათივე თითი კელაპტრად მენთო.
იღვენთებოდა სისხლის წვეთები,
სულით ვაქრობდი უფრო აენთო!..
რა ძალამ შეგგქმნა და რა დიდებამ,
შენთვის ვიწვოდი, შენთვის ვდნებოდი,
მინდოდა, მეთქვა სალაღობელი,
ცეცხლი მეკიდა, არა ვქრებოდი!..
შენ კი ვით ვარდი გადიფურჩქნე და
ამ წუთისოფლის ზღაპრად იქმოდი,
არცა დნებოდი არცა ჭკნებოდი,
მზედ ელვარებდი, არა ქრებოდი!
გაავებული ზეცად აჭრილი,
ციდან ნელ-ნელა ვიფერფლებოდი.
ხან წვიმის წვეთად, ხან კი ფიფქებად,
დედამიწის გულს ვეფერფლებოდი.
რა ძალა იყო და რა განგება,
ათივე თითი კელაპტრად მენთო!..
ტალზე ძლიერი ყოფილა გრძნობა,
სიყვარული რომ ცეცხლად აენთო!..

მირზა ვარძუკაშვილი

უსამართლოს გამმართლები...

მოღალატეს უნდა სცნობდეს,
მისი ჯიში მოდგმა გვარი.
ასეთთან ჭიქას ვინც აწევს?
ის კაცია შესაზარი.

მაგრამ არის ჩვენს მოდგმაში,
სად ძალა ბოდიშიც არის.
უსამართლოს გამმართლები,
მოღალატის არის მკვდარი.

არასოდეს უჭირს დროს დრო,
დრომ გაუღო ყველას კარი.
რასაც დათეს საღალატოს,
მას მოიმკი ჯვარის ძალით.

* * *

არ მიყვარხარო ეს როგორ ვთქვა შენ ჩემო მტერო,
უსიყვარულოდ გამოვდივარ მეც შენნაირი.
მე რომ მიყვარხარ იმიტომაც მტერი ვერ მძლეობს,
სიყვარულში ვარ სიყვარულით შენზე ძლიერი.

შენ მორიდებულს გაგიმხელდი...

ეჰ ის დრო არის ვიკვეცავდეთ მედა შენ ფრთებ ქვეშ,
გულს გაუმხელელ გადამალულ ჭეშმარიტებას.
თორემ დრო მოვა ჩვენ ამ ჟამის ვერას გავიგებთ,
ეს უთქმელობა ძველ წარსულში გაირინდება.

არ გვაპატიებს უგრძნობლობას მე და შენ ღმერთი,
ამ უთქმელობით გული ჩვენი ვერ დამშვიდდება.
სულ შფოთვა რითმა გულის სიტყვა გაუმხელელი,
ვით უკვდავება ჩვენ საფლავთან აღიღინდება.

ეჰ ის დრო არის ვიკვეცავდეთ ფრთით საფრენ ბუმბულს,
მიტომ რომ შევხვდეთ ქალწულების ჭეშმარიტებას.
შენ მორიდებულს გაგიმხელდი გულწრფელ სიყვარულს,
ერთმანერთით რომ შევცნობოდით ღვთის უკვდავებას.

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა...

გარდაცვალების საგალობელს ასრულებს წვიმა,
ტონს აძლევს ნისლი ვით მგალობელთ დიდი ლოტბარი.
ამ შუაღამეს აღმოხდება დღეს ბოლო გმინვა,
და მიიბარებს მის უკვდავ სულს მზე ცის მოძღვარი.

გაყურსულია ეს მიდამო სამყარო გლოვობს,
გარდაცვლილ ღამეს თავს უნთია მთვარე კელაპტრად.
სულთა თანაო წვიმის ისმის გალობა მხოლოდ,
ღამის სასახლეს ვარსკვლავები ზეწარად აკრავს.

კლდენიც დამდგარან დროს ელიან გამოსვენების,
უნდა უმარჯვონ თენებამდე ღამის დაკრძალვას.
ნელ ნელა წყდება წვიმის წვეთთა საგალობელი,
და მკვდარი ღამეც სულით იწყებს მზისკენ აღმასვლას.

გაუკუღმართდა ცხოვრება...

გაუკუღმართდა ცხოვრება,
სხვა სხვის დარდს აღარ კითხულობს.
ველით ფეხ ვისმე დაუცდეს,
ერთმანერთს ვსაფრობთ უგულოდ.

ხელის მომწვდელსაც ეჭვით ვჭვრეტთ,
ამას რაღაც სურს უთუოდ.
გაგვაბეჩავა შობილნი,
ყოფიერებამ სულ უღვთოდ.

სვის სიხარულზეც მას ვფიქრობთ,
ნეტა უხარის თუ ცრუობს.
ცხოვრება უკუღმართობს თუ,
თავად ჩვენ გავხდით უსულო?

მე ვფიქრობ თავად ვიქეცით,
ამპარტავნები უკუდო.
ყველა ზეცისკენ ვესწრაფვით,
შინაგანით კი ვჯურღმულობთ.

იქნებ შენ წიგნში მახილვა...

წერა არც შენ გეზარება,
ბედ იღბლის წერა მწერელო.
ვქმნით პოეზიას შენ პროზას,
კაცთ ყოფის სტამბით მბეჭდველო.

ყოფას ზოგს აძლევ მართლაცდა,
ქვეყნად ტომებში სამწერლოდ.
კიდეც სწერ ცოცხლად ამაყად,
წუთ სოფლის თვალწინ საქვეყნოდ.

მე კი ვჯახირობ ამქვეყნად,
შენსასვე ვხმარობ სამელნოს.
იქნებ შენ წიგნში მახილვა,
მეც უკვდავების სამეფო..

ჩემო სამშობლოვ...

ჩემო სამშობლოვ შიშმა შეგიბყრო,
იმედის თვალშიც რა გეხედება.
ცხოვრობ წარსულით არ გწყალობთ აწმყოთ,
და მომავალიც ვერას გპირდება.

გაავდა ჟამი დაუნდობელი,
მშობლის სხეულით შვილნი ვაჭრობენ.
განლაღებულნი წუთის სოფელით,
დარდსა და ვარამს დედის არ გრძნობენ.

ვგონებ კი არა მჯერავს დრო მოვა,
წმინდანნი ალბათ შუბებს აწრთობენ.
აღგადგინებენ საფლავით ცოცხლად,
შენ საქართველოვ ქართველთ სამოთხევ.

მოკვდავთ უკვდავმა მოგვხედე ღმერთო...

გასაოცარი დაგვიდგა ჟამი,
ყველას უფლებას თავისად ვჩემობთ.
თავის უფლების დავკარგეთ არსი,
სულ სხვათ ცხოვრების შევიტკბეთ გემო.

ძველ სამოსს ვიხდით მაშინ როდესაც,
ვერ მიგვიგნია სხვა სამოსლისთვის.
რაც არ გვერგება ტანთ ყველას ვიცვამთ,
გავიიოლეთ გზა საძოვრისთვის.

ვითომ დრო არის შეუსაბამო?
თუ დროს ველოდით ასეთს რა ვიცი?
თავის უფლებას თავად უარვყოფთ,
ყველას უფლებით შესაბამისით.

გასაოცარი დაგვიდგა ჟამი,
მრავალთ უფლებით დავკარგეთ ჩერო.
თავისუფლება ვერ უკვდავყავით,
მოკვდავთ უკვდავმა მოგვხედე ღმერთო.

თვის სადიდებლად...

თვის სადიდებლად ნაკეთები საქმე ყოველი,
როგორაც მკვდარი ცხარე ცრემლით სატირალია.
კლდეც სიამაყით დედამიწას ზედ გადმომცქერი,
ბუნებრიობით როგორც მკვდარი ტანით შლადია.

თუ გონებაში აზრი გაჩნდა აი რა ვქენი,
ეს გულქვაობის უღმერთობის საწინდარია.
საქმე კეთილი უნდა იყოს როგორც ჟანგბადი,
ვით ველზე ღამით მონაბერი ყრუვი ქარია.

არ იფიქრო რომ....

არ იფიქრო რომ დამტოვო მარტო,
ჩემ ფიქრებში ისევე ხარ ჩემთან,
კი დამტოვე შენ სიკვდილთან ახლო,
მე სიყვარულს შენს მივიტან ღმერთთან.

ეჰ წავიდა ის დროება ფართო,
თვითონ წახვე მე დამტოვე კენტად.
ახლა თითქოს არც არაფერს ვდარდობ,
მაინც ვნატრობ შენ სიყვარულს ნეტარს.

ის ჩაბარდა ის დრო ჟამი წარსულს,
რომ ვფიქრობდით სიყვარულზე ერთად.
მე მოგდევდი სასიკვდილო ასულს,
გიგულებდი გულწრფელობით ჩემთან.

არა თურმე სად ვამერცხლე ბარტყი,
ვუგალობდი ჩემ ჩამოშლილ ბუდეს.
თუ გატყდები დილით არა ღამით,
ისე მომკალ რომ ჩემი სხვას შურდეს.

ნუ იფიქრებ რომ დაგტოვე მარტო,
არ გიყვარდი მე მიყვარხარ ისევ.
წრფელ გრძნობასთან ვერ გაივლი ახლოს,
მე გულს ისევ შენით ტრფობა მივსებს.

თვითონ გეძებდი....,

თვითონ გეძებდი აღმოგაჩინე,
მომკალ და ჩემშიც მოკალი ღმერთი.
მე კი სიკვდილთან არ მიგატოვე,
ახლაც მიყვარხარ მხოლოდ შენ ერთი.

შენ არ მეძებდი ალბათ ვფიცავარ,
გულს გარეთ გყავდი ვიბრძოდი შენთვის.
მე ვიცი ახლა შენ არც გიყვარვარ,
უმადურს გული გიბოძე წრფელი.

თვითონ გეძებდი ან რატო ნეტავ,
რად დავიჩაგრე ეს გული ჩემი.
თითქმის არცარას ვჩივი ა ეხლა.
მეჩვევა დროში სიკვდილი მწველი.

რა დავაშავე ნეტავი ღმერთო,
დედამიწისთვის რა ავი ვქენი.
ახლა ვარ ისევ სიკვდილთან ახლო,
მე შენგნით მკვდარი ისევ ვარ შენი.

ზღვა აზვირთული...

ზღვა აზვირთული ტალღებით ღელავს,
ქარი ქრის ნეტა როგორ იცოდე.
შენ მიუყვები იმ ნაპირს ნელა,
ვფიქრობ დახრჩობა უნდა გინდოდეს.

შენ ვერც კი ამჩნევ მოგდევ ფიქრებში,
უსიყვარულოდ მე არ დაგტოვებ.
თავის დახრჩობას ნურც კი ეცდები,
სიკვდილთან მარტოს არ მიგატოვებ.

ებრძვის ტალღები ნერვებს დაწყვეტილს,
შენ არ გაშინებს ეს სიმარტოვე.
უზიხარ ნაპირს გულდაწყვეტილი,
მე კი მკლავს ყოფნა შენ სიახლოვეს.

ზღვა აზვირთული ტალღებით ანცობს,
უზიხარ ნაპირს როგორც მედროვე.
რას ფიქრობ ქალო უსიხარულოდ,
მე სიყვარული მაინც მადროვე.

დამიწყდნენ...,

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ სტირიან სატირალს.
ფურცლებსაც ვხევ და ძირსა ვყრი,
ვცდები სტროფების ნასუფრალს.

ვთქვი ვფიქრობ ბევრის ტკივილი,
რაც რამ მივიღე თავისად.
დასასრული აქვს ეს ვიცი,
ყოველი კაცის ნაფიქრალს.

მეშლება სიტყვა პასუხიც,
ნურავინ მიწყენთ ამის თქმას.
ალბათ დავბერდი რა ვიცი,
ვიქეც მოხუცი ძაღლის ყბად.

დამიწყდნენ მელნის ცრემლები,
აღარ მაცლიან სიტყვის თქმას.
ფურცლებს ვხევ მოკვდავთ ძირსა ვყრი,
ვუზივარ ლექსთა სასთუმალს.

რამდენი კლდის ქიმს....

რამდენი კლდის ქიმს გადავეკიდე,
იღბალმა მაინც ცოცხლად დამტოვა.
არ ჩქარობს არა ჩემს წასვლას კიდე,
ბედთან ბრძოლაში განა მარტო ვარ.

მე ვარ და არის ზეცა მზიანი,
მზის იქით სულთან ღმერთი ახლოა.
სიყვარული მაქვს გულში ზვიადი,
და სასიცოცხლოდ ძე ღვის წყალობა.

* * *

რადა მკლავ ნეტა ეს მითხარი ან რად მაჯერებ,
იმას რაც თვალით ყურთა სმენით არ გიხილვია,
არ გებრალები? ან ტყუილად თავს რად მაყვარებ?
ჩემი სიკვდილი სიცრუისთვის ხომ სირცხვილია.

* * *

მიტომ არა ვწერ ლექსს რომ მერქვას მე შემოქმედი,
ეს ჩემი სულის მხოლოდ არის მზის ჰარმონია.
შემოქმედთაგან ჭეშმარიტი მე ვიცი ღმერთი,
ეს ერთადერთი უკვდავება ასე მგონია.

მივალ მამასთან...

რამდენი ვცადე აღმართს შედგომა,
უკან მაბრუნებს წუთის სოფელი.
სიავით ცდილობს ფიქრის შემოსვას,
ვერ შემოსძარცვა გულს სამოსელი.

მივალ მაბრუნებს ქარები უკან,
მებრძვის ფანდებით თითქმის ყოველით.
ვერ დამაჩოქებს მაგრამ კი მტანჯავს,
სატანჯველებით მრავლის მთოველით.

ასავლელს მაინც ავივლი აღმართს,
მე ცხარე ცრემლით ცოდვის მგლოველი.
ტანს რაც მამძიმებს დავტოვებ მიწად.
მივალ მამასთან ერთი მლოცველი.

* * *

მიტომ არა ვწერ ლექსს რომ მერქვას მე შემოქმედი,
ეს ჩემი სულის მხოლოდ არის მზის ჰარმონია.
შემოქმედთაგან ჭეშმარიტი მე ვიცი ღმერთი,
ეს ერთადერთი უკვდავება ასე მგონია.

ეთერ ლობჟანიძე

გულნაზი

ჩემო რაჭა, ახლა მეტად მიყვარხარ,
ვერსად ვნახე, ქვეყნად შენი სადარი,
უჩვეულოდ მაღალი და სუფთა ხარ,
ზღაპარია შენი, კოხტა მთა -- ბარი.....
თოვლიანი მყინვარები მაღალი,
ბრწყინავს მზეზე, როგორც იაგუნდები,
სიცოცხლის და სიყვარულის არაკო,
რაჭავ ჩემო, სულს რა რიგად სჭირდები....
გადაშლილო გაფურჩქნილო ედემო,
მწვერვალებზე ზამთრის შემობიჯებავ,
სიკეთის და სილამაზის ზღაპარო,
გულს ვარსკვლავად, ანთებულო დიდებავ....
ჭიუხებზე მოწკრიალე სიმღერავ,
ირმების და ჯიხვ -- არჩვების აკვანო,
ორბების და არწივების დედაო,
ჩემი სუნთქვაც, რაჭავ შენ გენაცვალოს....
შენს მშვენებას, ვერ აღწერავს ვერავინ,
ნუ ეცდება, სულ ტყუილად დაშვრება,
უფლის ხელით, ფერებში ხარ ნახატი
სილამაზე, ზრაპრად თქმული დარჩება....

* * *

არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი,-
დასაბამიდან ებრძოდა მტერი,
ხან ჩნგიზ ხანებს, ხანაც ამირებს,
ხანაც სხვა ურდოს, ხვდებოდა ერი!
დასაბამიდან იბრძოდნენ თურმე
არა ჰქონიათ ცხოვრება მშვიდი,
მტერი ხან მცირე და ხან მრავალი,
სიკვდილის მახეს უგებდათ ფლიდი!
მოჰქონდათ სისხლი, ცრემლი და გმინვა,
ცას ჟრუანტელი უვლიდა მრუმე,
გვეცილებოდნენ მიწას და მთა-- ბარს,
სდევნიდნენ ხალხს და მიჰყავდათ თურმე!
კარიდან-- კარზე, ძრწოდა სიკდილი,
მჭახედ ისმოდა წკრიალი ხმალთა,
თავს შეაკლავდა ქართველი ურდოს,
და უბრძოლველად, არ ჰყრიდა ფარ- ხმალს!
რწმენით ხელთ ეპყრათ მათ ქრისტეს ჯვარი-
და მიწის მადლი ეფინათ გულზე,
ერთობით სძლევდნენ, ათასჯერ ურიცხვს,
მიწას ჭრილობებს უხვევდნენ სულზე!
ბევრი ქართელი ომში დაეცა,
გულზე ეწერათ როგორც კანონი,
როცა ცად ომის ღრუბელი ჰქროდა,
იბძოდნენ როგორც საარაკონი!
მინდორზე დასამულ ხმალს აქანებდა,
ცხენთა ჭიხვინი და თქარა-თქური,
იჟლიტებოდა მტერი ვერაგი,
კვლავ ბრწყინდებოდა, ქართული სული!
ჩვენთან ღმერთია, არ მიგვატოვებს,
და ვაჟკაცობაც მოგვდევს ძველთაგან,
ვიბრძოლებთ ბოლო ამოსუნთქვამდე,
მაინც დავიცავთ, მამულს მტერთაგან!

* * *

ვერა და ვერ დავწერე,
 მხიარული ლექსები,
სევდა აგორებული
კალმის წვერზე დნებოდა,
ვერ შევძელი მეცინა
როცა მეტირებოდა,
ვერც სიჩუმე შევძელი
როცა მეფიქრებოდა...
თუმც ძალიან მიყვარდა
სიცოცხლე და სილაღე,
რა ვქნა თუ კი არ მერგო
და არ იყო საჩემო,
სევდიანი დღეები
ნათლად როგორ ვაჩვენო?
დარდებს როგორ ვირჩევდი,
ჩემს სურვილზე რა იყო?
ვერც კი მივხვდი ნელ_ ნელა
სევდამ შორს რომ წამიღო...
გზა- გზა ჩამომეცალა
მხიარული დღეები,
ყველა მხრიდან ხელს შლიდა
ნაღვილანი ფერები...
და მეც სხვა გზა არ მქონდა ,
სევდამ შემიყოლია,
მზე მიყვარდა, სული კი
გამოვკეტე წყვდიადში...
ჩემთან იყო უფალი
ის მიცავდა მგონია,
ბოლოს მივხვდი თურმე დროს,
დანდობა არ ჰქონია!ე ლ

* * *

ვუყრებ, არც ერთი სახე-
არ მეჩვენება ქართული,
ამოტომ მომნატრებია
დრო, გარდასული, წასული...
როცა ქართველი დედები-
ვაჟებს სამშობლოს უზრდიდნენ,
აკვანში "ნანასთან" ერთად,
მამულის დროშას უშლიდნენ...
როცა, რწმენა და მამული-
ჰქონდათ სალოცავ ხატებად,
ო, ღმერთო, ასეთი დრო ხომ
ღვთაებად დაგვეხატება ..
მინდა მუხლებზე დავეცე-
და მათ საფლავებს ვემთხვიო,
რა ძალა ჰქონდათ, რა რწმენა.
დღეს ან, რამ დაგვცა მეხიო....
რამ გარდგვიცვალა გუნება-
სახე დავკარგეთ ქართული,
ვინ წაგვიშალა ხსოვნაში
ერთბაშდ, ასე წარსული...
შეცვლილ დროებას ავყევით-
სხვაც ვერ მოვირგეთ სამოსი,
და გავხდით როგორც "ღამურა"
მკვიდრები სასაკლაოსი..
გთხოვთ, გადმოგვხედო უფალო.
იქნებ შეგვინდო ცოდვილნი,
იქნება შევძლოთ როდისმე
მამულს ვაკმაროთ ლოდინი..
ვუყურებ, არც ერთი სახე-
არ მეჩვენება ქართული,
ამიტომ მომნატრებია
დრო, გარდასული, წასული!

* * *

ნუ შეიყრებით ღრუბლებო,
ნუ გაწვიმდები ცაო,
გული ვერ გასცდა უდაბნოს
დადგა, დაგუბდა ზღვაო...
ამ მთებს, არ უყვართ ღალატი,
კლდეებია თუ ქვაო,
ჯავრ ნისლად დაეფარება
თუმცა კი ვერრა სთქვაო...
მიდის ცხოვრების დინება,
სადღაც შორს დარჩა გზაო,
ბევრი რამ ნახეს თოლებმა
ძნელად სათქმელი სხვაო...
ხან თოლებს ცრემლი ადგება,
ხან ფიქრი ისევ, - რაო?
ღრუბელს თუ ფერი ეცვლება
შენ რა გატირებს ცაო?!

* * *

ვწერ და, ხან ლექსი მამშვიდებს,
როს გული ფეთქვით იღლება,
ვუყვები, აქეთ -იქეთურს
ისიც მისმენს და მშვიდდება...

* * *

ტიალ ნისლები წაიღებს-
გულის ნაფიქრებს ჩემსაო,
ღამეს გავტეხავ უძილოდ
შრიალი ისმის ხეთაო...
გარბიან წელიწადები
ფერი ეცვლება დღესაო,
ვინაც ყოილი მიწოდა
ვფიცავარ იმის მზესაო...
არ დამიღონდე არასდროს
არ მესმას შენი კვნესაო,
პირჯვარის წერით ხატებთან,
მეც შეგავედრებ ღმერთსაო....

გულმა არ იცის ბევრი რამ,
ამ ქვეყნის მიეთ- მოეთი,
რასაც გრძნობ იმას განიცდის
გიხარია თუ, მოეშვი...
ის შენს განსაცდელს განიცდის.
ხმაურობს სისხლად იცლება,
და როცა იგრძნობ თავს ცუდად
მიხვდი,რომ გულიც იღლება...
თუმცა კი გული ბევრს იტანს,
იმდენს რომ გაგიკვირდება.
ზოგჯერ დაღლილი ფიქრები
გულზე, შხამ-ნაღვლად იღვრება...
გულს- გაფრთხილება სჭირდება,
გულს- სიხარული სჭირდება,
ამ მოკლე წუთისოფელში
სიცოცხლე ისეც ძვირდება!

დარეჯან მაჭარაშვილი

შვილიშვილს

ჩემი სიყვარულის ზღვა ხარ,
ჩემი პაწაწინა ქალი,
მზე და მთვარესავით ერთი,
მშობლის გადახდილი ვალი.

ისე სათუთი ხარ, ნაზი,
სულ რომ ყურადღებას ითხოვ,
გულში ჩამეღვარე წამლად,
სულში ჩამეღვარე სითბოდ.

გულიც სხვანაირად ფეთქავს,
როცა მეხუტები მშვიდი,
ის დრო დამიბრუნე ახლა,
როცა შენს მამიკოს ვზრდიდი.

ჩემო თვალხატულა, მინდა
ხშირად აგიყვანო ხელში,
ისე მანებივრებ, თითქოს,
ისევ ვმეორდები შენში.

უნდა გამეზარდო მალე,
შენი დაქალება ვნახო,
იყო მოშიშარი უფლის,
ცუდი არ მოუშვა ახლოს.

უნდა დამავიწყო წლები,
ცაში ამიყვანო ფრენით,
უნდა გადამივსო სახლი,
შენი კისკისით და მღერით.

მანამ....
ჩაგიხუტებ გულში
შენი სურნელებით ვტკბები,
მაშინ დავიბადე თითქოს
შენ რომ მოგვევლინე ბები.

*****

მივდივარ, მივყვები ცხოვრების ბილიკებს,
სიყვარულს ვიტოვებ, სიძულვილს ვივიწყებ.
ფუტკართა ჯარივით მეხვევა ფიქრები,
ნეტავ დღეს რანი ვართ, ხვალ რანი ვიქნებით?

მივდივარ, ვიხსენებ, სად ვიყავ სად არა,
ცხოვრებამ ხან აღმა, ხან დაღმა მატარა
სულ მუდამ ვეძებდი კეთილს და სიამეს,
გზადაგზა ვხვდებოდი ბოროტს და სიავეს.

არ გებრძვი, ნუ მებრძვი, მშვიდობა მწადია,
ცხოვრება ისეც ხომ სულ ერთი წამია.
გაძვირდა მეგობრის და მოყვრის გატანა,
გვაჯობა, ხარხარებს ბოროტად სატანა.

ვიღაცა ცხოვრობს და ვიღაცა არსებობს,
"არ ვდარდობ"-მეტობს და "მიყვარხარ"-
ნაკლებობს. ნამუსს და მეობას ძილი აქვს საღათის,
"შეგვადნა" ქართული წესი და ადათი.

ხშირობს "ღობეს ჩხირი" პიკია სიცივის,
ვიღაცა ტირის და ვიღაცა იცინის.
ვაჩუქოთ ერთმანეთს სიკეთე ულევი,
არვის წაუღია ოქრო და ფულები.

ჯვარს ეცვი თუ გინდა-სხვისთვის სულ ერთია,
მოწმე-დამნახველი უფალი ღმერთია.
ცოდვა გამხელილი სჯობს მაინც ვწუხვარო,
ერთურთის გატანა მოგვმადლე უფალო.

****

შენი ბილიკი სევდისფერია,
ახლა ამ გზაზე მე დავრჩი მარტო,
შენი ხმა ჩემთვის ყველაფერია,
ვდგავარ, გავცქერი შორეთს და გნატრობ.

მოგონებები ავკინძე მძივად,
ეკლად მერსობა შენი სიშორე,
გადაგივიწყო ხანდახან,
მინდა და მონატრება ვერ მოვიშორე.

შენგან გათელილს ავყვები ბილიკს,
ვეჭორავები გზაში გვირილებს,
წამომეწევა წარსულის ლანდი
თვალს ჩამიკრავს და ჩამიღიმილებს.

****

ვეღარ გაიგო თუკი შენი სულის ტკივილი,
ზღვარსგადასულმა მონატრებამ თუკი დაგღალა,
თუკი ამაოდ კვლავ დაეძებ მის ნატერფალებს,
თუ მონატრებამ გაგირია თმაში ჭაღარა.

ვეღარ გაიგო თუკი გულის უხმო ძახილი,
სად გაიყარა თქვენი გზები, ვეღარ იგონებ,
შიოლასავით იქნებ სულაც არა ყოფილა,
ფუფალასავით, იქნებ თვითონ გამოიგონე.

*****

არ მინდა, არ მეფასება,
კაცი ფლიდი და უგულო,
როგორ დავხუჭო თვალები,
ანდა რა თვალით ვუყურო.

არც შენ არ მოგეწონება,
ვით ხეტიალი ღამეში,
ღიმილს გჩუქნიდეს მაცდურად,
ნაცარს გაყრიდეს თვალებში.

მიყვარს და მეიმედება
კაცი მშრომელი, ალალი,
გვერდს არ აგიქცევს ქურდულად,
არ ენანება სალამი.

არ უხარია მოკეთის
გაჭირვება და ვარამი,
მუხლჩაუხრელად შრომობს და
ლუკმა არ უნდა არამი.

სიტყვა რომ უჭრის ხმალივით,
ნაღდია, არა ორპირი.
გაჭირვებაში ნახული
ყველა ძმაა და ძმობილი.
ჭირში ალალად ცრემლს დაღვრის,
ლხინში არ მოშლის მღერასა,
საგინებლად არ გაიხდის,
საფიცარ მამა-დედასა.

ამ ქვეყნად სტუმრად მოსულსა
ეიმედება ზე-ყანა,
თვით სიცოცხლეზე უმეტეს
ეძვირფასება ქვეყანა.

მამულო

ისე ვერ ვისვენებ, მტერი დაჩოქილი
თუ არ დაგითვალე კართან.
თუ არ ჩაგეხუტე, თუ არ მოგეფერე,
თუ არ დაგიკოცნე კალთა.

ყოფნა უშენობით ისე მეძნელება,
როგორც საიქიოს კართან.
ჩემო ხატებავ და
ჩემო საფიცარო,
გულში დანთებულო სანთლად.

შენი სიყვარული ისე მომდებია,
როგორც უკურნელი სენი,
მიყვარს მზის ამოსვლა მთების წვერებიდან
მიყვარს შეღამება შენი.

შენი გაზაფხული,
შენი მაისობა,
შენი ყვავილობა ვაზის,
ზღვა და დედამიწა,
ზღაპრული ედემი
უფლის დალოცვილი ასგზის.

ალვისტანიანი შენი გოგონები
თვალის გაყოლება ვაჟის,
შენი "დედა ენა" შენი დედამიწა,
დამამშვენებელი თვალის.

ჩემი სუნქვა ხარ და
ჩემი ბედისწერა,
მინდა განაცვალო თავი,
მტერი დაგიმარცხდეს,
ერი გაგიმრავლდეს
ვერ გეკარებოდეს ავი.

სადაც უნდა ვიყო,
მიხმობს და მეძახის
შენი სიყვარული წმინდა,
სიცოცხლე მხოლოდ
და მხოლოდ ამ მიწაზე
მოვკვდე ამ მიწაზე მინდა.

ზღაპარიყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
რა "იყო და არა იყო",
ჩვენი ყოფა და ცხოვრება
საარაკო გამხდარიყო.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
თვალზე ცრემლი გამშრალიყო,
ყველგან ლხინი ბატონობდა,
გაჭირვება აღარ იყო.

დახმარების ხელს უწვდიდნენ
არ ცდილობდნენ სათავისოდ,
მშიერსა და უსახლკაროს,
ვერ ნახავდით, არსად იყო.

ძმა ძმისთვის და მეგობრისთვის,
ნატვრისთვალი გამხდარიყო,
შური, მტრობა, ორგულობა
სამუდამოდ გამქრალიყო.

სიყვარული რიგდებოდა,
ხალხის რიგი დამდგარიყო,
დიდი თასით მოითხოვდნენ
პატარა რომ არ კმარიყო.

მეხრე გუთანს მიუძღოდა,
ერთგულების პიკი იყო,
ნალიაში სარჩო უხვად,
ბარაქა და ხვავი იყო,

ხალხი სოფელს ბრუნდებოდა,
კერია არ ჩამქრალიყო,
შრომაც იყო, ქეიფიც
და ნასოფლარი სადღა იყო.

"ზემოთ" მდგომი ღმერთკაცობდა
ხალხის ჯავრით აღარ იყო,
თურმე ხელფასს ჯერდებოდა
მომხვეჭელი ვინღა იყო.

ქალი აკვანს მიჯდომოდა
საშოვარზე კაცი იყო,
სიტყვა "ემიგრანტი"-ს მცოდნე
ასში ერთი ჰა, თუ იყო.

დამნაშავეს სად ნახავდი,
ციხე ცარიელი იყო,
ბედნიერებისგან ხალხი
მეცხრე ცაზე გასულიყო.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ქალი კდემა-მოსილ იყო,
კაცის ვაჟკაცობის საქმე
ცხრა მთას იქით წასულიყო.

***

ფიქრმა ზეცამდე აუშვა აფრა,
დარდი არ ტოვებს თურმე მიწიერს,
სიტკბო გრამობით თუკი მომეცა,
იქვე ტონობით შხამი ვიწვნიე.

როცა მიჭირდა, ვკაფე უღრანი
უნდა მეტირა, მაშინ ვიცინე,
გზააბნეულს ვინც ფეხი დამიდო,
ვითომ არ იყო, გადავივიწყე.

მაღლა ღმერთია ყოვლის მხილველი,
მე სხვისი ცოდვა ვერ ავიკიდე,
ვისაც მოყვრულად პირში ვუთხარი,
სუყველა მტერად გადავიკიდე.

რაც უშურველად სითბო გავეცი,
გული მატკინა მერე სიცივემ,
სად მონდომებით დავრგე ვარდები,
იქ ეკლის მეტი მე ვერ ვიხილე.

ჩემი სიმართლე თუ ვერ გავყიდე,
სხვისი ტყუილი ვეღარ ვიწამე,
ძნელი ყოფილა სამართლის პოვნა,
ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე.

* * *

განა ისევ ბავშვები ვართ,
კმარა"იყო არა იყო"
რაც კი გულში დარდი გვქონდეს,
ჯანდაბამ და ქარმა ზიდოს.

"ჭირი იქა, ლხინი აქა"
სიხარული დამდგარიყოს,
ეს არაკიც ზღაპრად თქმული
სულ კეთილად ამხდარიყოს.

მაგული კორძაია

გონო წამოიმართე

++++

"გულზე ხელი დაიდეო",
-როგორ ჭრიდა სინათლე,
დღეს ქარიშხალს წაულეკავს,
სინათლეც და სიმართლეც....
ასეთი რა ვალი გვმართებს,
გონო, წამოიმართე,
სახვალიოდ ნურაფერს,
ნუღარ გადაივადებ.
აჩქარებულ გულისცემას
ფრთხილად ყური მიადე,
გულისხმამ რაც გიკარნახოს,
-სული,
სული მიანდე.
ლაბირინთებს ვერ გავაღწევთ,
კვლავ რომ დაგაგვიანდეს!

დღეს გრძნობები
ისე გაცვდა,
გულზე ხელს ვინ დაიდებს,
ან, ვინ გეტყვის:
-შენ საშველად,
"ურიის ვალს დავიდებ"!
ქარაფს გადაკიდებულა,
გინიერიც,
უგონოც,
თითქოს ყველა ერთად გახდა უსუსური,
უღონო...
გონო, წამოიმართე,
არ დაგვტოვო უგონოდ,
საშველი რომ არსად იყოს,
უნდა გამოიგონო!

+++

სტრიქონთა ლავას
კვლავ მოუნდა
ლექსად "თარეში",
სად ვარსკვლავები
სამშობლოზე,
მიკრთის თვალებში,
მეხამრიდებად,
ბერმუხები,
ქართლის ჭალებში,
სადღეგრძელო კი
რქაწითელით და ოჯალეშით!
ვიფერებ
ხმათახავერდებს
და ზეცას ვაგონებ,
-"შენ ხარ ვენახი",
მე ქართველი,
ავყევ ამ გონებს,
ძარღვებში მთრთოლს და
საქართველოს დვრიტად
ნაგროვებს!
კავკასიონზე გადმომდგარი
სისხამს არწივი,
ენგურს კალმახი,
დაწინწკლული,
-კალო -ახალი...
(მე ჩემებურად
მეფიქრება
ნათესნახნავი...
ხან თვალს ვახელ
და ხან "არაფრის "ვარ
დამნახავი...)
ერთია,მჯერა,
სიყვარულის
ცეცხლად
იალებს,
(ქარტეხილებით,
რაც ერთურთი დავაზიანეთ,)
მრავალჟამიერ,
სამმზემნათი
სამების მადლი,
ქართულად ნაწრთობ
მაჯისცემას აამზიანებს!

მე და ფიქრები ზაგაროზე

++++

"ცხრა მთა "გადმოვიარე,
გოროზიც ვარ,
მშვიდიც ვარ,
ამ სამოთხის შემყურე,
ერთის ნაცვლად
შვიდი ვარ.
სუნთქვააჩქარებული,
თითქოს მადლს ვსვამ ხელადით,
აქ ხომ ერთად მოჩანან ლამარია,
გელათი.
ხვამლის მთიდან
მონაბერ,
ამბავს ვამცნობ,
"მონას," ბერს,
აქ სტრიქონსაც მივენდე,
გულისძგერას
ფრთხილად ვდევ,
აქ სინათლე ღაღადებს,
(ნეტავ ყველა ნახავდეს,)
ნათქვამს წვეთ-წვეთ ვზომავდე,
-"ქრისტეს აქეთ"
 და "ცხრა მთას"
ვგონებ,
მადლი ჟონავდეს....
ხვამლის იდუმალებავ,
შხარას საალავერდოვ,
თქვენი უხმო კავშირი,
უფალს უნდა ვავედრო.
-შვიდი საყდრის
მიდამო
ვერავინ აჯილდაოს,
ქრისტეს რჯულის
თუ არ ხარ,
აქ ვერავინ წმინდანობს!
შვიდგზის ლოცვას აღავლენს
შვიდმნათობი
თამარი,
შვიდჯერ დიდი გული მაქვს,
მშვიდი ვარ და თამამი,
კალთა გადაგვაფარე,
ლამარიავ- ლამარი!!!

+++

შხარა-
ცხრათავიანი მწვერვალი უშგულში;
ქრისტევოშგინ-

არითმიული სტრიქონები

*

თითქოს ამოსუნთქვაც
არ მაცალა,
სუსტი სტრიქონების არითმიამ,
მაგრამ გული ისე ბაგაბუგობს,
წერა
ვერაფრით ვერ დამითმია.
მარცვალთ
სირინოზებს
დავეძებ და სიტყვას
აკორდებად
ვაკვირდები,
თოხით შემორაგულ ნაწერებში,
ვშიშობ,ლექსად როგორ გავკვირტდები.
კალმით ნაბელტარი,
გამებუტა,
წერის, ამიტანა
მაჯლაჯუნამ,
ლექსები-
გულთეთრა ყვავილები,
ჩემ ხელში ვერაფრით გაპრანჭულან...
ფიქრები
"სვლაგეზს"ვერ მიქებენ,
ლამის და გადამცენ
ანათემას,
-თუ თვლი რომ ლექსებად გვეჭიდები,
რატომღა ცდილობო "გამართლებას"..
ღმერთმანი,
რა უცებ დამესიეთ,
გულია,
ვერაფრით დავეწიე,
 სურვილი,
სულ "ერთი ციდა" ჰქონდა,
ლექსების აკვანში დავერწიე.
ეს ჩემი ბუნების ტკივილია,
ცისნამით დავნამე ნაწერები,
თუ ლექსში ციმციმებს
არითმია,
ცოდვაა, არ უნდა
"გაწევები"....
ლექსებს კი არა
ფიქრებს ვწერ
და
დედის მახსენდება
დარიგება:
-შვილო რასაც უნდა მიაღწიო,

ქრისტესუკან-
ადგილის სახელწოდება შხარას მიმდებარედ;
ზაგარო-
უშგულიდან ქვემოსვანეთში გადასასვლი
უღელტეხის სახელწოდება;
"უშგულის შვიდი სალოცავის მადლი
გეწეოდეთო" -უშგულში ასე გლოცავენ;
ჩალის ფასიაო თავის ქება....
ჰოდა,
რომც არაფერს მივაღწიოთ,
იქნებ რას გვიყვება
"არითმია",
მხოლოდ სიალალე შევაშველოთ,
კბილებს არასოდეს დაგვითვლიან!...

რა შეიცვალა...

+++

უმისამართო
მაწუხებს კითხვა,
(პასუხზე,
როგორ შევბედო თხოვნა),
რატომ დასჭირდა,
"წუთი"- სოფლისთვის,
ევას ადამის ცდუნებით პოვნა...
რა დელგმა იყო,
ის ერთი წუთი,
დაბადებით რომ აწამებს ხსოვნას.

ხან უსირცხვილო მგონია თავი,
კდემამოსილსაც ვგავარ შორიდან,
სინამდვილეში,
იმ წუთის გამო,
დღემდე არ ვიცი,
ვინ ვარ,
ორიდან.
ნახანძრალივით ამიწვავს გვერდებს,
ლამაზ წამებსაც ეჭვით რომ ვზვერავ,
რადგან უბელო კითხვის პასუხი,
კითხვისნიშნებად დაბობღავს
ჯერაც...
ხან ფერუმარილს
მივანდე სული,
ხანაც ბავშვივით
ვიყავი წრფელი,
სადღაც მეტკინა, სიმართლე,
ითქვა:
-შენი თავისა შენვე ხარ მტერი...
თუ უცოდველი დამბადე ღმერთო,
რისთვის ამკიდე, გოლგოთა ტვირთად,
ფაფარაშლილი
ცოდვის მორევად,
ვით შეგედავო -
სულ რომ შიშს მგვრიდა.
მცრის და
მაწვალებს,
უმისამართო,
ვნებებაშლილი,
უბელო კითხვა,
თანაც,
პასუხი ჩემშია,მაგრამ
მინდა სიჩუმემ
ხმამაღლა მითხრას.
ასეა:
- ვწუხვარ,"
 "რადგან "და
 "თორემ"...
-გადაიგლისა
უთქმელად
სიტყვა,
ადამ და ევას ათასწლეულო,
-რა შეიცვალა,
კვლავ თავში გვირტყამ!

ცაგო აბაშმაძე

ვისთვის...

ვისთვის უბრალო კენჭი ვარ ქვიშის,
ვისთვის უბრალოდ მწერი, ბზუილა,
ვწერ და ვკამათობ საკუთარ თავთან,
ვფიქრობ,განვიცდი, ვიბრძვი ტყუილად.
ერთი ბრძენკაცის თქმისა არ იყოს,
,,პოეტი ერთი ლექსია მხოლოდ",
ნეტავი, როდის დამეწერება,
სტროფები,რითაც დავრჩები ბოლოს.
გულს ეწვეთება,,მუზის ნაჟური",
ვიღებ კალამს და ჩვეული წესით,
გულს გადაგიშლით, თუ წამიკითხავთ,
ფურცელს შევრჩები უბრალო ლექსით.

**

დღეს ალბათ ისევ იწივლებს ქარი...
შემოიფხრიწავს ნისლისფერ კაბას,
მე გავიჭრები ვით ნიავქარი...
პეპლებს ვუამბობ წუხანდელ ამბავს...
რამდენი სითბო ვიპოვე შენში,
კოცონად მექცა მთელი სამყარო!
იდგა წუთები სიგიჟის..
შეშლის..
ჩემი ცხოვრების დიდო მაყარო!
მკლავზე მეწვინა შიშველი ვნება,
კრთოდა სინაზის და კდემის რიდით...
ვიცი, არასდროს განმეორდება
ტკბობის წუთები, გულს რომ მაყრიდი.
და ეს სიგიჟე, ვნებათა ღელვა
რომ განმეორდეს ისევ სიზმრებში..
მე ველოდები იმ წამებს,როცა
შენს ოცნებებში შემოვიჭრები...

დილის ექსპრომტი

****

შემომეწერე დილის რიჟრაჟზე,
როცა აისი აინთო ცაზე, ვუცქერდი,
როგორ ათინათობდა,
მზე ცეცხლისფერად
შენს ქერა თმაზე.
სახეს გიწვავდა მზის მხურვალება,
ყარყარა ყელზე
ნამი ბრწყინავდა,
მუხლს აცდენილი
ცისფერი კაბა
ნიავთან ერთად
ჩუმად გმინავდა.
აივნის რიკულს
ბროლის მკლავები
გადმოეფინა ისე
ნარნარად,
გიცქერდი, ვწერდი, ვრანდავდი, ვშლიდი
და არ შემეძლო უკვე სხვაგვარად.
შემომეწერე დილის რიჟრაჟზე,
ასულო მზის და ასულო მთვარის,
გეტრფი იდუმალ და ნატვრას ჩემსას
გაგანდობს ალბათ შეშლილი ქარი.

**

დღეს ალბათ ისევ იწივლებს ქარი...
შემოიფხრიწავს ნისლისფერ კაბას,
მე გავიჭრები ვით ნიავქარი...
პეპლებს ვუამბობ წუხანდელ ამბავს...
რამდენი სითბო ვიპოვე შენში,
კოცონად მექცა მთელი სამყარო!
იდგა წუთები სიგიჟის..
შეშლის..
ჩემი ცხოვრების დიდო მაყარო!
მკლავზე მეწვინა შიშველი ვნება,
კრთოდა სინაზის და კდემის რიდით...
ვიცი, არასდროს განმეორდება
ტკბობის წუთები, გულს რომ მაყრიდი.
და ეს სიგიჟე, ვნებათა ღელვა
რომ განმეორდეს ისევ სიზმრებში..
მე ველოდები იმ წამებს,როცა
შენს ოცნებებში შემოვიჭრები...

გურიის გზაზე

--სულო, იგრძენი ნაცნობი სევდა?
გურიის მთები თვალდანისლული?
ან სურნელება მშობლიურ ჰავის,
მშვენიერება თვალითხილული?

ჰო, ეს მთებია,რომ მივატოვე,
ვერ დავუამე ღია ჭრილობა,
ვერ მოვერიე საკუთარ ტკივილს,
ვცადე გაქცევა და გულგრილობა.

ახლა შევხარი მშობლიურ მხარეს,
ვუცქერი, ვეტრფი, მეუცხოება,
გადავეკარგეთ შვილები მამულს,
გაორება გვჭირს, გაუცხოება.

ნაცნობ სანახებს ვეალერსები,
მიწის გულიდან მესმის ვედრება
და უმწეობის ცრემლებით ვტირი,
რადგან მაქციეს ზურგი კედრებმაც.

ქარი სისინით მახლის სახეში:
--შენა ხარ მათი სევდის მიზეზი..
რად მიატოვე, თუკი გიყვარდა,
თუ გრძნობა გქონდა,თუნდაც მიზერი...

ოჰ, მაპატიეთ ჩემო სერებო,
მე, უთქვენობის წამი ყოველი,
ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად
ისევ შენდობას თქვენგან მოველი...

*

თუ ლექსის წერამ შეგიპყრო,
ვეღარ დააღწევ თავს,
ნარკოტიკივით მიგიჩვევს,
ნარკოტიკივით გკლავს.
ჩაგადენინებს სიგიჟეს,
ზეცის შეგიხსნის კარს,
გადაგამტერებს ქარიშხლებს
დაგამეგობრებს ქარს.
თავს მოგაჩვენებს მიჯნურად,
შენი სურვილი წვავს...
უნდა მიენდო ბრმასავით,
თუ პოეზია გწამს..
აგიმღელვარებს სტრიქონებს,
ქალს დაგამსგავსებს ქარს,
მუზას მკლავებში ნებდები,
ვერ მიუხურავ კარს.
პატარ-პატარა ცელქობებს,
ხშირად უხუჭავს თვალს,
ღალატს კი არ გაპატიებს,
ლექსით დაგადებს ვალს.
თუ პოეზია იწამე,
მისი მსახური ხარ,
გვერდს ნუ ამივლი ბატონო,
ნუ აიჩეჩავ მხარს.
ლექსია ჩემი მალამო,
შველის ჭრილობას სულის,
მწამს სიყვარული უბიწო,
ჩემი ქვეყნის და უფლის.

ვერ დავწერ...

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
სიტყვა, გულიდან თუ არ იშვება,
თუ არ იჭიკჭიკა მუზის ენამ...
როგორ მოვეფერო ლურჯ მწვერვალებს,
სიტყვა ალესილი ვით შევკადრო,
თუ არ იგიზგიზა კოცონივით,
გრძნობამ სიყვარულის ამავე დროს...
თუ ვერ შევიგრძენი გაზაფხულის
მადლი და სიკეთე უფლისმიერ..
თუ არ გავუხსენი გულის კარი,
ჩემი სიყვარულით ნებისმიერს.
თუ არ შევიცოდე დაცემული,
თვალი დავიბრმავე დასანახი,
გლახაკს ავარიდე მზერა ზიზღით,
მადლი ვერ ვაღვივე ჩანასახის..
ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება,
თუ არ განვიცადე აღმაფრენა,
თუ არ შევერკინე მღვრიე ტალღებს,
თუ არ შევითვისე მათი ენა.
თუ არ ვიქარიშხლე თავადურად,
ცაში არწივისებრ არ ვიფრინე,
სისხლით თუ არ მოვრწყე ჩემი ყანა,
თუ არ დავამარცხებ უცხო ფრინველს.

ვერ დავწერ, თუ აღარ მეწერება....
თუ არ განვიცადე აღმაფრენა...

მომენატრე...

მომენატრე საყვარელო!
მომენატრე რარიგ,
დღეებს ვფურცლავ უშენობის,
ვეძებ თვეს და თარიღს.
იქნებ გზაში ამცდი სადღაც,
ვაი, ჩემი ბრალი,
იქნებ თვითონ არ ინდომე,
ამარიდე თვალი.
იქნებ ზეცას შეენივთე,
იქნებ..იქნებ...
იქნებ...
მიზეზს ვეძებ უშენობის,
ძალას სიმწრით ვიკრებ.
მიხმე ერთხელ, თუნდაც წამით,
შენი სუნთქვა ვიგრძნო,
ჩემს ბაგეებს ნამარხულევს,
ესაგზლოო ვინძლო.
ერთი წამით, ერთი წამით
მაგიზგიზე ვნებით,
რომ დავტოვო ეს სამყარო
ფრთაგაშლილმა ფრენით...
რომ ზეციურ სამყაროში
არ გამიყვე დარდად,
მადედოფლე!
ერთი წამით,
კაბა მეცვას სადა!
თავს ნისლების საბურველი
მომახვიო შენით,
ჟინმორეულს მეხვეოდე
მამაკაცურ თმენით.
მაგრძნობინე!
რომ ჯერ კიდევ
ჩემში ცოცხლობს ქალი,
ქალი სევდა, ქალი დარდი,
სიყვარულით მთვრალი.

მომენატრე საყვარელო!
მომენატრე რარიგ....

ვისთვის...

ვისთვის უბრალო კენჭი ვარ ქვიშის,
ვისთვის უბრალოდ მწერი, ბზუილა,
ვწერ და ვკამათობ საკუთარ თავთან,
ვფიქრობ,განვიცდი, ვიბრძვი ტყუილად.
ერთი ბრძენკაცის თქმისა არ იყოს,
,,პოეტი ერთი ლექსია მხოლოდ",
ნეტავი, როდის დამეწერება,
სტროფები,რითაც დავრჩები ბოლოს.
გულს ეწვეთება,,მუზის ნაჟური",
ვიღებ კალამს და ჩვეული წესით,
გულს გადაგიშლით, თუ წამიკითხავთ,
ფურცელს შევრჩები უბრალო ლექსით.

მზია გომართელი

მინივეები ....რობაიები!

* * * * * * * * * *

სულს თუ მხნეობა აკლია..
გულს ედემს რგული ვარდები...
იქ სადაც მზე აღარ მზეობს..
დათარეშობენ აფთრები!...

* * * * * * * * * *

რა დაგიშავეთ ყორნებო...
რატომ მიყურებთ მტრისადა?
რატომ შეკარით ჩემზედა..
ღრუბელთა ჯარი ცისადა!
მე ერთი მგზავრი ვინმე ვარ,
ცად მოვლენილი ..ღირს ამად?!
ეკალ- ბარდებში ვიარე,
სენი შემყრია მტრის-სადარ,
ზოგმა მუშტები მიქნია..
ზოგმა დამწიხლა ვირს-სადარ!
ტყუილი ვერ მათქმევინა...
რაიმც ვინდომე ისა ვარ!

* * * * * * * * * *

სულ ინტერესი რომ მკლავდა,
გვირგვინს ვეძებდი მართლისას...
ცხრა- მთა ცხრა ბარი ვიარე..
ქალამან გამძვრა ვალ...შიშვლად.
ბევრი ვიარე თუ ცოტა..
ეკლებ მოვკრიფე " ნარცისად"!
სიჩუმესთან რომ დავმოყვრდი...
ხმაური დამხვდა " კაპრიზად"
მართლის გვირგვინის ძებნაში...
ეკლის გვირგვინი საჩუქრად!..

. . . . . .

გვირგვინი გველეშაპს ჰქონდა...
გამოკეტილი ცხრა კლდისას,
კიდევ ბევრ საცდურს შევხვდები,
თუ არ შემრაცხეს მთლად გიჟად!..

* * *

დრო იყო კოხტა ჭადარი,
თავის ფოთლებში ხარობდა!
ცისარტყლის ნაირფერებში
მზის სხივებთანაც ანცობდა!
უყვარდა, ძლიერ უყვარდა და
მასთან ერთად ხარობდა!..
როცა მისკენ მიილტვოდნენ,
ტოტები ზემოთ აჰქონდა!.
ფიქრშიაც არ მოსდიოდა,
შემოდგომა რომ მძლავრობდა!...
გარშემომყოფთა ზრუნვაში
თავიც რომ აღარ ახსოვდა!
ჭადრების ახალთაობას
სიცოცხლის წყაროს აძლევდა...
თავს ევლებოდა ზრუნავდა,
ნიავსაც არ აკარებდა...
მის გამორჩეულ სიყვარულს,
მას ვინმე თუ შეარჩენდა!..
მზაკვარი დროს არ კარგავდა
და თავის საქმეს აქსოვდა...
ოცნებობდა მის წაქცევას,
მის დაცემასაც ხარობდა!
ჭადარი დიდხანს იბრძოდა,
დრო თავისთავად გარბოდა...
სიკეთე და ერთგულება,
ნეტავი ვიღას ახსოვდა..
ფოთლებდაცვენილ სიშიშვლეს,
სულ მარტოდ- მარტო ნაღვლობდა!..
შემოდგომის სუსხიან დღეს,
თვითგადარჩენას ლამობდა..
თავის თავს ვინღა ჩიოდა,
მის შვილებს ტოტებს აფენდა..
ზამთარმა არც კი დაზოგა,
თოვლი მას უხვად ათოვა..
-არ დანებდა და იფერთხა,
ლოცვაში ღამე ათენა..
უფალმა არ მიატოვა
მხოლოდ იმასღა ახსოვდა..
გაზაფხულის მოლოდინში,
სულ იმედებით აცხოვრა!..
ბალადაც მაშინ იქმნება,
უფალს უყვარხარ .. ახსოვხარ!

* * * * * * * * * *

მე თუკი მკითხავთ ალალ-მართლობას
არ უნდა დიდი მიეთ-მოეთი...
ტყუილის ბლანდვა არც ადვილია...
ლაბირინთებში მთლად იხლართები!.
მართლის გვირგვინი ზეცას აგიყვანს...
ტახტსაც დაგიდგამს უზენაესი,
მტყუანი კაცი პატარავდება,
მგზავრობა უწევს დასალიერში!..

* * * * * * * * * * * *

იქ ახლოს ცისარტყელები,
ციურ რკალს ქმნიან დარისად..
შემოაღამდათ ლოდინში..
არ ნებდებიან ხვალისად!
იმედი ააკიაფონ...
გული არ სწყვიტონ არვისა!
ცისა და მიწის გაყოფა
არ ეპატიოს არვისა,
სამყარო ერთი წრე არის
გადაეყრები შარს დიდსა!

* * * * * * * * * * * *

ერთი საჟენით მაღლა ახვედი?!..
არ ხარ ვინმეზე ცოტათი მეტი.
გული იმდაბლე სხვას დაეხმარე...
არ გაპატიებს იცოდე ღმერთი!
ჩვენ ყველა ერთი კალოს მლეწავნი...
განსხვავებულნი დროს და სივრცეში...
გაჭირვეევაში არ მივატოვოთ
იდეას გვაწვდის უზენაესი?!

შემოგსევია ფიქრის გორები..

წალეკვას ცდილობს, მას ვერ ერევი!
ლაქები მისი დანატოვრები...
სულს რომ აჩნდება
ცეცხლის კერები!
როგორ გსურს გაქრეს, თან წარიტანოს..
დროის სიმძიმის ნატყვიარები!
მაგრამ არ ძალგიძს ვეღარ ამოშლი
სულს რომ აჩნია,
ნაიარები!..
მას სურს დაკეტოს
სიცოცხლის წყარო, ჯებირს სცილდება
წალეკვას ლამობს..
დანებებას კი თუ არ აპირებ..
და მას მონობას თუ არ სთავაზობ..
არხი სათავის დასაწყისშივე,
სჯობს გადაკეტო კარგად ჩარაზო!.
შენ თუ გგონია ძლიერთ ხვედრია..
ამ სამყაროში შემთხვევით მოხვდი..
გამონაკლისიც დასაშვებია..
რკინა იწრთობა
თვით ძლიერ ცეცხლში!..
ეძიე "ნიში", საწყისი ხარო,
სიკეთე ზარდოს და გაგახაროს..
რისთვის მოხვედი და რისთვის იშვი..
შენი მისია რომ გაამყაროს!..

* * * * * * * * * *

მარტო კაცს რა შეუძლია..
მარტო ჭამაშიც ბრალია...
უშენოდ ერთი ბეწვიც კი
არ დავარდება ბწკარია!
ალბათ ჩვენც დიდი წვლილი გვაქვს...
უარყოფაში ბრალიანს!
წვიმა თქეშიც კი ვერ რეცხავს...
სეტყვაც გადავა- ბანიანს.
სჯობს გულით გამოიძიო..
შენ წინაპრების ვალია...
ცოდვები მაშინ ვიტვირთეთ
არ მოგერიდეთ ჯვარ-იანს!

ვერ ვიღებთ განსხვავებულებს,
დღემდე მოგვყვება შარია...
გამორჩეული, ვანარცხოთ
ცოდვილ გვირჩევნის- მადლიანს!
ყველა ხერს ვხმარობთ...სინდისიც
მივაგდეთ როგორც ჩვარია!
ფიქრი გონება არ უშვებს,
ცხოვრება წარმავალია!
სხვისი განსჯა და განკითხვა,
უსაქმურობის ბრალია...
ცაც და ქვეყანაც გარდავა
უფალი უხმობს ვალიანს!!!



იზოლდა მოშიაშვილი

დღეს მსოფლიო მნიშვნელობის დღეა. ჩვენი წმინდათა წმინდა ქალაქის, ერუშალაიმის დღეა. ერუშალაიმი განა მარტო ისრაელის დედა ქალაქია, არამედ მსოფლიოს მამოძრავებელი ღერძია. ეს სიძლიერე არ მოგიშალოს ღმერთმა ჩვენო წმინდა ქალაქო.

ერუშალაიმს

ერუშალაიმ, წმინდა სანთელო,
დედა ბოძო და დედა მთავარო,
ერთა მფარველო, სტუმართმოყვარე
შენ საფიცარო ყველას მშობელო.

შენს ყოველ კუთხეს სათუთად შევცქერთ,
შევცქერთ ნაომარს და სისხლით მორწყულს,
წინ წაგვიმძღვარე შენი ლოცვანი,
ერუშალაიმ, შვილთ შენთან მოსულთ.

ღმერთის რჩეულო, მიწავ ნაკურთხო,
ზღაპრად ქცეულო მემატიანევ,
კუბოს ფიცარო და ფიქრთა ხროვა,
მარად მებრძოლო, გმირთა სავანე.

ძვლებით ნაგებო, ფუძე მაგარო,
ბეთამიკდაშო ცრემლით ნაბანო,
მესაიდუმლევ, დიდო უკვდავო,
ჩაუქრობელო შენ კელაპტარო.

სინაის მთაო უკვდავმყოფელო,
ცეცხლით ნაკვეთო მოშეს მცნებანო,
არად ქცეულო და კვლავ აღმსდგარო,
მამა-პაპათა შენ საფიცარო.

ფარო დავიდის ძირს დაუხრელო,
ომის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილო,
ერუშალაიმ დედა ქალაქო,
წარბშეუხრელო, მარად მედგარო.

ერუშალაიმ, შენ ქვაკუთხედო,
მტკაველ მიწისთვის თავდადებულო,
იყავ ძლიერი და ქედუხრელი,
იუდეველთა დედა მშობელო.

მთვარისა ზეინკლიშვილი

კვლავ გამოიდარებს

ჩამოთბება, მზე აღიდგენს თავის ძალას,
ცის ტატნობზე ცისარტყელა გამოჩნდება,
თოვლის ნაცვლად ახლა წვიმა ჩამოცვივა,
აშარი და ცელქი ქარი ჩაწყნარდება.

ნელა - ნელა წამოუათ ტოტებს კვირტი,
მდელო მწვანედ შეფერდება დანამული,
საჩუხჩუხოს, სარაკრაკოს შემოს-- ძახებს,
ყინულის ქვეშ წყარო ჩუმად განაბული.

ჰორიზონტზე გამოჩნდება სავსე მთვარე,
შეიცვლება ამინდები დაღვრემილი,
შინდის ტოტი ქარვის მძივებს წამოისხავს,
მის ფესვებში უკვე მზეა ჩაღვენთილი.

მთის მწვერვალებს ჩაადნება მძიმე თოვლი,
შავგვრემან შუბლს მოიწმინდავს ქარაფი,
მოხნულზე წვერს ამოჰყოფენ თავთუხები,
შიგ ყაყაჩო შეერევა ვამაყით.

ტრამალები გაივსება ბაიებით,
ტყეს დაბურავს ია ქარიზმატული,
ცხვარ- ბატკანიც გაიშლება მიდორ- ველად
გაიელვებს ცას ხმა ანდამატურის.

ღელეს, ბორცვებს გადაურბენს შველის ნუკრი,
ქორფა ყლორტებს გამოსუსნის სინაზით,
გემრიელად გამოწიწკნის ნორჩა ბალახს,
ეს ყოველი იქარგება მირაჟით...

ჩვენი ყანა და ქვეყანა

ზღვის ტალღასავით რომ ღელავს,
მთის ფერდობზე ხორბლის ყანა,
სწორედ ასე მჩქეფარეა,
ჩემი მხარე და ქვეყანა.

სიოც თავთავს დასტრიალებს,
ეცეკვება განდაგანას,
სამშობლოზე უფრო ძვირად,
ფასობს ნეტა რამე განა!?

მზეც აცხუნებს, აელვარებს,
დააპურებს თანდათანა,
რასაც ვხედავ, ლექსადა ვწერ,
წესები მაქვს ამისთანა.

ლურჯი ზეცა თვალს მიხარებს,
ნეტავ მთაზე ამიყვანა
და იქიდან დამანახა,
მოლივლივე მწვანე ყანა.

ას გვერდიანი კრებულისთვის ჩავწერ ლექსს

მონატრება

ვუძღვნი ჩემს სამ ძმას

სულ მენატრება ბავშვური ყოფა,
ის ეზო, კარი და თბილი კერა,
რაღაც, სხვა ფერი ბავშვობის წლები,
ვერ დავივიწყე ვერა და ვერა.

მაქვს ,,ნოსტალგია" დაუშრეტელი,
ჩემი სახლი და ჩემი უბანი,
ურიცხვი ბავშვი გამოფენილი,
ზოგი სუსტი და ზოგიც მსუქანი.

იალაღები, ფართო მინდვრები,
გზა მოხრეშილი, ბაღში ტევრები,
სანახიროზე ხბოთა ბღავილი,
მამას დუქანი ,,ცოლის ცრემლები".

რამდენჯერ სუნთქვა შემეკრა სიმწრით,
რამდენჯერ გული ცრემლით ვიჯერე,
ნუთუ ვერასდროს ვიქნებით ერთად,
ვაი,რომ დღემდე ვერ დავიჯერე.

ნეტავ სად მივალ, სად მეჩქარება?
თითქოს ჩემს უკან ზურგის ქარია,
ვიცი, შინ დედა აღარ დამხვდება,
მაგრამ მეთქვენსკენ მომიჩქარია.

გაუსაძლისად მტკივდება გული,
გამიძლიერდა ნატვრების სევდა,
ძმებო, ობლობა წლების ბრალია,
რომ მამა არ გვყავს და აღარც დედა!..

ჩემი კაკლის ხე

შენ კაკლის ხეო მაღალო,
შენ ბუმბერაზო დიადო,
შენს ჩრდილში ჩამოგიჯდები,
ჩვენს წარსულზე რომ გიამბო.

ნუ აშრიალდი, ნუ ცხარობ,
თუ აგიშალე ფიქრები,
ჩვენ გავიხსენებთ კარგ ამბებს,
და ბედნიერნი ვიქნებით.

ხომ გახსოვს ჩემი კისკისი,
ყოველჯერ გაქანებაზე,
შენს ძლიერ მკლავზე დაკიდულ,
თოკ - ფიცრის საქანელაზე.

შენს ტოტებს უხვად ასხია,
ჩემი ბავშვობის ლანდები,
მსურს მაღლა, გულში ჩაგიკრა,
ვშიშობ ძირს ჩამოვარდები.

რა ბუმბერაზი გამხდარხარ,
შენ ჩემზე ბევრად დიდი ხარ,
რაც დუნიაზე ხე არის,
შენ ყველა ხეზე მშვიდი ხარ.

რამდენი წელი გავიდა,
შენი ნაყოფი მეც მერგო,
ღმერთო აცხოვნე ბაბუა,
ოდესღაც შენ რომ აქ დაგრგო.

სიხარულის ცრემლები

ცრემლები მომდგარი წამწამზე ბროლივით,
ცრემლები უმწიკვლო, გრძნობებით გავსილი,
ცრემლები გულს ხვდება ალალი, სპეტაკი,
თვალებში ცრემლის ტბა,რომაა ავსილი.

ცრემლები თუ იღვრებიან თვალებიდან,
ცრემლები ყოფილიყოს სიხარულის,
ცრემლები ნუ იქნება სინანულის,
ცრემლები სარკაზმია სიყვარულის.

ცრემლები თუ იღვრებიან თვალებიდან,
ის იყოს ბედნიერებით დადენილი,
წვეთებად ჩამოყრილიყოს ლოყებიდან,
ღაწვებიდან გულში იყოს ჩადენილი.

ცრემლებს მოუხდება ბადრული ღიმილი,
აღტაცებისაგან გაშლილი წარბები,
აღფრთოვანებისგან განცდილი ყვირილი,
ცრემლებით დანამული წითელი ვარდები.

გამოჯანმრთელების ცრემლები თბილ- თბილი,
გამართლების გამო ცხელ - ცხელი კურცხლები,
ბედნიერების მომგვრელი წარსულებით,
ცრემლით მასველები ნაწერი ფურცლები.

ცრემლებით, ტირილით გავჩნდით ქვეყანაზე,
ამიტომ თვალებზე სულ ცრემლი გვკიდია,
პატარა რამეზეც იმხელა ცრემლებს ვღვრით,
მგონია ცრემლები გრძნობებზე დიდია.

გასეირნება ოქროსფერ ტყეში

რაღაცა, დღეს ბუნებაში მიწევს გული,
უღრანი ტყე მსურს დავლაშქრო მარტომ,
ნახეთ, ჩემთვის გაუშლიათ ძირს ხალიჩა,
მაღლივ საფარს მე სულაც არ ვდარდობ.

ოქროსფერში წამონთებულ ტყის საფარში,
ცაზე გული დამიხატეს ტოტებმა,
მივდივარ და ჩავიკარგე ტყე-წალკოტში,
გამაბრუეს ქარ-ფოთლების ნოტებმა.

არცა ცივა, არცა ცხელა და არცა წვიმს,
არც დავდივარ გაჭირვებით, ვაებით,
მიხარია, გამოვსულვარ გალიიდან,
მარტოდ მინდა, თუმცა გეძებთ თვალებით.

აი, ეხლა გამოძვრება სადღაც ნინო,
ბუჩქის უკან მემალება ლევანი,
შუა ტყეში დამხვდებიან იკა,ნია,
ოქროს ტყეში შევიკრიბეთ ყველანი.

წამოვიწყეთ ცელქობა და სიცილები,
დაგვტრიალებს შემოდგომის ფასკუნჯი,
მათი ხილვით ჯერ გავგიჟდი, აღვფრთოვანდი,
მერე უცებ ნეტარებით დავმუნჯდი.

დედობა ქალის ჯილდოა
(ვუძღვნი ჩემს 82 წლის დედას)

ვიცი დედობა ქალის ჯილდოა,
თუმც საფიქრალი ბევრი გვაქვს მუდამ,
შენ რომ ბერდები, ჩემს წინ მიდიხარ,
მეც ჩემი ხვედრით მოგყვები უკან.

ვიცი გახარებს ჩვენი დანახვა,
შვილებსაც გვინდა სულ გვერდით გვყავდე,
კვლავ დაგვარიგო, ბრძნული გვირჩიო,
შენი ხელიდან ვჭამდეთ და ვსვავდეთ.

ახლა მეცა მაქვს ის საზრუნავი,
როგორც შენ გქონდა ულევი ადრე,
როგორც წვალებით გაგყავდა წლები,
ისეთ წლებს ახლა მეც ძლივს მივათრევ.

სულ მახსენდება ბავშვობის წლები,
ჩემი სამი ძმა, ჩვენი ნუგეში,
ოთხივეს გვინდა ის დრო დაბრუნდეს,
კვლავ შენთან ვისხდეთ შენს თბილ უბეში.

ეჰ, კიდევ ბევრი რამ მახსენდება,
ჩვენს თბილ ოჯახში, ტკბილი ცხოვრება,
შენ ჩემთვის ქალის ,,ეტალონი" ხარ,
დედობა შენი მემახსოვრება.

მძიმე ცხოვრებას წლები უძლებდი,
მძიმე შრომასთან გულს გაწვა სევდაც,
ახლა იხარე, დიდხანს იცოცხლე,
შენი ნაღვაწი შეგარგოს ღმერთმა!...

იმედს ვიტოვებ ხიდად

მეინახე ვარ მთვარის,
ნისლივით ხვავობს დარდი,
ვახშმობ კალმახა კლდესთან,
დროც რა ჩქარ-ჩქარა გარბის.

ყოველ დღე დილას ვუცდი,
ველი ყოველჟამს დაისს,
სად მივიჩქარი ნეტავ,
მთელ წელს რომ ვნატრობ მაისს?

რომ ვერ ვიტანდი ღამეს,
ახლა ჩემია თითქოს,
ღამით უფრო ვარ ღმერთთან,
ჩემს ,,მეს" დავყურებ თვითმყოფს.

ჩემს მუზასთან მაქვს საქმე,
ჩემს ფიქრებთან ვარ მშვიდად,
ლექსთა ფარდაგებს ვქარგავ,
იმედს ვიტოვებ ხიდად...

,,დედის ხსოვნას"

,,წვიმასთან ერთად
მოვედი დედა!"

წვიმასთან ერთად ფეხაკრეფით
მოვედი დედა!
მდუღარე ცრემლებს ჩამოვატან
მაისის წვიმას,
შეფრთხიადლი და შეიღვიძე,
მანიშნე რამე,
დედა მოვედი შენს საფლავთან
ნუღარა გძინავს!

მეც ცრემლს შევიშრობ, ვისაუბრებ
ცოტა ხანს შენთან,
ბევრ არ გადაგღლი,არ შეგაწყენ,
ვიჯდები წყნარად,
ჩუმი ფიქრებით მოგიტან სათქმელს,
მხოლოდ კარგ ამბებს,
მე შენი პირმშო, შენზე მლოცველი
ვიქნები მარად.

ამაღამ უფალს შენი სულის
ცხონებას შევთხოვ,
ამაღამ, პურს მიწობილ ღვინოს
ცრემლებს შევაცან,
თავს ვერ ვიკავებ შენს ხსენებაზე,
რომ არ ვიტირო,
თაფლის სანთელს, ცეცხლსა და
სურნელს,სინათლეს ვატან.

კვლავ,ისევ მეწვის შენი სისხლი,
ხორცი და ძვალი,
არა ყოფილა მიწა ცივი და დრო
მკურნალი,
შენი ბავშვური გამოხედვა სულ
თვალწინ მიდგას,
შენი ბუნჩულა ხელები და შენი
სურნელი.

გთხოვ დამესიზმრე, რამე მითხარ
რამე მანიშნე,
რომ გავიქარვო, მოვიოხო გული
ტიალი,
მსურს შეგისრულო რამე თხოვნა დანაბარები,
შვება მომეც, რომ გამიჩერო გულის ფრიალი...

ხათუნა მითაგვარია

ადამიანი ღმერთი არ არის, ის ცოდვილია პასუხს მიიღებს...

არ გააღმერთო ადამიანი,
სასწაულმომქმედი ვარო ასე იფიქრებს,
არ გააღმერთო არავინ თორემ,
ზეციური ვარო--ასე იყვირებს,
ის რეალობას თვალს დაუხუჭავს,
მიწიერობას--უცებ ივიწყებს,
ადამიანი არ გააღმერთო,
დღეს ვერ მიხვდები-- ვინ რას გიპირებს,
შენს წინ ნურავის ნუ დააყენებ,
დადგება დრო და ღმერთთან გიჩივლებს,

ადამიანი--იცი ვინ არის?
რომ გაგამხნევებს შენს ტვირთს იტვირთებს,
არ გააღმერთო ადამიანი,
შტერად ჩაგთვლის და -შენზედ იცინებს,
ვისაც აღმერთებ ის დაგაჩმორებს,
შენ არავინ ხარ-- ასე იფიქრებს,
დღეს უცოდველი არავინ არის,
ცოდვების კანონს ღმერთი მიიღებს,

დღეს ღმერთს შევთხოვოთ ეს ქარი ჩადგეს,
მჯერა ზეციდან მადლი იწვიმებს,
არ გააღმერთო ადამიანი,
შენ ვერ შეხედავ--ღმერთი იტირებს,
ამ გეგმებს ჩუმად სატანა ადგენს,
ყველა ცოდვისკენ ხელს ის გვიბიძგებს,
ერთ დღეს ეშმაკიც დასნეულდება,
ღმერთო მიშველეო-- ასე იყვირებს...

ადამიანი თუ ხარ გებრძვიან...

ადამიანო ცოდვილი ხარო და,
ბასრი ლახვარს გულში გესვრიან,
ადამიანო შენც მოკვდავი ხარო,
თუმც სიცოცხლეში რას არ გეტყვიან,
ადამიანო შენ ღმერთი არ ხარო,
რა უყოთ თუ კი ხშირად გდევნიან,
ადამიანი რომ ვარ არ მინდა,
ადამიანებს მუდამ ებრძვიან,

და რადგან გაჩნდი ადამიანად,
ეხ იძულებულს ხშირად გაგხდიან,
თუ კი შეგნიშნეს თანმდაბალი ხარ,
არ დაგინდობენ-- სულსაც აგხდიან,
ჯერ აგაფრენენ მაღლა ზეცაში,
შემდეგ უჩუმრად მაგ ფრთებს გაცლიან,
მიწაზე ისე დაგანარცხებენ,
აზრზე მოსვლასაც აღარ გაცლიან,

შემდეგ გრძელდება ათასი ხრიკი,
გაგყიდიან და ეშმაკში გაგცვლიან,
ასეთი არის ადამიანი,
სიყვარულისთვის მწარედ დაგსჯიან,
მზერას გსტყორცნიან ისეთ სუსხიანს,
ადამიანად თითქოს არ გთვლიან,
მის ნაცოდვილარს შენ შეგახოცენ,
და ცოდვიალინს თავად გაგხდიან.

მაღლა არწივად თუ კი შეგნიშნეს,
ყვავებს არ მოსწონთ ტყვიას გესვრიან,
ლაქიად თუ არ გადაიქეცი,
მაშინ მოგთხოვენ--მაშინ გეტყვიან,
ვერ გერევიან? ვეღარ გძირავენ?
არ შეიმჩნევენ--ჩიხში შედია□,
დამარცხებასაც არ იკადრებენ,
თითქოს მობეზრდი და სადღაც გტენიან,
ბოლოს და ბოლოს თუ ვერ გაჯობეს,
ხმებს დაიწმენდენ სხვა ხმაზე მღერიან.

სინათლედ ნუღარ მოგეჩვენებათ,
ეხ ეს ცხოვრება ძალზედ ბნელია,
ადამიანმა იცხოვრე სუფთად,
ადამიანთა ცნობა ძნელია,
და სხვებზე მეტად ადამიანი,
თავისი თავის დიდი მტერია,
და მეც მათ შორის არა მაქვს ფრთები,
აქ უცოდველი ჩემი ლექსია...

ლია ჩიქოვანი

რძლებო მარად გახსოვდეთ

რაც არ უნდა კარგი დედამთილი გყავდეთ რძლებო,
გთხოვთ რომ გახსოვდეთ კოკორ ვარდებს გავდეთ,
დედამთილის ქოთანში ყოჩივარდებს რგავდეთ,
მისგან ნაფერებ ყვავილებს მუდამ წყალს უსხამდეთ.

მხოლოდ კარგი დედამთილი არ არსებობს გახსოვდეთ,
სიყვარული ცალმხრივი - მხოლოდ ერთ გულს ათბობდეს .
მზესაც სხივი ეყინება, ვფიქრობ, მაგრად გათოვდეს...
ამ თოვლის მორევში ,იქნებ ორმოც გამოჩნდეს
და უფსკრულის ამოვსება შემდეგ ძნელი აღმოჩნდეს .

დედამთილიც დედა არის, რძლებო, მარად გახსოვდეთ,
იგი შენშიც მის შვილს ხედავს, განსხვავებას დაგმობდეს
და შენც, შვილო, გაახარე, ვიდრე შვილად ახსოვდე,
თორემ ერთ დღეს დაინანებ, რომ წვიდეს დაგშორდეს.

კლიმატია არეული

სამწუხაროდ, ვერც მზეს ვხედავ ამ დარაზულ დარაბებში,
აღარც ქარის აღარ მესმის, თუ ფანჯრებთან არ დავდგები.
ყველაფერი ხელოვნური: ქარი, სიცხე და ავდრები,
კლიმატია არეული, ღმერთო, ჩვენთან რად არ დგები.

ციდან გადმოსული ცეცხლით ლამისაა დავიწვებით,
ან ყინულის ბურთებისგან, ვფიქრობ, ძვლებში დავიმტვრევით.
ხან მდინარე გაგვიტაცებს, თუ კი ტივზე არ დავწვებით,
ანდა მიწა დაგვაქნებს,ვეძებთ - საით გავიქცევით...

ამ დახაზულ დარაბებში მზე ვერ აღწევს, ბნელით ვთვრები,
"პინგვინს" ვრთავ და ქარისგან მონაბერი ხმებით ვტკბები.
ზოგჯერ ლექსს ვწერ, ხან მოთხრობას, ხანაც მოლბერტს მიუჯდები,
დავფარფატებ ღრუბლებში და მრავლ მუზის მონა ვხდები.

ზოგჯერ კარგად ვაგვირისტებ, ალბათ, მწყალობს მაშინ ღმერთი,
ზოგჯერ ცაში ვიკარგები, აღარ მწყალობს ჩემი ბედი.
არ ვეცემი, ვით მდინარე, მივაგორებ ზვირთებს ხევში,
ვიცი გამოიდარებს, თავს ამოვყოფ შუაგულ მზეში.

გული დაგედო მკლავებზე

ბიჭო შემხვდი და გიწამე.
თვალებზე ცრემლი მიწამე.
გზას გაუყევი, ვიწამე
რად მომაყარე მიწა მე .

ცრემლები, მეტად წვიმაზე,
გული ბრაზობდა იმაზე.
მერე კი მტერის ჯინაზე
გამოვიჩინე სინაზე..

ვარდი ბრწყინავდა ცის ნამზე,
მთები გადავდგი ყირაზე,
და მაინც,შენსა ჯინაზე,
არ გადავგვარდი, ვინაზე.

მოხოხდი მუხლის თავებზე,
გული დაგედო მკლავებზე,
მე კი ავედი მთვარეზე,
მარტოკა დარჩი მწვანეზე.

და, როცა ნაბიჯს გადადგამ,
ხშირად დაფიქრდი იმაზე -
ნეტავ რად წაველ იმ გზაზე.
ოქრო რად დავდე სხვის კარზე.

იყავ ჩემი მზეჭაბუკი

ზოგჯერ უნდა მოგენატრო,
გულს მოგჰფინო ღრუბელი,
ზოგჯერ გულში გაგეყარო,
როგორც სიტყვა უშვერი.

ზოგჯერ გული გაგიშალო,
ვით გვირილა მზის მკლავში,
ზოგჯერ გრძნობა დაგიამო,
ვარდი დავრგოთ ზეკარში.

სიზმარშაიც მზეს ხედავდე
თვალხატულა მზექალში,
ენას თაფლის წვეთი გედვას,
თაფლს დაეტკბოს ეს წყალი .

სიყვარულის გზასავალზე
ვერ გვკაწრავდეს ეკალი,
აღმა-დაღმა ასავალზე
გვინათებდეს ჩვენ კვარი.

მუდამ ქუხდეს ჩვენს სხეულში
სიყვარული ვერ მკვდარი,
იყავ ჩემი მზეჭაბუკი,
მე კი შენი მზექალი.

წამოდი

ეძღვნება შორენა სახელაშვილს

წამოდი, ისევ წაგიყვან,მოგარებინებ გონასა,
შემდეგ მუხამეშს აგიყვან, დაგაწველინებ ძროხასა,
მთის ყვავილს ნაზად დავკრეფდეთ წითაყელაის გორასა,
შემდეგ სანახშოს ჩავიდეთ, იქ ვინახულებთ გოჩასა.

ლათქიშორადან მოკითხვას გადავუგზავნით შოდასა,
შემდეგ კარებსაც შევუღებთ ჯანოს და ნუნუს ოდასა,
სადღეგრძელოთი გავათბობთ მათი სულების ხსოვნასა,
გაიხარებენ კედლები, როცა ჩამოვგვით სოხანსა.

საფლავზედ ვარდებს მოვაფენთ ჩემი ქმრის მშობელ დედასა,
ერთ ჭიქა ღვინოს სურათზე მივუჭახუნებთ ბედშავსა,
თუმცაღა, რაღა ბედშავი , ქმარ-შვილ უწვანან გვერდასა
ჩხუტეენთ მოვიგონიებთ და ავუყვებით ბეგასა.

გამოფრინდა თეთრი რაში

გამიფრინდა თეთრი რაში-თვალი ვერ მოვატანე,
ბედნიერი წლები, ჩემი,მე, იმ რაშს გავატანე.
ხელი ჩემი, შემოქმედი, რას აღარ წავატანე,
ყურადღების სადავე გზა ხვეულით ვატარე.

ახლა ვდგევარ, ცას გავყურებ - სხივი გამოიმეტოს,
გული ისევ იმედებით და მომავლით იმედობს,
მაგრამ ბედი, კარებს მიღმა ჭრელ მაქმანებს ისევ ქსოვს,
ღმერთმა ხელი შემაშველოს ვითხოვ, ჩემზე იმეფოს.

ბუჩქის ძირას იამ ტყეში, ვით პატარამ იცელქოს,
გაიმრავლოს მეგობრები, ტყემ შრიალით იმღეროს.
ლაჟვარდ ცაზე მზის სხივებმა საუკუნოდ იმზეონ,
მწარე ფიქრებს ქარებს ვანდობ, მიმოფანტოს მთის წვეროს.

ენა ტკბილს და ენა მწარეს

არვის ჯიბეს არ ჩავცქერი, არცა სხვისი მიმაქვს რამე,
ჩემს ცხოვრებას მივუყვები, სულ შრომაში ვათევ ღამეს.
ზოგჯერ ქარი დამიბერავს ამირატაცებს, ამგვრის მთვარეს,
ზოგჯერ ენა მოტარტალე გულს დამიწვავს ძალზედ მწარედ.

მაგრამ, არვის ვეჯიბრები, თავმდაბლობ და თავს ვხრი ძალზედ,
თუმცა, მე თუ შემეხები , ტყავს ავაცლი მუხლისთავზედ.
ყველას მინდა მოგეფეროთ ენა ტკბილს და ენა მწარეს,
გაზაფხულის გაელვებას ნუ დაახშობთ ნურვის კარზედ.

არად ხარობდეს მამული

ჩონგურს სიმები შეაწყდა
და უმართავი რჩებაო,
ამდენი უპატრონობით
ლამის სამშობლო კვდებაო.

კაცი პატრონი არა ჩანს,
როკავს და სხვაგან ხტებაო,
ერთურთის გადაბრალებით
სამართალიც კი კვდებაო.

სამშობლო მონატრებულებს
სახლ_კარი ავიწყდებათო,
ვაჟი, წასული სხვის ომში,
გმირულად იღუპებაო.

ჩვენი სამშობლო, ბედკრული,
უომრად სხვებს ბარდებაო,
სურსათის ფასი გაზრდილა,
ბევრი შიმშილით ხმებაო.

ახალგაზრდებმა დაგვტოვეს,
ბავშვი არ იბადებაო,
მოხუცს, დამაშვრალს - პენსია-
თვის ბოლო ენატრებაო.

შური და ბოღმა ბატონობს,
ძველი დრო გვენატრებაო,
დილას გავცქერით ფიქრებით:
- ნეტავი, გათენდებაო?

და ამ ფიქრებში დავბერდი,
შვილებიც მიბერდებაო,
იქნებ გავზარდოთ მამალი,
გვაუწყოს გათენებაო.

იქნებ წიწილაც გავზარდოთ,
საზღვრებიც გამთელდებაო,
მაღალი ღმერთის წყალობა
ქართველ ხალხს წაადგებაო.

მინდვრად გართხმული მამული,
ღვთის მადლით წამოდგებაო,
ისევ იხარებს, ლუხუმი
მთაზე რომ შემოდგებაო..

ისევ იხარებს მტევნები
ისევ დავწურავთ ღვინოსა,
ქარათველმა უნდა ქართულად
სუფრაზე მოილხინოსა.

ხარობდეს მარაბდის ველი,
სიმწრით გორავდეს მტერიო,
ყველა ფლიდს, მოღალატესა,
ზურგს ასდიოდეს მტვერიო.

მარად ხარობდეს მამული,
მრავალი კარგის მქნელიო,
მემატიანეს მივანდოთ
ამბები კვლავ სათქმელიო.

დავხატავდი

დავხატავდი ცაზე ღმერთს, ცრემლი რომ უსველებს მკერდს,
დავხატავდი ანგელოზს, ფრთებით რომ ვერ გვიცავს დღეს,
დავხატავდი კაცს, ცელი რომ უმშვენებს ხელს.
დავხატავდი წვიმის თქეშს, მის მკერდზე რომ კაცი წევს .

დავხატავდი ნიაღვარს, ყველაფერს რომ სწყვიტავს წელს,
დავხატავდი ბოროტ კაცს, თვალებში რომ გველი დევს,
დავხატავდი მიწისძვრას, მისი გულიც ძგერს ,
გავხატავდი ღმერთს, იქნებ შეგვიბრალოს წელს..

დავხატავდი მზეს, ღრუბლებს რომ უკიდებს ცეცხლს,
დავხატავდი სატანას და ყველა მის წევრს,
დედამიწის დასაპყრობად კანონებს რომ წერს.
დავხატავდი მწვანე ველს, ღმერთი რომ გვარგუნებს მცველს.

მუზის ხმა

ვის შეუძლია შეაჩეროს ჩემი გულისთქმა,
ან კიდევ, შანთით დამიშანთოს სულის სიმები?
ვის შეუძლია შეაჩეროს ჩემში მუზის ხმა,
როცა გულიდან სიყვარულის ცრემლად ვიღვრები .

უკვე მრავალწელს ვეფერები მწველი მზის სხივებს,
ზოგჯერ ყინულსაც მე სითბოთი დავკიდებ მძივებს ;
ზოგჯერ ტკივილით მოვიგონებ დაკარგულ გმირებს,
ზოგჯერ სამშობლოს მონატრება მწარედ მატირებს.

იქნებ ვერ შევთხზე ლექსი ჩემი მზეზე ბრწყინვალე,
ნუ განიკითხავ, გევედრები, არ ხარ მოვალე,
ქართული სიტყვა სიყვარულით შემოგითვალე -
მინდა, მეც ვწერო სტრიქონები ზოგჯერ მღელვარემ.

ოდესღაც ჟამი განკითხვისა დადგება ალბათ.
იქნებ, ჩემს სიტყვებს არც ეღირსოს ზეცამდე ასვლა,
ამ ჩემს სულის თქმას ჟამთაღმწერელი თაროზე დასვამს,
მე მაინც მშვიდად გავაგრძელებ ღრუბლებში ასვლას.

იდიდგულე საქართველოვ

იდიდგულე საქართველოვ, რომ არ დაგცენ,გადაგთელონ,
ერო, ერთად შეივიკრათ რომ ეს გულები გავამრთელოთ,
არ დავუშვათ ჩვენს მიწაზე ეკალ-ბარდი გააშენონ,
იდიდგულე საქართველოვ, ერო, ქვეყნის გადამრჩენო!

არ დავუშვათ,ნება დავრთოთ მტერს და მისსა განაჩენსო,
დღეს სჭირდება გვერდით დგომა, ისევ მოუხმობს გადამრჩენსო.
ერთად, მტკიცედ როცა ვდგევართ, ღმერთი ლოცავს ჩვენს გამჩენსო,
სოდომ _გომორს რისხვას მოჰგვრის,დაინახვენ ქვაბში ცეცხლსო.

ისევ ავღორძინდები!

ნეტავ საით მიგაქანებს ქარავანი,
შემოგხსნია უპატრინოდ გალავანი...
გწიწკნიან და მაშველი კი არ ჩანს არავინ,
ყვავ-ყორნები შეგსევიან ყველა მხარის.

მაინც უძლებ, ვერ დაგკორტნეს თვალები,
დროშით ხელში წინ მიიწევ წვალებით,
დღევანდელ დღეს ყველა ვეთაყვანებით,
მაგრამ მარტო ფურცელს შერჩა ნატერფალი კალმების.

ვერ დაგადგით გვირგვინები დაფნისა და დიდების,
ჩემო ტკბილო საქართველოვ, მუხლზე სანამ იდგები?
შენ ხომ გმირი ქვეყანა ხარ, შენი გმირი შვილებით,
წამოდექი! შემოსძახე - ისევ ავღორძინდები!

დამიკოცნე

დამიკოცნე საქართველოს ცა და მიწა,
ქუთაისის სიყვარული გულს რომ მიწვავს.
მოეფერე, ყვავილებზე ადრე ამდგარ ნამს,
გალაკტიონს არ დატოვებ ვარდს მიართმევ მწამს.

თვითოეულ მიწის გოჯზე მონატრებით მთვრალს,
შენ გავედრებ მოეფერო, დამიკოცნო ხვალ,
ჩემი სული შენ ჩაგიდე გაგატანე თან,
ვიცი, რომ არ დამზარდები, ჩემი გული ხარ.

ელგბტ თემი არ გეღირსებათ

ჩემს ქვეყანაში კაცს, თანაც ვაჟკაცს,
ფასდაუდებელ ყველა ღირსებას
ვერვინ შეუცვლის და ნურც ეცდებით
ელგებეტ თემი არ გეღირსებათ!

ქალი იყო და მისი მანდილი,
მოქიშპეთ უმალ აშოშმინებდა.
ფასობდა ქალი, თავის მანდილით,
ძველ სამყაროში კარგად აღზრდილი .

გამოხდა ხანი ეჰ წახდა ქალი .
შეირთო ცოლი და გახდა ქმარი .
- ბიჭი გაჩნდა და ისროლეს თოფი,
ბოლომდე გახსენეს სახლისა კარი .

...გაზრდილა ბიჭი უნიჭო ნიჭით,
ქალობა სწადია ამაყობს ამით.
ქუჩაში ბღავის დღისით და მზისით :
- ქალი ვარ, ცოლად ხვალ მომყავს ყვავი .

რატომ აგორდა ამხელა ზვავი,
ვინ გაუყინათ, საბრალოთ, თავი,
ტვინის მაგიერ შიგ უდევთ ჭვავი,
გახელებულან ვითარცა სვავნი.

მხოლოდ დეკლარაცია

ო, რარიგად მიხაროდა
ოცდაექვსი მაისი,
ერი მუშტად შეკრული,
მომავალზე ხალისი.

მიუძღოდა ქართლის ლაშქარს
კაცი გულანთებული,
ხალხი რწმენით მიჰყვებოდა,
იმედით ანთებული.

სამშობლოზე სიყვარულით
მუდამ ალმოდებული,
ცივი ციხის კედლებში,
ბევრჯერ გამომწყვდეული.

სისხლის ფასად მოგვიტანა
ეს დღე წლობით ნატრული,
სამშობლოსთვის თავი დადო
თავი მრავალტანჯული.

ღალატი და მოღალატე -
ეს ხომ ქართველთ წესია,
სამწუხაროდ, ყველა დროში
შორს გაედგა ფესვია.

აქაც მტრისკენ გადიხარა
სასიკვდილოდ დიდი პინა,
და ზვიადმა ცივ მიწაში
სამუდამოდ ირგო ბინა.

ეჰ, მრავალი წელი არის
ვითომ ეს დღე გვახარებს,
სინამდვილე სხვა რამ არის -
გულს ბალღამი ამწარებს.

აქ რუსეთი, იქ ეუროპა,
იქით კიდევ ბაიდენი,
აღარ ვიცით ვის ვეკედლოთ,
კარებს ვერსად მივაგენით.

ამ წიწკნაში ჩემი მხარე,
ლამის გაქრეს რუქიდან,
მხოლოდ დეკლარაცია
დაგვაქვს გულის ჯიბითა.
.. ..
არა,არ მინდა ფურცელზე დარჩეს,
ჩემი სამშობლოს წმინდა დიდება,
მოველი იმ დღე ვინმე რომ გაჩნდეს,
კბილით დაიცვას ქართველთ ღირსება.

როს საფლავთან ჩამოივლი

როს საფლავთან ჩამოივლი ვითარც მგზავრი გზაზედა,
თბილ ღიმილით შემოგხედავ, ჰგავხარ ვარდებს ვარდზედა.
თვალს აყოლებ მოდარეჯეს საფლავის ქვას გვარზედა
უცებ ხელი გაგექცევა შემოირტყამ თავზედა.
რაღაც მისი წამიკითხავს - გაგიელვებს ციალით,
გზად გაცილებს გიჟმაჟური მისი თვალთა ფრთხიალი.
დაიდარდებ, რომ მოვიდა, იგი - ოხერტიალი,
მომიგონებ მწვანე კაბით, გიშრის თვალთა ცქრიალით...
გზას მიჰყვება, ერთი ქალი კაზმულ სიტყვის ფრიალით,
თუმცა სიტყვებს არ რგებია ბევრჯერ სხვისგან ფრიადი,
მაინც სათქმელს მიაგება ქალმა ლექსი ხმიადი,
იყო ქალი გულკეთილი, ლამაზი და ზვიადი,
ღმერთო, სული გაუნათლე, ხომ ხარ მარად დიადი.

ვერ შეაშინებთ შარაგზა

ცხოვრების შარა გრძელია, სავლელად მეტად ბნელია,
მხოლოდ ოცნების ყვავილებს ფოთლები შემორჩენია.
თავს გადაირჩენს ბრძენია, თუ არ გაუტყდა ცელია,
ოცნების დიდი კოშკიდან არ მოეცარა ხელია.
ოცნების თეთრო ყვავილო,შენი ფიქრები მწველია,
ცხოვრების შარა ბნელია, ყველასთვის თითქმის ძნელია.
ქარი უბერავს გზებზე და გადაეყრება მტვერია,
ფოთლები ხდება ძველია,დროში მოსწყდება წელია .
მაგრამ ფესვები რჩებიან,უწყლობით არა ხმებიან,
ცვარისგან დანამულები -ყლორტები- გაიზრდებიან
და ამ ცხოვრების სავალზე ერთობით აყვავდებიან!
ჩემი ოცნების ფერები არასდროს გამუქდებიან,
ოცნების თეთრი ყვავილნი ხატვაში გაწითლდებიან.
ვერ შეაშინებთ. შარაგზა, არასდროს წაიქცევიან!

არ წახვიდე

დამიჯერე არ წახვიდე, გზები არის უსასრულო .
უკან ვეღარ დაბრუნდები, თუნდაც ცა რომ მთლად დახურო.
სიცივისგან სული, გული რატომ უნდა გაახუნო,
დამიჯერე, არ წახვიდე, ბევრი ცრემლი არ დაწურო.
და ახლა მეტყვი: -შენ რომ წადი და ცხოვრება გაიკაფე?-
შემომხედე, მეგობარო, გული ყინვით გავიქაფე.
წლები ჩემი სილამაზის სხვის საყდარში ჩამოვკაფე,
რაც ვაკეთე ნული არის, აბა, რისთვის გავისარჯე?!
მე ამიტომ გეტყვი: დედავ,დაო, ძმავ და ჩემო შვილო
დამიჯერე, არ წახვიდე და სხვას არვის მიეშვილო.
ვარდს ფურცლები გასცვივა და გულჩამკვდარმა დაიჩივლოს,
ცარიელი ვარდის ტოტი არავის სურს მიიშვილოს.
კიდევ გეტყვი, დამიჯერე, არ წახვიდე უცხო მხარეს,
ზოგჯერ სახლში დაბრუნებულს შვილი აღარ გიღებს კარებს.
კათარზისში იცხოვრებ და ცრემლი ამოგივწვავს თვალებს,
მაშინ მწარედ დაინანებ, რომ წამოხველ უცხო მხარეს.

ვინა ვარ?

- ვინა ვარ? ცხოვრებამ ცოტა რამ მახარა,
წყარო ვარ ანკარა,ბავშვი ვარ პატარა,
გზებმა დახვეულმა სად აღარ მატარა .
წყალი მწყუროდა და ცრემლები მაკმარა.

დროებას გავუძელ ვით მუხამ ქარებს
მაინც გადავურჩი ტალღების ზვავებს,
მაინც წავაწყდი დარაზულ კარებს,
ძალით შევამტვრიე და ვაფრენ ყვავებს.

ძალას მოვუხმობ - როგორც მზე სხივებს,
კვლავ ძველებურად გულს გავუსხივებ,
მტერს და მოყვარეს გზას გავუხსნილებ.
დამწუხრებულ სულს მზეს ჩავუსხივებ.

და მაინც ვინა ვარ? ქალი ვარ,აბა რა!
ხის რტო ვარ ნაზი, ხანაც ცანცარა,
ხან გრიგალი - ხმაურით რომ ამდგარა,
ხანაც მინდორი - მწვანე და ხასხასა.

ბაგე -რომელიც ღიმილით გამთბარა,
სულით მებრძოლი და არა ბანცალა,
ძირს დაცემული, გზებს ვპოვებ ჩქარ_ჩქარა,
დიდთან დიდი , პატარასთან პატარა.

ღმერთო გვაკმარე!

ვხედავ, სამყაროს ბურუსში გახვეულს,
ბოროტ ხალხს ,წმინდანად შერაცხულთ,
ვხედავ საწყალ ხალხს თვალებ ახვეულს,
ვხედავ ანგელოზს ცრემლად დანთხეულს.

ვხედავ შავ ქარებს ყველგან მოდებულს,
ვხედავ მდინარეს გზებზე გადებულს,
სახლებს,მანქანებს წყლისგან წაღებულს..
მეორედ მოსვლის ვხედავ სასწაულს.

ვხედავ, არ ცხრება ტორნადო, წყალი,
შემოანგრია ჯებირი, კარი...
რა რიგად რეკავს მწუხრისა ზარი,
მდინარეს მიაქვს კაცი და ქალი.

მე მათი მზერით ამეწვა კანი,
ღმერთო, გვაკმარე, დარაზე ცანი!
გაშალე შენი მფარველი მკლავი,
ცრემლით არ დაწვა მოწყალე თვალი...

გაქრა ღიმილი

სახეზე გაქრა ღიმილი,
გულს შემომაწვა სევდა და...
გულო, არ გინდა ტკივილი,
თვალი ჩაუკარ მზესა და..

წამოდი ბაღში წავიდეთ,
ერთად დავკრეფდეთ ღიღილოს,
ერთად ყველაფერს ავიტანთ
დღემ ხვალინდელმა გვიღიმოს.

გულო,არ გშვენის მოწყენა
მე თვალზე ჩუმი ცრემლები,
მხოლოდ მიხდება მოლხენა
ვარდს ვინ შემოხსნას ეკლები.

ნუ გაიხსენებ ცუდ სიზმრებს,
ნუ შემომაჩვევ სევდასა,
ღმერთი აუხდენს მიზნებს,
ქართველ ქალსა და დედასა

ის ერთობა მინდა

როგორ მიყვარს ჩემი გვარი
ჩემი, მიწა ჩემი, წყალი...
ჩემს მიწაზე გუთნით ხარი,
ბელტებად რომ მიაქვს კვალი.

შემოდგომის მსუყე ყურძნის მოსავალი,
სტუმრისათვის მუდამ ღია გულისკარი,
კეთილად რომ თუნდაც მიაწოდო წყალი.
სიყვარულში- მიყვარს _ გაუჩენი ბზარი.

ამაღლება დღეს კი გუდულაში მწვანით.

ჩემი მწვანე მთები, ამაყი და წმინდა
და ბავშვობის წლები, ბებოს მატყლის წინდა,
კაკლის ძირში სუფრა გადაშლილი მინდვრად,
მენატრებად დამრჩა,ის ერთობა მინდა.

ნელი ტორონჯაძე

სიკეთეს ვთესავთ,სიკეთეს ვიმკით

წლებს რომ გავყურებ,ფიქრები მტანჯავს,
რამდენი რამის შეცვლა მინდება.
რამდენ ვინმესაც გზებზე წავშლიდი,
მათთან შეხვედრა არც მომინდება.

ცხოვრება რამდენ რამეს გვასწავლის,
ეს რომ შეიგრძნო,წლები ჭირდება.
მაგრამ სჯობს გვიან,ვიდრე არასდროს,
ზოგს რომ,,გაიცნობ" გაგიკვირდება.

სანამ მეგობარს ვუწოდებთ ვინმეს,
მანამ გამოცდაც ბევრი გვჭირდება.
როდესაც ჩათვლი ნამდვილ მეგობრად
თიქოს ახალი რაღაც იწყება...

არ დაცილდებით ფიქრით, გონებით,
ჭირში და ლხინში გვერდით იქნება.
ამ საწუთროში რომ ვართ დროებით
ესეც ნურასდროს დაგვავიწყდება.

სიკეთეს ვთესავთ, სიკეთეს ვიმკით,
ცუდს თუ ვაკეთებთ გზებზე იყრება.
ბუმერანგივით შემობრუნდება,
გული უფალზე ნუღარ დაგვწყდება.

ყველას ოჯახში იყოს სიწმინდე,
ყველა სათავე ხომ იქ იწყება.
უფალო ღმერთო! ყველას გულებში
იყოს სიკეთე და მორიდება.

დიდება უფალს

უფალო შენი შვილი ვარ,
კვლავ მოგაკითხე ამ დილით.
შენს გზას ვადგევარ იცი და
მუდამ შენი გზებით ვივლი.

გაბარებ ოჯახს ჩემს შვილებს,
შვილიშვილების ღიმილებს.
რაც დარჩენილი წლები მაქვს
მათზე ვილოცებ დღითი დღე.

გავედრებ მე ჩემს სამშობლოს
და მის დახატულ მთა ველებს.
სანამდის სული მედგმება
ლოცვით ავაპყრობ ცას ხელებს.

მამაო ჩვენო -ს აღვავლენ
ძილის წინ,განთიადამდეც.
ყოველთვის იმედით მივალ
ეკლესიების საყდრამდე.

მშვიდობით გაგვთენებოდეს
ყოველი დღე უფლის ნებით.
ვილოცოთ,მუდამ ვილოცოთ,
ვიყოთ სულ ღმერთის იმედით!

ბედის ბორბალი

რამდენ რამესაც ენით ვერ აღწერ,
რამდენი რამე გულში ტრიალებს.
ვებრძვი დღე და ღამ ფიქრს მოუსვენარს,
აღმა დაღმა რომ დაბორიალებს.

კაცი ბჭობს,მაგრამ ღმერთი იცინის...
ბედის ბორბალი ბრუნავს,ტრიალებს.
ღმერთო უნარი შემარჩინე და
ხან შხამს შევსვამ, ხან შვების ფიალებს.

როცა იმედი თითქმის აღარ ჩანს,
უფალი სწრაფლ მიშუშებს იარებს.
მეც ვერკინები ცხოვრებას გზებზე
ჩემით ვიშუშებ გულს ნაიარევს.

ზოგჯერ ჩამქრალი ნაღვერდალიდან
უეცრად ცეცხლის ალი ბრიალებს,
თუ დავეცემი,კვლავ წამოვდგები,
გულით რკინა ვარ და ვაღიარებ.

***

ვაზის ხეივანს რომ გაუყვები,
ნუ დაივიწყებ მომყვანს იმისას.
დილის ლაჟვარდში მტევნებს მზის სხივი
ეალერსება აფრქვევს დილის ნამს.
ქართველი მუდამ ღვინით ფასობდა,
ღვინის ნაჟურით ლოცავდა მოდგმას.
ჩვენც გავაგრძელოთ წინაპართ ლოცვა,
ლოცვა ქართველებს ოდითგან მოგვდგამს.
ქართულ ადათ წესს ნუ დავივიწყებთ,
ქართველი მუდამ შრომით ფასობდა.
გონიერება, წიგნიერება, ქართველს
ამკობდა და ხალისობდა.
გოგო ბიჭები კალმით ნახატი
საქართველოში სიბრძნით ფასობდა.
ნუ დავივიწყებთ ჩვენს ადათ წესებს
ქალი ქალობდა კაცი კაცობდა!
ვაზის ხეივანს რომ გაუყვები
არ დაივიწყო კაიკაცობა!!!

გული დავატყვევე

გული დავატყვევე,გრძნობებს გავექეცი.
თვალი აგარიდე და გზებს გავუყევი.
გულის ფორიაქი თავს კი არ მანებებს
გულს ხომ კვლავ უყვარხარ,ისევ გაგიჟებით.

გულის კარნახია სხვა არ შევიყვარო
და შენ დაგელოდო,ძველი შემართებით.
უსიყვარულოდ ხომ ცხოვრება ძნელია,
წლები ციფრებია,სხვა ხომ არაფერი.

უნდა კვლავ გიყვარდეს,თუნდაც წარმოსახვით,
ცხოვრება ისედაც მართლაც ზღაპარია.
თუკი გაგიმართლა,ღმერთს მადლობა უთხარ,
უსიყვარულოდ კი გულს სულ ზამთარი აქვს.

ჭიქა ღვინოში რომ ნაღველს ჩააყოლებ,
გულის ფორიაქი თავს რომ არ განებებს.
წლებს რომ გადაითვლი,სახის ნაოჭს ითვლი,
სახის ნაოჭს შერჩა შენი კოცნის ხიბლი.

*

წარსულის აჩრდილს ზურგი ვაქციე,
მინდა რომ ყველაფერი წავშალო.
ძველი დღიურის ჩანაწერიდან
ყველა ფურცელი ამოვაცალო.

როს წამოვდგები უფალო ღმერთო
ცოტა ხნით ამოსუნთქვა მაცალო.
სულ ნაღვლიანი სახით რომ მტოვებ,
იქნება ღიმილიც დამაცალო!

გულო გამაგრდი,შენ უნდა შეძლო!
კვლავ გაბრწყინდება ირგვლივ სამყარო.
უფალი არასდროს მიგვატოვებს
დროა ღიმილი ჩამოგვაყაროს...

წინათგრძნობა მაქვს,ჩემი ღიმილი
ისევ იქნება გულით მართალი.
ჩემთვის ღრუბლებში გამოიდარებს
მეც შევიცვლები,ვით წმინდა წყალი.

შენ რომ გული გქონოდა

შენ რომ გული გქონოდა
მე არ მიმატოვებდი,
ამ ცხოვრების მორევში
მარტო არ დამტოვებდი.

ეხლა სადღეგრძელოს ვსვამ
გრძნობა მაქვს მორეული,
ჩვენს სიყვარულს შევამკობ
მე სასმელ მორეული.

შენ რომ გული გქონოდა
მე ერთ შანსსაც მომცემდი,
გულში ჩაგიკონებდი
ბაგეზე გაკოცებდი.

შენ რომ გული გქონოდა
მოვივლიდით სამყაროს,
ერთურთის სიყვარულში
ტკბილად მივყვებოდით დროს.

მე გულით გადღეგრძელებ
მეგონა რომ გიყვარდი,
მზე მცხუნვარედ ანათებს
დაჭკნა ოცნების ვარდი...

გული თუ გატყდა...

გული თუ გატყდა,არ გამთელდება,
ნაღველი გულში მუდამ იქნება.
თავს ნუ დახრი და მხრები გაშალე
ცხოვრება შენთვის ეხლა იწყება.

გზებზე განსაცდელს ბევრსაც შეხვდები,
სულ არ გექნება თავდავიწყება.
გულში იმედი ჩაისახე და
ხვალის იმედი მუდამ იქნება.

წუწუნით ღმერთს თავს ნუ მოავაბეზრებთ,
ჩვენი მარჯვენის გვქოდეს იმედი.
კეთილ ხალხს მუდამ მივუგდოთ ყური
მე ამ დასკვნამდე ჩემით მივედი.

ღმერთის იმედად სულ ნუ ვიქნებით,
ხატების წინ კი ნუ მოვდუნდებით.
როს დავეცემით,წამოვდგეთ ფორთხვით,
ჩვენთვის ტკბილ ლუკმას ასე მივწვდებით.

მალე დამტოვებს მთვარე

მალე დამტოვებს მთვარე,
მეკი შემოვრჩი ღამეს.
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...
ძილი არ ეკარება თვალებს.

ღამის წყვდიადში გაჰკივის ქარი,
ვიღაცა ითხოვს შველას.
არავისა აქვს იმ მგზავრის დარდი
თავის,,ნაჭუჭშია" ყველა.

მიუსაფარი მგზავრი,
უფლისგან ითხოვს შველას.
იქნებ თვით უფალია და
გამოცდას გვიწყობს ყველას.

ვის როგორ შეგვიძლია,
არ დავიშუროთ ძალი.
ღამის წყვდიადში გზაარეულებს
მოვაძებნინოთ კვალი.

მარტოსული ნუ დარჩება
ქვეყნად კაცი თუ ქალი.
არ აგრეოდეთ არასდროს
უფალთან მისასვლელი კვალი.

რამდენი, რამდენჯერ

რამდენი ლექსი შენზე დავწერე,
რამდენჯერ სიყვარულით აგღწერე.
განმარტობულს მეღიმება და
ღმერთო! ამდენი როდის დავწერე.

ამ გულს უყვარხარ ისევ იმ გრძნობით,
შენს სულს ვეხები ლექსის შტრიხებით.
სიზმარში რატომ აღარ მოდიხარ
რომ გამახსენო ლამაზი წლები.

გახსოვს?პირველი ჩვენი შეხვედრა
ასე მეგონა შემესხა ფრთები,
მე შენ მიყვარხარ მორცხვად მითხარი
და ჩემს გულშიაც გაიდგი ფესვი.

ბედნიერების გაგრძელდა წლები,
მერე კი თითქოს ღრუბელი გაჩნდა.
ოხ ის მესამე, შემოგიჩნდა და
ჩვენს სიყვარულის შუაში ჩადგა.

მე ცხოვრებაზე გული არ მწყდება,
მაგრამ ყოველთვის რაღაცა მაკლდა.
სიყვარული ხომ ამ გულში დარჩა
მისი ავტორი ჩემიდან გაქრა.

ეხლა ვზივარ და ვიგონებ წარსულს
და მეღიმება ყველა სტრიქონზე,
ბავშვური გრძნობა, გძნობა გულწრფელი
გულით ვატარებ მრავალი წელი.

მე მინდა ყველას რომ დაგილოცოთ
პირველი გრძნობა,ტრფობა პირველი.
მერერა თუკი წავიდა ჩვენგან,
ჩვენც ჩვენი გზა გვაქვს და უფლის ხელი.

უშენობას განვიცდიდი

როგორ მინდა მოგეფერო,
მაგ მკერდზე რომ დაგეკონო.
ცუდი წლები დავივიწყო,
მხოლოდ კარგი გავიხსენო.

წლები გავძელ უშენობით,
ფიქრით მუდამ ჩემთან მყავდი.
გარეგნულად ვიღიმოდი
მარტოსული შეშლილს ვგავდი.

უშენობას განვიცდი,
მონატრებას გულში ვკლავდი.
მოდი უნდა გამოგიტყდე
სიყვარულს წყურვილით ვკლავდი.

ჩვენს სიყვარულს ვიფიცებდი
მიყვარდი და გულით მწამდი.
ბევრ რამეზე დამაფიქრა
იმ დღიდან ჩემგან რომ წადი.

როგორ მაოცებ

როგორ მაოცებ,გრძნობებს ვაოკებ,
წარსულის აჩრდილს სდევდი უგანოს.
ყველაფერს რაც რომ გულს გიტანჯავდა
ის არ აღმოჩნდა უკიდეგანო.

ჰორიზონტს მიღმა იმედი ჩანდა,
იმედმა ჩაკლა დარდი რომ გკლავდა.
გულიდან სულ მთლად გადაიყარე
ერთ დროს რომ გწამდა,ვინც რომ გიყვარდა.

წარსულის კარი მჭიდროდ დახურე
აღარ იფიქრო მომავლის გარდა.
უფალმა ღმერთმა გზა დაგილოცოს
არ შეიყვარო სამშობლოს გარდა...

დარაბებს მიღმა გაზაფხულია
და აიწევა სცენაზე ფარდა.
მარიონეტის დრონი დამთავრდა
გულით იხარე,არ იგრძნო დაღლა.

ქალი ჩალის ქუდით

ვზივარ ჩემთვის მატარებლის ბაქანზე და
მინდა დრო რომ გავიყვანო მგზავრთა ცქერით.
ვხედავ ჩალის ქუდით ქალი მოაბიჯებს,
მონარნარებს მხრების რხევით.

ჩალის ქუდში თვალები სულ არ უჩანდა,
მაგრამ ტანი ჰქონდა შესადარი შველის.
გვერდზე ისე ახლოს ჩაიარა ჩემთან
მინდოდა რომ შემომეჭდო წელზე ხელი.

დრო გამოხდა,ბაქანს ხშირად ვაკითხავდი,
სიბერემდე დაეძებდა ჩემი გული.
სასწაულად, თითქოს მზის სხივი დამეცა,
ბაქანზე გამოჩნდა ქალი ჩალის ქუდით.

სახეს თითქოს ნაოჭები დატყობოდა,
ჩალის ქუდი აღარ უფარავდა თვალებს.
ტანის რხევა ძველებური შერჩენოდა,
უნებურად ავედევნე მის ნაკვალევს.

ქალი ძველ ჭიშკარს მიადგა და ძველ ურდულს
გასაღები ვერ მოარგო გაუჭირდა,
მოგეხმაროთ ქალბატონო ნებას დამრთავთ?
უცბად შეკრთა,სითამამე გაუკვირდა.

თითქოს ისიც ჩემს გამოჩენას ელოდა,
გასაღები მომაწოდა არც დაფიქრდა.
ამის შემდეგ ერთად ვაღებთ ჭიშკარს დინჯად,
ასე გაგრძელდა ჩვენი ცხოვრება, ტკბილად, მშვიდად.

მარინა კოლხელი

ა რ ა გ ვ ი
(სიმღერა)

დილაადრიან მოისმის
სიმღერა _ არაგვიანი,
აქ კაცი ვეღარ მოიცდის,
არ გახდეს არაკიანი.
მის ჭალებს ქვიანს, ღორიანს,
სხვა სიკეთეზე არ გავცვლი,
ცის ცრემლებისგან მორთულა
ხეობა შავი არაგვის.
პირმშვენიერი ველები,
გახარებულა ადრიან,
მათი სიტურფით დღეები,
ლაღ ოცნებებში გადიან.
სულ ნაპირ-ნაპირ დავკოცნი,
არაგვს შფოთიანს, დარდიანს,
აქ ჩემი ყმაწვილქალობის
კვალი ყვავილებს ატყვია.

ფრთებმოტეხილი

ოცნებით ზეცას იპყრობდა,
ფრთებმოტეხილი ფრინველი,
დანარნარებდა, თითქოსდა
ულამაზესი იერით.
მიწის სიტურფით ტკბებოდა,
გეგონებოდა ძლიერი,
უფრთოდ, უქმრო ქალს მოჰგავდა,
ვითომდა, ჩანს ბედნიერი.
ძირს ბევრი ისარს ესროდა,
იცდენდა ტანთ მშვენიერი,
გაფრთიანება ეწადა,
ვერ ჰპოვა მან ღვთისნიერი.

მ ზ ე

მზე თითქოს ბეწვით ეკიდა ცაზე,
ცდილობდა ძირს არ დაცემულიყო,
მოებღაუჭა ჰორიზონტს ხაზზე,
ბრდღვიალებდა და ამაყად იყო.

მზე თავის სხივით გულებს სტუმრობდა,
ანაწილებდა სინათლეს, სითბოს,
მადლს და სიკეთეს ყველას უყოფდა,
თუმც მადლიერი ყველა არ იყო.

ეს მზე არის და ჩვენ კი კაცნი ვართ,
დედამიწაა ჩვენი ადგილი,
ბეწვის ხიდზედაც კი გადავდივართ,
ხან არ გვიხდება ჩვენი წადილი.

მზე თითქოს ბეწვით ეკიდა ცაზე _
და კაცთაგანი ვერ მიხვდა რაზე...

სატრფიალო
(სიმღერა)

მე გამაგიჟა შენზე ფიქრებმა
და ბნელი ღამე მათენებინა,
მე შენნაირი არ მეგულება,
რომ შენს მაგივრად მაფერებინა.

გადარეული, ფიქრებით დავალ,
გზებზე დავეძებ შენს ნაფეხურებს,
შენ კი ჩემს მკერდზე ნარნარით დახვალ,
სხვა რა ვიფიქრო შენმა შემყურმემ.

ჩემი ფიქრები ვარსკვლავად იქცა,
ხან ბინდისფერი, ხან მოკაშკაშე,
სიმღერად მინდა ლექსები გითხრა,
რომ შენნაირი ვერავინ ვნახე.

თუ კი მოსწყდება ჩემი ვარსკვლავი,
ფიქრთა ქცეული ზეცის მშვენება,
დაველოდები გულისფანცქალით
და ღამენათევს ამემღერება.

ზ ა ფ ხ უ ლ ი
(ბავშვებს)

აი, უკვე ზაფხულია,
უხარია მანანას,
ჩიტუნების ჟღურტულია,
წვიმამ მდელო დანამა.

ყველა ბავშვი ეზოშია,
გარეთ გამო ლამარა,
სკოლიდან ხომ დაგვითხოვეს,
ვინავარდოთ თამამად.

ვისეირნოთ, ვითამაშოთ
"კლასობანა" გზა და გზა,
დილის სხივებს მივეგებოთ,
ჩამოგვაფენს ლამაზად.

ხტუნაობა, "გასწრობანა",
მერე "დამალობანა",
შუადღე კი, კითხვის დროა,
წიგნთან ჩახუტობანა.

ამაღამდელო ღამეო...

მთვარე ბნელ ზეცას ისე ანათებს,
ვით გულს მოწოლილ სევდას უფალი,
მთვარე აქარვებს, ვდარდობ არაფერს,
სიხარულისგან მცვივა კურცხალი..

მთვარეს ვედრები შენთვის ნათებით
და მის სხივებსაც გულში ვინახავ,
სიყვარულისთვის ხელებგაშლილი
დაგელოდები, ნურსად ნუ წახვალ...

ამაღამდელი ღამე მთვარესთან,
როს გათენდება, ვიცი დაღლილი,
განშორებაა მისი ღამესთან,
ალერსითა და გრძნობით დაცლილი.

მეც თან წამიყვანს მისი ნათება,
თან გავიყოლებ თეთრ სხივთა ალერსს,
მთვარის ღამესთან დღეს განშორება,
ჩვენ შეგვახვედრებს მთვარიან ღამეს.

* * *

სხივებს ჩაეცვათ თეთრი პერაგი,
ცის თავს ღრუბლების ფთილა ფარავდა,
უკვე დაცლილი ვიყავ, ვხედავდი,
რომ შესავსებად სითო დამაკლდა.

მეგონა, გული ხელით მიწვდილი,
შეშლილ გარემოს გადაარჩენდა,
დავრჩი ცარელა, გონებმიხდილი,
წვეთებს დავეძებ სულს საამებლად.

ს ი მ ღ ე რ ა

გული ვერ იტევს სიყვარულს,
დაფრინავს, ცასაც ეწვევა,
დაბლა დაიწყებს სიარულს,
ფრთები თუ შემოეხევა.
გული პატარა, ვერ უძლებს,
დიდი გრძნობების ბრძანებას,
სისხლს აჩქარებს და ადუღებს,
მიექან-მოექანება.
გული სიყვარულს უპყრია,
თვლებს კი შენი სიტურფე,
სულ ერთი ბეწო უკლია
და ჩანჩქერივით იხუვლებს.
გული პატარა, უძირო,
სიყვარულისთვის ანთია,
ჩაიფერფლება, თუ კი როს
კეტავ, არ ტოვებ კარს ღიად.

ვალიდა ხარებავა

ეჰ მამულო

პოეტი რა პოეტია,
ყველა თემას თუ ვერ რითმავს,
ქვეყნის,ხალხის სატკივარი,
გულიანად თუ ვერ გითქვამს.
სწავლობს,იბრძვის,დიპლომს იღებს,
შრომობს მერე ამ თავს,იმ თავს,
სამსახურს არავინ აძლევს,
მის ქვეყანას,ფეხს ვერ იდგამს.
რას აკეთებს?-განცდებშია,
დარდი გონებას უფიტავს,
რა გაწუხებს?-მმართველობას
არც არასდროს არ უკითხავს.
საკონსულოს, რიგი არის,
ევროპის და ამერიკის,
ეჰ მამულო,ვიცი გტკივა,
უმოქმედო მთავრის გიკვირს.
სიმწრით ნაზარდ შვილებს გზავნი,
სხვა ქვეყნების ქაოსებში,
იტანჯები,რომ იჭრები,
ამ ცხოვრების გამოცდებში.
ეჰ,მამულო,ეს შენ იცი,
წასულები, უცხო მხარეს,
ქაოსს ფეხი ვერ აუწყვეს
და შენს მიწას მიაბარეს.
საფლავებში ტრიალებენ,
ალბათ ჩვენი წინაპრები,
ნაკუწ,ნაკუწ დაგშალეს და
მოტომ ფეხზე ვეღარ დგები.
პოეტი რა პოეტია,
თუ ყველაფერს მშვიდად უმზერს,
მარტო საკუთარით ტკბება,
მისი თვალით ყოფას უმღერს.

ვინ ვართ...

ვინ ვართ,ამ ქვეყნად რისთვის მოვედით,
რისთვის ეწამა ჩვენთვის უფალი,
თუ უფიქრია მოკვდავს გონებით,
ოდეს ყოფილა?-თავისუფალი.

ნაცად შეცდომას თუ იმეორებს,
შვებას როგორ ჰგვრის უფლის ვედრება,
ჩუმად ყოფნა სჯობს,გავიმეორებ,
"რაც არ გერგება, არ შეგერგება".

ბუმბერაზ მთებსაც დასცქერის მაღლით,
ფრინველთა მეფე,ამაყი თვალით,
ხომ შეიძლება ძირს დაენარცხოს,
არ დაიკვეხნოს არავინ, ხვალით.

შენ რა გატირებს ობოლო სულო,
აალებულხარ უქრობელ ცეცხლად,
ნუთუ არ გახსოვს ქრისტე გაყიდეს,
სულ რაღაც იცი?-ოცდაათ ვერცხლად.

შეპყრობილია ადამიანი,
ვერცხლთ სიყვარულის ძლიერი ვნებით,
ისე მიიწევს წინ და ვარდება,
წუმპე,ჭაობში მისივე ნებით.

იესომ მშვიდად რამდენჯერ სცადა
ზრახვებზე იუდას აეღო ხელი,
მაინც დასძლია სიხარბემ ცოდვილს,
გახდა ის უფლის ფარული მკვლელი.

ჰო,სასწაული,მას მერე მოხდა,
რომ შეიბრალა იესომ მტერი,
რა დრო გავიდა, ამ მაგალითით
არ შეიცვალა ერი და ბერი.

ვინ ვართ,ამ ქვეყნად რისთვის მოვედით,
რისთვის ეწამა ჩვენთვის უფალი,
თუ უფიქრია მოკვდავს გონებით,
ოდეს ყოფილა?-თავისუფალი.

სონეტი.....

იფერფლებოდა ღამე, უღრუბლო,მთვარის ციალში,
გრძნობებით სავსე,იწერებოდა ვრცელი სონეტი,
მოვარდნილ ღვარცოფს უგავდა სახე,ორომტრიალში,
როცა ფურცლავდა, ლექსებით სავსე რვეულს, პოეტი.

ღია ფანჯრიდან თვალს შეავლებდა მბჟუტავ ვარსკვლავებს,
აისის,მოსვლას რომ ახარებდნენ მნათობნი, ღამის,
წერდა და წერდა, გაუდიოდა ალმური კალმებს
საკუთარ ხმაზე შეიფხიზლებდა,"-გათენდა ლამის".

სამშობლოს ხვედრით შეწუხებული ოხრავდა ჩუმად,
იმედთა ხავსებს ეჭიდებოდა თავის მუზებში,
დაღლილ გონებას შეესეოდა უკუნ ღამეში,
და შეარჩევდა ყველაზე ძვირფასთ,თავის "სტუმრებში".

ასწევდა თავს ის,როს დილის სხივი მოულოდნელად,
საწერ მაგიდას ენარცხებოდა და იშლებოდა,
გაიფიქრებდა, არ აპირებდა ამინდი წვიმას,
მოვარდნილ ქარზე,ბრაზმორეული შეიშლებოდა.

იფერფლებოდა ღამე უღრუბლო.....

სევდას მონატრება მოსდევს...

სევდას, მონატრება მოსდევს,
ნატვრას, უსაშველო სევდა,
შუა,როს აღმოვჩნდი,ორ ხევს,
შიში განმიახლა ელდამ.

როგორ დავიამო,ისევ
უხვად მოწოლილი დარდი,
ქარო,ამოვარდი,ცის ქვეშ
იქნებ შენ მასწავლო ფანდი.

ღრუბლებს თუ მოუშვებ ჩემთან,
მინდა თქეში წვიმა ახლდეს,
ცრემლი ჩამომბანოს,ერთად
ყველა ოცნებები ახდეს.

მერე ვიმაისებ მზის ქვეშ,
ციმციმს არ მოვაკლებ თვალებს,
ერთად გავისტუმრებ, მუხთალ,
მთელი,ამ ცხოვრების ვალებს.

სევდას, მონატრება მოსდევს,
ნატვრას, უსაშველო სევდა.....

იწვიმა

ცოტა იწვიმა,ქარმა მოიტანა სურნელი მიწის,
შუშხუნით შეისრუტა წყლის წვეთები გამშრალმა მიწამ,
ვხედავ ძირს,ხე თითქოს ბალახთა საცოდაობით იწვის,
სუნთქვა დაიწყო კვლავ, გახურებულმა,დღეს დედამიწამ.

იქნება გვირილებს ფესვები შერჩათ ჯერაც ცოცხალი,
ცაო იწვიმე ცოტა კიდევ, ისევ სწყურია ბალახს,
ტოტები ასწია,კმაყოფილია ბაღში მოცხარი,
იწვიმე ცაო,კოკისპირულად,ვინ ჩივის ტალახს.

ქარო,შეეშვი,ნუ გაფანტავ ღრუბლებს,დღეს წვიმა მინდა,
ჩარეცხოს იქნებ, უხილავი,ახრჩობს სამყაროს მტვერი,
მერე კი გამოჩნდეს,ზეცა კამკამა,ლურჯი და წმინდა
და აღვიქვა ისევ ცისარტყელების შვიდივე ფერი.

ცოტა იწვიმა,როგორ გადაურჩენს ფესვებს გვირილებს,
ქარი მეურჩება,ნეტავ მოწყენილს დღეს რას მიპირებს,
რა გადაიტანს მიწის გვემას,მწარედ გლოვობს ჩითილებს,
დაველოდები,ღრუბელი ხომ ხედავს,იქნებ იტირებს.



ნინა გაჩეჩილაძე

სიყვარულის მწყემსები

მოწყენილი ამინდი,
სევდისფერი ლექსები,
ცხოვრებისგან დაღლილი
სიყვარულის მწყემსები.
რა უცხოა...რა ხდება?
ცაც კი მუქი ფერია,
თენდება და ღამდება,
არ ელი, არც გელიან.
მარტოობის ამარა,
ან მოვა და ან არა,
გრძნობამ შეკრა კამარა,
შორეული გამხდარა.
ტკივილს, გულის მხარეში,
ფესვი მყარად გაუდგამს,
ცრემლებს- ჩამდგარს თვალებში
ჩუმი დარდი გაუთქვამს.
კოშკი, სიმწრით ნაგები,
ცალ მხარეზე დამზრალა,
იები- ლურჯთვალები,
დამჭკნარან და გამქრალან.
ბაღჩაში ხე- ტყემალის
დგას ფეხზე ჩამომხმარი...
ეს ტურფა პატარძალი,
თეთრ სამოსში ჩამჯდარი.
ხმელ ტოტზე მობუზული,
ჩამომჯდარა ბეღურა,
სატრფოზე გულმოსული
ტირის თუ მომეყურა?
მოწყენილი ამინდი,
სევდისფერი ლექსები,
ცხოვრებისგან დაღლილი
სიყვარულის მწყემსები.

ისარტყელა

მზე, წვიმა, ქარი...
მტირალი ქალი...
ცივია წვიმა,
ამინდი მწყრალი.
ქარიშხალს - გულში
მქროლავს, ატეხილს,
რა ჩააყენებს რისხვის ქარტეხილს.
ნაჯაფარ ხელებს
ასკდება ძარღვი,
სისხლი აწვება
ფრჩხილების კიდეს,
გაგიგონია? - სიკვეთეს თესდე...
მადლის ნაცვლად კი,
ნარ-ეკალს მკიდე?!
არა და არა!
კეთილს ვერასდროს
ვერ დაამარცხებს ბოროტი ვნება!...
...ჩადგა ქარი და
დაწყნარდა წვიმა,
ხიდად გაიდო
ცამ ცისარტყელა.

ნასოფლარს დამსგავსებიხარ

ნასოფლარს დამსგავსებიხარ
ერთ დროს მდიდარი სოფელი,
როგორც ბუხრის პირს დამჯდარი
მოხუცი, ფიქრის მთოველი.
არც- შეძახილი მაღალი,
არც- ჟრიამული კაცისა,
არც- მოწვეული მაყარი...
ობოლი ყეფა ძათლისა.
ფიქრი ფიქრს მიზდევს
და სულში დგება ვარამი მტანჯველი,
გულის საპირე ხავსს იდებს,
საპირე, მრავლის მნახველი.
ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს
ძალა- გულსა და მარჯვენში,
ეფერებოდეს მთას და ბარს,
არ დარჩეს უცხო მხარეში.
რომ კვლავ გამდიდრდეს სოფელი,
გალაღდეს, ლხენით იმღეროს,
ყოველ ცისკარზე ყოველი
სალხინო ფერით იფეროს.

გულის წადილი

თვალებდი მჩხვლეტენ მაყვლის ეკლები,
წამით ვერ შევძელ რომ ჩამეთვლიმა,
ვერ შევძელ მარტომ- გადმედგა მთები,
ვერ შევძელ ლხენით რომ გამეღიმა.
ჰაი, დედასა!- დრო როგორ მიქრის,
ვერ მოვერიე დარდს სატიალეს,
ვერ მოვერიე ამ სულის ტკივილს,
ვერ განვეშორე ბნელს და ყიამეთს.
ღმერთო, მიბოძე გაბედულება,
ხარობდეს ჩემი სულის ყვავილი,
ყვაოდეს ჩემი დედა- ბუნება,
ამიხდეს ჩემი გულის წადილი.

ლექსო

ლექსო, არ მიმატოვო,
გულის ხმაურს გაუძელ,
ჩემი სულის ბატონო,
წლებს რომ გასდევ დაუძლევს.
როგორც გადამარჩინე
ობოლი და ღარიბი,
სიტყვა ოქროდ მადინე,
სიტყვის ძალით განდიდდი.
ხმა აწვდინე ყოველ კაცს,
გახსენ ურდულ- კარიბჭე,
გაჰყევ უფლისმიერ გზას,
შვებას ის მოგანიჭებს.
არ შედრკები ძვირფასო,
ვიცი, მეიმედები!
მეუბნები- მიყვარსო-
გზები, დაუძლევლები.
სიმღერად ილაღობე,
ლამაზ ხმაში ამღერდი,
ილხინე, იგალობე,
გაიზარდე, გაბევრდი.
ვით შვილები ნანატრი,
ნაფიქრ- ნაოცნებარი,
გაიზარდე, აყვავდი
გადაპენტე მთა-ბარი.
მოდი ყოჩივარდებად,
ველზე ლურჯ-ლურჯ იებად,
კლდეებზე კესანებად,
მთებზე ტურფა იელად.
ლექსო არ მიმატოვო,
შენი მონა, მეხოტბე,
ჩემი სულის ბატონო
მემეგობრე, მეტოლე.

გრძნობები წუხან

გრძნობები წუხან,
ადრიანმა გარიჟრაჟმა გამოიგლოვა
დიდი წუხილი,
ცისკრის ვარსკვლავს მიაბა კუდზე,
ერთი სიტყვაც კი
საპასუხოდ არ დაიტოვა,
ხანჯალი - ძლიერ,
კიდევ ერთხელ დაირტყა გულზე.
ხვალინდელი დღე
იტყვის მხოლოდ,
იტყვის მის სათქმელს...
სისხლმდინარებით
ნახანჯლარი არ შეხორცდება,
ხელები თრთიან,
ვერ იჭერენ თითები სანთელს,
გრძნობები წუხან...
გაიყოლა ღამემ ოცნება.

როგორც არასოდეს! – მჭირდები

შენ რომ მიმატოვო...გავქრები!
ნისლში შევერევი მაღალ მთებს,
სუფთა და უმწიკვლო სივრცეში
ნამად გავებნევი სანახებს.
ამოდი, ამოჰყევ ქარიშხალს,
დაქარგე ფერადი ხალიჩა,
თბილ ამინდს ჯერ პირი არ უჩანს,
გრიგალმა საგულე დაგლიჯა.
როგორ არასოდეს! - მჭირდები,
შენ, ჩემი ძალა და მუხლი ხარ,
ფეხზე წამოვდგები გპირდები
გრძნობავ ბოძებულო უფლისგან.
ლექსი მოიტანე, ამღერდი,
ყოველ კენჭს და სულდგმულს ეფერე,
კვლავ სულიერებით გაბევრდი,
იყავი ამ გულის შემფერე.



გოჩა ჭაბუკაიძე

❤

დაიბადა 1967 წელს ქ.რუსთავში; პროფესიით მუსიკოსი; ქმნის მელოდიებს, როგორც საკუთარ, ასევე მეგობარი პოეტების ლექსებზე; მსახურობს მედავითნედ დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძარში; გამოცემული აქვს სამი სასულიერო და ერთი საერო თემებზე შექმნილი ლექსების წიგნები; ჰყავს მეუღლე და ორი შვილი; ამჟამად ცხოვრობს თბილისში

ქ ა რ თ ვ ე ლ ი

❤❤❤

არავინ იცის, როდის რა გველის,
შენ დაიფარე ღმერთო ქართველი;
თუში, ხევსური და არაგველი,
დალოცვილ იყოს ყველა ქართველი;
გვიტევდა, გვიტევს მოძმეც, სპარსელიც,
არ დანებდება ამათ ქართველი;
იყვნენ ოდესღაც ცოტნე,მხარგრძელი,
კვლავ მოგვეც ღმერთო მსგავსი ქართველი;
ეცხოვროს ეთქვას თავის სათქმელი,
არ შეუშინდეს არვის ქართველი;

სულს გვიმღვრევს, გვწამლავს ჯოჯოც და გველიც,
და გასრესს მათ თავს კვლავაც ქართველი;
შორს გაწვდენილა მისი სახელი,
კაცთმოყვარეა თურმე ქართველი;
არის და იყო ბევრის მნახველი,
მაინც ქართველად რჩება ქართველი;
აქ უნდა ჰყოსო ქრისტემან რთველი,
ამბობს სახელიც თავად ქ ა რ თ ვ ე ლ ი
ორსავ სოფელში ენთოს სანთელი
მარად ქრისტესთან იყოს ქართველი

ხ ე ლ ი ❤ 🙏

მაჩვენეთ ხელი,
ვინც წააშველოს,
დაქუცმაცებულ
ჩემს საქართველოს;
ბრძოლით ან ზავით, ვინ გააშველოს,
დაღლილ დაქანცულ არს საქართველო;
რომ აღარ ჰქონდეს რამ სადარდელოდ,
იბედნიეროს ჩემ საქართველომ;
ყვავილებმა და ტყემ, მთამ და მდელომ,
კვლავ იყვავილონ
ამ საქართველოს;
ძენი, ასულნიცა, სასახელოდ
უმრავლოს ღმერთმა
ჩემს საქართველოს;
გამთლიანებავ, მთლად სანატრელო,
მოდი,მოგელის დღეს საქართველო;
ვიცით ის ხ ე ლ ი
რთვლის საწნახელოვ,
გაგამთლიანებს
ვ ი ნ ც
საქართველოს.

❤❤❤

მიჯნური თვალი

❤❤❤

შემყვარებია უზომოდ მიჯნურს 🌹
სურათით თურმე ეს კოხტა თვალი🌹
გულით, გონებით უაზროდ, კენტად 🌹
და ულმობელად მე მისგან მთვრალი🌹
დავეხეტები დავძრწი უმიზნოდ,🌹
რომ ვჰპოვო მისი მფლობელი ქალი🌹
ვგრძნობ რომ, კვლავ დიდხანს ვივლი ამ
ქვეყნად🌹
მით მოხიბლული და ზედ დამკვდარი🌹
არც გამიშრება დიდხანს ფრქვეული🌹
ცრემლი ძებნაში დამაშვრალ თვალის🌹
რითაც ვიხილე გავხდი გლახაკი
და უპოვარი მისგან დამზრალი 🌹
და შემოენთო გულის სისხლძარღვებს
ცეცხლის ენები და მათი ალი🌹
თუნდ ვერ ვიპოვო შეგთხოვ უფალო🌹
რომ დიდხანს ენთოს ეს უცხო თვალი🌹
სანატრელ,უცნობ, ალბათ ლამაზი,
სანდომიანი, ღმრთაებრივ ქალის🌹

❤❤❤

ეძღვნება ნ ა ნ ა-ს

❤ ❤ ❤

იშვა, ❦
ესმოდა, ❦
რომ უმღეროდა ❦
მშობელი დედა ❦
ტკბილ იავნანას ❦
მოდგმა ქართველთა ❦
ქრისტეში ❤
ვინც შვა, ❦

და აგალობა ❦
იყო ❦
არს ❦
ნ ა ნ ა ❦
შენ რომ გიხილა, ❦
მეორედ იშვა ❦
ღვარა ცრემლები, ❦
არც დაინანა ❦

და სიყვარულით❤
ბრძენს და ❦
მშვენიერს ❦
თავს გადგამს ❦
გვირგვინს ❦
ტრფობისას ❦
ნ ა ნ ა
❤ ❤ ❤

ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ❤❤❤

(აკროსტიქი)

ს იცოცხლის და სიყვარულის ❦
ა თასგვარი სიხარულის ❦
დ ამიცლია ეს სასმისი ❦
ღ მერთმა მოგცეთ წელი სავსე ❦
ე რთობა და ხვავ ბარაქა ❦
გ ულმა თქვენმა აწ და მარად ❦
რ აც ინატროს ჰქონდეს ცხადად ❦
ძ ველს ცუდსა და უსარგებლოს ❦
ე ნაცვალოს სასარგებლო ❦
ლ უკმა ძმათა გასამრჯელო ❦
ო მმა შუღლმა ვერ გათელოს ❦

მ ე რ ი

❤❤❤

თუ ისე გიყვარს, ვერავის ჰგუობ,
არვის, არაფრის არ გსურს ატანა,
ესეიგი ვნება გახრჩობს, და ცრუობ,
ქალი კი არა,გიყვარს სატანა
და თუ ხალისობ,უღიმი ყველას,
სიცოცხლე გიყვარს და გიხარია,
გახარებს წვიმაც და ცისარტყელაც,
შეყვარებული მართლა ქ ა ლ ი ა.
❤❤❤

ქეთი სიმონიშვილი

ვზივარ, თავდახრით-ჩვეულად,
განა კაცისად?!- ღვთისადა,
მავანთ ვუცვნივარ ეულად,
ამყოლებს სხვადასხვისადა,
წყალს აღმა როდი უვლია,
მთვარეს ვინ დასვამს მზისადა?!
განაღა ტურა გაიგებს,
მგლები ყმუიან რისადა!

***

უუნაგირო ცხენებივით გადაივლიან,
მონატრებულნი,
გონების მინდვრებს გათელავენ,
მძიმე ფლოქვებით,
სულის წყაროსთან შეისვენებენ,
გულს იჯერებენ,
და ერევიან მოუსავლეთ
მარადისობას...
ჩემი ბალღობის დღეებივით
მოუხელავნი,
თითქოს იყო და არა იყო,
რაც იყო გუშინ,
თითქოს იყო და არა იყო,
და აღარ მახსოვს,
ასეთი ლაღი,
სიცილი როდის შემეძლო უწინ.

***

ვწერ და რასა ვწერ არ ვიცი,
ხელ-მკლავი თავად მიმდისა,
შემოდგომისამ ჩამოცრა,
ცხრაკარის ტყეში ბინდისას
ფიქრის ნაღვერდალს ვაღვივებ,
რაც გულის გულში მინთია,
,, შინ შმაგი მოველ" გაბრიელ!
როგორც ვაჟაის მინდია...
ჩემი სიცოცხლის დღეებიც,
რა უგერგილოდ მიდიან,
ითვლება წამის წამები,
როგორც წესი და რიგია,
განა სიკვდილი მაშინებს?!
ან ლაჩრის გული მიდია,
დროთ თუ უდროოთ წამიღებს,
საცა წამსვლელნი მიდიან.
ეხლა სხვა რაიმ მაღონებს,
ეხლა სხვა ჭირი მჭირია,
ვა! თუ ვერა ვთქვა სიტყვები,
უწერლად დანაწირია,
-ვერ გამოვადგე ქვეყანას
-ვერ შაუხვიო წყლულია
-ვერ გავუმთელო ბევრგანა,
ამოგლეჯილი გულია.
-ჯაფა ვერ ვწიო ჯალაბის,
-ვერ გავიტანო ხნულია,
-ვერ გავაშენო ვენახი,
-ვერ შავინახო რჯულია,
გავლიო თავის შამყურემ,
წუთისოფელი სრულია,
ვწერ და რასა ვწერ ღმერთმანი,
წერა-მწერალი სწერავსა,
ჯვარს დავისახახავ, ერთხანი
თვალები ცასა სწვერავსა,
ათას სიკვდლილი მაღონებს,
ათასი ჭირი მჭირია,
ლეგა ღრუბლები გადმოდგნენ,
ცხრაკარის თავზე მიდიან...
ლექსის ნაღვერდალს ვაღვივებ
რაც გულის გულში იბრძვისა,
,,შინ შმაგი მოველ" გაბრიელ!
აქეთ ვაშინებ სიკვდილსა,
თუ მამსვლელია მოვიდეს!
რიდი არა მაქვს სიტყვისა,
წამიღებს თუ ვერ წამიღებს,
ჩემივ ლექსები იტყვისა!

***

მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
ვრცელია მდელო-დაუსაბამო,
იღვრება სხივი ცის პირიმზიდან,
და ღმერთით ავსებს სულის დარაბებს...
მე ფეხშიშველი დავდივარ ხშირად,
და ალაზანი გულზე გადამდის,
დამაქვს სამშობლო ჩაუმქრალ სხივად,
ჰო, - საქართველო, ულაპარაკოდ!

ან ვინღა მიცნობს, რამდენ ჩემფერას,
თუ ჩაუვლია სოფლის შარაზე,
იმაზე მეტად თუ მყვარებია,
ვაჟა უყვარდა ვიდრე ხვარამზეს,
სამშობლო ისე თუ განმიცდია,
შემკრან მიხასებრ - ერთი ხურჯინით,
დავიპარები ამ ჩემს მიწაზე,
სიტყვისუჩუმრად, თითქო-ქურდივით...
მაგრამ ეს გული, ჰო! გული, გული -
თუნდა, სამყაროს დარდის დამტევი,
სიყვარულისა მხოლოდ მორჩილი,
ლოდზე დამწვარი თაფლის სანთელი -
არავის უცხოს არა სთანიობს,
ძაღლივით ილოკს თავის იარებს,
ავმა აქამდე თუ ვერ წაიღო,
ეხლა რა ჭირი დააჩიავებს?!

***

ლექსებსა სწერსო, ჩემზე ამბობენ,
ავად თუ კარგად ისიც არ ვიცი,
მე -სოფლის თავზე მთები მიცდიან,
და მთების თავზე მიცდის დაისი,
და ფეხშიშველი მიწას ვეხები,
და სიოს რხევას შევიგრძნობ ტანში,
თითქო ესმითო ჩემი ლექსები,
მომაცილებენ მუხები ტაშით.

საპრილო

უქმად გავლიე ზამთარი,
ყოფით,ჩვეულის ძილითა,
ეგეთა ყოფნა არც არის,
მარტოდენ ძვალით-რბილითა
სცოცხლობდე,თვალი გეხილოს,
სუნთქავდე შენის წილითა,
ცოცხალს, სიცოცხლე მოგწყურდეს,
ჩამქრალს, ანთება სხივისა,
(გტორავდნენ ზამთრის ქარები,
დაგთარეშობდენ ღიმითა...)

როსღა მოვალის გაზაფხულ,
შამიპყროს წერამ წერითა,
ჯვრად დამისახოს მირონი,
უფალმა თავის ხელითა,
მამწყურდეს ლექსად ჩამოსვლა,
ზვავად ჩამოღვრა ხევითა,
მატკბობდეს ყვავილთ ამოსვლა,
ნიავის ჩავლა რხევითა,
ცის სხვენზე მთვარის ავსება,
მთისწვერ დაჯდომა ღამითა,
სიცოცხლე-ცათა შარისხვა,
მეხის გავარდნა წამითა,
ცისკარზე დილა დაღვრილი,
კაბისებრ ლამაზ ქალისად,
გაღმით გაშლილი ხეობა
მტერთა ამშლელი ბრალისა,
დამეზიდოდეს საცქერლად
დამიმარტუოს თავისად,
განა ის ყოფნა ყოფნაა?!
ყოფნა ეგეთა მწადისა,
თორო ზამთარი გავლიე -
ჩრდილიც მაკრთობდა თავისა,
ცოცხალს რა აქცევს ცოცხლადა,
თავო! იმედი ხვალისა,
გულო, მაშ რაღა გატირებს,
თოვლის ქვეშ ია ჰყვავისა!

ეს ისე...
უბრალოდ ნაფიქრი

****

ნასახლარების სევდა

თოვლსა სთოვს, საღამოს ბინდია,
მოჰგვანან ნიკალას ნახატებს,
მთვარის ქვეშ- ნიშა და მინდია,
წარმართი ხარები სახატე,

მთის ზურგზე, ღრუბლები მიდიან,
ანათებს, ძლივს მბოლავ ჩარდახებს,
მთვარე და სოფელი მშვიდია,
ვითომ და არც არა ადარდებს.

ცეცხლისპირ მე და მე ვბაასობთ,
ტკაცუნობს, გამხმარი წიფელი,
თოვლსა სთოვს, და ასე ტაატით,
სახეზე მადნება ფიფქები...

(არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,)
თავდახრით გიზივართ, ჭირიმე!
ვტირივარ, სათქვენო სატკივარს,

თქვენს პარტახ ქვითკირებს ვიტირებ,
უკაცო ყანას და სათიბავს,
(გიჟია მავანი იფიქრებს,
ქვა-ღირღზე ღელვაში რა ყრია,)

მე ვლანდავ, დაჩეხილ ცხვირ-პირებს,
და მაინც ჯიუტად მატირებს,
ღელვა, რომ ამისთვის იბრძოდნენ,
ღელვა, რომ ამისთვის გაწირეს...

არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,
თავდახრით გიზივართ ჭირიმე!
ვტირივარ, მაგ ქვათა სატკივარს,

გაშენებთ, ფიქრებში გაშენებთ,
თოვლსა სთოვს ცა ისე მშვიდია,
მოჰგვანან, წარმართულ ღვთაებებს,
მთვარის ქვეშ, ნიშა და მინდია.

(სხვა მეტი არა თუ აღელვებს,
მავანნი იტყვიან გიჟია...)

***

აბა რა მახსოვს, ვინ ვიყავ უწინ,
მოჰგავდა სული ყაყაჩოს ველსა,
დაჰქროდა სიო გრილმორეული,
და ფოთლებს ჩემსას გარემოს ჰფენდა,

ათიათასი ჰყვაოდა ია,
არცარა მქონდა იმათი ფასი,
ვიდექ, გაკვირტულ ტყეთა მეჩხერი,
იხატებოდა ალაზნის წყალში,

აბა რა მახსოვს, რომელ გაზაფხულს,
დამცხრალი მთვარის ავსება ვნახე,
ან მარტის თქეშმა როდის წაშალა,
სულში ამდენი ნათელი სახე,

როდის გავშალე ქორებულ ფრთები,
მკერდი ვუმარჯვე ზათქსა და ქუხილს,
ხომ მისწვდა სული მეათე ცამდე,
და თავი როდის მივეცი წუხილს?!

აბა რა მახსოვს, ვიზვარ და ეხლა,
ოცდამეშვიდე გაზაფხულს ვხვდები,
მოვგავარ სანთელს ლოდზე მინანთებს,
წვეთ-წვეთ ტირიან ჩემი ლექსები,

არც რა ვინ მაქებს, არც ვინა მკიცხავს,
ასე მიფიქრა ქვეყნის გამრიგემ,
დაბადებითვე მქრქალი ვარ ნისლი,
მთათა შუბლებზე წვიმა მამძივებს,

აღარც ის მახსოვს რომელ გაზაფხულს,
მოვგავდი სავსეს ყაყაჩოს ველსა,
როდის ვემსგავსე ეხლა -დაზაფრულს
იანვრის ბებერ, გაყინულ მზესა,

ეჰეჰეი, ღმერთო!შენ უწყი მხოლოდ
დარდიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც,შიშიც...
როდის შევხვდები მზიან გაზაფხულს,
ან მივიძინებ ტირიფის ჩრდილში.

....მაგრამ სანამდი სამშობლო გულში,
ჩამიხუტებდეს მიწიდან ცამდე,
იმგვარ გაზაფხულს კიდევ დამასწარ,
კვლავ ყაყაჩოთა ველს ჩამოვგავდე...

***

ქირსლავს, არა სჩანს მთვარის ნამგალი
ვარდისფერგაკრულ ცას თოვლი ბურავს,
ვდგავარ, მაცვია დარდის აბჯარი,
თავზეც კვლავ ფიქრის ჩაჩქანი მხურავს

ის რაც მე მიყვარს, არც აქ არ არის,
არც ეს თოვაა ჩემი მკურნელი,
ვსახავ ამ ცაზეც, ჩემ სოფლის დევებს,
როგორ აუდით ნისლის სურნელი.

(არის ისეთიც, ვერვისთან ახსნი,
არის ოცნებაც - განუკურნელი...)

სადა ზის ნეტავ ის ჩემი მთვარე?!
რომლის ამოსვლას აქაც სულ ველი,
სად არის ჩემი ბავშვობის მხარე,
სპეტაკი-თეთრი თავსაბურველით,

იქ არის, იქა! საცა დავწირე,
უდგას ბურჯებად ციხე ბებერი,
კავკასიონი შემოამძივებს,
ტყეებს, ცხრაკარის თავზე შეფენილს,

არც აქა სძინავთ ლექსის არწივებს,
იმათი ფრთებით მაინც გეხები,
შენს გამო, მარტო უფალმა უწყის,
რაოდენი მაქვს შენახვეწები...

არც ეს თოვა არ მედება წამლად,
არც ამას უდის დედის სურნელი,
არის, რისი თქმაც არვისთვის არ მწადს,
არის ოცნებაც-განუკუკურნელი...

*

მე დაღლილი ვარ ცისფერი სევდით,
გაცრეცილ დღეებს მივდევ ნაღვლიანს,
ცივია გაღმა ხეობის ხედი,
ვეღარ მკურნალობს შუბლზე ნატყვიარს,
მე დაღლილი ვღ ცისფერი სევდით,
სევდით, რომელიც უცხოა ვიცი,
როგორც მწევარი მომყვება ბედი,
იქამდე სადაც სიკვდილი იცდის,
აწევს ფანჯარას ოქტომბრის ღამე,
ამღამ ვარსკვლავნი მწყრალად არიან,
ვზივარ, მოველი უხილავს რამეს,
მარტო ვარ ვიცი, დედა მარიამ!
(შემინდე ცოდვილს)

უბრად ნათქვამი

შენს გზას მისდიე! თავო ჩემო,
მრუდეა სხვისა, ვერ ითანიებ,
ვინძლო სადმე გადაიჩეხო,
ჩაგიდგა კვალში ბედისწერა
მუხლი აქვს მგლისა, არ დაიღლება,
არ გაქრება, სანამ არ დაგლეკს...
ჰო.. გუშინ თოვდა, გლოვა იყო,
სიკვდილი ყეფდა,
გული ყელმდე მობჯენილი,
გიცემდა დარდით,
აჰა, გათენდა!
ხომ გათენდა,
ღიღინით დახვალ,
იმედით უცქერ,
(მოთამაშე) შარაზე ბალღებს.

შენს გზას მისდიე, თავო ჩემო!
შენი სთქვი მარად!
მიწაზე, ღმერთის ჩრდილი იყავ
ჩუმი და გწამდეს – არაფერია,
ცისქვეშეთში მარადიული,
განა სიცოცხლე დაილევა-
თავადვე დაგლეკს!

ანდრია შერვაშიძე

* * *

ჩემი ოთახის სარკმელში ისმის
ქარის ბორგვა და შრიალი ვერხვის
რა პატარაა ეს სამყარო და
რა დიდი არის ეს ბინა ჩემთვის
ადამიანის ენა ბასრია
უფრო მეტადაც ვიდრე ოროლი
მრავალი კაცი განგმირა ენამ
და მეც პოეტი სულით ობოლი
ვერ შეაშფოთებს კაცის სულს უცხო
ვერაფერს ავნებს კაცის გულს მტერი
ვინც სულში უზის და გულთან ახლოს
მას შეაქვს კაცში ბუღი და მტვერი

* * *

ცაზე აიმღვრნენ ღრუბლები
წყალმა დაღარა ხევები
ლანდებად მოჩანს გორები
როგორც მძინარე დევები

ელვაზე წამიერ ჩნდება
კლდეების სახე მწუხარე
ცა გრგვინავს ყოველმხრივ ისმის
მეხთა გრიალი მქუხარე

სოფლიდან მმიჯნავს მორევი
ხიდწაღებული მდინარე
ადიდებულმა მოშალა
დილით რომ გამოვიარე

მდინარის პირას შავი კლდე
აღმართულიყო ეული
უეცრად მას გამოეყო
უზარმაზარი სხეული

ჩემგან შორ-ახლოს გაჩერდა
შავად მოჩანდა ღამეში
მე გონებაში დამეწყო
ფიქრთა რბოლა და თარეში

ღამეშიც იკვეთებოდა
შავი თვალები მისივე
მათ დანახვაზე ვიგრძენი
მკვეთრი, გამჭოლი სიცივე

მის შუბლზე მკვეთრად მოჩანდა
ღრმა ნაოჭების ღარები
მალე მისი ხმა გაისმა
სიტყვაკაზმული ფრაზები

მკითხა: აქ როგორ მოხვედი?
დრო შენი ჯერ არ დამდგარა
შენთვის აქ მოსვლა ადრეა
ჯერ შენთვის აქ არ დამთბარა

– მზად ვარ სიცოცხლე გავწირო
სული სხეულთან გავყარო
თუკი სიკვდილით იცნობა
შეუცნობელი სამყარო

– გონების თვალი გახსენი
რომ გაიაზრო სიმართლე
ცხოვრება ილუზიაა
მოფიქრებული სიყალბე

თქვენ ხართ სხეულის მონები
გაკლიათ სულის სიმყარე
მაცილის გზას ხართ დამდგარი
გხიბლავთ ცოდვების სიმყრალე

სურვილებს გრძნობებს უწოდებთ
არ გსურთ კი რამის გაცემაეს
ეს არის თქვენი უკუსვლა
და სულიერი დაცემა

ფიქრის უნარი დაკარგეთ
თითქოს დაგათროთ არაყმა
და ყველა ურთიერთობა
თქვენშორის არის არაღრმა

ხან ნიღაბს ირგებთ მეგობრის
ხან კი სიყვარულს იფერებთ
თავმდაბლობა კი არაგაქვთ
ამაყად კისერს იღერებთ

მიზანი მხოლოდ ერთი გაქვთ:
ერთურთის გამოყენება
ვერაფრით მოხდა თქვენს გულში
სიკეთის აღმოცენება

იმასაც ვერავინ ხვდებით:
რაცაგაქვთ თქვენი არ არი
და სხვისგან გადამალული
თქვენთვისვე არის არამი

თქვენთვითონ გჯერათ თქვენივე
გულწრფელობის და სიმართლის
ფორმასაც დელიკატურს ხდით
ურთიერთობის, მიმართვის

ყველას გაქვთ თქვენი
სიმართლე
ყველა თავს ადრით ღვთაებას
თუკი სხვა თქვენებრ მოგექცათ
იწყებთ ვიშსა და ვაებას

თვითონ ტყუვდებით, უქმად დევს
თქვენი გონების სახნისი
ბნელში ხართ, ვერ გაგიგიათ
იმ წუთისოფლის საზრისი

ახლა აღსდექი შენ უკვე
ცნობა გაქვს არაცნობადის
გზას უკვე ვეღარ გადუხვევ
სიკეთისა და მორალის

* * *

ბედისწერა ციკლოპივით მომჩერებია
ნიავზე ფოთოლთ სევდიანი ისმის შრიალი
ვინ იცის როგორ და რამდენჯერ მცემა ცხოვრებამ
ვინ იცის როგორ მომნატრებია ხშირად ხმიადი.

რამდენჯერ ღამე თვალგახელილს მითენებია
თავად დარდიანს სხვისი დარდი მომისმენია
რამდენჯერ მითქვამს საკუთარ თავზე: მტკიცედ იდექი
და სხვის საშველად ბევრი ტანჯვა მომითმენია

ვინ იცის როგორ და რამდენი გაკრთა იმედი
ვინ იცის როგორ და რამდენი გაკრთა ოცნება
კვლავ ფეხზე ვდგავარ და დინებას კვლავ არ მივყვები
და ცალი თვალით ირონიით მიცქეერს ცხოვრება.

* * *

ცხოვრება მაფერხებს წინსვლაში როგორღაც,
არ ვიცი რა მიზნით ან რისი ბრალია,
არ მინდა ცხოველად მაქციოს ცხოვრებამ,
მიშვლე, დამლოცე დედაო მარიამ.

ჩემს ირგვლივ მრავალი აღმოჩნდა გულცივი,
და ზურგი მაქციეს დაღლილს და დარდიანს,
ყველამ რომ დამთმოს და ყველამ რომ გამწიროს
შენ არ მიმატოვო დედაო მარიამ.

ცხოვრება მიბიძგებს ცოდვისკენ ნიადაგ,
გარეთ თუ მზე არის სულში ავდარია,
ჩამკიდე ხელები, გზა გამინათე,
მიხსენი ცოდვისგან დედაო მარიამ.

* * *

შენი თვალები
ჩვენი სამშობლოს ზეცას მაგონებს,
მათი სიღრმე და სიცისფრე
ტკბილად მაოცებს.
შენი თმები კი მოჰგავს კლდიდან
გადმოშლილ ჩანჩქერს,
შენი ღიმილი მზეს,
სამყაროს რომ ნათელ სხივს დაჰფენს.
შენი სხეულის მოძრაობა
ნელი გრაცია,
მე შენი ხილვა მიმსუბუქებს
ე მ ი გ რ ა ც ი ა ს.

* * *

პეგასს გავხედნი, ზევსს მოვპარავ
თავის ბედაურს,
ორიონივით ავედევნები
მე შენს ნაკვალევს
და არ მადარდებს თუ შემხვდება
სადმე გორგონა
და გამაქვავებს ღამენათევსა და
ნამთვრალევს.
ყველას განვგმირავ, გადამიდგება
ვინც სავალ გზაზე,
სვანთა ტომმა რომც მომკვეთონ
სულაც თემიდან
ან მიმაჯაჭვონ კავკასიონზე
როგორც პრომეთე,
თუ გნებავს სულაც გამასამართლოს
თავად თემიდამ.
მე გაგიტაცებ ვით პერსეფონე
გაიტაცა ოდეს ჰადესმა
და ვერ მომილბობს გაყინულ გულს
დემდტრას ცრემლი,
მე სამყაროში ერთადერთი
მიღელვებს გრძნობას:
შენი ნათელი და ცისფერი
თვალების ეშხი.

* * *

ხდება ხოლმე ცხოვრებაში
დაგიდგება წუთი დარდის,
თითქოს სული არეული,
სხეულს ტოვებს, მისგან გარბის.
ფიქრობ: აზრი ცხოვრებისა
ერთიანად არის ფარსი,
ამდროს თითქოს წყურვილი გკლავს,
გსურს დალიო შხამის თასი.
მაგრამ რაღაცა გაკავებს:
მოლოდინი რაღაც ახლის,
რომ სურვილებს დაგიამებს
წაღმა ბრუნვა ბედის ჩარხის.
იმედია ეს რაღაცა
და ის ჩვენში მუდამ ყვავის,
მე ამ განცდას შევადარებ
დილით ადრე სურნელს ყავის.

სულიკო ჯამალაშვილი

* ** *

დილას უთენია პროზით ვიწყებ,
სტრიქონს შევალიე ცვარად ბწკარი.
მუზა გავისტუმრე ხევებისკენ,
ბარად დამიტოვა ნიაღვარი.

მარსმა მიწილადა შუქი დილის,
მერე შეუტია მაღლივ ტატნობს.
წუხელ სტუმრად მყავდა მთვარის ჩრდილი,
ქარსაც ბინა მინდა ვუწილადო.

* ** *

დრო ისევ ცრუობს ვით ტროას ცხენი,
არ დაუჯერო ჩემო კესანე!
ეს სტრიქონები ვიცი სიონთან,
განრისხებული ზარებს რეკავენ.

მწუხრმა შემოსა გზა საწყაული,
გვეყო სამშობლო რაც გავაჩუქეთ!
გამოხრული მაქვს ძვალთ-შესალაგი
და წარმავლობას განაჩენს უწერს!

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა.
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა.
როს სიო წამოუქროლებს ,
მაგ შენსა დალალ-კავებსა.

ქეთევანივით ვეწამოთ,
ამ ტურფა არე-მარესა!
ისევ ღალატი ვინ, ვისთვის,
მარტი თებერვალს შაეკრა.
აპრილი, ატირებული
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა!
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა!

როს სიო წამოუქროლებს
მაგ შენსა დალალ-კავებსა,
ქეთევანივით ვეწამოთ
ამ ტურფა არე-მარესა!

ისევ ღალატი, ვინ ვისთვის,
მარტი, თებერვალს შაეკრა!
აპრილი, ატირებული
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

დავალ, ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი.
აჩრდილივით თან დამყვება,
გაელვება ერთი წამის.
შემახსენებს ხან ზმანება,
ხან წვიმა და ხანაც ქარი,
რაც გამაჩნდა მე ამ ქვეყნად,
სანაქებო სანუკვარი!

დამიარა ჟრუანტელმა,
გულში სევდა, სულში ქარი.
როგორც ზღვათა მიმოქცევა
და ტალღები ბობოქარი.
ჟამთა–სვლისთვის გეცოტავე?
მკეთებელი ახლა მე რის...

სიჭაბუკე ჩავლილია,
ბერბიჭობაც ლაგამსა ღრღნის.
დავალ ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი,
აჩრდილივით თან დამყვება
გაელვება ერთი წამის!

* ** *

რადგან ეს გული, ისევ გდარაჯობს,
ვეფხვი ლომისა რადგან სწორია!
შენზე ნაკლები რით ვარ ლამაზო!
მეტი ვარ, ვიდრე შენ ეს გგონია!

* ** *

წერონ, იკითხონ იმათმა,
მოესურვება ვისაც რა.
ხანაც გოლგოთა დავძლიე,
ხანაც გოლგოთამ იძალა.

როს სევდამ დაისადგურა,
ხეებს მოედო ნისლად და
ხედები ავრი-დავრიე,
გრანელი მყავდა სიზმრადა.

მძულს ყოფა-ქცევა მოშურნის,
ათგზის გახრწნილი მძორი და
მიწავ, რად გამიორგულდი!
ზეცავ, რა ახლო მგონიხარ!

მერიდიანი გავავლე,
ეპოქა მჩემობს რომელი.
რაღაც ერთი გვაქვს გრანელო,
ერთი და განუზომელი.

* ** *

გილოცავთ შობას

ისევ იარად მეტყობა
შახის ნასროი ისარი!
გავხდები კიდევ ოდესმე?
მე თქვენი დასაფიცარი!

საუკუნეთა მანძილზე
მე რჯული უბით ვინახე!
ნისლს გავატანე ოცნება
და მთებში გადავინახე!

ყველას გავანდე უკლებლივ
რაც იყო ჩემი მიზანი!
უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე
არის სიკვდილის ნიშანი!

იხარეთ ჩემო შვილებო!
ვერას დაგვაკლებს დრონია!
გაიგოს ყველა მომხდურმა
რა წინაპარიც გყოლიათ!!!

* ** *

მე ხომ ისევ ის ქარი ვარ,
ისევ ის ურჩი მდინარე.
ბოლომდე უნდა გამიძლო,
ბოლომდე უნდა გიყვარდე.

წყარო ვარ, მთათა ნაჟური,
ცის ნამს მოვდენი მიწაზე.
მოხუცი, წრიდან გასული,
მაინც ვშაირობ ჯინაზე.

ლექსზე ვაბოდებ ხანია,
მძიმე წერტილი რღვეული.
ეს ჩემი ნატერფალია,
შანდლის შუქივით ეული.

* ** *

შანდლის შუქიდან გვესმის შენი ხმა,
მაგრამ რაღადროს ხომ გვიანია.
ეს იმას ნიშნავს მარტო არახარ,
ხსოვნად შემოვრჩი მე ადამიანს.

პოეტის ნიშა დილის მირაჟი,
მეხთა ტეხილი და რია-რია.
ვერ დატეული ღამის წყვდიადში,
ვითხოვ სივრცეს და ლექსები მშია!

დახშულ სივრციდან მკვდრეთით აღვდექი,
მსურდა მუზებზე შური მეძია...
მაშინ ვინანე როცა დაგნებდი,
როცა ვიწამე შენი მესია!

* ** *

რა წყვდიადი ღამეა და
რაოდენი სინაზე.
მთვარე რამის ყაჩაღივით,
სახლში შემომივარდეს!

სარკმელთან დგას მომღიმარი,
მრავლის მთქმელი მნახველი,
მე ვარ შენი საქართველო!
თემურ ლენგის ნახმლევი!



თამთა უგულავა

მუზა

ვწერ იმას, რასაც მთვარე მომითხრობს,
რასაც მიმღერის ჩემი ცხოვრება,
ვწერ, როცა მუზა კალმით მომიხმობს
და გულში ლექსი გამიცოცხლდება.

ო, არ მოკვდება ოცნება წრფელი,
თოთხმეტი წელი ჩემში რომ ცხოვრობს,
არ გაცივდება ესს გული ცხელი,
გული, რომელიც მუზებით ცოცხლობს.

ო, არ ჩაქრება ჩემში წყურვილი,
თავისუფლება, მე რომ მწყურია,
დაუნდობელი რომ მკლავს სურვილი,
ო, ეს მშფოთვარე ჩემის სულია.

დაბადებიდან მაწვალებს კითხვა,
მაწვალებს მუზა, ვით გველის გესლი,
მუზა, რომელმაც ჩურჩულით მითხრა:
ადამიანო, დაწერე ლექსი!

ვწერ მერე, რასაც მთვარე მომითხრობს,
და ეს ლექსები მხოლოდ მისია,
ვწერ, როცა მუზა სამღერლად მიხმობს,
სული ყვავილობს და მაისია.

მონატრება

აციმციმდნენ ცაზე ცელქი ვარსკვლავები,
აღიღინდა ჩემში ჩუმად ნიბლია,
თუ ღმერთი გწამს, მოუსმინე გამალებით,
ეს სიმღერა განა ყველგან იციან?
ადგაფუნდნენ ,,ოკაცეში“ კალმახები,
წითელ ხალებს აქეთ-იქით ისვრიან,
თუ ღმერთი გწამს, გაახილე ეგ თვალები,
ასე ცეკვა, განა სადმე იციან?
მთვარის ხვეულ დალალებში არეკლილი,
თუ იკითხავ, ეს წალკოტი ვისია?
მთის ბალახზე,სადაც ჩემი შვილი ივლის,
არ იფიქრო ეს ზღაპარი სხვისია...
არ იფიქრო, რომ იმ ციხის ნანგრევების
მიტოვება მე ოდესმე მიცდია,
ღვთიურ მადლით გაბრწყინებულ ტაძრისათვის,
,,ნიკორწმინდა“ -- მე ცრემლებით მითქვია.
ახარხარდნენ კოცონს იქით ძუ ვეფხვები,
ზამბახები ოქროს კაბებს იცვლიან...
და ჩემს მიწას მე ამბორით შევეხები,
ისე, როგორც ქართველებმა იციან.

ასი წლის მერეც აგიგებ ტაძარს

მე ოცნება მაქვს მზეზე ნათელი,
ღიმილის კაბა მაცვია დედის,
სულში დაგანთე, როგორც სანთელი,
როგორც სინაზე მომაკვდავ გედის.
მე აღარ ვგავარ ყვავილს გათელილს,
ზღვარი არა აქვს დღეს ჩემს სიურჩეს,
შენ დილას ჰგავხარ, ლოცვით გათენილს
და დამწიფებულ მთათა სილურჯეს.
ახლა მივყვები აღმართის დაღმართს,
ვეძებ დინებას, რომ შევაჩერო,
დღეს ჩემი აწმყო გაიქცა სადღაც
და იქნებ შენი შემომაშველო...
აზრი არა აქვს სულის დახშობას,
არც ვარდისფერი ტყვიით მკველობას,
გადავარჩინე დღეს ზღვა დახრჩობას
და უკვდავება შავ თვითმკვლელობას.
ასი წლის მერეც მე აქ ვიქნები,
ნაბიჯს ვაჩუქებ ცეცხლის ქვაფენილს,
ასი წლის მერეც აგიგებ ტაძარს,
ხედავ, ჰორიზონტს როგორ ვერთვები?
წავეკიდები თოვლიან ხანძარს
და უკვდავებას შევუერთდები...



ბადრი უგულავა

გაზაფხულის ცრემლები

მეტეხთან რომ მოვარდება მერცხლის გუნდი,
ჯაჭვის ხიდთან ტყემალი რომ აფეთქდება,
ქართულ მიწას რომ დახატავს ცეცხლის ბურთი
და თვალებში გაზაფხული ამღერდება...
ერთი წამით რომ გაქრება ყველა დარდი
და უბიდან მტრედები რომ აფრინდება,
საკოცნელად რომ დაგხვდება ყოჩივარდი
და იები სიყვარულს რომ დაგპირდება...
რუსთაველზე რომ ჩაივლის შენი ლანდი
და სისხლი რომ არაგვივით ადიდდება,
შემომხვდები, შემომხედავ, როგორც ვარდი
და სიცოცხლე სიყვარულით ატირდება...

ცრემლიგორაზე

ახლა გარეთ ხარ... დღედაღამ გარეთ...
და არ გასვენებს ქარი და წვიმა,
ღამეა, ცაზე დამჯდარა მთვარე
და ანგელოზის ცრემლები სცვივა.

ვიცი, მარტო ხარ,
სულ მაროდმარტო,
სხვა ქვეყანაში დადე ბინა,
რაც მიმატოვე დღედაღამ გნატრობ
და შენი ხელის ფერება მინდა.

ცრემლიგორაზე ცრემლები მცრიდა,
სიკვდილი მცდიდა,
დედის სიკვდილი...
შავი სხივები ცვიოდა მზიდან
და მიკვდებოდა სული ტკივილით.

დედის ღიმილი უკანასკნელი,
დედის ჩურჩული: შვილო, ნახვამდის!..
ნუ დარდობ, მოვალ, ჩემო დედიკო,
ჩვენ ერთადა ვართ აწ და მარადის.

საზღვარი

დედაო მიწავ,
დეადაო მიწავ,
შენ მომიტევე,
თუ რამ შეგცოდე...
კლდეებს მოვანგრევ,
დედაო, ვფიცავ,
რომ კაცი მერქვას
მიწის კარამდე...
მე გადმოვლეწე ყველა ჯებირი,
ყველა საზღვარი ჭაობებისა,
და დავიხსენი ცოდვილი სული
ამქვეყნიური ჩაობებისგან.

სულის ძახილი

გესმის!!!
გეძახი!!!
ვარ აკლდამაში,
თავისუფლება მართლაც ძნელია,
რადგან ყოველი მზის სისტემაში,
ყველა უკლებლივ -- მტაცებელია.
ნუ იტყვი, თითქოს შენ ხარ კეთილი,
ამაზე ფიქრი ცოტა ძნელია,
კაცის სხეულში ვარ ჩკეტილი
და ვეომები ასი წელია...

მირანდა ზაბახიძე

მივალ მამასთან...

რამდენი ვცადე აღმართს შედგომა,
უკან მაბრუნებს წუთის სოფელი.
სიავით ცდილობს ფიქრის შემოსვას,
ვერ შემოსძარცვა გულს სამოსელი.

მივალ მაბრუნებს ქარები უკან,
მებრძვის ფანდებით თითქმის ყოველით.
ვერ დამაჩოქებს მაგრამ კი მტანჯავს,
სატანჯველებით მრავლის მთოველით.

ასავლელს მაინც ავივლი აღმართს,
მე ცხარე ცრემლით ცოდვის მგლოველი.
ტანს რაც მამძიმებს დავტოვებ მიწად.
მივალ მამასთან ერთი მლოცველი.

ძირძველი საქართველოს შვილი ვარ,
მუდამ ნათელი ცისა.
სიყვარულს ყველგან რომ გიყოფენ
არ იქადნიან სხვისას.

ბებერი მუხა და ჭადრები,
ამბებს გვიყვებიან თვისას.
გული ქარცეცხლში ნაწრთობი
მტერსაც კი იმოყვრებს მისას.

ქართული ვაზი ლოფორთქანა,
გალობას გვასწავლიდა ღვთისას.
მომხდურის მგლურებრ დახვდომას
დედა უყვებოდა შვილსა.

შორიდან იცქირება ძველი ბანა,
მზერით ვეფერები აწ სხვისას.
მდუმარედ,ცრემლნარევი გამოხედვით
- დაბრუნდით,მოგვძახის შვილსა.

ჯვარი,მეტეხი და ალავერდი,
ზღაპრებს გვიამბობენ ტკბილსა.
მუდამ სამზიანო მხარეების
სურათს გვიხატავენ თბილსა.

ძირძველი საქართველოს შვილი ვარ,
ძალიან დიდი ხნისა.
შენს სადიდებლად სამშობლოვ
ისევ გიზრდიან შვილსა.

ამაოდ თვლემდა დროება კარგო

ამაოდ თვლემდა დროება კარგო,
ვეღარ შევძლებდით ერთი გზით დენას.
ოცნებები და ნაფიქრი ჩემი,
მჯერა არასდროს იქცევა შენად.

ცხოვრებას სულ ხვა ჰანგები ქმნიან,
დროებას კიდევ,სულ სხვა ფერები.
ერთნი ხარობენ წუთისოფელით,
ერთნი სავსეა ბევრი იჭვებით.
ძალას ვპარგავ და
არსებობაა,უწყვეტი ბრძოლა,
ლუჯი ზეცა და სინათლე ჭარბი.
მომეკიდება ხანდახან ძრწოლა,
სულს მიფრიალებს ქარები ავდრის.

უცვლელ სიყვარულს ვერ ნახავთ ვერსად,
არც მისმენია აროდეს სხვების.
შემთხვევითობა-და მაშინ ხედავ,
კვლავ სცილდებიან ერთმანეთს გზები.

შენგან მინდა სისხლის გადასხმა

ახლა ხომ ხვდები,როგორ მიჭირს ისევ უშენოდ,
თვალები გეძებს,ჩვენს გაკვალულ გზებზეც ვერ ვდგები.
თუკი მტოვებდი,რად გამწირე ასე უღმერთოდ,
ჩაგისახლდი და შენს წიაღში მიდგას ფესვები.

მომენატრე და ღმერთს ვევედრე თავშესაფარი,
ოთახის კედლებს,შენი ხსოვნის ფიქრები ათბობს.
შეგიყვარე და ახლა გავხდი თითქოს სხვაგვარი,
თითქოს მივგავდი ცის ანგელოზს ზეცაში ნამყოფს.

გადარეულან სიავეთა შავი ფერები,
ისე ბობოქრობს ჯოჯოხეთში დარჩენას ლამობს.
ჯვარის მტვირთველად ვერ გამოვდექ,ვერ გავუძელი,
ხელი გამეშვა,შენზე არა,ჩემს თავზე ვბრაზობ.

ზეცა ბედია,დედამიწა ჩემი სამჭედლო,
და მის ლურჯ თაღზე მსურს დავწერო ჩვენი კანტატა.
რა უფლება მაქვს,სიყვარულზე სიტყვა გავბედო,
ძალას ვკარგავ და შენგან მინდა სისხლის გადასხმა.

ლექსად იკურთხე

ლექსად იკურთხე, სტრიქონებო ახლად ნაწერო,
და შენს ტკბილ ნექტარს სული შესვამს როგორც ზედაშე.
შენ ჩემო თავო,ლოდი მომეც,სულის ტაძარს რომ მიგაშენო,
სიცოცხლედ სიკვდილს,სულს სხეულად ვეღარ ვეწამლე.

ჩაიღვენთება გულისგულში ლოცვა პირველი,
სიხარულს ვგრძნობ მიღმიერში ახლად გარდასვლა.
ჰე,ჩემო ღმერთო,მომიხსენე შენ თუ მიშველი,
შენთან ვრჩები და ახლად მინდა ტანში ჩასახვა.

სულის სამოსლად მოვიხურავ ცისფერ კაბადონს,
ფერთა ციაგში მზის სხივებად დავიფანტები.
გიგალობებ და შენით მართავს სული მარათონს,
მზის ქორწილი რომ დასრულდება დამენანები.

ლოცვად მეწამლე, გავუხსენი სულს დარაბები.
რწმენა ისეთი მინდა შევსვა როგორც მწყურია.
ჩემი ლოცვა მაქვს,მე უფალთან დღეს აღსავლენი,
დედამიწაზე დაგეძებდი, სამოთხე კი გულში მქონია.

მე გადმოვდივარ შენთან ალავერდს

როგორც გარედან
ვაზი ან სურო,
რარიგ ლამაზად
ეხვევა თხმელას.
შიგნიდან ისე
მეხვევი სულო,
შიგ იფოთლები და
ჩუმად ღელავ.

კვლავ განთიადის
გრილი ხანძარი,
როგორც ბუნების
 ხმა იდუმალი.
ბედნიერებას
ისე მაძალებს,
თითქოს ოდესმე
მეთქვას უარი.

სიკვდილზე ვდარდობ
არა იმიტომ,
რომ წყალს ვერ დავლევ
ან თუნდაც ღვინოს.
არც იმიტომ,რომ არ შემეძლება
გზაზე სიმღერა წავიღიღინო.

მე ასე მესმის
დარდი და სევდა.
მე სიყვარული
ამგვარად მესმის.
და, გთხოვ,
ძალიან არ დამიძრახო
ეს ჩემი გულის ამონაკვნესი.

და შენც,
მომავლის დღეთა მფლობელო,
აჟღერებული ზეცა გფარავდეს.
აჰა,მიიღე,
ჩემი სიცოცხლე
მე გადმოვდივარ
შენთან ალავერდს.

იოსებ ტაბიძე

სასიმღერო

ვარდო, ვაზო და სანთელო,
დაგვილოცე საქართველო.
წიგნიერი კვლავ რომ დარჩეს,
და ცა ქაჯებს, რომ არ დარჩეს.
ვარდო, ვაზო და სანთელო,
თქვენ გეძღვნებათ სადღეგრძელო,
გაგვიმრავლე, გაგვინათლე.
ეს ხალხი და მთა და მდელო,
მიეც ნიჭი, მიეც ძალა,
და განაწყვე სასიმღეროდ,
ვარდო, ვაზო და სანთელო,
ლექსად მინდა აგამღეროთ,
ერთმანეთის დახმარებით,
გაგვეტანოს კვლავაც ლელო,
დაასახლე, დააპურე,
და განკურნე საქართველო!

არავინ დაგითმობს

თმებში ჭაღარა გამომერია,
გულს კი დარდები შემოხვევია
და ირგვლივ, როცა ყველგან მტერია,
შენც რად წახველი ჩემო „ფერია“?
ჩემს დარდს ბუნებაც კი იზიარებეს;
ფოთოლთ შრიალით, თითქოს ხმიანებს; –
– ვერ მოიშუშებ გულის იარებს,
თუ არ გაიარ-გამოიარე.
მე უძილობამ ისევ დამღალა,
დავდივარ მარტო დარდის ამარა.
ბედმა სიცოცხლე, თუ არ მაცალა,
მაინც დავრჩები ლექსის ამარა,
რომ დავიკარგო ნურვის გგონიათ,
დრო დაგვანახებს ვინ-ვის ჯობია.
კავკასიონზე დაუთოვია,
გამოფხიზლების დრო დაგვდგომია.
სიკვდილის ლანდი ფეხდაფეხ დამდევს,
უმოქმედობა საშველს არ მაძლევს.
სამშობლოს ბედი, როცა მადარდებს,
ვფიქრობ: – სახლ-კარი, ქაჯებს არ დარჩეს.
თუ მეზობელი შარს გვდებს, არ გვინდობს,
ძუკნა ძაღლივით ყეფს და არტისტობს,
დაე, პასუხი ლექსით გაიგოს: –
– ამ ჩემს, ეზო-კარს, არვინ დაგითმობთ.

ფრთებ გაშლილი თოლია

ამ ცხოვრების სათამაშო დახლზე,
ფსონს ჩავდივართ მოგების მოლოდინში.
თუ თამაშობ შენი თავის ხარჯზე,
ან მოიგებ ან იდარდებ ლოგინში.
ბედისწერის ნისლმორეულ თამაშს,
განერიდოს კაცი ძნელად მგონია.
ბოლო მუზის, მანდილ ახდილ ნახატს,
მე შევარქვი: – „ფრთებ გაშლილი თოლია“...
დრო გავიდა აწ მოველი აზრზე: –
სიხარბე ვცან კაცის გულის მომრევი.
და თუ, დროზე ვერ გახველი გზაზე,
კვლავ დაგათრობს მიმზიდველი მორევი.
დრო გავიდა, გავირიყე ხესთან.
ვურიგდები უკან ვერ დაბრუნებას.
მიწას ვუხმე ხის ძარღვიან ფესვთან,
რომ შევიგრძნო ნაღდი კოსმო ბუნება.
დრო რომ გავა, მომიგონებს ხალხი,
ლექსს მონახავს და კითხვა მოუნდება,
წარმოიდგენს, ვნებებს ფარდა ახდილს
და შეიცნობს, მაბერებელ ცდუნებას.

2023 წ.

გაიხარეთ ბავშვებო

ის ვინც „მუშტაიდის“ ბაღს, ნახავს, შვებით მოიარს,
გაიხსენებს ყვავილნარს, ბავშვობა რომ მოიცავს,
ჩემს უზრუნველ ბავშვობას „მუშტაიდი“ ინახავს,
მე ამ ბაღში, ბავშვებო, ბევრი რამე მინახავს;
თვალწინ მიდგას „კუკუშკა“ ლიანდაგზე მავალი,
ხეებში გამავალი, თითქოს იყოს მთა-ბარი.
თვალწინ მიდგას აუზი, შიგ მცურავი ნავებით,
არასდროს დაივიწყებთ, თუ ამ ნავში ჩაჯდებით.
და „ეშმაკის ბორბალი“ არასდროს მავიწყდება,
როცა მაღლა ადის და ეშმაკურად ირწევა.
თქვენ აქ ნახავთ უამრავ კიბის სასრიალოებს,
გორგოლაჭებით ასულს, მაღლობებს და დაბლობებს.
იქვე დახლზე, გვერდი-გვერდ, ნახავთ საწუწნ კამფეტებს;
„მამალო“ და „გოჭუნა“, ერთმეორეს ამშვენებს!
სასაცილო ოთახი მოზრდილებსაც აცინებთ:
ზოგი, დევს რომ მიაგავს, ზოგნიც, გამხდარ არწივებს.
ბავშვობიდან ვეტრფოდი სკვერში მბრუნავ „კარუსელს“:
ლომებს, მერნებს, აქლემებს, მოციმციმე ნათურებს.
ფერად-ფერად ალმებად მოფრიალე ფარდულებს,
ეჰე, ლაღი ბავშვობა, ნეტა ისევ დაბრუნდეს.
მახსოვს საბილიარდოც და ბურთების ჯახანი,
იქვე, საქანელები, ტირში თოფის კაკანი,
ან ელექტრომობილებს, აბა, რა დამავიწყებს,
სიჩქარეს რომ აკრიფავთ, საჭე არ დაგავიწყდეთ.
აქვე ასაკოვანნი ჭადრაკით ერთობიან.
ზოგნი ველოსიპედით, ფრთხილად მიდი-მოდიან.
არ ვიცი აქ ნაყინის ჭამას სანამ გაუძლებთ,
მაგრამ არ დაივიწყებთ, თუკი, გემოს გაუგებთ.
საღამოს კი, ორკესტრი, საცეკვაოდ ხმიანებს...
კარუსელი ჩაირთო, კარუსელი ტრიალებს...
საღამოთი ფერებად იღვრება ჩანჩქერები.
თუ ჩანჩქერში გაივლი დიდხანს ნუ დასველდები.
ჩემს უზრუნველ ბავშვაობას, ეს ბაღი, კვლავ ინახავს,
მე ამ ბაღში, ბავშვებო, კიდევ ბევრი მინახავს.
აქ ორკესტრი მღეროდა: – ოდელია, დელიას.
გაიხარეთ ბავშვებო, ახლა თქვენი ჯერია!

დარეჯან ღონღაძე

* * *

თითქოს გაცოცხლდეს ფრესკებიდან ხატების მზერა,
თითქოს დაეწყოთ თვალებიდან მირონის დენა,
მათი მზერიდან ბევრს გაიგებ, თუ შეგწევს ხედვა,
ადამიანო, აღარ გინდა ამდენი რბევა!
გულიდან ბოღმა ამოვიღოთ, განვდევნოთ ეშმა,
სულით კი მაშინ გავიზრდებით, როცა გვაქვს რწმენა!
ვერ ხვდება კაცი, რა უნდა ქნას, სად არის შველა,
ამდენ უღმერთოს, მოერია მაცდურის ღრენა,
საკუთარ თავში, ვერ ვპოულობთ სიყვარულს ვერა,
სადღაც გავრბივართ, როცა ღმერთი აქვეა, ჩვენთან!

* * *

მე იმ სიკეთის მწამს, ქვაზე რომ დადებ მადლს,
ცუდისთვის არვის იმეტებ, არვის უსურვებ ავს,
იმ ვაჟკაცობის მწამს, ძარღვში რომ ატანს კაცს,
ასეთი კაცის კაცობას, მე ვანაცვალებ თავს!
სამშობლოსათვის რომ შეძლებს,
რწმენით ქარ-ცეცხლში სვლას,
ერთგულებით რომ მოსილა, გულში ინახავს მრწამსს,
სიმართლე შვენის, ნათქვამში იცავს კაცობის ფასს,
ასეთი სივაჟკაცისთვის, ქალიც დავთმობდი თავს,
შემოვისხამდი ხმალ-ხანჯალს, გადაუსწრებდი ქარს,
შავი ულაყის ნატერფალს ვერ მოვლანდავდი თვალს,
მისთვის აღვლენილ ლოცვაში, ავიმაღლებდი ხმას,
არ ვუსურვებდი არავის, მისგან მოქნეულ ხმალს,
ამ სიმამაცის ყიჟინით, შემოვივლიდი მთას,
ნისლებში ფეხს ავუწყობდი, მოხეტიალე მგზავრს,
ასეთი კაცის კაცობით, მეც ვაჟკაცობა მწვავს!

* * *

დილას შევხვდები ბრონწეულის რტოებით ხელში,
მე მიყვარს მისი სიკაშკაშე, სიწითლე ფერში,
მსურს გავამრავლო სიყვარულის მარცვლები ჩვენში,
მე ამ სიყვარულს ვეზიარე თავიდან ღმერთში.

* * *

სევდისფერ წვიმებს მოჰყოლია მზისფერი ელვა
და წარსულს სადღაც გაჰყოლია ფიქრების რემა,
წვიმის წვეთებში კიაფობენ რითმები ნელა,
უნდა შეიგრძნო ეს ყოველი, აქარწყლო სევდა.
არ გინდა წყენა არავისი და აღარც ღელვა,
წამიერია ეს სამყარო და მისი ხედვა,
ეცადე, დაგმო ბოროტი და მისივე ნება,
მიენდე უფალს და ასრულე კეთილი მცნება.
წვიმის წვეთები მარგალიტის მძივებად ჩნდება
და ეს მძივები, მოფანტული, მალევე ქრება,
არა, არ გინდა, დაივიწყე, წყენა და ღელვა,
წვიმაშიც უნდა შეეცადო, შეგეძლოს ცეკვა!

* * *

მოვუსმენ ახლაც ნაწვიმარ ღამეს,
მე დავინახავ მთვლემარე მთვარეს,
მთვლემარე მთვარეს, ხანდახან სავსეს,
ცა ვარსკვლავებით იცინის, გწამდეს.

დღე თუ დაღამდა, უნდა გათენდეს,
შენი სინდისი არსად გამხელდეს!
კაცი კაცობით უნდა გნატრობდეს,
გულში მადლობით სულ შეგხაროდეს.

რომ გათენდება, ჩიტი გალობდეს,
მზე დედამიწას უხვად ათბობდეს,
ზე სიხარული ცრემლებს აშრობდეს,
ღვთის სადიდებელს ყველა ამბობდეს.

ისევ და ისევ შევიცნობ ღამეს,
ვესაუბრები ჩურჩულით მთვარეს,
ეს ვარსკვლავებიც აჩენენ სახეს,
თენდება ღამეც, ნებდება სხვა დღეს.

* * *

დილა იწყება ჩიტების მღერით,
სული ტკბილდება ამ საოცრებით,
გული ჩქარდება გალობის სმენით,
ეს ყოველივე მე მიყვარს ღმერთით!

მოვივლი მინდვრებს, ნამიანს, ფეხით,
მზესაც მივწვდები თუ მინდა ხელით,
ასე ავიხდენ სურვილებს ჩემით
და გავფრინდები ოცნების ფრთებით!

ეს ყოველივე მე მიყვარს ღმერთით,
მე ისევ ვპოვებ სიყვარულს რწმენით,
არ გავიკარებ დარდებს და ცრემლით,
აღარასოდეს შევხვდები მერმისს!

ლია შენგელიძე

მტრის ურდოებს მიარღვევდა ქალი!

(ცხრა ძმა ხერხეულიძის დედას)

ცის კაბადონს ღამის ბინდი შეერია,
გზამ ნისლები აჩრდილივით დალანდ
აბობოქრდა საზარელი გეენია,
ცეცხლის ალში გაეხვია მარაბდა.
ნაჭარმაგევს იხმო მეფემ ქუდზე კაცი,
ვინ შემკრთალა სავაჟკაცო ძახილზე?!.
კაცთა ქალებს ჩააბარეს ოჯახობა,
გაბედულად ხელი იკრეს მახვილზ
ერთზე ათი მოდიოდა მომხვდურთაგან,
დაგეშილი მტერი ბოღმას ანთხევდა,
იყო ბრძოლა სასტიკი და ულმობელი,
ვერ მოღალეს მაინც მკლავი ქართველთა.
მარაბდელ ქალს გული აუგს უგრძნობდა,
ვაჟიშვილებს ბრძოლის ველი უხმობდა...
ჩაიხუტა, გადაკოცნა ყოველი,
იყო უფლის შემწეობის მთხოვნელი.
და, როდესაც ყველა კარში გავიდა,
მათთან ერთად ბრძოლის ველზე წავიდა.
ცხრავე ვაჟი დედას თვალწინ მოუკლეს,
ქალს საწუთრო სატირალი გაუხდა,
მარაბდელი დიაცი არ შემდრკალა,
დროშით ხელში მოლაშქრეებს გაუძღ
დედობის მადლს ვერ აწონის ვერავინ,
დედის გულში გუგუნებდა ზარი,
ქართულ დროშით, უფლის ერთი მხევალი,
მტრის ურდოებს მიარღვევდა ქალი!

ცხოვრების ლაბირინთს მე როგორ გავიგნებ?!.

მინდოდა სიცოცხლე მზესავით ლამაზი,
მაგრამ ოცნებებში დროც გადამერია,
ვეძებდი სასურველს ასსა და ათასში,
დაბოლოს, ჭაღარა თმას გამომერია.
დამტოვეს წლებმა და გაფრინდა იმედი,
ვინც გულით მიყვარდა, ისინიც წავიდნენ
და, წარმავალობის ნისლში გახვეული,
მგონია, სიცოცხლის გზას ვეღარ გავიგნებ.
სამოსელს იცვლიან მთები და გაზაფხულს
შემოჰყავს ფერადი სამყაროს ნათება,
მიდიან, მოდიან, დღეთა ლაბირინთი
იწყება, გვიზიდავს , აქ არსად მთავრდება...
გუშინ რომ სიზმრები მეხვია გრძნეული,
აისის სიტურფე სარკმლიდან მიწვევდა,
მეგონა, ვიყავი ვერვისგან ძლეული,
ბრძოლაში თავდაცვა მრავალგზის მიწევდა.
სამყარო მაგონებს ჭადრაკის დაფას და
თამაში უღმერთოდ მოგვისვრის პაიკებს,
თავად ძე კაცისა ჩვენში არ დაფასდა...
ცხოვრების ლაბირინთს მე როგორ გავიგნებ?!.

ქართველობა არის მკაცრი გამოცდა

ქართველობა მარტო სიტყვა ნუ გგონია,
ან სუფრაზე სავსე ყანწის გამოცლა,
ქართველობა არის მტერთა აგონია,
ქართველობა არის მკაცრი გამოცდა.
ქართველობა საუკუნეთ ნაწრთობია,
ურჯულოთა მარცხით მონაპოვარი,
უფლის მადლით ნაკურთხი და ნამკობია,
მამა- პაპის სისხლით დანატოვარი.
ქართველობად ვერ ითქმება სიტყვა- ბილწი,
სატევარი სარდაფს გადაკარგული,
მიგდებული მანდილი და ეშმას ჰიმნი,
ქართველობა ოშკია და ხახული...
ის ძალაა, სიყვარულით ანთებული,
მოყვასის გულს სალბუნად რომ ეკარება,
ის გონია, მტერთ საოხრად მომართული,
ღირებულს რომ ყველგან ფარად ეფარება.
ქართველობა არ გეგონოთ უტიფრობა,
კუჭის საზრდო და დღიური საკვები,
ქართველობა - ეს არ გახლავთ უფლის გმობა,
ზეობაა შოთას ლექსით ნაკვები!

დედამიწას მეც ვუკოცნი ხელებს!..

კვამლშეფრქვეულ ნისლებს სძინავთ მთებზე,
აქ წვიმაა, გულში წვეთი ჟონავს.
არეული ამინდები მეძებს,
დილიდანვე ამიტანა ჟრჟოლამ.
დამშვიდდება ნეტავ სული როდის?
ამზევდება როდის არემარე?
როცა ციდან მზის ნათელი მოდის,
ბუნებასთან მეც ვზეიმობ დარებს.
გადაიყრის, ალბათ, ღრუბლებს ხვალე,
დასრულდება ფიქრთა აგონია,
ვეურჩები ძაძითმოსილ ღამეს,
მზის სხივებთან მინდა ჰარმონია.
მიწას ფესვებს დედასავით ვანდობ,
ვეჭიდები მეც სიცოცხლის ფერებს
და, მაისი ჩვენში როცა ვარდობს,
დედამიწას მეც ვუკოცნი ხელებს!

ქალის სახასიათო შტრიხები

ქალი უფრო ძლიერია,
ვიდრე მამაკაცი,
ბევრს გაუძლებს, ბევრს აიტანს,
მტვირთველია განცდის.
დამიჯერეთ, ერთგულება
ქალმა უფრო იცის,
იშვიათად გაეტეხოს
მიცემული ფიცი.
ზოგჯერ მყინვარს მოგაგონებთ,
გულს არ გადაგიშლით,
მაგრამ ნაღდი სიყვარული
ქალმა უფრო იცის.
ქალი ცრემლს არ გაპატიებთ,
გაგიმართავთ დუელს,
არ გეგონოთ, ტკბილი სიტყვით
ვინმე მოატყუებთ.
თმაგრძელი და ჭკუამოკლე
რომ გგონიათ კაცებს,
ქალს თუ უნდა, აგამაღლებთ,
ქალს თუ უნდა, დაგცემთ.
ციხის უტეხი კარივით
შეუვალი ხდება,
თუკი ვინმე უკეთური
წინ გადაუდგება.
ქალი სუსტი არსებაა?
არ იფიქროთ წამით,
ჯიუტი და თავნებაა
გრძნობისშემშლელ შარმით.

მივდივარ, მიმყვება სიმართლე!

ვარდებს შემოაცვდა სამოსი,
ქარმა შარა- შარა ატარა...
გამოვცდი, ნაცნობ გზებს გამოვცდი,
ახლა დღეა ისე პატარა,
როგორც სიცივისგან ბეღურის
გული შემკრთალი და ლეული.
განა ვიფიქრებდი ოდესმე,
დროში ვიქნებოდი ძლეული?!.
მივდივარ, აქა- იქ მხვდებიან
პალმის რტოები და ბზები,
მივდივარ, ნანატრი გზებია,
მივდივარ, ახლაღა ვხვდები,
რა თბილი ყოფილა სინათლე,
რა ტკბილი ყოფილა სავალი,
მივდივარ, მიმყვება სიმართლე
და ჩემი თავგადასავალი...

ბიჭმა, მე რომ მიყვარდა...

ამ გულს რით მოვერიო,
ანდა როგორ ვაამო,
გახსოვს წყარო, სამწყარო,
მე, შენ და საღამო.
გახსოვს ჩალიანი და
ფეხშიშველი პატარა,
გზა რომ აგვერია და
ჭყანტობებში გვატარა.
ხელში რომ აიტაცე
ერთი ციცქნა ბიჭუნა,
იმის ტიტინ- ტიტინმა
ქოხმახი რომ გვიპოვნა.
გახსოვს ის საუბარი,
მე და შენ რომ დაგვატკბო,
ფიცი - ფიცილ- ფიცილის,
დრომ ღიმილით დაგვათრო .
გახსოვს მთვარე ჭადრებში,
ღაწვზე კოცნის წამი და,
იქნებ დროთა დინებას
ისიც გაჰყვა, წავიდა.
გახსოვს ჟამი ზურმუხტის,
ცა- ფირუზისთვალება,
სიყვარული უებრო,
გიჟმაჟი და თავნება?..
. . .
მახსოვს ის დღე, ის წამი,
ჩემი სულის იარად,
ბიჭმა, მე რომ მიყვარდა,
სხვასთან რომ გაიარა...

გვანცა პაატაშვილი

* * *

არ შეიძლება რომ არ გახსოვდეს
ამ ეზოს ხორბლის სუნი რომ უდის
არ შეიძლება დაგვიწყებოდა
მზესუმზირები გოდრით და ურმით
ალაზნის პირას საზამთროს ნავი
ბალღურ კანჭებზე სისველე გუბის
ატმის ბუსუსით გამწყრალი ბაგე
შავი სამხილი მოპარულ თუთის
მოგონებები იცდიან ყველგან
სათონის მიღმა ფათალოს გულში
ოფოფი ისევ სტუმრობს ალიონს
ხურმების ლურჯი ფოთლების ბუჩქში
არ შეიძლება რომ არ გახსოვდეს
მჟავე ყურძენის სიტკბო და სუნი
სილით ნაგები ციხე კოშკები
დარდი და სევდა დაფუკულ ბურთის
ყველა კუთხეში ცოხლდება კადრი
ორთქლი კვლავ ასდის მოხარშულ სიმინდს
პაპის დაძახილს ველი შორიდან
აღარც კოკა დგას... აღარც ხმა ისმის

* * *

აღარ ვებრძვი შენს სიშორეს,
არის მასში რაღაც ტკბილი...
მაქვს ჭიქაში ცოტა ღვინო,
ფანჯრებთან კი მარტი წვიმით...
რა ხანია აღარ გეძებ,
მე და ღამე გნატრობთ მხოლოდ,
მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა
უშენოდაც ძლიერ მოგვწონს.
აღარ ვებრძვი შენს სიშორეს,
არის მასში რაღაც ხიბლი,
ოთახია სავსე ჯაზით
ფანჯრებთან კი მარტი წვიმით...

* * *

გაზაფხული ვერ გვიბედავს გამხელას,
რომ სულ მალე ენძელებით ითოვებს
და შენ როგორ გაგიბედო გამხელა,
რომ სულ მალე განაცვალებ მიმოზებს...
მზის ნათელი ერთად წაშლის შენს ჩრდილებს,
ცისარტყელა გადაგმალავს ფერებში,
ვაშლის სუნი შენს მაგივრად დამათრობს,
შენზე ფიქრსაც არ მაცლიან ნუშები...
ადამიანს იცი როგორ ებრძოლო,
გაზაფხული? თუ გიყვარვარ გაბედე
ჩემი თავი გამოსტაცე მარტის ეშხს...
ჩემი თავი გამოსტაცე მიმოზებს...

* * *

დამიტოვე ქარები და წახვედი,
დამიტოვე გაცრეცილი თბილისი,
საფერავი, რქაწითელი გეძახის
ნუში ეზოს ჭიშკრიდანვე გიღმის.
დამიტოვე საღამო და წახვედი,
დამიტოვე თებერვალი დაცლილი,
გაზაფხული ვაზებიდან გეძახის
დაბრუნდები? დაბრუნდები კი ვიცი...
სუნს მოიტან სოფლის ათასგვაროვანს
და ღონიერ ხელებს უხმოდ გამიშლი,
დაღლილ მხრებზე მოგეხვევი უთუოდ
იის კონის ძებნას ისევ არ ვიშლი...
და მომიტან ნაჩქარევად შეგროვილს
და მომიტან აჩეჩილს და მიწინს
მაქეთ შენი ხეთა გაზაფხულები
აქეთ ჩემი აპრილები გიცდიან.

* * *

ამაოდ დავეძებ ფიფქებს და ნამქერებს,
ამ წელსაც არ მოვა? ვკითხულობ გაბუტვით.
შენ ისევ იჩეჩავ მხრებს თითქოს დარცხვენით
მოვაო მპირდები, თუმც აბა რა იცი...
მე გაუთავებლად ცის თაღებს შევყურებ,
ის მაინც ჯიუტად ხასიათს არ იცვლის,
მაგრამ ხომ დამპირდი, რომ მალე ითოვებს
და მეც ფანჯარასთან დავიცდი დავიცდი...
შორს კავკასიონი გათეთრდა რამდენჯერ,
ეზოდან შევყურებ და ისე განვიცდი,
შენ კი დანაპირებს ვიცი, არ ღალატობ,
მაგრამ ამინდების მაგდენი რა იცი...
და შენი ალუჩა ვხედავ სულ გათეთრდა,
ვაშლებზე უამრავ თეთრ ფიფქებს დავითვლი,
მუჭში ჩაკრეფილი ჭერმის თეთრ ყვავილებს
ზეცაში ისვრი და ყვირი ხომ დაგპირდი...

დედა

შენს ეზოს ბალბის სურნელი ასდის,
ყველა სეზონზე მაგებებ ფერებს
შენც ასეთს გხედავ წარმოდგენებში
მუდამ უჭკნობს და მუდამ მრავალფერს.
ეზოში შენთან ბრონწეულები
სურის ფოთლებში ანთებენ კოცონს
და ყველა ჩემი ბავშვური შტრიხი
სულ ამ ეზოში იცოცხლებს მხოლოდ.
აქ , შენს ეზოში კარალიოკი
დღე და ღამ ფერად ხალიჩებს აფენს,
შეჰერაზადას ზღაპრების მსგავდად
არც შენი დღენი მინდა დამთავრდეს...
აქ, შენს ეზოში კავკასიონი
შეუდრეკელად დგას საუკუნოდ,
მინდა მასავით უკვდავი იყო
და ქარტეხილებს ისევ გაუძლო.
შენს ეზოს რთავენ ჟივჟიველები,
შენი სურნელი ჩაღვრიათ სულში
გთხოვ, დამიბერდე ღრმა სიბერემდე
რომ სულ იცოცხლოს ბავშვმა ჩემს სულში.

* * *

ზღვა ღელავს გვირილის ვრცელი და უსუნო,
მთის კალთებს უდნობი თოვლივით აყრია,
აქა იქ სილურჯეს ჩაიქსოვს თმებივით
ბაბუაწვერები ღრუბლებად დაღვრია.
ზაფხულის ფერები დაყვება შეგრძნებებს
პატარა რომანებს გზა უხვად გახსნია,
ის სიყვარულია აქა-იქ ახსნილი
ტკბილ ჟრუანტელად, რომ წარსულში დადიან.
ივლისი მიყვება გზად ციცინათელებს
ალუბლის ნაკოცნი ყურს უკან ატყვია
თუთები? არ ენდო გამხელენ უთუოდ
თამაში დაიწყო, ცეცხლი კვლავ ანთია.

* * *

გაზაფხული შემიგროვე მუჭა-მუჭა
სოფლის მზისგან შემიკარი თაიგული
ჩვენს ეზოში ნუშს რომ გული გაუღია
იმ გულისგან წამომიღე სიყვარული...
ორღობეებს თუ სიმწვანე შეეპარათ,
თუ ნარცისებს სიყვითლე აქვთ თავს გასული,
მინდვრებიდან მოიპარე აპრილი და
მომიტანე, დამიბრუნე შორს წასული.
ღელე-ღელე შემიგროვე იის კონა
მიწიანი, ფოთლებით და ბოლქვიანი,
მომიგროვე ის ბავშვობა მანდ რომ მქონდა,
მაისის და მარტის წვიმას გარეული.
მომიყევი რომ მერცხლები ბუდეს ქმნიან,
რომ წვიმის დროს სახურავი ისევ მღერის,
მუჭა-მუჭა შემიგროვე გაზაფხული
ნაზამთრალი, სულშეკრული გელი, გელი...

კესო...

ჩემო გარდასულო მოგონებავ,
თითქოს ზამთარივით ფერმკრთალდები,
თითქოს მეკარგები სიზმრებიდან
თითქოს შენებურად იოლდები...
ჩემო, ბავშვობაში დარჩენილო
სითბოვ, სიკეთევ და სისადავევ,
შენი ბალიშები მენატრები
მათი ნესტის სუნი, სიქათქათე...
შენი ჩურჩხელები მენატრება,
შენი ულამაზო თონის პური,
შენთან საუბრები მენატრება
როგორც განსაწმენდი სულის...
შენი სასთუმალი მენატრება
ათას საფიქრალით ავსებული
მუდამ გადაშლილი სახარება,
შენი სიბრძნის წყარო განუყრელი.
ბები გოზინაყი მენატრება,
მსხვილად, ნაჩქარევად ნაკეთები
შენი კაკტუსივით იუმორი
ჩუმად შენახული ტკბილეული...
შენი მოლოდინი მენატრება
ცისფერი ჭიშკრიდან მომზირალი
მოხვედი? ბაბო გენაცვალოს
სიტყვები გულიდან მოდინარი.
შენი წინსაფრები მენატრება
შენი შავი პალტო, თეთრი თმები...
როგორ აიოლებ უშენობას???

* * *

მარტის ბოლოზე შემოჯდა წვიმა,
და ფერებაშლილ გაზაფხულს უღრენს,
ზეცაზე ვეძებ ცისფერ ალაგებს
სადღაც მზის სხივებს ინახავს ულევს.
აპრილი ვერ სცნობს ასეთ ხარებას,
მეც მოლოდინით შევყურებ ფანჯრებს,
როდის იფეთქებს იასამანი,
და მარტი უკან ჩაიწყობს ავდრებს.
სდუმს დედამიწა უბეში დარდით,
ბუნებამ სხვაგან გამოიღვიძა,
დგას გაზაფხული, ვით მორცხვი ბავშვი
და დანაშაულს ზამთარს უჭიბავს.
სდუმს ტაძრის ეზო, სდუმს თავად ღმერთი,
და მის გარეშე გვაცდის ცხოვრებას
მე ვრჩები სახლში, ვით პეტრე მამლით
და მაინც ღვთისგან ველი ცხონებას.

* * *

მინდა, ცამოთოვოს მინდა,
მინდა, ჩამოზვავდე სულში,
მინდა, გაშავთეთრდეს ხედვა,
ასჯერ მოგინატრო წუთში.
მინდა, ჩამობარდნოს მინდა,
თოვლმა ჩამირაზოს კარი
მინდა, გაუკვალავ გრძნობებს
ისევ ავურიო კვალი.
მინდა, ჩამოიქცეს ზეცა
გატყდეს დეკემბერი ავი,
სუნთქვა გადამექცეს ორთქლად,
მზე შემოვიტყუო სახლში.
თოვლში გაგიჟება მინდა,
ჩემგან გამოვუშვა ბალღი,
მინდა, ორღობეში მზერა
ისევ დამახვედრო მალვით.
მინდა, ჩამოთოვოს მინდა,
ყინვა გამოკეტო ფანჯრით,
მინდა შემოასწრო ზამთარს
სითბო შემოგაკრა ტანით.

ნეტავი, ნეტავი იქ მენახე...

ძველ დროს მენახე მთაში მომდინარე,
ცხენის სისწრაფისგან თვალს დაგიბნელებდი,
გულს გაგიხელებდი ჯიუტი გამოხედვით,
ჩემს უხმო ტრფობაში ფიქრს დაგიბერებდი.

მზერით გაგიწვევდი გრძნობათა ჭიდილში
სიტყვით მოგიჭრიდი ბილიკს ჩემსკენ სავალს,
ცას გაგიმუქებდი ღრუბლების მანდილით,
და მოგანატრებდი ჩემი სახის ნახვას.

ჯიხვებთან მებრძოლი რომ მენახე,
იარაღს ჟინით გატენიდი.
ერთს შემოგღიმებდი მთვარის შუქით
ვიცი, რომ ამ ღიმილს დასწყევლიდი.

წყაროზე მწყურვალი რომ მენახე
თითებით წვეთ-წვეთად შეგასმევდი
შენს სუნთქვას უბეში შევკრიბამდი,
მთას იქით ჩემს სუნთქვას შევიბამდი.

ძველ დროში, მთაში რომ მენახე
შენს გულში სამეფოს ამიგებდი,
ნეტავი, ნეტავი იქ მენახე
სიყვარულს თვალებით გაგიმხელდი...

* * *

ჩვენ დავბერდებით, მაშ აბა როგორ,
რადგან სიცოცხლე ორივეს გვიყვარს,
მაგრამ დავრჩები მე შენთვის გოგოდ
შენ კი დარჩები ჩემთვის კვლავ ბიჭად.
ჩვენ დავბერდებით , მოვა ჭაღარა...
თუმცა სითეთრეს მე გადავმალავ,
შენც გათეთრდები და ჩემს მაგიერ
ვიცი, ამ ტვირთსაც ქარებს გაატან.
ჩვენ დავბერდებით, შენ ისევ მეტყვი
ჩემო პრინცესა , ჩემო პატარა...
ბებრულ ტუჩებში ჩამეცინება
გულში კი ისევ კერპად აგღმართავ.
ჩვენ დავბერდებით, ასეა წესი...
შენთან ყველაფერს მაინც ხიბლი აქვს,
შენგან ნაფერებ ხეების ჩრდილში
მოგონებების სევდას მივიტან.
ჩვენ დავბერდებით, შემოდგომები
ყველა დილის სხივს შემოერევა,
შენგან დანთებულ ბუხრის ალები
მოხუც ხელებზე მომეფერება...
ჩვენ დავბერდებით... მაშ აბა როგორ,
რადგან სიკვდილიც შენ მხრებში მინდა,
შენთვის ვიქნები მე ისევ გოგო
ჩემთვის დარჩები შენ ისევ ბიჭად...

* * *

ცას გაუშავდა ლურჯი თვალები,
ტიტებს ღაწვებზე ფერი დაექცა
გადაიარია იასამნი,
უშენოდ ვცელქობ, როგორც თავკერძა.
მგონია, სისხლი ნუშებსაც უჩქეფს
მზეს მცხუნვარებით წნევა აწვება,
თუ ამ გაზაფხულს მარტო გაუძლებ
მე რა მაწუხებს?! რა მენაღვლება?!
დგას გარდატეხის ასაკში კვირტი
თეთრი საკინძე მკერდძე ასკდება,
თუ აღელვება გვერდზე ჩაგივლის
აუღელვებლად რაღას გაბედავ?
ათასი სუნი ხლართავს შეგრძნებებს
ქარიც ნელ-ნელა ჭკვაში ჩადგება,
თუ ამას მშვიდად მარტო გაუძლებ
მაშინ სიბერეც ნუ გედარდება.
ჩიტების ქორწილს სადენი იტევს,
კაკალს დაცინვით შინდი გახედავს
მარტის ყავაზე მოწვეულ აპრილს,
დრო და დრო გზაში სეტყვა აწყდება.
მე ჩაგუბებით ნაკადულს ვახრჩობ
კისკისის ნაცვლად გულზე გასკდება
შენ თუ გაუძლებ ჩემს თავნებობას
თორემ გაზაფხულს რა ენაღველება?!

* * *

ოქტომბერს მზე მშვიდად ეყრება
ცივს ტოვებს თუმც ნაბიჯს არ უკლებს
ქვევრში ჩაწურული ცხოვრებით
აღვინებს მარტებს და ზაფხულებს
ბოლო აფეთქება გაბედეს
ნასხლავზე ვარდების კვირტებმა
შენგან სიშორეა ბადაგი
ყელს მიწვავს თან თითქოს ტკბილდება...
ნამზეურ მწვერვალთა სითეთრე
ზამთარს უსათუოდ გვპირდება
შენი ბეღურების ჩემს სულში
მშვიდი გადმოფრენა იწყება.
ხეებზე აიმღვრა ფერები
ყველას ხასიათი ირეკლავს
შენს ბაღში ჰამაკი ეული
ქარების იმედად ირწევა
ოქტომბერს მზე მშვიდად ეყრება
ცივს ტოვებს თუმც ნაბიჯს არ უკლებს
შენი ბეღურები ჩემს სულში
კვლავ და კვლავ ავლებენ მავთულებს...

* * *

ჩამოათოვა ძველისძველ ბაღებს
ფათალოც ლურჯად აიმღვრა
თოვლში,
ამ ღობის მიღმა ენძელებია,
იმ ღობის ძირში იების ბოლქვი.
მხრებს თუ შეარხევს კოწახურები
მათი სიწითლე შეჰკივლებს ზეცას,
ამ წყლის ონკანში ოქროს თევზია
ასე გვჯეროდა მე და შენ ერთხანს.
უკან ეზოში აღარ დგას თივა,
კომშსაც ტოტები დაბერებია,
ჩვენ რომ ვუცქერდით ცივის მთებს თმებში
ამ იანვარშიც გასთეთრებია...
ბეღურებს ისევ ქორწილი ათბობთ,
დენის სადენზე კვლავ შლიან სუფრას...
ჩამოათოვა ძველისძველ ბაღებს
ფილმივით მახსოვს, კვლავ ვუცქერ თუმცა...

* * *

წყლის წვეთი წამით შედგა სივრცეში,
მინდა, ნახატი იგრძნოს სიტყვებმა,
მარადისობას ვმალავ ფურცლებზე,
მაგრამ სიცოცხლე სვამს სილუეტად.
საათის ისრებს მოვიქცევ მუჭში,
წამი ფრთხიალებს ჩემს ხელისგულზე
დრო მაინც მიდის თითის ღარებში,
ეს ვიცით ყველამ და მაინც ვუშვებთ.
შენ იცი, როგორ დავმალავ ასაკს
და დავაბრალებ ნოემბერს, ზამთარს...
თმის ცისარტყელით ფანტელს გავაქრობ
სიცოცხლეს ვითხოვ, მაგრამ წლებს არა
ბედნიერების ნაგლეჯებს ვკინძავ
ცოტა არ არის, მაგრამ არც მკმარა
მათხოვარს ჩემზე მეტი ბმული აქვს
მისი ხურდები ჩემს ათასს გასცდა.
გაცვდება ტალღით ამ ზღვის ნაპირიც
გასცდება ხმელეთს და ცისკენ წავა,
სიცოცხლეს ვითხოვ, მზარავს სიკვდილი
მაგრამ წლებს ვმალავ, მაგრამ წლებს არა..

* * *

ვზივარ და ჭრიჭინებს გაუდით ფერხული,
წინ შემოდგომურა ფერებმა იფეთქეს,
ცაში ჩაკიდული საღამოს ნისლები,
ათასგვარ სანატრელს , ოცნებას მიჩენენ.
სულშეგუბებული იღამებს აგვისტო,
მიდის და ნამზეურ ნაკვალევს მიტოვებს.
ამ კარალიოკებს ჯადო აქვთ უთუოდ,
მათი სიმყუდროვე შენს სურვილს მიორებს.
მთვარე შემოუჩნდა ჩრდილებით ფანჯარას,
რამდენჯერ დამებნა მის შუქზე ფიქრები,
შეყვარებულივით დამივლი ჟრუანტელს
და ლექსის რითმებში დილამდე იღვრები.
ვზივარ და ჭრიჭინებს ბოლო არ მოუჩანს,
უღმერთოდ მტოვებენ უძინარს, უფერულს.
ზაფხულის სიზმრები წავიდნენ შორეთში,
გარეთ შემიდგომა მოსულა უშენოდ.

* * *

ჩვენ ბაღში უთუოდ ბროწეულს შეჰყურებ,
რადგან ის ერთია, რასაც მე მამსგავსებ
მასავით დავმრგვალდი უკვე რა ხანია
და შიგნით მარცვალი სიცოცხლე გავზარდე.
მერე კომშს გახედავ სიმწიფე შეპარულს
მათ შორის ყველაზე ლამაზებს აარჩევ,
ფრთხილად შემოძარცვავ მაგ შენ ნაფერებ ბაღს
და ყველა ჩემს სურვილს სიცოცხლით აავსებ.
ჩემთვის შეაგროვებ შემოდგომის სურნელს
გზადაგზა შერჩენილ სხივებსაც ჩაიწყობ
იქამდე დამიცავ ზამთრის დადგომისგან
სანამ მის დადგომას მე თავად არ ვითხოვ.
ჩვენს ბაღში უთუოდ ღიმილით სეირნობ
და ჩემთან შეხვედრა ისევ გულს გიჩქროლებს
იხსენებ ჩემს მძიმე , არეულ ნაბიჯებს
მე და ბროწეულებს სიმწიფეს გვიწონებ

მარეხი რიკაძე

****
სირინოზები უკრავენ საყვირს,
ლურკა ტალღები ირწევა,
მზე ამოცურდა დიდი,კაშკაშა,
აქ საქართველო იწყება!

ანგელოზები უკრავენ საყვირს,
თოლია სივრცეს მოაპობს,
თან თავის ბარტყებს ნაცარა ჩიტი,
სულ ცხელ-ცხელ ამბებს უამბობს,

გუთნისდედა კი ურმულს ღიღინებს,
მინდორი,ველი ხარობს,
რატომ დაღონდი ჩემო ნიკორა?
არ მოიწყინო ხარო!

ეს დაგვავალა მაღალმა ღმერთმა,
ოფლით ვიშრომოთ უნდა,
ხარის ქედმა და კაცის მარჯვენამ
უნდა იხაროს მუდამ!...

****
აქ რუსთაველის სამშობლოა მარად მდიდარი,
აქ ვაჟას გული ჰანგებად ჟღერს გადმომდინარი,
ამ მთებს და ველებს უმღეროდა გალაქტიონი,
ძმობის და დობის ინტებოდა აქ ლამპიონი,
აქ უმღერია ბარათაშვილს ბედისწერანი,
აქ აჭენებდა უგზაუკვლოდ მისი მერანი,
ეს მთა,ეს ველი ფიროსმანის მონაქარგია,
დასტკბი,შეხედე,ყოველივე როგორ კარგია,
აქ კავკასიის არწივები ისევ დაჰქრიან,
აქ გმირთაგმირი ლომკაცები ისევ არიან,
მაგრამ ხანდახან ბურუსია და ბნელი ნისლი,
მაგრამ უფალი მოწყალეა და მჯერა მისი,
რომ გაანათებს ჩემს სამშობლოს კვლავ ზველებურად
და აყვავდება მტაგორები ისევ მეფურად!

დედას

სამყაროს რომ იტევს გულში,ის ქალი ხარ!
შვილისთვის რომ ყველას დასწვავს,ის ალი ხარ!
მთელ სიცოცხლეს რომ უდრიხარ,ის წამი ხარ!
მწყურვალეს რომ დააწყურებს,ის წყალი ხარ!
შენი დარი მე არავინ შემხვედრია,
ჩვენს აღზრდაში ღმერთო,რა არ შეგხვედრია,
დედი ჩემო სალოცავო,საფიცარო,
შენთვის მინდა სულ ბოლომდე დავიცალო,
დედი,ჩემო ბევრის მთქმელო და უთქმელო,
დედი,ჩემო მუდამ მუხლებ ჩაუხრელო,
როგორ მინდა მუდამ მყავდე,როგორ მინდა,
უფლის მერე,შენ ჩემტვის ხარ წმინდათ წმინდა,
დედი მინდა ეს დღე შენი მოგილოცო,
და დაღლილი ეგ ხელები დაგიკოცნო,
როგორ მინდა,მარად ჟამს რომ მყავდე დედი,
როგორ მინდა უკვდავების გქონდეს ბედი!!!

****
ცას უკეთებენ აივანს,
ანგელოზები ღვთისანი,
ფრთა-ფრთას ურტყავენ ერთმანეთს,
ის ონავარნი ცისანი,

თეთრ ფარდაგებსაც აფენენ,
აქაიქ გრძელ ფოჩებიანს,
ღვთის სასუფეველს არქმევენ,
სახელად რომ მორჩებიან,

დედამიწიდან ის მოსჩანს,
ვით დიდი თეთრი გუმბათი,
შემკობილია ლამაზად,
გალობენ დაფდაფ,ზურნათი,

ის წმინდა სავანე არის,
მხოლოდ კეთილი სულისა,
მხოლოდ მოთმენის,სიმდაბლის
და მხოლოდ სიყვარულისა,

უკვე მზადაა სავანე,
მორჩილებს ყველა ძალებსა,
მოვლენ კეთილი სულები
და გაუღებენ კარებსა!!..

საგანძური

დარდებიდან წამოსულო,
ჩემო მრავალ ჭირნახულო!
რა გვაქვს სხვისი სახვეწარი,
თავადა ხარ საფიცარი,

საგანძურო დედამიწის,
სისხლი როგორ ამიდუღდა,
ამოდენა სიამაყეს
დაფასება აღარ უნდა?

ევროპას რომ ვეტენებით,
გული ლამის შემიღონდეს,
რის ევროპა,რა ევროპა?
სახვეწარი აქეთ ქონდეთ!

თავადა ვართ ევროპელნი,
ძირძველი და საუკუნო,
თუ არ ჯერათ,მუზეუმში
მიბრძანდნენ და იქ უყურონ,

გეფიცებით ლამის გულმა,
ამოვარდნა დააპირა,
იმ სიმდიდრეს რაც იქ ვნახე,
სიხარულით ამატირა!

ათას წლებს რომ ითვლის ზუსტად,
ის სიმდიდრე გაგვაჩნია,
ამიტომაც დედაღვთისამ
ამდენ ერში აგვარჩია!

რა წარსული,რა სიმდიდრე,
რა კულტურა,ისტორია,
სხვა ერებზე რაც მსმენია,
საქართველოსთან ნოლია!

ხოდა ამ ჩვენს მუზეუმში,
სხვა ქვეყნიდან მოსულებო,
რომ დადიხართ ბლატაობით,
სიფათი გაქვთ მოსულელო,

დაუკვირდით და შეიგნეთ,
ვინავართ და რა გორისა,
საბლატაო აქეთა გვაქვს,
ნანახი ჯობს გაგონილსა,

მოიყვანეთ ყველა ვინც კი
ვინაც გსურთ და ვინაც გინდა,
და ანახეთ თუ მოტვინავთ,
ევროპა სად აღორძინდა,

არავისი სახვეწარი,
არაფერი არ გვჭირს ხალხო,
ავუფრთხილდეთ ჩვენს კულტურას
და მსოფლიოს დავანახოთ!!!

სულის მალამო

სულის მალამო ხართ უებარი,
გულის სიმები ხართ საამური,
ყველგან აყვავილე მთა ,და ბარი,
გრძნობის აამღერე სალამური
იცით ეს ღიმილი რა ტკბილია,
სახეს რომ გინათებს ქალბატონო,
სისხლის ყივილი ხომ გაგიგია,
მინდა მთელ სამყაროს გავაგონო.
რომ იქ დაბადე აღიზარდე,
სადაც მეც მოვედი ერთ დროს,
სულში სიყვარული ჩაიზარდე,
ახლაც ეს გამშვენებთ ერთობ
ერთი გორისა ვართ და ვამაყობ,
შუქი გზას მინათებს თქვენი,
სადაც ჩავიმუხლებ მახსენდებით
და ეს სასწაულად მშველის.

* * *

ა-მ ქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოვდივართ,
მ-ხოლოდ ერთხელ გაილევა სავალი,
ო-რღობეში მიწყნარდება ჩურჩული
დ-ა დადგება წამი გარდამავალი...
ი-სევ ცრემლი დაგინამავს სასთუმალს,
მ-ერე კადრად გაგიელვებს ცხოვრება,
ზ-ვარაკებად გაგიელვებს წარსული,
ე-რთხელ ჩნდები,უნდა იგრძნო ცხოვრება!..

დავით ძნელაძე

ხაშური

მურვანიშვილის ფიჭვები
ლაღად ასუნთქებს ქართველთ...
ხაშურის კოშკი აოცებს
დღეს ამ ქალაქის მნახველთ.

აქ უცხოვრია ფიროსმანს,
რწმენა უცვლია რაჟდენს,
აქ ულოცია დიმიტრის,
და, ღმერთო, კიდევ რამდენს.

სურამის ციხე დაგვცქერის,
ნაგები ძველთაძველი,
მრავალი ომის მნახველი,
მრავალი ამბის მთქმელი.

სადაც ზურაბი ჩაკირეს
კედელი არის სველი...
იმ კედლიდან კი ცრემლი დის
უკვე რამდენი წელი.

კოდიწყაროს ტბა ლამაზი
და გვირილების ველი,
ბიჯნისის ცივი ჩანჩქერი,
უამრავ მნახველს ელის...

წრომის ტაძარი ჩურჩულებს,
ბულბულის ციხე მღერის,
ძვირფასი საგანძურია,
ისტორიაა ერის.

მონატრების ქარი

ისე მატირებს დღეს შენზე ფიქრი,
სიცილის მეფეც ვერ გამაცინებს.
მთვარეც ეცდება თვალის ახვევას,
მაგრამ ამაღამ რა დამაძინებს.

მომაგონდება ბაზალეთის ტბა,
ყაყაჩოებით სავსე მინდორი...
წყალში შესულს რომ გამოგედევნე
ყველაზე მეტად მაშინ მინდოდი.

ჩვენი შემყურე მზე მოგვერიდა,
ღრუბელი თავზე ჩამოიფხატა,
ანგელოზები დასხდნენ ნაპირზე,
როს ორთა ლანდით ტბა მოიხატა.

გამახსენდება ქობულეთის ცა
და მოლივლივე ზღვის დალალები...
კმაყოფილებას ვეღარ მალავდა
შენი ზღვისფერი სათნო თვალები.

და იყო წუთი... და იყო წამი...
და იყო დროის რაღაც ფარდობა,
შენთან ვიყავით - ბაღში ვიჯექით,
ბაღის ბუნებას ჰქონდა ვარდობა.

მე სინატიფე ვიხილე შენი
და სათნოება გავიზიარე,
ჩემს ღმერთს შევარქვი სახელად მარი
და სიყვარულის ცას ვაზიარე.

მომაგონდება მზე სიახლოვის -
შენი მარწყვივით ტკბილი ტუჩები...
ჩვენი ერთობა და სეირნობა,
განათებული თბილი ქუჩები.

მომენატრები... მომენატრები...
მთვარე ავსილა მზის მონატრებით...
ღამის მანდილი მოპნეულია
ულამაზესი ცის მონაზვნებით...

დღეს მე ოცნების მკვიდრი შვილი ვარ
და მონატრების ქარი მაწვალებს.
მე უშენობას ვერ ვეგუები,
მე უშენობა ძლიერ მანაღვლებს.

და არის წამი... და არის წუთი...
და არის დროის რაღაც ერთობა.
შენკენ მოვილტვი და უსაშველოდ
მოგონებები გრძნობებს ენდობა...

ღამემ წააგო დღესთან ჭიდილი,
ცას სილაჟვარდე დაეპატრონა...
ბუდეს დაეძებს ორი ფრინველი:
ცელქი ტოროლა და ჩიტბატონა.

ღვთისმშობლის ხატთან

სიყვარული წევს მთვარიან ცაზე,
მას მიწიერი ტანჯავს სიზმარი...
წართმეული აქვს მოწყალე სული,
გახეთქილი აქვს გულის ფიცარი.

დაბადებისას ფრთებიც თან დაჰყვა,
ყველა მორწმუნე ჩუმად მიენდო...
და შვილობილი გახდა ის ზეცის,
როცა კაცთაგან ცოდვა მიეზღო.

ერთმა კეთილმა მხატვარმა კაცმა,
ეკლესიაში ფრესკა დახატა,
ყრმა იესო ჰყავს მარიამს ხელში...
სალოცავ ხატთან წევს ჭრელი კატა.

დაკარგეს რწმენა და სათნოება,
სიყვარული და თავად გონება,
მიწაზე დაძრწის ნიღბების კასტა,
ცას ეშურება ლიპა ოცნება.

ღვთისმშობლის ხატთან ილოცებს კაცი,
მერე წავა და სიყვარულს გაცვლის.
მოხუცი აჭმევს შვილიშვილს წანდილს,
შვილიშვილი კი იმასვე სჩადის...

და სიყვარულიც ამაოდ ფიქრობს
დედამიწაზე ფეხის ჩამოდგმას,
მტვერით ევსება სუფთა თვალები,
ვერ ემიჯნება მიწიერ მოდგმას.

გაფითრებულა განთიადის ცა,
ცოდვილ მიწაზე დიდი „თოვლია“...
„თეთრმა ბომბორამ“ დაჰყეფა ცივად
და მიეყინა ნაპირს თოლია.

სიყვარული წევს მთვარიან ცაზე,
მას მიწიერი ტანჯავს სიზმარი...
წართმეული აქვს მოწყალე სული,
გახეთქილი აქვს გულის ფიცარი.

ქობულეთის ბულვარი

ზღვის ნაპირზე დავსეირნობ აქეთ-იქით,
სიყვარულის და მუზების მწყურვალი...
რომ იცოდეთ, სულიერად როგორ მაძღებს
ქობულეთის ეს ახალი ბულვარი.

ქვიშის ფრენბურთს ვითამაშებ განტვირთვისთვის,
სკეიტ ბორდით ვისრიალებ მალიმალ.
ველობილიკს მზის ჩასვლამდე ვეთხოვები,
დავისვენებ, რადგან უკვე დავღლილვარ.

ბავშვებს ართობს ბატუტი და გორაკები,
კოშკურებზე გაჭიმული ხიდები,
ჩიკორივით მობზრიალე საქანელა
და ფიჭვებზე შემომსხდარი ჩიტები.

ოლიანდრას ბუჩქებს ვითვლი გამალებით,
ლექსებით და ყვავილებით მკურნალი...
დამიჯერეთ, გულს მალამოდ მოგეცხებათ
ქობულეთის მშვენიერი ბულვარი.

ვისაც მართლა მოგენატრათ დასვენება,
ნუ გადადებთ, აქ მზის სხივი სულ არი...
არ დაიკლოთ სიმშვიდე და ნეტარება,
გელოდებათ ქობულეთის ბულვარი.

მზე ღრუბლებს იქით

დღეს, როცა გული ას ქორწილს იხდის,
როცა შავი ზღვა ნაზად მიღიმის...
რად მებუტები, ჩემო მნათობო,
რად მემალები ღრუბლების იქით?

გარშემო ნაზად მღერის ბუნება,
ჩემი ჭადარი ბანს ეუბნება.
გესმის, „კაფეო“ თქვეს გუგულებმა,
მყინვარი ცის თაღს ელამუნება.

ნუ მებუტები, ჩემო მნათობო,
ნუ მემალები ღრუბლების იქით.

მადონა კისმეიძე-ქორიძე

ჩემო დედი

შენი მონატრება, სულში ფორიაქობს,
და მეწვის როგორც, დაჭრილს ჭრილობა,
მე ხომ შემპირდი, დაგელოდებიო,
რად არ შემისრულე, დედი ეს პირობა.
შენი სულის სითბო, ისე მენატრება,
მონატრებულ სულს, რომ არ მეშვება,
წლები გავიდა, მაგრამ უშენობას,
ეს გული მაინც, ვერაფრით ეჩვევა.
რამდენჯერ შევადარე, სახე შენ სახეს,
ვერ აღმოვაჩინე ვერაფრით მზგავსება,
მაგრამ, ხასიათი, სითბო, უდიდესი,
შენებრ ლამაზად, დღემდე მომყვება.
თვისება, დადებითი, რაც კი გაგაჩნდა,
მუცლიდან დამაყოლე, ისე გამზარდე,
ამით ვამაყობ, დღემდე ჩემო დედი,
რომ მე შენ, ლამაზი, ცხოვრება მასწავლე.
თვალს ხშირად ვავლებ, განვლილ ცხოვრებას,
თვალზე კურცხალი, თავად გორდება,
და უფრო მეტად, დარდი და ტკივილი,
ამ გულში გამუდმებით ისევ გროვდება.
ღიმილშიც შენ გხედავ, დღისითაც, ღამითაც,
უაზროდ მივყვები სხვა ქვეყნის ბილიკებს,
დარდით,ტკივილით, წლები გარბიან,
მე კი, ვერაფრით, ვერ ვშველი ტკივილებს.

უსაყვარლესი ბიძისა და მამის ხსოვნას

არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობამ,
კინო კადრივით გადამიარა,
მომნატრებია ბავშვობის ხანა,
და ამ ტკივილმა ვერ გამიარა.
მომნატრებია მწვანეყვავილა,
მომნატრებია ბავშვობის ფუძე,
სულ გავურბივარ ამ მონატრებას,
არ მინდა არაააა, ვიფიქრო ცუდზე.
რამდენი კარგი კადრი გაჩერდა,
და შემეყინა პირზედ ღიმილი,
რაღაც ტკივილი ვიგრძენი უცებ,
და ამივარდა მწარე ტირილი.
იქვე სახლის წინ წერეთლის ბაღი,
საოცარ ხალხით შევსილი კადრით,
ყოველ დილით რომ ზარი რეკავდა,
მთავარ ანგელოზის უფლით და მადლით.
და მე ავტირდი იმ წამში რაკი,
თავი ვიგრძენი ვით თოთო ბავშვი,
მასეინებდნენ მე პანთეონში,
თეთრი ლამაზი პატარა რაშით.
ყელზე მეხვია ის თეთრი კაშნე,
როგორც წარსულში, პატარა ბავშვი,
სიხარულით რომ მივიჩქაროდი,
იქვე, სახლის წინ, საყვარელ ბაღში.
და მე ოცნებამ ისე ჩამძირა,
ისე გამითბო წარსული სულში,
ნეტავ იცოდეთ ამ წუთში ამ წამს,
როგორ ვიგრძენი ტკივილი გულში.
და რომ ვფიქრობდი წარსულზე იმ წამს,
თვალწინ დამიდგა ის ჩვენი ეზო,
ეზოს და უბანს რომ უხდებოდა,
ვაჟკაცი ძმები, თენგიზი, რეზო
მაინც იქვე ხართ, იქვე უბანში,
პანთეონის და მუხების ძირში,
სულ მოგიგონებთ, არ დაგივიწყებთ,
ვიდრე მიდგია მე სული პირში .

* * *

აფეთქებულ ატმის ყვავილს შეგადარე,
გაზაფხულზე რომ ყვავილობს ხეზე,
ვარდისფერი ყვავილივით მშვენიერო,
როგორ მინდა მოგეხვიო ყელზე.
ტანზედ კაბა მოგხვევია ფოთლებივით,
გაზაფხულზე რომ უხდება ხეებს,
მოვალ ახლოს, მოგიჯდები, ჩაგეკვრები,
შემოგახვევ ტოტებივით ხელებს.
დალალები რომ დაგყრია მხრებზე,
ჭადრის შრიალს შევადარე თითქოს,
როგორ მინდა შეგიცურო ხელი თმაში,
შენი თმების სურნელება ვიგრძნო.
ლერწამივით აგიყრია ტანი,
და თეძოზე მოგტმასნია კაბა,
სიარულში ვერც შენიშნე ნიავმა რომ,
მოგიბერა შეარხია კალთა.
გამოგიჩნდა მუხლის თავი ქათქათა და
ჟრუანტელმა დამიარა ტანში,
ვერ გითხარი, ვერ გავბედე ვერაფერი,
დასათრობად გავიარე ბარში.
გონებიდან არ ამომდის შენი სახე,
სიზმარშიაც მხოლოდ შენ მელანდები,
სახელიც კი არ მიკითხავს შენთვის მაგრამ,
დღემდე გეძებ, მხოლოდ შენ მენატრები. ❤

* * *

ნაბიჯ ნაბიჯ მივუყვები ხრიოკ აღმართს,
ვერ შევძელი სიარული ჩქარი,
როგორ მინდა რომ ბოლომდე დავრჩე,
საყვარელი და ძლიერი ქალი.
და არ მინდა წარსულს ჩავაბარო,
საუცხოო ის ლამაზი წლები,
გთხოვ უფალო არ წამართვა ფიქრი მათზე,
რადგან მათი მოგონებით ვთბები.
ჩემი ცა და დედამიწა მხიბლავს,
უცხო მიწის არაფერი მათბობს,
მხოლოდ მისი მონატრებით ვარსებობ და.
ჩემი მიწის სურნელებას ვნატრობ.
თუ ასეთი ცხოვრებისთვის გამიმეტე,
სიბერესაც შევაჩვიო თვალი,
მაშ მითხარი ამდენ ტანჯვის მერე,
შევძლებ? ვიყო კვლავ ძლიერი ქალი? .
გთხოვ მუხლებში არ წამართვა ძალა,
სიარული მაინც შევძლო ჩემით,
გევედრები უფალო რომ დამინდო და
ეს გონება შემარჩინო ჩემი.

* * *

როგორ მწარედ გაგვიფრინდა წლები,
უღიმღამოდ,უიმედოდ, ლასლასით,
და რომ ვფიქრობ, ვუბრაზდები ჩემს თავს,
კარგად ვიცი არც მე არ ვარ მართალი.
საქართველომ მოგვიკვეთა, მოგვიძულა,
არ ანაღვლებს ემიგრანტის ბედი,
გადაკარგა უგზო უკვლოდ ქართველები,
მათ დარჩენას არ შეუწყო ხელი.
რომ ჰყოლოდა ოჯახს გვერდით დედა,
და ქმარშვილის ზრუნვით დამტკბარიყო,
ეფუსფუსა მის ფუძეზე სიამაყით,
რომ ეხარა და არ ჩამქრალიყო.
არ გეგონოთ აირჩია იოლი გზა,
ან ამ ტვირთის ტარებაა ადვილი,
ფიქრი კლავს და დღეებს თითზე ითვლის,
რადგან ვერსად ჰპოვა მისი ადგილი.
გაურკვეველ ცხოვრებაზე საშინელი,
ალბად ქვეყნად მართლაც არაფერია,
შვილების და საქართველოს გარეშე,
ემიგრანტის ბედი სატანჯველია.
კიდევ დიდხანს მოვითმენდით რომ ვიცოდეთ,
საქართველო რას უპირებს მის შვილებს,
ნეტავ როდის შეივსება ოჯახები,
გაამაგრებს მის ფუძეს და მის ძირებს.
და ამ ტანჯვა წამებაში დრო კი გარბის,
როგორ მწარედ გაგვიფრინდა წლები,
სხვის მიწაზე უსიცოცხლოდ ვბერდებით და
ჩვენი კი მგონი ამას ვერც კი ვხვდებით.
თვით უფალიც გაგვიბრაზდა გაგვერიდა,
ვეღარც ლოცვამ დაგვიბრუნა ხალისი,
უკანასკნელ თხოვნას გბედავ კვლავ უტიფრად,
გევედრები..
ჩვენს მიწაზე!
კვლავ გვეღირსოს ბედნიერი მაისი! ❤

დავით მოდებაძე

ნოსტალგია

მენატრება გამუდმებით, იმერეთის ერთი კუთხე,
გორაკებზე გადაშლილი, მიწიერი ეს სამოთხე...
განთქმულია ამ მხარეში, სულიკო და საპოვნელა,
სიყვარული ჩემი მიწის, ვერაფერმა გამინელა...
მთათა შორის, ვრცელ ტაფობზე,
მოიმღერის გზად ყვირილა,
მის ნაპირებს ალამაზებს, ყოჩივარდა თუ გვირილა....
ღრუბლებშია ჩაკარგული, ძველი ციხე მოდინახე,
სიო ყურში ჩამჩურჩულებს, კვლავ ამოდი, ისევ ნახე...
აქ გოლიათ ხეთა შორის, მოუსვენრად ჩქეფს ჩიხურა,
მის ნაპირზე სიყმაწვილის ბევრი თავი დაიხურა...
გორისჯვარის სიდიადე ზეცას წვდება, ცამდე ადის,
უფლის სიტყვა ჩვენს გულებში
სიყვარულის გზებით დადის...

დრო

დრო მიდის, დრო მირბის, მას ვეღარ ვეწევი,
ქვეყანას მეორედ, მე ვეღარ ვეწვევი...
რასაც აქვს საწყისი, მასა აქვს სასრულიც,
არ ველი მომავალს, არ მახსოვს წარსული...
მიზანიც არ ვიცი, აქ მოსვლის, თუ ყოფნის,
წასვლის დროც დადგება, დრო მაინც არ გვყოფნის...
კოსმოსის წიაღში, მიფრინავს პლანეტა,
გეზი არ შეცვალოს, არასდროს მან ნეტა...
სიცოცხლის სიმებიც, როდესმე გაწყდება,
და რასაც ვერ შევცვლი, გულიც არ დამწყდება...
და მაინც განაგრძე, ბორბალო, ტრიალი,
არ მინდა, დასრულდეს ეს ორომტრიალი!..

ბაბუას

ბავშვობიდან გონებაში ჩამრჩა
ბუჩქი შინდის გამოსული კვირტში,
უსასრულო ხეტიალი მთა-მთა,
„მოდინახის“ ნანგრევების ჩრდილში...
მახსენდება როგორ წნავდა ბაბუ,
გოდორსა და გიდელს ტყემლის ძირში,
თვალწინ მიდგას მისი თხელი სახე
გახვეული ნაბადივით ნისლში...
ფოთოლცვენის დრო დამდგარა უკვე,
შემოდგომის სურნელია ჩვენში,
მხრებგაშლილი, მომღიმარი ბაბუ
ჩემთან ერთად მიაბიჯებს რთველში...
კრძალვით უნდა მიაკითხოს მარანს,
ჭურის თავზე მოიყაროს მუხლი,
დიდი კომშით აკრიალოს ქვევრი,
შეურჩიოს სუფრას ჩრდილი მუხის...
შემოუფრენს სიყვარულით მთა-ბარს
სადღეგრძელო საქართველოს ქებით,
გაისმება სიმღერები ტკბილი,
დაიცლება ჯერზე ჯიხვის რქები.
კარგად მახსოვს ბაბუს ყველა სიტყვა,
და ამბები მონათხრობი მისი,
სიკეთისთვის ხელებგაშლილს მუდამ,
არაფერი არ უნდოდა სხვისი...
ვით აკაკის, მის ნათლიას, მგოსანს,
ჰქონდა მასაც წვერ-ულვაში თეთრი,
მარად მრჩება ბაბუს ხსოვნა გულში,
მის სულს ნათელს დაუმკვიდრებს ღმერთი.

სივრცეში გაიფანტნენ ხმები

ქარი გიფრიალებს კაბას,
წვიმამ დაგისველა თმები,
ნისლი გიფერმკრთალებს სახეს,
მე კი შენი ცქერით ვტკბები...
ელვამ გაანათა ზეცა,
ცაში გაიფანტნენ ხმები,
ბოლო აღარ უჩანს ლოდინს,
როცა შენ გიხსენებ, ვთბები...
ვარდი ეთხოვება ფურცლებს,
ჯანღით შემოსილან მთები,
ვაჰ, რომ ვეღარ გნახო ვერსად,
ვფიქრობ და ელდისგან ვკრთები...
ღამით მესტუმრები ჩუმად,
დილით გარიჟრაჟზე ქრები,
როგორ ამიმღვრიე სული,
როგორ ამირიე გზები...
ბედმა გამაფრთხილა ბევრჯერ,
ჟამმა გადაყლაპა წლები,
ვერცხლი შემერია თმაში,
გულით კვლავ ჭაბუკად ვრჩები...

ბროწეულის ყვავილი

კუნწულა ხარ თეთრი ბალის,
და მწიფე ხარ როგორც ნესვი,
მე მთეველმა ბნელი ღამის
ცისკრის პირზე პეშვით შეგსვი...
ბროწეულის ყვავილიც ხარ ,
მახრჩობელაც თან ხარ მსხალი,
ქვეყანაზე ვერსად ვპოვე,
შენი დარი მე სხვა ქალი...
ატამივით ნორჩი რომ ხარ,
ხარ მარწყვზედაც უფრო ტკბილი,
ვნატრობ, ისე რომ არ მოვკვდე,
არ დაგადგა ერთხელ კბილი...
კომშივით ხარ ფერმიხდილი,
და მკვრივი ხარ ვით კუნელი,
შემოდგომით ბუხრის პირთან ,
მე ამავსებს ეგ სურნელი...
უღრანი ტყის ნაყოფი ხარ,
ველური ხის პანტა ვაშლი,
რაც არ უნდა დრო გავიდეს,
შენსკენ ლტოლვას მე ვერ წავშლი...
აკიდო ხარ ძველი ვაზის,
ჩემი ეზოს ხარ ყურძენი,
მე მას შემდეგ ვერ გივიწყებ,
სიყვარული რაც ვიგრძენი...

„ალბომი“

სადღაც თაროზე თვლემს
დამტვერილი ძველი ალბომი,
ბევრისგან უკვე დავიწყებული,
უწინ - ცრემლებით ნალბობი.
მის ყველა გვერდზე ჩაკრულია
გაცრეცილი ისტორია ჭარმაგი კაცის,
მტვრიანი ფურცლები გადაშალოს თუ შეეშვას,
კაცმა არ იცის...
გაყვითლებული ფურცლებიდან,
იყურებიან სახეები ნაცნობ-უცნობის,
ბევრი მამაცის და ბევრი მხდალის,
ზოგი ცოცხალის და ზოგიც მკვდარის...
ერთმა ალბომმა დაიტია
უსასრულოდ გრძელი გოდება,
მის ზედაპირზე ფრაგმენტებად
იხატება მთელი ცხოვრება...
დიდი სიზმარი გაახუნა
ფურცლების გროვამ
და დაბადების სიხარული
შეცვალა გლოვამ....

მგოსანი და ბუხარი

ეს ხომ ჩემი დიდი სახლის ბუხარია,
რომლის ნახვაც ყველას ძლიერ უხარია,
მისი კვამლი უერთდება ასწლეულებს,
შუქი ცეცხლის ეფინება აქ აჩრდილებს...
გაშლილია იმერულად გრძელი ტაბლა,
ძველისძველი „მოდინახის“ ციხის დაბლა,
ჩამომჯდარან ჯორკოებზე თავადები,
ფრიდონი და ამირიდონ წერეთლები...
საქართველოს დღეგრძელობით გადის ღამე,
წითელ ღვინოს შეედრება განა რამე?
რა სჯობია ფიცხელ კეცზე წაბლის ტკაცუნს,
და საუბრებს მომავალზე ძმურს და კაცურს...
ტაბლის გვერდით ერთი ჯორკო რატომ ცდება?
ბიძაშვილის მოლოდინში ასეც ხდება..
ტკბილი ხმებით ჯერ „სულიკოს“ არ მღერიან,
რადგან სახლში თვით აკაკის მოელიან...
გარიჟრაჟმა მოიტანა ეტლის ხმები,
ფლოქვის ცემამ მოაფხიზლა უცებ ძმები,
დიდი მგოსნის შეძახილმა ცა გააპო, -
პურის ჭამას გაუმარჯოს და გაამოთ!...
სიხარულით შეეგებნენ მასპინძლები,
გულისპირზე ეამბორნენ კრძალვით ძმები,
ჩამოართვეს გასიპული მოსასხამი
და ცეცხლის პირს მიაჩოჩეს ჯორკო-სკამი,
ჩამოეყრდნო საყვარელი ბუხრის კიდეს,
ადღეგრძელა საქართველო კიდით-კიდე,
ცოტა გათბა, მოითხოვა აზარფეშაც,
ბუბუნა ხმით მასპინძლები ანუგეშა...
გადიწერა პირჯვარი და ცოტაც მოსვა,
გული ლხენით ავსებოდა ქვეყნის მგოსანს.
შეტრიალდა ბუხრისაკენ მღელვარებით,
და ჩუქურთმას ეამბორა ნეტარებით.
სახე მისი სიხარულმა გაანათა,
მის სიტყვას ხომ ღმერთმა ძალა დაანათლა,
უმღერდა და უგალობდა ქვეყნად ძმობას,
და აქებდა წერეთლების მასპინძლობას...

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

დედა

მამულო ჩემო

სულო ქართულო, უძლეველო, გაუტეხელო,
გმირების სისხლით დანამულო მიწავ ქართულო,
მარად ამაყად აღმართულო და უძლეველო,
ერის იმედად მოფრიალე დროშავ განთქმულო.
შენი დიდების ძლიერების მე ვარ მსურველი,
შენი სვე ბედის მზრუნველი და მოჭირნახულე,
მინდა დიდება დაიბრუნო მამულო ძველი,
უძლეველობას საქართველოვ კვლავ იმსახურებ.
შენ სიყვარულში არასოდეს არ დავიღლები,
ამ დიდი განძის შეუცვლელი მე ვარ პატრონი,
გული მოგიძღვენ ერთადერთო თავდავიწყებით,
ვარ შენი ტრფობის მოჟღურტულე ტყვე იადონი.
მამულო ჩემო, უძლეველო, დიდება გშვენის,
ხუთჯვრიან დროშას მზე ქარგავდეს იმერ ამიერს,
მარადჟამს იყოს საქართველო დიდება შენი,
მრავალჟამიერ, საქართველო მრავალჟამიერ.

დედა

სხვა ძვირფასი რა ვინატრო ნეტავ,
მგონია რომ ქვეყნად ჩემთვის გაჩნდი,
შენი თავი მე მარგუნა ღმერთმა,
ჩვილს ალერსით მკერდზე რომ მიკრავდი.
ყველა ტკივილს მიამებდი დედა,
გრძნობდი ფიქრს და ჩემი გულის წადილს,
ჩემ გულში ხარ სიყვარულის ღმერთად,
ვარდებს გიძღვნი მზის სხივებზე გაშლილს.
რა ძალა გაქვს კვლავ რომ ისევ მათბობ,
ზეცაში მყოფს აქ მომღიმარს გხედავ,
მადლობთ კარგო, რომ არასდროს არ მთმობ,
ამ ლამაზ დღეს მოგილოცავ დედა.
ჩემი გული შენი მადლით ფეთქავს,
ეს სამყარო გამიშალე თვალწინ,
შენ დიდ ამაგს კვლავ ავიტან მზესთან,
ჩვენ სიყვარულს დრო ვერასდროს წაშლის.
სულ იბრწყინებს და ვიქნებით ერთად,
მონატრების კვლავ გაქრება დარდი,
არ ჩაქრება მოკაშკაშე მზეს ჰგავს,
დედა ჩვენი სიყვარულის მადლი.

დაგლოცოთ უფალმა

სიტყვები არ მყოფნის მადლობის სათქმელად,
თქვენ დარდის კარები ამ გულში ჩარაზეთ,
იმედი, სიკეთე, სულ გვენთოს კანდელად,
სანამ ვართ მიწაზე არ ჩავქრეთ მანამდე.
გმირების სახელი მარადჟამს დარჩება,
მამული უმანკო სისხლით რომ დანამეს,
ზეცაში ისინი ანთია სანთლებად
და მამულს დღე და ღამ ციმციმით ანათებს.
ტაძარში ნათქვამი სურვილი ახდება,
რადგან ჩვენ მომავალს უფალი განაგებს,
დღეს ჩვენი შეხვედრა ინება განგებამ,
მადლობა სიცოცხლე რომ გამილამაზეთ.

გახსოვდეს

გულით სიყვარულს გიგზავნი,
დღე სულ იმედით თენდება,
მინდორში მბრწყინავ ცის ნამის,
გამკობდეს მშვენიერება.
შენ ყოველივე გშვენია,
მინდა ბედნიერს გხედავდე,
სიკეთე გადამდებია,
უთუოდ მოვა შენამდე.
ცუდი ფიქრები მტერია,
ცხოვრება კიდევ ხანმოკლე,
დარდი თუ შემოგეჩვია,
სიცოცხლეს უფრო ამოკლებს.
სიტყვებს ქვასავით გესვრიან,
სუსტი არასდროს გამოჩნდე,
ძალა ყოველთვის შენშია,
იპოვე, დროს არ ჩამორჩე.
გიყვარდეს ის რაც შენია,
გულში იპოვე სამოთხე,
ამაო ფიქრი მგელია,
არ ენდო, გზად არ გამოჰყვე.
არ თქვა რომ რა მეშველება,
შფოთის არ გახდე ამყოლი,
წაგართმევს ბედნიერებას,
არ გაგიჩნდება პატრონი.
ზოგს დააქვს ბოღმა საზარი,
გულს და გონებას იწამლავს,
ზოგი სიკეთის საგზალით,
სულ სიყვარულის გზით წავა.
უფალი მუდამ შენშია,
გულსაც იმედი მოჰფინე,
შიში თუ შემოგეჩვია,
იცოდე დაგიმორჩილებს.
ტკივილებს დრო ვერ განკურნავს,
ტკივილის იყავ ბატონი,
შენი ცხოვრება წიგნია,
იყავი კარგი ავტორი.

სინდისი მზეს ჰგავს

მინდა რომ ღმერთთან ვიყოთ მართალი,
სული სპეტაკი მარად გვამკობდეს,
მტერი ამრევი ჩვენი გზა-კვალის,
ჩვენი ერთობის შიშით კვლავ კრთოდეს.
ამ ზღაპრულ ლამაზ კოხტა მთა-ბარის,
დარდი არასდროს რომ აღარ გვქონდეს,
ვიყოთ ერთგული მისი მარადის,
ამ მიწის მადლი მარად გვათბობდეს.
ქვეყნად ამაზე კარგი რა არის,
სხვა ნეტარებას ვერასდროს ვპოვებთ,
გულს სიყვარულის გვქონდეს მადანი,
არ ილეოდეს აღარასოდეს.
ერთგულად უნდა ვწიოთ ჭაპანი,
თუ მკერდში გული კვლავ ისევ ფეთქავს
და თუ ვამაყობთ მამა პაპანით,
ჩვენც ღირსეული შვილები გვერქვას.
მავანს ერთობით დავცეთ თავზარი,
სასჯელს ის იმკის, ღალატს ვინც ბედავს,
ქართველებს ღმერთთან შუამავალი,
წმინდანები გვყავს მარად იმედად.
საქართველოა უფლის მარადის
და მის მომავალს განაგებს ბედად,
ამ მიწას უფლის მადლი დაჰნათის
ფრთხილად, ხელყოფას ნურვინ შეჰბედავთ.
სიყვარულს არ ჰყავს ქვეყნად ბადალი,
სუფთა სინდისი კაშკაშა მზეს ჰგავს,
ჩვენი ცხოვრების მთავარსარდალი,
ჩვენ ვართ და ვიყოთ მართლი ღმერთთან.

გაბრწყინდები შემოგევლე

ვიცი ახლა როგორ გიჭირს,
შენზე დარდი არ მასვენებს,
მე და მთვარემ შენზე ფიქრში,
ღამე ბევრჯერ გავათენეთ.
თვალზე ცრემლი გდივა სიმწრის,
ტკივილს მაინც არ მაჩვენებ,
ვხედავ უცხო ტომთა შლიგინს,
გადაგჯეგეს, გადაგთელეს.
შენ არა ხარ ტანჯვის ღირსი,
შეგაშველებ გულს და ხელებს,
მიეზღვებათ საკადრისი,
ცრუს, ფლიდებს და გაიძვერებს.
დღეს ქართველი შენგან მიდის,
ტოვებს ლამაზ მთას და ველებს,
მიდის შენგან, ცხრა მთას იქით,
ჩუმად ყლაპავს ნატვრის ცრემლებს.
ემიგრანტის სახეს ღიმილს,
ზოგჯერ თვალს თუ შეავლებენ,
არ იფიქრო, რომ შენს იქით,
კი არ ულხინთ, მაინც ძლებენ.
წამოდგები ფეხზე ვიცი,
გამოაჩენს ღმერთი მშველელს,
აქ გმირების წმინდა სისხლი,
ნატკენ გულს კვლავ გაგიმრთელებს.
ისტორიულ საზღვრებს ვინც შლის,
ვინც აცეცებს ურცხვად ხელებს,
ის ღვთის რისხვას თავად იმკის,
ბოლოს მწარედ დაიკვნსებს.
ვიცი ახლა ძალზე გიჭირს,
დედასავით მოგხვევ ხელებს,
გულში გიკრავ შენი შვილი,
გაბრწყინდები შემოგევლე.

„მე პატარა ქართველი ვარ"

მე ამ ცის და ლამაზ მიწის, ანთებული სანთელი ვარ,
ხელს ნურავინ ნუ შემიშლით, აქ ვტირი და აქ ვმღერივარ,
ვალი მადევს მე ამ მიწის, მტერს ფეხდაფეხ დავწევივარ,
გულიც მიძგერს, თვალიც მიჭრის,დევგმირობას ნაჩვევი ვარ.
სადაც ვდგავარ კარგად ვიცი,საქმეს როდი გავქცევივარ,
არვინ მითხრას შენ რა იცი,ჯერ მიწას არ ამჩნევიხარ,
კარგად ვიცი ,გმირ წინაპრის, წმინდა სისხლის ნამცვრევი ვარ,
გავიძახი ,მიტომ რიხით, ,,მე პატარა ქართველი ვარ"!
ჰეი!სად ხართ! არწივებო! აფრენილო ამ მთებიდან,
დაუბრუნდით მამულს უჭირს,ნუ გავთელავთ მას მტრებისგან,
სათქმელს ვატან ყველგან მზის სხივს, მწამს მივაღწევთ ნათელ მიზანს,
ჩემი გორის, ჩემი ჯიშის, დამენახეთ რამდენი ხართ?!

თამარ ფიცხელაური

ჩამოიმეწყრა საწუთრო

ჩამოიმეწყრა საწუთრო,
მზე ღრუბლებს უნდა ჰფარავდეს,
მაცდური წუთისოფელის
არ მჯერა ჰარი ჰარალე;
ხნული გავავლე ყამირზე,
მიწა ვერ მოვრწყე მანამდე,
ვერც ნერგი ვერ დავარწყულე,
გონი არ მეყო მაქამდე;
ტყუილად ვთესე, ვერ მოვმკე,
სიკეთე კარის-კარამდე,
გული გატყდა და აღარ სწამს,
ცხოვრების ჰარი-ჰარალე.
იმ ხნულზე, მე რომ გავავლე,
ცრემლი მდენია ღვარამდე...
ოფლი და სიქა ჩავმარხე
ჩავყევი კარის-კარამდე...
ამაოდ მქონდა იმედი,
ზეცა რომ დამიფარავდეს,
ბევრჯერ ნატკენი ჭრილობა,
არ შეხორცდება მანამდე,
სანამდე უფალს არ ნებავს,
ამ მთიდან აიმ ბარამდე...
იქნებ მეც შევძლო, დავკვლიო,
ცხოვრების ჰარი-ჰარალე!..

შენი ბაგეთი თვითონ ღმერთი მესაუბრება,

შენი ბაგეთი თვითონ ღმერთი მესაუბრება,
შენი თვალებით თვით ამური მიყურებს მთვრალი,
შენი ხელებით თვითონ ქარი მელაციცება,
ტირის სიწმინდე, შენი სუნთქვის ნაალაფარი...
კვლავ სუფრის თავში მერიქიფედ ზის დიონისე,
წითელმა ღვინომ სისხლთან ერთად ვნებაც არია,
მაგ მონატრებამ მომატარა მთელი სამყარო,
ვერ გამიგია, სიცხადეა თუ - სიზმარია?!.

წვიმის წვეთებმა ჩამობანეს ხეებს აპრილი

წვიმის წვეთებმა ჩამობანეს ხეებს აპრილი
და სამაისოდ მზემ უბოძათ ვნების ფერები,
ნააპრილარი ფიქრით ურცხვად გაბრუებული
მაისის რიჟრაჟს მიმწუხრისას მივეფერები...
პირველ მერცხლებად საქმროების მივუვლენ მაცნედ,
სიყვარულისგან აალებულ მაისის ვარდებს,
ალბათ, მაისში მაინც მოვა ფერისცვალება...
და სამაისოდ, ალბათ, მაინც გადაიავდრებს...

ვერიკო პარწიკანაშვილი

იქნებ!

იქნებ გამაღვიძო,
ცისკენ გამიტაცო,
ისევ ამიწეწო თმები ნამზეური,
თვალებს-ნამძინარევს
ვიფშვნეტ გამალებით,
თვალებიც გეძებენ ვნება-მორეული!

მინდა, ისევ ერთად
ფიქრებს გავეპაროთ,
ვნახოთ ჩვენი წყარო,
მთიდან მონაჟური,
გული-გულს შევახოთ,
გრძნობა დავატყვევოთ,
შუაზე გავიყოთ
მთვარე გაბუტული!

იქნებ მომაკითხო, იქნებ დამიძახო,
რძის-ფერ გათენებას
ერთად შევერიოთ,
იქნებ მონატრებამ გადაგვიაროს და
ძველ გულის-ტკივილებს
ერთად მოვერიოთ!

იქნებ, კვლავ დავასხათ
მირონად ზედაშე,
გულს, მალამოსავით რომ გადაედება,
ძველი მოგონებით ავავსოთ ბუხარი,
(ამას ნუ ჩამითვლი ზღვარს-გადამეტებად)!

იქნებ ტკივილები-გულის, დამიამო,
ფიქრი--უსასრულო,--ლოდინზე მეტია,
შენ იცი, თვალები არასდროს ტყუიან,
ჩამხედე თვალებში,
სიმართლეს გეტყვიან!

მოდი, სიყვარული ისევ შემახსენე,
ისევ მოვირბინოთ,
ტევრი-ლავანდების,
ღამეს წავუკიდოთ
ცეცხლი-სიყვარულის
და ერთად ვიმღეროთ
მზის სერენადები!

მოდი, დამიძახე,
იქით გამაფრინე,
სადაც თავს იწონებს
მწიფე ბროწეული,
ვინა ხარ?--შენ ჩემთვის
ჰაერზე მეტი ხარ,
ჩემი სიმდიდრე ხარ,
ჩემი ძოწეული!

„იმედი“

ალაზანს, ჭენებით შეასკდება,
კვიცი, უბელო და უსახელო,
როცა გულს, ტკივილი შეაკვდება,
გაუსაძლისი და უსაშველო.

როცა, იის კონას,
 გზად გაყიდულს,
სიყვარულის სურნელს შთაბერავენ,
როცა, ფანდურის ხმა,
გაგაღვიძებს,
იალქნებს, ქარები დაბერავენ.

ზღვაში, კენჭებს ისვრი,
უმიზეზოდ,
კითხვებზე, პასუხებს,
ვერ აგროვებ,
როცა, სინდისის ხმა
შეგაწუხებს,
მოგონებებს, კუთხეში
მიაგროვებ.

--იმედი, ცის თაღზე,
გადმოდგება,
რწმენა, უკუნეთს გაგვინათებს,
ფეხით შევუყვებით,
მზის ბილკებს,
გავესაუბრებით ათინათებს.

გული, სიმღერას წამოიწყებს,
ცაში, არწივებად აიჭრება,
თავის წილ, სიყვარულს
წამოიღებს,
ცისარტყელასავით გაიშლება.

ალაზანს, ჭენებით გადაუვლის,
ცხენი, უბელო და უსახელო,
ფიქრები,
დავლურს რომ დაუვლიან,
თუმცა, ტკივილი აქვთ,
უსაშველო!

„სინანული“

ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
დარდები გვეძებენ ფარული,
ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
ცრემლები გვახრჩობენ მალული.

ხანდახან, გვინდა თუ არ გვინდა,
სიმღერას ვცდილობთ და
ვერ ვმღერით,
ხანდახან, თავდაუზოგავად,
ვიბრძვით და მომაკვდავს
ვერ ვშველით.

და ასე, მიგორავს ცხოვრება,
ლოდინში, შუღლსა და კამათში,
ნელ--ნელა, ჩვენდა--უნებურად,
ვერთვებით ცხოვრების თამაშში.

შემძვრალნი საკუთარ ნაჭუჭში,
ვცხოვრობთ ლოკოკინას ცხოვრებით
და ნიღაბს იმდენად ვეჩვევით
ვერც ვგრძნობთ, რომ
ერთმანეთს ვშორდებით!

და ასე, გვინდა თუ არ გვინდა,
ვთამაშობთ ცხოვრების თამაშით,
ურთიერთობების მაგივრად,
დრო გაგვყავს, უაზრო კამათში.

წლები კი, ერთმანეთს მისდევენ,
ნატვრის ხეს, ფოთლები ეცლება,
დრო გვითვლის, დღეებს და
ღამეებს,
მერე, ყველაფერი, გვბეზრდება.

ნიღაბს, თვითონ ვიხსნით,
სახიდან,
ვხვდებით, რომ ჩვენ, ვეღარ
ვფერადობთ,
და ვნანობთ, დრო,
სიყვარულისთვის,
რომ ვერ გამოვნახეთ
ვერასდროს!

ირინოლა ტყეშაველი (ირინა ხურციძე)

რას მერჩოდი...

სად წავიდა ლურჯი ჩიტი, მოფრენილი ზღაპრიდან,
ნუ ხარ ასე მიამიტი, _ დაბრუნდება თავიდან...

ეს დღეებიც წარსულს რჩება_ წუთი, წამი ყოველი,
ღამდება და გათენებას კვლავ იმედით მოველით...

არც დასრულდა ეს მგზავრობა, მარტოობის გზაწვრილზე,
არაფერი აღარ შემრჩა, ყველაფერი გავწირე...

რას მერჩოდი, საწუთროო, გმორჩილებ და ვარ მცირე,
მზისთვის რად ვერ გამიმეტე, ფსკერზე რატომ ჩამძირე...

ვცდილობ თავის დაღწევას თუმც, ტალღა მკერდზე მეხლება,
ნებისყოფა მითავდება, მუხლში ძალაც მეცლება...

სად წავიდა ლურჯი ჩიტი, მოფრენილი ზღაპრიდან,
ნუ ხარ ასე მიამიტი, _ დაბრუნდება თავიდან...

გასაუბრება ნიავთან...

_ თმები რატომ ამიწეწე, შენღა მაკლდი ნიავო,
სად წაიღე ოცნებები ველად რია-რიაო,
უბაფთებოდ რად დატოვე ენძელა და იაო,
მე ასეთი ორგულობა არსად გამიგიაო...

_ჩემთან კამათს გზა განაგრძე,
არსად დააგვიანო,
ორგულები თქვენს მოდგმაში,
ძებნე, ადამიანო!!!...
.....
პირში ენა გამიხევდა,
სიტყვა ვეღარ დავძარი,
რომ დავფიქრდი,
ელდად მეცა
სინანულის თავზარი...

სულში სევდა აფათურდა,
ვეღარ გამოვიდარე,
კვალი ვეღარ მოვუძებნე,
სევდის მღვრიე მდინარეს...

წასვლამდე...

ჩემი მზე უკვე კართან დაისის
დგას და რას ელის ჯერაც არ ვიცი...
მკერდიდან გულის სევდის ხმა ისმის,
წასვლამდე კიდევ, ცოტას დავიცდი...

შემომაღამდეს თუნდაც ამ გზაზე,
მთვარემაც სახეს ჩადრი იფაროს,
გადამიაროს ვინძლო სიბრაზემ,
ვით ბოლო სხივმა სახლის ლაფაროს...

ერთ ლექსსაც ვიტყვი, საოხად სულის,
საეპიტაფოს, ქვაზე დასაწერს
და მერე ალბათ სიბნელე სრული,
წვიმის წვეთების ცრემლებს დამაწევს...

ჩემი მზე უკვე კართან დაისის
დგას და რას ელის ჯერაც არ ვიცი...
მკერდიდან გულის სევდის ხმა ისმის,
წასვლამდე კიდევ, ცოტას დავიცდი...

ჩემი ცხოვრება...

ჩემი ცხოვრება ხშირად ჰგავს მირაჟს,
სად ვეფერები ლანდებს მოგონილს,
გთხოვ აღარ მკითხო, რამ გამაგიჟა,_
გადავაჭარბო იქნებ მოლოდინს...

როცა დუმილის ვხდები მონა და
ცრემლი მიღარავს სახეს სევდიანს,
ჩემს პოეზიას _ სულის მონაგარს,
დავუთბობ ბილიკს, ვით ქუდბედიანს...

ამომიჩემა რადგან საწუთრომ,
გულს სიხარულის არ ხვდა მისხალიც,
როგრღა გავძლო ასე უშენოდ,
რით ვაფერადო დილა სისხამი...

ჩემი ცხოვრება ხშირად ჰგავს მირაჟს,
სად ვეფერები ლანდებს მოგონილს,
გთხოვ აღარ მკითხო, რამ გამაგიჟა,_
გადავაჭარბო იქნებ მოლოდინს...

ეს ჩემი სევდა...

იმდენჯერ ვკვდები, რამდენჯერაც თვალებს გარიდებ_
არ ვიცი რა ბედს მომისართავს არსთა გამრიგე,
ცაო, სილურჯეს შენსას ვერსად დავემალები,
ადამიანებს არ ვენდობი, შენ თუ გამიგებ...

იცლები როცა ლაჟვარდების ფერთა გამიდან,
მაინც შენთან ვარ დაწყებული შუაღამიდან...
ისეც ამ ტკივილს ვერ ვიშუშებ დიდი ხანია....
რად დამტოვეო_ არ დამიწყო ახლა თავიდან...

სულში გრიგალი ჩამიბუდდა დიდი ხანია,
ეს ჩემი სევდა ამიტომაც არახალია,
ვერ დავეხსენი წუთისოფლის მაცდურ მარწუხებს,
თუმცა ვიცი რომ ყოველივე წარმავალია...

ვიდრე...

ვიდრე მთვარე ბოლო აკორდს უკრავს,
სიო ნარზე ათამაშებს თითებს,
ლექსებში ვწნავ რითმებს როგორც ნუგბარს,
ვიდრე შენზე ფიქრი ღამეს მითევს...

ვიდრე გული სიყვარულით ფეთქავს,
ქარი ლოკავს ცრემლს ღაწვებზე დაღვრილს,
ვიდრე ბაღში იასამნის როკვას,
ავყოლილვარ,_ ვერაფერი დამღლის...

შევატოვე ვიდრე ფურცლებს წლები,
გრძენაწნავა გოგოს ფიქრში ვსახლობ,_
სველ ალერდზე კვლავ გულაღმა ვწვები,
აღარ მინდა სევდამ ხელი მახლოს...

ვიდრე მთვარე ბოლო აკორდს უკრავს,
სიო ნარზე ათამაშებს თითებს,
ლექსებში ვწნავ რითმებს როგორც ნუგბარს,
ვიდრე შენზე ფიქრი ღამეს მითევს...

ხათუნა ჩიტაძე

* * *

ჭრელა-ჭრულა მზის სხივებში
ლექსსა ვწერ და შენზე ვფიქრობ,
ჩემი ნატვრა ჩემს სოფელში
მოგონებებს უხმობს, ითხოვს...
აქა ვარ და ისევ ჰერი...
სიყვარულის ფერხულია!
ეს ამერი და იმერი,
ღვთივნათელი მზეწნულია.
ზვარის ეზოს კალოს თავზე
შესკუპულან ღიმილები,
ზე აღმართის ეზო-მკლავზე
ლექსში ისევ ვიძირები...
ჭრელა-ჭრულა მზის სხივებში
შენზე ვწერ და შენში ვქრები!

ჯვარი

გზა, რომელიც ძალზედ
დაემსგავსა თეთრ ლექსს,
უფრო მეტი განცდით
გადაევლო მესერს!
გზა რომელიც უწინ,
სიყვარულით განვლეთ...
ახლა როგორ გვიჭირს,
ეკალს ვიცლით რამდენს!
გზა რომელიც წუხელ,
შევაგებე მთვარეს,
შევავედრე ნუგეშს –
უფლის ძირძველ კარედს...
წინ – ბილიკიც არ ჩანს,
წინ – უკუნი ღამე!
მაინც მტკიცედ დავალ,
გულიდან ვჭვრეტ ხავერდს!
და ნაწრთობი სული,
ლილისფერი, სველი,
მსგავსი გაზაფხულის,
ამ იარებს შველის.
არეკლილი შუქი
ეფინება ჭილობს,
ოჯახს ისე ვუვლი,
ოჯახს ისე ვცილობ,
აქა ვდგავარ მეხად!
მტრის! –
ბოღმა კლავს ჩემი!
აიაზმას შევსვამ,
ისევ უფლის ხელით,
გზა გაწვრილდა, ვფიქრობ,
სად წვრილია, გაწყდეს!
შორს წყეულო ფიქრო,
მტერს ეს ცოდვა აწვეს!
მე კი მინც ვივლი,
ამოთხრილი თვალით,
გაგლეჯილი გულით,
სულის მწარე გვალვით!
მე კი სულ წინ ვივლი,
თუმცა ძალაც არ მაქვს,
თუმცა გული სადღაც
მოგონებებს დააქვს.
მე კი მაინც მივალ,
დარბეული აზრით,
გაწყვეტილი სიტყვით,
თავსდასხმული თავსხმით.
სად წაიღეს ფიცი?
უფლის ხატთან თქმული.
რას გადაჰყვა სიტყვა
ხარკად შეწირული?!
და ამდენი ტვირთით
მაინც მივდევ ბილიკს,
წინ არ კრთება ხიბლი,
არც ღიმილი თბილი.
მხოლოდ ლოცვით მივალ...
ყველა გრძნობა მოკვდა!
წინ მოისმის წირვა,
უხმობს ყველა მოკვდავს!
მე გასავლელს გავალ...
სული მძიმედ კვნესის,
შენი ტვირთით დავალ,
ტკივილების კემსვით.
შენი გულიც დამაქვს,
შენი ცოდვაც „მესმის“!
მე არ გავტეხ მთავარს
და არც ტყვიას გესვრი!
გზა, რომელიც ძალზედ
დაემსგავსა წყურვილს...
მე გამაკრეს ჯვარზე!
ჩემი რწმენა-რჯულით!
ვინანიებ ცოდვებს
შენსას! – ვითარც ჩემსას...
მე უფლისა ხელით,
აიაზმას შევსვამ!

სოფელს

ახლა სოფელს ზვინის სუნი ასდის,
ცვარმა უკვე გადაბანა ეზო,
აქა-იქ კი გამობრწყინავს მარწყვი –
– ტყის,
სახლ-კარს რომ სამშვენისად ერგო.
გვირილები მიმოიბნენ სულში,
დედაბერას მთა ზურმუხტად ელავს,
იქ, ბავშვობა დამემალა გუშინ,
მოგონებებს გულის ფსკერზე ვკერავ...
ჩვენს წყაროსთან მომენატრა ყოფნა,
იქ, ყოველი ტვირთი შვებას ითვლის,
ბავშვობაა სანუკვარი ყოფა,
ანარეკლი სამოთხის და სიზმრის.
ახლა ეზოს ის სურნელი ასდის,
მსოფლიოში ერთადერთი, ძველი...
ჩემი სუნთქვაც ორღობეში დადის,
მერამდენედ შემაშველა ხელი!
სიო უკვე გადაევლო სახლებს,
მზე ოდებში იჭვრიტება ჩუმად,
ვხედავ სურათს,
უცვლელსა და სამღერს
და ბავშვობის „ნაჯღაბნ“ დღიურს ვხურავ...
ახლა სოფელს ზვნის სუნი ასდის,
ცვარმა უკვე გადაბანა ეზო,
მოგონებებს გულში ვფურცლავ, რამდენს...
წელს სოფელში ასვლა უნდა შევძლო!

* * *

გამოვკეტე სულში ფერი –
მზისგან ამონაჟური,
ლექსი-ჩემით ქარგული და
ვეღარ თქმული წარსული.
რომ ავხადო ხუფი ტკივილს,
სულ „უფერო“ დავრჩები,
იცით, სიტყვა როგორ ტირის?
საზრდოობას ნაჩვევი.
გულის გულში კვლავ დავიტევ,
ასე ხდება ოდითგან,
რითმა – ჩემი თეთრი შვილი
ასტრალიდან მოვიდა.
ის მზისფერი სასწაული,
ჩაწვა, ჩაწნა სულეთში,
ეს დარდია, საწყაული
ცოდვის საუკუნეში!
მტკივა გვამი,
მაინც ვერ ვთმობ,
გადავრაზე გრძნეული,
მოდის ღამე,
მთვარის შუქით,
მზისგან გამორჩეული!
დე, ეს ფითრი იყოს ჩემში,
ასე ხდება ოდითგან...
ეს ტვირთი და ლექსის პანო
ასტრალიდან მოვიდა.

* * *

რით ვეღარ მიხვდით,
ქარიშხლები უფრო მიზიდავს!
გულის ბზარები,
მზის სინათლის სხივად მარტყია!
ჰო! ასეთი ვარ,
ამოზრდილი ფერად სიზმრიდან!
და ზეცას ვუჭვრეტ,
ისე, თითქოს სულის სარკეა!
რატომ ვერ ხვდებით,
მედგრად ვდგავარ
და კვლავ ვიდგები!
სადაც უფალმა მისახსოვრა მე დიადემა!
თავთავებისთვის მელოდება
შვილთა მინდვრები,
ცხოვრებას ჩემსას
ანგელოზმა ფრთა მიადევნა...
მოვიმკით ნაყოფს,
რაც დავთესეთ
და რაც ვახარეთ!
გარდუვალია, –
ყველა ნახავს
თავის მოწეულს!
არახალია!
ეს ყოველი,
არახალია!
მე ველოდები მზისფერ დისკოს!
მღიმარ – ბროწეულს!

რით ვეღარ ხედავთ!
ქარიშხლები ვერას მაკლებენ!
ამ ჩემს ანგელოზს
არ დაეტყო არც დაღლა, სევდა...
ეს გამოწვევა
მე საკუთარ თავში მახედებს...

ასეა!
რაც ვთქვი!
და აქამდეც რომ უნდა მეთქვა!

* * *

ზაფხული თმაში ფერებს იმშვენებს,
სიზმარში, მთებში, იღვრება თქორი,
ყაყაჩომ უკვე დატოვა მოლი,
მიწა კი ელის ციურ სისველეს...
ბარში მდინარეს გვალვა აწამებს,
ხეების ფოთლებს თვალი „უხუჭავთ“,
სახლებს დღეები სტკივათ უჩუმრად,
მზე ეფიცხება კვლავ ჩემს წამწამებს,
ხო, ასეთია ჟღალი სიჩუმე,
აგვისტოს ხრიოკს ვუმზერ წვიმებით.
ფუნჯი, კალამი, მზე-არშიებით, –
ბედთან უტეხი ჩემი სიურჩე!

ნანა ჩარკვიანი

ჩემო სამშობლოვ

ღიმილის მიღმა,დამალულ სევდას,
ოცნების მიღმა დაფანტულ ფიქრებს,
თვალიდან უხმოდ ჩაყლაპულ ცრემლებს,
ღრუბლების მიღმა,ჩამალულ ნისლებს.
ფილტვში ჰაერის უკმარისობას,
ლაღად გადაშლილ მთებიდან სივრცეს.
დაკარგულ წელთა გამოტირებას
და იქ,წარსულში ჩარჩენილ სიყრმეს.
შემოდგომაზე ნაადრევ ზამთარს,
თმაში ჩაბნეულ თოვლისფერ ფიფქებს.
უცხო მიწაზე, გაფრენილ დღეებს
და ცვალებადი დროების მიჯნებს.
ვინ დამიბრუნებს,ვინ დამიბრუნებს
მონატრებაში გაფრენილ იმ წლებს.?!
ემიგრანტობის კალენდრის ფურცვლას
უძილო ღამეს ვარსკვლავთა ცის ქვეშ.
ჩემო სამშობლოვ! აქაც რომ მათბობს
გულს რომ მინათებს,შენა ხარ ის მზე.
სადაც არ უნდა ვიყო იცოდე
ამ მკერდში გული, მე შენთვის მიძგერს.!...

* * *

უფალო ყველა ნაბიჯი
შენი იმედით ვიარე.
შენ იცი,რა სიხარული,
რა ტანჯვა გამოვიარე.
მუდამ ჩემს გვერდით იდექი
და მიშუშებდი იარებს.
რწმენას და ძალას მაძლევდი
ლოცვებით გამაძლიერე.
დღესაც ვარ შენი იმედით
დამლოცე,მაბედნიერე.

ზმანება

შემოაღწია დილის რიჟრაჟმა
ღამე ქურდივით მიიპარება.
ამ გარიჟრაჟზე ჩამძინებია
გასაოცარი ვნახე ზმანება.

საქართველოში ვიყავი ვითომ
გამომეცხადა თვალწინ სამება.
ყველა ტაძრიდან ისმა გალობა
ყველგან დაიწყო რეკვა ზარებმა.

ლოცვა მომინდა მუხლმოდრეკილი
და მე წმინდანებს ვხედავდი კადრში.
რამდენი ცოდვაც ჩამიდენია,
გადამიცვალეს სუყველა მადლში.

ისმოდა ხმები სინანულისა,
მეც შევერია უამრავ ხალხში.
ზოგი წელწყვეტით ათრევდა ჭაპანს
ზოგი იჭერდა თევზს მღვრიე წყალში.

ზოგიც გველივით დასისინებდა,
ძმას ძმის აუგზე შხამს აწვეთებდა,
ზოგი მეფურად დაბრძანდებოდა
და დანარჩენებს თავს ამეტებდა.

იყვნენ მდიდრებიც,იყვნენ ღარიბნიც
პურსაც ითხოვდნენ,ზოგჯერ გლახაკნი.
ზოგი ცეკვავდა,ზოგი მღეროდა
ვიღაცას კიდევ სცემდნენ მათრახით.

იყო ხმა ღვთისა,ყველას უხმობდა,
ასაჩუქრებდა ოქრო- ვერცხლებით.
მე მოკრძალებით ვთხოვე რითმები
რომ დამეწერა თქვენთვის ლექსები.

ბედის ჩარხი

ნამდვილი ამბავი

(გაზიარება ნებადართულია)

გოგო იყო ბროლივით,
მზესაც ედარებოდა,
ბევრს მოსწონდა, თავად კი
ერთი შეჰყვარებოდა.

კარგი ოჯახის შვილი
დედისერთა, ჭკვიანი.
სასურველი სარძლო და
ოქროს მედალიანი.

სტუდენტობის წლები და
პირველი სიყვარული,
დაბნეული გოგონა
პაემნები ფარული.

მერე გაფერმკრთალება
და ამღვრევა გუნების.
მიზეზი?! ფეხმძიმობა
მისი დაძაბუნების.

სატრფოსგან უარყოფა
სიყვარულის ნაყოფის.
უსუსური არსება,
მათი გზების გაყოფის.

უტიფარი ქირქილი.
გაიკეთე,,აბორტის".
,,იქნებ ჩემი არც არის"
ურცხვად შეურაცხყოფის.

ბიჭი მხდალი,უპირო
ქვეყანა მიატოვა,
და ფეხმძიმე გოგონა
უპატრონოდ დატოვა.

საიდუმლოს ცოტა ხანს
კაბის შიგნით მალავდა,
ამ დროს დედის მუცელში
იზრდებოდა პატარა.

მალე ვეღარ შეძლებდა
ვეღარ დაიფარავდა.
დედა დარჩა იმედად
ის თუ გადამალვდა.

დედამ შვილი გაკიცხა,
სახე ჩამოიხოკა.
შვილი დააშანტაჟა,
რომ თავს ჩამოიხრჩობდა.

რომ მამამის ქალაქში
შეურცხვება ღირსება.
ყველას საჭორაო და
დასაცინი იქნება.

სანამ კიდევ დრო არის
გაიკეთოს აბორტი.
ან რად უნდა მის ასულს
მოღალატის ნაყოფი.

გაიპარა სახლიდან
წვიმდა,ჰქუხდა ელავდა.
გადაწყვიტა სიკვდილი
უკვე აღარც ღელავდა.

ღვარა ღვარა ცრემლებით
შვილს ბოდიშებს უხდიდა.
ერთად წავალთ ზეცასო
მუცლადმჯდომარს უხსნიდა.

ხიდთან შედგა მდინარეს
შიშით გულში ჩახედა.
ისე იყო საწყალი
თვალებს ძლივსღა ახელდა.

მოეჭიდა სახელურს
აღარაფერს ფიქრობდა,
ქვემოთ ღრიალ- ღრიალით
მღვრიე წყალი იხმობდა.

აიწია ტანით და უფალს
სთხოვა შენდობა,
თავის თავს კი არ დარდობს
შვილი არ დაეთმობა.

დაებინდა გონება
წამიც და გადახტება.
უცებ როგორც ბუმბული
აიტაცეს მკლავებმა.

თვალი რომ გაახილა
იწვა უცხო საწოლზე.
დრო გავიდა....გათხოვდა
მერე სახლის პატრონზე .

როცა მდინარის პირზე
ჯოჯოხეთი იხმობდა,
მაშინ მისი ცხოვრების
სიყვარული იპოვა.

აქვე მდინარის პირას
სახლი რომ დგას შუქებით,
იმ ეზოში თამაშობს
ცელქი და- ძმა ტყუპები.

ცოლი გარეთ სუფრას შლის
ციბრუტივით ტრიალებს,
ქმარი მის ლამაზ ცოლშვილს
მუდამ თავს დასტრიალებს.

ეს ცხოვრებაც ასეა,
ჩარხი მუდამ ტრიალებს
ბედი ზოგს გაუმართლებს
ზოგს კი გაატიალებს.

მიყვარს

ფრინველების ჟღურტულით
დილა მიყვარს მზიანი,
ვარდები ნამიანი
და ბალახი ცვრიანი.

ჩემი ქვეყნის ბუნება
და მიწა მადლიანი.
მთების დაბუბუნება
სიმღერა დარდიანი.

ნაკადულის ჩურჩული
და კლდე ჩანჩქერიანი,
არწივების,,ირაო".
ჯიხვი ლამაზ რქიანი.

ყანა მიყვარს ბიბინა
პურის,თავთავიანი.
ჭალა მიყვარს,ტყე მიყვარს
და ვერხვების შრიალი.

კაბა მიყვარს ხავერდის
ნაქარგ- მაქმანიანი,
ჩოხა მიყვარს ქართული,
სალამურის წკრიალი.

ვაჟი მიყვარს, შავთვალა
ქოჩრიანი,ჭკვიანი.
გულმართალი,გულწრფელი
და ბრგე,მხარბეჭიანი.

სამშობლოს სიყვარულში
მებრძოლი, გულიანი.
კარგი შვილი და მამა,
ქმარი ალერსიანი.

ქალი მიყვარს ნაზი და
გულმზე, ხალისიანი.
მხრებზე დალალდაყრილი
პურ- წყალ- მარილიანი.

მოკრძალებით შემკული,
ლამაზ ღიმილიანი.
ჭირშიც,ლხინშიც ერთგული
თბილი გამგებიანი.

სახლი მიყვარს,ლამაზი
ლაღი,ბავშვებიანი.
ეზო მათი ცელქობით
მუდამ ხმაურიანი.

მიყვარს ჩემი სამშობლო,
ლამაზ ტაძრებიანი.
მიყვარს,ჩემი უფალი
ლოცვა სანთლებიანი.

ფრინველების ჟღურტულით
დილა მიყვარს მზიანი,
ამ სამყაროს პატრონი
მიყვარს ადამიანი.

ქალი

ქალი დედა და ქალი მეუღლე
ქალი სატრფო და შეყვარებული.
თუ შეიყვარებ წრფელი გრძნობებით
დარჩება,მუდამ შენი ერთგული.

ქალი ამაყი,ქალი მშრომელი
ქალი ყველასგან გამორჩეული,
უფალმა შეჰქმნა კაცის მეწყვილედ,
თავი არ ეგრძნო მარტოს,ეული.

ქალი სამყაროს მშვენება,ხიბლი
კაცობრიობის დედა მშობელი,
სიყვარულის და მშვენიერების
სიცოცხლის წყარო,დაუშრობელი.

ზოგი ქერაა ცისფერთვალება,
ზოგს გიშრისფერი დალალი ჰშვენის.
ზოგსაც ჭაღარა უმშვენებს სახეს
გაულევია ცხოვრების დღენი.

ზოგი ეხლა დგამს თამამ ნაბიჯებს
ყმაწვილქალობის ამშვენებს ეშხი.
შემოჰპარვია უცნობი გრძნობა
სიყვარულს მალავს პატარა მკერდში.

სამყარომ შეჰქმნა ეს სილამაზე,
უფალმა თბილი ჩაჰბერა სული.
ქალი სიცოცხლის საწინდარია
ქალს არასოდეს ატკინოთ გული.

არ ეჭვიანობ?!

არ ეჭვიანობ ეხლა ნიავზე?!
ყურთან ჩურჩულით მიხსნის სიყვარულს,
მზის სხივები კი,სახეს მიკოცნის
ალმური ამდის სიცხით გათანგულს.

არ ეჭვიანობ ეხლა წვიმაზე
რომ ეფერება თმებსა და ბაგეს?!
არ ეჭვიანობ აღარც მთვარეზე
რომ მოადგება ღამით ჩემს სარკმელს?!

აღარ გაღელვებს აღარც ტოროლა
ანდა რას მოსთქვამს ბულბული კვნესით?!
მთელს სამყაროზე ეჭვიანობდი
ეხლა რა ხდება,ხომ არ დაბერდი.

ან სიყვარული ხომ არ გახუნდა,
ან საერთოდაც გადაგიყვარდი.
მეც ხომ არ დავჭკნი,ხომ არ დავყარე
ფურცლები, როგორც მაისის ვარდი.

არა,ჯერ კიდევ შემწევს ის ხიბლი
შენ რომ გათრობდა,მერე და როგორ,
შენში კვლავ ცოცხლობს ყმაწვილი ბიჭი,
ჩემში კვლავ ცოცხლობს პატარა გოგო.

ასე წლებია მოვდივართ ერთად,
სიყვარულით გვაქვს აღვსილი გული,
მინდა რომ კიდევ გაეჭვიანო
მერე შენს მკლავზე დავლიო სული.

უსინათლო ქალი

შენ ხარ ჩემი ხელებიო...
შენ ხარ ჩემი თვალი.
ყოველ დილას ასე იწყებს
უსინათლო ქალი.

წამართვაო თვალის ჩინი
გამიმეტა ბედმა,
შენი თავი მაპოვნინა
არ გამწირა ღმერთმა.

ნოსტალგია გაწუხებსო
გენატრება ქმარი?!
ჩამოვიდეს ღიააო
მისთვის ჩვენი კარი.

როცა ვინმე გვესტუმრება
ჩემს ქებაში არის,
,,ქართველია" მეგობრებში
მოიწონა თავი.

აქ იწყება საქართველოს
განხილვა და ბჭობა.
ჩვენი დიდი დამწერლობა
და ასოთა წყობა.

ჩვენი ადათ წესები და
ისტორია ძველი,
გემრიელი სუფრები და
საფერავის წვენი.

იმერული ხაჭაპურის
გაწელილი ყველი,
მოხვეული ხინკალი და
საწებელი ჩვენი.

ინტერესი დიდი არის
საქართველოს მიმართ.
სადაც წაველ ყველგან ჩვენი
ტრადიცია მიმაქვს.

თუმცა,ღამეს მათევინებს
ვერ მოვხუჭე თვალი,
მაგრამ როგორ მივატოვო
შემაყვარა თავი.

მეც ბავშვივით მეფერება
მადლიერი არის,
ჩემთვის ყოველდღე
ლოცულობს
უსინათლო ქალი.

ღრუბლებს რაღა ატირებთ

ქარი დაჰქრის ონავარი,
თმებს უწეწავს ყვავილებს,
რაღაც ისე მოიღრუბლა
გაწვიმებას აპირებს.

ცაზე შავი ღრუბლებია,
მათი ქცევა მაკვირვებს.
იქაც აურზაურია
ჩხუბი მოსდით ძმაბიჭებს.

ბუბუნებენ,გრუხუნებენ
ელვაც გაჰკრავს ნაპირებს.
შიგადაშიგ, თეთრი ფრთილა
აწყნარებთ და ამშვიდებთ.

ხედავთ? ციდან მეხიც მოსწყდა
მუხის გულიც განგმირეს.
ციდან წვიმა წამოვიდა
ღრუბლებს რაღა ატირებთ.

ცისარტყელას შვიდი ფერი
ცაზე ჭაღად დაჰკიდეს,
ყველაფერი კარგად არის
მზე რომ გამოაჭყიტებს.

დღევანდელი დილა

გაფერმკრთალდა ღამის ბინდი,
დილა თვალებს ახელს.
მე კი,ეხლა მეძინება
მთელი ღამის ნათევს.

ჟღურტულებენ ფრინველები,
ულამაზეს ხმაზე
მათი საოცარი ხმები
მეც სიცოცხლით მავსებს.

გადავხედე აივნიდან
შესევიან ჟოლოს.
ტყუილად დგას საფრთხობელა
ჩვენი ბაღის ბოლოს.

მგონი მასაც ჩაეძინა,
გამეღიმა გულში .
ჩიტები კი არ აგდებენ
სულაც აინუნში.

გამოვფხიზლდი,მთიდან
გრილი მონაბერი ჰავით.
ჩიტები ხილს მიირთმევენ
მე ვსაუზმობ ყავით.

ფინჯან ყავას მივაყოლე
შოკოლადის ფილა.
აი ასე გამითენდა
დღევანდელი დილა.

თამრო ნიჟარიძე-გენელიძე

მიხვდები

მარტოდ რომ დარჩები მაშინ მიხვდები,
მაშინ დაინახავ რაც გაგივლია,
თუ აცრემლდები
მარტო ეული
ბოლოს გაგიღემებს ნიბლია.
ბრძოლა, ტკივილები , იმედგაცრუება,
გემი კი მიცურავს ზღვაში.
ამიდიც ბევრჯერ გაცუდდება,
წმინდა ხარ მიხვდები მაშინ.
დიახ! ამორძალი ქალი ხარ,
თუმცა მოშურნე
გყავს ბევრი,
შენ აღარავის ვალი გაქვს,
გამარჯვებულიც მღერი!

+ გულო*

გულო სიტყვებით დასერილო,
გულო ნატკენო და დაჭრილო,
თვალო, ცრემლის გუბით ავსებული,
სულო, ცაში ღმერთთან აჭრილო.
გესლს გაექეცი იარე,
უფალი გაარჩევს სამართალს,
შემოგიშუშებს იარებს,
ის ანგელოზად მოგნათლავს.
სიმართლე უფალმა იცის,
იცის რა ტანჯვით იარე,
შენ იქ მნათობიც გიცდის
ის მოგიშუშებს იარებს!

მენატრება

მენატრება ჩემი სახლი,
ჩემი ჭერის აგური
გაძახება აუ, ხალხის
ღვინოც ალადასტური.

მენატრება, უბან-უბან,
გოგო-ბიჭის ჩურჩული,
სიცხეში რომ მზე პირს იბანს,
სიყვარულის წყურვილით.

ჩემი ხელით ავაშენე,
ეზო-ყორე სახლისა,
ვარდი ბევრი გავაშენე,
ხეივანი კაკლისა.

მშვიდობაში მოიხმარეთ
ჩემი ფუძის ძირებო,
მე თუ წელში მოვიხარე,
მოშველეთ შვილებო

მე შენ გიპოვნე

მე შენ გიპოვნე ჩემი დაგარქვი,
გულში ჩაგიკარი გრძნობით,
გადამიარე, ფეხი დამადო,
მეც გავეცალე წყრომით
მიღალატე და
არად ჩამაგდე,
მიტომ მიკვნესის მკერდი,
მერე ეულად გზაზე დამაგდე,
დარდს მიტომ შევაბერდი.
უსიყვარულოდ როგორ ვიცხოვრო,
ვერსად ვიპოვნე შვება,
ისევ შენ გეძებ
 როგორ გიპოვნო,
ფიქრი შენს
 მკლავზე წვება.
ცხოვრებამ ფერი
სულ მთლად დაკარგა,
დავდივარ დარდით მთვრალი,
გაქრა იმედიც
მწირი აღარ მაქ,
ტირის გრძნობების ქალი.

ანა ჩემო მზეო

არა მჯერა რომ ჩემი ხარ,
ალვისხელა ტანით,
გულში ბებო აქ ვმღერივარ,
მომეც ბებო ბანი.
იქნებ არც მცნობ, ბარ ბებია
ერთ დროს შენ მე გგავდი,
მარტო ყოფნა მრგებია და...
ცრემლის ბადაგს ვსვამდი.

როგორ მიყვარხართ

წელებზე ფეხი უნდა დავიდგა,
ხელითაც ვლორნო ბუხრის ნაცარი,
ჩემს გოგო-ბიჭებს ფესვი გაუდგავთ,
ჩემი სიცოცხლე სწორედ აჭარი.
იცეკვეთ ბებო, გენი ქართული,
აახმაურეთ ყველა კუთხეში,
შესვით ბადაგი ალადასტურის,
სიტყვა არსად თვათ შვილო უხეში.
მე კი ვიშრომებ, რომ წინ წაგწიოთ,
ხელოვნებაში გზები გაკვალოთ,
იმედის სიტყვა მოგაწიოთ და ..
აქედან მინდა რომ გითვალთვალოთ .

ზურაბის

მიჭირს ბებო, უთქვენვება,
ძილშიც თქვენზე ვფიქრობ...
გავხდი დარდის მოჩვენება,
ჩემი სულის ფიფქო.

მე რომ მოვალ მომეხვიე,
მაგრძნობინე სიტკბო,
მსხალი ხელით დამირხიე,
იქნებ ვერც ჩავკბიჩო



მალვინა ჭელიძე

სვანეთში

დღე, ხშირად ჩაივლის უმზეოდ,
მაისის ნამქერით განა თოვს...
წვიმებს თუნდ ცრემლი დასდინდეს,
აქ, აღარ მოიწყენთ, არასდროს.

ზაფხულიც ქარებად ჩაგივლის,
ბუნება სიტურფით დაგათოვს,
გაივლი, გზას ისე გაივლი
მთების სილამაზე დაგატკბობს.

ცა, ღუბელს გადაყრის გზას უთმობს
შხარიდან აფრენილ არწივებს,
ენგურის ლოდების ხმაურში
ფრთები რომ ზეცამდე ასწიეს.

ღვთისმშობლის კალთაში მძინარემ
სიზმარიც არავის დაუთმო,
დილა შემოგხვდება მცინარე,
ღამის წყვდიადს რომ გაუძლო...

სამყარო, რომელიც შენია
შენია მიწა და ფესვები...
გუგუნებს ლილეოს ჰანგები,
ბუდეს იშენებენ მერცხლები.

დღე თუკი ჩაივლის უმზეოდ...
მინდვრის ყვავილები გაგართობს...
შესთხოვე ღვთისმშობელს რაც გინდა,
დარდებად, არასდროს დაგათოვს!

მოაშორე ცას ღრუბელი

შენ, ღრუბელო, აპრილის მზის
მზერას ნუ დააბნელებ,
ვიცი, ფუნჯით დარდებს ხატავ,
ფიქრებს, წვიმით ასველებ.
დაგიპყრია ზეცის კალთა
და დარდი გაქვს რამდენი...
და ბარათებს ქარებს ატან,
ქარებს, ცრემლით დაწერილს.
ვისურვებდი, აპრილის დღე
გაზაფხულად ყვაოდეს,
სულს რომ ესალბუნებოდეს,
სილამაზით ხარობდეს.
გული ისე გაცისკროვნდეს,
მზის სხივების ამბორით,
აფეთქებულ ვარდის კვირტებს
გულს იკრავდე დათოვლილს.

თუ სვანეთში წამოხვალთ...

ბილიკ- ბილიკ მიმავალი
მეგზურობას გაგიწევთ,
კლდის ქიმიდან
მზეს მისწვდებით
თუ მთებს გადააბიჯებთ.
ეს ზღაპრული ჩემი მხარე
ბევრჯერ დაუთოვლია,
ცას რომ ჭაღი დაეკიდოს
არსად გამიგონია!
დაილოცოს უფლის მადლით
ეს არწივთა საუფლო,
ბევჯერ თეთრად შეიმოსა
რამდენ ყინვას გაუძლო.
ეს ზღაპრული სილამაზე
ზეცამ ფუნჯით დახატა,
ლამაზ ფერად მიმოქარგა
და ღრუბელიც გაფანტა.
მონატრებას თავს ვერ ვაღწევ,
ფიქრმა ამიყოლია,
სხვა სამოთხე ქვეყანაზე,
არის? არამგონია...
ამ ღმერთების საუფლოში,
მეგზურობას გაგიწევთ,
უშგულიდან ცას მისწვდებით,
თუ მთებს გადააბიჯებთ!

ღვთისმშობელო მარიამ

ჯვრის ძალით შემოსილო წმინდა ლამარიავ,
გიცქერი შორიდან და ჩუმად გევედრები,
მხოლოდ სიხარული დაგვაბედე,
ყველას აგვისრულე წრფელი იმედები.
შენ, ჩემი ფიქრების სამოსით შეგმოსე,
გულზე დაგიბნიე მძივად ვარსკლავები,
სადღაც უსასრულო სიცოცხლის ბექობზე,
გზას მივუყვებოდი დარდით ნამთვრალევი...
მელოდიებისგან ვეღარ გავარჩიე,
ნაზად მორაკრაკე მორცხვი ნაკადული,
სადღაც გზის მნათობი, სევდას აყოლილი,
უხმოდ მომტირალი მთვარე გაბადრული.
ზღვიდან ანარეკლი სხივით ვერთობოდი,
დარდთან დაზავება, თითქოს გამიჭირდა,
მშვიდად მიეძინა ღამის მანათობელს,
იჭვით გათანგული ლაჟვარდს აუხირდა.
ტალღებს მიაპობდა ქარი ქარაშოტი,
თითქოს უიმედოდ გედებს აედევნა,
შენ კი ზღვის კენჭებით შენთვის თამაშობდი,
უმალ ზღვის ტალღებშიც მთვარეც ჩაესვენა.
იმედს ელიცლიცა გზები შორეული,
დილა გადიშალა ვარდების ედემად...
დაღლილს გზას გიკვალავს შენი ორეული,
გულში ჩაგიკრეს მშვიდობის მტრედებმაც.
ჯვრის ძალით შემოსილო, წმინდა ლამარიავ,
დილა გაგვითენე ბედნიერი
მხოლოდ სიხარული დაგვაბედე,
სული ნატიფი და მშვენიერი!...

როცა...

როცა ღმერთის ენაზე
მოკრძალებით საუბრობ,
დღე, რომელიც შენია
არავის არ დაუთმო.
სიმართლის გზით იარე,
ბევრსაც ნუღარ დაითმენ,
სხვისი ბედის ვარსკლავებს
ფერხთით ნუღარ დაიფენ.
ვეღარ გაგაბოროტეს
თვით ბოროტმა ძალებმა,
პასუხგაუცემელზე
ბევრჯერ ენა დაგება,
თითქოს მუნჯად იქეცი,
მეტყველება დაკარგე,
გაზაფხულის ფერებით
გზები მიქრგ-მოქარგე.
დრო, სიცრუის, სიყალბის,
მომაკვდავი სენია,
კეთილისგან ბოროტი,
თუ ვერ გაგირჩევია.
ერთგულების ალამი
ბევრჯერ ააფრიალე,
სიძულვილი მოყვასის
ბევრჯერ გატიალე.
ოცნებებში, ზღვის ფსკერზე
კალმახებთან გეძინა,
არ იცოდი რა გექნა,
გეცინა თუ გეტირა.
გაზაფხულის მზიან დღეს
გავდრებაც სჩვევია,
მიწას, სევდით დანამულს
მზის სხივებიც სწვევია.
სივრცეს, ისე ამშვენებს
მოშრიალე ვერხვები,
დახუნძლულა ტოტები
მოჭიკჭიკე მერცხლებით.
და შენც უფლის ენაზე
რადგან ისევ საუბრობ,
დრო, რომელიც შენია,
არავისარ დაუთმო!

შორენა ჩხიკვიშვილი

ისტორია ქართლისა
პოემა

როს მტერს ეჭირა ჩვენი ქვეყანა,
მხარე ლამაზი, მზის და ვარდისა,
მაშინ გამოჩნდა გმირი ფარნავაზ,
პირველი მეფე ტურფა ქართლისა.
გამოქვაბულის ნანგრევებიდან,
ეზიდებოდა ვერცხლსა და ოქროს,
აზონის ჯარი ებრძოდა ქართლსა,
მტერი ანგრევდა ციხისა გოდოლს.
უზარმაზარი პონტოს ლაშქარი,
როდესაც ლეწდა მცხეთის გალავანს,
ეგრისის მთავარ – ქუჯისთან ერთად,
მედგრად იბრძოდა მეფე ფარნავაზ.
მან მთის მწვერვალზე კერპი აღმართა,
გადაასწორა ქვიანი რიყე,
ქართლის სამეფოს მთავარ ღვთაებად,
ამოირჩია არმაზის ციხე.
როს აირია ბედისა ჩარხი,
წარმართთა ხელში იყო ქვეყანა,
ჯავახეთის გზით მოვიდა ნინო,
ქრისტიანობა შემოიტანა.
მან მაყვლის ბუჩქთან დაიდო ბინა,
ვარდის სურნელი იგრძნო მიწამა,
როცა განკურნა სნეული ხალხი,
რჯული ქრისტესი ყველამ იწამა.
როდესაც მტერი ქართლს შემოიჭრა
და აელვარდა ქართული ხმალი,
მაშინ სამეფო ტახტზე ავიდა,
სწორუპოვარი ის გორგასალი.
ქართლსა მართავდა ძლევამოსილად,
აწარმოებდა იგი დიდ ბრძოლებს,
სახელოვანი გამარჯვებისკენ
მოუწოდებდა თავის მებრძოლებს.
თავზარი დასცა სპარსელთა ლაშქარს,
როს გააჩაღა ფიცხელი ომი,
მტერს შიშსა ჰგვრიდა მის მუზარადზე
გამოსახული „მგელი და ლომი“.
როცა შეეკრა მოღალატეებს
დაუნდობელი მტერი, ვერაგი,
ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე დაჭრეს და
გაგლიჯეს მისი ჯაჭვის პერანგი.
ასე დასრულდა მისი მეფობა
და შეწყდა ომი, მრავალწლიანი,
და მადლიერმა ქართველმა ხალხმა,
დროშას უწოდა „გორგასლიანი“.
როს შემოიჭრა ქართლში მურვან-ყრუ
და ქრისტიანთა დევნას ცდილობდა,
დღესაც შემოგვრჩა ჩვენ საამაყოდ,
არგვეთელ ძმათა მოწამეობა.
სრულად უნდოდათ ქვეყნის დაპყრობა,
განადგურება ქართლ-კახეთისა,
ზღვის ქვეშ მოექცა ანაკოფია,
მთავარი ციხე აფხაზეთისა.
დროებით ხარკი რომ შეგვიწყვიტეს
და ქართლს გადასცეს „დაცვის სიგელი“,
მაშინ მტკვრის პირას დაწვეს ულმობლად,
გმირი ჭაბუკი აბო თბილელი.
იღვწოდა აშოტ კურაპალატი,
მან გაამაგრა ციხისა ბურჯნი,
იქ ააშენა ტაო-კლარჯეთი,
დედაქალაქად კი – არტანუჯი.
გამეფდა დავით კურაპალატი,
ის დაეხმარა ბასილ კეისარს,
უხვი წყალობა უბოძეს მაშინ,
დიდ სარდალსა... თორნიკე ერისთავს.
ერისთავმა კი სრულად შესწირა,
ის დიდი განძი ივერთ მონასტერს,
რათა ეღვაწათ ღვთის სადიდებლად,
„მთაწმინდელ“ მამებს და ბერ-მონაზვნებს.
მტკიცედ აგებდა ბედიის ტაძარს,
უძვირფასესი მეფე ბაგრატი,
საქართველომ კი დაკარგა იგი,
ვეღარ მივდივართ დღეს იმ ტაძრამდე.
ბევრი ნივთი ხომ შენახულია
და ჩვენ შემოგვრჩა ძველი განძივით,
ბაჯაღლო ოქროთი მოხატული,
უძვირფასესი ნივთი „ბარძიმი“.
„უშიშარი, ვითარცა უხორცო“,

მეფე გიორგი, შეუდრეკელი,
მას შეერკინა მძლავრი მეტოქე,
ბასილ მეორე – „ბულგართმმუსვრელი“.
მტკვრისა და არაგვის შესართავთან,
მან ააშენა სვეტიცხოველი,
მას, გონიერსა და ახოვანსა,
ხანმოკლე ჰქონდა წუთისოფელი.
დიდი დავით აღმაშენებელი,
იყო მებრძოლი, დაუღალავი,
პატრიოტი და თან მწიგნობარი,
უძლეველი და შეუპოვარი.
დავითი ლაშქარს წინ მიუძღოდა,
იგი გრგვინავდა, ვითარცა ლომი,
ხმლით და მახვილით მედგრად იბრძოდა,
ასე მოიგო დიდგორის ომი.
დავითის შვილი – მეფე დემეტრე,
გლახაკთ მოსარჩლე და მწყალობელი,
მანვე დაწერა „შენ ხარ ვენახი“,
ქრისტიანული საგალობელი.
მამისა მსგავსად, დემეტრე პირველს
არ დაჰკლებია ღვაწლი და გარჯა,
აფართოებდა სამეფოს საზღვრებს,
ბრძოლით აიღო მან ციხე „განჯა“.
როცა დაგვიდგა ჩვენ „ოქროს ხანა“,
გაქრა სიავე გარდასულ დროთა,
მაშინ წერდა და თამარს უძღვნიდა
„ვეფხისტყაოსანს“, სულმნათი შოთა.
ამორძალივით დამშვენებული,
გაბრწყინებული მეფე თამარი,
დიადი იყო მისი აზრები,
ჩაუქრობელი, როგორც ლამპარი.
გულზე ეკიდა მას ქრისტეს ჯვარი,
მარგალიტებით დამშვენებული,
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“,
იყო ქვეყანა გაშენებული.
როს შემოიჭრნენ ქართლში მონღოლნი,
ქვეყანა იყო ხარკდადებული,
ყაენს ეახლა წარბშეუხრელად,
მეფე დემეტრე „თავდადებული“,
არ ასვენებდა ჩვენსა ქვეყანას,
დაუნდობლობა შაჰ-აბასისა,
მტერს მუსრს ავლებდა, ანადგურებდა,
ხმალი, გიორგი სააკაძისა.
გათავისუფლდა სპარსთა უღლისგან,
კახეთის მდიდარი მთა და ბარი,
შაჰმა სიკვდილით დასაჯა მაშინ,
ბიძინა, შალვა და ელიზბარი.
ვახტანგ მეექვსემ არ მოისურვა,
ირანის შაჰთან კავშირის გაბმა,
მან დააარსა და განამტკიცა,
საქართველოში პირველი სტამბა.
ბრძოლებში იყო სახელგანთქმული,
მეფე ერეკლე, მარდი, გულადი,
ხმლის ერთი დაკვრით მიწაზე დასცა
ლეკთა სარდალი – კოხტა ბელადი.
მამულისათვის ზრუნავდა მუდამ,
„მამა ერისა“ – დიდი ილია,
მას წიწამურთან ტყვია ესროლეს,
იგი წავიდა ვალმოხდილია.
ასე იღვწოდნენ, ასე ცხოვრობდნენ,
დიდი ბრძოლით და ვაივაგლახით,
სამშობლოსათვის დიად მებრძოლებს,
არ დაივიწყებს ქართველი ხალხი!

20.04.2010

ლეილა ვადაჭკორია

სამყარო

ესა ვარ ბებო, რაცა ვარ
გალეწილი ვარ კალოზე,
ხან მზემ მაცხუნა თაკარამ,
ხან ქარი მწეწდა სამოსელს.
        კეთილიც ვნახე, ბოროტიც,
        ავი თვალისა ცემაცა.
        მაინც დამგესლა, თუმცაღა
        არც არაფერი მემართა.
სიტკბოც ვიგემე, ლამაზი
ოცნებები თავს მეყარა,
მთელი არსებით ვინდომე
სიკეთის ნერგს რომ ეხარა.
        ღრუბლებშიც ბევრი ვიფრინე,
        აღმართს მოსდევსო დაღმართი,
        სულ ცოტა შემოგეშველე
        ბებო სამყაროს აღქმაში.

***

დედამიწაო დაგღალეთ
ცოცხლები გძიძგნით ნიადაგ,
მკვდარსაც შენ ისვამ უბეში
იტან ცრემლების ნიაღვარს.
შემომქმედსაც კი ვეურჩეთ
როგორ გიცვალეთი იერი,
მოვშალეთ წონასწორობა
მიწიერ და ზეციერი.
შენ ჩვენ გამო ხარ სნეული,
ეს, ჩვენ გაგციეთ ცოდვილად
თურმე ყველაზე საშიში,
ადამიანი ყოფილა.

უპასუხო კითხვები

ამ მაიდანს რომ უყურებ
ამდენ სალოცავს რომ ხედავ,
სიტყვა მაინც საძრახისი
როგორ უნდა დაგცდეს ნეტა?
რატომ არ უნდა გიყვარდეს
ვისაც შენი სულის ესმის?
ასე, როგორ გაგვიმეტეთ,
სულ არ შეგეშინდათ ღმერთის?
კითხვებს მოვრჩი უპასუხოს,
თავს იმშვიდებთ, თავად იცით...
ჩვენს ფუძეზე დავბრუნდებით
ღვთის წინაშე დავდეთ ფიცი.
ვერასოდეს მოესწრებით
ჩვენი მორჩილების ხილვას,
დედამიწამ მიითვალა
საქართველო ნათელ სხივად.

***

შენს სისავსეს
ნუ მიიჩნევ
მცირედ,
თორემ ფუჭი
უფრო დაგამცირებს,
მის წინაშე
თავს ნურასდროს
დახრი,
თორემ იტყვი
ახიაო, ახი.

***

გარეთ ხვატია ისეთი
მიწას აუდის ალი,
იებმა სული მოითქვეს
შენ რომ მიუსხი წყალი.
განთიადს ასწრებ ადგომას
რომ მოიხადო ვალი,
ვინც ნარცისივით იცხოვრა
ვაი, იმის ბრალი.

***

ღმერთმა არა ქნას
ოცნება ჩაკვდეს,
ღმერთმა არა ქნას
გამიქრეს მრწამსი,
ვინღა ვიქნები
ამ ქვეყანაზე,
ან რა იქნება
სიცოცხლის ფასი?

მთვლემარე გრძნობა

თუ მხოლოდ ლტოლვა
იყო და გაქრა,
ცრემლი რად გიჩანს
მწუხარე რად ხარ?
_ აბა რა ვიცი?!
ჩემო ალვის ხევ,
ახლა რასაც ვგრძნობ
შენ თუ გაგიმხელ.
იცი?! რამდენჯერ
თვალს მოვეფარე,
ხან წვიმას მოდევს
ხან კიდევ თოვას,
სხვას მიენდო და
მაინც ალივს ხევ,
მაინც მიღვიძებს
მთვლემარე გრძნობას.

ჩემი ქუთაისი

ჩემი ქუთაისი ლაღი ქალაქია
მკერდზე გვირილებით მოფენილი,
ჩემი ქუთაისი სიბრძნის ქალაქია
მითიურ ფრთებით მოფრენილი.
ჩემი ქუთაისი მჩქეარე რიონია
მთიდან მოვარდნილი, მონაქუხი,
ჩემი ქუთაისი გალაკტიონია
თეთრ ქვებზე ასხლეტილი მზის ნაშუქი.
ჩემი ქუთაისი წყალწითელაა
სისხლით ნაწამებთა დაფერილი,
ჩემი ქუთაისი აკაკის ჰანგია
ტკივილზე მალამოდ დაფენილი.
ჩემი ქუთაისი გელათი, ბაგრატია,
გეგუთი სუნთქვაა თამარისა,
ჩემი ქუთაისი წმინდა ქალაქია
ლოცვად დაცემული, ღაღადისად.

ღირს

ღირს მოვიხადოთ ვალი მართლაც
საშვილთაშვილო,
რომ ივერიას მომავალში
ადგეს ნათელი,
არა ღალატი, გულგრილობა,
არამედ წმინდა,
სიყვარულის და ერთგულების
გვენთოს სანთელი.
მხარი – მხარს მივცეთ, მომავალი
ვაშენოთ მკვიდრად,
დე, ჩვენი გარჯა სამშობლოსთვის
იყოს ალალი,
დასრულდეს ძიძგნა და ღვთისმშობლის
წილხვედრ ქვეყანას,
ღმერთმა უმრავლოს ბედნიერი
შთამომავალი!

სიყვარულის არშია
(ხალხურ მოტივებზე)

ენძელამ უთხრა იასა
ჩემო ლუჯთვალა, პაწიავ,
ლურჯი კაბა რომ გიხდება
იავ ამიტომ გაცვია.
მოვა ვაჟი და მის სატრფოს
იებს ჩააბნევს თმაშია,
ნეტავი გამოვდგებოდე
მეც სიყვარულის არშიად.

***
სევდაც ხომ სულის
სამკაულია,
გრძნობებს სულ ელვად
გადაუვლიათ.

შვილო!

კარგი ხარ,
ხოტბას გასხამენ,
კი მიხარია
დედას,
მე მაინც ნაკლს
მიგითითებ,
სხვები რომ ვერა
ხედავს.

***

არ მითხრა ქათინაური
რატომღაც ცუდად
დავცადე,
ვინა ვარ თვითონ
ამოვხსნი
თავის შეცნობა
მაცალე.

***
შენია, მშვენიერია,
მაინც უცხო გჭირს
თვალს და
`თურაშაულის პატრონი
ტყეში დაეძებ
პანტას~.

ნანა გიგუაშვილი

კონიო

შენ დასავლეთის წყლის კონიო ხარ,
საწამლავივით სუნთქვას რომ მიკრავ,
ჩემში ჩაზრდილი ფესვის სიმაღლით
ფიქრობ ოცნების ღვედებს შემიკრავ.

მთელი სამყარო მხვდება ღიმილით,
შენ კი მოგყვება ეჭვის სუდარა...
და იკვებები ცრემლის ვამპირი,
ითხოვ მსხვერპლისგან ხვეწნა-მუდარას .

რატომ გგონია, რომ გადაწონის
ძალმომრეობის პინა ღვთისობას,
რად დაგდებია ტვინზე ნალექი,
რატომ მაკერებ ცოდვის სხვისობას?!

უფალმა ნიშნად ასჯერ დაგინდო
და ისევ ჩემი ლოცვით გადარჩი,
მე სიყვარულით კვლავ გაპატიებ,
შენ კი....არვიცი რისგან რა დარჩი.

სიტყვით მოვედით

თეთრი ცხენები, აფრენილი თეთრი ფაფრებით,
სივრცის ბურუსებს მიაპობენ თქარათქურებად,
სიტყვა აწონეთ, არ აუშვათ კვესის აფრები,
ნუ მოინდომებთ სიყვარულის განადგურებას.

სიტყვით მოვედით, უფლის სიტყვა რწმენად გვედება,
სიტყვაა, რითაც დიდ სიყვარულს დაგეფიცებით,
ღმერთია სიტყვა! გონებიდან ბგერად მოსულა,
იბადებიან კვლავ სიცოცხლედ, როგორც კვიცები.

ჩემსავე გულში

მეორედ მოსვლა ჩემს გულში მოხდა,
არს შემეცნება თავისუფალი,
ახლა სოსნისფერ ზეცაში კი არ,
ჩემსავე გულში ვპოვე უფალი.

და ამის შემდეგ კითხვის პასუხებს
არსად დავეძებ, გული მკარნახობს
ამ ჩემი ბედისწერის დღიურში
წარსულზე ფიქრი ვეღარ ნავარდობს.

ყველაში ვხედავ ნათელ მომავალს,
ყველას ტკივილიც ჩემად მიგრძნია,
ყველას სიხარულს გულში ვიტოვებ,
რადგან სხვაგვარად არ შემიძლია.

ახსენეთ ტაბუ

მეამბოხე სული მეწვის,
არ მეთმობი დასაკარგად,
გასავლელი ხიდი ბეწვის
ელოდება სხვის განკარგვას.

გაიყიდა საქართველო
გოჯი-გოჯად, მისხალ-მისხალ,
მტერი, თუკი არ ქართველობ,
შენს ვენებში სხვა სისხლს გისხამს.

და ყოველი წუთის ფასი,
რომ ვიცოდეთ, დროა მართლაც!
გადაივსო თმენის თასი
და დაიწყო დროის ათვლაც.

გული ერთურთს გაუხსენით
ქართველობის წმინდა ფიცით,
ერისა და ბერის ძმობა
ისტორიით ბევრი ვიცით.

ჰა, ჟამია და ახსენით
ტაბუ უფლის მოსულ სიტყვას,
რომ ქართული გენის წესი
ამ სიმართლით მტკიცედ ითქვას!

ფიქრი ზღვისფერი

სადაფისფერად ლაპლაპებს ზეცა,
ცაზე წამოწვა ფიქრი ზღვისფერი,
სულის სამოსად ლამაზად მეცვა
ჩემი ოცნების თეთრი ნისლები.

გადაკალმული ცის თაღის ბოლო
ნაპირებთან ეშვება ზღვაში...
მე ქართულ მიწის სადღეგრძელოში
წამომაწიეთ სასმისი გზაში.

ემიგრანტობა

ემიგრანტობა ვისთვის მცნებაა,
ვისთვის დროების დასაცდელია,
ემიგრანტობა სულის წვრთნაა და
ემიგრანტობა განსაცდელია.

დედის დარდია თავის შვილებზე,
ღამე ცრემლებით გასათევია,
ენა ვერ იტყვის, კალმით ვერ დაწერ,
დღე გიბნელდება, არ ნათელია.

და მენტალობის განულებამდე
ამ მორჩილებას იტან თმენაში...
ასე მგონია ღმერთმა მოგვმადლა,
რომ განგვამტკიცოს მეტად რწმენაში.

ამ სისხამ დილით

აბა როგორ ვთქვა სამდურავი ამ სისხამ დილით,
როცა ნიავში მზის სხივები კვლავ ირხეოდა,
გამოიდარა და ავდარი დატოვა მშვიდი,
ეს ის დღე იყო, რომ მეგონა ცა იხეოდა.

დიდი სიცხისგან წამში იყო დიდი ღვარცოფი,
ელდის მოვარდნას გავდა წუთში ცვალებადობა,
უფლის სასჯელის იგრაგნება დიდი სავრცობი,
ხან სიცოცხლეა და ხან კიდევ გარდაცვალება.

მადლობელი ვარ სიყვარულად დაბადებისთვის,
გმადლობ უფალო, ცის ფერები რომ შემაღებე,
მზის სხივებიდან სათნოების გატანებისთვის,
ამ სისხამ დილით იმედი რომ შემომაგებე.

უსასრულობა

ატომის გულში კვლავ გუგუნებს იქსი დიადი,
ფრთხილად მივყვები ასტრალიდან ამ ფილაქანებს,
შემომხვევია უდროობის დიდი წყვდიადი,
მატრიალებს და სიბნელისკენ კვლავ მიმაქანებს.

იქ, სადაც ალბათ არ არსებობს მარადისობა,
სულის სამშვინველს კვლავ ეხშობა ორთავ კარები
და პარკუჭებში გატყორცნილი სისხლი დინდება,
წინაგულების სარქველიდან განატარები.

გამოვაღწიე და ვიხილე კაენის კვდომა...
ახლა აბელის ფესვებიდან მშვიდად მოვედი,
შეგვაძლებინე უსასრულოდ ფეხზე დადგომა,
მაღალო ღმერთო,
საქართველოს შველას მოველით.

სამადლობელი

არ ვიმსახურებ შექებას ამდენს,
არც ვარ ჩვეული დიდებით ხოტბას,
ეს წესად დავრგე, ცხოვრება ასე,
ჩემი წინაპრის მოყვება მოდგმას.

და რაც სიკეთის კეთება მიწევს,
ხდება ალალად, ეს ჩემს გენშია,
ამ სიყვარულის იდუმალ ფესვებს,
ძებნა არ უნდა, ქართველ ერშია.

ჩვენ სიყვარულმა გვზიდა აქამდე
და სიყვარული კვლავაც გვიშველის,
ყველას გულშია მადლიერება,
სამადლობელი სიტყვა გიშერის.

უფალს მადლობა, რომ დიდხანს მაწრთო,
რომ მაპოვნინა თქვენი გზა-კვალი,
რომ არასოდეს გამკარებია
ბოროტი ფიქრის ფიქრი მზაკვარი.

რომ სიყვარულის ვარ მოფერება,
რომ ვერ მეძმობა ფიქრი ვერაგი,
ვთესოთ სიკეთე, დაგვიბრუნდება,
რასაც გავიღებთ, ვით ბუმერანგი.

როდესაც გავალ

უფლის ნებართვით ამ სოფლიდან როდესაც გავალ,
ღიღილოები დამიკრიფეთ, არ მინდა ვარდი,
იმ სილამაზეს ვარდს რომ ახლავს, ეკალიც ახლავს,
არ გამაყოლოდ იმ ქვეყანად არაფრის დარდი.

რაც განსაცდელი გავიარე, მაწრთო უფალმა,
ხიბლში არასდროს ჩავვარდნილვარ, არა ვარ ფლიდი,
თუკი რამ წყენა ავიტანე მოთმენით ქალმა,
ამ მოთმინებით ჩემი ბედის განსაცდელს ვთვლიდი.

ღმერთო

სანამ შენთან მოვედი, ხელი გავანათხოვრე,
სანამ გთხოვე გულწრფელად, სული ჩაგანათხოვრე,
ამისრულე წადილი, უფლის რწმენა გიწოდე,
როცა ფეხი დამიცდა -- ხელი გამომიწოდე.

მერე, ქვიშის საათმა რომ დაიწყო ჩამოცლა,
ხელში ამიტაცე და მომინდომე გამოცვლა,
ამ ფაქიზი სულიდან გამოდევნე სიმხდალე,
ამორძალად მაქციე, სივრცე გადამიშალე.

დავეწაფე წადილით წყურვილს წყაროს წყალიდან,
ერთი მესხი მოლექსე, მოვლენილი ალიდან,
გიწვდი სულის ღიმილით თასს მადლისგან ლიცლიცას,
ჩემი სტრიქონებიდან დარდი სულ გაიცრიცა.

უნდა გამოდგე

თუ ვერ ივარგე, ეს სამყარო თუკი არ გყოფნის,
უნდა დაიწვე, რომ ფერფლიდან ისევ აღზევდე,
თუ ვერ შეძელი და დაგიდგა ყოფა არყოფნის,
ეცადე მაინც, სხვის გულს დარდით აღარ ავსებდე.

სპეტაკ სივრცეში უფლის კიბეს ცრემლით ვასველებ,
უმოაჯიროდ საფეხურზე სული მეღლება,
გადალეულ გულს და ამ სხეულს ვერსად ვასვენებ,
ადამის მოდგმის, სანამ დარდი გადამეყრება.

სამშობლოს გულში შკალის მინუსს ისევ ეხები,
შენი არ მინდა დაპირება, ანდა ფერება,
მხოლოდ გახსოვდეს, თუ მიწაზე გიდგას ფეხები,
უნდა გამოდგე და თავიდან იწყო შენება!

ვაჟა-ფშაველას

ვაზი ხარ ჩარგალს ჩარგული,
ქართული ჯიშის ნაწილად,
ცხოვრებისაგან ჩაგრული,
გადაქცეული არწივად.

მზეს მოყოლილი სხივებად,
ფშავის ნაბადად ქცეული,
მიუწვდომელი ზეცა ხარ,
ხან მეწყრად ჩამოქცეული.

კაცი არ დაბადებულა
მსგავსი გენიის საფერო,
გავბედე უფლით მოსული,
ოქროს კალამით დაგფერო.

ალუბლების კუნწულები

ამ ალუბლების კუნწულებს
თან მოჰყვა სითბო მალალი,
შემომაგებეთ მზესავით
გულიდან გამომავალი.

სიტკბოზე მეტად მეხარა
სულში სიკეთის კეთება,
ამ კუნწულებმა იტვირთეს
გონების გამოკეთება.

სულ ცოტა გვყოფნის მოკვდავებს,
ჩვენში სითბოა მთავარი,
ღმერთმა მოგმადლოთ ორივეს
გზა სიყვარულით სავალი.

დრო

ვერ დავეწიე საბელაწყვეტილ რაშებს,
მერე კი რაშმა თავად ფეხდაფეხ მდია,
ახლა დავცქერი რკინის უზანგის მაშებს,
სამჭედლოს კართან როგორ უბრალოდ გდია...

მერმისს გავყვები ფაფარაწეწილ მერანს,
ცამდე გაჭრილი თავისუფლად რომ მიქრის,
სევდის ხლართიდან გამოვექცევი ვერანს,
აღარ დამრჩება დრო დარდისა და ფიქრის.

....ვერ დავეწიე საბელაწყვეტილ რაშებს,
ხელკავით ხელში ვდგავარ და ვუცქერ ბავშვებს.

გამოსავალი

რად გარძისფერდა, რად გაფითრდა ფიქრის ფოთლები,
სულის რაინდმა რად დატოვა ობლად მარაბდა,
თვით ღვთისმშობელის გენეტიკის მონაყოლები-
ქართველი ქალი რად გადიქცა ხარჭად არაბთა?

სევდის დაღმართზე მდინარესთან დგანან ბორნები,
ჭირთა თმენაა დღენიადაგ მგზავრი ულევი,
კვლავ მიჭრიალებს თვლებდაჟანგულ რუხი ბორბლებით
დასაქციელში გასასვლელად ძველი ურემი.

ნუთუ ვერ ხედავთ უკეთესად დღევანდელობას,
უფლის სიტყვაში გავიძებულ ლაზარეს ენას?
ახლა ის დროა, სიყვარულით ერთად ვიაროთ,
რადგან სამყარო ქართულიდან მოითხოვს შველას.

მოგონებები

რა ლამაზია მოგონებები,
თავის სიცელქით, აპრილობებით,
ბავშვობის წლებში ჩამოქარგული
ღილაწყვეტილი ყმაწვილობები.

რამდენი სუნთქვის გახშირებაა
ნათქაფუნები რიყის ღელეში,
ისე გაფრინდა თეთრი თოლია,
მხოლოდ ბუმბული შეგვრჩა ხელებში.

მოგონებებმა ტვინში დალექა
გულდაწყვეტილი ცრემლის ცვილები,
ოჰ, როგორ მტკივა თქვენი არყოფნა,
ასე უდროოდ გარდაცვლილების.

...ისევ ყველა ვართ ფიქრის სარკეში,
ძლივს მოვასწარი ცრემლის გაშრობა,
სევდისფერია მოგონებები,
შინმოუსვლელი ჩვენი ბავშვობა.

ჩვენს პატრიარქს

ცისკრის ვარსკვლავი ისევ ანათებს,
ერის იმედად ისევ დადიხარ,
ჩვენი ცოდვების ტკივილს ატარებ
და ბეწვის ხიდზე ლოცვით გადიხარ.

სულის ტაძარში ყველას მოუხმობ,
ყველა მოკვდავი შენი შვილია,
მთელი სამყაროს გადარჩენისთვის
მესაიდუმლე არის ილია.

უწმინდესო და უნეტარესო
ისევ მოიღე ბრძოლის წადილი,
რომ წმინდა სიონს კვლავ ამშვენებდეს
ჯვრისწერის წესით წყვილი ნამდვილი.

უფლის სიტყვაა მოსული კარზე !
ჯვრით გაგვიკაფე გზა გაუვალი,
დრო და ჟამია გადარჩენისა,
ან დაღუპვაა გარდაუვალი.

ღმერთით მოსულო, ღმერთმა დაგლოცოს,
იმედის სიტყვა არის უფალი,
მალე გვენახოს ჩვენი სამშობლო
გაბრწყინებული, თავისუფალი!

მზია ერგემლიძე

* * *

ჩემო კესანებო ფერი დაგკარგვიათ,
ნუთუ შეგაშინათ ივლისის ქარებმა,
გულით გევედრებით, აღარ მოიწყინოთ,
თორემ.ჩამითრია დარდებმა...

ჩემო კესანებო, ჩემებრ ლურჯთვალებავ
თქვენებრ მეც ხომ ცრემლი დამდინდა
კმარა ტირილები,თვალი შევიმშრალოთ,
ჩვენ ხომ ტირილები არ გვიყვარს.

მეც ხომ თქვენთანა ვარ,
მეც.ხომ თქვენებრ მტკივა,
ვიცი გამოგვაშრო ამინდმა,
მოდი ქარებს გავყვეთ, მასთან ვინავარდოთ,
ჩვენ სხვა სიყვარული არც გვინდა..

მთებში მოიღრუბლა...
ვგონებ წვიმა მოდის,
წვიმის სურნელება გვეხვევა,
შენ რომ გაგაგრილებს,
მეც ხომ გამაგრილებს,
მხრებზე ლაღად შემოგვეხვევა.

თვალებს დაგვინამავს,,
გულსაც გავიგრილებს
ცელქი წვიმის წვეთის შეხება,
შენ რომ შეგიყვარებს, მეც ხომ შემიყვარებს,
გული სიყვარულით გვევსება..

მერე სიყვარულით ავსილს,
სიო.მოგვეხვევა, სიო უნაზესი ქმნილება,
შენი სიყვარული, ჩემი სიყვარული,
ჩუმი მოფერებით იწყება..

ჩემო კესანებო. ჩემებრ ლურჯთვალებო,
იცით? უსაშველოდ მენატვრით,
მალე მოგაკითხავთ, გულში ჩაგიხუტებთ,
ჩემი საქართველო მეძახის.

* * *

რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა,
გრძნობა ფერადი და გრძნობა უფერული,
გულში ყველაფერი ძლიერ მედარდება,
გარეგნულად ვჩანვარ - დროში გალეული...

ადრე გულში წყენას, - როგორ დავიტევდი,
სული ბობოქრობდა, გული უტევარი,
ყველა კარიბჭეზე ბოქლომს ჩავტეხავდი,
ხელში ჩავწურავდი სიტყვებს -ვით მტევანი.

არვის დაუთმობდი რაც მე მეკუთვნოდა,
გული ფერადი და გული უპოვარი,
მაგრამ ამ ბრძოლაში წლები გაპარულა,
და დრო დარჩენილა, როგორც უხსოვარი...

ზოგჯერ გავიხსენებ წლების სილამაზეს,
ამ სილამაზეში; -წყენაც მახსენდება,
უკვე ვერ ვგებულობ, მაშინ რატო მწყინდა?!
ან რად ვბრაზობდი და ან რა მადარდებდა.

ეხლა ძლიერ მიკვირს ასე რად ხდებოდა,
ვფიქრობ ,-ნუთუ მართლა, მაშინ მე ვიყავი,
გული რა ყოფილა... ასე ერთი ციდა,
ასე სულ პატარა და ისიც გაგიყავი....

გულის ნახევარი მაშინ შენ მოგეცი,
გული მთრთოლვარე და გული პაწაწინა,
მახსოვს ხელის გულზე როგორ ნაზად გედო,
როგორ უფერებდი, - რამე არ გეტკინდა...

მერე უცებ გაქრა ,ნაზი მოფერება,
მერე თითქოს მოკვდა, გულის ნახევარი,
თითქოს მართლა იყო, - ასე მახსენდება,
თითქოს მომპარეო, შენ ის ნახევარი.

მაშინ მტკიოდა და მერე მომიშუშდა,
მხოლოდ ბზარი დარჩა, როგორც ძველ ჭრილობას,
მახსოვს ის საღამო ცაც რომ მოიღუშა,
წასვლა მინდოდა და... თითქოს არც მინდოდა...

მითხარ ასე ძლიერ,- გულო რამ შეგცვალა?
ადრე ბევრი გწყინდა, გულში იმარხავდი,
შენი სიყვარული ფურცლებს რომ მიანდე,
მახსოვს წიგნის თარო, სადაც ინახავდი.

ეხლა სულერთია, გრძნობა გარდასული,
გზაში შეგხვდება თუ კართან მოგადგება,
როცა გიხაროდა იყო დაკარგული,
მაშინ სიყვარული გულში ნავარდობდა.

ეხლა უკვე ალბათ, წყენაც არ მაშინებს,
წყენაც ამ ცხოვრების -მცირე ნაწილია,
ვიცი ხვალინდელი დილა დამამშვიდებს,
რადგან გუშინდელი უკვე გავლილია....

* * *

მთელი ღამე მინდორ-ველად
ხეტიალში გავლიე,
ღმერთო! შენი სადღეგრძელო
მე ცისკრის ჟამს დავლიე..

ვინღა აღარ მოვიგონე,
ვინღა აღარ დავლოცე,
მე და ჩემმა გვირილებმა,
ერთმანეთიც ჩავკოცნეთ..

თეთრ გვირილებს დაეჭირათ..
თითქოს სავსე ფიალა,
მთელი ღამე ქათქათებდა,
დილა ამიმზიანა..

განთიადთან ლოცულობდა,
ცისკრის ზარებს ელოდა,
უფლის მადლით ავსებული,
მზის სხივებით ტკბებოდა.

დილის ლოცვა აღავლინა..
თეთრ სამოსში მორთულმა,
მომეხვია მომეფერა
სამოთხიდან მოსულმა.

ღამის სევდა გადამყარა,
მარტოობის ყიალის,
მაგრძნობინა ეს ცხოვრება
არ ყოფილა ტიალი.

იმედები გამიღვიძა,
სიყვარული მარგუნა,
უფლის რწმენით გამამხნევა
ყვავილები დამხურა..

დამანახა მისი თვალით,
უნაზესი ველები
სამოთხისფერ ფერებს ჰგავდა
მინდვრები და ტყეები..

ამ ზღაპარს ხომ --ვერ მოყვები
თავად თუ არ იხილე..
თქვენი ერთი მოფერებით
მეც თვალი ამიხილეთ..

თქვენს უზომო.ნეტარებას ,
ქვეყნად რა დამავიწყებს
განთიადზე ცისკრის ზარებს
შრიალით რომ მაუწყებ.

მოვალ ისევ ჩაგეხუტოთ
გვირილების ზეიმო,
და ამ ქვეყნის სილამაზე
სულ.ერთად ვიზეიმოთ

* * *

ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო,
სულში ჩაიხედე იმედებით,
ზოგჯერ სიხარულს თუ სევდა ჭარბობს ,
დღეს ხომ ხვალის იქით იხედები.

ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო,
ხედავთ? შემოდგომის დღე აფეთქდა,
ადე ყვითელ ფოთლებს მოეფერე,
დილა ოქროსფერად რომ გათენდა.

დილას მზის სხივები ახალისებს,
ზოგჯერ ზღვის ნაპირზე ცელქობს სიო,
ბევრი სიხარული მოაფრქვიე,
დრო რომ ფიქრებში არ გააბნიო.

ცაზე ღრუბლები თუ გამოჩნდება,
ვხედავ ამინდივით იღრუბლები,
ღრუბელს ღიმილები დაადევნე,
ასე ნურასოდეს იქუფრები.

იცი? არ გიხდება სევდა, დარდი,
სახეს ნაოჭები ემატება,
ზოგჯერ თუ ქუჩაში დაჰქრის ქარი,
ქარსაც ღიმილები ენატრება.

ღიმილს ელოდება ყველა დილა,
ციცქნა ყვავილი თუ ცელქი სიო,
მოდი ღიმილებით გაიღვიძე,
ირგვლივ სიყვარული რომ აბნიო.

რაა შემოდგომა თუ მოვიდა,
ცივი ზამთარიც ხომ მოგვადგება,
იქაც გაუღიმე ფიფქს და თეთრ თოვლს,
ზამთარს გაზაფხული მოადგება.

სევდა თუკი გულზე მოგაწვება,
ქარებს გაატანე ეგ ფიქრები,
ვხედავ გენატრება შენ სილაღე,
დილა გაითენე ღიმილებით.

ხშირად გაიღიმეთ ქალბატონო,
დილა გაითენე ღიმილებით,
სევდით ნუ გადაღლი შენ სათუთ გულს,
ცაც კი აფერადდა იმედებით.

* * *

ერთი პატარა გოგო ვარ,
ცისფერთვალება მზეწვია.
მზეზე ნავარდი მიყვარდა,..
გზად ჩრდილი წამომეწია.
დავჯექი, ჩამოვისვენე ...
თვალს ცრემლი შემომჩვევია,
მე სულ სიკეთეს ვთესავდი,
ჭირხლი რად წამომეწია.
წელისმოწყვეტით ავდექი ...
იმდენი დარდი მეწვია,
ჩემი ლამაზი ბავშვობა,
სულ ჩიტებს დაუწეწიათ.
ჟივილ-ხივილით იყოფენ,
ფერიც ვერ გაურჩევიათ,
ისე მომტაცეს ბავშვობა,
წარბიც არ შეტოკებიათ.
ეხლა კი უკვე დიდი ვარ,
გულს დარდი შემომეჩვია,
რაც ვინავარდე, ვიანცე
სულ წარსულს დაწერებია.
სარკეს გაურბის თვალები,
ღარები მომმატებია,
ძნელია წლებთან ჭიდილი,
დრო წარსულს შეხიზნებია.
ღმერთო ერთი დღე მაჩუქე
ბავშვობა მომნატრებია
ცოტახნით კიდე მამყოფე
ის ონავარი მზეწვია.

* * *

დაიწყე ცხოვრება თავიდან,
მოხატე სიცოცხლე ფერებით,
წარსულის ფერი თუ გახუნდა,
ახალი შექმენი ხედები.

აჰყევი ნიავის ქროლებას,
ქარებსაც უტეხად შეხვდები,
მოქარგე ახალი დროება,
შეჰქმენი ფერადი ფერები.

ველებზე გაშალე ფურცლებად,
ფერები!...ცოცხალი ფერები,
არ გინდა დღეს განმარტოება,
არ გინდა დარდი და ცრემლები.

იცოცხლე ცხოვრების ხალისით,
იხარე ყვავილთა ფერებით,
ლამაზად თენდება აისი,
თენდება სიცოცხლის ფერებით.

დატოვე სიკეთე წარსულში ,
დადევი დიდ ქვაზე ლამაზად,
ვიღაცას შეხვდება დიდ გზაზე,
ვიღაცა აიღებს ანაზდად.

მავანნი დადიან შენ გზაზე,
სხვები კი სულ ახალს ეძებენ,
იარონ ამ ქვეყნად ლამაზად,
იფიქრონ ხვალის დღის შემქნელზე.

მე კი გაუყვები ბილიკებს,
ძველი და ახალი დროებით,
მინდა რომ გაჩუქოთ ხალისი,
არ იყვეთ ხვალ განმარტოებით.

* * *

ისე გაფრენილა წლები სანატრელი,
ჭაღარა შეპარვია წარსულს საბატონოდ,
ვიღაც მოწიწებით გზაზე გაგატარებს,
უკვე მოგმართავენ, რიდით ქალბატონო.

თავი ისევ ისე კოხტა გოგოდ მოგაქვს,
წლები უტყვად მიდის, დრო კი დაბატონობს,
ხშირად თვალს შეავლებ
თმებში თეთრს შერეულს,
შენ კი მოგმართავენ, - უკვე ქალბატონოს.

გული არ ბერდება, გული ბავშვად რჩება,
თუმცა წარსულს დარჩა წლები საბატონო,
ქარსაც დაედევნე, წვიმას შეეხიზნე,
თოვლიც დაგფენია თმებში ქალბატონო.

წლებმა გაიფრინა,
სულ მთლად ფრთებგაშლილმა,
ეხლა ქუჩებში კი ქარი დაბატონობს,
შალი მოიხვიეთ, კაშნე შეიკარით,
გული გაითბეთო, ცივა ქალბატონო.

გიგი თეთრაძე

* * *

თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე მგზავრად,
უკან გამოგყვები
და არ წავალ არსად.
თუკი დაიღლები,
წამოწვები ტახტზე,
ჩუმად მოვალ შენთან
და გაკოცებ თავზე,
როცა ჩაფიქრდები
მარტოობას არჩევ,
ფიქრებს მიეცემი
ფიქრის ხეებს არხევ,
ზურგს მე გაგიმაგრებ
გიდარაჯო უნდა,
გულში ვიტყვი ასჯერ
მეყვარები მუდამ.
ღამით როცა ძილი
წაგაბრძანებს სიზმრეთს,
მე ვიქნები ფხიზლად,
რომ შევიცნო სივრცე,
სივრცე სადაც სუნთქან,
სადაც გული გიცემს,
სადაც შენი ხმები
ყველა კუთხეს იცმევს.
მე ვიქნები ფხიზლად
თავს დაგადებ მკერდზე,
ყველა ამოსუნთქვას
ვიწერ გულის ფსკერზე,
თუკი გაბრაზდები
აიხირებ რამეს,
მე მოგისმენ მშვიდად
დაგიკოცნი თვალებს.
შენთვის მინდა რაც მაქვს
ისიც რაც არა მაქვს,
შენი გაღიმება
არავისას არ ჰგავს.
თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე სტუმრად,
უკან გამოგყვები,
მეყვარები მუდამ.

პოეზია გადაგვარჩენს

ალბათ პოეზია გადაგვარჩენს
სულიერება ხეზე დაკიდეს,
ბოლოს უფალი გადაგვარჩევს,
ოცდაათ ვერცხლად,რომ გაყიდეს.

მჯერა პოეზია აგვამაღლებს
თუნდაც რითმები გაგებნეს,
ბოროტს პოეტი ასამარებს,
დილა სიკეთის,რომ გათენდეს.

მჯერა პოეზია გადაგვარჩენს
ადამიანებს ცოტას თუ გაუგებ,
ლექსი საუკუნოდ,რომ დარჩეს
პოეტი გოგლგოთას უნდა გაუყვეს.

❤ ე ლ ე ნ ა ს ❤

ლ ამაზ თვალებში მზემ დაიბუდა,
ე თამაშება წამწამთა წყობას,
ნ ატვრა ახდება წლების ნაფიქრი,
ა ანთებს ცეცხლებს ეს ჩუმი გრძნობა.

ჩემპიონების ჰიმნი

ეძღვნება
ქ.რუსთავის სამჭიდის გუნდს

გაუმარჯოს თაობას,
რომელიც,ახლა იზრდება,
გაუმარჯოს ძალას,
რომელიც ახლა იქმნება.

სულისკვეთებას და მიზანსწრაფვას,
ვერ გააჩერებს ვერცერთი ძალა,
წინ წარმატება და გამარჯვება,
უეჭველია, გული გრძნობს ამას.

ავაფრიალოთ ქართული დროშა,
პირველობა ხომ ჩვენი ხვედრია,
გული ქართული,გული ქართული,
ყველამ გაიგო, ყველგან ხვდებიან.

მოგების წყურვილს ჯერ დააოკებს,
ცუდი ფიქრები თავში, რომ რბიან,
გადაინახეთ ოქროს მედლები,
ჩემპიონები თქვენთან მოდიან!

ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი

რას ვამბობ ახალს?

მივუახლოვდი, უკვე ვგრძნობ ამას,
მივუახლოვდი, უჯრას და წამალს.
მივუახლოვდი, ვიცი რომ წავალ,
თქვენ არ ინაღვლოთ, რას ვამბობ ახალს?
წავალ, ახალ სამყაროს ვიცი, რომ ვნახავ,
წავალ, შევხვდები წასულებს მრავალს.
წავალ, შევხვდები მე იქ თქვენს მამას,
გთხოვთ,არ მიტიროთ რას ვამბობ ახალს?
ვიარე ბევრი, გზად შევხვდი მსახვრალს,
ვიარე ბევრი, ხალხს შევხვდი მზაკვარს.
ვიარე ბევრი, გადავეყარე ტკბილსაც
მე მრავალს
თქვენც შეგიძინეთ, რას ვამბობ ახალს?
მე ღმერთს ვუყურებ, ტაძარში ვდგავარ,
მე ღმერთს ვუყურებ, ვლოცულობ მრავალს,
მე ღმერთს ვუყურებ და მასთან წავალ
ეს ბოლო გზაა, რას ვამბობ ახალს?

თანდათან წავლენ

თანდათან წავლენ და ეს სამყარო
გადაინაცვლებს ვარსკვლავთა მწყობრში,
გაიტკეპნება ბილიკი ცისკენ
დაივანებენ შენს სულში მყოფნი.
დასახლდებიან მხოლოდ ფიქრებში
ოცნებებს ცისკენ გადასტყორცნიან,
შენგან წასულნი დასახლდებიან
და იქ შენს ნაცვლად ვარსკვლავთ ჰკოცნიან.
შენ აქ რა დაგრჩა?მხოლოდ ტკივილი
ცრემლები გულში ღვარად მიდიან
იცის უფალმა,მათაც იციან
დრო გავა,ისინი შენ დაგიცდიან.
წლები გავა და წლები ტკივილის
იქ იმ საუფლის გზისკენ მიდიან.
უფალს მიანდე შენი ფიქრები

ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი

საქართველოა ჩემი სამშობლო
ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი.
ვარძია, ზარზმა, საფარა, ოშკი,
მტრის თვალს იზიდავს,როგორც ალმასი.
ლატალის სხივი ზეცას ასწვდება,
თითქოს უფალთან დაუდგამს კოშკი
გული სიცოცხლის ძალას შეიძენს,
როგორც კი ციხეს შეხედავ გირში.
როცა შესცქერი შენს ლამაზ კუთხეს
თვალხატულას და სიცოცხლით სავსეს,
მიყვარეს გულში უდგება დარი
მტერი უნებურ ვარდება შოკში.
უშბა,თეთნულდი თოვლის საფარით
დაბლა მინდორი თოვლით მოსილი.
ასეთი არის ჩემი ქვეყანა
ყველა სიკეთის მადლით მოსილი.
ჩემი ქვეყანა ასე ლამაზი
ბრწყინავს მზის სხივზე,როგორც ალმასი,
ისმის ღუღუნი მოლაღურების
და ბულბულების სტვენა ლამაზი.
კავკასიონი ძირს გადმოჰყურებს
შუბლშეჭმუხვნილი, მტერს ბრაზით უმზერს
იცის დიდება ჩემი ქვეყნისა
მტრისთვის საშურს და მისგან სამზერს
ჯიქეთის მთიდან ჰერეთის საზღვარს
იცის მისაზღვრავს მომავლის შუქი
მტერს ხანჯალს ჩასცემს ალესილ პირით
თავს დააცხრება ელვა და ბუქი.
ისევ აანთებს გარეჯის სანთლებს,
ისევ იგალობს ბერების გუნდი,
ოშკის გუმბათი კვლავ განათდება
კვლავ შემოარტყამს მტრედების გუნდი.
ჩემი სამშობლო ასე ლამაზი
ბრწყინავს მზის შუქზე,როგორც ალმასი.

გავაგრძელებ

დავკრიფე, გული ვახარე
ტურფაა ჩემი მამული
დავკრიფე გულნი მინდვრისა
უფლით ნაკურთხი მშვენება,
ყაყაჩო თბილად მღიმარი
მალამოდ მომევლინება.

ის მოწყალეა და დიდზე დიდია.

დავკრიფე

დავკრიფე გულნი მინდვრისა
სიკეთეს ჩავაზიარე,
მოვიდა, დარდი ჩამომხსნა
მიწის სუნს ჩამაზიარებს.
გავივლი მინდორს ,ყაყაჩო,
ნარგიზებს მივესალმები.
დარდებს დავიბერტყ მხრებიდან
ტანჯვისგან ვთავისუფლდები.
ხორბლის ხოდაბუნს ჩავუვლი
დავლოცავ გლეხის ბარაქას,
ნუგეშად მოვევლინები
შავძაძაჩაცმულ მამაც ქალს.
გავხედავ მინდორს ქართლისას
გადახრულ-განანიავებს
მოველი შუქს მომავლიდან
ვინც მოუშუშებს იარებს.
მინდვრად გაპენტილ ყვავილნარს
გულგრილად როგორ ჩავუვლი
კარგი ხვალ გადმოგიგზავნით

გაგესაუბრო

გაგესაუბრო უფალო მინდა
შეკითხვები მაქვს შენთან მრავალი,
მე ხომ სიკეთით მოვედი დღემდე
ეკლიანი გზა ჩემთვის რად არის?
ყველა დავკარგე ვინც კი მიყვარდა
სევდიან გზაზე დარდით დავდივარ
ტკივილით ხრამში გადავიჩეხე
ვცდილიბ და ზევით ვეღარ ავდივარ.
ახლა ლოცვებით შვილებს გავედრებ
დავბერდი,უკვე მათი დარდი ვარ,
ცრემლებით მოვრწყე ჩემი ბილიკი
და ბეწვის ხიდზე ისევ გავდივარ.
რატომ უფალო?მე ხომ სიკეთის
ნამდვილად თბილი მწყემსი ვარ,
არვის ვაწუხებ,ცხოვრების გზაზე
არა მარწუხი,მხოლოდ მსგეფსი ვარ.
თავდახრილი ვარ,არას ვამაყობ
შენგან ნაწერი უხმო ლექსი ვარ.

გულნაზის
გამოიცან თავი

ნეტავი რა ძალა გმართავს ქალაუ,
რაშია შენი ძალა დიდების,
გტანჯა მსახვრალმა სიკვდილის ელდამ
უფალმა ძალა მოგცა მიგნების,
ვერ დაგაჩოქა ცრემლის დინებამ
გულში რომ მიგდის დიდი მდინარე,
გძინავს,თუ გღვიძავს,სიკეთეს თესავ
ყველას სატკივარს მშვიდად იბარებ,
ყველასთვის გრჩება სათუთი გრძნობა
ყველასთვის სითბოს უშვებ გულიდან,
აი რაშია სიწმინდის გრძნობა,
დედა ქალობა მოდის სულიდან.
გმართავს უფალი დიდ საუფლოდან,
დედაღვთისმშობლის მადლი გეპკურა,
ანგელოზთ დასი გლოცავს ზეციდან
მადლი გიცხვება ზეციურ პურად.

ვალია კვაშილავა

ჩიტუნია

რას დამძახი ჩიტუნია,
ნეტავი რა მახარე?
იქნებ შენ ხარ ჩემი ქვეყნის,
კარგი ამბის მახარე!

ჩიტუნია დაგიკოცნი,
ნისკარტს და ყელს ღაბუას,
საქართველო რომ მთლიანი,
მიავახარო ბაბუას!

ჩემი მიწა დამიბრუნდეს,
ჩემი სახნავ_სათესი,
წინაპარიც არ მყოლია,
სიბოროტის დამთესი!

შენ ,პატარა ჩიტუნია,
ჩემი ქვეყნის შვილი ხარ,
ნეტავ ერთი მაცოდინა,
შენც რაღაცას ჩივიხარ!

შენც ჩივიხარ იქნებ ქვეყნის,
მთლიანობა გწადია,
ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო და,
მეტი არ გვაბადია!

სხვა ქვეყანა არც მინდოდა,
არც არასდროს მწყუროდეს,
ცოტა მქონდეს სამშობლოში,
ოღონდ გული გულობდეს!

ოღონდ იყოს სიხარული,
დარი ისევ დარობდეს,
და ბულბული საოცარი,
სიყვარულს უგალობდეს!

მამაო ჩვენო

მამაო ჩვენო ცათა შინა ხარ ბინადარი,
მადლობას გწირავ ყოველი დღის გათენებაზე,
შენა ხარ ხალხის სიყვარულის, სითბოს ნაზავი,
შემისსხლხორცე ვერ ჩამოვალ გაჩერებაზე!

აქ მინდა ვიყო ,ჩემი ერის მწვავდეს ფიქრები,
ჩემი ქვეყნის და ჩემი ხალხის ღრმა იარები,
აქ თუნდ ზაფხულშიც დამათოვოს თეთრი ფიფქები,
აქ მე მზის გულით, მზის სხივებით დავიარები!

მინდა ვუყურო ჩემი ქვეყნის კვლავ გაზაფხულებს,
და შემოდგომას დახუნძლულებს ტკბილი ნაყოფით,
მომნატრებია – ბავშობაში ვინ დამაბრუნებს?!
ზღვარი დაიდო ,მოგონება დარჩა გამყოფი!

მე არსად წავალ ვერ ჩამოვალ გაჩერებაზე,
აქ უნდა მითხრან მადლობაც და საყვედურებიც,
მადლიერი ვარ ყოველი დღის გათენებაზე,
უფალო,მიცავ,ვერასოდეს დაგემდურები!

უნდა ვეფერო საქართველოს მიწას მადლიანს,
ჩემი ლექსები ანთებული სანთლები დარჩეს,
და მერე როცა მის ბელტებს მე ჩამომაყრიან,
კვლავ ძლიერებას შევავედრებ ისევე გამჩენს!

ამაყად ვიტყვი ამ მიწაზე მწვავდა მზის სხივი,
წინაპრის სისხლი ჩუხჩუხებდა დაბერილ ვენში,
მხოლოდ ერთს ვითხოვ _იქართველეთ! – საქართველოა!
დასაცავი და საფერები ხელიდან ხელში !!

ორი ვარსკვლავი

ორი ვარსკვლავი მყავს,ჩემი ორი ფესვი,
ორი ოქროს ზოდი,თუმცა ოქრო რაა,
მათთვის გამოვძერწე ეს პატარა ლექსი,
გულში სიყვარულის რადგან დიდი ზღვაა!

ჩემი სიხარული,ჩემი მზე და მთვარე,
ჩემი ბარბარე და მარიამი მერე,
მათი დაბადებით მართლა გავიხარე,
მათით უკვდავების კაბაც შევიკერე!

გაიზარდეთ ჩემო დიდო საჩუქრებო,
გეხაროთ და ქვეყნის გიწყალობოთ ბედმა,
დიდო სიხარულო უფლის ნაჩუქრებო,
გონება და ნიჭი მოგამადლოთ ღმერთმა!

ამრავლე უფალო

საღამოა, ჟღერს მუსიკის ჰარმონია,
ირხევიან ლამაზები ლამაზად,
არ გეგონოს მეგობარო გარმონია,
ორატორი ორატორობს თამადად!

ამ სუფრაზე ახლა წყვილის ქორწილია,
ზეიმობენ,ქალ-ვაჟები მღერიან,
დაილოცოს,ყველანი ღვთის მორჩილია,
მაგიდაზე პურ-მარილის მთებია!

დედოფალი დედოფლურად მორთულია,
საქორწილო თეთრი კაბა მოარგეს,
და მეფე კი გასაოცრად მოსულია,
ქართველების ადათ-წესს წარმოადგენს!

ჟღერს მუსიკა ,ჭიქა ჭიქას ეფერება,
ისე კოცნის ყურში მესმის წკარუნი,
მეც ვზივარ და არაფერი მეჩვენება,
შეუცნობი და ანდა უცნაური !

ეს ქართული წესია და ადათია,
ახლა წყვილებს ულოცავენ კერიას,
აქ ადგილი არ ჰქონია აპათიას,
ყველაფერი სიყვარულის ფერია!

ქორწილები გაამრავლე დიდი ღმერთო,
დამილოცე ერი ჩემი ნამდვილი,
შენ იქნები გადამრჩენი ერთადერთო,
ქალ_ვაჟს შორის სიყვარულის მანძილის,

ჟღერს მუსიკა,გულში სითბო ჩამეღვარა,
მიხარია, სიყვარული ზეიმობს,
ახალ ოჯახს საფუძველი ჩაეყარა,
ეს ქორწილი ამ სიყვარულს ქეიფობს!

და ამ დიდი სიხარულის ნაჟურია,
ჩემი ლექსი დაწერილი,იხილე,
ახლა ვიგრძენ ცა ქუდად რომ მახურია,
მინდა გითხრათ რაც ქორწილში ვიხილე!

ცის კიდეზე მზე შეჩერდა ჩამავალი
და დარბაზში იჭვრიტება გრძნეული,
მუსიკის ხმა შემოესმა გამავალი,
ყური მოჰკრა გახდა გადარეული!

დედამიწამ შეაჩერა თითქოს ბრუნვა,
მზე ცეკვავდა,იცინოდა,ხტებოდა,
ათინათი, მზის სხივების ათინათი,
ჩვენს გულებში სამუდამოდ რჩებოდა!

როგორ შეძლო მე არ ვიცი შეჩერება,
შიგ თვალებში ჩამივარდა ნათება,
ქალ_ვაჟისთვის გააკეთა შესვენება,
მარად იყოს მისი გამონათება!

ამ დროს სულში სიხარული მეღვრებოდა,
ჩემი ხალხის უკვდავება ვიწამე,
ქართულ ოჯახს საფუძველი ეყრებოდა,
ამ დალოცვილ და მადლიან მიწაზე!

ცხოვრებამ მასწავლა

ცხოვრებამ რთული გზის მასწავლა მიგნება,
რადგანაც იოლი არასდროს მიყვარდა,
მჯერა რომ უფალი ჩემს გვერდით იქნება,
წრიაპებს მივდევდი გული რომ მითქვამდა!

ცხოვრებამ რამდენი ტკივილი მანახა,
მაგრამ დაცემული არასდროს ვიქნები,
და მაინც ისევე ვჩურჩულებ სადა ხარ?!
კვლავაც დაგეძებ ის ჩემი ფიქრები!

ისევ ჩემმა მუზამ მომხვია ხელები,
გულში ჩამიხუტა, შვილივით მაკოცა,
კვლავაც მახსენდება ღამე ნათენები,
მერე შენს მაგიერ უფალმა დამლოცა!

რადგან მე პატარა, ნორჩი და უთქმელი,
მოგენდე, მჯეროდა კეთილი ზღაპარი,
ჩემი გრძნობა იყო ნამდვილი,უხრწნელი,
ხელში შემატოვე სანთელი ჩამქრალი!

გულმა გაგიწია მაინც რატომ სხვისკენ,
ალბათ უცხო სისხლმა ამბობ დაგიმონა,

და გზას დაადექი ისევ შორეთისკენ,
ასე გახდი ვიღაც უცხო ქალის მონა!

მე კი მიმატოვე ამ ეკლიან გზებში,
გზას ვიკვლევდი მარტო,ნარ- ეკალი მკბენდა,
მალე თეთრი ფიფქიც შემეპარა თმებში,
მაგრამ ჩემზე დარდი არას დაგიდევდა!

დრო გარბოდა მერე,იცინოდა ცაზე,
მზე ბრიალა უხმოდ გიზგიზებდა ჩემი,
ჩვენ რომ გვაცილებდა იმ თოვლიან გზაზე,
მარტოდმარტო ბოლოს მაინც რატომ რჩები?!

იქნებ ბევრსაც ნანობ საქციელი შენი,
აღარ გეწონება,ოცნების კოშკს აგებ,
ახლა დრო გაფრინდა,ვეღარაფერს მშველი,
მაცოდინა ნეტავ პასუხს ვისთან აგებ?!

როგორ მიმატოვე ეკლებიან გზაზე,
შენც იცოდი კარგად ნარ-ეკალი მკბენდა,
დანისლულმა გულმა ვერ გაგცვალა სხვაზე,
შენ კი ჩემზე დარდი არას დაგიდევდა!

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ხახულის ღვთისმშობლის ხატი

მვედრებელ სულთა ღვთისმშობელი მხსნელად მიღეს,
მესიის შობით დედა-ღვთისად ის აღიარეს!..
მისი ლოცვები – მიძინების, რწმენად გაიგეს,
რამეთუ უფლის კვართი ლოცვად, გონთა გაიყვეს...
ცხოვრების წირვად გაღებული კაცთა სიცოცხლე,
მსხვერპლთა იდუმალ საიდუმლოს ცხარე წესია,
დიდ სიყვარულის შეუცნობი გრძნობა იმორცხვებს,
თუ გახსნილ ნებათ წესთ სიუხვე შემოესია...
სითავმდაბლეში ჩაძირული სულის წვალება,
გასაკვირველი ღვთაებრივი აღქმის მწყემსია,
წმინდანებისთვის სინამდვილის სრული სწავლება,
ლოცვებისაგან მიღებული მცირე ხემსია...
და უნებლიედ ბრწყინვალების წმინდა შევსება,
უძვირფასესი კაზმთ შემოსვის განაწესია,
„ხახულის ხატის“ საოცარი წმინდა კვესება,
გადარჩენილა – სახესა და ხელთა ესია...
ქართულ მინანქრის დიდოსტატსა, თლილი ფურცლები,
შემკული ხატის გასაძარცვად არ უთესია,
სიყვარულისთვის დამუხტულა მარჯვე ხელები,
სხეულს შერწყმია სილამაზე, ჩაულესია...
ფერთა სიძუნწეს გარდამავალ ციმ-ციმთთოვაში,
„ხახულის“ სითბო შუქთ ფენაში დაუკემსია,
სიცოცხლისათვის ალმოდებულ ფერთ მწველ გამაში,
ღვთისმშობლის სახეს ჩანს მტარვალი შურით ესია...
განძარცვეს ხატი უგუნურთ და უსულგულოთა,
და ნამდვილ მტერთა წარმართთა და ურწმუნოთა,
სიმდიდრის მხვეჭელთ უგულოთ და უსამართლოთა,
ასეთ ქვეყანას, ხალხს ბუნება სჯის-უსჯულოთა!..
დღეს, განძარცვული მუზეუმის წმინდა მშვენება,
ეპოქალური ნაწამები – უფალს ენება, –
ოცდამეერთეს დაავალა მისი ხსენება, –
მართლმადიდებელთ შეასრულონ – წამოყენება!..
მჭმუნვარე სახე დაუხრია, ეძებს თანამდგომს,
მუხლდაჩოქილი ევედრება უფალსა და ღმერთს...
„ტანისამოსი“ – თეთრი დროშა ივერიისა
განძარცვულ სხეულს ამკობს, როგორც ერთს – დიდშენაერთს...
სასწაულმოქმედ ხახულის ბჭედ მდგომო ხატებავ,
დღესაც გიპყრია ტაოს წმინდა სულის ძაფები...
თვითონვე იცი, რომელ გვირგვინთ შვენის ხატებად,
შენი ტანიდან ამოყრილი ფიქალთა ქვები...
მაგრამ ეს გული ვეღარ უძლებს დაცინვას, ქილიკს
ცინიკურად, რომ უთამაშებთ ბოროტთ ღაწვები,
რა მწარე არის ცოდნა იმის, როგორ გაგყინავს,
მტერს იცნობ, მაგრამ დუმ ზრახვაში ამონაწები...
ამას ქართველი არასოდეს, რომ არ მოითმენს,
რომ სიყვარული დიდი უფლის, მისი რწმენაა,
რომ მწუხარება, მართალია ღამეთ მოითევს, –
გადაარჩინოს საქართველო! – ერის ენაა!..

ილიას მკვლელობა

ეპოქის დასაწყისიდან ძიება მოხდა მკვლელობის,
ეპოქალური სხეული იყო სამიზნე მცდელობის,
ფორმაციათა შეცვლის და იმ „საიდუმლო სერობის“
წინ, რომ უძღოდა ყველა აზრს, ნიჭთ სჯიდა ენამჭევრობის...
„ციხე შიგნიდან ტყდებაო“ – ბრძენს უთქვამს – ხალხის გუმანსა
ნიჭიერების მწვერვალსა ანაცვალებენ თუმანსა,
ეს იგივეა, შესცოდო რწმენას ქრისტესი, მკურნალსა,
სასწორზე დადო სიცოცხლე და შეეხიზნო ყურანსა.
„ერთ ხიდან ბარს და ნიჩაბსა“ ქართველნი ერთად თლიანო,
სასწაულები გონთ ხვდომით სიმტკიცეს გამოთვლიანო,
კერპთ სიჯიუტე – სამშობლოს მიწას თვისად არ თვლიანო,
მოღალატენი ქრთამისთვის ტყვიას ტყვიაზე სცლიანო...
სამშობლო ტირის: ბედკრული, ორივე ჩემი შვილია,
მკვლელს ჯოჯოხეთი იტაცებს, სამოთხე მართმევს ილიას...
სიტყვა ღაღადებს: სიკეთე ცხოვრებით გამოცდილია,
მუხის ფოთოლმა უსწავლელს – გლეხს შეახვედრა ილია...
უთხრა, თუ სიმართლე მითხარ: ცოდო არა თქვა, ტყვილია,
წინ შენი თქმული დაგხვდება, არ მოიტეხო კბილია,
უთხრა: სიმართლე ის არის: მუნჯ ხეთ არა აქვთ პირია,
და მოუტანა ფოთოლი, დილის ცვრით აცრემლილია!..
ტომ-გვართ წინაპართ გოდება, ამისთვის დაწყევლილია,
მის ძლიერების გამცემი, თემისგან მოკვეთილია,
ქართველის გულს კი რა ვუთხრა – ორივე შვილი ტკბილია,
მედეა? თუ „კოხტას თავის“ – შეთქმულნი ბრმად დასჯილია!..
ონისეს მსხვერპლი ხევისთვის სიყვარულისგან მწვლილია...
საქართველოსთვის მოგიხმობთ, შენ, ფერნაცვალო ილია!..

ახალგაზრდობას

ახალგაზრდობა, როგორც ზედაშე, გამოწურული მწიფე ყურძნისგან,
ცისკენ მიილტვის, ღმერთის წინაშე, იპოვოს ძალა მისთა წყურვილთა...
უფალმა იცის გზა სიყვარულის და სათნოების კაცთა მხუმილთა,
დალოცვილ იყოს ახალგაზრდობა ღვთივ-ნაბოძები გონთა-სურვილთა,
დე, იშრიალონ ნაძვთა-მწვერვალთა, ქართ ძალა მისცენ მტრედებთა წყვილთა...
მიწა ბუდედ რომ მოსცა მათ ღმერთმა, მრთელთა ნაწილთა ნანატრთა წრფივთა,
და დაილოცოს ღვთიური ძალა, აღმონაცენი მათ მტკიცე წვივთა
ხანგრძლივ სიცოცხლე ღმერთმა შემატოს, ამ დიდ მომავალს ნამრავლთ არწივთა...
ახალგაზრდობა, როგორც ზედაშე გამონაწური ყურძენისაგან,
თავღია უნდა დავდგათ სივრცეში, გემო თუ გვინდა ვსინჯოთ მისაგან...
სივრცე ხელს უწყობს, რომ განიწმინდოს, მღელვარე ხელთა შეხებისაგან,
დალოცვილია ყოველი წვეთი, ამ ღვთივ-ნაზარდი ვენახისაგან!..
ნორჩი ყლორტები რა ფესვთ შეიძენს, მიწას მიიჩნევს დედად ღვთისაგან,
კოსმიურ წვიმას ძალად შეიმცვრევს, ცად რომ ამაღლდეს რტონი ძისაგან!..
დიდ სიყვარულის ტევრად იშლება, და საამოა ხედვა „მტრისაგან“...
ვენახად, მაშინ, გარდაიქცევა – რა დრო გამოსცდის წვალებისაგან...
ახალგაზრდობა ზვრებად ქცეული – სამშობლო დანალოცი ღვთისაგან,
ძვალთა კერპია დროთ ვერ ძლეული – ეს მყარი ფუძე წინაპრისაგან...

გულიკო კაპანაძე

დათოს საფლავთან

დიდიხანია შენს საფლავთან აღარ მოვსულვარ.
ასე მგონია, გზისკენ გქონდა ამ დრომდე მზერა.
მოვედი ახლა, გადავუსვი ხელი შენს სურათს,
ვერ შევეჩვიე, უშენობა მადარდებს ჯერაც.
დიდიხანია შენს საფლავთან აღარ მოვსულვარ.
ვხედავ ერთგულად გიჩრდილავდნენ ტოტები, თელის.
ზაფხული გადის ეს მეორე, რაც შენ დამტოვე.
ორი ზაფხული, უამრავი დღეების თმენით.
დიდი ხანია შენს საფლავთან აღარ მოვსულვარ.
დიდიხანია არ მოსულხარ სიზმარში არც შენ..
მთავარ შეხვედრას დაგვინიშნავს ვიდრე განგება,
ვლოცულობ შენზე და სიცოცხლეს სიკვდილთან ვაჩვევ.

გვირილობა

მინდორს მკითხავებად მოდებიან
გრძელფეხა, მზეგულა გვირილები.
იმდენი ჭორები დააგროვეს,
მინდორს გაუჩინეს ღიმილები.
თეთრფურცლა, პაწაწა მზებია,
თმაში ჩასაწნავი გვირგვინები.
უყვარხარ თუ არა, გეტყვიან და
თვითონ მოკვდებიან გვირილები.
მზეა, მინდორია, გვირილობა.
ცაზე ცისარტყელას ბილიკია.
ჭიამაიების ფერხულია.
სიოს გვირილებთან ლიკლიკია.

გულო...

გულო სეხნიავ, მითხარი რამე.
დაიჩურჩულე და მიგიხვდები.
რასაც იფიქრებ, ხმამაღლა ვიტყვი.
ლექსის წერის ხომ დამყვა მე ბედი.
არ მიღალატო. არ მოგეწყინოს.
დაატრიალე ძარღვებში სისხლი.
შენა ხარ ჩემი გრძნობების სკივრი.
გულო, სეხნია, სიყვარულს გიხსნი.
დაიჩურჩულე, მითხარი რამე.
გულო ამტანო ავის და კარგის.
ნუ შეიცვლები, ოღონდ დარდისთვის
არ დაგავიწყდეს დახურვა კარის.

შენ, რომ ჩემთან იყო...

უკვე შეპარვია ჩემს ლექსს შემოდგომა.
თითქოს გადახუნდა, თითქოს გალეულა.
შენ, რომ ჩემთან იყო, ისევ იმზევებდა.
ფარ-ხმალს არ დაყრიდა ასე ადრეულად.
ცეცხლი ვერ დაანთო ლექსმა ადრინდელი.
უნაპერწკლო სიტყვებს, აბა რა ძალა აქვს.
ახლა გულში თუღა ვიტყვი, მიყვარხარო.
ასეთ სიყვარულს კი, მითხარ, რა გამა აქვს.
სული მშვიდია და რითმა შემოდგომის.
ლექსი სუსტია და თანაც აბდაუბდა.
შენ რომ ჩემთან იყო, ისევ ამრევდი და...
მერე სასიმღერო რითმას, სხვა რა უნდა.

ჩემი სიმშვიდე...

ჩემი სიმშვიდე განა ნიშნავს გადავიწყებას.
და რომ არა ხარ, ეგ არყოფნა არაფრად მიღირს.
უბრალოდ, შევძელ, სადღაც გულში გადამემალე.
და მოვაშორე ტკივილები ახლანდელ ღიმილს.
და რომ ვეჭვობდი, დრო მკურნალი იყო თუ არა,
დაბეჭითებით ვიმეორებ:არა და არა.
ვინც ძვირფასია, ვისაც კარგავ, ვისაც ვერ ხედავ,
დრო ვერ გავიწყებს,ამბობ მხოლოდ: "ტკივილი კმარა".
ჩემი სიმშვიდე, იქნებ მკითხო, როგორ ვიპოვე...
არ მიძებნია, მოვიდა და აღარ დამტოვა.
თუმცა ვერასდროს იმ ტკივილებს გვერდს ვერ ავუვლი
რაც შენი წასვლით, მე მირჯანმა, სულზე მათოვა.

შვილის დაბადებისას ნათქვამი

გული გამოვაღე, გაგიმზევდი.
სული გაგიშალე. მიყვარხარ.
ჩემო პაწაწინა ანგელოზო
თვალის გახელაზე წინა ხარ.
გხედავ, გეფერები, ჩემი გქვია.
ოცნების ღუნღულა ფთილა ხარ.
ჩემი გენების და ჩემი სისხლის
გამგრძელებელი და ჯილა ხარ.
შენი თვალებია გიშრუკები.
ლოყა გაბერილი, ფუმფულა.
მუშტები შეკრული,ბურთუკები
სხეული ნაკეცებით, ღუნღულა.
თან გდევდეს მუდმივად ბედ-იღბალი..
ჭკუა-გონება კი მდიდარი.
ჩემო პაწაწინა ანგელოზო,
ნატვრა ამიხდა და ის არის.

შენით და უშენობით

სულს რაც აჩნდება, რაც ეწერება
მიჰყვება მერე წლობით, ათწლობით.
მე ყველა ამბავს, ყველა მოვლენას
ვხვდები როგორღაც, ნაცნობ განწყობით.
მხოლოდ საკუთარ თავს თუ ვიკვირვებ
რად დაგიჩემე, რად ვერ გივიწყებ.
სავსე ვარ შენით და უშენობით
და სიბერისკენ, ასე მივიწევ.

დარდმა იდარდა

დარდმა იდარდა, იდარდა
გულს გაუწვრილა კედელი.
გულმა თვალს გაუნაწილა
რისიც არ იყო მტეველი.
თვალმა ითმინა, ითმინა.
ადუღა ცრემლი, ინახა.
ტირილი არვის უჩვენა.
მზერა დაიშთო კინაღამ.
სულმა თქვა: თქვენი არ მესმის,
დარდს რა გამოლევს ნეტავო.
თქვენ არ მოგბაძავთ, იცოდეთ
დარდის სარქველებს ვკეტავო.
გულმა სულს უთხრა თანხმობა
თვალში სხივებმა იცინა.
დარდმა თქვა: ჩამოგეშვებით.
თქვენი აღარა ვიცი, რა.

სამოცი

რა ყოფილა სამჯერ ოცი
სიტყვაძუნწი გამხადა.
სიყვარულზე გულში ვმღერი
ლექსს თუ დავწერ ჰა და ჰა.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
მოგონება გატკბილდა.
ვსიზმრობ მხოლოდ მზიან ამბებს,
დარდიანი რად მინდა.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
ბავშვობაში მაბრუნებს.
სადაც მუდამ მზე ღიმილობს,
არვინ ერჩის გზად ურემს.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
ყოველი დღე გატკბილდა.
სიყვარული ბავშვი დარჩა,
ჩემი ტოლა, მთლად "კბილა".
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
ფერთა ცნობა მასწავლა.
დამიგროვდა სულში ცოდნა.
არ მჭირდება შორს წასვლა.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
დავაფასე გრძნობები.
არ იქნება ჩემ გვერდით და...
მე კი მაინც მოვძებნი.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
შვილები გამიმრავლა.
დამიტოვა საღი აზრი
არ მჭირდება აწ, მარგვლა.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
რა იქნება სამოცდა...
სიმშვიდე მაქვს, ღმერთო, სულში.
აღარ მინდა გამოცდა.
რა ყოფილა სამჯერ ოცი,
სიტყვაძუნწი გამხადა.
სიყვარულზე გულში ვმღერი,
ლექსს თუ დავწერ, ჰა და ჰა.

გვიყვარდეს

სიყვარულს რა გამოგვილევს
შვილის, სატრფოს თუ მეგობრის.
წიგნის, მიწის თუ იდეის
მოკეთისა თუ მეზობლის.
სოფლის, დაბის თუ ქალაქის,
წიგნში შენახულ ბარათის.
მამაპაპური ღვინის თუ
წნელით მოწნული კალათის.
ხომ იცი, სხვა რომ გიყვარდეს,
უნდა გიყვარდეს თავიო.
უსამართლობა თუ ნახო
არ დაუხუჭო თვალიო.
სადაც არ უნდა მიხვიდე,
სინდისი გქონდეს სუფთაო.
ალალი ლუკმა ტკბილია
და არა სხვისი, მუქთაო.
ამქვეყნად მოველთ იმისთვის
გვიყვარდეს ერთმანეთიო.
არც ავს და არც კარგს, გვჯეროდეს,
არ დაგვიკარგავს ღმერთიო.

მოდი, მზეო...

გვირილების ფერხულია.
თეთრფურცლების ფრიალი.
საცეკვაო მოედანი
მინდორია, ტრიალი..
მოდი მზეო, გვირილებთან
იყავ ჩემი მეწყვილე.
მიჯნური ვარ შენი, ძველი.
მოვკვდე, როცა მომწყინდე.
გვირილობა ვიზეიმოთ.
გამახვიე სხივებში.
თეთრფურცლება, ყვითელგულა
გვირილების მძივებში.
მესამოცე მაისია
შენი ტრფობა რაცა მჭირს.
ვიდრე გხედავ, ვიდრე მათბობ,
ვუშინდები არც რა ჭირს.
გვირილების ფერხულია.
თეთრფურცლების ფრიალი.
დავიწყების სკივრში ჩავდე
ჩემი დარდი, ტიალი.

როგორ ვარ

როგორ ვარ?.. ვერ გაგახარებ.
თანდათან უფრო მტკივაო.
ფიზიკურ ტკივილს არ ვამბობ.
სულს მიგლეჯს სხვისი ტყვიაო.
იქ ომი. ბავშვთა დახვრეტა.
ენით უთქმელი ვარამი.
აქ კი გარჩევა იმისა,
ვინაა უფრო მართალი.
ერთი ნაწილი იდიოტს
უწოდებს მეორე მხარეს.
მეორე პირველს იგივეს
და მტრობა როგორ ხარხარებს.
როგორ ვარ?.. იქნებ არ მკითხო.
გაჭირდა ასე ცხოვრება.
მიყვარს და ის მაძლებინებს
ისაა ჩემი ქონება.

რა გაკვირვებით მიყურებ, სახლო

რა გაკვირვებით მიყურებ სახლო.
გიკვირს მოვედი ეული, რატომ?
დიდი ხანია რაც მიმატოვეს,
ცხოვრების უღელს ვეწევი მარტო.
თავიდან ძლიერ დამჯაბნა დარდმა.
მილურსმულს ჰგავდა დამფრთხალი სული.
მეტირებოდა, ყველგან ვხედავდი.
დაჟანგულ სისხლში ცურავდა გული.
ადამიანი მეთქმოდა მაგრამ,
ვგრძნობდი, ვიყავი საბრალო მღილი.
სიცოცხლე სულზე პერანგად მეცვა
ამ პერანგს უცებ ააწყდა ღილი.
ვისწავლე ლოცვა.
თაფლის სანთელი
გახდა მომსმენი ჩემი განცდების.
და შევეგუე მარტოქალობას.
დავბეჩავდიო, მგონი არ მეთქმის.
და ახლა, სახლო, შენ რომ გიყურებ
ჭრილობამ უცებ დააღო პირი.
შენს კედლებს მისი ნათითური აქვს.
რად გიკვირს, თუკი უცრემლოდ ვტირი.
რა გაკვირვებით მიყურებ სახლო.
ვერასდროს ნახავ შენს დედისერთას.
მე კი, ვინ იცის, იმ ქვეყნად შევხვდე.
ჩვენმა სულებმა იარონ ერთად,

ვერ შევიცვალე

ვერ შევიცვალე. სულ მემჩნევა შენ რომ არ მყავხარ.
კი არ მგონია, ასე არის, სულ თან დამყვები.
თვალებს ვაპარებ გაშიშვლებულ თელების მიღმა
მირკანის ცაო, მაგ რუხი ცით ვიცი რას ჰყვები.
ამომდგომიან ეს დარდები, რად არ მოვწყინდი.
ეს გაზაფხულიც რა ცივია, ვეღარ იდარა.
ჭრილობის სიღრმის ამოკემსვა თუ ვერ შევძელი,
დე, მემჩნეოდეს, სხვა კი, მგონი, მეც არ მინდა რა.

სევდაზე ვამბობ

სევდაზე ვამბობ. სულ თან მქონდა. დღეს შენ გაბრალებ.
დიდ ტკივილსაც და სიხარულსაც მოვყავარ შენთან.
არ მიპასუხებ, მაინც გკითხავ: (უცნაური ვარ).
ჩემი სახელი თუ ახსენე ძვირფასო, ღმერთთან.
კიდევ: თუ იცი, რა ძალაა ეს მონატრება,
სულს ხომ არ ნიშნავს, როცა არ ხარ, მგონიხარ ყველგან..
ისეთ ასაკში, ძალიან რომ გჭირდება ვიღაც,
რომ მიმატოვე, თავი რითი იმართლე ღმერთთან

თოვა და ფიქრი

ჰაერში რონინი ფიფქის,
მიზეზი, ლექსებად ფიქრის.
არ ჩანს არც მიწა, არცა ცა
მარტო სითეთრე გადარჩა.
ფიქრი მოედო რას არა.
დაკეცა ზეცა, გზა, შარა.
თოვლიც კი შენ თავს მაგონებს.
ფიფქები ფიქრთა ვაგონებს.
წაშალა სითეთრემ ზღვარი.
გვქვია წუთისოფლის მგზავრი.
გვირაბში დიდხანს თუ ბნელა,
ეს ნიშნავს, დადიხარ ნელა.
შენს მიერ დასმული კითხვა
ცნობაა, შენ თვითონ ვინ ხარ.
მოკვდები თუ არ იცოცხლე.
მე მიყვარს ჩემი სიცოცხლე

*

დაიწყებოდა გაზაფხული და ის...
ჯიბით ატარებდა იების კონას.
გამომიწვდიდა და წაიმღერებდა:
„შეუნდე, შენზე შეყვარებულ მონას “.

ნუ...

ქარმა იცელქა, ფოთლები
ფიქრივით არივდარია.
ზოგი შეწუხდა, გარბოდა.
ზოგისთვის კარგი დარია.
ქარს მეტი საქმე არა აქვს.
სულ აღმა-დაღმა იქროლებს.
შენ კი იყავი ვინცა ხარ,
ნუ მოერგები სხვის როლებს.

ჩვენი ეზო

სულ თეთრია ჩვენი ეზო.
კიბეებსაც თოვლი ადევს.
არ ხმაურობს ჭაში ვედრო.
არვინ აცხობს ცხელ-ცხელ მჭადებს
აღარ კვალავს მამაჩვენი
დიდი ნიჩბით სავალ ნაწილს.
თოვს და თითქოს სითეთრე შლის
ცას და მიწას შორის მანძილს

გიორგი ჯავახიშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს!!!

ღვთისმშობელს უყვარს ეს საქართველო,
ღვთისმშობელს უყვარს მიწა, შვილისა,
როცა მას უჭირს, ნახეთ ფრესკაზე
სისხლად და ცრემლად როგორ ტირისა!
ღვთისმშობელს უყვარს ქართველი ერი,
ჩვენი დედაა და ჩვენი მხსნელი.
ღვთისმშობლისაა ეს საქართველო,
საფლავი არის შვილის კვართისა,
ეს ადგილია ღმერთის სახლისა,
საძირკველია მისი ტაძრისა!
ეს საქართველო კიდობანია,
კიდობანია დიდი განძისა!

+++

მთებს ლეგენდები უხდება,
ბარს - ვარდი, ია, ველისა,
არ ვიცი, ასე ხმამაღლა
ეს გული რატომ მღერისა,
ნეტავ ყოველთვის შემეძლოს
ხმა ტკბილი, უცხო ბგერისა,
მალომოდ მეფინებოდეს
ექო ჭაუხის ხმებისა,
ალბათ მთებს შიგნით მომინდა
ნაღველის ფანტვა, წლებისა,
იქნება დამშვიდდებოდეს
სული ნაგესლი გველისა!
იმ ქართველს როგორ ვემსგავსო,
შვილნი რომ ზარდა სხვებისა,
ნუგეში ვინაც იტვირთა
ქალ -ბალღის, დიაცთ ცრემლისა.
იმ არწივს როგორ ვემსაგვსო,
ზეცაში გადაფრენილსა,
იმ ჩანჩქერს როგორ ვემსგავსო
შიში არა აქვს ხევისა.
მთებს ლეგენდები უხდება
სურნელი ლამაზ დეკისა
არ ვიცი, საით ვიარო,
ბილიკ სად მიდის ფეხისა.
ვერ დაცხობილა მჭადებიც
ობოლისა და გლეხისა.
სითეთრეც შემომპარვია,
წვერებისა და თმებისა.
მიშველეთ, დახეტიალობს,
ჩემი ოცნება კვდებისა,
არსაით გადაეყარნენ
ჯოგნი ტურის და მგელისა,
როგორ არ მინდა შემუსვრა
პირჯვარის ნასახ ხელისა!

+++

გლახად მერჩივნოს ცხოვრება,
მშიერ მწყურვალი ვკვდებოდე,
ვისაც რაუნდა, ის ჰქონდეს,
უფლის მორჩილად ვრჩებოდე!
ჩემს ნაკვალევეზედ, არვიცი,
ცუდგზის ამბებად ჰყვებოდნენ,
ბოროტად ჩათესილები,
ფესვს ვერ იდგამდნენ, ხმებოდნენ!
ნისლით მოსილი ნაღველნი
უფერმკრთალოდა ქრებოდნენ!
მომცდარან უღმერთოები,
სამართალს მტრულად ჰხვდებოდნენ
ალბათ, ეგონათ ცოდვილებს,
მწვერვალებს მაღლად სწვდებოდნენ,
შეკრებილები მაძღრებად,
ღმერთი სად არის ჰყვებოდნენ,
სხვისი ჭორით და დარდებით
სიამოვნებით ტკბებოდნენ.
უღმერთოების სახელზედ
მსურს კელაპტრების ნათება,
არ ვიცი, ასე მერჩივნოს,
ეს იყოს ჩემი ხატება.
გლახად მერჩივნოს ცხოვრება,
მშიერი ტალახს ვზელავდე,
ღმერთთან თუ მივალ მართალი,
ყოველ დღე ამას ვღელავდე!

+++

ცას სწვდებოდა სილამაზით
გუმბათი და ჯვარი,
ცის კიდეზე, გარს ეხვია
ვარსკვლავების ჯარი!
მთვარე იყო საოცარი,
ნათელი და მრგვალი,
გუმბათს ისე ამშვენებდა,
როგირც წმინდანს - რკალი!
ეტყობოდა სალოცავებს
ძველის -ძველი კვალი,
ყველა კედელს გასჩენია
ნაპრალი და ბზარი!
შორიდანვე შევამჩნიე
დაკეტილი კარი,
შევეცადე, მომეხადა
ღვთის წინაშე ვალი!
მოვძებნე და შევარჩიე
მისასვლელი კვალი,
ნელ -ნელა კი ამეხილა,
უსინდისოს, თვალი!
და ცოდვებიც ამიჯანყდა,
შემოჰქროლეს ქარი,
აზრები სულ ამიშალეს,
ამატკიეს თავი!
შემობრუნდი, არ მიხვიდე,
არ მოგვტეხო მხარი,
რაღაც ხმები ჩამესმოდა,
სულ ამქავლდა ტანი!
გავქვავდი და გავიყინე,
კარების წინ მდგარი,
ძაღლმაც მაშინ შემომყეფა,
ისმის ღრენაც, მწყრალი,
დარაჯია, იქ ყოფილა,
ბალახებში მჯდარი,
ნუთუ მართლა ასეთივარ?
საზიზღარი მყრალი,
შიშისა და სინანულის,
მომდის ცრემლის ღვარი,
მსხვერპლს
შევწირავ,ვიჩურჩულე,
მინდა, დავკლა ცხვარი,
თუ ცოტაა, გავიმეტებ,
მაშინ იყოს ხარი!
მეგონა, რომ მიშველიდა,
აზრი იყო მცდარი,
რად უნდოდათ სალოცავებს
ცხოველები, მკვდარი?
სინანულში ჩავვარდი და
თან შევხსენი კარი,
გამიჭირდა, ვერ შევედი,
თითქოს ვიყავ მთვრალი,
ერთიანად ცახცახებდა
ფეხები და ტანი,
როგორც იქნა, ამოვძახე,
ვაი, დედა, წყალი!
ვაი, ჩემი ცხოვრება და
ვაი, ჩემი ბრალი!
ეს ხმები კი გამეორდა,
ექომ მისცა ბანი,
მოვიკეცე მუხლებში და
აღარ შემრჩა ჯანი,
საყრდენიც კი ვერა ვნახე,
საიმედო, მყარი,
რომ მეგონა ყოვლის შემძლე
საკუთარი თავი,
გეგმები და ოცნებები
მექცა როგორც შარი,
ყველაფერი ფუჭია და
უფერული, მკრთალი.!
ამეხილა გონება და
ამეხილა თვალი,
უსუსური ვყიფილვარ და
საშინელი მხდალი!

+++

(კადნიერ ემიგრანტებს).

პასუხის საქართველოსი!.

რატომ მაკნინებ, ქართველო,
რა დაგიშავე, ნეტა, რა!
ასეთი ყოფით, ხომ ხედავ,
ყველამ დაგვადო ბეგარა,
ასეთი ყოფით, იცოდე,
ვეღარ მიხილავ, ვეღარა,
თუმცა გამცდარხარ
ჩემს საზღვრებს,
ერიც კი ლანძღე წეღანა.
შენი ვარ, შენი სამშობლო,
შენი ტანჯული ქვეყანა!
შენი შვილების მიწავარ
და მამა- პაპის ზე ხანა!
შენი აკვანის ადგილი,
ჩემს კალთაზე ხარ გაზრდილი,
სხვას აქებ, მე კი - მაძაგებ,
გული მაქვს ნატკენ-
დაღლილი.
ვეღარ გავწიე მარხილი,
ჩემთვის როგორი ძნელია,
შენთვის აღმოჩნდა ადვილი!
სხვისი წალკოტი აშენე,
რა ვაზი დარგე, რა ხილი,
შენი გაახმე, დამტოვე,
გულს მოიშორე წადილი!
შორიდან მმოძღვრე, მარიგე,
ურცხვად ატეხე ძახილი,
მრცხვენია ქართველებისა
მე მანდ არავარ გაზრდილი!
ჩემს წინაპრებსაც უთხარით,
რისთვის იქნიეს მახვილი,
ინგლისელივარ დღეიდან
ამერიკელი ნამდვილი!
ჩემთვის როგორი ძნელია,
შენთვის აღმოჩნდა ადვილი.
რატომ მაკნინებ, ქართველო,
რა დაგიშავე, ნეტა, რა?
შენი ვარ,შენი, სამშობლო,
შენი ტანჯული ქვეყანა!
შენი აკვანის ადგილი
და მამა -პაპის ზე ხანა,
ასეთი ყოფით, ხომ ხედავ,
ყველამ დაგვადო ბეგარა,
ასეთ წალკოტში ისმინეთ,
ვეღარა ვსუნთქავ ვეღარა!....

+++

ამ მიწაზე არაფერი,
სულ არაფრად ღირდა,
მივდიოდი ქუჩაში და
რა ლამაზად წვიმდა!
მოწყენილი ტირიფნარი
თავს სულ დაბლა ხრიდა,
მოქარგული ფარშევანგი
ქუჩას ნაზად ჰგვიდა,
ვიღაც მთვრალი, მონდომებით,
სიყვარულსა ხსნიდა!
ხელოვნება, პეიზაჟი
ჭრელ-ჭრელ ქოლგებს შლიდა,
ღრუბლები კი, მაღლა ციდან,
წვიმის წვეთებს სცრიდა!
ჰორიზონტზე, ცისარტყელა
ლამაზ ფერებს ღვრიდა,
იქ მოხუცი, მტრედებისთვის,
საკენკს შორსა ჰყრიდა!
ბედნიერი წყვილები კი
თვალით თვალსა სჭრიდა,
ეს სურათი, დამერწმუნეთ,
დასველებად ღირდა!
მივდიოდი ქუჩაში და
რა ლამაზად წვიმდა,
მოწყენილი ტირიფნარი
თავს სულ დაბლა ხრიდა.

ეძღვნება
მაღრაანს და მაღრაანელებს....❤

+++
ციხე გორიდან ბახტრიონამდე,
შენი საზღვრები, ადრე,
ოხ, როგორ მინდა, იცოდე,
მაშინდელ სოფელს ჰგავდე!
ხარ-გუთნეულით იდგე და
დიდ მინდორველებს ხნავდე,
შენს ფერდობებზე, ლამაზად,
მახინჯ ვაზებსა რგავდე.
ჭიგოზე გასულ რქაწითელს
ეფერებოდე, სხლავდე.
ყანას მოდებულ ცრუ ბალახს,
ჩვილობაშივე ჰკლავდე,
მდინარე მაჭარეულით
წალკოტის ბაღნარს რწყავდე.
ალაზნის ნაპირს დაჰყვე და
შენს ციხეს ფეხებს ჰბანდე.
ამ საქციელით მინდა, რომ
იესო ქრისტეს ჰგავდე.
შენთვის კი ეკლიან გვირგვინს
მზის სხივებისგან წნავდე.
ღვთის სადიდებლად, ყოველ დღე
ბარძიმის ღვინოს სვამდე.
ციხე გორიდან ბახტრიონამდე,
შენი საზღვრები ადრე.
ოხ, როგორ მინდა, იცოდე,
მაშინდელ სოფელს ჰგავდე!

+++

ჩემი სინანული და აღსარება.

დღესაც ვიღაცა მოვკალი,
ფიქრით ჩავარტყი დანა!
ვიღაცას გული ვატკინე,
იმსახურებდა განა?
ხანდახან ეჭვით ვივსები,
ხშირად არ მჯერა, თუ ხარო,
ასე ვიძახდი შენზედაც,
როგორი ბრმა და ყრუხარო.
დღეს გიღალატე,
დღეს არ ჩაგაცვი,
დღეს არ გაჭამე,
წყალიც არ გასვი უფალო!
დღეს გეამბორე, დღესვე გაგყიდე,
შენ კი დგახარ და დუმხარო!
მხოლოდ ეს ერთი მითხარი,
შეშინებული ნუ ხარო,
ხვალ დარი შენთვის მექნება,
დღეს გულით ჩემთვის მწუხარო.
ამხელა მოწყალებისთვის,
მადლობას გიხდი უფალო!

+++

მთისა და ბარის მეგობრობას...

1) - ირემო, მთაში გაზრდილო,
ბარს ჩამოსულო სტუმრადა,
არ ვიცი, რაი მოგართვა,
რაი გაჭამო პურადა?
ერთი ნაჭერიც რომ მქონდეს,
ორთავ გავიყოთ ძმურადა,
მშიერად ვიყოთ, სჯობია
მაძღრად დარჩენას მტრულადა!
მცირესაც ერთს სხვას ვუყოფდეთ,
ბევრსა სჯობს ნაქონს, შურადა,
ერთად რომ ვიყოთ, სჯობია
ცალ ცალკე ყოფნას მგლურადა!
იმედი ჩემი გქონოდეს და
გეგულებოდე გულადა,
ჭრილობა თუ მოგაყენეს,
ზედ გესმებოდე მურადა!
არ ვიცი, რისთვის დაგჭირდე,
გამომიყენე ბრძნულადა,
შენ შემაფასე, მარჩიე
მეკი ვიქნები ჩუმადა!
ირემო, მთაში გაზრდილო,
ბარს ჩამოსულო სტუმრადა,
არ ვიცი, რაით დაგატკბო,
რაი გასმინო ყურადა?
იქნებ გერჩივნოს ფანდური,
შაირ- სიტყვებთან ბმულადა,
იქნებ ყველაფერს მიწუნებ,
აღზრდილ ხარ ძლიერ სულადა!.
- რაისთვის სწუხხარ, რა გინდა,
შენს სიტყვებს არვინ ისმენსა,
მასპინძლის კეთილ თვალებით
სტუმარი უფრო ილხენსა!
სასახელს თუარ ამიგებ,
თუარ ამიგებ ხიდებსა,
მაინც ჩემი ძმა იქნები,
მკერდში ხომ გული გიძგერსა..

+++

ლექსი მინდა, რომ დავწერო
ამ დიდი ღამის ბოლოს
შეშინებული თაგვივით,
ვეღარ ვპოულობ სოროს.
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
არ ვიცი, რაღაც დიდი,
ჩემი გონების ფურცლებსაც
რატომღაც სწრაფად ვშლიდი!
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
თენდება, მზის მაქვს რიდი,
მთვარევ, დავიწყოთ ერთად
და ავაშენოთ ხიდი!
ვასრკვლავს სევდები მოსწყვიტე,
როგორც წყდებიან ცაზე,
ელვისებური სიჩქარით,
მე დამაყარე თავზე!
წყვდიადს მუზები მოსტაცე,
შემომახვიე მკლავზე,
ნიავს ერთხელაც უთხარი,
შემომიბეროს ტანზე,
მთვარევ, ალიონს უთხარი,
მე რომ მაქვს მისი რიდი,
შერცხვენილი ვარ, არ ვიცი,
თავს მასთან დაბლა ვხრიდი.
ნამსაც უთხარით, ერთხელ
ცრემლად დაედოს ვარდზე,
ბროლის სხივებად ეფინოს
ამ დედამიწის ღაწვზე!
მზეს დავუნიშვნავ პაემანს
ჩვენს აშენებულ ხიდზე,
იმას ვერ ვიტყვი ვერასდროს,
რაც მომადგება პირზე.
ლექსი მინდა, რომ დავწერო,
მაგრამ არ მომდის მუზა
ნავსაყუდელზე გავჩერდი,
ფიქრმაც ჩაუშვა ღუზა!

მარინა დიერაშვული

ღმერთია თვითონ თავშესაფარი

სამების გუმბათი ელვარებს მზეზე,
ყველა გზა ბოლოს, ტაძართან მიდის...
ამაოებით დაღლილი სული,
ღვთის სახლში ხდება წყნარი და მშვიდი...

იქ,სადაც ღმერთი უფრო ახლოა,
იქ, სადაც ღმერთთან გსურს ისაუბრო..
იქ, სადაც მუდამ ითხოვ შენდობას,
ინანიებ და ის კი შეგინდობს!

მაგრამ შენდობა არის მთავარი?
ჩვენ ცოცხალ ღმერთთან გვინდა ერთობა,
გულს გაუხსნი და ის შენთან არის,
გაწმენდილ გულში ქრისტე შემოვა!

და მასთან ერთად ყოფნა ტკბილია,
ამქვეყნიური ტვირთი მსუბუქი,
ვერ შეგაშინებს ვერც ქარიშხალი,
თაკარა მზე და ვერც ქარბუქი...

ხელები მისთვის განაპყრო ჯვარზე,
ყველას თავისკენ იზიდავს,ელის,
თუ მასთან ერთად ყოფნა გვწყურია
ჩვენი სურვილი თუ ღმრთისას ერწყმის...

და ღმერთის ნება თუ ხდება ჩვენი,
სინერგიაა თურმე მთავარი,
ყველაზე დიდი, თანაც უსაფრთხო-
ღმერთია თვითონ თავშესაფარი!

ხსნა-მხოლოდ ღმერთშია

ის გზა, რა გზაა? თუ ტაძართან ის არ მიგიყვანს,
ის თქმა რა თქმაა, ღმერთის სიტყვას თუ არ მოგიტანს,
ის რა სიბრძნეა,თუ ჭეშმარიტება არ შეგასწავლა,
ის რა ლექსია, თუ ვერ შეგძრა და ვერც რა გასწავლა?
ის რა ყოფნაა, თუ შეგონებას ვერ მოისმენ,
და სასარგებლოს იმ დღისაგან თუ ვერ შეიძენ?
თუ სხვის სიხარულს გულით შენც არ გაიზიარებ,
მწუხაებისას,მასთან ერთად თუ არ მოიწყენ.
ის დღე რა დღეა? მოწყალება თუ არ გაეცი,
სხვისი ტკივილი თუ შენს გულს არ ეწყინა,
სხვის ომში თუკი ბრძენი ხარ და უბედურება,
თუ არ შეგეხო და შენს სულსაც თუ არ ეტკინა...

ცოდვების გამო სინანული თუ არ გეწვია...
ღმერთთან საუბრის სურვილი თუ არ შემოგეჩვია,
ბოლოს კი დასკვნას თუ აკეთებ, რომ
შემოქმედი და გადამრჩენიც, მხოლოდ ღმერთია!

სამშობლო

სოფლად, ალბათ იმ ეზო-კარიდან
იწყება ჩემთვის სამშობლო მხარე,
სიტყვა წარმოვთქვი, ფეხი ავიდგი
და მთელი გულით რომ შევიყვარე,

ეს კურთხეული ქართული მიწა,
ანდამატივით იზიდავს ყველას
და ბოლო ჟამის მორწმუნეები,
ჩვენს ქვეყანაში ითხოვენ შველას.

და სამუდამოდ ნუ მივატოვებთ,
ნუ დავასახლებთ უცხოელს მკვიდრად,
ღვთისმშობლის წილი, რაც ქართულია,
ჩვენ სულიერად ხომ გვაქცევს მდიდრად.

რადგან ღვთის მადლი ჩვენზე გადმოდის,
სადაც ვიშვით და სადაც ვიზრდებით,
მადლის გარეშე, უცხო მხარეში,
ვით უცხო ნერგი, ვერ დავმკვიდრდებით.

სამშობლის ჩვენსას, ნუ ვაქცევთ სხვისად,
რაც ჩვენ მოგვმადლა ჩვენმა გამჩენმა,
სხვისი არ ვიცი...საქართველოში!
აქ, გველოდება ჩვენ გადარჩენა.

ჩემი სუნთქვა ხარ შენ, საქართველო!

ქართველებად ხომ დაგვბადა ღმერთმა,
რომ მხრებით ვზიდოთ შენი უღელი,
უხსოვად დროდან არ მოვიწყინეთ,
შენი მიწის და მთებს სურნელი.

ქართველი კაცი გულის ჯიბეში,
მშობლიურ მიწას დაატარებდა
და ქვეყნის გარეთ თუ კი კვდებოდა,
მას გულზე ვინმე მიმოაბნევდა.

შოთა, ილია, აკაკი ვაჟა,
გალაქტიონი, კიდევ ბევრი სხვა...
სამშობლო მიწის დიდმა ტრფიალმა,
ნეტავ რამდენი პოეტი გვიშვა?

დიდმა ილიამ გულის ფიცარზე
ეს სამი სიტყვა ამოგვიქარგა;
მამული, ენა, სარწმუნოება,
რომ არასოდეს არ დაგვეკარგა!

ურიცხვი მტერი მუდამ გვარბევბდა...
ან როგორ გასძლო გენმა ქართულმა,
ღმერთის ძალით და მისი მადლით ვართ,
ვერ დაგვაჩოქა მტერმა- მომხვდურმა...

საიდან მოდის ქართველთა მოდგმა?
ნეტავ სად არის ჩვენი ფესვია?
ალბათ ღმერთამდეც კი ავმაღლდებით
თუ კი სიკეთე დაგვითესია!

თვითეული, რომ გავედოთ ხიდად,
ახლაც არ არის ჯერაც გვიანი,
ჩვენთვის ყველაზე ღირებულია;
ღმერთი,სამშობლო, ადამანი!

კარნი-ცისანი

ქვეყანას თავზე როცა გვამხობენ,
ქვეყნის დაქცევით ბოროტი ხარობს,
და საღი აზრი ვერ მიუღიათ,
ხალხის ნაწილი ჯერ კიდევ წვალობს!

სიმართლე ქვეყნად მხოლოდ ერთია!
ღმერთის სწავლება! და სხვებს ნუ უსმენთ!
სამშობლო ჩვენი განსაცდელშია!
უარი ვუთხრათ ბოროტის მსურველს!

მამული, ენა, სარწმუნოება,
იყო ყოველთვის დასაფიცარი...
ქართველობა და ქრისტეანობა
ქართველი კაცის ნავთსაყუდელი!

ბრმა კაცი ბრმას როგორ წაიყვანს?!
ორივე მთხრებელს შინ აღმოჩნდება,
როცა ურემი გადაბრუნდება,
რას გვარგებს, თუკი გზა გამოჩნდება?

მერე არ იყოს უკვე გვიანი...
ყველა კაცია ადამიანი?
საქართველოსთვის ავის მოსურნეს...
დაკეტილი აქვთ კარნი-ცისანი...

გამოსავალი ხოლოდ ჩვენშია;
ბოროტი ყოფს,სიყვარული აერთიანებს!
ღმერთო, შეგვინდე უამრავი შეცოდებები,
შეგვეწიე, რომ ქართველები გავერთიანდეთ!

და უფლისაკენ მიმავალ გზას
ნუ გავიმრუდებთ,
განსაცდელების გადალახვაც,
მხოლოდ ღმერთშია!

ყური მივუპყრათ ღმერთის მცნებებს
ჩვენთვის მოცემულს...
და აღვასრულოთ!
გამოსავალი- მხოლოდ ერთია!

ნელი საგინაძე

მერე რა მოხდა

მერე რა მოხდა თუ, გინდაც სიბუნდისთვის
სათვალეს შეეჩვია თვალი,
მერე რა არის თუ, უკვე ბებოცა ვარ
ასაკსაც დასდგომია თვალი!

მერე რა მოხდა თუ წლების ქარტეხილი
მძიმედ შემდგომია მხრებზე,
მერე რა არის თუ გულს ჩაუკვნესია
ლამაზ სიჭაბუკის წლებზე!

მერე რა მოხდა, რომ ფიქრები წარსულიდან
ბავშვობის წლებს თვალწინ მიდგამს,
მერე რა არის თუ ღამით ვარსკვლავებთან
ხშირად აღსარება მითქვამს!

მერე რა მოხდა თუ მუხლსაც შესტყობია
ოდნავ ასწრაფება ფეხის
და მის სისწრაფეზე, ყურში ცოტა მეტად
გულის აჩქარება მესმის!

მერე რა მოხდა,თუ გულს უღიღინია
სიხარულებზეც და დარდზეც,
წლები ჩემთან ალბათ მიტომ მეგობრობონ
ამ ჩემს სიმდიდრედ, რომ მყავდნენ!

მერე რა მოხდა თუ ნაოჭი თეთრ სახეზე
ჩემს ახალგაზრდობას ღარავს,
მერე რა არის თუ ჭაღარები ამ თმებს
ლამაზ თოვლისფერად ფარავს!

დროა- ამ ყველაფრის მეფეც, აღმრიცხველიც
ყველას ბატონობით მთვრალი,
რა ვქნა თუკი წლები მხრებზე დამთოვია
ასაკსაც დასდგომია თვალი!!!

რა შემიძლია?! -

მე, სხვა არაფერი შემიძლია
მხოლოდ ღიმილების მეტი,
ყველას თვლაწინ, კეთილ სიტყვის გროვას
ლურჯ იის კონებად ვფენდი!

მე სხვა არაფერი შემიძლია
შენი სიყვარულის გარდა,
ჩემი გული მსხვერპლად შემოგწირო
და დაგინთო წმინდა სანთლად!

მე, სხვა არაფერი შემიძლია
გარდა მართალ სიტყვის თქმისა,
იცი, ჩემს გულს როგორ უხარია!?
როდესაც ძმა ხარობს ძმისგან!

აბა, მეტი სხვა რა უნდა შევძლო
მე, ერთმა უმწეო მხევალმა,
გამჩენს ქედი უნდა მოვუხარო
ამ ჩემი ასაკის მძევალმა!

მეტიც არაფერი შემიძლია
ადამიანობის გარდა,
ცხოვრებაში მუდამ ღმერთის სახით
სულში, მე სინდისი მყავდა!!!

საქართველო

შენ საქართველოვ უნდა გაუძლო
ყველა ჭირსა და ვარამს,
შენ საქართველოვ არ გაქვს უფლება
დაჩოქებისა არა!

შენ უძლეველი გოლიათი ხარ
და არვინ მკითხოს რათა,
ზედ ბუმბერაზი კავკასიონის
დაგფარებია კალთა!

ცის გვამში ვიცი ყველა ბოროტმა
შენ მოგიქნია ხმალი,
შენ ისევ დგახარ დედაბოძივით
მათი არც კი სჩანს კვალი!

წაბორძიკების უფლებაც არ გაქვს
იმედის ჩინად სჩანხარ,
სიზმარცხადი ხარ ღვთისმშობელისა
მუხლმოუდრეკლად დგახარ!

მრავალმა ჭირმა და ქარიშხალმა
შენს ნაკვალევზე მწარედ ირბინა,
ბოლოს და ბოლოს სამყარომ იცის
ქრისტე, რომ გადგას გვირგვინად!!!

წმინდანნი

საქართველო შემოუდგამთ მხრებზე
გაბრიელ ბერს, გიორგის და მამა ნიკოლოზს...
ქართველებო, ყველამ ერთად ერთ ტაძარში
ქართველურად უნდა ვილოცოთ!

გაგვინათეთ ციცქნა სულის ნათელები,
გაგვიღვიძეთ რწმენა მიმქრალი,
გაფრინდება ჩვენი სულის მერანი და
გაბრწყინდება ცისკრის ვარსკვლავი!

ენისათვის, რწმენისათვის, მამულისთვის,
ყველან ერთად უნდა ვილოცოთ,
საქართველო შემოუდგამთ მხრებზე
გაბრიელ ბერს, გიორგის და მამა
ნიკოლოზს.....!!!

თელავი

შემოდგომის ზეცას ბინდი შეჰპარვია
ცის პირი კი შემუქდა და ელავს,
ვერცხლისფერი წვიმა ოქროსფერ
ფოთლებთან
ფეხქვეშ ქარვად დაჰფენია თელავს!

ეს ბურჯები მეფის ძველი სასახლისა,
როგორ დიდჭირნახულები სჩანან,
ბევრის მთქმელი ტაძრები და გალავნები
ძველთა ძველ მემატიანეს ჰგვანან!

წლის ყველა დრო შენთან გულს ეხალისება
სიყვარულს კი ნუღარ მკითხავ, ნუღარ,
შენს ძველ ბაღში შემოდგომის ეს ფოთლები
ქარვად მიმოფანტულან და დუმან!!!

შემოდგომა

მოდის შემოდგომა ასე უკითხავად
ტანზედ შეყვითლებულ კაბით,
ხელში დიდი ფუნჯით, ნაირ-ნაირ ფერით
მოდის ერთი დიდის ამბით!

მოდის მედიდურად და გზად უფენია
ჭრელი ხალიჩების გროვა,
წელიწადის ამ დროს, შემოდგომას მკერდზე
ქარვის შევამჩნიე თოვა!

გულზე გადაიშლის ოქროს მდიდრულ ფერებს
მზესაც შეუყვითლებს სხივებს,
ბროწეულის ხეებს გულზე აუკინძავს
წითელ მარგალიტის მძივებს!

ზვრებს შემოენთება მეფურ სიდიადით
ფოთლებს შეუფერებს ვაზსაც,
ხვავით გადაუვსებს მარნებს მამა-პაპურს
ნაშრომს, წელში მოხრილ კაცსაც!

მთებსაც შემოუფრენს ოქროსფერი ეტლით
ასტეხს ორომტრიალს ფერთა,
მერე დაპირებულს გულს შემოახატებს
ოდნავ გრილ ფერს ცისფერ ზეცას!

დღეს შეამოკლებს და ღამეს გაადიდებს
დაუმეგობრდება წვიმას,
ხეზე ფოთლებს ნელა-ნელა აათრთოლებს
შიშის კანკალით, რომ ცვივა!

ჩემს თმებს ძველებურად კვლავ მოეფერება
შემოდგომის ნაზი სუსხი,
ცის კაბადონს გულზე ვარდისფერად აწევს
ღია დაისიც და მწუხრიც!

წუხელ სავსე მთვარეს გადაუფერადა
ცეცხლისფერად ფუნჯით გული
ჭრიჭინების ხმების სულისწამღებ ჭრიალს
უკვე შეეჩვია ყურიც!

ჩალისფერ ყანებში თავთუხის მარცვლებზე
ბუდეს შემორჩნენ გნოლები,
ნუ გაგიკვირდება, თუკი ამის მერე
გეტყვი მ ე შ ე მ ო დ გ ო მ ე ბ ი !!!

ეთერ გაჩეჩილაძე

სულის ამინდები

ისევ ამერია სულის ამინდები,
ისევ წვიმაა და ისევ ქარიშხლები.
თითქოს სხეულიდან სადღაც გავდინდები
და სულ ნამცეცებად მალე დავიშლები.

გულის ტკივილებმა გზები ამირია,
წლებიც ისე გადის, ვეღარ გამიგია.
თმებში თეთრი ფერი უკვე გამირია,
მაგრამ ფეხი ცუდად არსად დამიდგია.

თითქოს ცოცხალი ვარ, მაგრამ გადაღლილი,
მზის სხივს ვერ ვპოულობ, ცაა ნაწვიმარი.
გული ხელისგულზე კვლავ მაქვს გადაშლილი,
მაინც ვერვინ ატყობს, მტკივა ნატყვიარი.

განა რაღა დამრჩა კიდევ გასავლელი,
ბევრი გასულია, მცირე დარჩენილი.
კარგი რა მინახავს, რომ მაქვს დასაშლელი,
მეც ხომ სხვასავით ვარ ღმერთის გაჩენილი.

მხოლოდ ჩემს მზეს ვითხოვ, მშვიდად რომ ვიარო,
დილა გამითენდეს ცოტა ნამიანი.
ქვეყნის ყველა კუთხე შევძლო მოვიარო
და დღე აღარ მქონდეს ასე ავდრიანი.

მინდა იცოდე....

მინდა იცოდე, როგორ მიყვარხარ,
როგორ ვათენებ ფიქრებით ღამეს.
ცამდე მახარებს — რომ ხარ და მყავხარ,
არ გაიოცებ, თუ გეტყვი რამეს.

შენთან ერთად მსურს ბილიკის გავლა,.
უშენოდ თვალზე ვერ ვიშრობ ცრემლებს.
ვეღარ ვახერხებ შენს გვერდით ავლას
და მონატრებით ძირს ვუშვებ ხელებს.

რომ გელოდები გზას ვუმზერ განცდით,
ნახვის სურვილი სულამდე ატანს.
მთრთოლვარე გული ფიქრსაც არ მაცდის,
წლებია გელი.... ოცნებით გხატავ.

გაგაზაფხულდა შენს გამო ისევ,
ფერად ყვავილებს მოუცავს არე.
შენზე ფიქრები არ მტოვებს, მისევს,
დამთბარი თითქოს, ძლიერ ჰგავს დარებს.

ფერდობიც მწვანედ ბიბინებს ახლა,
ყაყაჩო ქარგავს ღილებით კაბას.
ტოროლას ღიღინს მერცხლების ახლავს,
მათი ჭიკჭიკი აყრუებს დაბას.

წვიმამ შეუხსნა საკინძე მიწას,
გადააფინა სიმწვანე ყველგან.
ორთქლი შეაშრა ნაზამთრალ მინას,
ჩამოაბიჯა მზის სხივმა ზეგანს.

გვირილა თეთრად ანათებს მინდვრებს,
ყაყაჩოებით ავსებულს წითლად.
იისფერ კაბას სოსანი ირგებს,
ჩამომჯდარია მწვანეში რბილად.

ზაფხულის წვიმა თვალებს ბანს დილას,
აფერადებულს კაბებით წმინდად.
მეც გეფერები ფიქრებით თბილად
და უშენობა სულ აღარ მინდა.

მინდა იცოდე — მიყვარხარ ძლიერ.
ყველა ღამესაც ვათენებ თეთრად.
შენი იმედით კვლავ ვიცვლი იერს,
ვიცი, რომ უკეთ ვიქნები ბევრად.

მოდი მომიჯექი გვერდით

მოდი, მომიჯექი გვერდით,
მხარზე ჩამოგაყრდნო თავი.
შენს გულს ჩამახუტე მკერდით,
ფიქრი მომაშორე ავი.

ჩუმად ჩამჩურჩულე ყურში,
რომ ვერ გაგიძლია მარტო.
როგორ ჩამისახლე გულში,
უჩემობას როგორ დარდობ.

მოდი ამისრულე ნატვრა,
თვალზე შემიმშრალე ცრემლი.
თორემ სული ლამის გამძვრა,
გულის ტკივილი მაქვს მწველი.

ძლიერ დავიღალე ფიქრით,
ისევ ამედევნა სევდა.
დრო რომ ასე სწრაფად მიქრის,
ეჭვი ბავშვობიდან მდევდა.

გვერდით დამიდექი ვინძლო,
გულმა სიამაყე იგრძნოს.
მყარად ფეხზე დგომა შევძლო,
შენით სიძლიერე ვიგრძნო.

ისე მომიჯექი ახლოს,
შენი სიახლოვით გავთბე.
ხელი სხვამ ვერავინ გახლოს,
დიდი სიყვარულით დავტკბე.

შენი სურნელება მინდა
ჩემში სამუდამოდ დამრჩეს.
გული, რომ გაჩუქე წმინდა
მარტო აღარ უნდა დარჩეს.

რა ყოფილა ეს ცხოვრება...

ვწერ და ვმღერი სიყვარულზე,
არ მინახავს თუმცა რამე.
ცრემლი მომდის სიხარულზე,
თუ კი შემხვდა უცბად სადმე.

მერე რა, რომ გრძნობას ვუმღერ,
რომ ვზრდი ხოლმე ცამდე მუზას.
,,მიყვარხარ"-თქო ან რომ ვუწერ
და თან ვუშვებ მასთან ღუზას.

ნატვრით დავალ მთა-ველს ანცად
და სიცოცხლით ვხარობ მეტად.
ზოგჯერ ცრემლი მასწრებს განცდას,
რადგან ვჩანვარ ყველგან კენტად.

რა ყოფილა ეს ცხოვრება
ვისთვის აფენს გზებზე ვარდებს,
ვისაც სევდა უგროვდება
ის ვერ ატევს გულშიც დარდებს.

ვერ ვეწევი, მიდის წლები
და თან მიაქვს სიყმაწვილე.
მითეთრდება უკვე თმებიც,
ვერ ვიჯერებ სინამდვილეს.

მაინც ვუმღერ იმ სიყვარულს
რაც არასდროს თან არ მახლავს.
ცრემლით ვხვდები იმ სიხარულს,
თუ სულ მცირეც დღეებს ახლავს.

ბევრი იტყვის ბოლოს ჩემზე,
იმიერში როცა წავალ.
,,მართალ ნაბიჯს დგამდა გზებზე".....
და მათი თქმით ღმერთთან ავალ.

ჩიტის ხმამ გამომაღვიძა

ჩიტის ხმამ გამომაღვიძა,
ჩემი ფანჯრის წინ გალობდა.
თან კიდეც გამომაფხიზლა,
თავის განცდებს რომ მანდობდა.

ხეს ერწეოდა ტოტები,
ფოთლებს გაჰქონდა შრიალი.
თვალგახელილი ყლორტები
კაბებს იცმევდნენ ფრიალით.

არეს ავსებდა ჭიკჭიკი,
ტოროლაც გულით გალობდა.
ნამის წვეთების ტიკტიკი
ყვავილთა ფურცლებს ართობდა.

ხე გამვლელთ ესალმებოდა,
თავს გაღიმებით უკრავდა.
მზე მდელოს ეპრანჭებოდა
და სახე ბავშვურს უგავდა.

სხივმა გული მეც გამითბო,
გადამიყარა ნაღველი.
ძარღვებში სისხლი ჩამითბო,
კვლავ შემაყვარა მთა-ველი.

შემაძლებინე

შემაძლებინე უფალო, შეგთხოვ,
მატარებინე ნარჩენი წლები.
კრძალვით დამდგარი თავდახრით შეგთხოვ,
კარგად მიმყოფე ყველა თან-მხლები.

მომიტევე და შემინდე ღმერთო,
ყველა ის ცოდვა, რაც დამაქვს მხრებით.
ჩემო იმედო და ერთადერთო
არ ჩამომტეხო ოცნების ფრთები.

მოთმენა მომეც, ატანა ბევრის,
მშვიდობიანად ვიარო გზები.
ბილიკს მაცილე უვლელი ტევრი
და წინ შემხვედრი ეკლები, ქვები.

მომეცი ძალა, შევიძლო მეტი,
არსად დამიცდეს დაღმართზე ფეხი.
არ მაგრძნობინო თავი ზედმეტი,
იქნება ვზიდო, რაც მერგო,, წნეხი".

დაკარგულ გრძნობებს..

დაკარგულ გრძნობებს დავეძებ სადღაც,
მძივებად მინდა ავკინძო ისევ.
აღარც კი მახსოვს, თუ იყო რაღაც,
არა და ფიქრით, სულ მათკენ ვიწევ.

რამდენი წელი გასულა უკვე,
თმაც შემიფერდა ვერცხლისფრად თითქმის.
არ ვტყდები ვითომ, მაგრამ გზას ვუხვევ,
ვეღარ მივიწევ წინ—როგორც ითქმის.

ვერ ვეგუები მატებას წლების,
გულის სიბერეს არა ვგრძნობ, თუმცა.
ისევე მინდა,, გადავდგა მთები",
მაგრამ ,,დაისი" ჩამოდგა უცბად.

ვეძებ ოცნებებს და გრძნობებს, სადღაც,
ვეღარ ვპოულობ, სად გაქრა ნეტავ?
კიდევ მინდოდა, რომ მეთქვა რაღაც,
თუმც ვიცი ვერვინ გამიგებს მეტად.

მიყვარს ჩემი სოფლის დილა❤

ვესალმები დილის აისს,
ცისკრის ვარსკვლავს მხრებზე ვისვამ.
ვუფრთხი უკვე წლების დაისს
და სევდისფერ კაბას ვიცვამ.

მთის ფერდობებს სცდება ნისლი,
უერთდება ცისფერ ფენას.
ისეთია დღეის ხიბლი,
რომ ვერ აღწერს სხარტი ენაც.

ალაგ-ალაგ მოსჩანს ზეცა
დაფარული თეთრი ღრუბლით.
მზის სხივები ნატვრად მექცა
ვეგებები მუზას ფურცლით.

სიოც არხევს მწვანე ფოთლებს
ეფერება ნაზად, ფრთხილად.
უფრიალებს კაბებს ტოტებს
და იხუტებს გულში თბილად.

ლამაზია ჩემი მხარე,
დიდ სიკეთეს შევთხოვ უფალს.
მისი მზე და მისი მთვარე
გზას მინათებს ვიწროს, უვალს.

მიყვარს ჩემი სოფლის დილა,
მტკვრის მონაბერს ჰაერს ვსუნთქავ,
რომ მეხება კანზე გრილად,
სიხალისით ვყვები სუნთქვას. ❤

ლია ალადაშვილი

მარიამ

ჩემო დახატულო მარიამ,
ჩემო გულის წილო,
ხან წვიმს, ხანაც დარია,
მარი ტკბილზე ტკბილო.
მომეფერე თორემ გული
მეტკინება ბებო,
შენ ხარ ჩემი დახატული,
ჩემი გულის ერბო.

ლუკას

ბებომ უნდა იამაყოს
შენი წარმატებით,
ლუკმა უნდა ორად გავყო,
სანამ შენ ადგები.
გაგიმზადებ ტკბილ საუზმეს,
ბალს, ვაშლსა და ატამს,
დაჯექი და ისაუზმე,
წახვალ გულს გაგატან.
შენით უნდა გავიხარო,
ლუკა ჩემო კარგო,
საქმე შენ არ დაიზარო,
და დრო არ დაკარგო.
შენთვის წვალობს დედა მამა
დღე და ღამე ბებო,
შენა მყავხარ გულის წამლად,
რწემინით გამოგკვებო.

ბედნიერებაა

თქვენით ვცოცხლობ, თქვენით ვხარობ,
თქვენზე ვფიქრობ ახლა
დარდი თქვენ არ გაიკაროთ,
მეკი უკვე მძალავს,
გაიხარეთ შვილო-რძალო,
გაფუფუნდით შვილით,
მეკი ცრემლი უნდა ვმალო,
ფიქრს არა სურს ძილი.

თინა ბასაძიშვილი

ზღვა სიყვარული...

გული სავსეა სიყვარულით, მათოვს თუ მაწვიმს,
ვერ შემაშინებს ქარის ქროლვა,
გულს ვერრა შესცვლის,
მოეფინება ჩემს ცხოვრებას,
შენზედ ფიქრები,
და აზვირთებულ
ზღვა გრძნობებში
ჩავიძირები...

ყოველთვის თან მდევს, შენზედ ფიქრი, შენზედ დარდები,
და ამ სიყვარულს
ვერ ერევა, ქვენა ფიქრები,
გულში შემოდის,
გაზაფხულის თბილი ფერები,
რადგან არსებობ, შენ ჩემს გულში...
მეიმედები...

ვერ შემაშინებს ვერა დარდი...
ეშმა...წუხილი...
რადგან თვით ღმერთი სიყვარულის,
არის მთოველი,
ყველა სიკეთეს, კეთილ გრძნობას,
შობს თვით უფალი,
სანამ არსებობს სიყვარული,
გაუხუნარი...

მანამდის ვცოცხლობ, სანამ
გულში ცეცხლი გიზგიზებს,
და ცისარტყელის ფერებს ხედავს,
თვალი ხილული,
საოცარია... სიყვარულის
ლაღი ფერები,
თუ ჩაქრება და...
მეც მზესავით ჩავესვენები...

სად გეძებო...

დაგეძებ,
სად არ დაგეძებ,
ქარი აწვალებს
დარაბებს,
მხოლოდ შენ
ერთი გაუგებ,
ამ ჩემი გულის
ტკივილებს...

ამოიშალნენ ფიქრები,
გაჰყვნენ წარსულის ნაკვალევს,
სადა ხარ,
საით მოგძებნო,
იქნებ დარდი
შენც გაწვალებს...

ქარაფებს გადავევლები,
ოღონდ ისურვე
კვნესა მე,
საგზლად ვაგროვებ მთის ყვავილს,
თმებს რომ
ჩაგაწნა კესანე...

ერთურთის მონატრებები,
სულს სიმებივით
ათრთოლებს,
ლექსად ავკინძე გრძნობები,
მუზებიც აღარ
მასვენებს...

ქალავ ფიქრები
მათრობენ,
მოდი და ჩაგეხუტები,
თუ ბედმა გაყრა ინდომა,
წავალ და გაგერიდები...

ქარი კვლავ
არხევს დარაბებს,
მოვყვები შენს
ნაფეხურებს,
მხოლოდ შენ
ერთი უწამლებ,
ამ ჩემი გულის
ჭრილობებს...

ხარ უკარება...

მე მოვდიოდი
შენთან ძვირფასო,
შეხვედრის წამი
გულს მინათებდა,
შენთან მოსასვლელ
გზებს მიბოჭავდი,
რადგან ხარ ცივი
და უკარება...

ახლაც არ ვიცი
ვინა ხარ, რა ხარ,
საიდან მოხველ,
ან საით წახვალ,
მხოლიდ ის ვიცი
ძლიერ მიყვარხარ
და ამ სიყვარულს
გულით ვინახავ...

ხშირად დუმილი
ნიშნავს დანდობას,
შენ ქალი ხარ
და გეპატიება,
გულით ვინატრი
კვლავ შენთან ყოფნას,
რომ არ მოუხდეს სულს ატირება...

მინდა ჩაგხედო
ლამაზ თვალებში,
რომ სიყვარულის
ნაპერწკლებს ვსდიოთ,
სულ ერთი წუთით,
ან ერთი წამით,
ეს ნაპერწკლები ავაბრიალოთ...

რა უსაფუძვლო
ნეტარებაა,
ან ტკივილები
რით დავიამო,
მხოლოდ შენა
ხარ სულის
ნათება,
ხელი ჩამჭიდე,
ერთად ვიაროთ...

დრო სწრაფად
გარბის და გვანადგურებს,
წარსულიც ხშირად
თავს გაგახსენებს,
სევდა შეგიპყრობს
განშორებისა,
დრო ღალატს
არვის არ აპატიებს...

ძლიერ მიყვარდი,
ახლაც მიყვარხარ,
შენთან შეხვედრას
ისევ მოველი,
სულ სიყვარულში
მინდა განვლიოთ,
ეს სევდიანი
წუთისოფელი...

ნინო ქალწული...

ფარაონის ტბას მოადგაო
ნინო ქალწული,
ღმერთის მოშიში,
ჯვარით ხელში
რწმენით აღვსილი,
მოდიოდა და უგალობდა
ცად ანგელოზი,
ჩვენი სამშობლოს
სილამაზით
დატყვევებული...

ვერ დაიჭირავს
ფარულ გრძნობას,
ღმერთის სიყვარულს,
რომ არ გაცხადდეს
საიდუმლო ქვეყნის
დიდებად,
დიდი მისია რამ არგუნა
არსთა განგებამ,
ქართველი ერი
მოექცია
ქრისტიანებად...

ბოროტმა შურმა
ვერ დაჯაბნა
ქართველთა
რწმენა,
ნება უფლისა აღესრულა ღმერთის
განგებით,
ყური მიუგდეს
ნინოს ლოცვებს,
განუდგნენ კერპებს
და საქართველო
მიუყვება ქრისტეს გზას რწმენით...

„უშენოდ"...

შენზედ ფიქრებში
ღამეს გავათევ,
მშვიდად შევხვდები
ალიონს დილით,
შენ დაბრუნდები
შორეულ გზებით,
თეთრ ორალების აელვარებით...

ეს დაბრუნება
იყოს ძვირფასო,
ჩვენი სულის და
წარსულის შერწყმა,
სულ აღარ გეტყვი
რატომ დაბრუნდი,
არც შენ მაყარო
კითხვების გროვა...

თვალებს მარიდებ
დიდ რუდუნებით,
ძველებურ გრძნობით
აღარ ელავენ,
ის სიყვარული
და თანაგრძნობა,
ქარს გაჰყოლია,
თვალებმა
გაგთქვეს...

ჩემო ძვირფასო,
არ მსურს რომ
მკითხო,
როგორი იყო
ყოფნა უშენოდ,
გული მივანდოთ
ვარდობის თვეს და
ჩვენი ცხოვრება
გავილამაზოთ...

ლალი სოხაძე

**

რა ვართ ასეთი - ქართველთა მოდგმა?!
ვერ გაგვიგია ვინ ვართ, რანი ვართ,
ნეტავ როდისღა მოვალთ ჭკუაზე?!
ან ვინ დაიცავს მამულს ჩვენს მაგივრად?!
ნეტავ სად არის ეხლა საშველი?
რა მოგვიშუშებს ამდენ იარას?
რამ დაგვიამოს დაჭრილი გული,
ქართველმა ხალხმა ვეღარ იამა!
არარსებულს ხომ ვებღაუჭებით,
არსებულს კიდევ, ხელსა ვკრავთ მუდამ
და ალბათ მახეს დაგვიგებს ბედი,
თუ კი დავდუმდით, ვიქნებით ჩუმად.
ამ მიწის ბედი ჩვენი ბედია,
დაფლეთილი აქვს სულ მთლად სხეული,
ამდენი წელი, როგორ გაუძლო?
მუდამ ხომ გლეჯდა ბედი წყეული!
სხვის მიწის ხვეჭა არცა გვჩვევია
და საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ,
მაგრამ ვაგლახ, რომ შინაურ მტრებმა,
მთელი ქვეყანა დ ა ა ქ ი ა ქ ე ს!
რამდენჯერ უნდა ვუხაროთ თავი მტერსა
და მოყვასს ვებრძოლოთ მტრულად?
ღმერთო გვიშველეს სანაცვლოდ იქნებ,
ღმერთის ნაბოძებს მივხედოთ ძმურად!

*

ჩემო თავო, რად მინდიხარ ეული,
სულ არ მინდა ვიყო გამორჩეული,
მაგრამ გული ისე მიცემს მალიმალ,
როცა ვფიქრობ, მე სამშობლოს ვალი მაქვს!
ისევ დარდი, ისევ მტერთა ბოგინი,
ქართულ ენის აღზევების ლოდინი,
როს იქნება, ქართველთ გენი გამრავლდეს?!
საქართველო, აღშენდეს და გალაღდეს!
ეხლა, გონი მოვიკრიბოთ ქართველნო,
ერთმანეთის ბრძოლა არვის ვაჩვენოთ,
ერთურთს გვერდში უნდა ვედგეთ უცილოდ,
მტერი კვლავ, რომ ისევ არ გავაცინოთ!

*

ტყუილად გივლია, აღმა-დაღმა
არ ვიცი რისთვის
და მარტოობა დღეს თუ არა,
ხვალ მაინც შეგძრავს,
თმებში, ჭაღარა შეგპარვია
შენც კარგად იცი,
გამოგონებულ შენს სიყვარულს
დაუწყებ ძებნას!
შენ ვერაფერი გაგიგია
თურმე, ამ ქვეყნად,
სიწმინდის ზღვრამდეც
ვერ მისულხარ ამდენი წელი,
გაგხუნებია სასთუმალთან
სიზმრების წყება,
წმინდა სიყვარულს ვერ უხამე
ვერც ერთი ფერი!
თუნდ ეკლესიას მიაშურო,
შვებას ვერ ნახავ,
თუ წმინდა გულით არ ისახე
პირჯვარი მკერდზე,
ვისი სახება აგებნევა
თვალებში ნეტავ?!
როცა ხატებთან მუხლმოყრილი
დააფრქვევ ცრემლებს!

*

ტყუილის გარემოცვაში-
ქარის დედოფლად
თავსა ვგრძნობ.
ჩამოვიქროლებ ისე, რომ
სულ ღრუბლებივით
დ ა ვ ფ ა ნ ტ ო,
აფარფატებულ ზეცამდის
ფოთოლთა ჯარიც
გ ა ვ ფ ა ნ ტ ო,
ჯანღი არ შემოგეპაროს,
შენ, გულო, არ
მ ი ღ ა ლ ა ტ ო!
ტყუილის გარემოცვაში,
ქარის დედოფლად თავსა
ვ გ რ ძ ნ ო ბ .

*

ყურში, ისევ ჩამჩურჩულებ
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ო!
ჩემს გულში კი
სამუდამოდ დ ა ი ვ ა ნ ე.
თვალებით როს მიალერსებ,
გული ხ ა რ ო ბ ს,
სულში, ისევ გაზაფხული
მ ო მ ი ყ ვ ა ნ ე!



მარინა კიკნაველიძე

ახლა ქარია

შემომეჩვია, შენზე
ფიქრები.
შენზე სიზმრები
შემომეხიზნა,
ახლა ქარია, სულში
ქარიშხლობს, უნდა
მივხურო, გულის
სარკმელი.
ამაღამ, ვიცი,
სანთლებს დავანთებ,
მთვარეც მეწვევა
გვიან, სასთუმალთან,
ქარია გარეთ, კვლავ
არხევს მინდორს
და უშენობით მაინც
ბნელია.
დამტვრეულ ვარდებს
ფანტავს ეს ქარი,
მაღელვებს მათი
შემოფეთება, ახლა,
ქარია, ძლიერი ქარი,
სულში ქარიშხლობს,
შემომეხიზნენ შენზე
სიზმრები, ვერ ვხვდები,
ნეტავ, ამ ქარს რა უნდა?
მიყვება რამეს ან მე ვერ ვხვდები.
ჩემი სიცოცხლე
ამ წლებმა შესვა,
გადავიარე გზა ეკლიანი,
ახლა ქარია, სულში
ქარიშხლობს, უნდა
მივხურო, გულის სარკმელი,,,

14 ივნისი 2023 წელი
ამერიკა.

აღარ მედიზმრო

დღეს რომ ფიქრები შემომეხიზნოს,
არ შემახსენო თავი ძვირფასო,
აღარც სიზმრებში აღარ მესიზმრო,
ზეციდან მთვარე თვალებს მიკრავსო.

ეს დაძახილი მაფორიაქებს,
ვიცი არ მოხვალ
და ეს მაშფოთებს,
 აქ, წინ და უკან დავფორიაქობ
ბევრჯერ კოშმარი შენზე მაგიჟებს.

მაისის ფერი, წვიმა ჟუჟუნა,
და გაკვიტული გაზაფხულება,
კვლავ ჩამაფიქრა ღამემ უკუნმა,
ვიცი წარსული არ. დაბრუნდება.

 დაწურულია გული მტევნებად,
და ვაზის ჯვარი ტირის ეულად,
და ვეშაპების ცეცხლის ენებით,
სამყარო სულ მთლად გადარეულა.

მალე დაღამდება

მთებს მთვარე ესტუმრება
მალე დაღამდება ეხლა,
ღამე დღეს ისევ ემდურება.
ვდარდობ და ზღვასავით ვღელავ.
გულით ვევედრები ღმერთს,
უძილო ხანაც დაღლილი,
სათხოვარს შევთხოვ ერთს,
გზები მაქვს ტანჯვით გავლილი.
მთებს შვენის მოვერცხლილი თმები,
ღმერთის ნაქარგი და დახატული,
ერთი მთა მეორეს ებმის,
მტრისგან ნაჯიჯგნი და გაფატრული.
მე კი სულ ვცდილობ მაღლა ავიდე,
გვირილა ჩავაწნა მთებში
უფალთან სუფთა წავიდე,
უფალი დასახელდეს ჩემში

ნორა მგელაძე

გაგიფერადე ცის კაბადონი

ცას მოგიხატავ ცისარტყელებით
მზესაც დავხატავ თბილს,
შენს მოლოდინში არ დავიღლები
დიდი გრძნობა არ ღლის.
ცაზე დავხატავ ღრუბელს თეთრ ფრთიანს,
ჰაეროვანს და რბილს,
სიყვარულით ხომ გული სავსეა
იმედის შუქიც კრთის.
ცას მოგიხატავ ლამაზ ფერებით,
მინდა შეხედო მას,
ამ ცხოვრებაში ყველაზე სუფთა
გული უნდა ჰქონდეს კაცს.
გაგიფერადე ცის კაბადონი
ბევრი დავხარჯე ფერი,
სანამ დადგება აპოკალიფსი
გეცხოვროს ლამაზ წლებით.
მე დაგიხატე სურათი ნაზი,
სიყვარულით და გრძნობით,
და იდუმალი ფერების ვალსით
მზე ცისარტყელას ჰკოცნის..

დედულეთს

ჩემი კოხტა დედულეთი
ზღაპარქმნილი სამარგალო,
ულამაზეს მთას და მდელოს
აბა, როგორ არ ვუმღერო.
მისი ტკბილი ''დიდოუ ნანა''
მისი ''ცირა'', მისი ''ჩელა'',
''ჯანსულო'' და ''ვა გიორქო''
ჯადოსნური თუთარჩელა.
ცაშკიბული და ლებარდე,
ოჩოკოჩი და ტყაშ მაფა,
რანაირად არ მიყვარდეს,
სხვაგან მის მსგავსს სადა ვნახავ.
ჩემი ტკბილი დედულეთი,
ჩემი მზე და ჩემი მთვარე,
აღორძინდი და იბრწყინე,
სამარგალო, სი ქოგალე.

* * *

კლდეების და ვარსკვლავების ბაასი
ცამ,ვარსკვლავეთის საუფლომ
მიმართა კლდეებს მუხლმაგართ:-
მე საქართველო მოგანდეთ
ვინძლო დაიცავთ ქვეყანას!
ვხედავ ამ ჩემსა სამშობლოს
ბევრ მტერი შამაჰხვევია
თქვენ აქ რისთვისღა მიდგეხართ
შუბლ-ძარღვ ხომ არ გაგწყვეტიათ!
დინჯად უსმენდნენ კლდეები,
ვარსკვლავთა ათასს სათქმელსა
მერე კი ხმა ამაიღეს
დაიგუგუნეს მწარედა:-
სწორად შენიშნეთ ვარკვლავნო
მამულის გასაჭირია,
ყველაფერს ამას ჩვენც ვხედავთ,
მძიმე დაგვიდგა დღენია.
ყველა ჩვენს სამშობლოს ერჩის,
მომხდურია თუ ჩვენია,
წახდა,გაირყვნა ქვეყანა,
ბევრ დიდს უძღვს მასში ბრალია.
არად აგდებენ ადათ-წესს,
რაც ოდითგანვე ჩვენია,
ამასა კიდევ ვინ ჩივის,
ბევრს ღმერთიც დაუკარგია!
მაგრამ ერთს ვიტყვით უცილოდ,
იმედი არ დაგვკარგია,
რადგან ღვთის მადლით, ჯერ კიდევ
გვყვანან შვილები კარგია!
შვილები, ვისიც გულები
ძგერს მამულისთვის, ნაღდია,
ვისი სიწმინდეც ყოველთვის
ხატისთვის შეუვედრიათ!
ვისთვისაც წმიდათწმიდაა
უფალი, ენა,მამული!
ვინც წინაპართა საქმეებს
აგრძელებს მუხლჩაუხრელი!
ასეთებთ იმედ დიდია,
არ წაგვექცევა მამული,
ღმერთმა გვიმრავლოს სამშობლოს,
სისხლი უკვდავი ქართული!
ცაო,ვარსკვლავთა მშობელო
არც აწ მოგვაკლო ნათელი,
""სამშობლოს ვერვინ წაგვართმევს""
სანამ გვენთება სანთელი!
სანამ შენს რგვალზე დღე და ღამ
ინათებს მზე და ვარსკვლავნი,
მანამ იცოცხლებს სამშობლო
არწივთა დიდ საბუდარი!
.....ბევრ იბაასეს ცამ-კლდეთამ,
ბევრ დაისახეს მიზანი
""კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!""

ფოთს

მზის ქალაქში დავიბადე,
მზის ქალაქმა გამზარდა,
სიყვარული და სინათლე
უხვად მან დამანათლა.
სიყვარულის გამცემელო,
სითბოს მატარებელო,
ფოთელებო გენაცვალეთ,
მიყვარხართ მეგობრებო!
ჩემი ტკბილი მოგონება,
მშობლიური ქალაქი,
მინდა მუდამ ცოცხლობდეს და
იღორძინოს მარადის!
შემოგევლეთ ფოთელებო,
კარგად მყავდეთ ყველანი,
სანამ ვცოცხლობ, ასე გლოცავთ,
მუდამ თქვენკენ მზირალი!

ფაზისს, კოლხეთის მშვენებას (ფოთს)

კოლხეთო, ულამაზესო,
ზღვისპირს გაშლილო ედემო,
ჩემო გამზრდელო ფაზისო,
სითბოთი ნასაზრდოვებო,
ჩემო რიონის ჭალებო,
ბავშვობის ზღაპრად ქცეულო,
მიყვარხართ და მენატრებით
სიზმრადაც ხშირად გნახულობთ.
ბავშვობავ ჩემო და სიყრმევ,
ულამაზესო დღეებო,
მოგონებებში სულ ცოცხლობთ,
მსურს თქვენთან გავინაპირო.
ზღვისა წყლის მლაშე სურნელი
და თოლიების ნარნარი...
სამშობლოს სიამაყეა,
ფოთი, საზღვაო ჭიშკარი.
სიო რბილი და ნოტიო,
ხალხიც თბილი და ალალი,
ძველ კოლხთა დაარსებული,
ჩემი მზიანი ქალაქი.
- ეს არის ჩემი ცხოვრების,
ნათელი მოგონებები,
ჩემო ფაზისო მიყვარხარ,
კოლხეთო გენაცვალები!

არასოდეს მიორგულო

იცი ალბათ ,რომ მიყვარხარ
და თან როგორ ძალიან,
შენ ხომ ჩემი სული ხარ და
სიყვარულის ზვარია.
შემოგხედავ, გულს ახარებ,
სულის გულში დათბება,
მე ხომ დღემდე შენით ვცოცხლობ,
შენზე ფიქრი არ ცხრება.
შემომცინე, სიხარულო
გადამყარე დარდები,
ზეცად, სადღაც, ღიმი კრთება
ცისარტყელად გაკვდები.
შენ ხომ იცი,რომ მიყვარხარ
ფიქრში სულ მეზმანები,
შენს ნახვას ნუ დამანტრებ,
უშენოდ ხომ გავქრები,
შენთან ერთი მე თხოვნა მაქვს,
ვიცი,არ დამზარდები,
რომ მოვკვდები, მომიტანე
ალისფერი ვარდები.
ჩემო სულის გულო, ტკბილო
და სიკეთის ფერიავ,
არასოდეს მიორგულო
გამინათე გზებია.
იცი,ალბათ, რომ მიყვარხარ,
სიცოცხლეზე ძალიან,
ყველა ყვავილს შენ გადარებ,
ყველა შემოგვლებია
შენ ხომ იცი, რომ მიყვარხარ,
სიყვარულის ფერიავ.

* * *

გავიმეტოთ თითო პეშვი სიყვარული,
განა მეტი უნდა მოყვასს ჩვენგან?
მოედება, გამრავლდება და სალბუნი
დაედება გულს უმალვე თქვენგან.
გავამრავლოთ და ვაპნიოთ სიყვარული,
ჩვენ ამისთვის მოგვავლინა ზენამ,
სულ არ არის ასე ძნელი, ასე რთული,
გვიყვარდეს და მოვეფეროთ ყველას.
ჩემი გული სიყვარულით სავსე არის,
შენც აივსე სილამაზით , ხელად,
სიყვარული გადამდები უნდა იყოს,
დაგლოცოთ და გაგამრავლოთ ღმერთმა.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მყინვარწვერო

რომ არ დალღვე მყინვარ წვერო,
შეგიკერე თეთრი კაბა,
თუმცა როგორ მოგეფერო,
გამოღმით ვარ შენ კი გაღმა.
ფიქრის ღრუბელს გამოვატან,
თეთრ ქათქათა შესამოსელს,
ამისრულე მთაო ნატვრა,
ცრემლი თვალზე აღარ მომსკდეს.
ძარღვებ დამსკდარ შოვის ადგილს,
ბედისწერის, ცრემლი ჰქვია,
იქ, სიტყვის თქმაც უკვე არ ღირს,
მთა, ქვა-ღორღის სამარხია.
თავის დროზე ყინვაც მინდა,
მზის სხივებიც მხოლოდ ნაზი,
ლამარიასავით წმინდა
ადათი და სიტყვა მახვშვის
მყინვარწვერო იქათქათე,
ნუ მოაწყენ ორქიდეას,
შოვის დარდით ღამეს ათევს,
ხვალ სამყაროს გლოვის დღეა!

ქართველი ქალი

საქართველოში გელოდებიან
მიწა საძვალე ქუჩა თბილისის,
მიდიან ისევ მეორდებიამ,
ქაფქაფებს გული ცხელი ივლისით.

შენ ემიგრანტო, ილოცე ხშირად,
ქართველ ქალს ჰქონდეს ყველგან ღირსება,
დრომ საქრთველო გამომოგვიხშირა,
რომ ქალაქები სხვისით ივსება.

ილოცე ისე, რომ მიაწვდინო,
უფალს წუხილი დაშლილი ფარის,
თვალიდან ცრემლმა აღარ იდინოს,
რომ სახლში იყოს

სულში შევფუთავ

ვარდის ფერს გავხდი ყოველი დღის გამოღვიძებას,
სულში შევფუთავ კვირტებმა რომ დაიყვავილოს,
გზას გავაგრძელებ ძველებურად რომ ჩემს ღირსებას,
აუგი მტერმა ვერ გაბედოს არ იბღავილოს.

სიკეთის გზაზე ბოროტებას, როგორ გაბედავს
კვირტში მოწყვიტოს ყვავილი და მიისააკუთროს,
გული კვლავ ბრძოლობს, გაუკვირდეს, რად არ დაბერდა,
უნდა დაგიცვა, მიწავ ჩემო, უფლით ნაკურთხო.

გავზრდი მომავლის, შევასწავლი ბრძოლის გაკვეთილს,
რაც მე მაწუხებს ნაიარევს შემიხორცებენ,
იმ ჩემს ჯეჯილსაც მოუვლიან უკვე დათესილს,
მეც ფეხზე ვდგავარ მერცხლებს როგორ დამიხოცავენ!

გამოიდარებს ისევე

და ისევ მჯერა, ღრუბლიანში გამოიდაროს,
ამიტომაა ჩემით ვხატავ მზისფერ სამყაროს,
ვცდილობ არ გავტყდე, დარდებითაც არ მოვიხარო,
ბედთან ჭიდილში ან ფარხმალი რატომ დავყარო.
ცხოვრება მუდამ ომია და გულის ხანჯვლაა,
ამ ჩემს ტკივილებს ემატება სხვისი ტკივილი,
ტირილი? არა ძვირფასებო დროის ხარჯვაა,
შეინარჩუნეთ ძველებურად სახის ღიმილი.
ბედის პირისპირ სულ მარტოდ ვარ ცხოვრების ომში,
მაინც იებს ვრგავ სამომავლოს ჭადარს და ფიჭვებს
ამოშენდება უკვდავების სიკეთის კოშკი,
გამოადგებათ, ჩემი ქვეყნის გოგოს და ბიჭებს!

* * *

ძარღვები დააწყდა

მთას გული გაუსკდა, ძარღვებიც დააწყდა,
არადა არ იყო ცუდი და ბოროტი,
რაჭა კი წამებში შიგ წელში გადაწყდა,
ცოცხალი ბუნება გამხდარა რობოტი.
რა ცოდვა ტრიალებს, რა მართავს ამ ძალას,
განგებავ დაინდე პატარა ბავშვები,
ბუნება ატირდა ხალხს მიწა დაკრძალავს,
ცრემლების მდინარევ არასდროს დაშრები.

ციის ლაჟვარდში

ცის ლაჟვარდში მოფარფატე მტრედებს,
გარდაცლილთა სულთა მეპატრონეს,
ზოგში ვხედავ თვალცრემლიან დედებს,
ბედისწერით ნაგვემ-- დანატორებს.
დამესიენ ღუღუნ-ღუღუნ გუნდათ,
ცის გზავნილთა სულთან ვიჟღურტულე...
მოფერება ჩემგან რომ მოუნდათ,
სიყვარულით მიტომ გავიტრუნე!

მამები უყვართო

გოგოებს მამები უყვართო ძალიან,
დავფიქრდი ვიხსენებ წარსულის ბავშობას,
მამიკო ოჯახის ის ნატვრის თვალია,
დედიკოს ცრემლებს რომ კოცნებით უშრობდა.

ამიტომ გოგონებს მით უყვართ მამები,
ვით ცისკრის ნათება, გულს სანთლად უნთიათ,
დრო მაშინ მაისობს გულშენახამები,
მიყვარხარ მამას რომ , დედისთვის უთქვია!

ფერი იცვალეს

ბევრჯერ ვიტირე ერის დარდი გავითავისე,
სულ გამოვწურე იმედების ყურძნის მტევნები,
კვლავ მაინც მჯერა საქართველო გაიმაისებს,
შეიცვლებიან ბედისწერის უნარჩვევები.

გარდაცვლილებმა, საზეიმოდ ფერი იცვალეს,
ცაზე ვარსკვლავად აზეიმდნენ ათინათებად,
ალვის ხეებმაც სამოსელი გამოიცვალეს
აუცილებლად იმედის მზე გამონათდება.

იტალიაში

იტალიაში მიმასპინძლა გენის ყივილმა,
ქართული სულით ქართველური ძველი ადათით,
სისხლში გამჯდარი საქართველოს სახის ღიმილით
მათ შესახვედრად სითამამით ფეხი გადავდგი.

წმინდა სამების ლოცვა მადლი ჩავიტანე და...
ჩემებს წმინდანის გაბრიელის მიწა ვაჩუქე,
მოსაფერებლად სიფაქიზით წავეტანე და...
თვალებიდანც სიხურულით გამოვაშქე!

ამ საჩუქრისთვის

ჩასვენებულა წიგში წარსული,
ძინავს სიყვარულს წყნარად= სიმშვიდით,
საუკუნეა ბევრი გასული,
გამოზაფზულზე ყვავის შინდივით.

ყველა ქართველის საგანძურია,
სიტყვა თვით ღმერთის ნაკარნახევი,
გონთა ჭიდილში ცაც უძლურია,
გაკვირვებულა ყველა მნახველი..

ამ საჩუქრისთვის რა მოვიგონო,
ღმერთო იქნება გზები მაჩვენო,
ვცდილობ რაღაცა გამოვიგონო,
დიდი სიმდიდრე გადავარჩინო.

რომ არ დასველდეს წვიმით და ფიფქით,
ჩემს სისხლში უნდა შევაზიარო,
ვეალერსები საგანძურს ფიქრით,
წარსული რომ არ დავაზიანო!

გლოვის დღეა

შოვში დავრჩით დედა შვილი ერთად,
იმ წალკოტის ჩიტბატონა გვქვია,
ჩვენი სული იტრიალებს ღმერთთან,
კვლავ ამოვალთ თეთრ თვალება იად.

ის კივილი გრიგალივით დიდი,
თითქოს მხეცმა ყელი გამოგღადრა,
იავნანა დედასავით მშვიდი,
ჩემო დედი როგორ ააბღავლა.

გლოვის დღეა, საქართველო ტირის,
როგორც წერო ჩვენ მივფრინავთ ერთად,
ვინც გადარჩა ყველა არის გმირი,
ამ წარღვნაში გული როგორ ფეთქავს!

და მე ასე მჯერა

ვინც ხალხს იცამს უფალო,
ძალა მიეც დიდი,
ზოგი ბარში სულთანიბს,
ამაყი და ფლიდი.
პოლიციას ბედად კი,
ხალხის დაცვა უნდა,
აგერ კივის დედა და...
ცრემლებს თვალში გუდავს.
პოლიცია ყვირიან,
მიეშველე ბეჩავს,
ბრბო კი უნაპირო,
ყველაფერს რომ ბედავს.
სისხლიანი გარჩევა,
სისასტიკის წესი,
პოლიცია გაჩნდება,
გშველით ქვებს ნუ ესვრით.
ისიც თქვენი შვილია,
მშველელი და მცველი,
ომში ბევრჯერ უვლია,
ზოგჯერ მტერსაც შველის.

ამპარტავანი არ მებრალება

არც მზის სხივი ვარ სულ რომ დაგათბო,
არც პატარა ხარ კვლავ რომ გიმღერო,
გულის ნადები თუ გსურს გამანდო,
ყელი გედივით არ მოიღერო.
თუმცა ცისკარათან როგორ მოწვდები,
თუ არ ატარებ ტკივილის ეჟვანს,
 თუკი შემთხვევით ჩემთან მოხვდები,
ვითომდა ბედმა გცემა და გჟეჟა.
ზრდილობისათვის ერთხელ მოგისმენ,
დაგარიგებ და გზასაც გასწავლი,
ზოგჯერ ვარსკვლავთა გუნდსაც მოგისევ,
თუ შეიცოდე ბრმა და საწყალი.
თუ კაპრიზები გადაივიწყე,
გაითავისე სხვისი დარდები...
თუ გწყინს რწმენის ძაფს ნუ გაიწყვეტ,
თოვლის ფიფქივით ნუ იბარდნები.
სხვისი ტკივილის გახდი დაქალი,
პურიც დათესე გასამრავლებლად,
ფეხზეც ჩაიცვი ზოგჯერ ცალ-ცალი,
ამპარტავანი არ მებრალება.

ოვისროლე კარში

ვგავარ ფიფქებს სიფრიფანა ფრთებით,
არ მცილდება სევდის სამოსელი,
ყინვის მთებში აბა რას გავთბები,
დარდითა და ცრემლითაა სველი.
მზის ბილიკებს ფეხაკრეფით მივსდევ,
სხივებს ძალით ჩავეცეკვე გზაში,
ტკივილები მხრებზე გადავიგდე,
და სულ მარტომ მოვისროლე კარში!

თანატოლები

შემთხვევით შეგხდი სამოთხის ბაღში,
ფიქრებისათვის დრო რომ დაგვეთმო,
ასაკით იყავ პატარა ბავშვი,
ერთი გზა გვქონდა სამისამართო.

პოეზიის კვალს თავთუხის ფერი,
როგორ შვენოდა მწვანე ხავერდი,
ჩემო დარეჯან, შენ ახლა მღერი
და მე კი შვილო, უკვე დავბერდი.

თოთო კვირტებში ლექსებს მარცვლიდი,
 გამოგისხია საღი ტოტები,
შენ როცა შეგხვდი ვეღარ დაგცილდი,
პოეზიით ვართ თანატოლები!

მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ი

ვიამაყე რომ ჩემს კუთხეს,
კვლავ შრიალობს ვერხვი,
მე ვხედავდი მუხას უტეხს,
ხმა ისმოდა მეხრის.
ტრადიცია ბახვას სახლში,
ინარჩუნებს იერს,
იწვის, დნება საქმის ალში,
კვებავს სულით მშიერს.
ვახო, შენში დავინახე,
რომ სიკეთით სუნთქავ,
მთებს იმ წუთში გადავძახე,
რომ ლექსს გამოვუთქვავ.
ჰა, მიიღე სულიერი,
საარსებო წყარო,
გქონდეთ მრავალჟამიერი,
რომ მეც გამახაროთ!

❤

ვტირი მთამ გული დამარხა,
რადა სძულს ნეტავი მოყვრები,
თვალებო, ნეტავ არ განახათ,
ჩაყლაპა კლდეებმა ბოკვრები.
        სად გარბის ნეტავი ეს ღორღი,
        რად იშვა ან საით წავიდა,
        რაჭის მთებს ბოროტი რად სჯობნის,
        წალკოტი მიწაში ჩავიდა.
მოგისამძიმრებ ბუნებავ,
როგორც სულიერ არსებას,
ნუთუ ეს ღმერთმა ინება,
ვერ გნახავ ნუ გეწყინება
        სად გაქრა შენი კანონი,
        სტუმრების გამასპინძლება,
        ჩაირთო სიკვდილის წამზომი,
        დღითი დღე უფრო მძიმდება.
რა წესები გაქვს ასეთი,
მიყვარდე თუ არ მიყვარდე,
მანიშნე რატომ გამხეცდი,
ისევ გულში რომ გიკრავდე!

უფლის წყალობა

ჩამოვისვენე ამ წალკოტში სადაც ატყვია,
ნატერფალები სიკეთისა ლამაზ ზღვარებად,
ნაზი ხელებით ამოვიძრობ გულის ნატყვიარს,
ქართულ ოჯახში ზეიმობდა თვით უკვდავება.
იყო პოეტის აღზევება ციდან მიწამდე
 ლამაზ წიგნებად, დაბადება უფლის გზავნილის
და კიდევ ერთხელ საბოლოოდ გულით ვიწამე,
ყველა ლექსია თვით უფალის გამოგზავნილი.
რაა სიმდიდრე შემეკითხეთ და გიპასუხებთ,
ყვავილები და ჩიტუნების ჭიკჭიკ - გალობა,
აქ, შეიმშრალებ ბურუსისგან ნათქორ- ნასუსხებს,
ამ ქართულ ოჯახს ქონებოდეს
                    უფლის წყალობა!

ქართვლში ქართველები

ბევრჯერ დავეცი და ისევ წამოვდექი,
დარდებს უსასრულოდ ბოლო აღარ უჩანს,
ახლა ძვირფასებო დიდ გზას დავადექი,
დრომაც ტკივილები კვლავ არ გამიყუჩა.
მაინც დაველოდე ცისკრის გაბრწყინებას,
ნაზი ღიმილებით დილამ შემომცინა,
ზოგს თუ შეუღრინო ნუღარ გეწყინებათ,
ქართვლში ქართველები რატომ შემიმცირა!

გილოცავთ

ნინოობას მოგილოცათ სულის შვილებს,
შვილიშვილებს და ჩემს ვაჟკაც დათოს
მათ სიყვარულს ღმერთო, თუ არ დამაცილებ,
სხვა სიმდიდრეს არც არასდროს ვნატრობ.
ნინოობას მოგილოცავ საქართველოვ,
მოგილოცავთ ქრისტეს რჯულის ერო,
თქვენს ლოცვებში ბევრჯერ მინდა გავათენო,
იავნანაც მინდა წავიმღერო.
გულში სანთელს ავანთებ და შეგავადრებთ,
სასოების მესიჯს ვგზავნი ღმერთთან,
დაიფანტნენ ქართველები ეს მადარდებს,
დარდიანი გული ძლივსღა ფეთქავს.
ნინოს ჯვარო, დაიფარე ქართველები,
გევედრები ჩემი თბილი გულით,
ქართველს ვეძებ, მიწა არის ნართველები,
ქართულ ზეცას ქორი ნუღარ უვლის!

რამდენი რამე გიჩურჩულე

ჩაგეხუტე და შევიგრძენი ჩემი გესმოდა,
მამა გაბრიელ, საიდუმლო ჩაგიჩურჩულე,
ვდუმდი წმინდანო, სანამ ტყვიას მტერი მესროდა,
პასუხი გავცე თუ კვლავ ვსდიო გულის სიჩუმეს.
არ მეჩქარება მიმანიშნე როგორ მოვიქცე,
ჩემო გზა მკვლევო, იქნებ ისევ თვალი მადევნო,
მინდა მიყვარდეს, ბოროტ სულთა წამლად მაქციე,
სხვისი გულიდან შხამ- ბალღამი მინდა გავდევნო.
სულის ჭურჭელში ჩამიგროვე მადლის სიუხვე,
მთელი მსოფლიო მომატარე ამ სიმდიდრეთი,
სხვის სატკივარსაც თვალის სარკით მე რომ მივუხვდე
და ჩავუსახლო ურწმუნოებს რწმენით ძე ღმერთი!

ცეცხლი რომ დამენთო

ჩემთან ხარ ფიქრით და ჩემთან ხარ სიზმრებში,
მამაო გაბრიელ, მივიღე გზავნილი,
დავდივარ დიდ ტყეში მგლებშიც და ირმებშიც,
აქ კვალი საერთოდ არ არის გავლილი.
მამაო გაბრიელ, ვქადაგებ რწმენაზე,
ვამბობ, რომ უფალი გულშია საერთოდ,
ამ რწმენით ვჩურჩულობ სულ ღვთიურ ენაზე,
მომეცი ის ლექსიც ცეცხლი რომ დამენთო.!

ქართლში ქართველები

ბევრჯერ დავეცი და ისევ წამოვდექი,
დარდებს უსასრულოდ ბოლო აღარ უჩანს,
ახლა ძვირფასებო დიდ გზას დავადექი,
დრომაც ტკივილები კვლავ არ გამიყუჩა.
მაინც დაველოდე ცისკრის გაბრწყინებას,
ნაზი ღიმილებით დილამ შემომცინა,
ზოგს თუ შეუღრინო ნუღარ გეწყინებათ,
ქართვლში ქართველები რატომ შემიმცირა!

სულის სამყარო

ბუნებას მოგავს შენი სულის მზე,
ტყის შროშანივით არის კოპწია,
შეუცდომელად მისდევ უფლის გზებს,
თუმცა ყინვაში ხელიც მოგწვია.
ივლისის თვეა, ქაფქაფა ცხელი,
დაბადების დღეს გირთავთ იებით,
აწყმოს ჩაკიდე პოეტო ხელი,
რადგან შენა ხარ ხვალის იმედი.

რწმენით

ლაბირინთების დროის სივრცეში,
ჯიუტად ვუცქერ კოპწია ვარდებს,
გავყურებ სივრცეს კვლავ ამ სიცხეში,
ვეჩურჩულები წარსულის დარდებს.
რა არ უთხარი ნაცნობ ბილიკებს,
ვუთხარ, რომ ვცოცხლობ უფლის იმედით,
ვიცი ვერავინ გამაქილიკებს,
ბედისწერას ხომ კვალში მივდევდი.
თეთრ ოლიანდრებს მიუალრსე,
მიცნეს და თითქოს შემომციცინეს,
როგორ ვიცოცხლებ რწმენის გარეშე,
რწმენით კვლავ ეკლებს შემოვიცილებ.

უსასრულობა

შენს თვალთა სიღრმეს შემოვცურდი ვეძებდი წყაროს,
ისე ღრმა იყო შემეშინდა გამოვტრიალდი,
ვცდილობ შვილივით უბე კალთას რომ შეგიფარო,
პოეზიით კი ემიგრანტო ცად აბრიალდი.
თქვი და შექმენი შენი თვალის მსგავსი სამყარო,
უკიდეგანო, ოკეანე, უსასრულობა,
ქარო, ვიშვილე მის თმების ბეწვს არ მიეკარო,
ეს სიყვარული არასოდეს არ დასრულდება!

არაფერი ხარ

თუ არ გეტკინა საწითროს მწუხრი,
მშიერ- მწყურვალი თუ არ აპურე,
თუ შენზე უფროსს თავს არ დაუხრი,
სხვა ბაქიბუქით გამოაყრუე.
სადღაც შეგხვდება გზა გასაყარი
და ქარიშხალი წელში გაგტეხავს,
არსად გექნება თავშესაფარი,
გადაიმსხვრევი ნატეხ-ნატეხად.
როცა სხვა ტირის შენ თუ მღერიხარ,
და გადამთვრალი დაებოტები,
ერთ დროს შენც ცაში ასაფრენი ხარ,.
ერთ დროს ტოტივით შენც კი მოტყდები.
მე სულ ვატარებ რწმენის ლექციას
და სიყვარულის მარცვალსაც ვთესავ,
თუ დამიჯერებ ღმერთი ლექსია,
ნეტავ ამ ლუკმით შენც წაგახემსა!.

* * *

ძალით უნდა გავათენო ცისკრის დილა,
ძალით უნდა გავუღიმო ცაში ვარსკვლავს,
რადგან წლებმა ჩემთან ერთად იცოდვილა,
მტერს ზურგს ვაქცევ არასოდეს სიტყვით არ ვკლავ.
თვალი ეძებს იმ დანაკარგს გულს რომ მოწყდა,
დავინახე, მნათობებთან იყო მშვიდად,
გარდიცვალა, მოვა ისევ კი არ მოკვდა,
გამიკვირდა მიკარებას არ მიშლიდა!
გულნაზ ხარაიშვილი!

სულის სამყარო

ბუნებას მოგავს შენი სულის მზე,
ტყის შროშანივით არის კოპწია,
შეუცდომელად მისდევ უფლის გზებს,
თუმცა ყინვაში ხელიც მოგწვია.
ივლისის თვეა, ქაფქაფა ცხელი,
დაბადების დღეს გირთავთ იებით,
აწყმოს ჩაკიდე პოეტო ხელი,
რადგან შენა ხარ ხვალის იმედი.

* * *

ენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ რას მიწვდა გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

დავიფიცო?

დავიფიცო? არა რატომ დავიფიცო,
უფლით ხდება ასეთი რამ არც მსმენია,
ლექსი იქნებ მზის სხივს მინდა შევაფიცხო,
როცა დავწერ ლია ამბობს ეს ჩემია.
აამღერებს ჰოდა, უნდა ვუმასპინძლო,
მოგიწვიოთ, მოსასმენათ კეთილები,
გულის ეკალს ალბათ უკვე გამოვიძრობ,
რადგან ყველას დედასავით გეთბილებით!

სანთელი ანათებს

სულ ვითმენ სიტყვების
რახარუხს რადგანაც...
სიავეს არ მოყვეს
წვიმა და ქარბუქი,
ულაყი ცხენივით ქარი
ქრის კარდაკარ,
სიკეთით მე მაინც
ბევრს გამოვადექი.
ვალში ვარ, მომავალს
განძი მსურს შევუქმნა,
რაღაცა დავწერო
ტკბილი და ახალი,
ის ძველი რაც ქონდათ
წაშალეს გაუქმდა,
ამიტომ არ ყივის
სოფელში მამალი.
მტკივა და მივსტირი
ძველის-ძველ ადათებს,
სიყვარულს წმინდას და
გრძნობების საამქროს,
სადღაცა კუნჭულში
სანთელი ანათებს,
ვიფრთხილებ იმედი
ქარმა არ ჩააქროს.

თქვენ გენაცვლეთ

ჩემი შვილიშვილის მეგობრებო,
პედაგოგებო.

***

იმღერეთ შვილო რომ, აქ მომწვდეს, დაღიან პოეტს,
გადამავიწყოს იმ წარსულის სევდის დღეები,
ოღონდაც ღმერთო,ნუღარასდროს ნუ დამათოვებს,
რაც შემიძლია, სიკეთეს ქმნის ჩემი ხელები.

მიგისაკუთრო

ჩემი შვილების სისხლის ზიარო,
შვილო, სული გვაქვს ერთი სამყაროს,
ფიქრით მინდა რომ შემოგიარო,
სხირტლაძეების გუდამაყარო.
მოდი დავწეროთ ლექსი ისეთი,
გავჟღინთოთ სტროფი ჯანსაღ რითმებით,
გაილაჟვარდებს ჩვენით მითები,
შენს მოფერებას მიკვირს ვითმენდი.
როგორც მიყვარხარ როგორ დავწერავ,
გამონათებავ დროის საწუთროს,
უბრალოდ ლექსი შემომეწერა,
შვილად მინდა რომ მიგისაკუთრო!

თანატოლები

შემთხვევით შეგხდი სამოთხის ბაღში,
ფიქრებისათვის დრო რომ დაგვეთმო,
ასაკით იყავ პატარა ბავშვი,
ერთი გზა გვქონდა სამისამართო.

პოეზიის კვალს თავთუხის ფერი,
როგორ შვენოდა მწვანე ხავერდი,
ჩემო დარეჯან, შენ ახლა მღერი
და მე კი შვილო, უკვე დავბერდი.

თოთო კვირტებში ლექსებს მარცვლიდი,
გამოგისხია საღი ტოტები,
შენ როცა შეგხვდი ვეღარ დაგცილდი,
პოეზიით ვართ თანატოლები!

მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ი

ვიამაყე რომ ჩემს კუთხეს,
კვლავ შრიალობს ვერხვი,
მე ვხედავდი მუხას უტეხს,
ხმა ისმოდა მეხრის.
ტრადიცია ბახვას სახლში,
ინარჩუნებს იერს,
იწვის, დნება საქმის ალში,
კვებავს სულით მშიერს.
ვახო, შენში დავინახე,
რომ სიკეთით სუნთქავ,
მთებს იმ წუთში გადავძახე,
რომ ლექსს გამოვუთქვავ.
ჰა, მიიღე სულიერი,
საარსებო წყარო,
გქონდეთ მრავალჟამიერი,
რომ მეც გამახაროთ!

რომ თან გამყვეს

რეალობას განვერიდე დარდის ადგილს,
შევიმოსე ღვთის სიკეთის ბუმბულებით,
წინ ვიარე ეკლიანი გზების ავლით,
დავაგროვე სიყვარულის ბულულები.
ვინც მიყვარდა წარსულიდან ისევ მიყვარს,
არ ვიცლები ქარბორბალას ამიდებით,
ფსალმუნივით გრძნობა გულში გამომიკრავს,
სიძულვილის მდინარედ არ ავდიდდები.
მიწა მიყვარს საქართველოს ერთი გოჯიც,
მარადმწვანე ტყე-პარკი და ყვავილები,
მე დედავ ვარ, ერთგულების დედაბოძი,
მოგაფრქვიეთ სიყვარულით ღიმილები.
ჩემი გული სალოცავი ეკლესია, იწვის წმინდა
სანთელივით დღე და ღამე, ბევრჯერ სხეულს
კრაზანებიც შეესია, ბევრჯერ მწარედ
გამწირეს და გამამწარეს.
გამეღიმა.... გულის ხანჯლა ავიტანე,
ცის მნათობმა გამიღიმა მარტო ეულს,
ცას რომ წავალ ტკივილებიც გამატანეთ,
რომ თან გამყვეს ამტანობა როგორც რჩეულს!

*

წვიმს და ნაზო კესანებო,
მოწყენილხართ სევდით,
მართლა როგორ მენანებით,
მზეს რომ ვერსად ხვდებით.
ამიტომაც ყოველ დილას,
წყალს მე გისხამთ ნაზად,
დილის ცისკარს შეერთვილა,
სევდა ფიანდაზად.
იმედები ბევრჯერ დაღრნეს,
დარდით სულ არ მოკვდეთ,
ქარი ჭიშკარს ძალით არღვევს,
წარღვნა კვლავ არ მოხდეს.
არ დაგიჭკნეთ ღეროები,
სევდის ფერით კარგნო,
მიფრინავენ წეროები,
სულ არ გადიკარგნონ.
მიჭირს მაგრამ გაგიღიმებთ,
ვცხოვრობ დარდის ცის ქვეშ,
თავს ვაფარებ ფიქრის ღვიმეს,
ვმალავ ვაივიშებს.

გლოცავ ბებიკო

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
როგორც მნათობი ხარ ისე თბილი,
ვცდილობ ბებიკო რით გაგახაროთ,
ხარ ჩემი გელას პირველი შვილი.

უკვე დედა ხარ ჩემო საუნჯევ,
ბექა გეზრდება ხვალის იმედად,
მე სიხარულით ლამის დავმუნჯდე,
ღმერთმა დედობა გამოიმეტა!

გლოცავ ბებიკო

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
როგორც მნათობი ხარ ისე თბილი,
ვცდილობ ბებიკო რით გაგახაროთ,
ხარ ჩემი გელას პირველი შვილი.

უკვე დედა ხარ ჩემო საუნჯევ,
ბექა გეზრდება ხვალის იმედად,
მე სიხარულით ლამის დავმუნჯდე,
ღმერთმა დედობა გამოიმეტა!

ბედისწრის ხართან

ნისლში ტრიალებს ჩემი წარსული,
ბედმა მატირა, მჟეჟა და მცემა,
დარდს აღარ უჩანს ეს დასასრული,
გული დამიფცქვნა ამ ფოთოლცვნამ.
სუსტი იჩოქებს ბრძოლის ჭიდილში,
ძლიერი მისდევს ცხოვრების აღმართს,
მე მოვძლიერდი ბევრჯერ სიკვდილში,
მარტო ვჭიდაობ ბედისწრის ხართან.
ორთა ბრძოლაში ომი მოვიგე,
სულის სიმშვიდე წამომეშველა,
სიკეთის თესვა კაბად მოვირგე,
დაუთმე, ზოგჯერ ბედსაც ეშლება.
თუ გიყვარს ბევრჯერ უნდა იტირო,
ცრემლის გარეშე სუსტია გრძნობა,
უნდა დამშვიდდე, გამოიტირო,
შენარჩუნო ბოლომდე ნდობა.
და თუკი არა ... გზა გააგრძელე,
შენი მეობა არ დაივიწყო,
სიცოცხლე შენით გაიხანგძლივე,
ტკივილი უნდა გადაივიწყო!

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ნაირა უგულავას

მჯერა არ გახუნდები

შენი სული ცაა და ..
გხურავს წმინდა მანტია,
გული ლურჯი ზღვაა და ...
შუბლს სიკეთე ატყვია.
არ იცვლები არასდროს,
არ ქარბუქობ მარტივით,
მგონი ყველას გაასწრო,
ლექსებით და სატირით.
ეს დღე კარგო შენია,
დღეს მზეც შენთან ჩამოდის,
სულ სიკეთე გვჩვევია,
კვირტიც შენით გამოდის.
ვის არ შველი ქალ-ღმერთო,
ერთ ლუკმასაც გატეხავ...
მნათობების ნაერთო,
გულს ყოფ ნატეხ- ნატეხად.
გორდის ტყე-პარკს წააგავს
შენი სულის ბუნება,
ყვავილს ფეხს არ დაადგავ,
არ აყვები ცდუნებას.
მისაბაძო ყველაფრით
კალმითა და დედობით,
ღვთის სიკეთის დანართით,
გულის ეზო ფერდობით.
სამოცდა ხუთს დაითვლი,
შვილებით და ხუნდებით,
ბედი ას წელს დაგნათლის,

გულიადა სანოძეს

ორი გული

აგვისტოს გავს ცხელი გულით,
საქმით ალბათ ცას მისწვდება,
მისი ცხელი დედას პური,
მაძღარსაც კი მოუნდება.
მსახიობი, პედაგოგი,
იაგოს და ედოს დედა,
ითმენს ზოგჯერ ვით იობი,
დამნაშავეს როცა ხედავს.
ორი გული ერთად არის,
გულიადა და გულნაზი,
ღია არის გულის კარი,
ფიქრითა და დედააზრით.
განვასხვავებ ყველასაგან
შევაერთებ ორ გულს ერთად,
გულიადა ჩემს გულსა გავს,
ორი გული ერთად ფეთქავს.
ტოლებიც ვართ თუმცა მჯობნის,
ფრინავს როგორც შევარდენი,
როლი არის მისი ჰობი,
შეასრულა თან რამდენი.
ხან ცხენს კაზმავს ვით ვაჟკაცი,
ხან კი ძროხას წველის სახლში,
ყველა აქებს ქალი - კაცი,
დამწვარია საქმის ალში .
ქარი ჩადგა, გადაშენდა,
ქარიც ხათრობს გულიადას,
მე ლექსი მხვდა განაჩენად
როლში გული დატრიალდა!

მჯერა, არ გახუნდები!.

ეთერ ჭელიძეს

ჩემი ესმის

უთქმელად რომ წაიკითხავ,
სიხარულს და ... თუნდაც სევდას,
არავის რომ განიკითხავ,
სათქმელს პირში რომ შებედავ.

ეყვარები ყველას ისე,
როგოც დედა სულიერი,
მათი დარდი გულს მისერს და...
ქონდეთ მრავალჟამიერი.

ყვავილებით აგერ ეთო,
შემეგება სულ ნარნარით,
გულში მინდა სანთლად მენთოს,
ეთო მზის სხივს მისადარი.

მოხდენილი და კოპწია,
რარიგ შვენის ღიმილები,
მზემ სხივები ჩამოწია,
დააფინა დილილმები.

მარი და გოჩა
(ჭაბუკაიძეს და გიგაურს)

კვლავ ნისლებია სევდიანობს დედა ბუნება,
ცა ტირის ისევ დედამიწას აწვიმს ცრემლებით,
მღერის ღვთის ხმები საქართველოს ებულბულება,
სალოცავად კი აღმართულა სულის ხელები.
მაინც იმედი, მაინც თმენა, რწმენა ღვთიური,
სადღაც ზეცაში მიმალული ვარსკვლანი მოსჩანს,
ყურში ჩამესმის რაღაც უცხო ხმა ზეციური,

დავაკვირდი და შეგიცანით მარი და გოჩა!

მარეხის და გიას

საამაყო

დისშვილს დინჯს და თანაც ჭკვიანს,
სიყვარულში გაუმართლდა,
მის მეუღლეს გია ქვია,
ზეცა ცოლ-ქმარს გრძნობით ნათლავს.
საამაყო წყვილმა შვილი,
ყველა კარგი გამოზარდა,
ყველა არის ტკბილზე - ტკბილი
მოვეფერო უკვე მზად ვარ .
არ აკლიათ განათლება,
არც მშობლებს და არც მათ შვილებს,
ვხედავ გული მინათდება,
რომ ვუყურებ თბილზე-თბილებს.
მათ ოჯახში სიწყნარეა,
მხოლოდ ჩურჩულს გაიგონებთ,
სულის ბაღში სიმწვანეა,
ბევრი იტყვის რა იშოვნეს.
არაფერი მხოლოდ გრძნობით,
ააშენეს მთვარის სახლი,
სულ სიფრთხილით გულის ნდობით,
გაყოლიან გრძნობის მარხილს.
სიოც ფრთხილობს არ იცელქოს,
ეფერებათ დღეს მათ დილაც,
სიმღერით მსურს დაიჭექონ,
ას წელს შეაბერდნონ ტკბილად!

თამუნა სხირტლაძეს

გლოცავ ბებიკო

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
როგორც მნათობი ხარ ისე თბილი,
ვცდილობ ბებიკო რით გაგახაროთ,
ხარ ჩემი გელას პირველი შვილი.
უკვე დედა ხარ ჩემო საუნჯევ,
ბექა გეზრდება ხვალის იმედად,
მე სიხარულით ლამის დავმუნჯდე,
ღმერთმა დედობა გამოიმეტა!

ნესტან (ვალიდა) ხარებავას

* * *

როგორ სათუთად შემოიჭერით ჩემს სამყაროში,
ჩუმად,სიდინჯით შემოუარეთ სუყველა კუთხეს,
თქვენმა მფარველმა ანგელოზებმა კვალი დატოვეს,
ჩემს ანგელოზებს საამებელი სიტყვები უთხრეს.
არა ცდებიან ბრძენნი,ამბობენ რომ შენნაირებს,
არ უჭირთ ცნობა შენი სამყაროს,სიღრმეშიც აღწევთ,
ტკბილად ჩამეღვარა, სიყვარულის ტალღები სულში,
ჩემდამი მოძღვნილ ლექსში ასე სათუთად რომ აღწერთ.

ირმა კეკელიძეს

სიმართლეა შენი ჰობი

სილამაზით ვარდსაც ჯობნი,
ჯავრობ ხშირად ერის ბედზე,
სიმართლეა შენი ჰობი
და ხოხობი გაზის მხრებზე.
თავდაბალო, უფლის გზაზე,
დადიხარ და სულსაც კურნავ,
ფიქრით აღწევ მთვარის კარზე,
იქ, გადაშლი დარდის ჟურნალს.
მოიკითხავ ზვიადის და...
ქართვლის ბედს კი დაუმალავ,
დუმს სიმარღლის წყვდიადი და...
მოღალატეს გულში კრძალავ.
ცრემლს ჩაყლაპავ მარილიანს,
ცას რომ ხედავ ერის შვილებს,
ტკივილები ძარღვს გიღრნიან
სამშობლო რომ გაგიშვილეს.
დილის რიჟრაჟს უჩურჩულებ,
ან რას ეტყვი ქართვლის ბედზე,
შესევიან ურჩხულები,
დარდობ, სულ არ გადაშენდეს!

ლია ალადაშვილს

ვინ დაიჯერებს

*

ჩემს სულში რომ დაფათურობ
რას დაეძებ ლია,
უნდა მოგესათუთო და...
დარდი მიაქვს ნიავს.
სიალალით პატივსა გცემ,
ნიეჭიერო ქალავ,
მეც იმედის კაბას გაცმევ,
ვამბობ, არცა ვმალავ.
შეიყუჟე ჩემს ფრთების ქვეშ,
არ შეგცივდეს კარგო,
გულს მოგირჩენ, გადაგარჩენ,
დარდიც გადავაგდოთ.
სიყვარული მამულისა,
რა რიგ გშვენის ლია,
გტანჯავს ფიქრი წარსულისა,
რა არ გაგივლია.
გულის ხანჯვლა და ღალატი,
სხვა ტკივილიც ბევრი,
ბედი იყო ის ჯალათი,
მამულისთვის მღერი.
შენი შვილი ვალერი და
სოფო, ლუკა, მარი,
არის გული წამალი და ..
არის შენი ფარი!

საამაყო დედაა თამუნა

ისეთი წმინდაა თამუნას სული,
როგორიც სპეტაკი ფიფქები,
ბედი რად არის გაყურსული
ხშირად ამაზე ვფიქრდები.
ქართველი ქალია, იტანს ყველაფერს,
ნოსტალგიას და ელის გაზაფხულს,
განვლილ ბილიკებს სიწმინდეს დააფენს,
უძლებს ტკივილებს, ბედისგან გამოხრულს!

მარი ლომუაშვილს

გიული ერგემლიძეს

ქალბატონო გიული

მე ვქმნი თვითონვე
მადლის სამოსელს
და სხვის უთქმელად
შევკერავ ხალათს,
შევქმნი ერთჯერ და
შევქმნი სამოცჯერ,
ჩემს გტკივილებს კი
ვფუთნი და ვმალავ.
ჩემი ხვედრია მეტკინოს სხვისი,
მახარებს მზე და მტკივა ქარებით
ყველას გონია გული მაქვს ქვისი,
ამიტომ გავხსენ ცისკრის კარები.
შენ ჩემო კარგო და უკარგესო,
რა იგრძენ ასე რომ მეფერები,
შენით ეგების სულს წავახემსო,
სევდა, სითბოთი შენაფერები!

ამორძალი

ქალის ღირსება სიბრძნის წყაროა,
დაეწაფე და გაუკვდავდები,
გონი ეს ისე მძიმე თაროა,
შეისწავლე და არ დამთავრდები.
ეს მზე ქალა კი საქმის გიდია,
მისი გონება ღრმაა ძალიან,
აყვავებულა როგორც შინდი და...
მარი ნამდვილი ამორძალია.
წლები კი ჩუმად ჩამიჩუმობენ,
მარი სიმშვიდის დარბაზიაო,
მზე და მთვარე კი ასე მსჯელობენ,
მგონი ეს ჩვენზე ლამაზიაო.

ერეკლე საღლიანი ბავშვებთან ერთად

ისტორიაა ეს კადრები

ჩაკეცილ ამ დროს გადაშლიან ვით წიგნის ფურცელს,
საქართველოში გაიზრდება გოგო და ბიჭი,
პოეტი ბავშვებს სიყვარულით როდესაც უცქერს,
არ მოვეფერო ამ კუდრაჭებს ძალიან მიჭირს.

ისტორიაა ეს კადრები საინტერესო,
გულს მიწებია ანგელოზნი პოეტ საღლიანს,
ეს სურათები მსურს მოგართვა უნეტარესო,
ხვალის დარდები ერის მწყემსო, ვეღარ დაგღლიან!

გულის ათინათებით

დაბადების დღეს გილოცავთ ქალბატონო მზია, აკადემიაში მიღებით და გულის ათინათებით. ბედნიერი იყავი პოეტო ქალბატონო.

ლექსით როგორ გაგაკვირვებ დედავ,
ზეციურო, მწვერვალს უკვე მიწვდი,
ეს, უბრალოდ თბილი სიტყვით კვებავ,
ჩემში ახლოს გულში განაწილდი.
მზის სხივები დავიწიე ციდან,
ვთხოვე მნათობს დღე რომ გაგიბრწყინოს,
შენთვის კარგო, სულ სიკეთე მინდა,
ემიგრანტო, მად არ მოიწყინო.
ხედავ მოგწვდი ფიქრის გემით კარგო,
საქართველოს გაცდა სიყვარული,
იქნებ სიტყვით შვება ოდნავ გარგო,
დაგიღამო ეს დღე სიხარულით!

ვალია კვაშილავას

ნატაშა გაბარაევა-ხარაიშვილს

ნაპოვარა

ნახევარი საუკუნე მიიწურა,
დაიწურა დარდით ნაგვემ- ნაცემი,
ფიქრის საბანს როცა მშვიდად წავიხურავ,
მოგონებას გავცრი წმინდა საცრით.
იყო წლები კვირტმოსხმული გაზაფხულის,
შემოდგომაც იყო ხვავის- ბარაქით,
ახლა ეს დრო სევდითაა გამოხრული,
წარსულის წლებს მოგონება დავარქვი.
იყო ძმობა, ხელგაშლილი მასპინძლობა,
ოსების და ქართველების ზეიმი,
ერთმანეთში გათხოვება კარგი რძლობა,
გთხოვ წარსულო ისევ ამოზეიმდი.
შვიდ მაისის ეკლესიის დიდ ეზოში,
იშლებოდა სალოცავში სუფრა,
შეგვიტყუეს სულ უაზროდ ძმათა ომში,
ან რა უთხრათ ცას რომ წავალთ უფალს.
დღეს ვიპოვნე ჩემი სისხლის მოზიარე,
ოს-ქართველა დედითა და მამით,
გმადლობთ ღმერთო სიხარულს რომ მაზიარე,
დღეს წარსული მესიზმრება ღამით!

დამიჯერე

კორბოულის ფიქრის გორას მივწვდი,
გორაძირზე დავუყევი აღმართს,
სუნი მეცა ჩემი კუთხის მიწის,
გამახსენდა ხვანიც, ჯალაურთაც.
კორბოულში ნათესავი ჩემი,
ბევრიც მყავს და ბევრიც გარდიცვალა,
ან ვინ არის ბოლოს აქ დამრჩენი,
შენ გამოჩნდი ჩემთვის ცისფერთვალა.
დამიჯერე შენში ვხედავ იმათ,
ბიძაშვილებს, ჭრელა-ჭრულა კაბით,
მოგონებებს ჩემს ბალიშზე ძინავს,
კვლავ ერთად ვართ დღისითა და ღამით.
კენჭიც მიყვარს, იმერეთის დარე,
მიყვარს ბუხრის გამომცხვარი მჭადი,
იმერეთში სხვა ფერია მთვარე,
ძირულის პირს მოგონება დადის.
პოეტური ლექსები კი მთებში,
აუ, რამდენს გაურითმავთ ადრეც
სიყვარული დავინახე შენში,
ლექსებით კი ვერხვებს შეგადარე!

საქორწილო მირზას

გაბედე მირზა

გაბედე შვილო თქვი ის სათქმელი,
რაც გულში დარდად შემოგწოლია,
გიდუღს გულმკერდში სისხლი ქართველის,
დუმილი გრძნობის მუდამ ნოლია
გაბედე თორემ წავა ის წლები,
ხოდაბუნებში გადაფრინდება,
ნისლის საბნის ქვეშ შენ ხშირად წვები,
ის ვინც წავიდა არ დაბრუნდება.
გაბედე მირზა ხედავ მერცხალი,
შენ გელოდება ჭიკჭიკს ვერ ბედავს,
წარსულზე შვილო, ნუღარ ცეცხლდები,
ბედი წინ გიზის და ვერა ხედავ!

გუჯა კილაძეს

ხაშურული ღიმელები

ლამაზ თვალებს მზის სხივები
დასთამაშობს ისე,
როვორც ღამეს ვარსკვლავები,
ცისარტყელას მისდევს.
მოციმციმე ვარსკვლავია,
მომავალი ხვალის,
პაპის კვალზე გაშლილია,
ბებოს ნატვრისთვალი.
კაცურ-კაცობს გუჯიკელა,
არ შეარცხვენს მამას,
უყვარს ბებოს ცისარტყელა,
გაჩენია წამლად.
შოთას წყაროს დილით დალევს,
საღამოთი ღვინოს,
ას წელს კაცურ-კაცად გალევს,
ვლოცავ სულ იცინოს.
ხაშურული ღიმილებით,
იცქრიალე ბიჭო,
არასოდეს დაიღლები,
პაპის სახლის ჭიგო!

თარგმანები

გულნაზ ხარაიშვილი ცისკარელი
Gulnaz Kharaishvili Ciskareli

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი – მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator, Philologist, poetess.

გული და უფალი

გულში ხარ, უფალო, არსადაც არ გეძებ,
სანთელიც ჩემს გულში ინთება სიწმინდით,
შენს იქით სიცოცხლეს, უფალო, ვერ შევძლებ,
გთხოვდი და ყოველთვის ლუკმას შენ მიწვდიდი.

მიყვარხარ, უფალო, იმედით შეგცქერი,
იმდენი მომეცი, სულს რომ არ შიოდეს,
გათენდეს, დაღამდეს დღე-ღამე შენ ფერი,
ჩემს გავლილ ბილიკებს მადლი რომ დიოდეს.

ბედისწერავ

გელოდები, ისე როგორც დილის ცისკარს,
დამიმშვიდე შფოთიანი დაზამთრება,
მე ხომ ყველას შვილებივით გულში ვიკრავ,
ეს სიკეთე რატომ მხვდება წარმართებად.

გელოდები, ნუთუ ერთხელ არ მეკუთვნის,
ბედისწერავ, რომ მეწვიო სახლში სტუმრად …
თუ სხვის ტკივილს მოვარჩენ და გულს შევფუთნი,
ამიხსენი, შენ რატომ ხარ ჩემთან უბრად.

გელოდები, ბედისწერავ, გამახარე,
ჯვარს გაკრული ჩემნაირად არვინ არის,
ქარი დაძრწის, ძველებურად დახარხარებს,
საიმედოდ შემომიღე დილით კარი!

MY HEART AND MY LORD

You are in my heart—no need to search for you.
A candle lit in my heart is sincere and pure,
Beyond you, my life doesn't make sense,
I begged, and you have been giving me bread.

I love you, my Lord; you are my hope,
Please give me so much, just enough for my soul,
Your kind day-nights to darken and dawn,
Let me, my Lord, my taken road with grace to pour.

DESTINY

I'm waiting for you like the morning break,
Could you calm my doom winter at my life's end?
I hold everyone in my heart, like my children,
But, somehow, my kindness ends in regret.

And anyway, didn't I deserve at least even once
To visit me at home and make me fortunate?
If I heal other's pains and wrap their hearts,
Please, explain why you can't be with me tolerant.

My destiny, I'm waiting to make me happy,
It is me only has been most crucified,
The wind still blows, like it was old times,
Please, open my door, and bring delight!

დავით გარეჯში

მარადისობის უმანკო სული,
ლუცი ფერები ჩანდა კანდელში,
მიმოვდიოდი ადრე წარსულში,
სიმშვიდე ვპოვე დავით გარეჯში.

უდაბნო თითქოს ზღვას მივამგვანე,
იშლება სივრცე და იკარგები,
სიმშვიდე სადაც არავინ გავნებს,
კლდეებს ეკვრები და ექარგები.

სასწაულები ვიხილე თვალით,
სინამდვილეა, არა ოცნება,
გადავიხადე ტკივილის ვალი,
ნაიარები ვგრძნობ მიხორცდება.

მისვლას ვჩქარობდი, მიმიხაროდა
და თითქოს ვფრენდი არ ვიცი რატომ,
მთას კლდე ეკიდა ხე არ ხარობდა,
წამოვედი და კვლავ მისვლას ვნატრობ.

უდაბნო სადაც მხოლოდ ქარია,
სამლოცველოა კლდეში ნაგები,
ყურს ჩამესმოდა სულის არია,
მე შევიგრძენი ძალა განგების!

IN DAVIT GAREJI MONASTERY

Pure, holy Spirit of Eternity and
The luscious fragrance in the candle,
I felt as if I walked in the faraway past.
I found such peace in the Gareji temple.

I resembled the desert to the open sea
You get lost as if in the immersed space,
The place where nothing can harm your peace,
You cling to the rock and embroider it.

I was part of yet unfelt miracles,
And it is reality, not a dream at all,
I paid all the debt of pain as if,
I felt I eased, and I defeated my grief.

I was in a hurry to come on time,
As if I was flying, and I don't know why?
The rock hung on the mountain was not a tree,
I left it but I long to come back again.

It is the desert, and there blows the wind.
Into the rock, there a chapel is built.
The first time I heard the aria of soul,
The first time I felt the power of Heaven!

ვის ვესაუბრო?

რამდენი რამე ვისაუბრე შენთან ძირულა,
რამდენი რამე გავიხსენე ჩემი წარსულის,
ჩემი ბავშობა ამ ტალღებში მიძირულა და...
რამდენი მზეა უბედობით ადრე ჩასული.

ვდგავარ იმ ხიდზე სადაც იყო ჟივილ-ხივილი,
ვდგავარ მარტოკა სად წავიდნენ ის ვინც მიყვარდნენ,
სად არის ლევი, რომ შვენოდა სახეს ღიმილი,
ძმადნაფიცები მისნაირად როგორ მიყვარდეს.

სად არის თამაზ, იუზა და ჩემი ბეჟანი,
ან ამირანი პატარა რომ ხელით დამყავდა,
დათამ დაგვხოცა ეს კი იყო სულის ჟეჟვა და...
იმ ბედისწერას, მზეჭაბუკი რატომ მიყავდა.

ვის ვესაუბრო ტირიფებსაც ცრემლი ჩამოსდის,
დუმს არემარე, უხმაუროდ გლოვობს გარდაცვლილთ,
ტყესაც კვირტები ძველებურად აღარ გამოსდის,
სად ხართ ბიჭებო, მთის კლდეებიც ყვირის დამარცვლით.

ცელქს და ონავარს ჩემს ბავშობას ისევ შევძახე,
ხითხით- ხითხითით, რომ მივდევდი ტალღის დინებას,
შენ ბედ- მსაჯულო, სიცოცხლე რომ ამიძანძახე,
რომც გარდვიცვალო, არასოდეს მოვალ წვიმებად.

WHO SHOULD I TALK TO?

How many things have I talked to you, my river?
How many things I remember from my childhood,
My past is raging in your waves, my Dzirula and,
How many suns have set early due to misfortune?

I'm standing on the bridge where we were cheering before,
I stand alone and wonder, where did those who loved me go?
Where is Levi with a marvellous smile on his face?
How can I love my adopted brothers as I love him?

Where are Tamaz, Yuza and my dear Bezhan?
Where is Amiran, carrying I and holding in my hands,
Datha's death destroyed us, and it was a soul-crushing event,
Why did his fate take him and leave us so orphaned?

Who can I talk to when even willows also shed tears?
It is silent, mourning for the dead, without words,
Even the forest doesn't grow buds like it used to,
Where are you guys? Even the rocks regret and mourn.

I yelled at my childhood again, restless and mischief,
Following the river flow as before with loud giggling.
You, judge of fate, you turn my life to hell,
Even if I die, I will never come back as rain.



ბესიკ ხარანაული

ალუბლის ხევ

ალუბლის ხევ, შეპარულო ბერ-მონაზვნის სამყოფელში,
რატომ უხმობ წმინდას წმინდა იმ სოფლიდან ამ სოფელში...
ნეტავი მან, მოუცლელი რომ ჰყუდია ცრემლმდინარი,
ლოცვებს შორის, ხატებს შორის, ერთხელ მაინც მოგკრა თვალი?

ავია და მწყრალია და ბერი სოფლის საცდურებთან,
ერთი თვალით, ერთი ფიქრით ჟამი მისი გაცუდდება.
ცულით ხომ არ გამოგენთო, მოძალადე რაკი გპოვა,
თუ სარკმელი ამოქოლა და ბილიკიც მიატოვა.

ალუბლის ხევ, შეპარულო, ბერ - მონაზვნის სამყოფელში,
რატომ უხმობ წმინდას წმინდა იმ სოფლიდან ამ სოფელში...
რომ დაისხი და დამწიფდი, როგორც ცოდვის სისხლი, მწველად,
ნუთუ ერთიც არ მოგწყვიტა, და ბაგე არ გაისველა.

ვის უნახავს მონასტერის კედლებს როგორ შუქით ავსებს,
ხატებს როგორ აელვარებს ხორციელი სილამაზე...
და რა ძალა უნდა გქონდეს და რა მტრობა ბევრზე ბევრი,
რომ ცოდვილად დაისახო ხორციელი უცოდველი.

რომ უდაბნოდ დაისახო ლურჯი ცა და მწვანე ველი,
და მოჰკვეთო სილამაზე, ვით ლაშქარი მწვალებელი.
ალუბლის ხევ, შეპარულო ბერ-მონაზვნის სამყოფელში,
რომ იწვევდი წმინდას წმინდა იმ სოფლიდან ამ სოფელში...

წელი მიდის სხვა ათასი და არ წყდება მაინც დავა,
რატომ უნდათ ერთმანეთი იმათ, ღმერთმა ვინც ასხვავა.
რატომ ხმება ზეზეულად უპასუხო სიყვარული
და ყოველწამს რატომ არის საუკუნო დასასრული.

რად იწყება კვლავ თავიდან სიყვარული მოძულეთა,
აქ ამბავი არვინ იცის, ვინც წავიდა, დარჩა ღმერთთან...
ალუბლის ხევ, შეპარულო ბერ - მონაზვნის სამყოფელში,
რომ იწვევდი წმინდას წმინდა იმ სოფლიდან ამ სოფელში...

Besik Kharanauli

CHERRY TREE

A cherry tree, sneaked somehow into the monk's home abode,
Why do you call the holy to holy from the one to another world,
I wonder if a head bowed monk praying kneeling, without a rest,
If he noticed you at least once amongst the prayers and icons?

He is wrathful and malicious with temptation, the world's misleading,
With one sight and with one thought, time will turn badly for him.
Did he chase you with his axe, finding in you a violent one?
Or he walled up, bricked the window, and after it, he left, too, the path.

A cherry tree in the monastery sneaked into the monk's abode,
Why do you call the holy to holy, from the one to another world,
That you bear fruits and scarlet, ripened like the blood of sinners,
He not peaked up even one and had not tested it even once?

Who has seen how the walls of the monastery filled with light,
How the beauty shines icons turning them embodied, live.
What power you must have and what enmity never-ending,
A sinless human as a sinner, to depict and to imagine.

To imagine the desert's blue sky and the beautiful immersed green field,
And cut down the beauty of it, like a poignant, agonizing.
A cherry tree from the monastery has sneaked into the monk's abode,
Been inviting a holy a sacred from beyond one to this strange world.

One more millennium ends, and the dispute is still not resolved.
Why do those attract each other whom God made different,
Why does unrequited, unanswered love withers and turn lifeless?
And why human life must have every minute the eternal end.

Why does it start from beginning haters' forgiving and love?
No one knows the story here; those who left stayed with God.
A Cherry tree grew in the monastery, sneaking into the monk's abode,
Inviting the holy a holy here to you from beyond the world.

ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე

კ ა ბ ა დ ო კ ი ა

იღვენთებოდა სანთლები კლდეში,
ქვიშას ერწყმოდა ცრემლთა ნაჟური,
ფრინველს დაედო ბუდე გუმბათზე,
მერცხლის ბარტყია ღვთისგან ნაპკური!
ვიდექი ქვაბულს, პარაკლისს აღვლენს,
ჩვენი მამაო, უფლის ჯვრით ხელში,
ვინ იცის ბოლოს, ვინ იდგა ტაძარს,
იქნებ გიორგიც იყო იმ მრევლში?!
დიდ წმინდანების სოფელს ვეწვიეთ,
გულანთებული მრევლი ნინოსი,
ხეობას კლდეში დედა ვიხილეთ,
ყრმა ჰყავდა ხელში - კაბით ტილოსი!
მადლიან მიწას, ნანატრ ოცნებებს,
ფრთები შეესხა, შევახეთ ხელი,
ეს არ ითქმება, არც იწერება,
ამბავი არის საოცრად გრძელი!
გორემეს გულში ქალაქი ვნახეთ,
მიწას ეჭამა ხორცი მავანის,
აქეთ და იქით ჩონჩხიღა დაგვხვდა,
იდუმალება ქვეშეთს სავანის!
წმინდა გიორგის საგმირო საქმე,
ცაში აზიდულ კლდეებს ამჩნია,
ჩვენცა გვაქვს კლდეში ნაკვეთი სული,
ჩვენი თამარი, ჩვენი ვარძია!
მესვეტის ღაღადს ისმენს უფალი,
აქვეა ვაზი მტევნებდასხმული,
გადაფოფრვია, ჩაკვრია ფესვებს,
სულ დაბლნარია, მიწას განრთხმული!
იდუმალებით სავსე ქვეყანა,
მიზიდულობის ძალა ართქმული,
მხურვალე ბერთა ცრემლთა დინებით,
ქვიშად ქცეულა მიწა ტანჯული!

Eter Gogeshvili-Isakadze

K A B A D O K I A

Candles were melting in the steep rock,
And tear seepage mixed with the sand,
A bird was chirping in the nest on the dome:
A swallow nestling - a gift of God!

I stood in the cave, in the chapel,
In front of the father, with the cross in his hand.
Who knows who stood last time at the temple,
Perhaps Georgie was also among them.

We visited the village of great saints,
Heartfelt parishioners, Saint Ninos nation.
We saw a mother in the rock in the valley,
Holding a child and dressing in linen.

To the gracious land, to longed-for dreams,
We feel, at last, and spread our wings.
You can't express it and either describe it,
As these emotions are profound and deep!

We saw the city in the heart of Goreme.
The soil had eaten some unknown flesh.
We found skeletons scattered around,
Mysterious underset of eternal rest.

You can feel Saint Georgie's heroic deeds.
You can see the rocks reaching the sky.
We, too, have a soul carved into the mount,
King Tamar! Wardzia - the city in stone.

The Lord hears a heart-touching plea of a monk,
Here are the vines full of grapes bunch,
They Spread roots deeply, cover and guard,
lying full length, prostrated on the ground!

A wondering land full of mysteries
And inexpressible gravity power.
The flow of monks' tears, a most ardent,
The suffering earth turned into sand.

სვანური ზღაპრები

გოჩა ჭელიძე

მუფუნჩხიელი

იყო ერთი ღარიბი კაცი; სახელად ქარვასრა ერქვა. თავსა და ცოლ - შვილს მარტო იმით ინახავდა, რომ ფიჩხებს აგროვებდა და ქალაქში ჰყიდიდა. ყოველ დილას ტყეში წავიდოდა ხოლმე, ფიჩხებს მოაგროვებდა, წაიღებდა ქალაქში, გაჰყიდდა, იმით ოჯახის სარჩოს იყდიდა.

ერთ დღეს ტყეში არის, საიდღაც კივილი მოესმა; ისე შეშინდა, რომ გაშეშდა. აცალა ცოტა და თვითონაც დაიკივლა. კიდევ მოესმა კივილი. სთქვა: რაც უნდა დამემართოს, წყეული ვიყო, თუ არ შევიტყო, რა არის, ასე რომ კივისო. გაჰყვა ხმას და თავს წაადგა ორს გველს: დიდი გველი დასცემია თავს პატარა გველს და ახჩობს. დაინახა თუ არა დიდმა გველმა ადამიანი, პატარა გველს მაშინვე დაანება. ამას, რასაკვირველია, ძლიერ გაუხარდა და უთხრა მუფუნჩხიელს, - რაც გინდოდეს მთხოვე და აგისრულებო. „კარგი, ერთი დამანებე თავი“, მიუგო კაცმა: „შენ რა გაქვს, რომ მე მომცეო“. მაშ, უთხრა გველმა: მე რომ მიწის ხვრელში ჩავძვრები, იცოდე, ნაჯახი დამკარი კუდზე, მომჭერი და შენი სახლის სვეტის ძირში შეინახე, გამოგადგებაო. სთქვა ეს და ხვრელში შეძვრა. მოუქნია კაცმა ნაჯახი და კუდი მოსჭრა, წამოიღო შინ, სვეტის ძირში შეინახა.

ამ ღამეს არაფერი: დილას რომ ადგნენ, დაინახეს, სვეტი თავიდან ბოლომდე თვალ - მარგალიტით არის მოჭედილი. მოვიდა მუფუნჩხიელი, ჩამოუსვა იქით - აქეთ სვეტს ცოცხი, ჩამოხვეტა თვალ - მარგალიტი, აიღო და ქალაქისკენ გასწია. ქალაქში იმდენი რამ იყიდა, რომ ყველა ნაცნობი გააკვირვა: ვინ მისცა ამ საწყალს ამდენი სავაჭროს ფასიო? ეკითხებოდნენ ერთმანეთს. სვეტი კი ყოველ დილას მოჭედილია თვალ - მარგალიტით. ისე გამდიდრდა ეს ღარიბი კაცი, რომ ტოლი არ ჰყავდა.

ამ ქვეყანას სცხოვრობდა ერთი ვაჭარი. შეეხარბა იმ კაცის სიმდიდრე და არ იცოდა რა ექნა. ერთ დღეს ვაჭარმა დაასაპალნა ოქროთი ასი ვირი, ასი ჯორი და ესტუმრა მუფუნჩხიელს. ვაჭარმა სთხოვა, თვალ - მარგალიტი გამიცვალე ოქროშიო. კაცი დათანხმდა: ვაჭრის მთელი ოქრო იყიდა, მაგრამ მის ქონებას დანაკლისი არც კი დაემჩნია. ვაჭარი უკან დაბრუნდა და ჰკვირობს, რამ გაამდიდრა ეს კაციო! ძალიან და გულით მოინდომა ამისი შეტყობა. იფიქრა, იფიქრა და ერთს მეცარ ქალთან წავიდა. უთხრა ამ ქალს: იმას თუ გამიგებ, მუფუნჩხიელი ასე რამ გაამდიდრა, რასაც მთხოვ, მოგცემო.

- ეს ადვილი საქმეაო, მიუგო მეცარმა.

ადგა ეს ქალი, ჩაიცვა დაკონკილი ტანისამოსი და გასწია მუფუნჩხიელის ცოლთან. მუფუნჩხიელს ნათქვამი ჰქონდა ცოლთან, რომ ყოველ გამვლელ - გამომვლელს ეპატიჟებოდეს და ასმევ - აჭმევდეს. ჩვენო, ეუბნებოდა ქმარი ცოლს, დიდი სიღარიბე გვაქვს გამოვლილი; იმ დროს ცოტ - ცოტას ყველა გვშველოდა; ღმერთმა ეხლა ჩვენც კარგი ცხოვრება მოგვცა და მოვალე ვართ, გაჭირვებულს ვეწეოდეთ. ვეხმარებოდეთ.

მეცარი ქალი რომ მივიდა მუფუნჩხიელის ცოლთან, ქმარი შინ არ ჰყავდა. მეცარმა ქალმა ჰკითხა, რამ გაგამდიდრაო?

- მაგისი არა ვიცი რაო.

- მაშ, უთხრა მეცარმა ქალმა, რაღა ცოლი ყოფილხარ, ქმარი მაგას თუ არ გეუბნებაო.

ადგა, ერთი კარიდან გამოვიდა და მეორე კარით ისევ სახლში შებრუნდა და ცოლ - ქმრის საწოლქვეშ დაიმალა. საღამოს მუფუნჩხიელი შინ მოვიდა. ცოლ - ქმარმა საჭმელი სჭამეს და დაწვნენ. ლოგინში ცოლმა ჰკითხა: ჩემო ქმარო, თუ გიყვარდე, მითხარი რამ გაგვამდიდრაო? ქმარი უარზე დადგა, რად გინდა, რა შენი საქმეაო, მაგრამ ცოლმა საშველი არ მისცა. ეჰ! სთქვა მუფუნჩხიელმა: ქალები ყვალაფერში სულწასულები ხართ, და ყოველივე უამბო. მეცარმა ქალმა ყველაფერი გაიგონა, ღამევე გამოიპარა, პირდაპირ ვაჭართან გასწია, თან ურჩია, მიდი და უთხარი იმ კაცს, რომ დაგენაძლიოს: თუ გითხრა თქო, რანაირად გამდიდრდი, შენს ქონებაზე ხელი აიღე და მე დამითმე, თუ ვერ მივხვდე, მაშინ ღმერთმა ჩემი ქონებაც შენ მოგახმაროს.

ადგა ვაჭარი და მივიდა მუფუნჩხიელთან, სთხოვა დავნაძლევდეთო. მუფუნჩხიელი რას იფიქრებდა, თუ ვაჭარმა რამე იცოდა იმისი გამდიდრებისა და დაენაძლევა. ვაჭარმა ყველაფერი უამბო და, როგორც პირობა იყო, მუფუნჩხიელის ქონებას თვითონ დაეპატრონა და ცოლ - შვილი სახლიდან გამოურეკა. შეეხვეწა მუფუნჩხიელი: ერთ თვეს მაინც დამაყენე ცოლ - შვილითო, მაგრამ ვაჭარმა ცივი უარი სტკიცა. მეტი ღონე არ იყო, გაშორდა ვაჭარს, ცოლშვილი ერთ მადლიან ოჯახს მიაბარა და თვითონ ქვეყნის მზესთან წასვლა გადასწყვიტა.

იარა, ერთ მინდორში მივიდა, ნახა ძუკნა ძაღლი ოქროს ტახტზე წევს, ლეკვები უნდა დაყაროს, წვალობს: არც რჩება, არც კვდება.

- სად მიდიხარ? ჰკითხა ძუკნა ძაღლმა.

- აქა და აქაო, უთხრა მუფუნჩხიელმა.

- აბა, გთხოვ ჩემი წვალების მიზეზიც მოახსენო და რამე გამიგო.

- კარგიო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია. ერთს ვაშლის ხესთან მივიდა. აიღო ერთი ვაშლი და უკბიჩა; ისეთი მწარე იყო, რომ ხახა გამოსწვა.

- ჰე! გახმეს შენი ძირიო, სთქვა მუფუნჩხიელმა.

- სად მიდიხარო? ჰკითხა ვაშლის ხემ.

- ქვეყნის მზესთანო.

- აბა, გთხოვ ჩემი საქმეც ჰკითხო. აი, ხედავ, რომ ყოველ წელს მასხია, მაგრამ ნამეტანი მწარე ვარ და შენ რომ დამწყევლე, ყველა ასე მწყევლის, ვინც კი ჩემს ვაშლებს იგემებს. რა მიზეზია, რომ ასე მწარე ვარ, ყველაფერი გამიგეო.

დატოვა ვაშლის ხე და გასწია. ერთ მწყემსთან მივიდა. ამ მწყემსს თავისი საქონელი მშვენიერ საბალახოზე გაუშვია, მაგრამ ისე მჭლედა ჰყავს, რომ ადგილიდან ფეხს ვერა სძრავს; სხვისი საქონელი გორ ადგილებზე ჰყავს და ისე სუქნად არის, რომ მეტი არ შეიძლება.

- სად მიდიხარო? ჰკითხა მწყემსმა.

- აქა და აქაო, მიუგო მუფუნჩხიელმა.

- აბა გთხოვ, ჩემი საქმისაც რამე გამიგო.

- კარგიო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია.

იარა, იარა და ერთ მრეცხელ დედაკაცთან მივიდა. დედაკაცი წყაროზეა; ფეხებამდე წყლის მაგიერ რძე მოუდის, ფეხებთან რომ მოაწევს, რძე სისხლად ექცევა.

- საით მიხვალ? ჰკითხა დედაკაცმა.

- აქა და აქაო.

- აბა შენ იცი, ჩემს ამბავსაც თუ ჰკითხავო.

- კარგიო, უთხრა მუფუნჩხიელმა და გასწია.

იარა, იარა და, როცა იყო, მივიდა მზის ბინაზე. მზე ამ დროს სანათებლად იყო წასული. მთვარე კი შინ დაუხვდა. მივარდა მუხლებზე მთვარეს, თავის გაჭირვება უამბო და სთხოვა, - მზესთან შემწეობა გამიწიეო. მთვარემ დააიმედა: ხელი ხელს იკრა და ეს კაცი სავარცხლად აქცია; აიღო და სახლის ჭუჭრუტანაში შედვა. საღამოს მზეც მოვიდა სახლში. დაღლილობა ეტყობოდა და მძიმედ დაეშვა თავის სავარძელში. ცოტა ხანს უკან სთქვა: როგორღაც ადამიანის სუნი მეცაო.

- რა გასაკვირველია, უთხრა მთვარემ, ესეც არის, ეხლა დაჰბრუნდი ქვეყნის მნათებისაგანო.

- ქვეყანას სხვა დროსაც ყოველ დღე ვანათებ, მაგრამ ჩემს სახლში ადამიანის სუნი ასე ძლიერ არასოდეს არ მცემიაო, სთქვა მზემ.

ამ დროს მთვარემ ხელმეორედ დაირტყა ხელი ხელს, სავარცხელი წუჭრუტანითგან გამოიღო, უცებ კაცად იქცა და მთვარე მზეს შეეხვეწა ამ კაცს დაეხმარეო.

- რა გაგჭირვებიაო? ჰკითხა მზემ.

კაციც მოჰყვა თავის გასაჭირს და შველა სთხოვა. მზემ მოუსმინა და უთხრა: ნუ გეშინია, შენს თხოვნას აგისრულებო. შენ წადი და დაენიძლავე ვაჭარს: თუ მზემ ხვალ აღმოსავლეთითგან ამოანათოს - თქო, მაშინ ჩემი და შენი საცხოვრებელი მე მომეცი, თუ არა და რაცა გაქვს, შენვე გქონდესო.

ადგა კაცი, მადლობა გადაუხადა და მოდის. კარამდე მივიდა და იქიდგან ისევ უკან დაბრუნდა. უთხრა მზეს: ერთი საკითხავი მაქვს და ნუ გამიწყრებიო.

- სთქვიო, უთხრა მზემ.

- შენთან რომ ბარად მოვდიოდი, ძუკნა ძაღლი ვნახე ოქროს ტახტზე იწვა, ლეკვები უნდა დაეყარა; არც კვდებოდა და არც რჩებოდა, რა მიზეზია, რომ ასე წვალობს და ვერ დაუყრია ლეკვებიო?

- მიზეზი ის არის, უთხრა მზემ, რომ ოქროს ტახტზედ მორჩენა ძუკნას არ შეშვენის, გადმოვიდეს იქითგან, ნაგავზე დაწვეს და მორჩება.

- ერთ ვაშლთან მივედი, ძლიერ ბევრი ესხა, ვაშლი მშვენიერი სანახავიც იყო, მაგრამ ისეთი მწარე იყო, რომ პირში არ ჩაიდებოდა, ნეტავი რა მიზეზია?

- ვაშლის ძირში ოქროს ზოდია დაფლული, ფესვები იმაზე აქვს გაშლილი და მწარეც იმიტომ არის; ამოიღოს როგორმე ის ოქროს ზოდი და ვაშლი გაგემრიელდებაო.

- ერთი მწყემსი ვნახე; თავისი საქონელი კარგს საბალახოზე გაუშვია, მაგრამ ძლიერ მჭლედა ჰყავს, სხვისი საქონელი გორს ადგილზე სძოვს, მაგრამ ძლიერ მსუქნად არის; ნეტავი რა მიზეზია?

- სხვისი საქონელი და მისი ერთნაირ საბალახოზე აძოვოს და მისი საქონელიც გასუქდებაო.

- ერთი მრეცხავი ქალი ვნახე ფეხამდე რძე მოუდის, ფეხთან სისხლად იქცება, ნეტავი რა მიზეზია?

- მრეცხავს უთხარი, რომ სხვისი სარეცხი უფრო კარგად რეცხოს, მინამ თავისი და რძე სისხლად აღარ გადაექცევაო.

დაუკრა თავი მზეს და გასწია. მოვიდა მრეცხავთან, უამბო რაც მზემ უთხრა; გამოუარა მწყემსს, იმასაც ყველაფერი უამბო; მივიდა ვაშლის ხესთან ასე და ასე საქმეაო. ამოთხარა კაცმა ვაშლის ძირიდგან ოქროს ზოდი და თან წამოიღო. მივიდა ძუკნა ძაღლთან, უთხრა ყველაფერი; ძუკნა ნაგავზე გადაათრია, მაშინვე დაჰყარა ლეკვები, ტახტი თვითონ წამოიღო და გასწია ვაჭართან. უთხრა ვაჭარს: დავნაძლევდეთ, თუ ხვალ მზე აღმოსავლეთითგან ამოვიდეს, ჩემი და შენი ქონება მე მქონდეს, თუ არა და ამ ოქროს ტახტსა და ზოდსაც შენ დაგილოცავო. ვაჭარს გაუხარდა, აღმოსავლეთიდან მზის ამოსვლა ვის გაუგონიაო და დაენაძლივა. მეორე დღეს მზემ მართლა აღმოსავლეთიდან ამოანათა. ყველა კვირობდა ამ ამბავს. იმ კაცმა ნაძლევი მოუგო და თავისი და იმისი ქონებაც დაიბრუნა.

ხაბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი

მფარველი ანგელოზი

სიზმარმა რომ შეაშინა,
ასე უთხრა დედამ ნიას:
– მფარველად გყავს ანგელოზი
და ნურაფრის გეშინია.
როცა მშობლებს დაუჯერებ,
ანგელოზიც ხარობს მაშინ,
მაგრამ არის მოწყენილი
თუ იქცევა ცუდად ბავშვი.
იმ დღის შემდეგ მოსვენება
დაეკარგა ციცქნა ნიას:
– ჩემს ანგელოზს რა აცვია,
ან რა ფერის თვალები აქვს?
დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს?
მის ბუმბულში ჩავრგავ სახეს,
ნეტავ მართლა ისეთია
ფრესკებზე რომ გამოსახეს?..
დედამ გულში ჩაიკრა და
ჩასჩურჩულა: – ჩემო ნია,
შენ როგორსაც წარმოიდგენ
ანგელოზიც ისეთია.

ჭიანჭველა

რა გამრჯეა ჭიანჭველა,
დააკვირდი თუ არ გჯერა.
ღონიერი საცეცებით
დააქვს პურის ნამცეცები.
მოიკიდა ზურგზე ტვირთი,
მის წონაზე ათჯერ დიდი.
დაბრკოლება, რაც კი ნახა,
მოკლე დროში გადალახა.

იცი, რატომ შრომობს ამდენს?
შემოდგომის დადგომამდე
იმარაგებს ზამთრის სარჩოს,
უსაქმურ კაცს რითი არ სჯობს?

თეთრი კნუტი

მომიყვანეს თეთრი კნუტი,
თეთრი, როგორც თოვლის გუნდა,
კუდს იპრეხს და თვალებს ნაბავს
მოფერება როცა უნდა.
ათამაშებს ძაფის გორგალს,
არ ჩერდება ერთი წუთით,
კარადიდან გადმოაგდო
საშაქრე და ნამცხვრის ყუთი.
ცელქობს ჩემი მეგობარი,
არ მოგვითმენს ამდენს ბებო,
გააფრთხილა: - ნუ მაწვალებ,
თორემ გარეთ გაგაგდებო!

მფარველი ანგელოზი

სიზმარმა რომ შეაშინა,
ასე უთხრა დედამ ნიას:
_ მფარველად გყავს ანგელოზი
და ნურაფრის გეშინია.
როცა მშობლებს დაუჯერებ,
ანგელოზიც ხარობს მაშინ,
მაგრამ არის მოწყენილი
თუ იქცევა ცუდად ბავშვი.
იმ დღის შემდეგ მოსვენება
დაეკარგა ციცქნა ნიას:
_ ჩემს ანგელოზს რა აცვია,
ან რა ფერის თვალები აქვს?
დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს?
მის ბუმბულში ჩავრგავ სახეს,
ნეტავ მართლა ისეთია
ფრესკებზე რომ გამოსახეს?..
დედამ გულში ჩაიკრა და
ჩასჩურჩულა: _ ჩემო ნია,
შენ როგორსაც წარმოიდგენ
ანგელოზიც ისეთია.

❤

ჭიანჭველა

რა გამრჯეა ჭიანჭველა,
დააკვირდი თუ არ გჯერა.
ღონიერი საცეცებით
დააქვს პურის ნამცეცები.
მოიკიდა ზურგზე ტვირთი,
მის წონაზე ათჯერ დიდი.
დაბრკოლება, რაც კი ნახა,
მოკლე დროში გადალახა.

იცი, რატომ შრომობს ამდენს?
შემოდგომის დადგომამდე
იმარაგებს ზამთრის სარჩოს,
უსაქმურ კაცს რითი არ სჯობს?

თეთრი კნუტი

მომიყვანეს თეთრი კნუტი,
თეთრი, როგორც თოვლის გუნდა,
კუდს იპრეხს და თვალებს ნაბავს
მოფერება როცა უნდა.
ათამაშებს ძაფის გორგალს,
არ ჩერდება ერთი წუთით,
კარადიდან გადმოაგდო
საშაქრე და ნამცხვრის ყუთი.
ცელქობს ჩემი მეგობარი,
არ მოგვითმენს ამდენს ბებო,
გააფრთხილა: - ნუ მაწვალებ,
თორემ გარეთ გაგაგდებო!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

ერი იწყებს ახალ მატიანეს,
მატიანეს მშვენიერს და წმინდას,
მოჩვენებითს ჟამი ატიალებს,
უკვდავებად რაიც ვერ გაბრწყინდა..
 უკეთურნი ვართ უფალო
ტანჯვაა ჩვენი ცხოვრება,
 მძიმე და მოსაწყენია,
რაოდენს გული ვატკინე,
 რამდენჯერ გული მტკენია...
უკეთურნი ვართ უფალო,
 ვით ნაბრძანები შენია,
ბოროტისაგან კეთილი
 მიტომ ვერ გაგვირჩევია.
თავი მართალი გვგონია,
 ყველაზე მძიმე რაც არი,
დაგვიწყებია, რომა ვართ
 მხოლოდ მიწა და ნაცარი,
მით სასოება ცხოვნების ჩვენში
 არის და არც არი,
რადგან ეკლებმა შეაშთვეს
 რწმენის ციური მარცვალი.
ღმერთო მაღალო მოგვხედე,
 გული აგვივსე ნათლითა,
შენ გაგვიშუქე სამყარო
 შენი ბრწყინვალე მადლითა,
რომ არ გვეწიოს წარწყმედა
 სიბნელითა და ავდრითა,
ვახაროთ სიყვარულის ხე,
 ვიდოდეთ მზითა და დღითა.

ერი ჟამთა ხსოვნაში...

ყოველთა ქართველთა
სინანულის, აღსარების,
შერიგებისა და სიყვარულის დღე
დღე უწმინდესის
აღსაყდრებისა 1999 წ. 25 დეკემბერი

ერი ჟამთა ხსოვნაში
ჩუქურთმებს რომ აქსოვდეს,
თავის თავის პოვნაში
ეს დღე უნდა ახსოვდეს.
...ის, რაც არის მთავარი,
ნურასდროს შეგეშლება,
გლოცავს ერის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება.
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან
აღთქვი საგალობელი.
ვიდრე არ ჩაკეტილა
ცის აღსავლის კარები,
იღვაწებდე კეთილად
მადლით ნანეტარები.
გულის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული.
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარმწყმედელი,
ურიცხვ მახის დამგები,
სულ სიავის მჭედელი.
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი, ბნელი ხარ,
ბინდში მყოფო, ცხოვარო,
ნათლის საპოვნელი ხარ.
...ის სჯობს ყველა საფიცარს:
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
_ ვყიდი ვარძიას,
_ ვყიდი ხერთვისს,
_ ვყიდი არხოტს და
_ ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,
მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკვთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
_ რა ლამაზი ვარ _ ფიქრობ სარკის წინ,
_ რა ლამაზი ხარ! _ გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? _ გაიფიქრებ და _
შენი მწიფობა იწყება ასე.
ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწევარი წვიმიან ნაკვლევს,
_ რა თვალები მაქვს? _ იფიქრებ ისევ,
_ რა თვალები აქვს? _ იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრალთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
_ როგორ მიხდები! _დახედავ კაბას,
_ შენ კი გამიქრი! _ გპასუხობს დედა!

* * *

სამოცს გადასცდაო, _
თქვა ერთმა დანანებით,
_ რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, _
თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
ღმერთმა აცხონოს, _
ჩაურთო მესამემ,
_ აპა, გვიჭამია ხაშლამა!
. . . . . .
წადი, გაასწარი ტყისკენ, გაასწარი
ჩემო სისხლისფერო მოზვერო,
ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

ნატვრა

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

დათო გამთენაძე



ნატვრა

მოციმციმე დილის ცვარი ვიყო მინდა,
ათასფერად გიქარგავდე მთას და მინდორს,
ასეთ ლამაზს და საყვარელს ჩემო მიწავ,
გულზე ფეხი აბა როგორ დაგაბიჯო.
შემკობილი საპატარძლო თითქოს მზის ხარ,
დღე და ღამე საალერსოვ, სანეტარო,
მოციმციმე დილის ცვარი ვიყო მინდა,
კაკალ გულში სიყვარულით ჩაგეღვარო!

ამ სილამაზეს მახატად ვაქცევ

ჩემი ოცნების მზე ხარ პატარა,
ჩემი სიცოცხლის ხარ გაზაფხული,
ბაღში ბულბულიც გადაიღალა,
ვარდების ცქერით და სიყვარულით.
ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
ბედნიერს მინდა მუდამ გხედავდე,
ცელქი ნიავი ჩიტების ჭიკჭიკს,
საჩუქრად გვიძღვნის კარგო მე და შენ.
ფეხქვეშ დაგიგებ მინდვრის ხალიჩას,
მზის სხივის გვირგვინს დაგადგამს თავზე,
შენი მშვენება რომ დარჩეს დიდხანს,
ამ სილამაზეს მახატად ვაქცევ.
განა ამ ქვეყნად ბევრი რამ მინდა,
მე სიყვარულის დიდ ნიჭს ვაფასებ,
ჩემი ლამაზი სამყარო წმინდა
შენი მშვენებით გაილამაზე.

შევრიგდეთ, ძმაო!

შენთან მომავალ ქარს ბარათს ვატან,
სანგარში ნაჭერს მეტად საჭიროს,
შეჩერდი წუთით, თუ მართლა ძმა ხარ,
არ მომჭრა თავი, არ შემარცხვინო.
მოდი,კვლავ შევსვათ ერთად ზედაშე,
სისხლი კი არა, ღვინო მწყურია,
რა გვაქვს სადაო, ძმაო, მე და შენ,
ეს მიწა ერთი დედის გულია.
თავზე ტყვიების წვიმა გადამდის,
რა დროს წერაა, რა დროს ლექსია,
დუმილისათვის სინდისი დამსჯის,
სიმარათლის თქმისთვის ტყვიებს მესვრიან.
მესტუმრე,ძმაო, ამ გულს გაგიშლი,
ნუ განაწილება შენი კვნესა მე,
მტერი გვიცქერს და ფიქრობს თავისთვის,
ვაცლი,ერთმანეთს თვითონ შეჭამენ.
შენთან მომავალ ქარს ბარათს ვატან,
ახლა ტყვიაზე უფრო საჭიროს,
შეჩერდი წუთით, თუ მართლა ძმა ხარ,
შევრიგდეთ მტერი არ გავაცინოთ.

მზეს უნდა ჰგავდეს შენი მიზანი

დანგრეულ კედლებს ხავსი რომ ფარავს,
ციხე -კოშკის თუ მონასტრებისას,
მკლავი მოხვიდე,როგორც მეგობარს,
იცი რა რიგად მონატრებიხარ?
დასიზმრებიათ ზარის წკრიალი
და მკერდში გული თუ კვლავაც გულობს,
მზეს უნდა ჰგავდეს შენი მიზანი,
დედასამშობლოს რომ ემსახურო.
ყური მიუგდე,ვით ბერ თევდორეს,
მიხვდი თუ რას გეჩურჩულება,
სადაც ბნელია,ბნელს შეებრძოლე,
ვერას დაგაკლებს ეშმას ცდუნება.
ახლა შენ გვიცქერს მშობელი მიწა,
ბატონ-პატრონი შენა ხარ რადგან,
თუ საჭიროა, უნდა დაიწვა,
როგორც სანთელი ღვთისმშობლის ხატთან.

კვლავ სიყვარულის ვიქცეთ დარაჯად

ძაღლიც კი არ ხევს თურმე ძაღლის ტყავს,
ჩვენ კი რა მოგვდის ნეტავ ქართველებს,
თუკი ერთმანეთს ჩვენ არ გავიტანთ,
მაშინ სხვა თბილ ხელს ვინ შეგვაშველებს.
მტრებმა სიცოცხლე ლამის მოგვისპეს,
გამოგვივლია ტანჯვა რამდენი,
მაგრამ გვქონია განა როდესმე,
უფლება ქართველს სულით დაცემის?
მიწას ცოდვილ ფეხს თუ დავაბიჯებთ,
ქურდობითა და მოძმის გაწირვით,
ცაში ვარისხევთ უფალ მამაღმერთს-
გელათში კვნესის მეფე დავითი.
ნუთუ გონების კარი ჩავრაზეთ,
საქმეს ვეღარ ვცნობთ ცუდსა და გმირულს,
რა პირით შევხვდეთ სამას არაგველის,
მამულისათვის მსხვერპლად შეწირულთ.
თავს ნუ შევირცხვენთ, თქვენი ჭირიმე,
კვლავ სიყვარულის ვიქცეთ დარაჯად,
ნაღდ ქართველს მკერდით დააქვს პირიმზე
და თუ მოვკვდებით, მოვკვდეთ ლამაზად.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 45-48-ში)

* * *

მეორე და მესამე დღეს ვნებები შედარებით დაცხრა. მსოფლიო მიხვდა, რომ ტერორისტები მძევლების ცოცხლად შეჭმას არ აპირებდნენ.

მოლაპარაკებები კი გრძელდებოდა ხან მრგვალ, ხან კი სულაც ოთხკუთხედ მაგიდასთან. მეოთხე დღეს ტერორისტებმა ნორვეგიელები გაათავისუფლეს. ტყვეებმა არცთუ დიდი ხალისით მიიღეს თავისუ ფლება. ერთმა მათგანმა გამოსვლისას იკითხა კიდეც, ხომ არაფერი დაგვიშავებია, ასე რომ გამოგვყავითო“.

ნორვეგიელებს ყველაფერი ეადვილებოდათ. რას წარმოიდგენდნენ ისინი, მსოფლიო პოლიტიკოსების რა ძალისხმევით და რაოდენ დაძაბული მოლაპარაკებით იქნა მიღწეული ტერორისტების ხელიდან მათი დახსნა და ზუგდიდში კვლავ „გაეროს ოფისში“ დაბრუნება.

„დაძაბული მოლაპარაკებები“ გრძელდებოდა.

მსოფლიო ზანზარებდა.

– ვერ გავიგე, მართლა ასე გიჭირთ მაგნების დაჭერა? რათ უნდა ამ ამბავს ამხელა ამბავი, – განუცხადა ერთერთი „დაძაბული მოლაპარაკების“ შემდეგ უშიშროების პოლკოვნიკს აგენტმა ციმინტიამ. ჟდანოვის ქუჩის მკვიდრს, ყოფილ დისიდენტს, აწშემორიგებულ ციმინტიას ძირითადად მეზობლების თვალთვალი და დასმენა ევალებოდა – დავიკავებთ მე და ორი ოპერმუშაკი აპარატებს ხელში. ვიტყვით, ტელევიზია ვართო, შეგვიშვებენ ხელად და დავაპატიმრებთ ხუთ წუთში ყველას, – ამას ციმინტია საოცარი თვითდაჯერებით ამბობდა.

– ხოხ, შენ მიხვდი და ჩვენ ვერ მივხვდით ამას, ციმინტია. წადი ახლა, შეაყოლე აქედან და არ დაგინახო ჯიხაშკარში ამოსული. შენი ტვინი ასი წელი ვერ გაიგებს, რა ხდება აქ და რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო, – მშვიდად მიუგო პოლკოვნიკმა და კარისკენ მიუთითა.

ტერორისტებს გამთენიისას ძილი ერეოდათ ხოლმე. მაშინ ესებუა ჩეხს მიაჩეჩებდა ავტომატს და სთხოვდა, თუ ძმა ხარ, ცოტა თვალს მოვატყუებ, ფანჯარასთან დაჯექი და თვალი ეზოსკენ გეჭიროსო.

ურუგვაელს რატომღაც არ ენდობოდა. სადილტრაპეზი ძველებურად მხიარულ, „გულთბილ ატმოსფეროში“ (დიპლომატიური ტერმინით) მიმდინარეობდა.

რამდენჯერმე ალყის პოლიციელებიც მიიპატიჟეს სადილზე. პოლიციელებს თავპატიჟი არ გაუდვიათ. ავტომატები ბუხართან მიაყუდეს და სუფრას მიუსხდნენ. დალევით კი ღვინო არ დაულევიათ, ტყუილს ვერ ვიტყვი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ვსვამთო, აცხადებდნენ.

მეოთხე დღეს „დაძაბული მოლაპარაკების შედეგად“ ურუგვაელი გაათავისუფლეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გულწრფელად ითხოვა: თუ შეიძლება ორი დღე კიდევ დამტოვეთო. ჩემი ხელისუფლება მძევლად ყოფნის ექსტრემალურ სიტუაციაში დღეში ორი ათას დოლარს მიხდის და ორი დღის პატიმრობის ფული მაკლია ურუგვაიში საკუთარი ვილა რომ შევიძინო. ახლა ცოტა შელანძღულ ბინაში ვცხოვრობ ჩემი ცოლით და ორი ქალიშვილითო.

გოგონების სურათი ამჯერად ჯიბიდან არ ამოუღია.

ესებუამ მცირე ყოყმანის შემდეგ ურუგვაელის თხოვნა დააკმაყოფილა.

მეექვსე დღეს ესებუამ გაანდო ჩეხს, რომ, მიუხედავად ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემისა, არ სურდა სამართალდამცავ ორგანოებს ჩავარდნოდა ხელთ და გაქცევას აპირებდა. თუ გაქცევის დროს მესროლეს და მომკლეს, დედაჩემს გადაეცი, რომ მისი ლეჩაქი არ

შემირცხვენიაო. ჩეხმა ცრემლმორევით აღუთქვა, რომ მის სურვილს შეასრულებდა, თუმცა სიტყვა „ლეჩაქის“ მნიშვნელობა მთლად კარგად ვერ გაიგო.

გამთენიისას, როცა იარაღში ჩამჯდარი, ნაბადმოსხმული ესებუა ყველას ემშვიდობებოდა, ჩეხმა მძევლისთვის სრულიად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო:

პროჟექტორით განათებულ გასაპარ ბილიკზე ორნი გამოჩნდნენ. ჩეხს ხელი გადაედო ესებუასთვის და ორივენი მდუმარედ, შეთანხმებული ნაბიჯით მიაბიჯებდნენ ტყისაკენ.

უშიშროების პოლკოვნიკს ცრემლი მოადგა. ახლა მას უკვე შეეძლო თამამად ეთქვა, რომ უცხოელის გვერდით მიმავალ ტერორისტს ვერ ესროდა დამკვირვებლის სიცოცხლის უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა, მაპატიოს უშიშროების მთელმა სამსახურმა თუ მკითხველს საიდუმლოდ გავანდობ, რომ ესებუასთვის სროლას პოლკოვნიკი მაინც არ აპირებდა. იგი, თუ მაინცდამაინც, სამჯეროთხჯერ ჰაერში ისროდა და მერე იტყოდა, დავაცილეო.

კიდევ ერთი უჩვეულო რამ მოხდა იმ დღეს: ჩეხს დამიხედე, ძვირფასო მკითხველო, ჩეხ დამკვირვებელს, ორმეტრიან ვაჟკაცს – იანოშ პუჩეკს.

ესებუა რომ სამშვიდობოს დაიგულა, გამოემშვიდობა და... ხომ შეეძლო ალყის გარეთ „გაეროს“ მანქანისკენ წასულიყო, მოტრიალდა, თეთრი რიდე ჯოხის თავს მიამაგრა და მეგონა მარღიას სახლისკენ წავიდა.

აქაოდა, იქ კიდევ დარჩა „ტერორისტი“, იქნებ, მე რომ გარეთ დამიგულებენ, სახლზე მიიტანოს იერიში პოლიციამ და ვინ იცის, რა მოხდებაო.

ასე დამთავრდა ტერორისტობის ისტორიაში ეს უცნაური ტერორი, ძვირფასო მკითხველო.

***

ხუთივენი კედლის გასწვრივ, გისოსებიან ფანჯარასთან ისხდნენ. პოლიციის მორიგე ნერვიულად ათამაშებდა მაგიდაზე თითებს და მხოლოდ ელიავას აძლევდა შეკითხვებს, თანაც, აშკარად ჩანდა, რომ დრო გაჰყავდა და შეკითხვებსაც დაბნეულად, როგორც იურისტები იტყვიან ხოლმე, „საქმესთან“ დაუკავშირებლად სვამდა. აღელვებას ვერ მალავდა. წამდაუწუმ რეკავდა მობილური ტელეფონი და პოლიციის მორიგე მხოლოდ „დიახ, დიახ, გასაგებიას!“ ჩასძახოდა, სხვას არაფერს. კარებთან ორი ავტომატიანი ოპერი იჯდა.

– მაშ, გოგოსთან მიდიოდით თბილისში? – მორიგემ ისევ ელიავას მიაპყრო მზერა, დანარჩენებს თითქოსდა ვერც ამჩნევდა.

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. ყველაფერი კარგად იცით თქვენ. კი არ მივდიოდით, ვიყავით უკვე და უკან მოვდიოდით, – თქვა ელიავამ და განზე გაიხედა.

– სად იყავით, თბილისში?

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. იცით თქვენ, რომ თბილისში არ დაგვჭირდა ჩასვლა. გზაში დამელაპარაკა მობილურით ჩემი გოგო, მოვდივარ სენაკში, რაფში ვზივარო.

– მერე? ჰკითხავდით სად იყო. დახვდებოდით გზაში და გადმოსვამდით ბავშვს თქვენთან.

– სწორედ მასე ვაპირებდით, იცით თქვენ კარგად, მარა გაგვასწრეს ქუთაისისკენ და აგერ, ოთხი საათია თქვენთან ვზივართ, რაღას დავეწევით აწი.

– სხვაგან არსად შეგივლიათ?

– იცით თქვენ ძალიან კარგად, სადაც შევიარეთ, მაგაშია საქმე. ნუ გეჩვენებათ და გესიზმრებათ, ბიჭო, ყველაფერი.

– მე შენი „ბიჭო“ არ ვარ.

– შენზე უფროსი ვარ და არც ზვანია მაქვს შენზე ნაკლები. იმიტომ გაკადრე „ბიჭო“მეთქი. ბოდიშს ვიხდი, თუ გეწყინა.

– ბოდიში არ უნდა მაგას.

ელიავას სიბრაზისაგან ნაცრისფერი დაედო, ხვდებოდა, რომ მასპინძელი ამრეზილად უყურებდა და სიტყვებზე წამოკიდებას უპირებდა.

– შენ, თუ ძმა ხარ, შარზე ხომ არ ხარ დღეს? – სიჩუმე დაარღვია კაკომ, – რას გვემართლები, ვერ გავიგე, იარაღიო და დაგიწყვეთ მაგიდაზე, ტელეფონზე დამალაპარაკე შენი უფროსებიმეთქი და ჩემი უფროსები შენ არ დაგელაპარაკებიანო. რა გინდა, მითხარი, ერთი კაცურად.

– მე არაფერი მინდა, შენ რა გინდა? – ხომ გითხარით, დაბნეული ჩანდამეთქი მორიგე.

– მე რა მინდა და ჩემს სახლში მივდივარ და გამიშვი სახლში, თორემ სანანებელი გაგიხდება ეს ოთხი საათი, მითქვია მე შენთვის.

– კაცო, შენ ვისთანაც გაგსვლია დამუქრება, იმას დაემუქრე. სხვაგან თუ შეიარეთმეთქი, გეკითხებით ადამიანურად და მიპასუხე.

– რა არის ეს, ბიძია, დაკითხვაა? – მწარედ გაეღიმა ელიავას.

– შენი „ბიძია“ არა ვარ მე.

– დაკითხვაამეთქი? მოქალაქე პოლიციელო, დაგვაპატიმრეთ უკვე?

– მიპასუხე, მაინტერესებს, იცი შენ, რომ მე არ გადავწყვეტ შენი დაპატიმრების საკითხს.

– კიდევ კარგი, თუ მაგდენი იცი. შოთა ქვირაიასთან გამოვიარეთ მცხეთაში, რაკი მეკითხები, ესეც გეცოდინება, ალბათ.

– რა გინდოდა ქვირაიასთან?

– კიტრი და პამიდორი მოუწევია წელს ბევრი და მოკრეფაში დამეხმარეთო, დაგვიბარა.

ხუთივემ ერთხმად, სინქრონულად გაიცინა. შავი, უკან კისერთან ჩაშვებული კუდიანი ბერეტები უხდებოდათ. ხუთივეს მზისგან გარუჯული სახეები ჰქონდა. იდაყვამდე სახელოგადაკეცილი, მსხვილი მკლავები მაგიდაზე ეწყოთ.

– იცინეთ, იცინეთ... ვნახოთ, ბოლოს ვინც გაიცინებს.

– არ მინდა ახლა, ეს ლაპარაკი მინდა მეე? გავუარეთ ბავშვობის ძმაკაცს, სახლიკაცს, სენაკელს. როდიდან არ შეიძლება ქვირაიასთან მისვლა?

– რაზე ილაპარაკეთ?

– რაკი ამდენი იცით, ესეც გეცოდინებათ, ალბათ, და ნუ გვაწვალებთ, მოგვეცით ჩვენი ლაპარაკის შიფროვკა და მოგიწერთ ხელს. არაფერი არ ყოფილა იქ, მაინცდამაინც, თქვენთვის საინტერესო.

– საინტერესო რა არის, იცით? ტყუილი არ უნდა იკადრო ამხელა კაცმა. არაფერი თბილისში არ მიდიოდით თქვენ, ესაა მართალი.

– რა იცი შენ, მოქალაქე პოლიციელო, რომ არ მივდიოდით?

– ხუთი კაცი ძლივს იყავით ჩაკვეხებული მაგ „ვოლგაში“ და გოგოს სად დატევდით, საკითხავია. ელიავამ ამ შეკითხვას არ უპასუხა. მაგიდიდან სიგარეტი

აიღო, მოუკიდა და მაღლა ააბოლა.

კარი გაიღო და პოლიციის პოლკოვნიკი კალაძე შემოვიდა.

ელიავა კალაძეს კარგად იცნობდა. ორი წლის წინ მასთან მოლაპარაკების დროს გუბერნატორს და უშიშროების მინისტრს ახლდა. მაშინ მოლაპარაკებამ გაჭრა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მე მგონი, ცუდად არ დამიმახსოვრებია თავი მისთვის. პატივისცემის მეტი არაფერი გვახსოვს ერთმანეთისაგანო, გაიფიქრა ელიავამ და კალაძის მისვლა გულწრფელად გაეხარდა.

დაკავებულებიც და დამკავებლებიც – ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

– გამარჯობა თქვენი, – ყველას ხელი ჩამოართვა პოლკოვნიკმა და პოლიციის უფროსის სავარძელში მოკალათდა, პოლიციის მორიგე კი მარცხენა მხარეს კედელს აეკრა.

დაბრძანდითო, ყველანი დასხდნენ.

– რა დასაპატიჟებელი ხალხი შეგროვილხართ აქ დღეს,

– სხვა დროს ამ ხუმრობაზე გაეღიმებოდათ მაინც, მაგრამ ახლა წარბიც არავის შეუხრია.

– რამ შეგაწუხათ, კაკო? – მიუბრუნდა ელიავას ისეთი ყურადღებიანი მეზობლის სახით, საუბარს რომ შემთხვევით შემოესწრო და ზრდილობის გამო უკან ვეღარ გაბრუნებულა.

– ა, გეტყვიან ესენი, – კაკომ პოლიციის მორიგეს საჩვენებელი თითი დაუმიზნა.

– რამე სერიოზულია? – ახლა მორიგეს შეხედა კალაძემ.

– იარაღის უკანონოდ ტარება და კიდევ რაღაცრაღაცები,

– მორიგემ იფიქრა, ვაი, თუ მართლა არ იცის პოლკოვნიკმა ოპერაციის დეტალებიო.

– თუ შეიძლება, მარტო დამტოვე ამ ბიჭებთან, დაგიძახებ თხუთმეტ წუთში, – „სთხოვა“ კალაძემ მორიგეს და როცა ეს უკანასკნელი გავიდა, ორ „ოპერსაც“ ანიშნა – თქვენც, თქვენც... გარეთ მოიცადეთ.

ელიავას ცუდად ენიშნა ეს „გარეთ მომიცადეთ“.

– კაკო, მე მეგონა, ყველაფერი გარკვეული გქონდა შენ, ჩვენთანაც და ხელისუფლებასთანაც, – პოლკოვნიკი საკუთარ ფრჩხილებს დაჰყურებდა, თითქოსდა, ერთხელ კიდევ სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ათი თითი ჰქონდა. არც მეტი და არც ნაკლები.

– ვერ გავიგე? – კითხვა შეუბრუნა ელიავამ.

– ხომ გარკვეულიამეთქი ჩვენი ურთიერთობა.

– რა მქონდა მე, თუ ძმა ხარ, თქვენთან გასარკვევი და საკამათო. თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ და მე – ჩემს საქმეს.

– ხანდახან ორივენი ერთ საქმეს ვაკეთებდით, მეგონა მე. ასე იყო, თუ არ ვცდები, შეთანხმება.

– კი, მეც ასე მეგონა შიგადაშიგ, მაგრამ არ ხართ თქვენ ის ხალხი, ქვეყნისთვის საწმოხონო რამეს რომ გააკეთებს. ასე არის ეს. არ გამოდექით ის ხალხიმეთქი.

– რაო, შე კაცო, შარშანწინ ასე არ ლაპარაკობდი, ახლა რა ბუზმა გიკბინა?

– ჩემზე არა მაქვს მე ლაპარაკი. მე რომ განწირული ვარ სიტყვით თქვენგან, ეს კარგად იცით თქვენც და მეც.

– რატომ, კაკო, რატომ?

– რატომ და რაც შეგეძლოთ აქამდე, თავსლაფი მასხით. ელიავა ჩვენი კაცია, ელიავა ჩვენი აგენტია, შეგზავნილი გვყავს მოძრაობაშიო... მაგრამ, კიდევ კარგი, არ დაიჯერა ხალხმა.

– რა „ჩვენი“ და რა „აგენტი“. ჩემზე ადრე იყავი შენ ორგანოში, კაკო.

– მე იმ ორგანოში ვიყავი, რომელიც ხალხის არჩეული პრეზიდენტის გვერდით იდგა. მე იმ ორგანოში ვიყავი, აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ იბრძოდა, იცი შენ ეს ძალიან კარგად.

– მე მაინც არ უნდა მითხრა ეგ ამბები, კაკო. გაიხსენე კარგად. იქვე, გვერდით გეჯექით შენი და გახოკიძის ლაპარაკის დროს.

– მერე? რაში შევთანხმდით, თუ გახსოვს. მე ვუთხარი, მე ჩემს გზას არ გადავუხვევ. მე საქართველოს ერთგული ვარ და ვინც საქართველოსათვის იზრუნებს, იმასთან ვიქნები, ჩემი გუშინდელი მოსისხლეც რომ იყოსმეთქი. ვკითხოთ თუ გინდა, გახოკიძეს. სხვათა შორის, გახოკიძე პატიოსანი კაცია.

– ჰოდა, გამარჯობა შენი, რაც შემოგვირიგდი, შენთვის ხომ რწყილი არავის აუფრენია. გადიგამოდიოდი, შე კაცო, როგორც გინდოდა. ხან ტყეში იყავი და ხან ქუჩაში.

– არ მინდა ახლა მე ეგ ლაპარაკი. იცით თქვენ ყველაფერი კარგად. რომ გავდიოდი და გამოვდიოდი, დავაშავე რამე? კაცი მოვკალი ან გავძარცვე? დავარღვიე ჩვენი პირობა?

– მითხარი, თუ გაგიგონია სადმე სხვა მთავრობა, დღისითმზისით უკანონოდ იარაღასხმულ ხალხს რომ აპარპაშებდეს აქეთიქით.

– ჯერ ერთი, თქვენ გადასახადის ამკრეფს აძლევთ იარაღს და ჩემი იარაღი რა გაგიკვირდათ? ვისაც გინდათ, კანონიერ ფორმირებას ეძახით და ვისაც გინდათ, უკანონოს. ომის ვეტერანთა კავშირი ვართ ჩვენ. იმ ომის კი არა, ორმოცდაათი წლის წინ რომ იყო, ამ ომის ა, გუშინ დედა რომ გვიტირა რუსმა გადამთიელმა და აფსუა მამაძაღლმა და დღემდე რომ არ გათავებულა. იცით თქვენ, რატომ გვიჭირავს იარაღი ხელში.

– რატომ?!

– არ მინდა ეგ ლაპარაკი. რატომ და, ჯერ ერთი, აქ, ალაგობრივად ნამეტანი რომ არ გაუვიდეს თავს უკანონო ხელისუფლებას და, მეორეც, ხვალ და ზეგ რომ აფხაზეთში წასვლა იქნება, ხელკეტებით ვერ გადავალთ, კარგად იცით ეს. გვაქვს, ნუ გეშინია, ამის გაკვეთილი.

– რას ჰქვია უკანონო ხელისუფლება?

– რას და რუსის ტანკებით რომ შემოვა რუსთაველზე და კანონიერ ხელისუფლებას რომ დაამხობს.

– იმის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტი და სამჯერ – პარლამენტი. ისევ გამსახურდიას მისტირი? რა დროს გამსახურდიაა, არ მეგონე ბრმა ზვიადისტის დონის კაცი შენ, კაკო, გეუბნები პირდაპირ.

– ზვიადი რაც იყო და რაც არის ქართველი ხალხისთვის, თქვენ ეს კარგად იცით და იმიტომ გეშინიათ მისი. მკვდრის გეშინიათ, თქვე კაი ხალხო. დავაყენოთ ზვიადი საფლავში და სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მეათეჯერ გეუბნებით; გავჩუმდი, არ ამოვიღე ხმა და ჩემი სიჩუმის გამო ბევრჯერ დავისაჯე.

– რით დაისაჯე?

– რით და კარგად იცი შენ; ხან შემორიგებული მეძახეთ და ხან შეგზავნილი. მე ჩუმად იმიტომ კი არ ვიყავი, რომ მეშინოდა თქვენი. ჩუმად ვიყავი იმიტომ, რომ გაცალეთ, იქნებ მართლა კეთილი განზრახვით მოვიდნენმეთქი.

– რა შეგვატყვე ცუდი განზრახვის?

– არ მინდა ახლა ეგ ლაპარაკი, იცით თქვენც კარგად. საქართველოს დასაღუპავად ხართ მოსული, იცის ეს უკვე ყველამ. ველარ დამალავთ, რაც უნდა მოინდომოთ.

– მაინც? მაინც?

– რა „მაინც“, შე კაი კაცო. დააქციეთ ქვეყანა. შეაჭამეთ მტერს. ყველას ქართველისთვის აჩაჩქუნებინეთ თავში – ყველა მომხვდურს და ნაძირალა სტუმარს. დაამშიეთ, დააშინეთ, დაადედლეთ ხალხი. აღარაფრის თავი აღარ აქვს. სალოცავად არ უშვებენ კათალიკოსს ქართულ სოფელში და იმის მაგივრად, რომ ოცეული მაინც გაგზავნოთ და თავპირი დაუმტვრიოთ გათამამებულ ხულიგნებს, ბებიათქვენის უკანალში მიძვრებით. ვერ დავინახე მე, რომ ქართველი ხალხის დამცველი მთავრობა ხართ თქვენ.

– აბა, ვისი დამცველი და პატრონი ვართ, კაკო, შენი ჭკუით?

– რა ვიცი, ეშმაკის. მე თქვენი ჯინი რატომ მექნება, ამხანაგები ხართ ჩემი, მარა, მითხარით, ამიხსენით, ხალხი არა ხართ? ერთი გაკეთებული საქმე მაჩვენეთ თქვენი და არ ამოვიღებ ხმას. იქნებ აფხაზეთი დაიბრუნეთ, იქნებ სამაჩაბლოში შეუშვით იქიდან გამორეკილები. იქნებ ლუკმაპური გაუჩინეთ ხალხს. მითხარით ერთი საქმე და, კი ბატონო, მინავათი ვიქნები.

– ყველაფერი ერთბაშად რომ არ კეთდება, იცი შენ.

– რას ჰქვია ერთბაშად. მალე ათი წელი გახდება ,რაც თქვენ ხართ. კიდევ კარგად მოგითმინათ ხალხმა.

– აბა, რას აპირებ ახლა?

– დავჯდებით, ვილაპარაკებთ. რასაც გადავწყვეტთ, იმას ვიზამთ. თქვენი მოთმენა რომ აღარ შეიძლება, კარგად იცით თქვენ.

– კი ბატონო, ნუ მოგვითმენთ. კაი ჩიტი დაგაჭერინა შენ ერთხელ მაგ „ვერმოთმენამ“. ტყვილად ჩაყარე ის ბოვშვები და შენ ტყეში დურთე თავი.

– არ გინდა ეგ ლაპარაკი. ტყვიას რომ არ გესვრით, იცით თქვენ კარგად. ქართველი კაცის სისხლს არ დავღვრი მე.

– აბა, რას იზამ?

– არც მაშინ დამიღვრია, შენ რომ სხვის ნათქვამს იმეორებ. მოვილაპარაკეთ, შემოვტრიალდით და ზურგში გვესროლეთ. ჩვენ არ აგყევით, ყაზარმაში შემოგვსდიეთ და უდანაშაულო ბიჭები დაიჭირეთ, ეგ იყო სულ.

– აბა, რას აპირებთმეთქი, მაინტერესებს ჩემთვის.

– თუ ხალხის ნება იქნება, მოვალთ ყველანი ერთად, დავდგებით უთოფოდ თქვენ წინ და გეტყვით, გეყოფათ ახლა და წაით, სანამ თავკისერი მთელი გაქვთმეთქი.

– იცი შენ, არავინ რომ არსად წამსვლელი არ არის და ისიც იცი, შეშინებით რომ ვერავის შეაშინებ, ამიტომ, სჯობია, დაუწიე ფიტილს ცოტა.

– რად გვინდა მე და შენ ეგ ლაპარაკი. მადლობა ღმერთს, გუშინდელი არც ერთი არ ვართ, – ელიავამ ხმას დაუწია – მე და შენ ხომ პირნათელი ვართ ერთმანეთთან. ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის პირადად?

– არა.

– ჰოდა, მომეხმარე, გამიყვანე აქედან, სირცხვილია, დამამცირებელია ჩემთვის, რომ თითქმის ხუთი საათი ჯიბის ქურდივით პოლიციის სამორიგეოში ვზივარ. გამიშვით სახლში და ხომ არსად გავრბივარ. ხვალ, ზეგ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ. როგორც აჯობებს, ისე გადავწყვიტოთ. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, თქვენც კარგად ხედავთ. მთლად ბოლომდე ნუ იმასვუზამთ ხალხს თავზე.

კალაძემ გულის სიღრმეში უთანაგრძნო კიდეც „ლეგალურ ყაჩაღს“ (ასე ეძახდნენ ხოლმე სადამსჯელო უწყებებში ირონიულად). ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვდა ელიავა, დღეს შინ გამიშვით და ხვალ ვილაპარაკოთო.

– კაკო, – ათიოდე წუთის შემდეგ ხვნეშით დაიწყო პოლკოვნიკმა კალაძემ. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და ელიავას თვალებში არ უყურებდა – სამწუხაროდ, მარტო ჩემზე აღარ არი დამოკიდებული თქვენი გაშვება, თორემ ჩემდათავად, ვინ მამაძაღლი გაგაჩერებდათ. კაცურად გეუბნებით და უნდა დამიჯეროთ. მე უკვე ვნანობ, აქ რომ მოვედი.

ელიავა წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. რკინის გისოსი ხელით მოსინჯა, ჯერ ქვევით, ეზოში ჩაიხედა და მერე ზევით აიხედა.

– რაღაცას ცუდს მეუბნება გული. რამე ფარცაგი ხომ არა აქვთ ჩაფიქრებული, შენ გე-

ცოდინება. ვინ მოუყარა ამდენ ხალხს თავი, გავსებულია ეზო.

– რა უნდა ჰქონდეთ ჩაფიქრებული?

– რა ვიცი, პრავაკაციაზე არ წავიდეს ვინმე.

კალაძემ მიკიბულმოკიბულს დუმილი არჩია.

– ერთს ვიტყვი მე. შენც რომ შენს სინდისთან მართალი იყო და ამ პოლიციის ბიჭებმაც უფროსებთან სირცხვილი არ ჭამონ, ერთი რამე მოვიფიქრე, – თქვა ელიავამ და პოლკოვნიკს გამჭოლი მზერა ესროლა.

– რა სირცხვილზეა ლაპარაკი?

ელიავამ გაიცინა.

– ხომ შეიძლება, ნაბრძანები ჰქონდეთ, არ გაუშვათო. ვიღაცას ხელს აძლევს, როგორც ჩანს, ჩვენი დაპატიმრება, თორემ აქამდე გაგვიშვებდნენ.

– რა მოიფიქრე? – კალაძემ განზე გაიხედა.

– შენ ვითომ მძევლად აგიყვანეთ, უკანა კარებიდან გავალთ. ჩავსხდებით მანქანაში, მიგვაცილებ ცხენისწყლამდე და გადავკოცნით ერთმანეთს. სხვა გამოსავალს ახლა ვერ ვხედავ!

ელიავამ ეს ბოლო ფრაზა ისე კატეგორიულად თქვა, რომ კალაძე მიხვდა, კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ამბოხებული კოლხის თვალებიდან გადმოსახტომად შემართული ავაზა იმზირებოდა.

...ორიოდე წუთში საიდუმლო რაციამ ეთერში ასეთი დიალოგი გაიტანა:

„– გესმოდათ, ბატონო?

– კი. რა მოუვიდა, თუ იცი?

– აშკარაა ყველაფერი.

– რა არის აშკარა?

– რასაც აპირებს. არ გათეთრდება ყორანიმეთქი, ადრეც ვამბობდი მე და ახლა მთლად გადასულა ჭკუიდან.

– რა ვიცი... კაკოს ცხრა პარასკევი აქვს. იქნებ, ცოტა კიდევ წავიმუშავოთ.

– სამწუხაროდ, წამუშავება აღარ გაჭრის. ხომ ხედავ, ისედაც ბევრი გითმინეთო.

– ნუ მოითმენს აბა და ამტვრიოს კაკალი.

– ეგ ახლა უფრო საშიშია, ბატონო, ვიდრე თქვენ გეჩვენებათ. როგორი იქნება დავალება?

– მე... მე რა დავალება უნდა მოგცეთ. თაგვმა რომ დანა გამოთხარა, ისე ჭირს მაგას.

– როგორ ვიმოქმედოთ, წუთები წყვეტს საქმეს. კალაძე მძევლად აიყვანეს და უკანა კიბით ჩაჰყავთ.

– იმოქმედეთ ისე, როგორც ამ დროსაა აუცილებელი და დასაშვები. მე მეტს ვერაფერს გეტყვით!“

დიალოგი შეწყდა. ეთერში სიგნალის ნაცნობი ტუ...ტუ... ტუ... ტუ... გაისმა.

***

პოლიციის უკანა კარებთან დამშვიდობების ქართული ცერემონიალი გაიმართა.

ელიავა ჩქარობდა, მაგრამ ისე არა, რომ მასპინძლებს მისი მღელვარება შეემჩნიათ.

– კარგად აბა... კარგად იყავით... შევხვდებით ჩვენ კიდევ... რასაკვირველია... თქვენ წინ დაბრძანდით... დაბრძანდით, დაბრძანდით... სტუმარი კაცი ხართ...

ელიავამ კალაძე წინ გაატარა. მარცხნიდან ორნი ჩასხდნენ. გვილავა მძღოლის გვერდით აპირებდა დაჯდომას და ელიავას ელოდებოდა. ელიავამ მანქანის ღია კარს ხელი შეახო და ჩხაკანზე განზე გახტომას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

– არ ქნათ ეს! – ძლივს მოასწრო და ზურგიდან თითქოს მეხი მოასკდა, ელვის ნამტვრევები ანათებდნენ უკუნეთს. ავტომატის გრიალი ყურის ბარაბანს გლეჯდა.

იქნებ გვილავას მაინც ააცილონო, ეს გაიფიქრა წამის მეათასედში, მაგრამ თვალი ჰკიდა, როგორ ჩაიკეცა მის წინ ფართობეჭება გვილავა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნატალია სამუშია

„საოცარი ისტორია"

(ნამდვილი ამბავი)

– სამსახურში იყო ლილიკო, ტელეფონმა რომ დაურეკა.

– გისმენთ, უპასუხა მან.

მოესმა სახლის მეპატრონის ხმა, სადაც ლილიკო ქირით ცხოვრობდა.

– ისევ გაიმეორა ქალმა...გისმეთ, სინან აბი (ძმაო)ხომ მშვიდობა გაქვთ?

კი, კი მშვიდობაა ნუ გეშინიათ, ერთი ქართველი ქალი მოვიყვანე სამუშაოდ, ენა არ იცის და მინდოდა დალაპარაკებოდი.

– დახ, მიეცით ტელეფონი უთხრა;ლილიკომ და დაელოდა.

– გისმენთ, გაისმა ძალიან წყნარი და ნაზი ხმა, გამარჯობათ მე ლილიკო ვარ,

აი იმ ბინაში ვცხოვრობ მეც,

ნუ გეშინიათ, კარგი ადამიანია.

თქვენ,თქვენ საიდან ხართ? შეეკითხა უცხო ქალს და შეჩერდა.

– მე ბათუმიდან ვარ, ნია მქვია, დამსამებელმა კი ამ კაცთან მომიყვანა.

– ნუ გეშინიათ იქ ყველა ქართველები ვცხოვრობთ, ყველა მაგის დასაქმებულები ვართ, თან ყველას გვპატრონობს აუხსნა ლილიკომ მერე მოუბოდიშა სამუშაო მაქვს ბევრიო და ტელეფონი გათიშა. ცოტა იჩქარა საქმის მოლევა და სახლში გაიქცა.

– სახლში რომ მივიდა მარტო იყო ნია, სინან აბი კი ბალკონზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

– მიესალმნენ ერთმანეთს გოგოები, მოიკითხეს მერე კი კუხნაში შეიყვანა ახალმოსული ქალი მშიერი იქნებით ახლა ცოტა რაღაცა მიირთვით, ჩაიც დააყენა. მერე გოგოები რომ მოვლიან ყველა ერთად დავჯდებით უთხრა ლილიკომ და თან ჩაი დაასხა ნიასთვის, თავისთვის და სინან აბისაც მიართვა.

– მერე კი მიუჯდა ნიას გვერდით და ჰკითხა, აბა მომიყევი რა სამუშაოს შეგპირდნენო.

– რესტორანში ჭურჭელს გარეცხავო, უპასუხა ნიამ.

ხელფასი რამდენი გითხრეს?

ათასორასი ლირა იყო პასუხი.

დიახ ასეა ყველა ასე ღებლობს იქ მომუშავე გოგოები, მერე გაწყობს ეს ხელფასი ნია?

– კი, როგორ არ მაწყობს მე ენა არ ვიცი და სხვა რა უნდა გავაკეთო.

– კარგით ჩემო კარგო მაშინ მე ახლა ვეტყვი ამ ადამიანს და ხვალ დილით წახვალ სამუშაოდ, როგორც ყველა.

– იქ ყველა ქართველები მუშაობენ, იმხელა რესტორანია მარტო ჩვენი ბინიდან ათნი არიან, ასე რომ არაფერი გაგიჭირდება უთხრა ლილიკომ.

– გაუხარდა საცოდავ ქალს მარტო არ ვიქნებიო და ლილიკოს გადაეხვია.

– ღამის ათი საათიდან დაიწყეს მოსვლა გოგოებმა,

ახმაურდა სახლი ყველა მიესალმა ახალ მოსულს გაიცნეს ერთმანეთი,

დასაწოლი ადგილიც აჩვენეს და ასე გახდა ნაც მათი ოჯახის წევრი.

– ნიას ძალიან განსხვავებული ცხოვრებით უცხოვრია, ის ქართველი მუსლიმანი იყო. ცოტა ადრე გაუთხოვებიათ, მის მეუღლეს ცოლი ყოლია მაგრამ შვილი არ გაჩენიათ, ამიტომ ნია კუმად ე.ი. მეორე ცოლად მიუყვანიათ ოჯახში.

თან კანონიერ ცოლად ითვლებოდა ორივე.

– სახლში დამხვდური ქალი თან ყვებოდა თურმე ახალ მოყვანილ ნიას, ის უფროსი იყო და ამიტომ გოგოსავით ეფერებოდა .ასე დამეგობრდნენ ორივე, უერთმსნეთოდ ნაბიჯს არ დგამდნენ, ნიამ ორი ბიჭი გააჩინა, ორივე ფატმანმა გაუზარდა.

ერთი ღამეც არ გაუთევა ნიას შვილებისთვის ამიტომ ფატმანს დედას ეძახოდნენ ბიჭები.

კაცი კი ერთი კვირა ერთ ქალთან იყო, მეორე კვირა მეორესთან .

– გაიზარდნენ ბიჭები...

ცხოვრება შეიცვალა, გარდაიცვალა ოჯახის უფროსი და დარჩნენ ქალები მარტო და ორი დასაქორწინებელი ბიჭები.

– დაიწყო ოჯახმა მატება, ბიჭები დაქორწინდნენ,გაჩნდნენ პატარები, ერთმანეთს ეხმარებოდნენ შრომობდნენ და ოჯახს არჩენდნენ.

– ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა ერთი ბიჭის ცოლი მშობიარობას გადაყვა, დარჩა პატარა ჩვილი უდედოდ.

ახლა კი ნიამ გამოიღო ხელი უვლიდა შვლიშვილს, პატარა სულ ძუძუს ეძებდა, ტიროდა მთელი ღამეები და ნიამ ერთ საღამოს თავის ძუძუ ჩაუდო პატარა მოწოვდა და დაიძინებდა.

– და მოხდა სასწაული ბებიას რძე ჩაუდგა დედობამ გაიღვიძა მასში, მის მერე პატარას ერთი არ უტირია. ეს ვისაც გაუგია ყველა ამ სასწაულის სანახავად მიდოდა.

ასე გაზარდა ნიამ ბავშვი.

მართლა სასწაული იყო, რადგან ნიას არცერთი შვილისთვის ნაჭმევი არ ქონდა რძე,ისინი ხომ მეორე ქალთან იზრდებოდნენ.

– ბებიამ სამი წელი ასე გაზარდა შვილიშვილი.

– მოკლედ ეს იმიტომ მოგიყევით რომ გაგეცნოთ ნიას ცხოვრება სანამ სტამბოლში ჩამოვიდოდა.

– დავბრუნდები ახლა სტანბოლში....

ნია ძალიან დინჯი, გაწონასწორებული ქალი იყო, მის ხმას ზედმეტად არ გაიგონებდი. ასე და ამგვარად შეეგუა ნელ-ნელა სამუშაოს და ახალ გარემოს ნია. ერთად მიდიოდნენ და ერთად მოდიოდნენ ყველა. ამასობაში დრო გავიდა,ცოტა ენაც ისწავლა, ცხოვრობდა როგორც სხვები. ასე გადიოდა დღეები, თვეები, ერთი სიტყვით მოსწონდა იქ მუშაობა.

– ერთ საღამოს ცოტა ადრე მოვიდა ნია სამსახურიდან, მას ლილკო დახვდა სახლში. მარტო მოსული რომ დაინახა ნია გაუკვირდა და შეეკითხა...

ხომ მშვიდობაა ასე ადრე რატომ მოდი, ხომ არავინ გაწყენინა?...

– არა შენი სულის ჭირიმე, თავი მტკიოდა,მიტომ ვითხოვე და წამოვედი უასუხა ქალმა .

თავი არ აუწევია ზევით ისე საწოლს მიაშურა და ჩაწვა.

ლილიკომ მიუტანა წამალი და წყალი დატოვა ოთახში მარტო, მოიხურა კარი, მაგრამ წინათგრძნობა კარნახობდა ლილკოს რომ რაღაც ხდებოდა,იმ წუთში აკრიფა ნომერი და რესტორანში დარეკა უფროს შეფთან და შეეკითხა, შვილო ხომ არ გამოგიგდიათ ნია სამსახურიდან?

– არა, აბლა (დაო)ცოტა შეუძლოდ იყო და ზაზამ წაიყვანა მოტორითო, უპასუხა ახალგაზრდა შეფმა. დაფიქრდა ქალი რაღაც ხდებაო და დაელოდა გოგოების მოსვლას.

– იმ საღამოს გვიან მოვიდნენ გოგოები,იმ წუთში ლილიკოც შეყვა ოთახში მათ აბა რა ხდებოდა.

– რა მოხდა? ესმის ჩურჩლი ლილიკოს. თამარი ეკითხება ნიას ზაზამ მოგიყვანა? დიახ მან მომიყვანა უასუხა ქალმა. ამასობაში ლილიკო მივიდა მათთან ახლოს და ეკითხება;რა ხდება გოგოებო? არა არაფერიო უპასუხა თამარმა.

– ასე დაიწყო ნიას საოცარი ისტორია სტანბოლში.

ზაზას ნამდვილი სახელი მისი (მუსტაფა)იყო მაგრამ ასე ეძახოდნენ რელიგიიდან გამომდნარე.

– ზაზა 27 წლის მაღალი, ლამაზი ქურთის ბიჭი იყო, რომელიც მოტორზე მშაობდა იქ რესტორანში, რომელსაც შეკვეთები დაჰქონდა სახლებში. ეს ბიჭი და ნია ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ყველა ხვდებოდა რაღაც რომ იყო მათ შორის, მაგრამ არც ლილიკოს და არც სინან აბის არავინ უმხელდა ეშინოდათ რომ ბინიდან არ გაეგდოთ ნია.

– ერთ დღეს ლილიკო მოვიდა სამსახურიდან ადრე მივიდა სახლის პატრონთან და თხოვა, აბი წავიდეთ რესტორანში გოგოებს მოვინახულებ თან საჭმელი შევჭამოთ ერთადო, ჩასხდნენ ტაქსში და მივიდნენ რესტორანში, ისეთ ლამაზ ადგლზე იყო აშენებული მთელი ათაშეჰირი მოჩანდა,ულამაზესი ვებერთელა ბინებით, მართლა ულამაზესი სანახაობა იყო.

კუხნიდან შევიდნენ შიგნით ლილიკო და სინანი, ყველა ფეხზე ადგა და მიესალმნენ მათ, ორივეს ძალიან აფასებდნენ.

ლილიკო უცებ მის ქართველებთან გაიქცა მოიკითხა მერე მიიხედ მოიხედა და ნიას რომ ვერ მოკრა თვალი არავისთვის არაფერი არ უთქვამს ისე გარეთ გავიდა სადაც ულამაზესი ფანტანების ეზო იყო გაკეთებული მაგდები და სკამები იდგა. გაიხედა და ხედავს ერთმანეთს ისე ჩახუტებია ორ ადამიანი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ. ახლოს მიიწია ლლიკომ და იცნო ნია და ზაზა. ჩუმად მოტრიალდა და ისევ კუხნაში შევიდა, შეჩერდა მერე კი გოგოებს კითხა ნია სად არისო. ნაგავის გადასაყრელად გავიდა მოვა მალე უპასუხეს მათ ამის თქმა და ნიაც შემოვიდა მიესალმა ლილიკოს თავი დახარა და ემჩნეოდა ლოყები როგორ აუწითლდა. ის ლლიკოზე დიდად უფროსი იყო მაგრამ მისი ძალიან ერიდებოდა რადგან ლილიკო სამართლიანი და ერთგული ადამიანი იყო.

– როგორ ხარ ნია? შეეკითხა ლილიკო.

– მადლობა არა მიშავს უპასუხა ნიამ თავაუწევლად, რადგან მას უნახავს ლლიკო როგორ შევიდა კუხნაში და თვალებს ვერ უსწორებდა.

– დაელოდა ლილიკო გოგოებს და იმ საღამოს ყველა ერთად წავიდნენ სახლში. გაიშალა პურმარილი, ყველა მიუჯდა სუფრას და დაიწყო ქეიფი როგორც ყოველთვის, დაღლილზე აცილებლად იცეკვებდნენ, იმღერებდნენ ასე იმშვიდებდნენ გულებს.

ნია კი იჯდა ჩუმად, არ უჭამია და არც უცეკვია. ამას რომ შეხედა ლილიკომ მივიდა და თხოვა ოთახში გაჰყოლოდა, რა თქმა უნდა უპასუხა ნიამ და ორივე ერთად გავიდნენ, ჩამოჯდა ორივე ლილიკოს ლოგინზე ორივე ისე ჩუმად იყო ბუზის ხმას გაიგონებდით, ისევ ლილიკომ დარღვია სიჩუმე

– ნია მომიყევი რატომ ხარ ასე,რა ხდება?

– ნიამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო მოყოლა, რომ ის არასოდეს ყოფილა ბედნიერი, რომ გასაყოფი ქმარი ყავდა, რომ ერთი კვირა უნდა ეცადა მისთვის რომ მოფერებოდა და ყველაფერი ის რაც ზემოთ მოგიყევით ნიას ცხოვრებაზე,მერე ერთი წუთით შეჩერდა თვალი თვალში გაუყარა ლილიკოს და კითხა...მეც ხომ მაქვს უფლება რომ ბედნიერი ვიყო? ამ კითხვას არ ელოდებოდა ლილიკო შეცბა და უპასუხა...

რა თქმა უნდა გაქვს ჩემო ნია, შენც და ჩვენ ყველა ქალს გვაქვს უფლება რომ ვიყოთ ბედნიერები, მაგრამ ვერ გავიგე ეს რა შუაშიაო ჩააჯინდა ქალი.

ლილიკო შენი სულის ჭირიმე,

მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, კი მართალია ჩემი, ტოლი არ არის მაგრამ მის გვერდით პატარა გოგოსავით ვგრძნობ თავს. ის ისე მექცევა სხვანაირად არ შემიძლია რომ ვიყო, ნუ გამკიცხავ მაგრამ მიყვარს და ვიცი რომ მასაც ვუყვარვარ აგრძელებდა ნია ლაპარაკს, ლილიკო კი უსმენდა და ხმას ვერ იღებდა.

ხედავდა რომ ნიას თვალები ბედნიერებისგან უბრწყინავდა,დამუნჯდა თითქოს

იცოდა ამას რაც მოყვებოდა, კი არ იცოდა გრძნობდა, ბოლოს შეაჩერა ნია ჩაეხუტა და უთხრა, მესმის შენი ჩემო კარგო, მესმს გიყვარს ბედნიერი ხარ მაგრამ ხვალ და ზეგ ეს ბიჭი წავა მის რაიონში ცოლს მოიყვანს, მაშინ შენ რას იზამ? უფრო არ გაგიჭირდება?

– ნიამ აწია შეწითლებული თვალები ისევ ჩახედა ლილიკოს და უთხრა:

სანამ ვარ ბედნიერი მინდა დავტკბე ცხოვრებით, ამიტომ გთხოვ დამეხმარე ჩემო გოგოვ.

გთხოვ სინან აბიმ არ გამაგდოს ბინიდან მე არ ვარ ცუდი ქალი, უბრალოდ შემიყვარდა,ჩაეხუტა ლილიკოს და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– არ იცოდა რა ექნა ლილიკოს როგორ მოქცეულიყო,ძალიან შეეცოდა ეს ყურებამდე შეყვარებული ქალი, რომელსაც პატარა გოგოსავით ლოყები აწითლებული ქონდა, ცოტა ხნის დუმილის მერე აზრზე მოსულმა ლილიკომ უთხრა, კარგი ნია დაწყნარდი არავინ გაგაგდებს მაგრამ ამ ჭიშკართან არავინ მოვიდეს, ყველამ იცის აქ ქართველები ქალები ცხოვრობენ და აქ დაამთავრეს ლაპარაკი .

– გადიოდა თვეები, ერთი წელი გავიდა ნია თავს ბედნიერად გრძნობდა, ბინიდან ზაზასთან გადაბარგდა, მის მერე არც ლილიკო მოუკითხია და არც სახლის მეპატრონე. ლილიკო

გოგოებიდან იგებდა რომ ის კარგად იყო.ასე გავიდა ორი წელი და მოხდა ის რისიც ყოველთვის ეშინოდა და ეფიქრებოდა ლილიკოს.

ქურთებმა რომ გაიგეს ზაზას მასზე ძალიან დიდი ხნით უფროსი ქალი უყვარდა და ბინაშიც ერთად ცხოვრობდნენ, ატყდა განგაში.

შეატყობინეს მშობლებს და იმ დღიდან ზაზა გააქრეს სტანბოლიდან.

– ნია დარჩა მარტო, ყველამ ცუდი თვალით დაუწყო ყურება, ტიროდა განიცდიდა თურმე,სამსახურიდან დაითხოვეს.მერე კი გოგოებს დააბარა ლილიკოსთან მიშველეთ სინან აბიმ ბინაში შემიშვასო,იმიტომ რომ იქ უკვე მისი გაჩერება შეუძლებელი იყო.

– გაჯიუტდა ბინის მეპატრონე. უარი თქვა ნიას მიღებაზე, ასეთი ქალი სახლში არ მინდაო გაიძახოდა.

ლილიკომ მოიკრიბა ძალა და გოგონებთან ერთად დადგა სინანის წინ და უთხრა თუ ნიას არ შემოუშვებ ჩვენც გავდივართო, უპასუხოდ დატოვა კაცმა გოგოები და გარეთ გავიდა.

– ერთი კვირა დღე იყო, ლილიკო ისვენებდა ზარმა დარეკა გაიხედა და ნია იდგა კარებთან დასუსტებული, განადგურებული და აკანკალებული,ის მას შველას თხოვდა გული შეეკუმშა ლილიკოს მისი ქართველი ქალი ამ დღეში რომ დაინახა მოხვია ხელი გულში ჩაიკრა და სახლში შეიყვანა, ამშვიდებდა ნუ გეშინია რომ მოვა სინან აბი და გნახავს იმედია გული მოულბება, ბოლოს და ბოლოს ხომ არ მოგვკლავს,ისიც ადამიანია,

მართლა საღამოს რომ მოვიდა სინანი და დაინახა ნიას მდგომარეობა შეიცოდა და დატოვა მათთან. წავიდა გახარებული ქალი და იმ დღესვე გადმობარგდა.

– უშოვეს სხვა სამუშაო იქვე ახლოს სასადილოში კუხნაში.

დაიწყო მუშაობა ნიამ დილას მიდიოდა და საღამოს მოდიოდა უთქმელად ხმას არ.იღებდა .დღითი დღე თვალსა და ხელს შუა დნებოდა ქალი. დროს რომ იხელთებდა ლილიკოს ეხვეწებოდა იქნებ მოძებნო ზაზას ნომერი და გაიგო შენ ყველა გაფასებს და მოგცემენ დაველაპარაკოო, ტიროდა პატარა ბავშვივით, ხომ კარგად არის ის მაინც გამიგე ემუდარებოდა ნია.

– დაიღალა ლილიკო, თან დაიტანჯა ნიას საცოდაობით და გადაწყვიტა დაერეკა რესტორნის მეპატრონესთვის.

დარეკა თუ არა იმ წუთში უპასუხა მემედმა. გისმეთ აბლა (დაო)ხომ მშვიდობა გაქვთ,დიახ მშვიდობაა მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან შვილო უთხრა ლილიკომ. მთხოვე რაც გინდათ აუცილებლად გაგიკეთებთ ტკბილად უპასუხა ბიჭმა. ზაზას ტელეფონი მინდა უთხრა ლილიკომ და გაჩუმდა, ცოტა ხანს გაჩუმდა მემედიც მაგრამ ბოლოს უთხრა იცით მე თქვენ ძალიან გაფასებთ და უარს ვერ გეტყვით, საღამომდე გავიგებ, ოღონდ გთხოვ სხვას ნურავის ნუ მისცემთ,თხოვა ბიჭმა, არა არ იჯავრო შვილო დაყვავებით მიმართა ლილიკომ და მადლობა გადაუხადა.საღამოს კი მიიღო ზაზას ტელეფონის ნომერი მაგრამ არავისთვის არ უთქვია ისე წავიდა მეორე დილით სამსახურში.

მივიდა თუ არა ლილიკო სამსახურში იმ წუთში აკრიფა ნომერი და დარეკა, ზაზამ უპასუხა ის თურმე ელოდებოდა მის ზარს როგორც კი გააგონა თხოვა აბლა მაცალეთ ერთი წუთით სხვაგან გავალ რომ არ მომისმინონ და დაგირეკავ, დაეთანხმა ლილიკო გათიშა ტეეფონი და დაელოდა მის ზარს.

ხუთი წუთი იქნებოდა გასული რომ მართლა დაურეკა ზაზამ.

– აბლა მე ის ძალიან მიყვარს დაიწყო ზაზამ, მალე დამთავრდება ეს პატიმრობა, მიხვდებიან რომ მიყვარს და მე აუცილებლად მოვალ მასთან, უთხარით რომ არ ინერვიულოს, რადგან მას არასოდეს მივატოვებ აგრძელებდა ეს ახალგაზრდა ბიჭი ლაპარაკს, ლილიკო კი გაოგნებული უსმენდა და ვერ გაეგო ასე რაფერ უნდა ყვარებოდა ამ პატარა ბიჭს ნია. მთელი დღე ამაზე იფიქრა, მარტო ლაპარაკობდა ალბათ არსებობს ასეთი სიყვარული....არ ვიცი ალბათ არსებობს...ამით იწყნარებდა ემოციებს.

– საღამოს მოვიდა თუ არა ლილიკო სახლში შევარდა გოგოების ოთახში და გაღიმებული ყვება...იცით? დღეს ვის ველაპარაკე?...

ვის, ვის, ახმაურდნენ გოგოები მიდი მოგვიყევი ლილიკო სიცილით ეხვეწებოდნენ მას.

– ზაზას დავურეკე დღეს. ყველა გაჩუმდა და სმენად გადაიქცნენ მან კი წყნარად გააგრძელა მოყოლა, მერე გადახედა ნიას და უთხრა როგორ ყვარებიხარ ამ ბიჭს ჯერ ამას გეტყვი...ახლა კი რაც ხდება მის თავს მაგას მოგიყვებით, ჩამწყვდეული ყავთ სახლში და არ უშვებენ, მან შემოგითვალა როგორც კი გავთავისუფლდები აუცილებლად მოვალ და დამელოდოსო. ნია ტიროდა მის ტირილზე კი ყველა ატირდა მერე ადგა ლილიკო და უთხრა ახლა დაწყნარდი იმუშავე და იფიქრე რომ ერთ დღეს ზაზა მოვა შენთანო და გავიდა ოთახიდან.

– ნია დღითი დღე ცუდად გრძნობდა თავს. კვირაში სამჯერ მაინც მიყავდათ სასწრაფოში მას. ლილიკო არ შორდებოდა სულ თავზე ედგა პატრონობდა დილას კი სამსახურში უძილარი და დაღლილი მიდიოდა .ნიას კი უკეთესობა არ ეტყობოდა ვერ მუშაობდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ნიამ დაუძახა ლილიკოს ტელეფონის ნომერი მისცა და თხოვა ეს ჩემი ძმისშვილია მარიამი დაურეკე, უთხარი ჩემი მდგომარეობა და მოვაო.

მარიამი ოჯახში მუშაობდა ავადმყოფს უვლიდა, დაურეკა ლილიკომ მოუყვა ყველაფერი და თხოვა უკვე ვერ ვძლებ მომეშველე მამიდაშენი ძალიან ცუდად არისო.

– მარიამმა მეორე დღესვე შვებულება აიღო ერთი კვირა და მამიდას დაადგა თავზე, ლილიკო კი ყოველ საღამოს მოინახულებდა ხოლმე მათ და თუ რამე ჭირდებოდათ მიჰქონდა.

სამშაბათი დღე იყო ღელავდა ყველა იმ დღეს ნიას ანალიზების პასუხები უნდა გამოსულიყო, საავადმყოფოს დერეფანი სავსე იყო ქართველებით ლილიკო კი ექიმთან შევიდა სინან აბისთან ერთად რომ რა იყო მიზეზი ნიას ასე ცუდად ყოფნისა.

მას დაუდგინეს ღვიძლის სიმსივნე ბოლო სტადია, ამიტომ ოპერაციის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

გამოვიდა ლილიკო ტირილით გოგოებს ჩაეხუტა და უთხრა ნია კვდება გოგოებო ნია კვდებაო.

– მეორე დღესვე საბუთები გაამზადეს დარეკეს ბათუმში აეროპორტში რომ სასწრაფოთი დახვედროდნენ.

სულ ცრემლებით და დიდი გულის წყვეტით გააცილეს ნია სამშობლოში მეგობრებმა.

– ბათუმის აეროპორტი სავსე იყო ნიას ნათესაობით შვილებმა დედა ხელში აიყვანეს და ისე მიიყვსნეს სასწრაფოს მანქანამდე, ის პირდაპირ ბათუმის საავადმყოფოში მიიყვანეს.

ყოველ დღე ურეკავდა ლილიკო მის შვილებს და კითხულობდა მის ამბავს, ამასობაში სამი თვე გავიდა.

ერთ დღეს ლილიკო ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში, მუშაობს ესმის ტელეფონი რეკავს მივიდა დახედა მარიამი ურეკავს, შეეშინდა და უცებ კითხა ხომ კარგად ხართ მარიამ? მამიდას უნდა თქვენთან ლაპარაკი ლალიკო დეიდა და ესმის ხმა ძალიან წყნარი და მშვიდი ნიასი, სიხარულისგან შეჰყვირა ლილიკომ ნია ჩემო ნია როგორ ხარ? ნუ გეშინია უკეთესად იქნები ელაპარაკებოდა ლილიკო მაგრამ ნიამ შაჩერა.

– ჩემო ლილიკო შენი სულის ჭირიმე რაც მე შენ გამიკეთე საკუთარი შვილი არ გააკეთებდა მადლობა ყველაფრისათვის, დალოცვილს გტოვებ შენი შვილმომავლით, არ შემაწყვეტინო გთხოვ და გააგრძელა ნიამ წყნარად სვენებ-სვენებით ლაპარაკი სინან აბის მადლობა გადაეცი, გოგოები მომიკითხე...ეხლა კი შენთან სათხოვარი მაქვს ჩემო ძვირფასო, დაძაბა სმენა ლილიკომ და უთხრა გისმენ ნია, მთხოვე თუ რამე შემიძლია ხომ იცი რომ გაგიკეთებ.

– ხშირი სუნთქვა ცოტა ხნით შეწყდა, მერე კი ძალა მოიკრიბა და გააგრძელა სულ ცოტა დღეები მაქვს დარჩენილი მე ვკვდები ლილიკო, გემუდარები ახლა მე შენ რასაც გთხოვ შემისრულო...გისმენ ნია დაწყნარდი ჩემო კარგო ეფერებოდა ლილიკო და ცრემლებად იღვრებოდა ამ დატანჯული ქალის საცოდაობით.

ზაზას დაურეკე და თხოვე რომ სიკვდილის წინ ხმა გამაგონოს მისი,მშვიდად რომ წავიდე იმ ქვეყნადო,ეს თქვა და გაჩუმდა.

ლილიკომ კი პირობა მისცა რომ მას მოძებნიდა და დაალაპარაკებდა გათიშა ტელეფონი თუ არა ისევ აკრიფა ზაზას ნომერი მაგრამ სხვამ უპასუხა,ზაზასთან მინდოდა ლაპარაკი მაგრამ მგონი შემეშალა მოუბოდიშა და უნდა გაეთიშა რომ უცნობმა შეეკითხა თქვენ ვინ ხართ მისი მე ახლობელი ვარ და გადავცემო, მე მისი და ვარ ოღონდ უცხოო მიუგო ლილიკომ მაშინათვე გაისმა ხმა ზაზა მოდი და გირეკავსო.

გისმენ აბლა ხომ კარგად ხართ? შეეკითხა ბიჭი ლილიკოს.არა მიშავს შენ როგორ ხარ სად ხარ ჩაეკითხა ლილიკო, მე ადანაში აქ პატარა სასადილო გავხსენით და ვმუშაობთ მეტი ახალი არაფერიო მოკლედ უპასუხა ზაზამ.

– მომისმინე ზაზა ყურადღებით...ნია კვდება რამოდენიმე დღე ან თვე აქვს დარჩენილი მისი თხოვნით დაგირეკე ერთხელ ხმა გამაგონოსო, მშვიდად რომ წავიდე ამ ქვეყნიდანო. გთხოვ დაურეკო შეეხვეწა ლილიკომ თავიდან არ დაიჯერეა მაგრამ მერე მიხვდა ლილიკო მას არ მოატყუებდა ჩაიწერა ნომერი და უთხრა კი აუცილებლად დავურეკავო. ლილიკომ მადლობა გადაუხადა და გათიშა ტელეფონი.

– სამი დღის მერე მარიამის ტელეფონმა გააღვიძა დილაუთენია ლილიკო უცებ ეტაკა ტელეფონს მარიამ რა ხდება?

– იცით ლილიკო დეიდა სასწაული მოხდა....

– რა მარიამ...რა მოხდა...

– გუშინ ზაზა ჩამოფრინდა..

– მართლა? ატირდა ლილიკო ისე გაუხარდა

– მაგათი შეხვედრა ერთი რომანი იყო...ის რომ ჩამოვიდა ყველა სახლში იყო შეგროვილი შვილებიც კი მარიამი ტიროდა და ძლივს ყვებოდა...

მოყევი მარიამ მერე?რა მოხდა?

– ზაზამ ქორწინების ბეჭედი ჩამოუტანა თითზე გაუკეთა თვითონაც გაიკეთა და ხელი თხოვა მამიდას, მერე გაჩერდა ამოისუნთქა და გააგრძელა იცი? ნახევარი საათის მერე მამიდა გარდაიცვალა, ზაზას მკლავებში დალია სული.

ორივე ტიროდა მარიამიც და ლილიკოც, ტიროდნენ იმ ქალს რომელიც სიყვარულს შეეწირა, მაგრამ ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან.

მან ის ბედნიერება განიცადა რასაც სიყვარული ჰქვია.

– მის მერე რა უნდა ყოფილიყო ლილიკოს ნიას სული არ ეხსენებია.

წლების მერე კი შემთხვევით გაიგო, რომ ზაზა მოტორით ავარიაში მოჰყვა და ისიც გარდაიცვალა.

– მე იმას დავამატებ მარტო რომ აქ ერთად ცხოვრება ვერ შეძლეს მაგრამ იმ ქვეყნად მჯერა რომ ერთად იქნებიან.

02 11 2020 წ.

ნელი საგინაძე

მზე დაგვანახე ღმერთო!

გაღვიძებისთანავე სარკმლიდან შევნიშნე, რომ ცას მკერდზე განთიადი უკვე დილისფრად შემოსდგომოდა. აღმოსავლეთის კავკასიის მთების წვერებიდან, ცეცხლმოდებული ბროწეულების ფერის აისმა საქართველოში გადმოანათა.

ახლადგაღვიძებული ვუმზირდი ცის ამ, ენით აღუწერელ და განუმეორებელ სილამაზეს. მისმა ყურებამ შორს, შორს წაიღო ჩემი ფიქრები და ამ სამოთხისეულმა სილამაზით დამტკბარმა, ისევ ძილისაკენ გაიტაცა ჩემი გონება. როდესაც გავიღვიძე გამიკვირდა, მზისფერები სადღაც გამქრალიყვნენ და ირგვლივ ყველაფერი ნისლისფერი გამხდარიყო.

ჩამოსევდიანებულიყო არე-მარე.

თითქოს მტვრისფერი დასდებოდა ცასა და მიწას.

გეგონებოდა, სამყარო ვიღაცას, რაღაც ფორმისმაგვარ სივრცეში მოექცია და უნდოდა გადაატრიალებდა ეს ღმერთგამწყრალი და უნდოდა და დაატრიალებდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და თავდაყირა დააყენებდა ყველას და ყველაფერს.

ქაოსი იყო, დიდი ქაოსი ამ ხელოვნურად შექმნილ უცნაური ფორმის სივრცეში მყოფი სამყაროსათვის.

შიგ ყველანაირ ადამიანს დაინახავდით კაცს, ქალს, ბავშვს, მშიერს, მაძღარს,შიშველს, ჩაცმულს, ერს, ბერს.

აქ, ისე ირეოდა ყველა და ყველაფერი ერთმანეთში, რომ მათი შეცოდებისა და თანაგრძნობისაგან ყურებით გული შეგიწუხდებოდა.

– რა ხდება? – ერთი კი გავიფიქრე!

ისე ეხეთქებოდნენ და უმიზნოდ სადღაც გარბოდნენ ამ არაბუნებრივი სივრცის კედლებს შიგ მყოფნი, რომ კიდეც გაგიკვირდებოდა და უნებლიედ იკითხავდი

– რა ხდება?!

– რა ქაოსია?

– ნეტავი ძალით ხომ არ გამოიმწყვდია ამ ხალხმა საკუთარი თავი ასეთ აუტანელ სივრცეშიო?!

ფერთა სამყარო გამქრალიყო შიგნით.

ბუნებრივი, ღვთაებრივი ფერები არაფერს აღარ ჰქონდა შემორჩენილი.

ცივ კოლორებს ჩაენაცვლებინა თბილ ფერთა გალერეა.

ოდნავ თვალში იმასაც ვამჩნევდი, რომ მხოლოდ ცივი ქარი დაეხეტებოდა შიგ მშიერი მგელივით და მას უკვე სიყვარულითაც კი აღარავინ უშვერდა თვალებგაღიმებულ სახეს თმების ასაწეწად.

ისეთი დიდი აურზაური ატეხილიყო ამ ხელოვნურად შექმნილ სივრცეში, რომ შიგ მყოფ ადამიანებს ერთ შეტოკებაზეც კი შიშისგან თვალები უფართოვდებოდათ და გულები გარეთ სცვივდებოდათ, იმდენად გარეთ, რომ შეშინებულებს კინაღამ ხელითღა ეჭირათ. ერთი კი გავიფიქრე.

– ღმერთო, რა ხდება?

– რა დაემართა სამყაროს?

ხან სალვადორ დალის ნახატები წარმომიდგა თვალწინ და ხან უამრავი ტაძრად ნანახი „ბოლო ჟამის „ უდიდესი ხატები!

– რაშია ნეტავი საქმე?!

– ადამიანეთს ებრძვიან?!

ისიც კი სჩანდა, რომ ამ ხელოვნურ სივრცეში, რაღაც უცნობი დაავადებებისაგან იტანჯებოდნენ ბავშვები, მოხუცები,ახალგაზრდები.

ამათ, შიგნით მყოფთა ნატანჯ სხეულს კი ვიღაც, როცა უნდოდა ისე მიარყ- მოარყევდა და ძირიანად ამოატრიალებდა, რომ წარბსაც არ შეიხრიდა და უარესიც, ამ ყველაფრის ყურებით“ ის გაჭირვებული“, კიდეც ირთობდა თვალსა და გულს.

იქ, მარტო ღმერთს ვერ დაინახავდით!

ეს, რაღაც უცნაური სამყარო იმღვრეოდა და დარდისფერი ხდებოდა. თითქოსდა, ასეთი შთაბეჭდილებაც გრჩებოდა, რომ ადამიანები იქ, შიგნით იმ სივრცეში, შიშს ემორჩილებოდნენ, შიშს გულის გახეთქვამდე.

ამ სიზმარ-ცხადში ვიყავი, რომ ჩემი საძინებლის კართან შვილის ხმა შემომესმა.

– დედა გღვიძავს?

– კი, კი მღვიძავს, შემოდი!

კარიდანვე დამიძახა – იცი სიცხე მაქვს!

– ნუ გეშინია, არაფერია, ახლავე გამოვალ!

– კარგი, მეც ახლავე მოვალ!

და სწრაფად ჰოლის კიბეები ჩაირბინა. აქვე ახლოს, ძალიან ახლოს მდებარე რაიონული საავადმყოფოში ტესტი გაუკეთებია და სულ რაღაც თხუთმეტ წუთში უკვე სახლში იყო. მე და ჩემი მეუღლეც საძინებლიდან გამოვედით და შვილს სახემღიმარმა ვკითხე.

– რა მოხდა დედი?

– იცი, ვირუსი დამიდასტურდა!

შეგნებულად არანაირი ჯესტებით, არანაირი გაკვირვებაც კი არ გამომიხატია სახეზე. რომ შევხედე, მისი თვალებიდან მზირალი, დამალული სიმარტოვე შემომრჩა ხელში.

აი, ის სიმარტოვე ქვეყანაში ახლად დადგენილ წესებს და კანონებს, რომ უნდა დამორჩილებოდა. ნახევარ თვეზე მეტი ერთ სივრცეში, რომ უნდა გამოკეტილიყო და დამნაშავესავით საუზმე-სადილი მოშორებით გარედან მიმეეწვდია, თითქოსდა ვიღაც გადამთიელი ყოფილიყო.

ინსტიქტურად გულმა გაუსწრო ფეხებს!

წამში მის გვერდში დავდექი, მოვეხვიე, ამხელა ვაჟკაცი გულში ჩავიკარი და ვაკოცე.

– რას შვრები დედა, გადაგედება!

თვალები გაუფართოვდა მოულოდნელობისაგან!

– იცი შვილო, ყველაფერი უფლის ნებაა და ღმერთს როგორც სწადია, ისე იქნება!

ამ ყველაფრის შემდეგ მის, თვალებში ისეთი იმედიანი სხივები დავინახე, რომ მეც კი გული გადამინათდა მისდა მაყურებელს!

იმ სიტუაციაში, მე გავაკეთე ის, რასაც დაუფიქრებლად ნებისმიერი დედა მოიმოქმედებდა, სხვა მეტი არაფერი განსაკუთრებული.

– ღმერთო, ყველაზე კარგადაც, რომ სწორედ დედის გულმა იცის რასაც შვილისათვის აკეთებს

– დიახ, დედამ იცის შეუმცდარად თავისი გაზრდილის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები

– დედაა, ის ადამიანი შვილის თვალები, რომ ვერასდროს ვერაფერს გამოაპარებს!

– დედას არ ეშლება ისიც, რომ რაღაც ახალად შემოღებულ ქართული ტრადიციულობი-სათვის მიუღებელ კანონებს, შვილი მარტო არ უნდა შეატოვოს ხელში.

– დედაა ის ქალი, წამებში, რომ მხრებზე შემოიდგავს შვილისგან გამოტაცებულ ტვირთს და ცხრა მთას იქეთაც ზიდავს!

– და იქნებადა კიდეც, რა იცი შე დალოცვილო, შენი შვილის სახით უფალი თვითონ დაგიდგა წინ და გამოგცადა!

– გამოგცადა საკუთარ სისხლსა და ხორცს გასაჭირის დროს შიშისაგან მოერიდები და მიუღებელი მანძილიდან დაუწყებ გამხნევებას, თუ უფლის რწმენით გვერდში, ძალიან, ძალიან ახლოს დაუდგები!

ვიცი ახლა, ძალიან ბევრნი სკეპტიკურად შეხედავენ ჩემს მონათხრობს და საქციელს და შეიძლება შენიშვნებითა და შეგონებებით სავსე ხონჩაც თავზე გადმომაქციონ.

მაგრამ, მე არც ცხოვრების წესები მეშლება და არც კანონები.

ჩემთვის კი ამ სამყაროში ყველაზე და ყველაფერზე აღმატებული კანონი, უფლისაგან ბოძებული დედაშვილობის კანონია!

დანარჩენი კი, წესები თუ თავისდაუნებლიედ შექმნილი სიტუაციები, ოდნავ სხვახარისხოვანია ჩემთვის.

მე არ მინდა, იმ შიშის კანონს დავემორჩილო დილით, ხელოვნური სივრცის კოლბაში, რომ ვხედავდი.

თავისუფალი ნებისა და არჩევანის უფლება ღმერთმა თავის ხატების მსგავსებს უბოძათ და არავის არა აქვს უფლება მისი უგულვებელყოფისა.

– როგორ მინდა, რომ დილით ნანახ-სიზმარ-ცხადში,ის უფერო, ხელოვნური სივრცე, არასოდეს აღარ დავინახო და ჩვეულებრივი ყოფითი რეჟიმით სამყარო თავის სვლას დაუბრუნდეს!

– როგორ მინდა, ის ქაოსი და მტვერისფერი ცას და მიწას, რომ დასდებოდა აღარასოდეს მომხვდეს თვალში!

– და ისიც როგორ მინდა, რომ შიშისაგან გაფართოვებულ ადამიანთა თვალები აღარსად და არასდროს აღარ ვიხილო!

– არადა რა ადვილია, შე დალოცვილო, თავის ხატებად ვინც დაგბადა, ვინაც სული შთაგბერა მის იმედსა და რწმენას მიუბრუნდე.

მიუბრუნდე იმ აღმატებულს, რომლის გარეშეც არავის ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება თავიდან!

– ვის უხრი თავს ადამიანო?

– ვის ემორჩილები?

– შ ი შ ს, შიშს დიდი ასოებით?!

– მე უფალს მივანდე ჩემი თავი!

– კაცთა მოდგმავ იქნებ როგორმე თავი დააღწიო ამ რაღაც გაუგებელ ქაოსს!

– იქნებადა როგორმე ჩახედო სიმართლეს თვალებში!

– ამის გაკეთება კი ძალიან, ძალიან ადვილია!

– ჩვენ, ყველა უფლის შვილები ვართ და არავის არა აქვს უფლება ვინმეზე ბატონობის!

– მითუმეტეს ადამიანებზე ბატონობის!

მე ასე გამიგია, ადამიანმა ადამიანს შეიძლება მხოლოდ მაშინ დახედოს ზევიდან, როცა წაქცეულს წამოსაყენებლად გაუწვდის ხელს!

– ძალიან მინდა, რომ ფერთა სამყარომ გაიღვიძოს თვითოეული კაცის სულსა და გულში!

– მინდა ისევ დაუბრუნდეს სამყაროს უშიშარი გულები, ღიმილიანი სახეები, სითბო, სიყვარული, ჩახუტება, ხელის ქართველურად ჩამორთმევა და მხარზე გადახვევა .....

მზის სითბო, შუქი და განთიადზე ამონათებული მოცეცხლისფერო ერისიონის ფერი მინდა ეღვრებოდეს ჩემს ქართველობას გულზე!

– ღმერთო, დაგვიბრუნე ამის ძალა!

– უფალო, მოგვეცი ამის რწმენა და იმედი!

– ღმერთო, ამ უდიდესი სითბოს მღვრელი მზის პატარა ნატეხი სხივები გაგვხადე და გონება გაგვინათე!.

– მზე დაგვანახე ღმერთო!

– მზე გვაპოვნინე უფალო!

– მზე კი ვგონებ, არსადაც არ წასულა !

–აგერ აქვეა აქ, ამ ჩემს საქართველოში!!!

მირანდა ზაბახიძე

* * *

მეთორმეტე კლასში ვიყავი.

კარგად მასხსოვს ის დღე.

ქართულის მასწავლებელმა(ეს საგანი განსაკუთრებით მიყვარდა) კლასის კარები შემოაღო, მოგვესალმა და ბავშვებს გვითხრა:

- წინ საინტერესო გაკვეთილი გველოდება.ჯემალ ქარჩხაძის ,,იგი''უნდა ავხსნა.

მოემზადეთ.

- ,,იგი'' რა არის მას?! დაიძახეს ბავშვებმა.

- ალბათ შინაარსიც ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც სათაური,გადმოძახა მარჯვნიდან მჯდომმა მოსწავლემ მეორეს.

- გეყოთ,უკვე დიდები ხართ,დროა სერიოზულად მოეკიდოთ ყველაფერს.

მე სკოლაში სიცელქითა და მჭერმეტყველებით არასოდეს გამოვირჩეოდი.უფრო მოსმენა მიყვარდა ძალიან.თან ჩემი სიმაღლის გამო თითქმის ყოველთვის წინ მიწევდა ჯდომა,წინ თუ არა,მაგიდიდან მეორე მერხზე მაინც.ჰოდა სულ ვფიქრობდი,რომ მოსმენისთვის იდეალური ადგილი მქონდა მიჩენილი კლასში.

მასწავლებელმა რამდენიმე წუთი ყურადღება გაკვეთილის გამოკითხვასა და დავალებაზე გაამახვილა.

-დროა დავიწყოთ.

თქვა მან და მეც მოსასმენად განვეწყვე.

დაფის თავზე საათი იყო ჩამოკიდებული,უნებლიედ მზერა მასზე გადავიტანე.მის ანარეკლში ჩვენი გარდაცვლილი კლასელის ფოტო დავინახე,რომელიც მოპირდაპირე კედელზე იყო განთავსებული,სადაც ხშირად გვენთო კანდელი და სანთელი მისი სულის შემწედ.შემოდგომის ფონზე იყო,გამხმარ ყვითელ ფოთლებზე ედგა ფეხი.ვფიქრობ, მაშინ კარგად ვერ ვიზარებდით მის წასვლას ჩვენიდან.თან როგორ წასვლას,ძალიან გმირულს.ყველამ იცოდა ეს ამბავი ქალაქში, როგორ გადაარჩინა ბავშვი მდინარეში დახრჩობას,თავად კი ვეღარ შეძლო ამოსვლა.ფიზიკურად ყველაზე დიდი იყო კლასში და ამასთანავე დინჯიც.

მაშინვე ჩემი და მისი დიალოგი გამახსენდა,როგორ შემოვიდა ერთხელ დილით კლასში და მითხრა:

- ნახე,რა კარგი ტელეფონი მაქვს?! მითხრა გახარებულმა.

- ვაუ,რა კარგია,ვერ დავმალე აღფრთოვანება.

- ნეტავ, როდის მექნება მასეთი.

- მალე გექნება.

მითხრა გამომცდელი მზერით.

ეს რატომ გამახსენდა?ვფიქრობდი ჩემთვის, თან არ მინდოდა მასწავლებელს შეემჩნია ჩემი ,,სხვაგან ფრენა'' და დაჯინებულად ვუცქერდი თვალებში.

ბავშვები კითხულობდნენ,მასწავლებელი თემის ირგვლივ მსჯელობდა.

მერე სათვალე მოიხსნა ახლოს მოვიდა და მითხრა:

- მირანდა,როგორ ფიქრობ, მოგეწონა ,,იგი''?

- იგი მეგონა მე ვიყავი.პასუხი შევაგებე მალევე.

კლაში სიცილი ატყდა.

- სიჩუმე! გაიმეორა მასწავლებელმა.ისევ მომიბრუნდა და მთხოვა განმეგრძო.

- უცნაურია და საინტერესოც.ისევ ხმამაღლა გავიმეორე.

- სწორედ ეს ხდის ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულს,ალერსიანი მზერით მიპასუხა და ვიგრძენი სწორედ ისე მიყურებდა,როგორც მე ვეძებ ხოლმე, ჩემს მოსწავლეებში გონებრივ კავშირს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

ზარიც დაირეკა.

მასწავლებელი გარეთ გასასვლელად მოემზადა.

მე ეჭვები მიღრღნიდა გულს.პასუხგაუცემელი კითხვები არ მასვენებდა.

უცებ წამოვდექი და დერეფანში მიმავალ მაწავლებელს დავეწიე და ვკითხე:

- თქვენი აზრით,რატომ ავიდა იგი დიდი დაძინების ქარაფზე მხრებშიგამართული?!

- ამაზე თავად უნდა მოძებნო პასუხი საყვარელო.

გამიღიმა და გულში ჩამიკრა.

კლასში დაბრუნებულმა მზერა ისევ გარდაცვლილი კლასელის ფოტოს დავუწყე ყურება.

- ნეტავ შენ რას იფიქრებდი?

ვამბობდი გულში.

იმ დღიდან მოყოლებული მთელი ცხოვრება ვეძებ იგისნაირ ადამიანებს,რომლებმაც შეიძლება მუდამ დაგამახსოვრონ თავი.

ზოგჯერ შემხვედრიან,ზოგჯერ იმედი გაუცრუებიათ.

მერე რა.

ასეც ხდება ხოლმე.

მაინც ვაგრძელებ ძებნას.

P.S.

მე მაინც ასე მწამსს,რომ ბავშვებზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ქართულისა და ისტორიის მაწავლებელები ახდენენ.ისინი თავიანთ სამჭედლოში(სკოლაში) დღემდე აწრთობენ უქარქაშო ხმლებს(ბავშვებს) საქართველოსთვის.

ეს ჩნახატი ეძღვნება ჩემს მასწავლებლებს...

* * *

ფიქრები კალიებივით ესეოდა გონებას.

უღიმღამოდ გადავაბიჟე სახლის ზღურბლს.ოთახისკენ გავეშურე.კარადა გავაღე და ჩემს დაკეცილ ტანსაცმელებს მოვკარი თვალი.

გარეთ მზე უჩვეულოდ ანათებდა.

თაროზე უქმად დაკეცილი სიცოცხლე შევამჩნიე. ვიფიქრე გავფენ და მზეს დაინახავს.ავიღე და სამაგრით თოკზე გადავკიდე.საცოდავად ფრიალებდა.შორიდან ვუყურებდი და ვფიქრობდი, ეჰ ეს ახლა სიცოცხლეა!შენსავე სიცოცხლეს გასამზევრებლად რომ გამოიტან ერდოზემეთქი. შე-ვამჩნიე, რომ პატარა შავი ლაქები გასჩენოდა,ალბათ უქმად დებისაგან.ცოდვანაჭამი მზე მწველი იყო ძალიან.ვგრძნობდი როგორ შედიოდა თითოეულ ქსოვილში და სუნს აძლევდა. მომეჩვენა რომ მზე შავდებოდა.შევხედე, დავინახე რომ გაფენილ სიცოცხლეზე ლაქები მზეს შთაენთქა და ძველებური მცხუნვარებით ვეღარ ანათებდა.ძალა დაეკარგა.ალბათ რამდენი სიცოცხლისთვის გაუქრია ლაქები. ვინანე რატომ გამოვიტანე. თითქოს საკუთარ თავზე აეღო და სულს ღაფავდა.

მზე იმ წამს სამყაროში ყველაზე კეთილად მომეჩვენა. მაცხოვარი გამახსენდა, თავის თავზე რომ იტვირთა ადამთა ცოდვა.განსაკუთრებით ის ფრაზა მკბენს გულზე ბიბლიიდან, ერთმა კაცმა რომ შესძახა პილატეს:ჯვარს აცვი მაგ თვითმარქვია, მაგის ცოდვა ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოსო და ბარაბა აირჩიეს იესოს ნაცვლად. ყოველთვის გული მწყდებოდა შვილებს რაღას ერჩოდნენმეთქი. პასუხსაც მივაგენი.

ადამიანი ალბათ ეგოისტია და ამიტომ.

მზეს თვალი გავუსწორე, რადგან ბრწყინვალება დაეკარგა.ახლა მართლა ცოდვანაჭამს გავდა.

აღარ მიკვირს რატომ გადის მალე დრო.ზუსტადაც,რომ უნდა გავიდეს.რატომ ამბობენ ადამიანები შეიცვალენო, რადგან სხვაგვარად უკვე წარმოუდგენელია. აღარაფერი მიკვირს. თითქოს ყველაფერს გაეცა პასუხი. მეშინოდა,მზის თავგანწირვა ამაო არ აღმოჩენილიყი...

* * * *

ამ დილით, დედა უთენია დამადგა თავზე.
გაიღვიძე გაგვიანდებაო!
მე როგორც მჩვევია, საბანი თავზე გადავიფარე ვითომ არც გამიგონია.

ვგრძნობდი,როგორ მიყურებდა მშვიდად.
მერე თავთან დამიჯდა ჩუმად და მითხრა:
"ცხოვრება ომია და ისე უნდა იცხოვრო,ამ ომიდან გამარჯვებული გამოხვიდეო."

ამ სიტყვების გაგონებაზე საბანი უცებ გადავიძვრე და შევხედე ამას რატომ მეუბნებამეთქი.
მისი თვალები თითქოს ერთიანად ყველაფრის თქმას ცდილობდა, ოღონდ არ იცოდა საიდან დაეწყო.

როგორც ყოველთვის ახლაც მოერდა ჩასახუტებლად წამოწევა(დიდად არასდროს ყვარებია ემოციის ასე გამოხატვა,ეს იმ შემთხვევაში ხდება ,ისიც იშვიათად,როცა დიდი ხანი ვერ მნახულობს).

ასე მგონია დედას პირით ღმერთი მელაპარაკებათქო.

ზუსტად იცის,რა დროს რა და როგორ მითხრას.
მოდუნების საშუალებას არ მაძლევს.
ბევრს არასოდეს საუბრობს, ერთს გეტყვის და სულში ისე გაგივლის თითქოს მთელი "ვეფხისტყაოსანი"წაგიკითხაო.

დედა ძლიერი ქალია.
თანაც ისეთი ძლიერი, რომ თუ დასჭიდება,მხრებზე შეიმოიდებს მთელი ოჯახის ტვირთს და უდრტვინველად ატარებს ბოლო წამამდე.
დღემდე ეს ჩვევა აქვს:თუ რამე სამძიმო საქმის გაკეთებას დავიწყებ ხელიდან გამოცლას ლამობს და მეტყვის თავი გაანებე,მე მიჩვეული ვარო.
ამას რომ მეუბნება გულში რაღაც ჩამწყდება ხოლმე,ამ დროს მინდა სულში სამუდამოდ ჩავუსახლდე იქ დავიდო ბინა.

ბევჯერ მინატრია მისნაირი ვყოფილიყავი,მაგრამ არ გამომდის(ჯერჯერობით).

დედას ვინც იცნობს,ყველა დამეთამხმება,რომ ობობასავით მშრომელია.ყველგან და ყველაფერს სწვდება მისი ხელი.
მამასთან ერთად ყოველთვის ადრე იღვიძებს და საუბარს იწყებენ დღის გეგმებზე.

დღესაც ასე მოხდა.
იგივე საუბარი შემომესმა.
იმავე ხმებით.

თავი ოცი წლის უკან,ღრმა ბავშვობაში ჩარჩენილი მოგონების ნაწილად ვიგრძენი.თითქოს დრო არც გასულიყოს და ისეთივე ხმით მეძახდეს მამა:

- აბა,მამას გოგო ჩემთან მოვიდესო და მეც გავიქცეოდი ჩასახუტებლად.

დღეს კი,მორიდებით ვუსურვე მშვიდობიანი დილა და ყავას მივუსხედით.

რამდენჯერ მდომებია ზუსტად ისეთი ბავშვური ხასიათით მივსულიაყავი და მოვფერებოდი, მაგრამ მახსენდება, რომ დიდი ვარ და რაღაც მიშლის ხელს.

თუმცა ზუსტად ვიცი,მამაც ხვდება ამას.

საოცარი სიმშვიდე წამომყვა,სიყვარულით დამმუხტეს და გამომიშვეს.

და ისევ თავიდან დაიწყებენ ფუტკრებივით შრომას.....

სიშორის მიუხედავად,ყოველთვის ვხედავ და ზუსტად ვიცი, რას როგორ აკეთებენ (მაგალითად მამას საყვარელი საქმიანობა ნერგების დარგვაა. უამრავი ხე აქვს გახარებული და ახლაც თვალწინ მიდგას, ჩამუხლული მამაჩემი როგორ აყრის პატარა ნერგს მიწას იმ იმედით,რომ წლების შემდეგ დიდ ხედ გადაიქცევა).

* * *

როგორც ნაცემი ძაღლი მიადგება ხოლმე ფეხის თრევით თავის ბინძურ ბუნაგს,ასევე მილასლასდება ქანცგაწყვეტილი ადამიანი თავის სარეცელთან და უსუსურ ფიქრებში ჩაეფლობა.

ოთახში შესვლისთანავე მაგიდაზე დადებული სკვნილი მოხვდა თვალში,დახედა და ცდილობდა გაეხსენებინა რამდენი ხანს იყო ასე უფუნქციოდ.

ხელში აიღო.დახედა და გადაწყვიტა ოცდაცამეტჯერ ეთქვა იესოს ლოცვა მასზე და მუჭში მაგრად მოიქცია.

საბანი გადაწია და დაწვა.

ისევ ვერ შეამჩნია ფიქრებმა როგორ წაიღო.

მხოლოდ ახლაღა გაახსენდა მუჭში მოქცეული სკვნილი ლოცვისთვის რომ გაამზადა.

გულში დაიწყო ლოცვა:

"უფალო იესო ქრისტე,შემიწყალე მე" და თან ერთი მარცვლიდან მეორეზე გადადიოდა.

გონების მოკრებას ცდილობდა.

ეწადა ისიხასტური (გონებრივი)ლოცვის პრაქტიკა მასაც გამოეცადა.

რაც უფრო ხშირად იმეორებდა ტუჩების მოძრაობით,მით უფრო აიძულებდა გონებას ფიქრს.

ცდილობდა დაფაზე დაწერილი ტექსტივით წაეშალა ხვალინდელი დღის საზრუნავი და კონცენტრაცია შინაარსზე გაეკეთებინა.

ოცდამეცამეტე მარცვალთანაც მივიდა და ლოცვაც დაასრულა.

ხელის ტემპერატურით გამთბარი სკვნილი ისევ მაგიდაზე დადო ალბათ იმ მიზნით რომ ხვალაც მოეკრა თვალი მისთვის...

ლალი სოხაძე

მონადირეები

დედა და მამა- ორივე თანამდებობის პირი იყო(სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობდნენ. დილით გასულები საღამოს ბრუნდებოდნენ დაღლილ-დაქანცულები), მაგრამ სამივე შვილს ადამიანურ ცხოვრებას გვასწავლიდნენ. თავმდაბლები უნდა იყოთო, გაჭირვებულს დაეხმაროთო, კარგად უნდა ისწავლოთო-თქვენი ვალი ეგ არისო. სამშობლოს ღალატი მარტო მტერს რომ გაურიგდები ის კი არ არისო, არამედ თქვენს ნიჭს და შესაძლებლობებს სამშობლოს და ქართველ ხალხს, რომ არ მოახმართ ისიცო... და კიდევ მრავალ შეგონებას ვისმენდით. დღემდე ვცდილობთ სამივე მათ გაკვალულ წმინდა გზას გავყვეთ და ისე ვიცხოვროთ, როგორც ნამდვილ ადამიანს შეეფერება. მადლობა ამისთვის ჩემს მშობლებს. ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა სამარადისოდ.

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო ჩვენი ცხოვრებიდან-მამას ბიჭი, რომ არ ყავდა, სამი დებიდან სიყოჩაღე მე გამოვიჩინე მოუსვენრობაში. ყოველ დილით ვდგებოდით, მავარჯიშებდა ფეხბურთ-ში, მართლა კარგად ვთამაშობდი (არა მარტო ფეხბურთს, კალათბურთს და ხელბურთსაც - რუსთავის სპორტკლუბის ,,ფოლადის“ წევრი ვიყავი). დედა ბრაზობდა, რა ქალის საქმეა ეხლა ეგო. მაშინ ხომ იცით სად იყო ქალი ფეხბურთელი?! დედა კი კარგი მოცეკვავე ყოფილა, მაგრამ თავი დაანებებინა მამამისმა, უფრო სწორედ თვითონ დაანება თავი, რადგან ბაბუა (26 კომისრების რაიონის შინ.სახ.კომის უფროსი იყო) არ უშვებდა ,,გასტროლებზე“ .

დედას უნდოდა ცეკვაზე მევლო, შემესწავლა ქართული ცეკვები-მე კი სპორტი ავირჩიე. მა-მიდაშვილები ბოქსიორები მყავდა-ნიკოლაძეები. ისინიც რაღაცეებს მასწავლიდნენ, თავდაცვას, ბოქსის სხვადასხვა ილეთს და კი არ დავდიოდი დედამიწაზე დავფრინავდი. ☺

მამას ნადირობა და თევზაობა უყვარდა ძალიან. შაბათ-კვირას, მთელი თუ არა ნახევარი სამშენებლო ტრესტი სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა ჯანდარაში. მეც კარგად გამწვრთნა. შემიყვარდა იარაღი (მიზანში კარგად ვარტყავდი) და არა ნადირთა და ფრინველთა ხოცვა. თევზაობა ბადით და ანკესით ძალიან მომწონდა.

ერთ დღესაც მამამ გამამზადებინა სანადიროდ ყველაფერი რაც გვჭირდებოდა. ვარ ერთ ფაცა-ფუცში, გუდაში ჩავიდეთ საგზალი. ავწიე თავი და დედაჩემის თვალები დღემდე არ მავიწყდება, რა თვალებით მიყურებდა, რამდენ კითხვას და საყვედურს

ისროდა თვალებიდან და არა ბაგეებიდან, მაგრამ მამას, ხათრით ვერაფერი უთხრა, როგორ არ უნდოდა ჩემი წასვლა, მაგრამ ქმრის ხათრით მეც არაფერი მითხრა. ველოდი მის აფეთქებას. მამა ცოტა ადრე ჩავიდა ეზოში, რომ მეგობრის მანქანაში ჩაეწყო ყველაფერი. დედამ კი თბილი ტანსაცმელი დამიმატა კიდევ და რომ გამოვდიოდი მომაძახა-ერთი არაფერი მოგიტანიათო...☺

- შაბათი დღეა, შემოდგომის თბილი, ულამაზესი დღე. თოფები მომარჯვებული გვაქვს, უცბად კურდღელი გამოხტა ჩირგვიდან, გარეული კურდღელი არ გავს შინაურს, უფრო ცქვიტი და მარდია, მამამ მითხრა შენია ეგ კურდღელიო..

ამოვიღე მიზანში, მაგრამ სასხლეტს ვერაფრით ვერ გამოვკარი თითი, გული შემეკუმშა რაღაცნაირად, წარმოვიდგინე სისხლში ამოსვრილი კურდღელი (სისხლის დღემდე მეშინია) დავუშვი იარაღი დაბლა, მამაჩემის ჩურჩული მომესმა, მიდი შვილო, მიდი რაღას უცდი? მივიხედე მისკენ გაბრწყინებული მიყურებდა იცოდა არ ავაცდენდი მიზანს. ყველაფერი წამებში ხდება, მზერა ისევ კურდღელისკენ მივმართე, მაგრამ დამიჯდებოდა და დამელოდებოდა მოდი მესროლეო?!.☺

- რატომ გაუშვი? არც ისე მკაცრად მითხრა მამაჩემმა. ხმა არ გავეცი. აღარც თვითონ უთქვამს არაფერი. იმ დღეს ვერაფერი მოვინადირეთ. მეც ხასიათი წამიხდა, მამა, რომ ,,გავაბრაზე" .

ხვალ დილას წავიდეთ სახლში ადრეო. ვერ წავალთ მეთქი.

- რატომ?

- ნანადირევის გარეშე ვერ წავალთ. ვუპასუხე და მოვტრიალდი. მისი მზეჩასახლებული თაფლისფერი თვალებიდან ისეთი სითბო და სიყვარული იფრქვეოდა, ვერ აღვწერ.

- იმიტომ, რომ დედამ მითხრა, ერთი არაფერი მოგიტანიათო...

გაეცინა. არა აუშავს, არ იცი, დედაშენს ერთი სული აქვს სახლში როდის მივალთ.

მამას, ბევრი ნაცნობი და მეგობარი ყავდა. ასაკს და ეროვნებას არ ქონდა მისთვის მნიშვნელობა. პატარა სიკეთე, რომ ვინმეს გაეკეთებინა მისთვის მთელი ცხოვრება არ ავიწყდებოდა და მთელი ცხოვრობა მის მევალედ თვლიდა თავს.

იმ ღამეს მამაჩემის აზერბაიჯანელი მეგობრის ოჯახში დავრჩით. დაფაცურდნენ, ცხვრის ხორცს, რომ ვერ ვჭამდი, იმისთანა მწვადები ააშიშხინეს და ქაბაბები შეწვეს, ლამის თითებიც ზედ მივაყოლე. იმ ღამეს ,,მონადირეებს" ისე გვეძინა, ფეხი არ გაგვინძრევია.

დილას მასპინძლებმა გვასაუზმეს, გავემზადეთ წამოსასვლელად. მამაჩემის აზერბაიჯანელ მეგობარს, რამდენიმე მეასედზე მწვანილი და სასალათე ბოლოკი ეთესა, ხოდა მისმა მეუღლემ გაგვივსო ნანადირევისთვის გამზადებული ,,გუდები" ბოსტნეულით და ასე დავშორდით ერთმანეთს.

მივდივართ და ვფიქრობ დედაჩემზე, რას გვეტყვის მაინტერესებს ძალიან. მივედით სახლში . გავიხადეთ სანადირო ტანსაცმელი. თოფები გავწმინდე, გავაპრიალე, გილზებს თავისი ადგილი მივუჩინე და ველოდები განაჩენს.☺

დედაჩემი არ იღებს ხმას. არც არაფერს გვეუბნება. ვიფიქრეთ ქარიშხალმა გადაიარა და დაწყნარდა. სახლის უკან (ხუთსართულიანია ჩვენი სახლი) პატარა ნაკვეთი გვქონდა. ჩავედით და მამამ დაიწყო დაბარვა.

საღამო ხანს მოგვშივდა მე და მამას. დავიწყე სუფრის გაშლა, მივიტანე პური, მარილი- პირველ რიგში, მწვანილი, ყველი, რასაც დედა სუფრის მოსართავებს ეძახდა. მანამდე ხმა არ ამომიღია და რომ ვერაფერი ვნახე სხვა დედას ვკითხე კიდე რა მივიტანო მეთქი?

- მაცივარი გამოაღე და თქვენი ნანადირევი, გემრიელად შეკმაზულია და გამოიტანეო. ☺

- გაკვირვებულმა შევხედე, რა ნანადირევი? - გავიფიქრე და გახარებულმა გამოვხსენი მაცივარი. სანამ ჩვენ დაბლა ვბარავდით. დედას მოუხარშავს საქონლის ხორცი (მაშინ რატომღაც მალე იხარშებოდა ხორცი ☺) და გაგვიკეთა ბოლოკის (ჩვენი ნანადირევის) და ხორცის სალათა მაიონეზში, თან მთელი დიდი ქვაბით. სამი დღე კი ვჭამდით დღეში სამჯერ, მაგრამ მეტს ვერ მოვერიეთ მე და მამაჩემი. ☺

სერგი ლომაძე

დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო
(დღე მეუფე თადეოზისა)

2023 წლის გაზაფხულზე, აპრილში, შედგა დიდებული შემოქმედებითი საღამო, ყველა იმ საღამოს შორის ერთ0ერთი საუკეთესო, რომელიც მიეძღვნა მეუფე თადეოზს, მის ხსოვნას.

ღონისძიება გაიმართა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიის ეგიდით. აკადემიის პრეზიდენტმა – გულნაზ ხარაიშვილმა, დიდი ძალა-ენერგია ჩადო ამ საქმეში – ღონისძიების უმაღლეს დონეზე ჩატარებსი საქმეში. მთელი ორგანიზაციაც სათანადო დონეზე დაუდგა, მას, გვერდით. სიამაყით უნდა აღვნიშნო ის ამბავი, რომ საღამოს ჩატარება პირდაპირ განაპირობა უფრო ადრე დაწერილმა ჩემმა სტატიამ, რომლეიც დიდ თადეოზს – დიდ მეუფეს მივუძღვენი.

დაახლოებით სამი წლის შემდეგ აღსდგა, დროებით მანიც, ძველი პრეზიდიუმი, – ქალბატონი გულნაზი, მამა ამირანი, მე და კახა ბაციკაძე. საღამო გულნაზ ხარაიშვილმა გახსნა და წაიყვანა, პირველი სიტყვა მამა ამირანს და მე გვერგო წილად, ხოლო შეჯამება, ღონისძიებისა, კახამ ითავა. სულ ბოლოს ისევ დეკანოზი (მამა ამირანი) გამოვიდა. როგორც მან აღნიშნა, ის გახდა გამხსნელიც და ჩამკეტიც ღონისძიებისა, ასე რომ, სიმბოლურად თუ ვიტყვით, პოეტურადა, რაღაცნაირად „ოქროს გასაღების“ როლი ერგო იმ დღეს (სხვათა შორის, არაერთხელ მომხდარა, ეს, სხვა დროსაც).

ყველამ ვიცით, თუ ვინ იყო მეუფე თადეოზის (ერისკაცობაში – მირიან იორამიშვილი). იგი ხომ, როგორც მიტროპოლიტი, წევრი სინოდისა, წლების განმავლობაში უნათებდა გზას ერს, ხოლო როგორც პოეტი და ფილოსოფოსი, ხელოვანი-მეცნიერი, იყო აკადემიის სამსახურში, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. თადეოზი, პოეტი-მეუფე, ერის სული და გული გახლდათ, სიამაყე მთელი ქვეყნისა. იგი ერთ-ერთი უდიადესი ადამინი იყო ყვეოლას შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სხივოსანი, დადებითი პიროვნება, თან – ამაყი, გენიალური, თან – ძალიან უბრალო, ერთობ ადამიანური. ის იყო პატრიარქი პოეზიისა, პატრიარქი ფილოსოფიისა, პატრიარქი ადამიანობისა, და სულიერად ენათესავებოდა, ვთქვათ, ისეთ ლეგენდებს, როგორებიც ივყნენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, მერაბ კოსტავა, გოდერძი ჩოხელი... აი, ასეთ დიდბუნებოვან ადამიანისა ასეთი განათლებული სულის ადამიანს მიეძღვნა ჩვენი ღონისძიება, და სხვა გზა, უბრალოდ, არც გვქონდა, ყველაფერი უმარლეს დონეზე უნდა გაკეთებულიყო.

საღამოზე მობრძანდნენ თვით მეუფის ოჯახის წევრები, – მისი მეუღლე თამარი, შვილები – მარიამი, ნინო, ქეთევანი, შვილობილი – ანი, რომლელიც, ამავე დროს, უნიჭიერესი პოეტი აღმოჩნდა, შვილიშვილები – მირიანი და თადეოზი (დიდი ბაბუის სეხნია)... მოკლედ, ბევრნი იყვნენ, და თუ რომელიმე გამომრჩა ამ ჩამონათვალსი, აქვე ვიხდი ბოდიშს... ოჯახმა მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში და მშვენივრად წარმოაჩინა თავი...

გასაკვირი არაა, რომ ხელოვნება-მეცნიერების (კულტურის) პატრიარქისადმი მიძღვნილი საღამო მისსავე პოეზიასა და მისი ცხოვრება-შემოქმედების ირგვლივ მსჯელობას დაეთმო. თადეოზი, როგორც რჩეული საერო და სასულიერო პირი, ბევრ სასაუბროს ქმნიდა ახლაც! ხოდა ბევრი იყო გამომსვლელი. ღონისძიებას მუსიკალური გაფორმების გარეშეც არ ჩაუვლია, – ლია ალადაშვილი არაერთხელ წარსდგა მსმენელთა წინაშე და დიდებულად შეასრულა სიმღერები. იგი ფანდურის თანხლებით მღეროდა. დიდებული იყო მარინა კოლხიდაშვილის გამოსვლაც, – მანაც ფანდურის თანხლეებით შეასრულა სიმღერა. იყო საცეკვაო ნომრებიც, რომელნიც ბრწყინვალედ წარმოადგინა ანსამბლმა „ყინწვისმა“. ეს ბავშვთა ანსამბლია, ქორეოგრაფიული, ქარტულ ხალხურ ფოლკლორს ემსახურება – ქართლ საცეკვაო ხელოვნებას. ანსამბლის ბუდე ქარელის რაიონია. ამ საქმეს პაატა ხურცილავა ხელმძღვანელობს. იქ, – მან შეკრიბა ეს ბავშვები, ასწავლა საცეკვაო ხელოვნება, და ჩამოიყვანა აქ, თბილისში, მთავარქალაქში, რომ დამშვენებულიყო მეუფის საღამო.

რაც შეეხება სიტყვით გამომსვლელებს, დიახ, ბევრი იყო ასეტიც, და ვშიშობ, რომ ვინმე გამომრჩება. მაინც ვცდი, – აღვადგინო საერთო სურათი.

აბა როგორ არ გამოვარჩო ეთერ ჭელიძე და ეთერ ისაკაძე, რომელთაც ნაწილ-ნაწილ წაიკითხეს, სახალხოს, ჩემი სტატია, მეუფის შესახებ დაწრილი! ძალიან გამახარა ამ ორმა ერთერმა იმ დღეს!

თქვა, თავისი სათქმელი, ერეკლე საღლიანმა.

ხოლო ბაღათურ არაბულმა, სათქმელთან ერთად, საჩუქარიც მოიტანა, – დიდი მეფის – დავით არმაშენებლის ენდალმა გადასცა, მწერალთა კავშირის სახელით, დიდი მეუფის ოჯახს. მოკლედ, გარდაცვალების შემდეგ, დავით აღმაშენებლის პრემიით დაჯილდოვდა მეუფე თადეოზი. ლეგენდარული ადამიანის დაფასება-აღიარებებს ეს ჯილდოც შეემატა...

რაღა თქმ უნდა, საღამოს არ ჩაუვლა ლამზირა შეყილაძის გარეშე. ლამზირა სულ თავიდანვე იყო აკადემიასი, იგი, ქალბატონ გულნაზისთან და ზოგ სხვათან ერთად, აკადემის სათავეებს განეკუთვნება, ამიტომაც ვაფასება ასე. რაც შეეხება ეთერ ჭელიძეს, ის დასთან – ნათელასთან, და ძმისშვილთან – პატარა ვაჩესთან ერთად მოვიდა. ვაჩემ დაგვამახსოვრა თავი – მშვენივრად წაიკითხა ლექსი. ძალიან საინტერესო იყო ჭელიძეების კიდევ თერი წარმოუდგენელი – გოჩა ჭელიძე, რომელიც სიტყვით გამოვიდა. გოჩა ისტორიკოსია და, როგორც მითხრეს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მცოდნე ადამიანია თავის დარგში. ასევე, ლეილა გაფრინდაშვილი, მაია ჯაყელი, ირაკლი ნადარეიშვილი, რომელმაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა დიდ მოძღვარს, ახალგაზრდა პოეტი გიორგი კორკოტაძე, მალხაზ გაბადაძე, თინათინ სტეპლიანი, ლექსები წაიკითხეს, ასევე, მანანამ, დეზი ემანულიძემ, მთვარისა ზეინკლიშვილმა... იყვნენ სხვა გამომსვლელებიც. საღამო დაახლოებით ორ საათს აგრძელდა... როცა პოეტები გამოდიოდნენ, ისინი არაერთხელ გამოცხადდნენ ასე ასე: პოეტები – თეთრი სიწმინდეები...

პოეზია ყოველთვის იყიო, არის და იქნება. ერთ-ერთი პირველი დიდი შედევრი ხელოვნებისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის „გილგამეშიანი“ („გილგამესი“), ეპიკური პოემა. მისი შექმნის ზუსტი დრო არავინ იცის. პოემა დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, მაინც იცოდნენ იგი. „გილგამეშიანი“ შემოგვრჩა არაპირვანდელი სახით და არასრულად, და მაინც – რაც დარჩა, როგორადაც დარჩა, არის დიდშედევრი, რომელმაც გავლენა მოახდინა სამყაროე, თუმცა შემდეგ სხვა სამყაროსეული შედევრები გამოჩნდნენ, პოეზიის შედევრები... და ასე გაგრძელდა საუკუნეების მანძილზე...

მაინც რა არის პოეზია? ბოლოს და ბოლოს მაინც რას ემსახურებოდა მეუფე თადეოზი, რას ემსახურებოდა ჩვენი აკადემია?

მთელი ცხოვრება ვწერ. მინდა შევიცნო ჭეშმარიტად, თუ ვინ არის პოეზია, თუ რა არის პოეზია.

უამრავი რამ შევქმენი, მათ შორის – ტრილოგიები, რომელთაგან ალბათ, ხუთია ძირითადი. ერთნი ჩათვლიან, რომ ვერ დავასათაურე ტრილოგიები და ამიტომ დავნომრე ისინი. მეორენი სხვავარად ჩათვლიან. აქ არ განვაცობ სათაურების თემას. ვიტყვი კი იმას, რომ, საერთოდ, ბევრჯერ მისაუბრია ჩემი ტრილოგიებისა და ჩემი სხვა ქმნილებების შესახებ, – რასაც ვქმნი, ყველაფერი მიყვარს, ესე იგი, ყველაფერი მნიშვნელოვნად მიმაჩნია, და მათგან საუკეთესოს გამორჩევა ამიტომაც მიჭირს.

ხოდა ვქმნი.

ხოდა ვფიქრობ, თუ რა არის პოეზია, საერთოდ – რა არის ხელოვნება. ბევრმა განმარა ეს, მაინც ვერავინ განმარტა. მე – შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარს“ ძველ წევრს, ძალიან მიყვარს ფიქრი. საერთოდ, ბევრს ვფიქრობ, ბევრ რამეზე ვფიქრობ...

ნეტა რას ფიქრობდნენ სხვები, ნეტა როგორი იყო მათი ძიების შედეგები?..

ნეტა რას ფიქრობდა, მთელს სამყაროზე, მეუფე თადეოზი?.. მან იცოდა ყურადღებით მოსმენაც, მან იცოდა ბევრი ლაპარაკიც, და მაინც, – მეუფემ თან წაირო ბევრი საიდუმლო ცოდნა... არაა ადვილი, რომ ჩავწვდე მის პოეზიას, მის ფილოსოფიას... არაა ადვილი იმის შეცნობა თუ რა პასუხები გასცა, ამ ბრძენმა, ბრძენკაცმა, მარადიულო კითხვებს...

არადა რამდენს ესაუბრებოდა, იგი ქალბატონ გულნაზისაც, აკადემის დანარჩენ წევრებსაც... დაუვიწყარია ეს საუბრები...

და მაინც:

დიახ, – მეუფე თადეოზმა ბევრი საიდუმლო წაირო თან;

ბერი კარი გააღო, იდუმალებით მოსილი;

მაგრამ ბევრი სხვა კარი ისევ დაკეტილი დარჩა...

თბილისქალაქში ერთი ლეგენდა არსებობს. ლეგენდა იმას მოგივთხრობს, რომ მეუფე თადეოზს სიკვდილის წინ თვით ღმერთი (იესო ქრისტე) და ანგელოზები, წმინდანები ეწვივნენ სტუმრად, რომ მეუფე ფეხზე წამოუდგა ამ უდიადეს, უნათლეს სტუმრებს, და ასე – ფეხზე მდგარი აღესრულა. მე კი ვფიქრობ, – ის კიარ აღესრულა, არამედ – უკვდავებაში გადასახლდა, და ახლაც იქ ცხოვრობს, ბოლო მის გულში უთვალავი სიცოცხლის ძალა სუფევს...

მეუფე თადეოზი თავმდაბალი, უამბიციო ადამიანი იყო. იგი თუნდაც ამით განსხვავდებოდა ჩვენან – ჩემი თაობისაგან – ოთხმოცდაათიანელებისაგან – ოთხმოცდაათიანელებისაგან, რომელთაც ორ საუკუნეში მოგვიხდა ცხოვრება, და რომელნიც ახალ საუკუნეს, ახალ დროს უფრო წარმოვადგენთ. ჩვენ დავასრულეთ ძველი და დავიწყეთ ახალი. ახლისქმნადობა ჩვენი სტიქიაა. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენში ვაერთიანებთ ყველა დროს. ეს მართალი, მაგრამ ამბიციური განცხადებაა... რაც შეეხება მეუფეს, ის შორს იყო ამბიციისაგან. დიახ, იგი გახლდათ, მკვეთრად, უბრალოების, და ამშვენებდა, მას, უბრალოება. დიდბუნებოვნებამ, მისმავე ცოდნამ, განამტკიცა ამ ადამიანის პოზიციები მეოცე საუკუნეში.

მეუფე კდიევ უფრო შორეულ წარსულსაც მკვეთრად გრძნობდა. მას ტრადიციული, კლასიკური ქართული ლიტეატურა და ფოლკლორი. უყვარდა, სერთოდ, მთელი ხელოვნება და ისტორია. უყვარდა ყველაფერი ქართული, მაგრამ უცხოურ მიღწევებსაც კარგად იცნობდა. არ ეშინოდა საიხლის, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით ძველი ყაიდის კაცი გახლდათ. მას ყველა უყვარდა. იმედის თვალით შეჰყურებდა ახალგაზრდობას. საერთოდ, იმედიანი, მხნე ადამიანი იყო, და, დიდ სევდასთან ერთად, დიდ სიხარულსაც ატარებდა. გახლდათ ძალიან განათლებული, ყოვლისმცოდნე, ამავე დროს – უმკვეთრესად მორალური, უსუფთავესი პიროვნება. მას უყვარდა კითხვა, ფიქრი. იზიდავდა ადამიანებთან ურთიერთობაც და განმარტოებაც. უყვარდა ბუნება. ცოცხლად აღიქვამდა ყოველივეს. მას უყვარდა მთები, სივცეები საერთოდ, და ამ სირცეებსი მიმოფანტული წარსულის საქართველო, თავისი უძველესი ხურთმოძღვრების ნიმუშებით...

პოეზია უპირველესი გახლავთ.

ხოლო მეორე ადგილისათვის რამოდენიმეს „აქვს პრეტენზია“, და მათ შორის ერთ-ერთი ფილოსოფიაა. ფილოსოფია საოცარი მეცნიერება არის, იგი, ასე ვთქვათ ხელოვნება-მეცნიერებაა, რომელიც უსასრულბებს გასწვდება თავისუფლად. მეუფე თადეოზს ძალიან უყვარდა ფილოსოფოსია და მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ჩამოსცილებია მას. მეუფის განსაკუთრებული დამოკიდებულება, ამ მეცნირებისადმი თადეოზის გაცნობიდან მალევე შევამჩნიეთ ზოგიერთებმა. მე კარგად ვფლობ ფილოსოფიურ ცოდნას. ბევრნი არიან ის ადამიანები, რომელნიც გამიოცებია ფილოსოფიაში, ხოლო ცოტანი არიან ის ადამიანები, რომელთაც მე გავუოცებივარ იგივე სფეროში. ამ სფეროს (ფილოსოფიის) საუკეთესო წარმომადგენლები შევახვედრე მეუფე თადეოზს. ერთ-ერთ მათგანთან ძალიან დიდხანს ისაუბრა. აღტაებულნი დარჩნენ ერთმანეთით. მერე ვკითხე ფილოსოფოსს, – რა შთაბეჭდილება დატოვა შენზე მეუფემ-მეთქი. მან მიპასუხა ლაოკონურად: „მუფე თადეოზი ბრძენია“...

აი, ეს ბრძენი, ეს უსასურლობათა მოაზროვნე, სადღაც ხუთი წლის განმავლობასი განაგებდა აკადემიას, ქალბატონ გულნაზისთან ერთად. თადეოზის ის ხუთი წელი მარადისობად ექცა ამ ორგანიზაციას, ამიტომაც არაფრის ეშინია, ხოდა ამიტომაც აკადემია ბევრს მუშაობდა, ბევრშ მუშაობს და გაჩენრებას არც ოდესმე აპირებს. ბევრი საინტერესო გეგმა აქვთ, მომავლისათვის, ორგანიზაციის წარმომადგენელბს.

აი, ეს სტატიაც დასრულდა.

მაგრამ გრძელდება ფიქრი.

საერთოდაც ხომ ასეა, –

ფიქრებს ვერაფერი დაასრულებს...

თბილის. 2023 წელი. გაზაფზული.

* * *

ჭკვიანი მაშინ ხარ, სულის უკვდავებას, რომ იწამებ და უფალთან შესახვედრად სიზიფის ქვა მოკიდებული სიკეთეზე იფიქრებ. შეიყვარებ ყველას და ყველაფერს. შეიყვარებ მიწასა და ცას. მიწას იმიტომ შეიყვარებ, რომ ის შენი საძვალეა. იქ შენი წარსული მარხია. ზეცას უნდა უღიმოდე, უნდა გიყვარდეს, რადგან იქ უფალია, იქ მარადისობაა, იქ, შენი საყვარელი გარდაცვლილთა სულები გელოდებიან ერისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილები.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

გადაარჩინე უფალო

რაჭა ეს ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა საქართველოში. იქ ბუნებასავით ლამაზი სულის ადამიანები იზრდებიან და მასპინძლობაშიც ვერავინ შეედრებათ. ბუნებამ კი ისეთი სტიქია მოუვლინა, უდანაშაულო ადამიანებს, რომ ამის დაწერას და აღწერას ვინ შეძლებს. გინდა რომ დაგავიწყდეს, მაგრამ როგორ დახუჭავ თვალებს, როცა ამდენი ბავშვი და ქალი გზას მოწყვეტილი ტყეში, მდინარეში, დადიან ღვთის ამარა. იქნებ დამხვრჩალიც არიან. მთელი დღე და ღამე სტიქიას ებრძვის უდანაშაულო სხვადასხვა ასაკის ადამიანები. რა საშუნელებაა, დაჩერებიხარ მდინარის ლამაზ ტალღებს, გვერდით მანქანები, ბავშვები, ტყის ფრინველებთან ერთად ჭიკჭიკობენ და უცებ ტრაგედია. შენს თვალწინ საგანგებოდ ჩაბეტონებული ხიდი, ფეხბურთის სათამაშო ბურთივით თამაშობს ქვა-ღორღად ქცეულ მდინარეში. მთიდან მოწყვეტილიმა მეწყერმა ჩაკლა სიცოცხლე. ეს ტრაგედია, საუკუნეებით გაყვება საქართველოს ისტორიას. ეს, არც მთავრობის ბრალია და არც ადგილობრივი იქ მცხოვრები ხალხის. ეს ის ძალაა, რომელსაც ჩვენ არ ვცნობთ. ეს განრისხებული სამყაროა. რაზე ბრაზდება და რატომ ბრაზდება, რა დროს ამის ახსნაა. სანთელი ავანთე და ასეთ სიტყვებს ვბუტბუტებ. ღმერთო, რომელი დედა ან ბებია, მამა, დედმამიშვილი ახლა შეშინებული ღვალებით შეყურებს კარებს და ელოდება, დასასვენებლად გაგზავნილ ოჯახის წევრებს, ყველა გადაარჩინე და უვნებლად დააბრუნე თავიანთ ოჯახებში!

სიზმარი მეგონა

ცას ცისარტყელამ წელი შეუხვია. მუცელატკივებულმა ზეცამ, პირიდან ნისლების ბოლი ამოაფრქვია და თან ამოაყოლა რაჭაში დატრიალებული დარდის ტრაგედია. ცის ფანჯრებიდან ვარსკვლავები იჭყიტებოდნენ. ეტყობოდათ ახალ ვარსკვლავებს ელოდებოდნენ. ცისარტყელის გზაზე ანგელოზების კვალი გამოჩნდა, ანგელოზები ცის ფანჯრებში შეძვრნენ და გაუჩინარდნენ. ისევ ღრუბელი წამოვიდა, ღრუბელმა ვებერთელა პირი დააღო და ცისარტყელა წამებში გადასანსლა. ატყდა განგაში ცასა და დედამიწას შორის. ვუყურებდი და ვერ ვხვდებოდი რა ქონდათ გასაყოფი ან რატომ ჩხუბობდნენ. დახოცეს ერთმანეთი ცემატყეპით. მათ უაზრო გააფთრებულ ჩხუბს უდანაშაულო ადამიანები ეწირებოდნენ. მერე ისევ მზის შეშინებულმა სხივებმა ამოყვეს თავი. მზეც გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. ვერ გაეგო უნდა გაეთბო ზღვართქაფით გადაკეტილი ადგილები თუ ისევ თავის ადგილ -სამყოფელში დაბრუნებულიყო. დიდხანს იტრიალა და ბოლოს გადაწყვიტა, მე ისევ ადამიანების ერთგული ვიქნებიო. ჩემზე დაკისრებულ ბუნების კანონებს დავემირჩილებიო და სტიქიისგან ნაცოდვილარ ადგილებში სითბოს დავატრიალებო და ასეც მოიქცა. ჩემი თვალით ვხედავდი ამ საშინელებებს, მაგრამ არ ვნერვიულობდი, რადგან სიზმარი მეგონა ყველაფერი. მე პირიქით თვალები მიღიმოდა, გაცისკრონებული მივჩერებოდი რადგანაც ვიცოდი, რომ ცუდად ნანახი სიზმარი კარგად ამიხდებიდა. გამეღვიძებოდა და ყველაფერი ისევ ლამაზი იქნებოდა, სასტუმროებში განთავსებული ბავშვები, სუფთა ჰაერზე მოსეირნე გოგო-ბიჭები, ბებიების კალთებში ჩაძინებული პატარები. სამწუხაროდ, თურმე სიზმარში კი არ ვყოფილვარ, ცხადში მინახია ეს ყველაფერი. დავინახე ის, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, იყო და აღარ იყო დასასვენებელი ადგილი რაჭაში. რეალობაში ჩაყლაბა უხილავმა ვეშაპმა. მე კი სახეზე მხოლოდ ღიმილი შემრჩა, სხვა ყველაფერი ზღვარცოფს წაეღო.

კიდევ ერთი მადლიანი დღე

ლია ჩიქოვანის მეგობარი მესტუმრა აკადემიაში, პედაგოგი ლალი, ამჟამად ემიგრანტი. ვუყურებდი ქალბატონს და მის თვალებში საქართველოს სიყვარული იყო ჩაბუდებული. ქალბატონი ლალი კვლავ გაბრუნდება იტალიაში და თავისი ხელით გადასცემს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო დიპლომს მეგობსრს. დიახ, ლია ჩიქოვანი გახდა აკადემიის წევრი. მისი ლექსები დაბეჭდილია ჟურნალ ,,ათინათში". საყვარელ პედაგოგ ქალბატონს ,,ათინათი" და დიპლომი გავატანე ლიასთან, თან აკადემიის წევრებისგან მოკითხვებიც დავაბარე. მამა გაბრიელის ხატიც მივართი, რათა წმინდა ბერის მადლმა დაიცვას ემიგრანტები. პედაგოგ ქალბატონს ჩემი წიგნი ,,ცისკარელი" და ახალი ნომერი ,,ათინათიც" ვაჩუქე. გულში კი გავიფიქრე, წმინდა ნინომ დაიცვას შენი ლამაზი ოჯახი ქალბატონოთქო. მრავალი თაობის აღმზრდელო თბილისელო ქალბატონო აფერუმ შენს ქალობას, რომ შვილებისთვის ყველაფერს აკეთებ. მალე დაბრუნებას, და შენი ღვაწლის დაფასებას გისურვებ!

მალვინა ჭელიძის გულის სითბო

მალვინა ჭელიძისგან იმერული ცხელი ხაჭაპურივით გამოტანებული გულის სითბო მივიტანე მალვინას დებთან. ნათიამ სუფრა სასწრაფოდ გაშალა, თან მომახარა, რომ მართვის მოწმობის გამოცდა პირველ გასვლაზევე ჩააბარა. ორმაგად გამეხარდა, რადგან ნათიას პედაგოგი ჩემი შვილი დავით სხირტლაძე არის. იმედია პრატიკაშიც კარგი შედეგებით გაგვახარებს და ხშირად გაგვანებივრებს თავისი მაქანით აკადემიის წევრებს. პატრიოტული სულის პოეტმა ეთერიმ კი ისეთი ლექსი წამიკითხა, სიხარულიდან კვლავ საქართველოს ტკივილში და მიტოვებულ სოფლებში მამოგზაურა.

პოეტმა დამანახა სოფლებში, ჟანგმოკიდებული და ხავსმოდებული აკვნესებული ქართული სულის სიცარიელე. რას ვიზამთ რეალობას სად გაექცევი, ვერც თვალებს დახუჭავ და ვერც გვერდს აუვლი. ესაა ადამიანური თვისებები, უნდა გიყვარდეს, უნდა გტკიოდეს და უნდა განიცდიდე. მოვეფერე ჩემი სულის ქალბატონებს და ახლა უკვე მიუტრიალდები აკადემიურ საქმიანობას. რა დროს დასვენებაა. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, ჩემს ხათუნა კილაძეს, რომ თავისი ხარჯებით მამოგზაურა თავისი სულის სამფლობელოში. მადლობა ჩემო ემიგრანტო ქალბატონებო სიყვარულისთვის.

გაერთიანებული სიყვარული

ხაშურის რაიონ სოფელ ალში გაზრდილმა ქალბატონმა, ნანა გიგუაშვილმა, ღირსეულმა დედამ და ბებიამ, ყველას დაანახა ქართველი ქალის როლი, გამტანობა და სიძლიერე. ამჟამად ემიგრანტი ქალბატონი მესხეთის მკვიდრია, ბრწყინვალე დედა და ბებიაა. აკი დავწერე კიდეც, სულიერების სამყარო შესხმული ამორძალად გადაიქცა და ქართველი ქალის სახელს იტალიაში ღირსეულად ატარებს. ის არ გახლავთ ავადმყოფი, ბოღმისგან ძარღვებ დაფლეთილი. ნანა მშვიდი და მოსიყვარულეა. ამიტომაა ყველა ქალბატონი გულწრფელი სიყვარულით გვერდში რომ უდგია. მასთან უამრავი ქალბატონი მოიყრიდა თავს, მაგრამ მე ვიყავი წინააღმდეგი, რადგან ყველასთვის სიტყვა უნდა მიმეცა და დროში ვიწვებოდი. ექვსში ღონისძიებაც უნდა ჩამეტარებინა, ექვსში, სათითაოდ უნდა მოვფერებიდი ყველას, ექვსში ჩემი საყვარელი მალვინაც უნდა მენახა და ექვსში ღამის თორმეტ საათზე იტალიის აერიპორტშიც უნდა ვყოფილიყავი. თუ ღმერთს უნდა თუ წმინდა სულით სუნთქავ, ყველაფერს შეძლებ და ყველაფერს გააკეთებ. რაც ჩამოვთვალე ყველაფერი შესრულდა. ჩემთან ღმერთია, არს და იქნება უკუნისამდე ამინ!

გამაოცა თითეულის ყურადღებამ. მანანა გელაშვილმა ახალციხიდან. მაია კვინიკაძემ თბილისიდან, ნატალია ლიპარტელიანმა სვანეთიდან, მაყვალა გელაშვილმა ხაშურიდან, სოფი რევაზიშვილმა გორიდან, მერი თოთლაძემ კასპიდან. ყველა ქალბატონმა ნანას ლექსი წაიკითხა და ყველას თვალებში სიყვარულის მზის სხივები ბრწყინავდა. გენაცვალეთ ჩემი საქართველოს ღირსეულო დედებო, კარგი ყველგან კარგია. თქვენ მხრებზე დგას დღეს საქარღველო. ბორის ლომუაშვილს სახლში შეკრებილ სახლში ერთიანი საქართველო დავინახე. იქ, მოსულ ყველა ქალბატონის სიყვარულით დამოძღრილმა გადავინაცვლე მალვინა ჭელიძესთან, ჩემი ხათუნას ინიციატივით. ჩემი სულიერი შვილის მალვინას გულის გახშირებული სუნთქვა კი, ახლაც ყურში მესმის. მიყვარხარ დედიო. შენ შემიმსუბუქე წლობით დაგროვილი ნოსტალგიაო. სიხარულით ვტიროდით ყველა ერთად. სიყვარული გადაარჩენს საქართველოს. ღმერთი სიყვარულია. პოეზია უფლის საჩუქარია, ღვთიურია, ზეციურია. ჩვენ ყველანი ერთად შევიკრიბებით ბოლოს ერთიან ზეციურ საქართველოში. ისწავლეთ წუთის ფასიც კი, შეისისხლორცეთ სიყვარული ცის და მიწის.

ქართველი ქალის ღირსებები

სიხარული ჩამოგიტანე ჩემო საქართველო იტალიიდან. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ ქართველი ქალი სადაც არ უნდა წავიდეს ყველგან თავისი წმინდა სულის შარმი დააქვს. კადრებში ჩანს, ხაშურელი ბორის ლომუაშვილისა და ხათუნა კილაძის ოჯახი, სადაც ჩატარდა ნანა გიგუაშვილის საღამო. ნანა გიგუაშვილზე პროფესიონალურმა პიროვნებებმა ისაუბრეს თბილიში. ეს შეფასება სრულიად საკმარისი იყო პოეტის წარმოჩინებისათვის. გამოგიტყდებით და გეტყვით, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო იტალიაში ჩასვლა შვილიშვილთან ნანა სხირტლაძესთან

და პატარა გვანცა კობალაძესთან ერთად. რადგან გადაწყდა, რომ მივდიოდი, კვლავ სიკეთეზე და პოეტი ნანა გიგუაშვილის გახარებაზე ვფიქრობდი. ამიტომ მოკრძალებით ვთხოვე ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და ნანას წიგნიც გაუგზავნე, რომლის რედაქტორი მე გახლავართ. ახლად გამოშვებულ წიგნში ჩანს პოეტის სული და ბრძოლის უნარიანობა. ლექსბში ჩანს ქალური ღირსებები და სამშობლოს ერთგულება. ქალბატონ ნანა გიგუაშვილს, ოთხი გამოუცემელი წიგნი, თავისი ემიგრანტობის წლებში დაგროვილი ცრემლიანი სტრიქონები გამოსაშვებად გამზადებული აქვს. ეს ერთი წიგნი, რომელიც მისი სულიერი პირმშო გახდა, გამოვიდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ეგიდით. რადგან ჩემი ჩასვლა იტალიაში გარდაუვალი იყო და თანაც დაჟინებით მოითხოვდა ჩემი უკეთილშობილესი ხათუნა კილაძე მეც დავთანხმდი. ხათუნამ შთამაგონებდა, რომ დეიდა როდის გინდა გაიხარვო. ჩამოდი იტალია უკვე საქართველო გახდა. აქ ძალიან ბევრი ქალბატონები არიან ჩამოსული. ჩამოდი და დაინახე, რა ღირსებებით სავსენი არიან, წვალობენ და საქართველოს სიყვარული კი გულში აქვთ სანთელივით ანთებულიო. რადგან მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი ვარ, ეს მე არ მათამამებს. პირიქით მოკრძალებული ვარ, უმრაველესობისთვის საყვარელ მაყვალა გონაშვილთან და თითეულ თანათავჯდომარესთან. მაინც გავბედე და ვთხოვე, ქალბატონ მაყვალას, რომ არ დალოდებოდნენ, იმას თუ როდის იშოვნიდა ემიგრანტი ქალბატონი იმდენ ფულს, რომ წიგნები გამოეშვა. ნანა გიგუაშვილის პოეზიის სიღრმე ექვემდებარებოდა მწერალთა კავშირში მიღებას. მადლობა ქალბატონო მაყვალა, ნდობისათვის. თქვენი ხელით დამზადებული საბუთი, აკადემიის დიპლომთან და მოწმობასთან ერთად მე ჩავიტანე იტალიაში. ყველაზე გასახარელი ის იყო, რომ ქართველი ქალის ნანა გიგუაშვილი სიხარული ბევრმა ემიგრანტმა გაითავისა. ვუყურებდი მათ ალალ

გულწრფელ თვალებს და მიხაროდა. ყველა ქალბატონში კამკამა წყალივით წკრიალა უბოროტო თვალებს ვხედავდი. ვხედავდი ოჯახის ერთგულებას, ვხედავდი სამშობლოს სიყვარულს. მაგიდაზე ჩანს, ქართული დროშა და ზედ გაშლილი წიგნები. ერთ-ერთმა სვანმა ქალბატონმა ჩაილაპარაკა აბა ერთი გაბედოს ვინმემ და ქართულ დროშა აუგად ვინმემ მიხსენოსო. ჩემო გულიანი ქალბატონებო, ამჯერად მაპატიეთ ამ მოკლე ინფორმაციის მოწოდება საზოგადოებისათვის. კიდევ დავწერ, აუცილებლად ჩემი კალმით სათითაოდ შევქმნი თქვენზე ლამაზ ისტორიას.

კადრები საუბრობენ

პოეტი ქალბატონი უშგულელი მალვინა ჭელიძე უძლიერესი ქალბატონია. სულით კი ისეთი ნაზია, როგორც ვაზაში ფაქიზად ჩაწყობილი ყვავილი. ამ სიფაქიზეს გინდა შეეხო, მაგრამ უკან იხევ, არ გინდა მყუდროება დაურღვიო. მალვინას ბავშობა საქართველოში დარჩა უშგულში „ლამარიას" სალოცავათან. ლომივით ძლიერ ძმებთან გაზრდილი მალვინა ახლა ემიგრანტია. როგორც ცისა და დედამიწის შეერთებას ვერ წარმოვიდგენ, ისე არ წარმომედგინა ჩემი და ჩემი შვილიშვილის ნანა სხირტლაძის, ჩემი შორენას გოგონას ნაფცქია გვანცა კობალაძისა და ჩემს ჩასვლას იტალიაში. თუმცა ეს მიწვევა ჩემმა ქარიშხალა ხათუნა კილაძემ და მისმა ქალიშვილმა მარი ლომიაშვილმა ხუთ მაისს დამიგეგმა. მეგონა თქმა და შემოთავაზება ლამაზ სიტყვად დარჩებოდა და ისე ჩაივლიდა, როგორც ჩემი ძირულის ტალღებში არხეინად მონავარდე წყლის ტალღები. „ქარიშხალა“ ხათუნა კილაძე, აბა რის ქარიშხალა იქნებოდა, თუ თავის სიტყვას არ შეასრულებდა. ამ ემოციით მღელვარე დღეებს კი კადრებში, რომ არის ასახული ქარშხალა იმ. დღეს, ხათუნას ტურისტულ სააგენტოს სამი ჯგუფი ეწვია საქართველოდან, რომელსაც მისი ქალიშვილი მარი ლომუაშვილი ხელმძღვანელობს. გათენდა და დილის რვა საათზე მოვიდნენ. ერთ ჯგუფის მარი ლომუაშვილი ხელმძღმღვანელობდა და მეორე ჯგუფს კი თვითონ ქარიშხალა. მძღოლად კი ჩემი ნანა აუყვანია. მე კი მითხრა: შენ დეიდაო, ხვალ ღონისძიება გაქვს და დაისვენეო. ასე იმოგზაურა ქარიშხალამ ორ გოგო მძღოლთან ერთად სამოც კაციან ჯგუფში. დილის რვა საათზე ეკლესიაში წავიდა. მე კი ერთი დიდი ზალა გამომიყო რათა ნანა გიგუაშვილის წიგნის პრეზენტაცია ჩამატარებინა, რომლის თემა აუცილებლად ცალკე უნდა გაშუქდეს. დავწერ კიდეც. ქარიშხალა ხათო, ახლა საქართველოში ღამის თორმეტი საათია. მეგონა დავისვენებდი, მაგრამ მალვინა ჭელიძის წერილმა არ მომასვენა. მალვინას კი ასე მივმართავ: ჩემო საყვარელო გოგო, ჩვენი ქარიშხალა ხვდება, ვის რა უხარია და სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ჩემი დაიკო ანერი, ჩემი შვილიშვილი ნანა, და ჩემი უსაყვარლესი მარითი შენთან მოვსულიყავით. ის უთქმელად ხვდებოდა, რომ შენთან შეხვედრით დიდ საჩუქარს გამიკეთებდა მე და ჩემს ანერის, რომელსაც უზომოდ უყვარხარ. თან საყვარელო მალვინ, იმ დღეს, ნანა გიგუაშვილის საღამო, ძალიან ტკბილი ღონისძიება თავის სახლში ჩამატარებინა, რომლის თემა ცალკე გაშუქდება. დღეს კი მეგონა დავისვენებდი და დილით გადმოვღვრიდი ემოციებს, მაგრამ შენმა წერილმა, ამაფორიაქა მალვინ და ისევ შენთან შემომატრიალა, იტალიაში. ლამაზად მოვლილ დიდ ეზოში იდგა ქართული სტილის დიდი სახლი. სახლის დიასახლისი ლამაზი ქალბატონი სიყვარულით შემოგვციცინებდა, ეს შენი დამსახურება იყო საყვარელო. რა დამავიწყებს იმ სიტყვებს, ხათუნას, რომ უთხარი. დამიტოვე გულნაზი ერთი შვიდი დღე. გააუქმეთ ბილეთი, მე გადავიხდი ბილეთის ხარჯს და მე გავაცილებ საქართველოშიო. მე ამდენი წელია აქ ვარ. არ მიტირია, ახლა ვტირივარო. ეს ტირილი ცხრა წლის ნოსტალგიაო. დამიტოვეთ გულნაზიო. გამოგიტყდებით და გეტყვი მალვინ, მეც იგივეს ვგრძნობდი, ნეტავ მქონდეს დრო და გავძღე მალვინას მოფერებითათქო. შენიდან პირდაპირ აეროპორტში წამოვედით მალვინ. გზაში შეფერხება მოხდა და მე კვლავ დავრწმუნდი ჩემს

სიძლიერეში, როდესაც თვითფრავი ქუთაისში არ დაჯდა და თფილისკენ, განაგრძო ფრენა. ეს არ მომხდარა შინაგანი ფორიაქობის გარეშე. რეალურად ხდებოდა საშიშროების მიზეზი. ბევრი ცუდად გახდა. ზოგიც სავადმყოფოში გადაიყვანეს და თვალწინ მიდგას ჩემი თავი. იცი მალვინ მე ხალხს ვამხნევდი. დამშვიდდით, ილოცეთ... ხალხი ლოცულობდა, მეც მათათან ერთად ვიმეორებდი მამაო ჩვენოს. ბოლოს ყველაფერი დალაგდა და ახლა კი ძილის მაგივრად შენ წერილს ვეხმაურები საყვარელო. შენი ცრემლების ზღვა არ მცილდება და არც მინდა მომცილდეს იცი მალვინ, შენი მოფერების ზღვაში მინდა ჩავიძირო.

* * *

მე ვგრძნობდი მტრედებში გადმოსახლებული სულებს. ეს ჩემთან გააკეთეს მტრედებმა. მოედანზე ძალიან ბევრი ხალხი იყო. მტრედების გუნდი მე მომესია. ვხედავდი გარდაცვალებულთა სიახლოვეს. ამას უყურებდა ჩემი შვილიშვილი ნანა სხირტლაძე და ჩემი დიშვილი ხათუნა კილაძე.

ვერონა' შორეულ წარსულში ვიმოგზაურე, გლადიატორთან არენასთან ფოტოც კი გადავიღე. ჯულიეტას ცნობილ აივანთან ჯულიეტას მკერდს შევეხე და სურვილი ჩაუთქვი.

უნიჭიერესი ლევან ლომიძე

იტალიაში ჩემი დაიკო ანერის შვილიშვილი. უნიჭიერესმა ლევანიმ იცის სადაა მისი ფესვები. იზრდება იტალიაში და ცხოვრობს ქართული ტრადიციებით.

შეუფასებელი საჩუქარი

დარეჯან ღონღაძის წიგნის ,,ბროწეულების" რედაქტორი ვარ. ფაქიზი სულის ავტორისთვის ავირჩიე გამომცემლობა ,,მინიატურა". გამოვიდა წიგნი ,, ბროწეულები", რომლის პრეზენტაცია ჩატარდა პარლამენტის ბიბლიოთეკაში და რომლითაც ძალიან კმაყოფილი დარჩა წიგნის ავტორი ქალბატონი დარეჯანი და ყველა მონაწილე. ღონისძიებას ღვთის მსახურები ესწრებოდნენ. ბორჯომისა და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმენეონი და ამაღლების ეკლესიის წინამძღოლი მამა ამირან ამირანაშვილი. წიგნი ,,ბროწეულები ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ეგიდით გამოვიდა. ამ დროისათვის ახლოვდებოდა უკვე ჟურნალ ,,ათინათის" 48 ნომრის გამოშვებაც. ,,ათინათის" პრეზენტაცია კი აკადემიაში ჩავატარე. ჟურნალ ,,ათინათიდან" გამომდინარე ღონისძიება სხვადასხვა თემატიკით უნდა წარმართულიყო და ასეც ჩატარდა. პოეზიის განყოფილებას გაუძღვა, პოეტი ეთერ ჭელიძე და და მთლიან სხვადასხვა ჟურნალში დაბეჭდილ სხვადასხვა თემატიკაზე კი ისაუბრა, პროზაიკოსმა ქალბატონმა ირმა კეკელიძენ. ამ ნომრის გამოცემას დაემთხვა, 2011 წლის 24 აპრილს ტრაგიკულად გარდაცვლილი პატარა იმედის მომცემი ფეხბურთელი ივიკო ჭელიძის ტურნირი ,,მომავლის თასი ,,ივიკო", რომელიც 24 მაისს მეშვიდედ ჩატარდა. ეს ინფორმაცია, ათინათში გავაშუქე.

საერთოდ ჟურნალი შემეცნებითია და სწორედ ცად წასულ შემეცნებით სულებსაც აერთანებს მოგონებებით. პატარა ივიკოთი და ქსორველების ანსამბლში მონაწილე მირანდა წიკლაურს, ჯუმბერ ლეჟავას და ყველა გარდაცვლილი აკადემიის წევრების სულების საპატივსაცემოდ მოვიწვიე ქსორველების გუნდი, ბატონი ელდარ შილოშიტაიშვილის ხელმძღვანელობით.

ეს ცრემლიანი განყოფილება მე ავიღე ტვირთად. რამოდენიმე წუთში ჩემს თვალში ჩამარხული ცრემლები სიხარულმა შეცვალა. გამცემლობა ,,მინიატურის" დირექტორმა ქალბატონმა ქეთიმ გადმომცა საჩუქრად, სერთიფიკატი ,,ვეფხისტყაოსანი" გულნაზი ხარაიშვილისათვის. ეს იყო მოულოდნელი და შეუფასებელი საჩუქარი ჩემთვის. ხოლო ,,ბროწეულების " ავტორმა ლამაზმა დარეჯანმა კი დიდი წითელი ვარდები თავისი ულამაზესი ვაზით. წითელ სურნელებიან ვარდებში დარეჯანის ფიქრის ბროწეულები მიღიმოდნენ და ვგრძნობდი, რომ ეს ღიმილი აღარ დამშორდებოდა. ხოლო ქეთის საჩუქარი კი შეუფასებელია. 2014 წლის მონაცემებით ეს ვეფხვისტყაოსანი წარმოადგენს ყველაზე პატარა ზომის მინიატურას. (35) გამრავლებული (50სმ) მასში გამოყენებულია, მეთორმეტე საუკუნის კალიგრაფისტისა და მხატვრის მამუკა თავაქარაშვილის მინიატურები 1646 წლის ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსანი"-დან, რომელიც დაცულია ეროვნულ ცენტრში. ტექსტი აღებულია,1937წლის რედაქციიდან. წიგნი დაბეჭდილია ტონირებულ ქაღალდზე. ყდაზე დაკრულია შოთა რუსთაველის ბარელიეფი . ვერცხლი (წონა 2 გრამი. მოოქროვებული 875 სინჯი). წიგნს ახლავს სასაჩუქრე ყუთი და გამადიდებელი ლუპა. წიგნი წარმოადგენს იშვიათ გამოცემას და დაცულია ხელშეუხებელ ფონდში.

გამოცემაზე მუშაბდნენ: (იდეა, ტექნიკური რედაქცია, დიზაინი, ხელით შესრულება,) ქეთევან ლაზარაშვილი, ბადრი მელაძე, დავით სისიაური და თეკლა მელაძე. ასეთი ძვირფასი საჩუქარი მარგუნა ,,ათინათის" 48 ნიმერმა. წმინდა ნინომ ქეთის სახით გამომიგზავნა ანგელოზი, რომელმაც გადმომცა შეუფასებელი საჩუქარი. თვალი გავაპარე ჯუმბერ ლეჟავას სურათისაკენ და ფიქრებით შევეხმიანე. ბატონმა ჯუმბერიმ ცხრა წელიწადი, იარა უკვდავი შოთა რუსთაველის აფორიზმით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". ეძიებდე და პოვებდეო უთქვამთ. მეც ვეძებ უფლის მოყვარულებსა და კეთილ ადამიანებს. ვეძებ ლექსებში, მეცნიერების ყველა დარგის მუშაკებში. ვეძებ და ვპოულობ კიდეც. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში, სიყვარულის ჯაჭვია, უფლის ხელდასმული და დალოცვილი.

პატარა მხატვარი ნუციკო ელიაძე

დამთავრდა ნანა გიგუაშვილის საღამო და ღონისძიების დასასრულს, ეს პატარა ანგელოზი შემორჩა ბოლომდე თავის საყვარელ პადაგოგ- პოეტ მზია ელიაძესთან ერთად. დარჩა იმიტომ ,რომ სამუშაო ოთახის მილაგებაში მომეხმარა საყვარელი ქალბატონები მზია და ლია, მათთან ერთად მარჯვე გოგონა ნუციკო ელიაძე. იცით? პატარა ნუციკო ბევრი სერიოზული ნახატების ავტორია. მე მას ჩემი ვარდების თაიგული ვაჩუქე. ყვავილები ყველაზე ძალიან მიყვარს, მითუმეტეს ვარდები. ვარდობის თვეში დაბადებულს, ვარდის სურნელი მათრობს და დადებით ენერგიტიკით მმუხტავს. როცა ვარდების თაიგულებს მჩუქნიან ძალიან მიხარია. იშვიათია, რომელიმე თაიგული სახლამდე მივიტანო და იცით რატომ? ჩემთვის საყვარელ ვარდებსაც სხვებს ვურიგებ. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემს სიხარულსაც კი სხვებს ვუნაწილებ. ამჯერად ეკა ლომიძუს ნაჩუქარი ვარდები პატარა მხატვარ ნუციკო ელიაძეს შეხვდა. ნუციკო შემპირდა რომ ამ ვარდის თაიგულს დახატავს, პოეტ ნანა გიგუაშვილის საპატივსაცემოდ. თუ ნუცამ პირობა შეასრულა ჩემი საჩუქარი ვარდის თაიგული ,,ათინათის" 49 - ნომერს დაამშვენებს. რომ იცოდეთ რა ბედნიერებაა, როცა სიხარულით გასცემ რაიმე ნივთს, თუნდაც მინდორში მოწყვეტილ ერთ გვირალს, შეეცადეთ სიკეთის კეთება და თქვენც იგივე დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტებით. ნუციკოს და მუსიკოს ლია ალადაშვილს იცით კიდევ რა ვაჩუქე? ჩემს დაბადების დღეზე დილის ექვს საათზე გარეჯიდან ბერი ნეოფიტე ჯობავა მესტუმრა, ჩემს უერთგულეს მეგობარ პოეტს ლამზირა შეყილაძესთან , რუსთაველის მსახიობ ლენგინოზ გიორგაძესთან, და ერთ უკეთილშობილეს გოგონასთან ერთად, რომელიც მამაოს ხშირად ახსენებდა, მამა ნეოფიტე, ჩვენ ფაქტიურად ღამე ვათიეთ, თბილისიდან შემოგირთდით , რუსთავში. ერთ- ერთ პარკთან გაგვაჩერე და გულნაზიზე მიძღვნილი ლექსი გვამეორებინე. არაუშავს, შეაწყვეტინა საუბარი მამა ნეოფიტემ თვალებრიალა გოგოს, უფალი ხედავდა ყველაფერს, ეს ასე უნდა გაგვეკეთებინაო. ღვთის სტუმრების ვარდები , ოთხ მაისს ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის ნაჩუქარ ვარდებს შეურიე და თან ჩაუთქვი, საქართველო დამიმშვიდე უფალო ამ ღვთის მწყალობლებითქო. გავიდა დრო, ვარდები გახმა. ვარდს ვარდის ფურცლები მოვაცილე და აკადემიაში შევინახე. ჰოდა, ლია ალადაშვილს და ნუცუკოს ამ ფურცლების პატარა ნაწილიც ვაჩუქე და თან ჩავუთქვი. დააბრუნე უფალო, ახალზრდების მოწიწება უფროსების მიმართ. რამეთუ მათ ერთი თბილი სიტყვაც აბედნიერებს. თუნცა უფრებსაც ხშირად გვავიწყდება ერთი რამ, ჩვენც ვიყავით პატარები და ჩვენც გვიხაროდა უფროსებისგან ყურადღება.

გონების საზღვარზე

,,ადვილი არ არის ბრძოლა საკუთარ თავთანო" ამბობს ქალბატონი ნაირა და გვთავაზობს ძალიან საინტერესო ბრძნულ რჩევებს. ესაუბრო საკუთარ ,,მეს" და ათასში ერთხელ გაანალიზო განვლილი გზა, ეს ძნელი არ არის. ძნელია ყოველდღიური თუნდაც წამიერი ურთიერთობები, ოჯახისწევრებთან და საზოგადოებასთან. ამისათვის საჭიროა, იცოდე ვინ ხარ შენ. ამის გარკვევა, რომ შეძლო და გაანალიზო გაჩენისა მოსვლის დანიშნულება, რომ ჩამოყალიბდე უნდა იყო

რწმენით ძლიერი და განათლებული პიროვნება. თუმცა აქვე გვიხსნის ბრძენი ქალბატონი, რომ ,,რელიგიური განათლება გონების განათება არაო". თუ გესმის და არ აკეთებ იმას რაც გესმის, მაშინ ფუჭია და წყლის ნაყვაა მიღებული ცოდნა. ცოდნას პრაქტიკულად გაანალიზება და გამოყენება ესაჭიროება. როცა ხალხში წიგნის ავტორი ამ კატეგორიის პიროვნებებს აწყდება,

ნიჭიერი ქალბატონი თავისი ბრძნული აზრებიდანაც გამოდის და პოეზიის ლაბირენთებში ჰპოვებს სულის სიმშვიდეს.

,,ქარს ნამქერები მიაქვს და მიაქვს,
ხან დაჟინებით უსტვენს- უბერავს,
დამშეულ ოცნებებს- ხელმოცარულებს,
სიცივის კარი გამოუკეტავთ"

თავის ლამაზ და ნიჭიერ გონებას აკვანივით არწევს, დედის ტკბილ იავნანასავით ნანას უმღერის და გადადის ,,ადამიანისა და ადამიანების მიმართ ბრალის" თეორიაში. სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ მის ნააზრევს, ჟურნალ ,,ათინათში" დაბეჭდილ მასალას. ,,ჩვეულებრივი ადამიანის დაუსრულებელი ბრალი იღებს, სხვადასხვა ფორმას, რომელიც უმთავრესად გაუცნობიერებლობის შედეგია და თვით გაცნობიერების შემთხვევადეც კი ის არაა თანახმა იცხოვროს ბრალის გარეშე, რადგან დაშრეტილი და გამოფიტული ვერ აგრძელებს დაუნდობელ სამყაროსთან ურთიერთობას. წმინდა ბერების ცხოვრებაც კი გვაფიქრებინებს იმსში, რომ ისინი ადამიანთა მოდგმის წმინდა ხაზები არიან და ყველა დროში კანონზომიერებით საზოგადოების განსაზღვრულ სექტორს იკავებენ. ბრალის თეორია, პოეზია და სიბრძნის სკივრის აზრები კვეთენ გონების საზღვარს და ბოლოს ერთად შეერთებული იქცევიან ადამიანთა აღზრდის მეთოდიკად. ექიმი ქალბატონი ცოდნის მდინარე გადმოიღვარა და მოდის და მოდის ჩვენდა სასიკეთოდ. გასაანალიზებლად, გასათვალისწინებლად და შესაცნობად. ადამიანის ფენომენის შესწავლა და ცხოვრებისეული აზრის შესწავლა ყოველთვის იყო თეოლოგიის ფილოსოფოსის და ხელოვნების ყველა დარგის მიზანი. ქალბატონ ნაირა უგულავაში ბევრი დარგია ერთად შეჯვარებული. ექიმი, პოეტი და ფილოსოფოსი. ამიტომაა, მისი კალამი განსხვავებული. ექიმი მკურნალია ხორცისა. პოეტი შორეული მგზავრია, ის სულის ლაბირიმთებით მოგზაურობს. ზესთა სოფლის საიდუმლოებების მაძიებლია. მიდის და მოდის უზენასისაკენ მიმავალ ბილიკებზე. მიდის დაუსრულებლად. პოეტს ორი სახლი აქვს მიწიერი და ზეციური. ჰოდა, რა გასაკვირია ექიმი ქალბატონის აზრები ჩამოყალიბებულიყო ბრძნულ აზრებად და მკითხველისათვის მიეწოდებინა ,, გონების საზღვარზე" მოკრეფილი აზრები. ვისაც სურვილი ექნება წაიკითხეთ . დამერწმუნეთ სულის შიმშილს აღარ იგრძნობთ. დაპურდებით და სიცოცხლის შარბათით დაიამებთ სულის ტკივილს. სასიკეთოთ შემოაბრუნებთ უიმედოდ გაფატულ ფიქრებს.

სათნოების სამყარო

ამ ბოლო დროს ფეისბუქში გადაღებული მასალების ქვად გადაქცევა, მიმანიშნებელია იმისა, რომ ვიყო ზომიერი. ყველა კუთხეს თავისი პლიუს-მინუსი სახასიათო ხასიათი აქვს. მე მაგალითად საჩხერული სულსწრაფობით გამოვირჩევი. იმ წუთში მინდა გავუმასპინძლდე ჩემს დაპატიჟებულ სტუმრებს და ცალ ხელში წიგნი უნდა დავაჭერინო მეორე ხელით კი ღამის ნაპახმელიავებელი ლექსები მინდა გამოვუმზიურო. მესენჯერში გადმოგზავნილი მასალები ისე გამიქვავდა, როგორც საჩხერის რაიონის ხვანი- ჭალვანისკენ, რომ გადაუხვევ ჯერ შეგხვდება ერთი მთის ძარღვის ვენიდან გამსკდარი დიდი ღელე. ცოტას ივლი და შავაძეების დასახლებაა. ხელ მარცხნივ სიყვარულით ლამაზად აშენებულ ერთ- ერთი კოპწია სახლი ჩემი საყვარელი

გურგენი შავაძის სახლია. გურგენი შავაძე დედაჩემის დიშვილიც იყო და შვილიც. ბეჟანის გარდაცვალებიდან მახსოვს, ჩემი გურგენისა და ეთერის (მისი მეუღლის) ფუსფუსი ჩემს დარდიან დედასთან. დედაჩემის გულის ჯარღვს ოცდაათი წლის შვილის პოეტი ბეჟან ხარაიშვილი მოწყდა. შავაძეებს უბანს გაცდები და ხელ მარჯვნივ არის კლდე. ეს ისეთი კლდე არის თუ თავის ნებაა, იშლება. თუ არ გაასწარი მგზავრად გაგიყოლებს და ძირულის ტალღებთან მიგახრჩობს. თუ კარგ ხასიათზე არის, აიარე და ჩაიარე მიკირულ კლდების ქვეშ გაასვალტებულ გზაზე. ასე დაემართა ჩემს მესენჯერს დღეს. მინდოდა, პატარ-პატარა ნაწყვეტების დადება და ლამაზი სასიამოვნო ინფორმაციის მიწოდება ჩემი გვერდის მეგობრებისათვის. არ გამომივიდა. არ მომცა ნება ბატონმა მესენჯერმა. ჰოდა, არის ხვანის კლდესავით მიქვავებული. მაშ ასე, შევეცდები ლამაზად ავღწერო გუშინდელი საღამოს ლამაზი განცდები. დავიწყებ იმით, თუ ვინ მყავდნენ მოწვეულები ემიგრანტი ქალბატონის საღამოზე. ენრიკო ჯანელიძე, რომელსაც ყველა იცნობს მომღერალი მოგზაური. ერეკლე საღლიანი. ეს არის პიროვნება, რომელიც საქართველოს, ,,ხევისბერი გოჩაა". ლია ალადაშვილი (მუსიკოსი), ქალბატონმა ლიამ ძალიან ბევრი პოეტების ლექსები სიმღერად აქცია. ლია სასიამოვნო ხმით და უბრალოებით გამოირჩევა. მალხაზ ჩხიტუნიძე, ჩემი საჩხერელი, საამაყო სულიერი შვილი და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის სწავლი მდივანი. თენგიზ ფანცულაია, ,,პოეტები საქართველოსი" ამ ორგანიზაციის ერთ- ერთი დამ-ფუძნებელი და ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი. თემურ გოგსაძე. მსოფიოში აღიარებული ადვოკატი და ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი. ხათუნა ელიაშვილი, განსხვავებული ხედვის პოეტი. ეთერ ჭელიძე, ლეჟავას აკადემიის გამგეობის წევრი და წლის საუკეთესო პოეტი. მანანა აბუსერიძე, ობიექტივის ტელევიზიიდან ჟურნალისტი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე. აკადემიის წევრი და ბრწყინვალე ნიჭიერი ბიბლიოგრაფი. მზია ელიაძე, პედაგოგი, ლეჟავას აკედემიის წევრი და პოეტი. ღინისძიებაზე იყვნენ სხვა პიროვნებები, რომლთა სახელი და გვარი არ მახსოვს და მაპატიონ. ყველაზე საინტერესო იყო , ,,სათნოების სამყაროს " წარმომადგენლები. წიგნის ავტორის ოჯახის წევრების ერთსულოვნება. ახლაც ჟრუანტელი მივლის ნანა გიგუაშვილის ძმიშვილის სიტყვებზე. მამიდაჩემი ნანა, ჩემი სულიერი მამიდააო. ჩვენ უფრო დაქალები ვართ ვიდრე მამიდა ძმიშვილიო. თვალწინ დამიდგა ჩემი ძმიშვილის სიტყვები პოეტი გვანცა ხარაიშვილის. ,, მამიდიკოს" ვგავარო ხშირად რომ ამბობს ჩემი დახატული გოგო. შეხედავდი, ნინოს და ასლი იყო წიგნის ავტორის ნანა გიგუაშვილის. მეორე ძმიშვილი ნანასას ,,ბაკოს" თვალებში კი მზის სხივები ბრწყინავდა, მისი წაკითხული ლექსების ექო წერეთლის ცაცხვის ტოტებზე სიხარულით ცეკვას იწყებდნენ. საინტერესო იყო შვილის მეუღლე, საჩხერელი მარი ხომასურიძე. ჩვენ ერთი კუთხის საერთო სანათესაო, ჩემი ნონა შავაძის ირგვლივ გვიხდებოდა საუბარი და ხშირად ფიქრით ხვანის მთის ძირებში ვეძებდი წითლად ამოსულ პოეზიის ლამაზ ნიყვებს. ღინისხიებაზე იყო, ნანას ქალიშვილი, რომელმაც თითქმის ყველაფერი გადაიღო. არაფერი არ დააკლო დედიკოს და ამიტომ იყო ჩემმა მესენჯერმა დროებით რომ შემასვენა. მარიამს ნანას ქალიშვილს შეუძლია მსახიობივით ლექსების კითხვა და თავისი ნიჭით და ლექსების წაკითხვით, ყველა მოიხიბლოს. ასეც გააკეთა, დედიკოს ლექსები წაიკითხა და საამაყო იყო მისგან დედის პოეზიის მიმართ პატივისცემა. ღონისძიებაზე ორი პატარა ანგელოზი გვესწრებოდა. ნანას შვილიშვილი ანასტასია ლომიძე და მზია ელიაძის პატარა მხატვარი

შვილიშვილი, ნუცა ელიაძე. ანასტასიამ ბებიკო ნანას ლექსები ლამაზად წაიკითხა, ის სკოლაშიც წარჩინებული მოსწავლეა და საქართველოს კი ამ პატარების სახით ლამაზად აღზრდილი ნიჭიერი თაობა ეზედება. მზესავით თბილ ქალბატონს ისე ვეღარ მოვეფერე, როგორც მინდოდა. მაპატიე ნანა საყვარელო. მაპატიე შენ ჩემი სულის ზიარო, მეც მინდა შენსავით ვიღვრებიდე ლოცვად. მინდა შენს ერთგულების კონცხდან ჩამოვისვენო და გითრა, შნნაირი დედები მიყვარს შვილოთქო. ხომ დამიჯერებ დედი რომ ჩემი დედაშვილური სიყვარულია არის ჩემი სულის საზრდო.

ცხრა ივნისის ემოციები

ღონისძიება, რომელიც ცხრა ივნისს ჩატარდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თავს კვლავ მახსენებს და ისევ რაღაცის დაწერისკენ მიბიძგებს. სიხარულითა და ემოციით დატვირთული დღე. დედამთილის მოფერება, რძლის მიმართ, ლამაზი მეუღლის თვალებში ციცინი, სურამისა და ხაშურის ეპარქიის მეუფე სვიმეონიმის დალოცავა, ამაღლებისს ეკლესიის წინამძღვრის მამა ამირან ამირანაშვილის სიმღერით ღუღუნი. მამა ამირანი ძალიან თბილი და კეთილი მამაოა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებული იყო. დაგილოცა დარეჯან კალამი და გისურვა, რომ მტკიცედ უნდა გეჭიროს უფლისგან მომადლებული სიმდიდრე ხელში. იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი წყვილი და მეუღლის დაფასება დარეჯან შენს მიმართ. გაიხარე დარეჯან. გაიხარე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად და იმედი მაქვს ჩვენც მოგვეფერები და გაგვახარებ შენი ენთუზიაზმით და წინსვლებით. საერთოდ დავეძებ უფლის მოყვარულს და კეთილ ადამიანებს. გიპოვნე და არასოდეს დაგკარგავ ლამაზო პოეტო. მეც ამიყვავე ,,სულის ბროწეულები". ვწუხარ, რომ ღონისძიებაზე ბოლომდე ვერ შემოვრჩი. ვამხელ ვინც მირეკავდა. ეს ქალბატონი პოეტი ნანა დარჩიაშვილი იყო. შვილი გარდაეცვალა. მაპატიოს უფალმა ცოტა მკაცრად ვუპასუხე, ღონისძიება მიმყავს და მერე დაგირეკავთქო. ვიციო მითხრა, მამა ამირანი დამალაპარაკეო. მამაო ამ დროს თქვენ დაგფიფინებდათ თავზე და როგორ შემეწუხებინა. იძულებული გავხდი წამოვსულიყავი, რადგან კატეგორიულად მოითხოვდა, მითხარი როგორ გადაიტანე შვილის სიკვდილიო. ახლა. გავცემ პასუხს, როგორც გადავიტანე. გადავიტანე იმით, რომ კვლავ სიცოცხლეზე ვფიქრობ. სიკვდილი ჩემი სიძლიერით მოვკალი და იმანაც ზურგი შემაქცია. ყოველდღე ჩემით გავილამაზე სიცოცხლე. ყოველთვის ვფიქრობ ვის როგორ მოვეფერო. მტერიც კი მეცოდება, რადგან მან არ იცის სიცოცხლის ფასი. აქ, უნდა დავითმინო, რომ ბედით ცად წასულმა სამუდამო ნეტარება ვნახო. ეს სიტყვები წაიკითხოს იმათმა, ვინც ეს კითხვები აფორიაქებს. შენ კი ჩემო დარეჯან კვლავ ააყვავე ,,სულის ბროწეულები" შენ ჩემი ნაპოვარო დარეჯან მიყვარხარ, თან ძალიან!

ნანას სურპრიზი

ემიგრანტისთვის ერთი თბილი სიტყვაც კი ცრემლების მომგრელია, რადგან მას ენატრება ოჯახი და ოჯახის წევრები. ასეა ნანა გიგუაშვილიც. ნანას წიგნი ,,სათნოების სამყარო", რომელსაც ჩქარე იხილავს, მკითხველი ჩემი რედაქტორობით შეიქმნა. ერთი წიგნი, რომელიც საკორექტოროდ ამოვიღე უკვე ხელში მაქვს. ვიფიქრე რადგან მადლი გავაკეთე, მარილიც მოვაყარო-

თქო და ქალბატონ ლია ალადაშვილს დაუკავშირდი. არავინ ჩამთვალოს ისე, რომ კლასიკურად დამუშავებული სიმღერა არ მესმოდეს. რა თქმა უნდა, მესმის. ლია ალადაშვილი პროფესიით მუსიკოსია, რომელსაც ძალიან თბილი და ნაზი ხმა აქვს. თავისეული ნიჭით ლამაზად ბუნებრივად ამუშავებს ვისი ლექსიც მოეწონება და ბევრს ახარებს შექმნული სიმღერებით. ასე გავახარეთ, ბევრი და ვიცი, რომ ნანასაც გაეხარდება, თავის დაწერილ ლექსს ამღერებულს რომ მოუსმენს. გილოცავ ნანა ახალი წიგნის დაბადებას, რომელიც აკადემიის ეგიდით გამოუშვი. კიდევ მრავალი პოეზია შეგექმნას და მკითხველი გაგეხარებინოს. სიმღერა კი სურპრიზია ემიგრანტო.

საძირკველი აკადემიიდან დაიწყო



ბატონ ჯუმბერისთან მე და რუსუდანის დედამ ანა ბოდბელმა, მივიყვანეთ რუსუდანი. როდესაც ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის ბეჟან ხარაიშვილის თანაკურსელი ანა მოვიდა ჩემთან, წერეთელზე, სადაც აკადემიაა გახსნილი, რუსადანისთვის ფართის აღაბაზე, რეკომენდაცია უნდა გამეწია, შენობის მეპატრონესთან, რათა რუსუდანს ცეკვის სტუდია უნდიდა გაეხსნა. ცოტახნით დრო წარსულის გახსენებას დავუთმეთ. ვისაუბრეთ. მე და ანამ, გავიხსენეთ ბეჟანისა და მისი დაძმური ურთიერთბები. იცი გულნაზ, ანა ყვებოდა, ბეჟანი იმდენად წესიერი ახალგაზრდა იყო, დედაჩემი მხოლოდ მას მანდობდაო. ამ ლამაზი წარსულის გახსენების შემდეგ, რუსუდანის შესაძლებლობის სიღრმეს ჩავუკვირდი და ინტუიცია მკარნახობდა, რომ მას უფრო მეტი შესაძლებლობები, ქონდა ვიდრე ამბობდა. რუსუდანი, ისტორიკოსიც იყო, სამართალმცოდნეც და როგორც თვითონ აღნიშნა, მე უფრო წყლის ვარო. დავფიქრდი, გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. ანას ვუთხარი, წავიდეთ ბატონ ჯუმბერისთან და რუსუდანმა ფიზიკურ შესაძლებლობებზე ლეჟავასთან ისაუბროსთქო. ანა დამთანხმდა. ბატონ ჯუმბერთან დავრეკე და რუსუდანის იღბლად სამსახურში დაგვხვდა. ბატონ ჯუმბერს, ბატონი არჩილ ფრანგიშვილის დახმარებით და ბატონი ზურა წვერაიძის ხელშეწყობა არ აკლდა. გეპეის მესამე კორპუსში, მესამე სართულზე დათმობილი ქონდა საკმაოდ დიდი ოთახი, სადაც მთელ თავის ცხრა წლიანი მოგზაურობის მასალები იყო დაცულ- განთავსებული. ზრდილობით გამორჩეული მოგზაური, მოკრძალებით შემოგვეგება. რუსუდანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები ბატონმა ჯუმბერიმ კითხვა პასუხის დიალოგით ამოწურა. ჯუმბერი დაფიქრდა, იცი რუსუდან, ეუბნება ულამაზეს რუსუდანს, როცა ცეკვავ, ფეხის კუთები სხვანაირად ყალიბდება და როცა ცურამ სხვანაირად. ან ერთი უნდა აირჩიო ან მეორე. საქართველოში ბევრი ცნობილი მოცეკვავეები გვყავს სუხიშვილები, ომარ მხეიძე და სხვები აჯობებს უფრო შენი ენერგია ცურვას დაუთმო. რუსუდანმა დაუფიქრებლად გასცა პასუხი ბატონ ჯუმბერის, მე უფრო წყლის ვარო. როდესაც

ცურვის სპორტულ სადღეღამისო მარათონზე წარსდგა. მის მხარდასაჭერად მისულები ვიყავით, რუსუდანის მამა ცნობილი ექიმი გოდერძი გორდეზიანი, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, ბატონი გვანჯი მანია, რუსუდანის დედა ანა ბოდბელი, პოეტი ლამზირა შეყილაძე და მე. მე და ჩემმა მეგობარმა დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე გავაგრძელით და მე გავხდი ამ საოცარი წყლის გედის ცურვის მანერების მაყურებელი. მისი სხეული, ნახევრად წყალში იყო და ნახევრად წყლის ზედაპირზე, მაღალი აღნაგობის რუსუდანი წყლის ზედაპირს მიკრული კი არ ცურავდა, ცეკვის ილეთებით უვლიდა წრეს. ამ საოცარი სილამაზის მნახველს, უკვე აღარაფერი მიკვირს. ერთი წლის წინ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრები მყავდა ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავზე მოვილოცეთ. ექიმმა გოდერძი გორდეზიანმა და ანა ბოდბელმა, თავისი გულის სითბოთი და კეთილი მასპინძლობით თავი დაამახსოვრე აკადემიის წევრებს. ჩვენ რუსუდანის ხელით დამზადებული ბევრი კერძი დავაგემოვნეთ. ხოლო იმდენი მწვადი, რაც ბატონმა ვოდერძიმ შეგვიწვა, ორას კაციან მაგიდას ეყოფოდა. ჟურნალისტმა ანა ბოდბელმა რუსუდანის დედამ კი გარდა მასპინძლობისა წმინდა ნინოზე გვესაუბრა და წამებში მოფიქრებული სხვადასხვა სახუმარო ხელოვნებით გაგვართო.

ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის ახლოს ცხოვრობს რუსუდანის ოჯახი, სადაც ბატონ გოდერძის თავისი კერძო კლინიკა აქვს გახსნილი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ყველა აკადემიის წევრმა ექიმის კონსულტაცია მიიღო და სწორად დასმული დიაგნოზებით მკურნალობა განაგრძეს. ჩემს წარმოსახვაში და რეალობაშიც იქაც ბატონი ჯუმბერ ლეჟავა იყო ჩვენი მასპინძელი. ეს გულუხვად დახვედრა მისგან იყო გაცემული. რუსუდანს, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ბატონი ჯუმბერი თავს დასტრიალებდა, ცურვის შედეგებზეც სიხარულით გვიყვებ-ოდა, სიხარულსაც არ მალავდა რუსუდანითა და შედეგებით კმაყოფილ- აღფრთოვანებული.

სიკეთე გვხვდება ზეცაში

ცხოვრებაში სიცოცხლის წლებს თუ გადავხედავთ მეტი წილი ნისლიანია. სხეულიდან სისხლის დენაა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც გამოიდარებს. მზიური აფციაურს ჯერ მეუღლე გარდაეცვალა და მერე მთასავით ცაჟკაცი შვილი. შავებში შემოსილმა კარები შემომიღო, ჩემი ოთახის კედლები ტირილით მორწყო. როცა გული იჯერა მშვიდად ვუპასუხე, ქალბატონო, ჩემი იმედი, რწმენაა და სანთელი მივაწოდე. სალოცავ წმინდა ადგილზე მივიყვანე და ვთხოვე, რომ ელოცა. ცისფერი თვალები შემომანათა, კარგად ხანს მიყურა და მწარე ირონიით ჩაიცინა. დღე და ღამე ვლოცულობო უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა. თუ ლოცულობ რწმენით უნდა ილოცო, ლოცვა ეს სავალდებულო დოგმა კი არ არის, უფალთან სიახლოვეა-თქო ცოტა მკაცრად გამომივიდა ნათქვამი. მწარედ აქვითინდა. ტირილი ვაცალე, მერე მკაცრად ვუპასუხე, აქ როცა მოხვალ არასოდეს არ გნახო, ამ მდგომარეობაში. პატარა ბავშვივით თავი დახარა და რამოდენიმე წუთში დამტოვა. გავიდა, რამოდენიმე ხანი. გაჩნდა მსოფლიო პანდემია (კორონა), რომლმაც ჩემზე რვა წლით პატარა შვილივით გაზრდილი ძმაც წამართვა. დავრჩით შვიდი დედმამიშვილიდან ორი. თან დები, ხუთი ძმა მარადისობაში გადავიდნენ. ამას დამატებული მეუღლე, შვილი, ძმიშვილიშვილი და სანეთასეოს მთელი არმია. კვლავ უფალს მივენდე და არავინ დავამძიმე ჩემი დარდით. სამაგიეროდ, მე მამძიმებენ როცა უბრალოთაც გარდაცვალება, არა წყენაც, რომ შეხვდებათ ტირილამდე ვარდებიან სასოწარკვეთილებაში. ამიტომ ჩამომიყალიბდა ასეთი ხასიათი, მკაცრი და თბილიც. მზიური აფციაური ამ შეძახილმა გაამაგრა და დღეს უკვე გახარებული მესაუბრებოდა. იცი? შვილთაშვილი შემეძინა და სურათი სამუშაო მაგიდაზე დადო. ჩემო კარგო, აი, ხომ ხედავ, სიცოცხლე გრძელდება. საუბრის დამთავრების შემდეგ, ქალბატონ ლია ალადაშვილს ვთხოვე, რომ იმედიანი სიტყვებით დაწერილი ჩემი ლექსით გვემასპინძლა ჩვენი

დარდიანი აკადემიის წევრი და ასეც მოვიქეცით. ჩამს ლექსზე შექმნილი სიმღერით გავამხნევეთ მთიული ქალბატონი მზიური აფციაური!

ვალის გადახდა

ხელოვნების მიზანია, გზა აბნეულს სწორ გზა მიანიაშნოს, უფრო მეტიც, ადამიანში ჩაკლას მხეცი და მის სულში ანგელოზი ჩაასახლოს. გორდში გაზრდილ მარიამ გენელიძეში ანგელოზი სახლობს. მას ფრთებს უზრდის დამსახურებული მსახიობი, მაია წყნეთელის შემსრულებელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხონის რაიონში, ქალბატონი გულიადა სანოძე. ძალიან ბევრმა იცით რომ იცით, რომ სოფელ გორდში არის, დადიანების ტყე პარკი, მის ტერიტორიაზე ეკლესიაა აგებული. წელს ქალბატონმა გულიადამ წინასწარ მოამზადა მოსწავლეები, მარია გენელიძესთან ერთად საკმაოდ დიდი გოგო-ბიჭები. მათ ასწავლა ჩემი ლექსები და იმ წმინდა წალკოტში სადაც ეკატერინე ჭავჭავაძის ფეხის ნატერფალების ნაკვალევი არის შემორჩენილი, ეკლესიის კარებთან სათითაოდ ენაცვლებიან სახვადასხვა ასაკის და სხვადასხვა სოფლის მოსწავლეები და კითხულებდნონ ჩემს ლექსებს. მსახიობის მომზადებული ღონისძიება მარიამ გენელიძემ გახსნა, ასეთი სიტყვებით. ,,ჩვენთვის საყვარელ პოეტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, მისივე ლექსების წაკითხვით.კითხულობდნენ ჩემს ლექსების. თემად არჩეული ჰქონდათ პატრიოტული და დიდაქტიკური ლექსები. როგორ ტკბილად უმკურნელეს ბედით ნაისრ პოეტის გულს ახალგაზრდებმა. ვისაც პოეზია უყვარს უფალთან ძალიან ახლოსაა და იცით რატომ? ლექსი უფლის გზავნილია. არავინ არ იცის ვისი სულის კარებს მიაკაკუნებს ცის გზავნილი და თან როდის. ვისაც პოეზია უყვარს, ამბობენ ის ორჯერ პოეტიაო. მარიამ გენელიძეს პოეზია უყვარს. ამ მერცხლა გოგონას ხმის ტემბრი სასიამოვნოდ იფანტება მსმენლში. მის ხმას მეორედ ვისმენდი, შეიძლება უფრო მეტჯერაც მაგრამ უკვე ორჯერ ბუნებრივად, ისე თავითავად დამამხსოვრა თავი ჩემად გავითავისე. ის ლამაზად ჭიკჭიკობდა, ქალბატონი ნია გორდელის ზღაპრულ სულის ოაზისში და დამსახურებულად იღებდა მაყურებლის ტაშსს. ქალბატონი ნიას საღამოზე ბევრი მოსწავლეების ნაცნობი სახეები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებსაც გულით ვულოცავ გზას, წინ მიმავალი მწვერვალების დასაპყრობად. რაც შეეხება მარიამს, გადაეცემა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ,,ნორჩი ათინათელის" მოწმობა. მარიამის მოვალეობაზე ვისაუბრებ ქალბატონ გულიადასთან. გილოცავ მარიამ ღვთისკურთხეულ ადგილის დამკვიდრებას. მადლიანი ქალბატონის ნია გორდელის იუბილის ჩატარების შემდეგ ბევრი სასაუკეთო საქმე უნდა დაინერგოს სოფელ გორდში. რასაც ქალბატონი გულიადა სანოძე უხელმძღვანელებს. მარიამის წინაშე ვალმოხდილი მივტრიალდები ათინთის 49 ნომრის სამუშაოდ.

ეს უნდა ნახო

გორდში სადაც ოკაციის სიცოცხლის წყარო იფრქვევა ზეციდან. წვეთებიც განსხვავებულია სიშლეგით. აბა, ცადე და მიეკარე სანამ ძირს თავის ნებით არ დაეცემა . ეს ადგილის დედა დღისითაც როცა ისურვებს, მაშინ ჩამოუსვენებს და წამიერად თვალებს მილულავს. გგონია დაღამდა? არა წამებში . შენს წინ გაბრწყინებული სამყარო იშლება. თვალით ხედავ საოცრებას.

ნისლი და მზე ერთად ხან ერთად ცეკვავენ და ხანაც ერთმანეთს ეხუტებულებიან. შენ ხვდები ისეთ ადგილზე სადაც არც გცივა და არც გცხელა. უყურებ და იძირები სამყაროს ნეტარებაში. ადამიანი ხდება ბუნების ნაწილი . ფიქრით კი არ მოგზაურობ, რეალობაში დადიხარ, ფეხს ადგამ რაღაც ძვირფას განძს, რაც შენია შენ გეკუთვნის. გინდა, რომ დაიხარო იქვე ჩამოჯდე, დატკბე ნეტარებით. გინდა ისაუბრო რაღაცა განსხვავებულად. ილაპარაკო ბუნების ენით. ცოტა დრო მქონდა, არა და იმ დროში, იმ უცნაური ადგილიდან წამოსულ სიშლეგეს მინდოდა ავდევნებოდი. ისეთი წმინდა იყო, რელობაში ვხედავდი სიცოცხლის წყაროს. გამახსენდა ჯუმბერ ლეჟავა, 23 ივლისი მოგზაურის დაბადების დღე. ხმა არ გამიღია. ვგრძნობდი, რომ მსოფლიო მოგზაური ჩვენთან დადიოდა და ტკბებოდა ბატონი რამაზ კერძაიას სტუმართ მასპინძლობით.

22-ში სოფელ გორდში ერთ ქართულ ოჯახში ,ღია ცის ქვეშ, რამაზ კერძაიასა და ნაირა უგულავას ხელით შექმნილ სამოთხეში, ჩატარდა პოეტი ქალბატონის 65 წლის იუბილე. საღამო მიყავდა , დამსახურებულ მსახიობს ქალბატონ გულიადა სანოძეს. გულიადას მომზადებული ხმაჭიკჭიკა მოსწავლეებმა მაყურებელი დაატყვევა. ლამაზ ყვავილებში ისმოდა მომავალი თაობის შეძახილები. ადვილად მიხვდებოდი, რომ კარგ ლექსს აუცილებლად ჭირდება მხატვრულად წაკითხვა. ლექსების სიძლიერე შეზავებული იყო ხმის ტემბრში და ზოგჯერ ჩურჩულშიც კი. აქ ორი ხელოვანის ნიჭი მსახიობის და პოეტის მკაფიოდ ჩანდა. ეს ქალბატონები, გულიადა სანოძე და მრავალმხრივ ნიჭიერი ნაირა უგულავა (ნია გორდელი) ორივე არიან თოთხმეტჯერ გინესელის მსოფლიო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები. ძალინ ბევრმა იცის, რომ ნია გორდელის დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო. არაფერი არ ხდება უფლის გარეშე. ღონისძიება დაემთხვა, მოგზაურის დაბადების დღეს. მაპატიოს ჯუმბერის სულმა, მე მქონდა იმის საშუალება, რომ ეს გამეხმაურებინა, მაგრამ არ ვთქვი, რადგან ის დღე პოეტს ეკუთვნოდა და მაინც ვიფრთხილე. სიტყვა პოეტის იქით არავის გაქცეოდა. ძვირფასებო, მომყევით გამოგზაურებთ უკვდავების სამყაროში. ოცდაორში ჩატარებული ღონისძიების, შემდეგ გადაგვანაწილეს მიწვეული სტუმრები სხვადასხვა ოჯახებში. გორდში მოხვედრილ ყველა სტუმარს ექნებოდა ნებისმიერ ოჯახში სიმშვიდის ფუფუნება ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ეთერ ჭელიძეს, მე და შორენა მამალაშვილს განსხვავებული ოჯახი იმით შეგვხვდა, რომ ოჯახში სადაც ჩვენ დავისვენეთ ის სახლი ეკუთვნოდა ორ პოეტს მამაშვილს, ბადრი და თამთა უგულავეებს. დადიანების ტყე- პარკის გვერდზე აყვავებულ ეზოში შემოგვეგება ლამაზი დიასახლისი, ჯერ გასათხოვარ გვეგონა და გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა პოეტი ბადრი უგულავას მეუღლე. მოვხვდით მართლად საოცარ ხალხში სულ ლოცვის სიტყვების ბუტბუტით მივედი იმ წუთში ჩვენთვის განკუთვნილ ოთახამდე. დაძინების წინ ერთხელ კიდევ გავისაუბრეთ ქალბატონი ნაირას ღინისძიებიფ კმაყოფილებმა და მერე კი ძილის სამყაროში გადავინაცვლეთ. გათენდა დილა, წვიმის წვეთები საძინებელ ოთახში შემოჭრას ცდილობდნენ. 23 ივლისია,

ჯუმბერ ლეჟავას დაბადების დღე. ხმა არ გავიღე, ფიქრით მიულოცე მარადისობის მგზავრს და ჩემ საყვარელ პოეტებს გავხედე. შორენა და ეთერი აივანზე ისხდნენ ტკბებოდნენ ბუნების საოცრებებით. ამინდის პროგნოზით თბილსში საკმაოდ მაღალ ტემპერატურა იყო მინიშნებები და ბატონი ბადრის აივანზე კი ისე შეგვცივდა პლედებიც კი მოვხვიეთ. ნარდის თამაშით გავერთედ და დაახლოვებით ოცი წუთის შემდეგ, ქალბატონი ნაირა შეგვეხმიანა. ჩვენც წავედით იმ ადგილის დასამთვარიელებლად სადაც სიცოცხლე არასოდეს არ მთავრდება. ვიმოგზაურეთ ოკაციის სიცოცხლის ამოუხსნელ სამყაროში. ქალბატონი ნაირას ეზომდე ჩემს წარმოსახვაში მოგვაცილებდა ბატონი ჯუმბერის სული და ლოცავდა ამ დიდებულ ოჯახს. ქალბატონი რამაზ კერძაიას და ნაირა უგულავას სიყვარულით შექმნილ ოჯახს. ეზოში გვერდი ვერ აუარე ლაზ კოპწია ვარდებს და ერთად ჩამოვისვენეთ. ლამაზი ეზო , საოცარი სიყვარულით შერწყმული წყვილით შექმნილი ოჯახია. ბევრჯერ გავიგონე ასეთი სოტყვბი, აქ , ამ ადგილზე, მხოლოდ ეკალები იყო. აი, რა შეუძლია სიყვარულს. ბატონი რამაზისი და ქალბატონი ნაირას სიყვარულს მე კი ერთხელ კიდევ ვირწმუნე, რომ ბუნება ლამაზია ადამიანებით. ადამიანის არსებობა ბუნების გარეშე წარმოუდგენელია. ღმერთო, არ გაყარო ერთმანეთისაგან , ადამიანები და ბუნება.

მადლობა უფალო, გმადლობთ ქალბატონო ნამდვილი ქართულო ოჯახი. საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ოჯახში იყოს ასეთი სიმშვიდის ჰარმონია

პოეტის გზა

პოეტის სული ნაწვიმარ დილას გავს. როცა მზე თვალებს გაახელს და მზე, მის დაღლილ თვალებს ჩახედავს მიუალერსებს ის მაშინ დგება ოპტიმისტურ ხასიათზე. მაშინ აცნობიერებს ამ ქვეყანაზე მოსვლის მიზეზს. სხივები ალუბლის რტოებივით წამოჩიტავს სულის არეს და დაიწყებს შეფერადებული სიტვებით ლექსების აკინძვას. ამ შემთხვევაში პოეტი მაშინვე სევდას კარებს უხრავს. ასეთ დროს სული ჩამოისვენებს მზის სხივებით მოსულიერებულ ვარდებთან და ლექსად გადმოეღვრება სათქმელი.

ამ სიტყვებს ქალბატონი ეთერ გაჩეჩილაძის პოეზის გაშლილი სუფრიდან გესაუბრებით, რომელმაც უმასპინძლა ჟურნალ ,,ათინათის" მკითხველებს. ქალბატონის წლების შარაგზა ჩაუხვეტია ქარს, გზიდან გადაუყრია ნაღველი და დარდი, მერე მზეს სულის ათინათები გაუბრწყინებია და ეზოში ვარდი აყვავებია. აკი თვითონ ამბობს ლექსში.

,,წლების შარაგზა ჩახვეტა ქარმა,
გზიდან გაყარა ნაღველი დარდი,
შემომანათა მზიანმა დარმა
და ამიყვავა ეზოში ვარდი"

ზოგჯერ პოეტი პესიმისტურ ხასითზე დგება, ეს ბუნებრივიცაა. როცა წვიმაა, აუცილებლად გამოიდარებს და როცა მზის სხივებით გადამწვარი მინდორს, ლამისაა სიცხისგან ცეცხლი წაეკიდოს, ამ დროს შეიძლება, ისეთი ქარიშხალი მოვიდეს, შიშით ხელები ზეცას აღაპყრო და უფალს შეევედრო, უფალო შეგვიწყალეო.

,,მოღუშულ ზეცაზე სიმუქე ჩამოწვა,
მზის სხივმა დაჰკარგა
სითბო და მზისფერი,
რაღაცა უცნობი სიჩუმე ჩამოდგა
და ცასაც გაუქრა ჩვეული ცისფერი"

ამ სიტყვებიდან ჩანს მისი ხასიათის შეცვლა როგორ ინაცვლებს მზის სამყაროდან , სევდის სამყაროში.

ასე შემიძლია მისი ლექსები სათითაოდ ამოვკრიფო და ამით ფურცლების რაოდენობა გავზარდო. ჩემი აზრით, მეტისმეტი ქება ავტორსაც არ გაეხარდება და არც მე ვიქნები მართალი მკითხველთან. წიგნი რომელიც მზადდება გამოსაცემად, უნდა გამოვიდეს. ამ სიხარულის მინიჭებას იმსახურებს ქალბატონი ეთერ გაჩეჩილაძე. მისი პირმშო წიგნი ელოდება დაბადებას. გილოცავ ქალბატონო ეთერ!

სულის ჭიშკარში

შუაღამეა... ნახევრად მძინარეს ცა მოწმენდილზე წყლის ტალღების თქაფათქუფი შემომესმა. გაავდრებულა. კოკისპირულმა წვიმამ მდინარე ძირულა აადიდა თუ დედის ცრემლების ხმაურია ნეტავ, გავიფიქრე და ისევ ძილს მივეცი თავი. ძილში ფრთები გამომესხა. ფრენა დავიწყე. სურვილი გამიჩნდა ყველაზე დიდი მთაზე ავფრუნილიყავი. რაც უფრო დედამიწას ვშორდებიდი, ცხოვრებისეული სიმძიმის ტვირთი, რომელიც ვაგონებივით გამომბული მქონდა სხეულზე, თანდათან მშორდებიდა. ბოლოს ტვირთისგან გამონთავისუფლებულმა სხეულმა სიმსუბუქე იგრძნო. პირველი სურვილი ავისრულე, ყველაზე დიდ მთაზე ავფრინდი, რომელიც ჩემი სახლის წინ იყო აღმართული. იქვე ჩამოვისვენე. დაიღალე? მთვარე გამომესაუბრა. არა, არ დავღლილვარ ამაყად ვუპასუხე. თვალებში გეტყობა დაღლა. ბევრიც, რომ ეცადო შენი გავლილი ცხოვრება დამალო, თვალები გაგცემს. თვალი სარკეა. მერე და შენ ვინ მოგცა უფლება ჩემი თვალების ფანჯრებში რომ იყურები, გაბრაზებით შევუბღვირე მთვარეს. უფლება? რომელ უფლებებზე მესაუბრები, შენი ადამიანური უფლებები, დედამიწაზეა. აქ ზეცაა. აქ, შენი თავი შენ არ გეკუთვნის. როცა სხეულს ტოვებ და ცაში ამოდიხარ, უუფლებო ხდები. აქ, ცის კანონებია. შენი გავლილი წლების ცოდვები განიხილება. მე, არაფერი ცოდვა არ მიმიძღვის, არავისთან ამაყად მივმართე მთვარეს. ეგ, შენი გადასაწყვეტი არაა, მოვა ცისა და მიწის მბრძანებელი ღმერთი და შენ საკითხს ან ათითონ განიხილვას, ანდა კიდევ, რომელიმე ცის მნათობს დაავალებს. მერე რა მოხდება? უკვე ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა მივმართე მთვარეს. რა მოხდება და ცისკრის ამოსვლას დაბლა თუ ჩაასწარი და უკან გაბრუნდი, ჩვეულებრივად დაბრუნდები დედამიწაზე. დავფიქრდი, არა უცოდველი ვარ, გამასამართლონ. დაველოდები ცის კანონების განხილვას. ცაზე მთვარესთან ერთად ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. ერთი ვარსკვლავი ცის ჭერს მოწყდა და ადამიანად გადაიქცა. დავაკვირდი და ვიცანი. ჩემი შვილი გელა. დედა! შვილო! ყვირილზე გამომეღვიძა. აღარც წვიმა, იყო, არც ძირულის ხმაური არღვევდა მთების მყუდროებას, გაღმა-გამოღმა რომ ერთმანეთის იმედად იყვნენ ჩამწკრივებულები. ჩვეულებრივი დილა გათენდა. ჟურნალი ათინათი გადმოვიღე და ჩემი ავტორების სულის ჭიშკარში ფათური დავიწყე!

საინტერესო სტუმრები

სულის ცისკრის ათინათის კვალს მოყვნენ, მზის ,,ათინათივით" ლამაზი ქალბატონები. მსოფლიო იცნობს ქალბატონ გიული ერგემლიძეს, უბადლო ნიჭით დაჯილდოვებული კომპოზიტორს, უამრავი პოეტი გაუხარებია. მათ ლექსებზე შეუქმნია სიმღერები უფლის რჩეულს .ბქალბატონ გიულის, პირადი ტკივილიც ბევრი შეხვედრია. მისთვის უცხო არ არის გულის მარწუხებით შემორკინებული ტკივილი. მაინც უყვარს ყველა და ყველას უყვარს ქალბატონი გიული ერგემლიძე. აკადემიაში მოსვლის დღე მისთვის ორმაგად სასიხარულო იყო რადგან, ხარობდა თავისი ბიძაშვილის ქალბატონი მზია ერგემლიძის წარმატებით. პოეტი ქალბატინის მზია ერგემლიძის ქალიშვილი იყო მოსული. ლამაზ შავთვალება ჟურნალისტს სამსახურში ეჩქარებოდა. ისე წავიდა სურათის გადაღებაც ვერ

მოვასწარით. საინტერესო იყო პოეტი თინა ბასაძიშვილის ხელბარაქიანად შემოსვლა. მისი დაბადების თვე, ივლისი არის. ივლისივით თბილი გულის ქალბატონმა ლამაზი ტორტით და ტკბილეულით შემოაღო აკადემიის კარები. საუბარი ისე წარიმართა, რომ ბატონი ჯუმბერ ლეჟვას სულსაც მიწვდა, თბილი და დაუვიწყარი სიტყვები. იუბილარმა ქალბატონმა ამაყად ჩაილაპარაკა. იუბილე, კახეთში ჩემმა ოჯახმა აღმინიშნა, მაგრამ აქაც მინდა, რომ დამლოცოთო. თუმცა, სანამ დამლოცავდეთ, მინდა სამადლობელო სიტყვა გითხრათ, რადგან დიპლომი უკვე ხელში მიკავია და ჩემი კუთვნილებაა. დღეს მე განსხვავებული და ბედნიერი დაბადების დღე მაქვს, რადგან დიდი პატივი მხვდა წილად. თქვენ ქალბატონო გულნაზ, ამ ლამაზი დღის აღსანიშნავად, გამიკეთედ სურპრიზი და გადმომეცით დიპლომი. დღეს მე გავხდი დიდი ოჯახის წევრი. მე შევუერთდი სულიერების ლამაზ კერას. ეს ბედნიერებაა. თუმცა ძალიან დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. ვეცდები გავამართლო ნდობა. თქვენთან მოსვლის, ფიქრი, მხოლოდ ოცნებად მქონდა. მადლობა დედასავით მზრუნველო ქალბატონო. გავბედე და ლექსიც მოგიძღვენით. სმენად გადავიქეცი. მიძღვნილ ლექსებს უშვიათად წერენ, ან არ წერენ. ეს მხოლოდ, განსაკუთეეიბით თბილი გულის პიროვნებებს შეუძლიათ. სმენად გადავიქეცი. ქალბატონმა თინამ ლექსის კითხვა დაიწყო.

,,სიკეთის წყაროდ იღვრება,
თქვენი ლამაზი საქმენი,
სულ სიყვარულად ასხივებს,
ყველას გულში გაქვს ადგილი.
ეალერსები ყველა წევრს,
თქვენ თვითონ საფერებელი,
აბრწყინებთ აკადემიას,
ვით მოკიაფე სანთელი
ძვირფასი ქალბატონი ხართ,
ცნობილი ნიჭიერებით,
ღმერთმა დაგლოცოთ, გამრავლდით,
მიყვარხართ, მეიმედებით."

ძალიან მესიამოვნა გავჩუმდი, ხმამაღლა მხოლოდ ეს ვთქვი. რა დავიმსახურე ასეთითქო და საუბარი განვაგრძე.

ქალბატონო თინა, სამყაროს ზეცა მართავს. თქვენ დაბადების დღეზე გადმოგეცათ, მსოფლიო მოქალაქის, უკვდავი ლეგენდის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის დიპლომი. ჰოდა, ძვირფასო, დალოცვილი იყავი ცის, ღვთიური ძალებისაგან. იყავი კეთილი და სამართლიანი. შენი ცხოვრების ყოველი დღე ყოფილიყოს სულიერად ამაღლებული. ასე ვლოცავდი სათითაოდ ყველას და თბილმა დედაშვილურმა გარემომ შექმნა დადებითი ენერგია. აღარ ეთმობადათ ერთმანეთი. მადლით შემოსილი ოთახის კედლები იდუმალებით მოცული სიყვარულის უხილავი მუხტით მუხტავდა ხელოვანთ. ქალბატონებმა მწერალთა კავშირში გადაინაცვლეს მათ გზას ულოცავდა თვალთ უხილავი ძალა სიყვარულისა.

როგორც უცოდველი ბეღურა

ქალბატონი მანანა სამყურაშვილისა და ბატონი თენგიზ ფანცულაიას პროექტით გამოცემული წიგნის ,,პოეტები საქართველოსი" პრეზენტაცია იყო. საღამომ ლამაზად ჩაიარა. თვალწინ მიდგას მამა ამირან ამირანაშვილის გულში მოწიწებით ჩახუტებული ლამაზი ყდით გაფერადებული პირველი წიგნი. გამარჯვებას ულოცავდნენ წიგნის რედაქტორებს. მიხაროდა, ისე განვიცდიდი როგორც, დედა, რომ ელოდება შვილების შედეგებს. რეალობაში ასეც არის. ყველა ჩემი აკადემიის წევრების წინ გადადგმული ნაბიჯები მახარებს. ღონისძიება დამთავრდა, ძალიან ბევრმა მომიკითხა თბილად და ჩემგანაც მიიღეს უშურველი გულის სითბო. ბოლოს ქალბატონი ლია ალადაშვილი მოვიდა, გულში ჩამეხუტა და ამბობს. მეც მინდა შენთან ვიყოვო. მეორე დღეს აკადემიაში შევხვდით ერთმანეთს. ქალბატონი ლიას საუბარი უფრო აღსარებას გავდა. ვუსმენდი ლიას და ვფიქრობდი, სითბოს კარავს გავუშლიდი და თეთრ ქულა სევდით გაწკუმპლულ ბეღურას გულის სითბოზე შევაფიცხებდი. ასეც მოვიქეცი. ლიამ ძალიან ბევრი ავტორი გაახარა თავისი ბუნებრივი ლამაზი ხმით. ახლა ვარ უხერხულ მდგომარეობაში, თან რათქმა უნდა მომწონს და მიხარია კიდეც. ბედისწერის სევდის გადაჭარბებული პოეტი ვარ. მომავლის საიმედოდ, უდარდელი ქალის როლს ვთამაშობ. დიახ! მსახიობი გავხდი, მხოლოდ საჩემოდ არა, სხვისი ტკივილების გასქარვებლად. ვწერ ოპტიმისტურ და დიდაქტიკური ლექსებს და წამებში ლია მღერის. აქედან დასკვნა ერთია, ორი სხვადასხვა დარდის ქალბატონი უფალმა ერთ ბედისწრის გზაზე შეახვედრა და ქარბორბალას, შერკინებულები, კი არ ვამძიმებთ ადამიანებს, პირიქით სიცოცხლეზე გაქეზებთ!

... და მაინც ...

დარდი და სიცხე ისე დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთს ხელს აღარ უშვებენ, საუკუნეებს გაუძლებს იმ ზღვარცოფის სიმწარე, რაც წამებში დატრიალებულ ლამაზი წალკოტის განადგურებას მოყვა. ონის რაიონში შოვში საუკუნეების ტკივილი ჩაიკირა. სურპრიზად მშობლებისგან დასასვენებლად გაგზავნილი სტუდენტი დაძმანის დაკარგვა, მერე მათი პოვნა უკვე გარდაცვლილი და ცის ანგელოზებად ცაში აფრენილი. რამდენი პაწაწუნა უმანკო ბავშვები დედასთან ერთად ღორღს გაყოლილნი. შეშინებული თვალები. თიქოს ნოეს კიდობანი ჩამოდგა მაგრამ,

იქაც ბოროტი იმარჯვებდა. ცუდი დრო დადგა ბოროტება და სიკეთე იომებსო, უწმინდესი ამბობს. ასე ხდებოდა, უწმინდესის ნაწინასწარმეტყველებები.

წამებში ყლაპავდა, უხილავი ძალა, უდანაშაულო ხალხს. ამ დროს გინდა, რომ დრო გაჩერო. იფიქრო, როგორ მოიქცე. ღირს კი იწვალო და კიდევ რამე შექმნა? წამოხვიდე ამ სიცხეში რუსთავიდან თბილისში, გაუღიმო ყველას იმედიანი სიტყვებით. კარებშივე შეეგებო და ვითომცდა არაფერი ისე ესაუბრო. ძალიან ძნელია. ჯერ-ჯერიბით ნაპირზეც ვერ გამოვედი ამ დარდის მორევიდან. სამი დღე, ფიქრებში გახვეული გადაწყვეტილების მისაღებად ვემზადებოდი. ბოლოს ჩემმა რწმენამ ძილბურანიდან გამომარკვია, გამომაღვიძა და სამსახურში წავედი. უნიჭიერესი ემიგრანტი ქალბატონის ნელი ტორნჯაძის, პედაგოგ ქალიშვილს უნდა შევხვედროდი. კვლავ ვიმეორებ, სიცხე და დარდი ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ამ ყველაფერს მაინც რწმენამ აჯობა და ჩვეულებრივი ღიმილით შევხვდი პოეტის ქალიშვილს. ვკითხულობდი ქალბატონი ნელის ლექსებს და ემიგრანტი ქალბატონის შვილის თვალებს ცრემლები ცვიოდა.

- ეს ლექსი მე არ ვიცოდი, ხშირად იმეორებდა ლამაზი და მოწესრიგებული ქალბატონი. - ეს ლექსი ახალია, შენმა დედიკომ ამ წუთში გადმომიგზავნა. მას ტკივა საქართველო, მას ენატრებით ყველა. ცოტახანი ვდუმდით, მერე ჩემეული სითბო ვაჩუქე, ანთებულ სანთელთან დავლოცე და ვალმოხდილი, წავედი ქალაქ, რუსთავში, სადაც დასვენების შემდეგ, კვლავ საქმეზე მეფიქრა. ქალბატონ ნელის ქალიშვილს გადავეცი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის დიპლომი. მისი ლექსები იბეჭდება ჟურნალ ,,ათინათის" 49-ე ბომერში და ჩქარე გაეცნობიან იმ ბიბლიოთეკის მკითხველები სადაც ჟურნალი შედის. ქალბატონ ნელის კი ვუსურვებ, საქართველოში ჩქარე დაბრუნებას;

დისშვილი და შვილიშვილი

ვზივარ ხაშურელი მარი ლომუაშვილის მანქანაში და ვამთვარიელებ, პორტოფინოს. ეგეოსის ზღვაში კი გემით მასეირნა ჩემმა ქარიშხალა ხათუნა კილაძემ მე და ჩემი შვილიშვილი ნანა სხირტლაძე. ამას ნამდვილად არ წარმოვიდგენდი, რომ დაბადების დღის საჩუქარი იტალიაში მოგზაურობა იქნებოდა. დარდში გამომწვარი გულმა კიდევ შეძლო მოგზაურობა თვითფრინავით და მერე კი შვილიშვილთან და დიშვილებთან ერთად იტალიის ქალაქების დათვალიერება. მადლობა ჩემო ხათო, მადლობა, ბორია ლომუაშვილო საამაყო სიძევ. შენ იტალიაში ისე ააწყვე ოჯახი მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად, რომ ყველგან თქვენს სიკეთეზე საუბრობენ იტალიაში და საქართველოში. ვუყურებ ჩემი თამუნას სურათს და მრცხვენია, რომ საქართველოში ოცი დღით იყო ჩამოსული თავის შვილ ლევანიკოსთან ერთად და ერთხელ ვერ ვნახე, რომ უბრალოდ ყურადღება გამომეჩინა. დღეს ჩემი თამუნა გაფრინდა ისევ, იტალიაში, რადგან იქ ეწევა შვილებთან ერთად ემიგრანტულ ცხოვრებას . გენაცვალეთ ჩემო საყვარელო ხალხო. ყველგან და ყველაფერში გამორჩეულებო. დეიდას სიცოცხლეებო და საამაყოებო. დეიდა გენაცვალოთ თამუნა და ხათუნა, ჩამოვედი და ჟურნალი ,,ათინათის" ჩარჩობიდან თავი ვეღარ დავაძვრინე, უბრალოდ ფიქრიც კი არაფრისთვის დამითმია. ეს სურათი დასტურია იმისა, რომ როგორ განებივრებული შვიდი დღე მაჩუქეთ. თამუ შენ ახლა თვითფრანავში ზიხარ და მე კი გლოცავ, რომ მშვიდობიანად იმგზავრო, შენს ლევიკოსთან ერთად. მოკითხვა ჩემი აკადემიის წევრებს იტალიაში. ნანა გიგუაშვილს, მალვინა

ჭელიძეს, ხათუნა მითაგვარიას, ნანა ჩარკვიანს, ნატალია სამუშიას და სხვებს. დალოცვილები იყავით უფლისგან ემიგრანტებო. მადლობა და ღვთის ბარაქა, ვინც დრო დამითმეთ და ჩემს მიმართ ყურადღება გამოიჩინეთ იტალიაში ყოფნის პერიოდში. მიყვარხართ საქართველოდან წასულო ემიგრანტებო.

ბუნება და ადამიანი

ბუნებას ყველაფერი უხდება ჩანისლვა და მზესთან ჩაცეკვებაც. ეს სურათი იმ დროს გადაღებულია, როდესაც მზე, ნისლი და ადამიანები, ერთმანეთთან უსიტყვოდ, უხმაუროდ, სამაიას ცეკვავდა. პერსონაჟები იყვნენ: მზე, ნისლი და ადამიანები. ბუნებას უხდება თავისი სხეულის ძარღვებიდან ცივი წყლის აშხეფება. ეს ადგილი სოფელ გორდის სიმდიდრეა. ამ ზღაპრულ ადგილზე პოეტი ქალბატონის ნაირა უგულავას გულუხვი მასპინძლობით მოვხვდი. ლამაზი ადგილის ნახვამ დამაფიქრა და კარგი გამოცდილი ექიმივით, ცოცხალი ბუნების ორგანიზმი შემათვალიერებინა. აი, რა ვიფიქრე. ბუნება სიყვარულისა და ერთგულების ნიშად მკერდიდან ასაზრდოებს, ყველანაირ ხეს, და ყვავილებს. მისი ვენებიდან გამოედინება წყალი, რომელიც ჯერ პატარა ნაკადულად მოედინება, შემდეგ კი მდინარეებად და ტბებად იქცევა. ბუნების სხეულის ნაწილებია: ქვა და ქვიშაც. მისი საკუთრებაა, ყველანაირი ტყის ჯიში და ნაირ-ნაირი სურნელოვანი ყვავილები. ეს სიმდიდრე უფალმა მისცა ადამიანს. ადამიანისა და ბუნების შემქნელი არის ღმერთი. ბუნება ადამიანის გარეშეც ლამაზია. ადამიანის სიცოცხლე კი ბუნების გარეშე, იმ გამხმარ ხის ფენის, ფუტურის გავს, რომელსაც აღარაფერი შეუძლია. ბუნება ადამიანისგან, მხოლოდ გაფრთხილებას ითხოვს. დაისვენე მის ახლოს, მაგრამ ნუ დააზიანებ. როცა ტყე გახშირვას, გამოკაფას, ითხოვს მაშინ ბუნება გპატიობს, მასთან უხეშად შეხებას. ვდგავართ ორი პოეტი და ვსუნთქავთ გორდის წმინდა სუფთა ჰაერს. ეს სურათი ახლახან გადაღებულია, შოვის ტრაგედიის წინა დღეებში. დავხედე სურათს და რა არ ვიფიქრე. ცუდიც და კარგიც. ბოლოს ეს ნაფიქრი აგერ დავწერე და თქვენც მინდა გაგიზიაროთ. უწმინდესის ცრემლიანი თვალები და მისი სიტყვებიც გამახსენდა. ,,ჩვენ მძიმე დროს გვიწევს ცხოვრება. ეს ის ხანაა, როცა სიკეთე და ბოროტება, ომს იწყებს. ჩვენ ადამიანებმა უნდა გადავარჩინოთ სიკეთე". დავფიქრდეთ, მოსახდენი ისეთი მოხდა, ონის რაონში, შოვში საუკუნეებს გაყვება. ტალახში ჩაფლული დედები შვილებით. აღმუვლებული მამები. ეს ტრაგედია მოხდა. ისმება კითხვა, ახლა ამის შემდეგ რას ვშრებით? ამ ლამაზმა ბუნებამ და გულკეთილი ექიმი ქალბატონის ,,ნია გორდელის" თავდაუზოგელმა მაპინძლობამ დამაფიქრა. მივდიოდით ხელიხელ ჩაკიდებული, საოცარი ბუნების ხეივანში და თან გზადაგზა ნია გორდელი, საუბარსაც ასწრებდა. - ნახე-ნახე, როგორი სიპი ქვებია. მთიდან მოვარდნილ ჩანჩქერში ბავშვები ვბანაობდით. მივყვებოდი მისი ბავშვობის უმანკო ნაფეხურებს და მიხაროდა. ახლა კი ამ ლამაზი დღის მოგონება ფიქრის დღიურიდან ამოვალაგე და ვამბობ. უნდა გაუფრთხილდეთ ბუნებას ისე, როგორც საკუთარ ორგანიზმს. რადგან სამყაროს შემქნელი ღმერთი ყველაფერს ხედავს. რაღაცაზე დაფიქრება აუცილებლობას წარმოადგენს. და მაინც პირველი ადამიანთა სიყვარულია, რომ გადავრჩეთ. გიყვარდეთ ერთმანეთი ხ ა ლ ხ ო !

იუბილე

ბუნებაში აღზევებული პოეტი

65 წელი არც ბევრია და არც ცოტა. იცხოვრო ისე, რომ ყველას უყვარდე ოჯახს და საზოგადოებას, ცოტას არ ნიშნავს. დიახ! ქალბატონი ნაირა უგულავა ექიმი, არაჩვეულებრივი შვილების დედა, წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. ქალბატონის ბუნება ხონის რაიონის სოფელ გორდივით ლამაზია. მისი სულის სიწმინდე ფიქრით უფალთან ტრიალებს. ცაც უგზავნის გზავნილებს. თუ როგორი პოეტია ეს გუშინ ვიხილეთ. ლამაზ ეზოში ჩატარებულ საღამოს უძღვებოდა ხონის რაიონის დამსახურებული მსახიობი, ქალბატონი გულიადა სანოძე. როცა ხარ ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე, იმასაც აქვს მნიშვნელობა, ვინ აიღებს ტვირთად შენი ნაფიქრის სამზეოზე გამოტანას. ქალბატონი გულიადას, მომზადებულმა მოსწავლეებმა, ისე ლამაზად წარმოაჩინეს პოეტი, როგორც ცას გადაშლილი ცისარტყელა. პოეტის ლექსებს კითხულობდა მერცხლებივით მოჟღურტულე მომავალი თაობა და დადიანის ტყე-პარკის მარადმწვანე ხეები, ტოტის ხელებით ტაშს უკრავდნენ. ბუნებასაც უხაროდა, ბუნებრივად ლამაზი სულის ქალბატონის აღზევება და მისი პოეტური მარგალიტების გაზაფხულის ყოჩივარდებით მიმოფანტვა. საღამოზე მოწვეული სტუმრები, ქალაქ ხონის მერი და მერიის თანამშრომლების უმრავლესობა, ქუთაისიდან ჩამოსული პოეტები, თბილისიდან ჩამოსული მწერლები და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები, ერთი ისტორიული დღის თანამონაწილე გახდა. უმზერდა ცხრა წიგნის ავტორი ქალბატონი ნაირა თავისი ხელით შექმნილ ლამაზ ყვავილნარს, უსმენდა მერცხლებივით მოჟღურტულე მოსწავლეებს და ნეტარებაში იძირებოდა. სიმშვიდის ფონი, ლამაზი ყვავილები, პოეტის ლექსები, პროზა, აზრები - ერთად შერწყმული, ერთ დიდ ოქროს ჯაჭვად ისე ეკვროდა გულში გორდის ლამაზ ბუნებას, როგორც საკუთარი პირმშო დედის მკერდს. ასეთი ქალბატონი ნამდვილად ღირსია იმ შეფასების რაც მწერალთა კავშირის თავჯდომარემ, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა დამსახურებულად მიანიჭა. ქალბატონ ნაირა უგულავას გადაეცა, დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედალი და ენდალმა.

აისის აპელიოტი

ანუ დილის ქარების მოტანილი ამბები
აზრები

ქალბატონ ნაირა უგულავას, დაბადების 65 წლის იბილესთან დაკავშირებით, ჯუმბერ ლეავას საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიისაგან საჩუქრად.

* * *

„აისის აპელიოტი", ქალბატონი ნია გორდელის კალმით შექმნილი აზრები გადაეცა ეროვნულ ბიბლიოთეკას, როგორც ფიზიკურად ასევე ელექტრონული ვერსიით.

ავტორს ქალბატონ ნია გორდელს კი ორმოცდაათი ცალი ეგზემპლიარი. წიგნი შინაარსობრივად საინტერესოა და მჯერა მკითხველის ინტერესს გამოიწვევს. „აისის აპელიოტის" შემდგენელი რედაქტორები არიან: გუნაზი ხარაიშვილი და ეთერ ჭელიძე!

გაზეთი ხონი

ქ-ნ ნაირა უგულავას!

მშვენიერებით, სულიერებით, ნიჭიერებით, საქმიანობით გამორჩეული ქ-ნი ნია გორდელი იუბილარია. გილოცავთ ღქვენს დღეს. არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ, პირველ ყოვლისა, როგორც ქალი, დედა, ბებია, მეგობარი, გულშემატკივარი. ბუნებრივ ნიჭსა და შესაძლებლობებს ემატება თქვენი განსწავლულობა და აქედან იბადება პოეზია-ფილოსოფიური, ღრმა შინაარსის, ეროვნული, ქართული სულის ამოძახილი...აქედან იღებს სათავეს შესანიშნავი, შორსმჭვრეტელური, რელიგიურ-მისტიური ნააზრევი რამდენიმე წიგნში განთავსებული... და მიუყვებით ცხოვრების ბილიკს ზოგჯერ აღმაფრენით, ზოგჯერაც ფიქრებით დამძიმებული. საზრუნავი არ გელევათ. სხვათა ტკივილს განიცდით და ყოველთვის ხელს უწვდით დასახმარებლად. სულს გიფორიაქებთ ცხოვრებისეული, საქვეყნო პრობლემები და ეს ყველაფერი-თქვენი სულის ნაჭდევი თქვენსავე შემოქმედებაში ვლინდება...

თქვენს ბიოგრაფიას ბევრი რეგალიები, მადლობები, დამსახურებული აღიარებები, მედალიონები,...ამშვენებს, თუმცა ყველაზე დიდი ჯილდო თქვენდამი სიყვარულია. ამიტომაც დაიღვარა იუბილეზე ამდენი სითბო, სიყვარული, გულწრფელობა, სიხარული, მოფერება და ეს იყო ბუნებრივი...

არ შემიძლია, არ ვთქვა თქვენი წალკოტის შესახებაც. მშობლიურ გორდში პატარა სავანე მოაწყვეთ მეუღლესთან **რამაზ კერძაიასთან** ერთად. გასაოცარი ყვავილნარი და მიმნზიდველი გარემო, არაჩვეულებრივი გემოვნებით შექმნილი და მოფუსფუსე დიასახლისი, ღრუბლებწამოფარებული ეზო და მთის კალთებში შემოპარული მზის სხივები, დილის ნამი და შეუდარებელი დაისი... მასპინძლები გულუხვები, მარჯვენადალოცვილები და სტუმართმოყვარეები...

გაიხარეთ! უფლის ნებით თქვენი სურვილები, ფიქრები ფრთებს შეისხამს და კიდევ მეტს შეგაძლებინებთ სამშობლოსათვის, ხალხისათვის, მოყვასისასთვის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ

ბ-ნი **თემურ გოქსაძის** სიტყვებს: **„ნაია გორდელში ღვთაებრივი გალაქტიკის ინტელექტი ჩანს“-ო.**

მაია ფეიქრიშვილი,
გაზეთ „ხონის“ რედაქცია

ღვთისგან ნაბოძები მადლი
კვლავაც ბევრი დაიწერება თქვენზე

ფიზიკური მშვენიერება, სილაღე, უანგარობა, ზნეკეთილობა, ქართული პოეზიის მწერლობისადმი თაყვანისცემა, მსახურება-ეს არის ის ძირითადი ფასეულობანი, რაც ექიმ, პოეტ, შემოქმედ ქალბატონს **ნაირა უგულავას (ნია გორდელი)** უფალმა სულიერ საგზლად უბოძა.წლებია უშურველად აფრქვევს ღვთისგან ნაბოძებ მადლს, თითოეულ სიტყვაში საკუთარ სულს დებს ეს მადლიანი შემოქმედი. გულს ახარებს და სულს აფაქიზებს ნიჭიერი, განათლებული ქალბატონის-გორდის მიწის მადლს ნაზიარები, მთის ანკარა წყაროსავით სუფთა შემოქმედება, ამიტომაცაა, რომ მისი გამოჩენა საზოგადოებაში დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას იწვევს, ის უყვართ, აფასებენ, პატივს სცემენ.

ამის დასტური იყო 2023 წლის 22 ივლისი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული, ლამაზი დღე იქნება ქალბატონი ნაირას ცხოვრებაში, მის თვალწარმტაც, ბაღნარადქცეულ ეზო-კარმიდამოში მოეწყო მეტად საინტერესო, მეტად შთამბეჭდავი და ყველასათვის დასამახსოვრებელი ღონისძიება, შეხვედრა მის თაყვანისმცემლებთან, მისი წიგნების მკითხველებთან, საუცხოო, მეტად საპატივცემულო სტუმრებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან, მეზობლებთან... ეს შეხვედრა თავისი მასშტაბურობით, შინაარსობრივი დატვირთვით, დიდი ემოციებით, გრძნობებითა და განცდებით იყო ქალბატონი ნიას მიერ შექმნილი შემოქმედების კიდევ ერთხელ გამობრწყინება თავისი დიდებულებით, რომლის ჩატარების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი ჩვენი სახელოვანი და საამაყო მსახიობი **გულიადა სანოძე** გახლდათ. მან ჩვეული, გამორჩეული ოსტატობით შეასხა ხოტბა **ნია გორდელის** პიროვნებასა და შემოქმედებას, განსაკუთრებული რიხითა და განცდით წაიკითხა მისი ლექსები, შემდეგ კი სცენა მისმა მოსწავლეებმა, ხონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა, მხატვრული კითხვის წრის წევრებმა დაიპყრეს. რიგ-რიგობით გამოდიან სცენაზე თვალხატულა გოგო-ბიჭები, თავისუფლად, მხატვრულად კითხულობენ ქალბატონი ნიას ლექსებს, შესანიშნავი მომზადებულები არიან, ასევე მხატვრულად, განცდითა და გრძნობით წაიკითხეს ლექსები **ვასიკო აგლაძემ,** ჩვენმა სანაქებო ექიმმა და პოეტმა **შორენა ჩხიკვიშვილმა,** ქალბატონი ნაირას შვილიშვილებმა, სხვებმა და სხვებმა...

დროდადრო მათ სცენაზე ენაცვლებოდნენ მომღერლები **დაზმირ ლიპარტელიანის, ვეფხია გულედანის, მიშიკო ლაგვილავას და რეზო ცხადაძის** შემადგენლობით. მათ ერთგვარად გაალამაზეს საღამო.

შეხვედრაზე ქალბატონ ნაირას მიესალმნენ და სამადლობელი სიტყვით მიმართეს ხონელებისთვის სასურველმა, მეტად საპატივცემულო სტუმრებმა-ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ჟურნალ „ათინათის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა **გულნაზ ხარაიშვილმა,** პოეტმა **ერეკლე საღლიანმა, ეთერ ჭელიძემ, შორენა მამაიაშვილმა,** სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, აკადემიკოსმა **მურმან გელენიძემ,** გაზეთ „ხონელის“ რედაქტორმა **ჯემალ გორდულაძემ,** ქალბატონი ნაირას კოლეგებმა, მეგობრებმა...

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მწერალთა კავშირმა ქალბატონ ნაირას მიანიჭა დავით აღმაშენებლის მედალი და მედალიონი და გამოსცა მისი რიგით მეცხრე წიგნი.

გამომსვლელებმა დადებითად, სანიმუშოდ შეაფასეს ქალბატონი ნაირას შემოქმედება, მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია, მისი პიროვნება, ჭირ-ვარამგამოვლილი მისი სტრიქონები, ეროვნულობა, პატრიოტიზმი, ფესვებისადმი ერთგულება, ერთი სიტყვით, მის მიერ სახელოვნად განვლილი 65 წელი, ყოველივე ამისათვის მადლობა გადაუხადეს და უსურვეს შემდგომი წარმატებები...

როგორც სტუმრებმა, ისე სხვა გამომსვლელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ქალბატონი გულიადას თავდადებული შრომა, მონდომება და ენთუზიაზმი, აღნიშნეს, რომ გულიდან დიდი გრძნობით ამოსულ ლექსებს სწავლა უნდა, გარჯა უნდა, დიდი სიყვარული უნდა, მადლობა გადაუხადეს ყოველივე ამისათვის და კიდევ იმისათვის, რომ სამშობლოს ორი შესანიშნავი ვაჟკაცი, ერთი პოეტი და მეორე ხატმწერი **ედუარდ და იაგო უგულავები** აჩუქა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი **ლადო ჯურხაძე** და მერის მოადგილეო **მანანა გოფოძე,** მათ მიულოცეს ეს მნიშვნელოვანი დღე ქალბატონ ნაირას და საჩუქრები გადასცეს.

საღამოს კიდევ ერთხელ გაჟღერდა ქ-ნ **გულნაზ ხარაიშვილის** მიერ ნათქვამი სიტყვები ბატონი ლადოსადმი: **საქართველოს არცერთ მუნიციპალიტეტს არ ჰყავს ისეთი მერი, როგორიც ხონსო.**

სიტყვა ქ-ნი ნაირას მეუღლეს **რამაზ კერძაიას** გადასცეს. იგი უაღრესად ტრადიციული და ქართველობის დამცველია, შესანიშნავი თამადა, ქ-ნ ნაირასთან ერთად მისი დიდი დამსახურებაცაა ეს ოჯახი, ასე რომ გამოირჩევა განათლებით, წესიერებით, აქტიურობით, სტუმარმასპინძლობით.

- ხანში რომ შევედით, გადავწყვიტეთ გორდს დავბრუნებოდით. გორდის ჰაერმა წერაზე აიყვანა ნია და მას შემდეგ სულ წერს და წერსო, - ბრძანა.

ბოლოს გახარებულმა და დიდი სიყვარულით აღტაცებულმა ქ-ნმა ნაირამ მადლობა გადაუხადა ყველას მობრძანებისთვის, განსაკუთრებული მადლობა უთხრა ქ-ნ **გულიადა სანოძეს,** რომ არა მისი ორგანიზატორული ნიჭი და მონდომება, ეს საღამო ასეთი ვერ იქნებოდაო,-აღნიშნა მან.

ასევე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლების წვლილს მის შემოქმედებაში. ისინი სტიმულს მაძლევენ წერისასო,-განაცხადა.

ქ-ნმა ნაირამ, დიდი მადლობა გადაიხადა ამდენი თბილი და ტკბილი სიტყვისთვის, მოფერებისა და სიყვარულისთვის, იმისთვის, რომ აზრი გამოთქვეს მისი შემოქმედების მიმართ.

ბოლოს მაპინძლებმა სტუმრები სახელდახელოდ გაწყობილ სუფრასთან მიგვიწვიეს. თავად იუბილარი კი იჯდა სავარძელში ყვავილებით და საჩუქრებით გარშემორტყმული და საკუთარ წიგნებზე, რომლებიც იმ დღეს საჩუქრად მივიღეთ, ავტოგრაფს აწერდა. დიახ, მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე ეს წიგნები, მეუღლე, შვილები და შვილიშვილებია, რომლებიც თავს ევლებიან, ეს ყოველივე კი არწმუნებს იმაში, რომ ცხოვრება მშვენიერია, რომ ყოველი დღის გათენება უნდა გვიხაროდეს და უფლის მადლიერი უნდა ვიყოთ.

ჩვენ კი, იქ მყოფები, თავს ვიწონებდით თქვენთან ურთიერთობით ქ-ნო ნაირა,თქვენ ხომ ხვეწთ და ამშვენებთ, აკეთილშობილებთ ჩვენს სულებს და უშურველად ემსახურებით ჩვენს და თქვენს საფიცარ საქართველოს.

გმადლობთ, რომ ხართ და ამშვენებთ ჩვენს კუთხეს, გორდს, მთლიანად საქართველოს.

ერთგან წერს ქ-ნი ნია: „ვერ ვთქვი ბოლომდე, რაც სათქმელია“-ო. დიახ, სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი დაგრჩათ დიდებულო ქალბატონო, წინ დიდი და ლამაზი გზაა გასავლელი, კვლავაც ბევრი დაიწრება თქვენზე და ჩვენ ვიქნებით ამაყნი თქვენით.

ქეთევან ბახტაძე

გიული ერგემლიძე

დაგლოცოს ღმერთმა!

მოგესალმებით ჩემო უთბილესო უტკბილესო თვითონ მზესავით რომ ათბობთ ადამიანის გულებს, რომ იცოდეთ რა მახარეთ და მაბედნიერეთ გული სიხარულით ამივსეთ რაც სამუდამოდ დამიტოვეთ და გამომატანეთ სითბო სიყვარული რომელი სიყვარულიც მხოლოდ დედას შეუძლია სხვას არავის ღმერთმა დაგლოცოთ მოგცეთ ულევი ენერგია ჯამრთელობა კიდევ უამრავი ადამიანი გაათბოთ ახაროთ და აბედნიეროთ მე დიდ მადლობას გიხდით!

"სანამ ვიქნები სულ ჩემს გულში ხართ, ასეთი თბილი მზესავით ქალი,
მადლობა უფალს ამ წყალობისთვის გამომიგზავნა უტკბილესი დედა მშობელი,
გულში ჩამიკრა დიდი სითბოთი, გამაძლიერა ფრთები შემასხა,
წლებია რამდენს ვუხარე გული,
უამრავ ლექსაც ავუწყე მღერა,
მაგრამ ამგვარად გულში ჩამწვდომად არასდროს არვინ არ მომეფერა,
არავინ მითხრა "შენ ჩემო კარგო გული გამითბო შენმა სიმღერამ"
მან კი მაშინვე გულში ჩამიკრა და მომეფერა მართლა დედურად.

მითხრა დღეიდან შვილად მიგიღე და ჩაგაბუდე ჩემს გულში შვილად, დამაჯილდოვა დიდი სითბოთი გული გამივსო სიხარულითა, შრომა ყოველთვის უნდა დაფასდეს და ჩემს ალალ ღვაწლს ვარდი აფინა,

გამილამაზა ჩემი ცხოვრება გული სხვაგვარად გამიხალისა, მისმა ლამაზმა თბილმა სიტყვებმა ჩემში სხვაგვარი კვალი დატოვა, ისეთი დიდი რწმენით ამავსო რაც არა მქონდა ჩემი თავისა, სტიმული მომცა ისე ძლიერად რომ არ გავჩერდე განვაგრძო მშვიდად, დამილოცა გზა და მაგრძნობინა დედური გულით ის რაც ღმერთმა მიბოძა მცირედი ნიჭი სანამ შევძლებ კიდევ ვიხარო და ვახარო ყველა!

მადლობას გიხდი ჩემო დედიკო ამ ყველაფრისთვის.

დაგლოცოს ღმერთმა!"

* * *

მაპატიეთ რომ რაც ჩამოვედი დღესღა შევძელი მოგფერებოდით
და ჩემი დიდი უკიდეგანო მადლიერება მეთქვა

აქ ძალიან ცუდი ამბები დამხვდა გარდა იმისა უკვე ორი ქართველი ქალბატონი სიმსივნეს რომ ებრძვიან და მე მათთან ერთად ყველაფერს ვაკეთებ მათთვის მელოდებოდნენ ამიტომ სახლში გვიან ღამით დავბრუნდი დილით რვა საათზე უკვე საავადმყოფოში ვიყავი რომ გამეხარებინა დამემშვიდებინა რომ მე ყველაფერს ვუთარგმნიდი რაც მათთვის ყველაფერია გაიგონ როგორ მიდის მკურნალობა, მე გავიხარე რომ სასიხარულოდ ქიმიას ემორჩილება მათი ორგანიზმი, ამისთანა შემთხვევები ბევრი მაქვს და ეხლა მოულოდნელად გამომიგზავნეს სხვა ქალაქიდან უკვე გასადეპორტებლად გამზადებული ადამიანი, ძალიან შევწუხდი მაგრამ უკან ერთიწუთითაც არ დამიხევია ყველაფერი გავაკეთე და მადლობა ღმერთს რომ ასე ვუყვარვარ შემიცოდა და ამისრულა ვედრება გადამერჩინა ეს ადამიანი ყველანაირად თავიდან ავუწყე ცხოვრება ჩემს ქალაქში, ამიტომ გადართული ვიყავი მის საშველად ბევრი ვინერვიულე მაგრამ მაინც გამიმართლდა, ამიტომ ვეღარ შეგეხმიანეთ, თქვენ სულ ჩემთან ხართ და იქნებით წინასწარ ბოდიშს მოგიხდით თუ ხშირად ვერ შეგეხმიანოთ რადგან ხშირად დილიდან საღამომდე კვირები და თვეები მიწევს საავადმყოფოებში ყოფნა მართალია ძალიან ვიღლები თან უკვე ასაკიც თავისებურად თავისას აკეთებს ვითიშები, მაგრამ სათითაო ადამიანზე გამარჯვება ისევ მაძლევს ძალას

სანამ შევძლებ ასე ვიქნები რა ვქნა ძალიან მიყვარს ადამიანები და სულ ვზრუნავ მათზე დიდი სიყვარულით ჩემო დედა ქალბატონო ცოტათი თქვენ გგავართ.

გეამბორებით დიდი სიყვარულით და გკოცნით ძალიან ბევრს.

მომიკითხეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი და საყვარელი ლია

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა“

ოცდამეერთე საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო გაფეტიშებული ინტერნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, გლობალიზაციის, შხამით გაჯერებული მასონობის მომაკვდინებელი ბაცილები, რომელმაც მსოფლიოს მხსნელის მანტია მოირგო, გაუგონარი კატაკლიზმების რეჟისორად იქცა და არამხოლოდ მცირე ერებს უქადის გადაშენებას, კოსმიურ ტრაგედიებს უდებს სათავეს. სამწუხაროდ, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და ტრადიციული ღირებულებების რღვევამ ისტორიაში, ფილოსოფიაში, რელიგიაში, ლიტერატურაში გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია.

ოსტატურად შენიღბულმა კეთილდღეობის ილუზიამ მოწამლა მილიონები და მოსყიდულთა არმია გადაგვარებით ემუქრება მამაპაპეულ, ჰუმანურ იდეალებს. სასაცილოდ იქცა ეროვნულობაზე, მშობლიურ გენზე დაფუძნებული ორიენტირები და არსებობს საშიშროება, რომ „გადაშენებით დასრულდება გადაგვარება“, როგორც ბრძანებდა სულკურთხეული მერაბ კოსტავა.

ასეთ კრიტიკულ დროს გადამრჩენის მისიას ყოველთვის რელიგია, მხატვრული სიტყვა იღებდა ხოლმე თავის თავზე და სიახლის პაროლით მოვლინებული მოძღვრების ბოროტეულ ძალას ყოველთვის მარადიული ფასეულობების ფარს აგებებდა.

საბედნიეროდ, ისევ გვყვანან ქრისტეს მებაღეები, „ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად“, რომლებიც ეროვნულ წისქვილებს ისევ მხნედ დარაჯობენ არსობის პურის საფქვავად, ხოლო მშობლიური ვაზის მტევნებიდან არა წყალგარეულ ღვინოს, არამედ ნამდვილ ზედაშეს, „სიბრძნის ღვინოს“ წურავენ.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში შესასვლელ კარს ძალიან გარკვევით აწერია: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

პოეტი ქალის მხატვრულ სიტყვას ცხრა პოეტური და ერთი პროზაული კრებულით გავეცანი.

მისი წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული მაღალზნეობრივი ადათ-ტრადიციები, ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით.

მეფისტოფელის მომძლავრების, ავსულების თარეშის ჟამს პოეტი ცდილობს ეროვნული გენის, ძირების, ფესვების, ეროვნული ტრიადის – მამული, ენა, სარწმუნოება – ერთგულება ჩააგონოს თაობებს. და ეს ჩამორჩენილობა კი არა, წინსვლის ურთულესი გზების გაკვლევაა, ვინაიდან, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იმოწმებდა ლაიბნიცის სიტყვებს, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

მეფისტოფელის, ეშმაკის სათარეშოდ ქცეულ დროში ისევ ციმციმებს იმედის სხივი, ისევ გადმოდის ზეცის მადლი და სასწაულებით გვაფხიზლებს არსთაგამრიგე.

აპოკალიფსური განკითხვის, ახალი წარღვნის შიშით ძრწის საუკუნე, ცხადია, ანტიქრისტესთვის მზადდება ტახტი, მაგრამ „მადლის ტახტზე“ დაბრძანებულის ნებით განადგურდებიან ბოროტეულნი, ხოლო უცოდველნი, რწმენისთვის სისხლის გამღებნი მარადისობაში დამკვიდრდებიან, „ახალ ცას და ახალ ქვეყანას“ იხილავენ, გვარწმუნებენ სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი ღვთისმეტყველნი.

„ცათა მაღალთა მადლით“ იქმნებოდა მხატვრული შედევრები, იგებოდა ტაძრები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, მტკიცდებოდა რწმენა, ვლინდებოდა გმირული სული და წინ ისწრაფოდა ადამის მოდგმა.

უზენაესი – ზეციური „მწყემსი კეთილი“ არასოდეს ტოვებს თავის სახედ და ხატად შექმნილს ნუგეშის გარეშე, მადლით და სასწაულებით აცისკროვნებს რჩეულთა სულებს.

„მადლით და ჭეშმარიტებით“ მკვიდრდება კაცთა შორის ღვთის სიტყვა – ქრისტე.

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვაუწყებს: „ღვთის მადლი ყველა ადამიანის მხსნელია“ (პავლე მოციქული ტიტეს, 3,11).

„მწიგნობარი ფალავანი“ (იოანე დამასკელი) – სულიწმინდა არის ნიჭთა გამნაწილებელი, სიბრძნის სიტყვის, ცოდნის სიტყვის მომმადლებელი (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 4-10).

ღვთის მადლი მარადიულად ცხადდება, რომ გაძლიერდეს რწმენა, სასიკეთოდ წარიმართოს, სასწაულით გაასკეცდეს ადამიანის ძალისხმევა, რადგან „ღმერთი სასწაულის მოქმედია“ (ფს. 76,15).

ბიბლია, რელიგია, ლიტერატურის ისტორია სავსეა ღვთის სასწაულებით.

გრიგოლ ხანძთელს, როგორც წმინდა სულის მოძღვარს, მკერდზე ჯვრის სახით უელავდა განმანათლებელი ცეცხლი, „ნათლის სვეტი“ (ღმერთი) ეცხადებოდა.

ვაჟა-ფშაველას „ოცნებაში“ პოეტის სატრფოს – სულიწმინდას ახრჩობდნენ, მაგრამ სამჯერ გაწყდა თოკი და იგი გადარჩა.

ფშაველი გენიოსის პოემა „უიღბლო იღბლიანში“ საბრალოს სამარის მადლი იცავდა ცხოველ-მცენარეს, მის საფლავს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა, ცოდვილი ძმების სამარე კი ჭაობად იყო გადაქცეული.

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ ზნეკეთილი თანდილა ყვავილების თაიგულს დაემსგავსა, რომელიც გამაბრუებელ სურნელს გამოსცემდა, თევდორე ყვავილით აფრთხობდა მგლებს (ყვავილი ღმერთის სიმბოლოა), ამაღლება დღეს ეკლესიის ეზოს სურნელოვანი ყვავილები დაეფინა, დონატა ცაში ამაღლდა, ლუკას სიზმრისეულ ხილვაში ღმერთი თეთრი მოხუცის სახით გამოეცხადა და ყვავილის პოვნა დაავალა.

გულნაზ ხარაიშვილის პოეტობა თვით ღმერთისაგან არის ნაკურთხი, იგი ხელდასხმულია უზენაესისგან, მასზე მართლაც არის გადმოსული ღვთის მადლი.

წერილში „მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი სასწაული“ – პოეტი თვით გვამცნობს ამ სულისშემძვრელი მოვლენის შესახებ. სამაგალითო დედა, გულმხურვალე მამულიშვილი, უანგარობით, კეთილშობილებით, რელიგიურობით გამორჩეული ქალბატონი 2003 წელს, 53 წლის ასაკში, ამაღლება დღეს მცხეთაში ჩავიდა მამა გაბრიელის საფლავის მოლოცვის მიზნით. წმინდანის საფლავის ზეთის ცხების შემდეგ სულში ზებუნებრივი ნათელი ჩაეღვარა, უხილავის ხელდასხმა, სულის გასხივოსნება, გონის უჩვეულო გამოღვიძება შეიგრძნო, ახალი თვალით, ახალი ფერებით იხილა სამყარო, მთელი ქვეყნის გულში ჩახუტება მოუნდა. სული თითქოს უზენაესის ძალით ამღერდა, ჯერაც უხილავ-მოუსმენელის განმცდელი, ახალი სიტყვებით ამეტყველდა და სასწაულით ფრთაშესხმული, მიხვდა, რომ ეს სულიწმინდის საჩუქარი იყო.

სულიწმინდის, შთაგონების მოვლინებას შუა საუკუნეების ესთეტიკაში საღვთო ნიავის, სიოს, ქარის ქროლვასთან აიგივებდნენ.

გალაკტიონის პოეზიაში „ქარის დაბერვა“ გვამცნობს შთაგონების გამოცხადებას, მისი ლურჯა ცხენები – „ეფემერული და ფერადი ქარებით“ ქრიან (ეფემერა, ვერხვები). ტერენტი გრანელთან შთაგონების პროცესზე ყურადღება მახვილდება „უხილავი ქარის“, „სიჩუმის ქარის“, „იდუმალ მხარეების გრიგალის“ სახეებით.

გულნაზ ხარაიშვილს სულიერი სიწმინდის, სიკეთის საზღაურად ევლინება დიდი წყალობა – სულიწმინდის ნიავის სახით: „გულში დაჭრილებს ვამხნევებდი თბილი სიტყვებით, მათ შევუკერე იმედების, რწმენის ფუთები, ახლაც ლექსების, სულიწმინდის ნიავს მივყვები, რადგან სული მაქვს ფაქიზი და ნასათუთები“ (გულში დაჭრილებს ვამხნევებდი), „სულიწმინდის სიო მიწვდის ლამაზ ბგერებს“ ამბობს პოეტი და ელოდება „ზეცით დაქროლილ ნიავს“ (ქარი ძველებურად მემტერება).

პოეტი გულისყურით უსმენს სიოს (შდრ. გალაკტიონი – „სიო, სარკმლით მონაწროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“), წმინდა სანთლებს უნთებს, როგორც თავისი ტკივილების მოზიარეს, პოეზიის მადლის მომფენს: „ჩემს ეზოში სიო არხევს ლეღვის ფოთლებს და საუბრობს იმ წარსულზე, რაც გადახდა. მოთმინებით ვუნთებ ნიავს წმინდა სანთლებს, რადგან იგი ტკივილის დროს მე თან მახლდა“ (ჩემს ეზოში).

ამიერიდან სულიწმინდის ნიავის მოლოდინით ივსება სული: „ახლაც ლექსების, სულიწმინდის ნიავს მივყვები“, ამბობს პოეტი და ისმენს ზეციურ ხმებს, „ძარღვის ფეთქვას“, „დედამიწის ღერძის ტრიალს“, მრავლისმეტყველი ხილვებით ივსება...

„სულიწმინდით უკვე ვიწამლე“, აცხადებს პოეტი.

მართლაც, ღმერთია ყველაზე დიდი მკურნალი: „მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი (გამოსვლათა, 115,26).

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (სიბრძნე ზირაქისა, 38,2).

პოეტი ქალი წმინდა ნინოს „მადლის კარებთან“ დგას, „მადლის კოშკებს“ აშენებს, სულიწმინდის მადლით ახარებს „სულის ჭადარს“, მისი „გულის კარი სასწაულობს“ (შენ მერცხალი ხარ).

მადლით ბეწვის ხიდზე გავლის ძალა ებოძა, ირწმუნა სასწაულები, რომ „ტოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს ღვთის რწმენის ძალა“ (ილია II), „მე შენი რწმენით ყინულს გავადნობ“ (დღეს). მშობელი მიწის მადლის შემგრძნობი, სიმართლისათვის ღაღადებს: „მადლიანი მიწის შვილნი ვიყოთ ღმერთთან მართლები“ (ქართველს).

იმედით, მადლით ავსებს „ფიქრის ტოლჩას“: „ღიმილით სულში შემირხევ რტოებს, კამკამა ფიქრით ავავსებ ტოლჩას, გულის სიმშვიდევ, იმედო, მადლო“, წერს პოეტი.

მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ღვთის მადლით არის გაცისკროვნებული: „ღვთის განგებამ დამიფინა ხალიჩა მადლის, მადლის შუქში ვარ სიღრმით ჩაფლული, სული „მადლის მმოსავი მზის სხივებით გამონაშუქია“, „სიყვარულით და მადლით მოსილია“, „ზეციდან უფლის მადლით ნაშუქია“. მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟი მადლისთვის ევედრება ღმერთს: „უფალო, შენი მადლი მაპკურე, ჰქმენ ისევ მადლი, ღმერთო, დაგვლოცე, ღმერთო, მომეც, რომ ვაპურო მშიერი, შენი მადლი ნუღარ დაიგვიანებს, მადლი მსურს იყოს ცამდე აწვდილი“... „იმედის მადლი“, „იმედის ფიფქები“ ათოვს...

„ფიქრის ყვავილიც“ დედა ბუნების მადლია: „შენს გზას მოვფინე ფიქრის ყვავილი, ეს მომამადლა დედა ბუნებამ“...

„მადლს ასე განმარტავენ წმინდა მამები: „მადლი არის მოხილვა ჩვენი უფლისა მიერ და მისი ერთობა ჩვენთან“ (თეოფანე დაყუდებული, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. I. თბ. 1990, გვ. 319).

მადლი აღიქმება, როგორც ღმერთთან მიახლოება: „უმაღლესი ფასეულობა, უკანასკნელი მიზანი და ადამიანის ცხოვრების აზრი ქრისტიანისათვის ღმერთთან მიახლოებაა, რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება.. მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება – ცოდვა, ღმერთისგან დაშორება“ (ნესტორ ყუბანეიშვილი, „პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, ქუთაისი, 1915, გვ. 138).

მადლი არის კეთილი საქმის საზღაური, მადლი მორწმუნეზე გადმოდის „ქრისტე იესოს მიერ საქმეთათვის კეთილთა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2, 10).

გადარჩენის საწინდარია „მადლი, რწმენა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2,8).

„სული ვარ უკვე ცაში აჭრილი“

ოცნების ფრთებით ცაში ფრენა ღვთის მადლია.

ფრენენ წმინდანები, რომელთაც ცოდვა არ ამძიმებთ, რომელთაც დაამარცხეს თავიანთ თავში ხრწნადი და წარმავალი. ისინი ხედვენ სულს, აჩრდილს, უსაზღვროებას, წვდებიან უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

„არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი“ (ნუგეში მგოსნია), ამბობდა ვაჟა-ფშაველა.

„ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ“, ირწმუნებოდა აკაკი წერეთელი.

„მისტიური ფრთით“ შედიოდა გალაკტიონი „უცხო სიმსუბუქეში“, სილაჟვარდეში. „მემენტო მორის“ ავტორს ფრთები ეზრდებოდა რწმენით, ლოცვით, მარხვით.

ფრთოვანი არიან სულით წმინდა ადამიანები, „სათნოების ფრთა, სულიერი ფრთა, გონიერი ფრთა, სიწმინდის ფრთა“ ამაღლებთ ცაში დიდი სულიერი ძალის მქონე ნათელღებულთ. მათ ხელეწიფებათ გამოყონ ასტრალური ორეული და იფრინონ განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში, რაც საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ასტრალური სივრცის სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას, სიმშვიდეს, საკუთარი ძალების რწმენას.

წმინდა, დისციპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები.

„ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა... ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქრით“, ასეთია ელენე რერიხის მოწოდება.

სულიერ ზეცაში, „ცათა ცაში“ შეღწევა შესაძლებელია სულიერი განვითარებით, სულიერი თვითმფრინავებით, მენტალურ უნართა გაღვიძებით. სულით ზეცაში ქროდნენ რუსთველი, დანტე, ბოდლერი, ბლოკი, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, გრანელი.

დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი ცად, ქარსა და ღრუბლებში მაღლდებოდა იანის ციური სხივებით შემოსილი, არაფრად აგდებდა ხელმწიფის კვერთხს, სიმდიდრეს, გამოჩინებას და განცვიფრებაში მოჰყავდა იმპერატორი.

იმედის, ზეციური მადლის ძალით ფრენს ცაში გულნაზ ხარაიშვილის სული: „იმედის ნაბადს თუ წამოისხამ, ოცნების ფრთებით ცად აფრინდები“, წერს პოეტი და ირწმუნება: „სული ვარ უკვე ცაში აჭრილი, „კიბეს მივადგამ ლექსით ცათამბჯენს“.

ლექსში „ვინატრებდი“ პოეტის სურვილია, სულს ვარდად ეფინოს ცის სილურჯე: „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს კიდეს“ (ვინატრებდი).

სული და ცა უსაზღვროებაა, პოეტურობის უცილობელი ატრიბუტი: „შენს სულს ვადარებ ცის ლამაზ სივრცეს“ (მეამაყები).

სულს უფლის მადლით ებოძა ფრენის ნიჭი, რათა ზეცაში გაშალოს ფრთები: „მე უფლის ჯილდო გამოვიცანი, ოცნების ფრთებით დავფრინავ ცაში, ლექსებს საჩუქრად იგი მიგზავნის, ბოლოს კი აფრებს ზეცაში გავშლი“ (გამოვიცანი).

ამაღლებული სულით მოიხილავს „გონიერ ცას“, ღმერთების საუფლოს, მზეს, ვარსკვლავებს, მთვარეს.

უფლის მადლი ვლინდება ახალი, ზეციური ხმების გაგონებაში, უხილავის ხილვაში, უიმედობის, სიკვდილის დამარცხებაში: „იალბუზიდან ხმები მესმის რაღაც ახალის... დაღლილი ვიყავ, სულიწმინდით უკვე ვიწამლე, ზარის ხმა ისმის და ვიხილე ბაღი ედემის... ლოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავღვარე... სიკვდილი მოვკალ, მეუფეო, შენი იმედით... მერე ნერგები გავახარე სულის არეში. საკურთხეველთან ჩემი ფეხით, რწმენით მივედი, აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში“ (მეუფე თადეოზს).

„ხმავ ზეციურო, ისევ ჩემთან ამოზვიადდი“, ილოცება პოეტი.

გულნაზ ხარაიშვილი „გრძნობით დატვირთული გემთან“ დგას, „გრძნობის მათარა“ უპყრია, „გრძნობის ვულკანში“ იფერფლება, „გრძნობის საბანი“, „გრძნობის ნაბადი“ მოუხურავს, „გულის ბუხარი“, „გულის თონე“ აუგიზგიზებია, „გულის სურნელი“ დაჰყოლია მის სიტყვას (შდრ. პავლე მოციქულის „ქრისტეს კეთილსურნელება“), „ფიქრის ვულკანში“ გახვეულა, „ფიქრის ნაბადი მოუხურავს, „ვარდისფერაბენ ფიქრთა ბადენი“, ეთაყვანება „სურნელებიან ფიქრს“, „ფიქრის სერზე“ მიემართება, ფიქრის „ტანჯვის ფუთები“, „იმედების, რწმენის ფუთები“ მოუკიდებია, „გონების მართვა“ ეხერხება, სწამს პოეტური სიტყვის ყოვლისშემძლეობის, რომ „ნიჭით გაატრიალებ ქარბორბალას, სუსხით, რომ ყინავს“, „ააცისკროვნებ ცისარტყელას“, „დააპურებ მთელ საქართველოს“, სიტყვის ძალით „ჩაჰკლავ ურჩხულს“...

ცის სამოთხეში მოხვედრილი, სხვადასხვაგვარი სიყვარულის-შემცნობი იტალიელი გენიოსი დანტე ბრძანებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“.

„პირველი სიყვარული“ ღმერთის სახელია (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, თ. 2,4).

გულნაზ ხარაიშვილის უპირველესი სიყვარული ღმერთია და პოეტი „სიყვარულით დღეებს ითვლის იღბლიანს“, „სიყვარულის დროშა“ აღუმართავს, უგალობს ღმერთს – „ტრფობის მეფეს“, მადლად მოვლენილ სიყვარულს, „ზეცით ნაკურთხი“ სიყვარული აძლიერებს: „სიმაღლიდან ცა მიწვდიდა თავის ხელებს, გადამაკრა სიყვარულის არტახები“ (მოველ).

პოეტის მიზანია სიყვარულის გადარჩენა, „სიყვარულის გამოხსნა“ (იმერეთში).

ზეციური სიყვარული ხალხის, სიკეთის მსახურებისთვის მოუწოდებს: „ძილშიაც კი ამას ვფიქრობ სიყვარულით, რა ვაკეთო ხალხის გულის გასახარად“ (რა ვაკეთო?).

აქ დიდი ილია ჭავჭავაძის აჩრდილიც წამოიმართება: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, – აბა, დღეს მე ვის რა ვარგე? (დამაკვირდი).

მანანა კვატაია

საზღვარგარეთული მწერლობის კვლევისა და რეცეფციის ისტორიიდან

მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკა არა მარტო მის ინტერპრეტირებას, არამედ აზრობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენასაც გულისხმობს. ნაშრომში "მითოლოგიები" (1957) როლან ბარტი ტექსტის ერთადერთი წაკითხვის წინააღმდეგ გამოდის. რ. ინგარდენი მის სხვადასხვა ინტერპრეტაციას უშვებს. ერთმანეთთან კონკურენციის პროცესში "ის ინტერპრეტაცია იმარჯვებს, რომელიც უკეთაა დასაბუთებული" (ბრეგაძე 2017: 56). იაუსის აზრით, "ლიტერატურის ისტორია — ეს რეცეფციათა ისტორიაცაა".

ტექსტების მეცნიერული რეცეფციის თვალსაზრისით საყურადღებოა გასული საუკუნის ქართველ მკვლევართა და ინტერპრეტატორთა ოპუსები, რომელთაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავთ. მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების ინტენსიურ თარგმნასთან ერთად კონცეპტუალური თეორიული ნაშრომებიც იქმნებოდა, სადაც საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების ცხოვრება და შემოქმედებაა განხილული. ერუდიციითა და განსწავლულობით გამორჩეული ცნობილი ავტორების ეს ღრმააზროვანი წერილები საზოგადოებას უცხოელი კლასიკოსების მემკვიდრეობას აცნობდა, ამასთანავე, ჩვენში განსხვავებული ცნობიერებისა და ახალ ღირებულებათა დამკვიდრებას უწყობდა ხელს. მეცნიერულ რეცეფციათა საერთო სურათის ჩვენების მიზნით ნაშრომში ანალიზისათვის შევარჩიეთ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის კონცეპტუალური თეორიული წერილები, რომლებიც ევროპისა და ამერიკის ავტორებს და მათ ნაწარმოებებს ეძღვნება.

ქართულ ლიტერატურულ სივრცეში სათანადოდ შეფასდა ინგლისელ კლასიკოსთა შემოქმედება. წერილში "უილიამ შექსპირი (მისი დაბადებიდან 350 წლის შესრულების გამო)" გერონტი ქიქოძე გენიალური შემოქმედის ირგვლივ არსებული აურაცხელი ლიტერატურის შესახებ საუბრობს. მისი თქმით, შექსპირის ცხოვრებაზე ცოტა რამ არის ცნობილი და, რაც იციან, ისიც ნახევრად საეჭვო და პრობლემურია. ჩგერონტი ქიქოძე არსებითად მსჯელობს უილიამ შექსპირის გამორჩეულ ფენომენზე, მწერლის შემოქმედების წყაროებად კი ასახელებს პლუტარქეს ბიოგრაფიებს, იტალიურ ნოველებს, ინგლისურ მატიანეებს, ესპანურ მოგზაურობათა აღწერილობებს, ხალხურ ლეგენდებსა და თქმულებებს. ანალიტიკოსის თქმით, შექსპირი ეროვნულ ნიადაგზე იდგა. ის კარგად იცნობდა ისტორიას, მის თანამედროვეობას, ბუნებას.

ესეში "ჯორჯ ბაირონ" კონსტანტინე გამსახურდია უდიდესი მწერლების - ლორდ ბაირონისა და ოსკარ უაილდის - უცნაური ბედის შესახებ მსჯელობს. მისი შეფასებით, "დღეს ბაირონის მრავალ ქმნილებას მხოლოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს შეძენილი", სამაგიეროდ, მისი შენიშვნით, პოეტის ბიოგრაფია მის პოეზიასავით საინტერესოა. კ. გამსახურდიას აღაფრთოვანებს ბაირონის გენეალოგია. კონცეპტუალურია მწერლის დაკვირვება ინგლისელი პოეტის ტრადიციულობასა და პატრიოტიზმზე, ღირებულებებზე, რასაც ბაირონმა ზურგი შეაქცია.

გრიგოლ რობაქიძის ვრცელი ესე "ოსკარ უაილდ" ინგლისელი შემოქმედის ფენომენის ანალიზს ეძღვნება. ავტორისათვის უაილდი ნამდვილი "მხატვარია, ბრინჯაოს ჩამომსხმელი". ოსკარ უაილდის ესთეტიკური თეორია რობაქიძისათვის მშვენიერი, მაცდური და, ამასთანავე, საშინელია. მწერალი "სალომეას" მსოფლიო ლიტერატურის "ყოვლად სრულ და უნაკლო" ქმნილებას უწოდებს, რომელიც "ერთი მოქნევითაა შესრულებული". "დორიან გრეის სურათში" (გრ. რობაქიძის ვერსია. — მ.კ.) გამოყოფილია რომანის ძირითადი მარკერები: "სიცოცხლე და ხელოვნება — აი, მთავარი თემა ამ რომანისა; მათი მუდმივი ბრძოლა და უთანხმოება — აი, მისი შინაარსი" (რობაქიძე 2012, 2: 536). წერილში "ევროპის თანადროულ ლიტერატურიდან" გრიგოლ რობაქიძე ახასიათებს იმ კრიზისს, რომელშიც მისი დროის ევროპული მწერლობა აღმოჩნდა, კერძოდ, მისი აზრით, რომანი სრულად გადაგვარდა.

ფფრედერიკ სტენდალის შემოქმედებითი პორტრეტი თავის ესეში მრავალმხრივ წარმოადგინა გერონტი ქიქოძემ. რომანისტის ბიოგრაფიული მომენტების არსებით წარმოჩენასთან ერთად მკვლევარი ასახელებს სტენდალის შემოქმედების ცენტრალურ თემას — ქალ-ვაჟის სიყვარულს. აქვეა დამოწმებული იპოლიტ ტენის შეხედულება და ბალზაკის მოსაზრება "პარმის მონასტერზე", როგორც "ახალი ევროპული ლიტერატურის უბადლო შედევრზე". კრიტიკოსი ეთანხმება "წითელი და შავის" სტენდალისეულ შეფასებას, რომლის მიხედვით, ეს რომანი არის მე-19 საუკუნის ქრონიკა, ახალი ფრანგული და ევროპული საზოგადოების ისტორია.

წერილში "ევროპის თანადროულ ლიტერატურიდან" გრიგოლ რობაქიძე ჯეროვნად აფასებს ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის ახალ რომანს "ჯერჯერობით". ანალიტიკოსის თქმით, "უელსის რომანები წმინდა სოციოლოგიურია" (რობაქიძე 2012, 2: 694). რობაქიძე ჩერდება ასევე ჯონ გოლსუორთზე, რომელსაც, მისი თქმით, "ინგლისელ რომანისტთა შორის ეხლა თითქმის პირველი ადგილი უკავია". მისი შემოქმედებიდან გამოყოფილია ხუთწიგნიანი ეპოპეა "ფორსაიტები საგა", მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე ძლიერად კი მიჩნეულია პირველი წიგნი ("კაცი მესაკუთრე").

უოლტ უიტმენის ფენომენის კვლევას მრავალი კონცეპტუალური წერილი მიეძღვნა. კონსტანტინე გამსახურდია სტატიაში "ვოლტ უიტმან" ჩერდება ამერიკელი პოეტის პოპულარობაზე ევროპაში, რასაც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ახალი რეალობით ხსნის: "1914-18 წლების სისხლისღვრამ კვლავ მოაწყურა კაცობრიობას ოპტიმისტური, ჯანსაღი ჩანგის ჟღერა" (გამსახურდია 1963: 414), ამერიკელი პოეტი კი "მოულოდნელობის პოეტია.. პოეტი ახალი, ძლიერი მომავლისა", შემოქმედი, რომელიც ტრადიციულ პოეტურ ფორმებს უარყოფს. იგი პოეტი-ურბანისტია, რომლისთვისაც არსებითია "წამიერება, როგორც ერთი რგოლი უკუნეთის უსასრულო გარსში და უიტმანს არ უნდა, ეს წამიც დაკარგოს." გამსახურდიას თქმით, უიტმენი თანასწორობას ქადაგებს, "მისი პოეზიის პრიზმაში სამყარო ისე მშვენიერია და უხრწნელი, როგორც შექმნის პირველსავე დღეს".

განსხვავებული რაკურსით წარმოდგება უოლტ უიტმენი ვახტანგ კოტეტიშვილის წერილში "ქუჩის გეროლდი (უოლტ უიტმენი)." პოეტის შემოქმედებითი დისკურსის გააზრებისათვის მკვლევარი XIX საუკუნის ფენომენზეც მსჯელობს. მისი თქმით, ეს "დამტვრეული საუკუნეა," რომლის მარკერებია: "კაცობრიობის აზრის დაქსაქსვა, ღირებულებათა სატანური მსხვრევა" (კოტეტიშვილი 2017: 179). უიტმენის "ბალახის ფოთლებზე" ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს: "გენიალური წიგნი ესროლა კაცობრიობას, როგორც გამოწვევა. ეს პირველი დუელი იყო პიროვნებასა და ქვეყანას შუა". კოტეტიშვილი მსჯელობს უოლტ უიტმენის "მეორე სახეზე": მის ინდივიდუალიზმზე. წერილის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ უიტმენი მომავლის პოეტია, თუმცა მას ორივე ფეხი აწმყოში უდგას.

გერმანული მწერლობა მეოცე საუკუნის საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. წერილში "გოეტე" (1928) კონსტანტინე გამსახურდია ახასიათებს დიდი გერმანელი მწერლის სიჭაბუკის წლებს, ლაიპციგში განსწავლის ხანას, როდესაც გოეთე ეუფლებობდა ფილოსოფიას, მათემატიკას, ფიზიკას, ლოგიკას, ისტორიას. აქვე გამოყოფილია ლაიპციგური ლექსები, გოეთეს ახალგაზრდული ლირიკა, საუბარია შტრასბურგიდან ფრანკფურტს დაბრუნებულ, იურისპრუდენციის ახალგაზრდა დოქტორ გოეთეზე, რომელმაც ფრანკფურტის სასამართლოში ფიცი დადო, "ვითარცა მოქალაქემ და ვექილმა". წერილში მოხსენიებულია პოეტის სატრფო შარლოტე ბუფი, მისი რომანის გმირის, ლოტეს პროტოტიპი. "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" კონსტანტინე გამსახურდიასათვის "გერმანული რომანის თავკიდურია", მისივე "ბერლინელი გოცი" — გერმანული ნაციონალური დრამის სათავე. "ვერტერს" ქართველი მწერალი იმდროინდელი რომანტიკული, ლიბერალური ახალგაზრდების ევანგელეს უწოდებს, გოეთეს ნაწერებს კი მუდამ გაორებული სულის ტრაგედიის განსახიერებად აღიქვამს. "ამ სულს ორი სტიმული აქვს მუდამ: წარმართული მსოფლიო განცდა და თანამედროვე მეობის ტარება" (გამსახურდია 1963: 363). წერილში დახასიათებულია გოეთეს შემოქმედების "Sturm und Drang"-ის პერიოდი, რომელსაც, ავტორის თქმით, "გენიოსების პერიოდს"უწოდებენ. გოეთეს "ფაუსტი" ესეში ასეა შეფასებული: "უნივერსალური პოემაა, რომელშიც მთელი კაცობრიობის განცდათა რკალია მოცემული" (გამსახურდია 1963: 405).

1949 წლით თარიღდება კონსტანტინე გამსახურდიას მეორე წერილი "იოჰან ვოლფგანგ გოეტე (დაბადებიდან 200 წლის თავის გამო)". ბიოგრაფიული მომენტების ანალიზთან ერთად ოპუსში განხილულია გოეთეს შემოქმედებითი გზის დასაწყისი, მოხსენიებულია მისი არშემდგარი რომანი მარგარიტა ვაგნერთან, რომელიც მოგვიანებით "ფაუსტში" მარგარიტას პროტოტიპად მოგვევლინა. აქვე საუბარია პოეტის ლაიპციგურ წლებზე, სადაც მომწიფებულა მისი წიგნი "ლაიპციგური მელოდიები". წერილში მიმოხილულია გოეთეს ფრანფურტში ცხოვრების პერიოდი, მისი საადვოკატო საქმიანობა, ნაცნობობა და ხელმოცარული გამიჯნურება მადამ როშის ქალიშვილთან, რომელიც "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის" დაწერის საბაბი გახდა და ა.შ. გოეთეს "ფაუსტის" კონცეფციის ინტერპრეტირებისას გამსახურდია შენიშნავს, რომ იოანეს სახარების "პირველითგანვე იყო სიტყვა" გერმანელ

კლასიკოსს გადაუკეთებია "პირველითგანვე იყო საქმედ". ქართველი მწერლის აზრით, "ფაუსტიც" ავტობიოგრაფიულია, ისევე, როგორც გოეთეს უინტიმესი ლექსები.

ჩგერონტი ქიქოძის "ჰაინრიხ ჰაინე" მეორე დიდ გერმანელ ლირიკოსს ეძღვნება. წერილში განხილულია ჰაინეს - გაღარიბებული ებრაელი ვაჭრის შვილის - ბიოგრაფიის მომენტები, აღნიშნულია, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ მან ბილეთი შეიძინა ევროპულ კულტურაში შესასვლელად, თუმცა "ქრისტიანობა მისთვის ყოველთვის გარეგან სამოსელად დარჩა". ჰაინრიხ ჰაინეს პოეტურ დამსახურებათა აღნუსხვისას გ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ მან "გერმანულ ლექსს რომაული პოეტური ენის სიმსუბუქე და გამჭვირვალობა მისცა. ამასთან, ის სახალხო პოეზიას დაუახლოვა".

1948 წლით თარიღდება კონსტანტინე გამსახურდიას ესე "თომას მანნ", სადაც ავტორი გერმანელი მწერლის შემოქმედებას პროზაული ხელოვნების ზენიტად მიიჩნევს. თომას მანის ბიოგრაფიისა და შემოქმედების დეტალებზე მსჯელობასთან ერთად კ. გამსახურდია მის თეორიულ შეხედულებებზე ჩერდება, აქვე საუბარია შოპენჰაუერისა და ნიცშეს ფილოსოფიის გავლენებზე. თომას მანის "ბუდენბროკებს" ქართველი მწერალი "ტიპურ რეალისტურ რომანს" უწოდებს, რომელიც გვარის აღორძინების, განვითარებისა და დაცემის ისტორიას ასახავს.

ცალკე წერილი მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ დიდ გერმანელ ლირიკოსს რაინერ მარია რილკეს, სადაც პოეტის ბიოგრაფიის წარმოჩენასთან ერთად განხილულია რილკეს სიჭაბუკისდროინდელი ლექსები, შეფასებულია 1906 წელს გამოქვეყნებული წიგნი "Das Buch der Zeit", რომელმაც ავტორს დიდი პოეტის სახელი დაუმკვიდრა. გამსახურდიას შენიშვნით, პოეტური თემების რკალით რილკე მეტერლინკის, სტეფან გეორგეს, ჰუგო ჰოფმანსტალის, რიჰარდ დემელის პოეზიასთან არის დაკავშირებული.

კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის წერილი "სტეფან გეორგე" (1930), სადაც ავტორი მსჯელობს 1890-იან წლებში გერმანელი პოეტის გარშემო შეკრებილ ახალგახრდა მწერლებზე. სტეფან გეორგეს, როგორც პოეტის, ჩამოყალიბებაში გამსახურდია სამ ფაქტორს გამოყოფს: რაინს, ანტიკასა და კათოლიციზმს. მისი თქმით, "გეორგე თანამემკვიდრეა ბერძნულ-რომაული სულობისა".

ფრანგი კლასიკოსების შემოქმედება პირველხარისხოვანმა მთარგმნელებმა გადმოაქართულეს. თეორეტიკოსებმა სათანადოდ გაანალიზეს ცნობილი მწერლების ნააზრევი. გერონტი ქიქოძის "ვოლტერი" ფრანგი განმანათლებლის ცხოვრების გზის მიმოხილვით იწყება. Aაქ ნახსენებია ახალგაზრდა ვოლტერის ბასტილიის ციხეში ჩასმის ეპიზოდი, საპყრობილეში დაწერილი მისი ტრაგედია "იოდიპოსი", რომელიც 1718 წელს პარიზის სცენაზე დაიდგა. გერონტი ქიქოძე ახასიათებს ვოლტერის ინგლისში გატარებულ წლებს, მის გონებრივ განვითარებაში გარდატეხის პერიოდად რომ ითვლება. შექსპირის გავლენას ხედავს ქიქოძე მის დრამებში "საირა", "კეისრის სიკვდილი", "სემირამიდა" და სხვ.

ამავე ოპუსში მოხსენიებულია ვოლტერის "ფილოსოფიური წერილები" და "წერილები ინგლისელებზე", რომლებიც ჯერ ლონდონში ინგლისურად გამოქვეყნდა, შემდეგ — ფრანგულად, თუმცა საფრანგეთის პარლამენტმა ეს პუბლიკაცია აკრძალა. აქვე მიმოხილულია ვოლტერის ცხოვრების პერიოდი ქალაქ სირეში, გამოყოფილია მისი "ტრაქტატი მეტაფიზიკაზე". ფრანგი განმანათლებლის დამსახურებად გერონტი ქიქოძე კაცობრიობის კულტურის ისტორიის ახლებური გააზრების ცდას მიიჩნევს....ავტორი ეხება ვოლტერის გავლენას მის თანამედროვეებსა და მომდევნო თაობებზე, ასევე, საუბრობს მის ქართველ მიმდევრებზე - დავით და იოანე ბატონიშვილებზე.

გერონტი ქიქოძის წერილი "ონორე ბალზაკი" (1924) დიდი პროზაიკოსის ფენომენს იკვლევს. მწერლის მრავალრიცხოვან თხზულებათაგან გამოყოფილია რომანები: "უკანასკნელი შუანი" და "შაგრენის ტყავი". ქიქოძის განმარტებით, რესტავრაციის ეპოქის და ივლისის მონარქიის საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე ბალზაკი უფრო უხვ და მართებულ ცნობებს იძლევა, ვიდრე იმდროინდელი ეკონომისტები და სტატისტიკოსები.

იმავე პროზაიკოსს ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას წერილი "ჰონორე დე ბალზაკ" (1950), რომელშიც ავტორი ფრანგ მწერალს მე-19 საუკუნის დიდ რომანისტთა შორის პირველთა შორის უპირველესად, რჩეულთა შორის რჩეულად მიიჩნევს, ხოლო "ადამიანურ კომედიას" "მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ ევროპის ბურჟუაზიის ცხოვრების "უნივერსალურ მხატვრულ პანორამას" უწოდებს.

წერილში "ალფონს დოდე" (1960) გერონტი ქიქოძემ სათანადოდ შეაფასა აღიარებული ფრანგი მწერლის ტალანტი და შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

ესეში "ანატოლ ფრანს" (1924) კონსტანტინე გამსახურდია ფრანგ მწერალს უნივერსალური მრავალმხრივობით გამორჩეულ ადამიანს, რენესანსის ყალიბის შემოქმედს უწოდებს. იგი მისთვის არის "მწგნობარი, ერუდიტი, ღრმად მოაზროვნე", ის "ანტიკის მზიან სამყაროში იზრდებოდა და ღრმა მოხუცებამდის არ განშორებია ამ სამყაროს" (გამსახურდია 1963: 20).

ამავე პროზაიკოსს ეძღვნება 1924 წლით დათარიღებული გრიგოლ რობაქიძეს ესე "ანატოლ ფრანს", სადაც შენიშნულია, რომ მწერალს "ჰქონდა ლატინთა თვალი და მზერა, უყვარდა ხილული ქვეყანა" (რობაქიძე 2012, 3: 601). ავტორის რეცეფციით, ანატოლ ფრანსი რაბლედან არის გამოსული.

წერილში "მალლარმე და ნოვალისი" გრიგოლ რობაქიძე სტეფან მალარმეს ყველაზე უცნაურ და გაუგებარ პოეტად მიიჩნევს. მისი აზრით, "მალლარმე ცდილობდა, თავისი ვიზიონერობა ქმედით ფორმაში ჩამოესხა. ნოვალისი თავის ვიზიონერობას მისტიკაში ალღობდა" (რობაქიძე 2012, 3: 427). სტატიაში "საფრანგეთის თანადროულ ლიტერატურიდან" (1928) გრიგოლ რობაქიძე ახასიათებს მარსელ პრუსტს, რომლის მრავალტომიანი ქმნილება "დაკარგული დროის ძიებაში" ავტორისათვის ეპოპეად გადაშლილი ქრონიკაა.

საფრანგეთის დიდ მწერლად მიიჩნევს გრიგოლ რობაქიძე პოლ კლოდელს, რომელმაც, მისი თქმით, სიმბოლისტების ტრადიცია გააგრძელა, მის დრამებში კი ანტიკური ტრაგედიის შინაგანი თვისება აღდგა, ხოლო მინიატურების კრებულში "აღმოსავლეთის შეცნობა" "სიტყვების ეკონომია დაყვანილია ლურსმულ წარწერების სიცოტავემდე და ამავე დროს სიტყვის ეკსპრესსია უსაზღვროა" (რობაქიძე 2012, 3: 691). ესეში "პოლ ვალერი" რობაქიძე ფრანგი შემოქმედის პოეზიის ფესვებს სიმბოლისტებთან (განსაკუთრებით მალარმესთან) ხედავს.

"ძალიან მაგარ მწერალს" უწოდებს გრიგოლ რობაქიძე ჟან ჟირორდუს. მისი ტექსტებიდან იგი გამოარჩევს რომანს სათაურით "ზიგფრიდ და ლიმუზენ", რომელიც, მისი თქმით, "გასაოცარი სიმახვილით ახასიათებს გერმანულ ყოფას.. შიგადაშიგ ირონიით იგი საფრანგეთსაც სწვდება". გრიგოლ რობაქიძემ სათანადოდ შეაფასა ფრანგი მწერალი რაიმონ რადიგე, რომელიც 20 წლის ასაკში გარდაცვლილა და ორი რომანი დაუტოვებია. წერილში მოხსენიებულია ჟან კოკტო: პოეტი, ესეისტი, მხატვარი, დრამატურგი, რომანისტი, რომელიც, რობაქიძის თქმით, "ყველგან თავისუფლად გრძნობს თავს".

ცნობილი მწერლებისა და ანალიტიკოსების თეორიული ნაშრომები მსოფლიოს სხვა აღიარებული ავტორების ფენომენის კვლევასა და რეცეფციასაც ეძღვნება, რაც ცხადყოფს, რომ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების თარგმნისა და რეცეფციის თვალსაზრისით ნაყოფიერი პერიოდი იყო. ქართველ მკვლევარ-ინტერპრეტატორთა პირველხარისხოვანმა ოპუსებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი მკითხველის "მოლოდინის ჰორიზონტი", მეორე მხრივ, ამ წერილებმა საზოგადოებაში ახალი ღირებულებების დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბრეგაძე 2017: ბრეგაძე ლ. რეზო ყარალაშვილი — ლიტერატურის თეორეტიკოსი. - სჯანი, 2017.
2. გამსახურდია 1963: გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი, ტ. VI. თბილისი: "საბჭოთა საქართველო", 1963.
3. კოტეტიშვილი 2016: კოტეტიშვილი ვ. წერილები (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნონა კუპრეიშვილმა). თბილისი: "არტანუჯი", 2016.
4. რობაქიძე 2012, 2. რობაქიძე გრ. ნაწერები, წ.. 2 (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ). თბილისი: "არტანუჯი", 2012.
5. რობაქიძე 2012, 3. რობაქიძე გრ. ნაწერები, წ. .3 (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ). თბილისი: "არტანუჯი", 2012.
6. ქიქოძე 1963: ქიქოძე გ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი: "საბჭოთა საქართველო", 1963.

რეზო ბალანჩივაძე



სიყვარულით შთაგონებული

წინამდებარე წიგნი ეძღვნება ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის,ღირსეული მარჯანიშვილელის, მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი ბურჯის ტარიელ საყვარელიძის დაბადების 100 წლისთავს. წიგნის ავტორი კი გახლავთ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მეცნიერი, მრავალი საინტერესო წიგნის, საჟურნალო და საგაზეთო წერილის ავტორი, რადიო და ტელეგადაცემათა სცენარისტი და წამყვანი, პროფესორი ივანე ჯაფარიძე.

წინასწარ ვიტყვი, როგორც მოსალოდნელიც იყო, წიგნი წარმატებული გამოდგა. ეს წარმატება კი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ეს ფაქტორებია: ავტორის გამორჩეული ნიჭიერება, მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი ცოდნა და გამოცდილება, წერის მაღალი კულტურა, თეატრის კარგი ცოდნა და სიყვარული და, რაც მთავარია, ის, რომ ბატონი ტარიელი და ბატონი ვანო ერთმანეთის ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ /ბატონი ვანო ჯაფარიძე, ნაშვილები ჰყავდა ლეგენდარულ ქართველ ალპინისტ ქალს ალექსანდრა ჯაფარიძეს/, ქალბატონი ალექსანდრა და ტარიელის დედა კი მკვიდრი დები იყვნენ/.

ამიტომ იყო, რომ ბატონი ვანო, რომელიც 22 წლით უმცროსი იყო ბატონ ტარიელზე, შეიძლება ითქვას, ბატონი ტარიელის თვალწინ და მისი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. ამ ორი ადამიანის ნათესავობას ზედ ისიც ემატებოდა, რომ ისინი ერთმანეთის უახლოესი მეგობრები იყვნენ. შესაბამისად, სრულებითაც არ არის შემთხვევითი და საკვირველი, რომ ბატონ ვანოს ბატონი ტარიელის თითქმის ყველა როლი აქვს ნანახი /თანაც რამდენჯერმე/. მეტიც, ბატონ ვანოს ისიც კი უნახავს, თუ როგორ მუშაობდა ბატონი ტარიელი როლზე. როგორ ხდებოდა პიესის გმირის სპექტაკლის პერსონაჟად გარდასახვა!

როგორც წიგნის ავტორი ივანე ჯაფარიძე ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ტარიელს ყველა მონაცემი ჰქონდა საიმისოდ, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარიყო /იყო სასიამოვნო გარეგნობის, მხარბეჭიანი, საოცრად მეტყველი თვალებით და, რაც მთავარია, ჰქონდა მჭექარე, ომახიანი, ხავერდოვანი ხმა/, მას მსახიობობაზე არც უფიქრია. კარგად ხატავდა და მხატვრობა იზიდავდა, შევიდა კიდეც სამხატვრო სასწავლებელში, მაგრამ ერთმა საოცარმა მსახიობმა მასზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი სამხატვრო სასწავლებლიდან გამოვიდა და, მხატვრობის ნაცვლად, მსახიობობა გადაწყვიტა. ეს დიდი მსახობი ალექსანდრე იმედაშვილი გახლდათ, უბრწყინვალესი ტრაგიკოსი მსახიობი. როგორც ბატონი ვანო ბრძანებს, ალექსანდრე იმედაშვილი ბატონი ტარიელის კერპი, იდეალი გახდა. ამ ამბავს თავად ბატონი ტარიელი ასე იგონებს: „ბავშვობიდან მიყვარდა ხელოვნება. განსაკუთრებით მხატვრობა. ამან განაპირობა ჩემი არჩევანი - თბილისის სამხატვრო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ჯერ კიდევ პირველ კურსზე ვიყავი , როცა არდადაგებზე ქუთაისში ჩავედი და სცენაზე ალექსანდრე იმედაშვილი ვნახე. თეატრით გატაცებამ დაფარა ყველა სხვა სურვილი თუ მისწრაფება, აღარაფერზე შემეძლო ფიქრი, სულ თეატრში ვტრიალებდი და გადავწყვიტე მსახიობი გავმხდარიყავი“.

თავისთავად ცხადია, მსახიობად გახდომის სურვილი, ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი პირობა იმისთვის, რომ იგი ჭეშმარიტი მსახიობი გამხდარიყო. სურვილთან ერთად, საჭირო იყო დიდი ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და, როგორც ბატონი ტარიელი ამბობს, „დასახული მიზნისაკენ ჯიუტი სწრაფვა“. ღვთის წყალობით, ბატონ ტარიელს ერთიც აღმოაჩნდა, მეორეც და მესამეც.

ქუთაისის თეატრში ბატონი ტარიელი ცნობილი მომღერლის თამარ წერეთლის შუამდგომლობით მიიღო თეატრის მაშინდელმა დირექტორმა დოდო ანთაძემ, ცხადია, სცენისმოყვარედ, ანუ რიგით თანამშრომლად.

რაკი მიზანი უკვე მიღწეული იყო, ანუ თეატრში მოხვდა, დანარჩენი უკვე სწორედ იმ თვისებებზე იყო დამოკიდებული, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე და რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობას. მალე ბატონი ტარიელი როლზე დაამტკიცეს. ამ დროიდან დაიწყო მისი წარმატებული სვლა და ის დიდი სიყვარული, რაც მას თუნდაც ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩაში“ ონისესა და მათიას როლების შესრულებამ მოუხვეჭა. „მას შემდეგ ათეული წლები გავიდა და სიყვარულის ის განცდები და შთაბეჭდილებები დღემდე ცოცხალია ჩემში“, - იგონებ ბატონი ვანოს წინამდებარე წიგნში მისი მეგობარი, გეოლოგიის დოქტორი გივი მიქაძე.

როგრც ბატონი ვანო ამბობს, ამ როლების შესრულებით /სულ 8 როლი შეასრულა/ ბატონმა ტარიელმა იმთავითვე მოიპოვა ქუთაისელი მაყურებლის დიდი სიყვარული და პატივისცემა. მაყურებელი, პირველ რიგში, მოიხიბლა მსახიობის ვაჟკაცური, ნამდვილქართული გარეგნობით, უშუალობითა და გულწრფელობით, ქართული ტემპერამენტითა და იმ ეროვნული მუხტით, რომელიც მისგან მაყურებლებს გადაეცემოდა, ასევე, მჭექარე, ომახიანი და ხავერდოვანი ხმით. უჩვეულოთ მცირე დროში მოიპოვა ბატონმა ტარიელმა მაყურებლის სიმპათია. ქუთაისელი ახალგაზრდები, როგორც ახლა ამბობენ, მისი „ფანები“ გახდნენ.

1946 წელს ბატონი ტარიელი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, რამაც ქუთაისელი მაყურებლების დიდი გულისწყვეტა გამოიწვია. ცოტა ხანი მან მოზარდ მაყურებელთა თეატრში იმუშავა /აქ სულ სამი როლის თამაში მოასწრო/, ხოლო 1947 წლიდან იგი მარჯანიშვილის თეატრშია. მაშინ ბატონი ტარიელი 24 წლისა იყო.

„ქურუმთა საუფლოს“ უწოდებს ბატონი ივანე ჯაფარიძე მარჯანიშვილის მაშინდელ თეატრს და იმ მსახიობებსაც ჩამოთვლის, რომლებიც აქ, ამ საუფლოში, მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა, შალვა ღამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი და ბევრი სხვა.

გარდა დიდი უშანგი ჩხეიძისა, ყველა მათგანი სცენაზე იდგა და შესაბამისად, ბატონი ტარიელი ყველას პარტნიორი შეიძლება გამხდარიყო. მას სწორედ იმ თვისებების იმედი ჰქონდა, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე /ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და მიზნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა/. არადა, ასეთი რამ მართლაც მოხდა. ჩამოვთვლი რამდენიმეს: ჯერ იყო და სცენის ჭეშმარიტი ოსტატი ბატონი შალვა ღამბაშიძე სცენაზე ცუდად რომ გახდა, შესვენებისთანავე უხმო ბატონ ტარიელს და ყველა როლი მას გადააბარა, მერე იყო და გენიალური აკაკი ხორავა, შეუძლოთ რომ გახდა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, ოთარ-ბეგის როლში სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატში“, ბატონმა ტარიელმა შეცვალა. რაც შეეხება ლეგენდარულ ვერიკო ანჯაფარიძეს, როგორც თავადვე ამბობდა, დიდადაც სიამოვნებდა ბატონი ტარიელის პარტნიორობა, რის გამოც ბევრჯერ მისი ქებაც დაუმსახურებია. ქალბატონ ვერიკოს განსაკუთრებით მოსწონდა, რომ ბატონი ტარიელი თანაბრად ძლიერი იყო, როგორც დრამატულ, ისე ტრაგიკულ, სახასიათო და კომიკურ როლებში. ეს ბატონი ტარიელის მრავალმხრივი ნიჭიერების დასტური იყო.

ბატონი ტარიელის მრავალმხრივი ნიჭიერების დასტური იყო ისიც, რომ იგი მხატვრული კითხვის ნამდვილი დიდოსტატი გახლდათ. თავისი ძლიერი და ხავერდოვანი ხმით, იგი ისე ოსტატურად კითხულობდა გამოჩენილ ქართველ პოეტთა ლექსებს, რომ ლექსის პირველი ფრაზებიდან ნუსხავდა მსმენელს. ამ ლექსებით იგი ხშირად გამოდიოდა ესტრადაზე და ათიათასობით მსმენელის გულთამპყრობელი ხდებოდა. განსაკუთრებული გატაცებით კითხულობდა იგი ლადო ასათიანის ლექსს „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, რის გამოც მან საჩუქრად მიიღო ლადო ასათიანის ლექსების კრებული პოეტის ქალიშვილის მანანა ასათიანის შემდეგი წარწერით: „მამაჩემის ლექსების საუკეთესო შემსრულებელს“.

მე, ცხადია, ბატონი ტარიელის მიერ შესრულებულ ყველა როლს ვერ ჩამოვთვლი. კაცმა რომ თქვას, ამის აუცილებლობა არც არსებობს, რადგან ამ საქმეს თვითონ თეატრალური ხელოვნების საუცხოო ცოდნითა და ობიექტურობით აკეთებს ბატონი ვანო. რამდენიმეს მაინც დავასახელებ. ესენია: კაპულეტი უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“, მეფე ერეკლე ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელსა“ და ლევან გოთუას „მეფე ერეკლეში“, კრეონი

ევრიპიდეს „მედეაში“, ამბაკო ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო, ილარიონში“, დე სილვა და დე სანტოსი კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“, კრეონი სოფოკლეს „ანტიგონეში“,მაკბეტი უილიამ შექსპირის „მაკბეტში“, ნაპოლეონ ბონაპარტე სარდუსა და მოროს „მადამ სან- ჟენში“, დარისპანი დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“, მინაგო ოტია იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“.

ბატონი ვანო, ცხადია, არც ბატონი ტარიელის კინოროლებს ტოვებს უყურადღებოდ. კინოროლებიდან კი განსაკუთრებით გამოჰყოფს

ნაპოლეონ ბონაპარტეს როლს კინოფილმ „მამლუქში“, გლეხი

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“.

მინდა კიდევ ერთი რამ ვთქვა ბატონი ვანოს სასარგებლოდ. მის წიგნში ბევრი ისეთი მასალაა გამოყენებული ბატონი ტარიელის არქივიდან, მის მიერ ნათესავებისადმი, მეგობრებისადმი, სრულიად უცხო ადამიანებისადმი გაგზავნილი წერილებიდან, რაც მხოლოდ ბატონმა ვანომ იცოდა. თუ ბატონი ვანო ამ წიგნს არ დაწერდა, ბევრი რამ /თუ ყველა არა/ უცნობი დარჩებოდა ქართველი მკითხველისათვის. აქვე უნდა ვახსენოთ ბატონი ვანოს ჩანაწერები ბატონი ტარიელის საღამოებიდან, იუბილეებიდან და სხვადასხვა ღონისძიებებიდან.

როგორც ზემოთ ვთქვი, ბატონი ვანო ზედმიწევნით ზუსტად იცნობს როგორც ბატონი ტარიელის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ისე მის პიროვნულ მახასიათებლებს - მის სისადავესა და უბრალოებას, მის თავმდაბლობასა და კეთილშობილებას, მშობლებისადმი, ნათესავებისა და მეგობრებისადმი დიდ სიყვარულს. რაც შეეხება მეგობრებს, ისინი ნამდვილად საამაყონი ჰყავდა ბატონ ტარიელს. ესენი იყვნენ: იაკობ ტრიპოლსკი, ედიშერ მაღალაშვილი, კოტე მახარაძე, ზურაბ ლაფერაძე, გოგი ტატიშვილი, გოგი გელოვანი, თენგიზ არჩვაძე, მალხაზ ბებურიშვილი...

ბატონი ტარიელის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით ბატონი ვანო სარეცენზიო წიგნში დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ლაპარაკობს ბატონი ტარიელის ოჯახზე - მის მეუღლეზე, ქალბატონ მარიამ /მანიკო/ თაბორიძეზე და მის ვაჟზე - რამაზზე.

ქალბატონი მარიამი ცნობილი მეცნიერი იყო, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელსაც ბევრი სტატია და წიგნი აქვს გამოქვეყნებული. ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებას შეეხება სკოლაში, მეც მაქვს შესაქები რეცენზია დაწერილი, რის გამოც /ჩემი ფოტოთი/ მოვხვდი ამ საინტერესო წიგნში. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ ვანოს.

რაც შეეხება მის ვაჟს - რამაზს, იგი ცნობილი ფსიქოლოგი და პოლიტოლოგია, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკად. რევაზ ნათაძის მოწაფე და მისი აღზრდილი.

აი, ასეთი სრულყოფილი პიროვნება იყო ბატონი ტარიელ საყვარელიძე, არა მარტო დიდი ნიჭიერებით, არამედ დიდი კეთილშობილებით სავსე პიროვნება, რომელიც ყველას უყვარდა, ვინც კი მას იცნობდა. იგი იყო დიდი მსახიობი, არაერთი სცენური შედევრის შემქმნელი და, როგორც ამას ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე ბრძანებს, „მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი დედაბოძი და მისი საყრდენი“.

ვულოცავ ბატონ ივანე ჯაფარიძეს ამ ბრწყინვალე წიგნის შექმნას.

მიმაჩნია, რომ წიგნი „ტარიელ საყვარელიძე (ღირსეული მარჯანიშვილელი - 100“) ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

რეზო ბალანჩივაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორიემერიტუსი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნია გორდელი

გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი იონის მისტიკური დანიშნულება

(განხილვა)

ნაშრომში - ,,გზა საზრისის ძიებისა ზეამოცანა ჩვენი," ავტორის - ხათუნა ელიაშვილის მიერ განხილული თემა პოეტურ-ფილოსოფიური გააზრებაა, ახალი ხედვაა „იონის" ყოვლისმომცველობის შესახებ, რომლის მსგავსი ჯერ არცერთი ფილოსოფოსის ნააზრევში არ შეგვხვედრია. იონის მნიშვნელობა, ფიზიკურ-ქიმიური თვალსაზრისით, მეცნიერებისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია. თავად ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესები იონური გაცვლის პრინციპზეა დამყარებული და მას ელექტრო ფიზიოლოგია სწავლობს, მაგრამ იონის მნიშვნელობის წარმოჩენა სხვადასხვა სიტყვათა სემანტიკურ წარმოშობაში გაოცებას იწვევს... ნაშრომიდან ჩანს, რომ იონის ახლებური და მრავლისმომცველი გააზრების თემა ამოუწურავია. მთავარია, რომ ავტორმა მიაგნო მას და სამზეოზე გამოიტანა. ზოგადად, საზრისის ძიება მხოლოდ იონის მრავლისმომცველი მნიშვნელობის მინიჭებაში არ გამოიხატება. საზრისის ძიება ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა უდიდესი ამოცანაა და გასაკვირი არ არის, მისი ძიებისას წარმოიშვას უამრავი შეხედულება, მათ შორის უკიდურესად პარადოქსულიც კი...

იონი არის მატერიის მცირე ნაწილაკი, რომელიც გიგანტურ პროცესებს მართავს და არეგულირებს, მათ შორის, ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას - მეხსიერებას, აზროვნებას, მთლიანად მთელ ფსიქიკურ პროცესს, რაც განაპირობებს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მაგრამ აქ საუბარია იონზე, როგორც უაღრესად განზოგადებულ მისტიურ ელემენტზე და მის დანიშნულებაზე, როგორც მატერიის, ასევე, სულიერ განზომილებაში. ავტორის აზრით, იონი ღვთის ძალის მატარებელია, რომლითაც ტრიალებს სხეულებრივი და ღვთიური სამყარო; იგი საფუძველთა საფუძველია, მასზე აღმოცენდება ყოველი სიკეთის თესლი. იონის მუხტი შეიძლება დადებითი და უარყოფითი ენერგიის მატარებელი იყოს, მაგრამ ავტორს იონი განხილული აქვს როგორც სრულყოფილებაში გადაყვანის უნივერსალური საშუალება და ელემენტი, ანუ იგი ღვთიური ენერგიის არსად წარმოადგინა. „იონი -სამშობლოა! სიყვარულია! ლოცვაა! საიდუმლოებით სავსე სკივრია! ყანწია! და ეს საიდუმლოება მის შინაგან თუ გარეგან არსში დევს! დაუსრულებელი ინფორმაციაა!.." აღნიშნავს ავტორი და პარალელურად დასძენს, რომ „ქართულ სიტყვათა მარაგში იონი ძალიან დიდ დატვირთვას შეიცავს და მათემატიკურ ნუმერაციაშიც გვხვდება"; „ეს საიდუმლოებასთანაა კავშირში!" ავტორი სწორედ საიდუმლოებით სავსე სკივრთან დადგა და მის გახსნას ინტუიციური საშუალებებით შეეცადა; დაუსრულებელი ინფორმაციების ადამიანების ენაზე გადმოთარგმნის სიძნელეები გააცნობიერა, ლოცვის და სიყვარულის იდეას უხმო, რითაც საყოველთაო მოძრაობის იდეას -„იონს" დაუკავშირდა... მართლაცდა, მარადიული იდეა იონთა ცვლისა: დაბადება, განვითარება, აზროვნება - ეს მუდმივი ციკლური პროცესები სამყაროსეულ აზროვნებასთან ასახვაშია და მარადიულ სიცოცხლეში გადადის... „დაბადება ცისკენ წატაცებული სამარადისოდ აღთქმული სიცოცხლეაო" - ამბობს ავტორი. დიახ, აღთქმა -ვალდებულება სამყაროს წინაშე დაუსრულებელია. ცისკენ მიზიდულობა -ღმერთთან კავშირი, დაუსაბამო მოთხოვნილებაა უფლის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანისა... სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობების ძიებისას ავტორი ამბობს, რომ მნიშვნელოვანი სიტყვები გაბნეულია სხვადასხვა ენებშიო. ვეთანხმები მას,- ჩვენი მიწიერი ეგო მიკუთვნებულობის ჟინით არის გაჟღენთილი და სხვათა სიკეთეების აღიარების საშუალებას არ გვაძლევს, არადა, სხვადასხვა ენებში გაბნეული სიტყვები და მნიშვნელოვან აზრთა წყობილები უფლის გზავნილია დედამიწაზე...

ავტორი მისტიური ენით საუბრობს მიწიერ, სხეულებრივ, სულიერ მდგომარეობაზე. ის ინტუიციურ საშუალებებს იყენებს ზეციურ სივრცეებში სამოგზაუროდ, გამოაქვს დასკვნები, რომლებიც მიწიერი არსისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს და ზოგჯერ მიუღებელიც. თავად

ავტორს მოგზაურობის მისტიური გამოცდილება აქვს - „ქვე“ და „ზე“ ფენებში თავისუფლად მოძრაობს... მივყვეთ მის აზრებს: „ყველა არსებული ენერგიის არსებობა განსხეულდება სხეულში განსაკუთრებულად! რელიგიაშიც! რკინაშიც! მიწაშიც და ცაშიც! პლანეტაშიც! ყველგან იონის ძალა დევს“...“ მიზანი ატომში კი ყველაფერია, ანუ მისი ევოლუცია!“. მართლაც, სხვადასხვა ელემენტთა წყობილება სხეულში ხომ მიწიერი არსისთვის განსახორციელებელი ფორმებითაა წარმოდგენილი, ამ ელემენტთა გადაადგილება ძირითადად იონთა გაცვლაში გამოიხატება. ეს გაცვლითი პროცესები სულიერ ძალთა თანმიმდევრულ მომწიფებაშიც მონაწილეობს, რათა ორგანიზმმა კოსმიურ სივრცეში წონასწორობა შეინარჩუნოს და სრულ ასახვაში იყოს მასთან... იონთანაა დაკავშირებული მზის დაბადება ალიონზე, მისი სხივთა შლა. „აქ იხსნება გალაქტ-იონის ფენომენი და იწყება გალაქტიკიდან იონის მეშვეობით ღმერთის ტოლი ალ-იონის გაშლა. ყოველი ალიონი ბადებს იონს სივრცეში, ახლად დაბადებული მზე ქმნის პ-იონს! მისი სხივთაშლა ამის დასტურია. პიონის სახის მშვენება არ არსებობს სამყაროში, ის ღმერთის სახეშია ასახული და გაშიფრული, როგორც უეკლო ვარდი, სუნითა და ფერში განსხვავებული, უფრო ამაღლებული და მიმზიდველი“... ერთგან ავტორი წერს: „უჯრედი მზესავით ნათებას ითხოვსო“... მართლაც, უდიდესი მზე და „სამყარო“ ადამიანის უჯრედშია მოთავსებული გენური ქრომოსომების სახით, რომელიც მთელი სხეულის მოქმედების პროგრამაა. უჯრედის ენერგია ერთ უჯრედზე არ არის გათვლილი. ის მთელ სხეულს ასხივოსნებს. მილიონობით ასეთი პატარა „მზეები“ ერთმანეთში აისახებიან და საბოლოოდ ადამიანის არსს აყალიბებენ, როგორც მიწიერ, ასევე, კოსმიურ აზროვნებაში (განზომილებაში).

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის ცოდნას არ ჯერდება ავტორი. ხშირად, მის აზროვნებას პოეტური გარდასახვა ენაცვლება. ნატიფი და ფაქიზი ენერგიები, მიწიერი და ზეციური ვიბრაციებით, ზემოქმედებს მასზე და შეუზღუდავ სამყაროში თავისუფლად იწყებს მოძრაობას. ის პოეტური ხერხებით ცდილობს „იონის“ და მისი მნიშვნელობის ამოხსნას, რომელსაც უმაღლეს არსად აღიარებს: „თურმე ფერებშია ისევ იონები, წიაღთსვლა, სივრცის ამაღლება, ფერთა საფერები, სულის სახელები და იონები გულის ყვავილები’’... ეს არ არის აღმატებული მეტაფორა, ეს მოძრაობის აღმძვრელ და გამომწვევ უნივერსალურ საშუალებას - იონებს ეხება. ავტორმა ის გამძაფრებული სახით აღიქვა და წარმოგვიდგინა, თითქოს სურს, საბოლოოდ დაარწმუნოს ადამიანი, ამ მოძრაობის უნივერსალური საშუალების ძალასა და მნიშვნელობაში... ერთგან ავტორი წერს: ,, იონები გადაკვეთის საზღვარიცაა, საზღვრის აქეთ, საზღვრის იქით“... ამით ის პარალელური სამყაროებიდან ერთმანეთში გასასვლელების ძებნას აანონსებს, - შესაძლოა გაუცნობიერებლადაც. მართალია, ხელაღებით არ ამტკიცებს, მაგრამ ინტუიციურად გრძნობს და განიცდის რომ პარალელურ სამყაროებში გასასვლელები არსებობს... ეს განსაკუთრებული ფენომენია. არც არის გასაკვირი, სულს შეუძლია განუსაზღვრელ სივრცეებში იმოგზაუროს...

ნაშრომში ყურადღებას იქცევს ფერის, რითმის, ბგერის, მუსიკის ერთ ჰარმონიაში წარმოდგენა და შეჯერება. მიწიერ არსში ხომ ადამიანის აზრი, ნიჭი, ხასიათი, ემოციები, გრძნობები და სხვა მახასიათებლები დანაწევრებული სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც ასახვის კანონების შესაბამისად, საბოლოოდ, ერთ დიდ გენიალურ აზრში იკრიბება ისევე, როგორც თეთრი სხივი გარდატეხისას ფერებად იშლება და კვლავ იკრიბება... „სამყაროს თესლთა ჩანასახი, ნუმერაციის აკორდი, სახეშეცვლილი ემბრიონი“... ავტორი გასცდა სტანდარტულ აზროვნებას, არასტანდარტული აზროვნება კი საწინდარია ახალი აღმოჩენისა. რა თქმა უნდა, ამას ერთი ადამიანის გონება ვერ დაიტევს, მაგრამ ახალი აზრი -შეხედულება დააფიქრებს მავანთ, გზადაგზა წამოეშველებიან და განსხვავებულ ჭრილში, ახალი ხედვებით და აღმოჩენებით გაამდიდრებენ „იონის თეორიას“.

სიტყვა და გამოხატულება სრულიად ასახვაში იმყოფება არსებულთან - რეალურთან და ირეალურთან (მიღმიურთან), ცხადია, „ქვე“ და „ზე“ ცნობიერება აზრების ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. რეალურ თუ ირეალურ სამყაროზე წარმოდგენებს ქალბატონი ხათუნა მხატვრულად გადმოგვცემს: „როდესაც იღვიძებს ადამიანში ღმერთი, ამ დროს დაბადებული სხივი აღადგენს ალიონს“. ის გვიხატავს, თუ როგორ იბადება ალიონი, შემოდის მზის სხივები,

იშლება ყვავილები (იონის ძალით), როგორ ზემოქმედებენ ადამიანზე და ბადებენ სიცოცხლეს. ყვავილის დაკვირტვა, გაშლა-განვითარება ღმერთის სახეშია ასახული... სურნელითა და ფერით განსხვავებული - „სხვადასხვა“, მაგრამ ერთ მთლიანში - ღმერთში გაერთიანებული (ერთი ათასში და ათასი ერთში). ეს ადამიანსაც ეხება - სხვადასხვა ერი, ჯიში, გენი, ხასიათი, ნიჭი და ა. შ. შენარჩუნებულია ერთიანობაში - ღმერთში... ავტორი დაფარული სივრცეების გახსნას და გაშიფრვას გვთავაზობს. „ირწმუნეთ ღმერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიყენო მისი უმაღლესი ხედვა“... „სიტყვა რასაც გულისხმობს -აღნიშნავს, მისი აზრის შინაარსს მეტყველებს და ღირებულია, მისი დანიშნულება კი უნივერსალური“. მეც იგივეს ვიტყოდი:

ყოველი აზრი -აზრია ქვეყნად,
თუ დაიბადა იგი საერთოდ,
იპოვის იგი, მას ვინც დაეძებს,
და აქვს უფლება რომ იარსებოს...

თუ რაიმე სიტყვა და აზრი არსებობს, მაშასადამე ის რაღაც შინაარსს გულისხმობს, ღირებული და უნივერსალურიაო - ამბობს ავტორი. დავეთანხმები, ზოგჯერ, ჩვენთვის მიუღებელი, უფლისთვის ნაცნობი და მისაღებია. ახლა, ამ აზრს მივაპყროთ ყურადღება: „განგებაა ის ცოდნა, რასაც ვფლობთ მილ-იონის განგებით“... „ციფრები,რიცხვები ეს ღვთიური ძალაა, მათი შერწყმა სიტყვებთან საიდუმლოების მქონეა.“ ან კიდევ: „აქ განაყოფიერებაც, გამრავლებაც, მილი-არდის დონეზე“... მაშასადამე აზრები ციფრების რკალშია მოქცეული - ციფრები აკონტროლებენ აზრს, სივრცეს, დროს, ყოველგვარ გადააადგილებას და იონური ძალის მეშვეობით ერთმანეთთან გამუდმებულ ასახვაში იმყოფებიან.

ავტორი ცდილობს ეზოთერიკული ცოდნის რეალური (მეცნიერული) ცოდნის საფუძვლებზე პროეცირებას, რაც ადვილი არ არის... ნაშრომში ხშირია შეუსაბამო მიმართებები და არც გასაკვირია. მისი ღირსება ისაა, რომ ინტუიციურ საშუალებებს ეძებს და თამამად მოძრაობას ცდილობს დაუსაბამო სივრცეებში; სჯერა, რომ მიზანი მიღწეულია, რადგან აღმოაჩინა, რომ ადამიანის გონის განვითარების მწვერვალი „იონური“ ენერგიების გაერთიანება-გამთლიანებაშია, რაც, საბოლოოდ, უფლის დიად წიაღში გაერთიანებას გულისხმობს: „ეს მისტიური სინათლეა, რომელსაც სხვა გული და სხვა თვალი ხედავს“... და კიდევ: „სიტყვათა ვიბრაციული ველი ქმნის სხეულში უნიკალურ ძალას და ნათებას,რაც ადამიანის ღვთიურ ძალებთან კავშირს გადმოგვცემს“ - ეს ჰიპოთეზა, რომელიც დღეისათვის მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს, დიად სიბრძნესთან კავშირშია და ღვთისმეტყველების განხილვის საგანია... ამ ყველაფრის აღმქმელი და გამაანალიზებელი ადამიანი როგორ მოახერხებს ღმერთთან მისვლას? „ჩვენ კი რას ვთესავთ ამ დროს? რა ნაყოფს ვიძლევით?“ -კითხულობს ავტორი. „თუ ჩვეულებრივ ვართ აყოლიებული მოთხოვნილებებს და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას განვიცდით მარტო?“ კოსმიური სივრცეებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოსული ინფორმაციების, თუნდაც, მისტიური საშუალებებით ადამიანურ ენაზე გადმოტანა, მეტად ძნელია. მომავალში, ალბათ ავტორი ეცდება, ამ უცხო სამყაროში შესვლა და „ფრენის“ ხელოვნება კიდევ უფრო დახვეწოს და კოსმიური ენერგიებით ღმერთთან კავშირი დაამყაროს... ამას ყველა ადამიანი ცდილობს, ვისაც სურს, ფრთები შეასხას უმაღლესი აზროვნების ხელოვნებას.

ავტორი ამ წიგნს სიყვარულით და პატივისცემით უძღვნის ადამიანებს: „შევწვდეთ უმაღლესს, აღვადგინოთ ღვთიური ძალა -მხოლოდ სიყვარულით, -ამას მარტო გული აკეთებს“... „სიყვარულის უმიზეზოდ მიღება, რადგან სიყვარული ღმერთია და ლოცვა“ - ეს გზავნილი აქვს ხათუნა ელიაშვილს კაცობრიობისადმი „კავკას-იონიდან“! ..

P.S.: ავტორი წიგნის თანაავტორად ასახელებს ქალბატონ თინა მაისურაძეს. ისინი ერთობლივი ძალისხმევით შეეცადნენ ამ “უნიკალური“ ცოდნის გაშიფრვას.

05.08.2023

ხათუნა ელიაშვილი

მეცნიერებაში ფერიცვალება უფლისა! სიმწიფის ტოლფასია!

კაცობრიობის სიმწიფე და აზროვნების ფერიცვალება ერთერთი მთავარი მოვლენაა დედამიწაზე!

მთავარი ხ ი ლ ი!

მინიშნება მაჩვენებელია ბუნების შედეგისა, რაც იძლევა ცნობას, დროში მიღწეულის!

როგორც მცენარე ახერხებს ამას, ასევე უნდა მოახერხოს და მიაღწიოს ადამიანმა ფერიცვალებას, არ უნდა დარჩეს მუდმივად მკვახე, განუვითარებელი, რადგან ადამიანი უფრო დიდი მიზანია ღვთისა!

მიმაჩნია, რომ ადამიანი მნიშვნელოვანი ნაყოფია ღმერთის და ამ სამყაროსი, დიად ადამიანებს შესწევთ უნარი ღმერთის განდიდებისა და სამყაროს შევსების.

ერთერთი უძვირფასესი საგანძურია სიცოცხლის განვრცობისა და ღმერთის მიზნის გაზრდისა.

ვშიფრავ ქართულ ენას და აღმოვაჩინე, რომ ა დ ა მ ი ა ნ ი - ქართული ენაა! და სიტყვა - ენის შევსებით ა-და-მი-ანს ადამიანად წარმოგვიდგენს!

ეს ინფორმაცია არსებობისთვისაა მოსული!

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა - ი ნ ო ვ ა ც ი ა ა!

ს ხ ე უ ლ ი ; ს-ხე-ული მოვლას საჭიროებს თურმე და როგორც " ხე " უნდა მოუარო!

ზოდიაქო! ზ ო დ ი - ა ქ ო, ის ზოდი ყოფილა, მაგალითად ოქროს ზოდი და უნდა აქოვო.

ი ო ტ ა!

ჩვენი, ძველი ქართულის ასო ბგერა, რომელიც უკვე მიღწეულის მაჩვენებელია სამყაროში, შესრულებული ღვთიური მისიის აღმნიშვნელი!

ანუ მას აქვს მფარველობის ფორმა,

დაკეტა,

და უკვე უარყოფითი ძალა ვეღარ აღწევს მასში.

აუცილებელია ცვლილებების განხორციელება, რადგან დროთა ეს ცვლილებები რაც დღეს მიმდინარეობს დამახინჯებულ ცნობიერებას მიეწერება, ამიტომ უნდა აღდგეს და გაცოცხლდეს საუკუნე, აღარ უნდა იყოს ის, რაც ხდება.

პიროვნული ზრდა უნდა განხორციელდეს, უნდა დაფიქრდეს ადამიანი და იპოვოს სიღრმე, სულის გამოვლინებისა, უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან უსულო სხეული უკვე გ ვ ა მ ი ა! და ყროლდება.

სასწაულია, მაგრამ ასეა წყალიც, ცოცხალია, ისევე როგორც სხეული, მისი ზოდიაქო წარმოადგენს წელიწადს, დროის შესაბამისობაში მოდის გაღვიძება განახლების პროცესი.

ის სიცოცხლეს აყალიბებს! ყვავილი ფენომენია! უჯრედიდან იხსნება აღწევს სრულყოფილებას და სილამაზესთან ერთად სიცოცხლეს ატკბობს.

მე-ც-ნი-ერ-ება! ანუ შენ თვითონ ახდენო გაცნობიერებას სიბრძნეში.

აზრის ცვალებადობა არ შეიძლება!...

სრულ უსასრულობის მიღებას ვახორციელებთ!

სამყაროს მაგალითების ამოხსნაა მთავარი, სიცოცხლის მაგალითების, ბუნების შედეგების და მის გზაკვალზე სიარულის.მათში შესვლას და მასში დამკვიდრებას, მათში გაოცების - გაოცებით ცხოვრებას ვგულისხმობ.

ყველა ადამიანი გამოვლენილია როგორც ხის ფოთოლი, თავისი ოცნებებითა და ინფორმაციით.

ყოველი ჩამოვარდნილი ფოთოლი კი ახდენილი ოცნებაა ხეში, ღმერთში გასული ოცნების, ვინც სწრაფად ახდენს ამ პროცესს და ეს უკვე გამარჯვებაა!

ცოდნა სიკვდილს აშორებს ადამიანს, ანუ დაშორება, მოშორება ხდება სიკვდილის.

მასში ჩატეულია მხოლოდ სამყაროსა და ბუნების საიდუმლოება.

დიდი ღ მ ე რ თ ი!

რომელიც მხოლოდ ღვთიურ საწყისებზე ახდენს ზრდაგანვითარებას და გულში ჩატეული ინფორმაციის მოტანას ჩვენამდე.

ხედვით კი ვხედავთ, მაგრამ აზრით არ შევდივართ მასში, არ ველაპარაკებით. მარტო ვკმაყოფილდებით მისი გარეგნობით, სიმწვანით და მშვენიერებით, არა და ნეტავი თავისი ბუნებიდან გამომდინარე რას საუბრობს, რის თქმას აპირებს, რას ფიქრობს, რისი გადმოცემა სურს თავისი ცხოვრების შინაარსით?!

ტ ყ ე - გამოსხივებაა!

მასში გამოსხივების არსის ფუძეა დამალული და ამ ტოტებით, წვრილ-წვრილი გრძელი ტოტები გამოირჩევა და ეს არის მისი არსის ძალაა!

ტ ყ ე მ ა ლი უკვე სამყაროს მალასთანაა კავშირში და ის უკავშირდება ყველაფერს აყვავებისთანავე!

ანუ ტ ყ ე - მ ა ლ (ი)- (ა) სამყაროს მალა ყოფილა რომელიც გაზაფხულზე ყვავილობს ისე რომ, აბსოლიტურად ავსებს ხის სხეულს, მთლიანად ყვავილით ხდება გადაპენტვა!

კ ვ ი რ - (ტ ი) კი გამრავლებაა და შენ ხაარო! გაკვირვების დონეზე!

ჭ ე რ - ა მ ი (ნ) - საოცრება და თურმე ჭერს ლოცავს!

სადაც ეს ხე დგას ლოცვის ძალის ტოლფასი ყოფილა.

შ ი ნ -დ ი(ს)

მასაც გასაოცარი შინაარსი აქვს და შინ, სხეულში ახდენს დინების პროცესს, ავსებს და აჯამრთელებს ყველაფერს.

კ ი - ტ რ ი - სუფთა სამებაა!

და დასტურს იძლევა - კი - თი!

ბ ა დ რ ი - ჯ ა ნ ი - პირდაპირ ჯანს ბადრავს, გაბადვრა მიდის, ავსებს ენერგიით და ცოდნით!

დედამიწის გულში გაღვიძებული ცეცხლის ნაკადია ეს ყველაფერი, რომელიც სივრცეში იბადება ნაყოფის სახით, ხილი, ხალია სხეულზე, ვის რამდენი ხალი გაქვთ, რამდენ ხილს ვამწიფებთ, რას ვფიქრობთ და რაზე ვსაუბრობთ?!

მთავარი აი ეს არის!

გავუფრთხილდეთ ჩვენს სულებს, მასში ღმერთის ძალა დევს, რომელიც მუდამ შევსებას და განვითარებას ითხოვს, მისი ფორმაა შეაღწიოს ყველა უჯრედში და გაბრწყინდეს, მისი ამაღლებული მისია ღმერთშია!

მას განიცდის ყველაფერი სამყაროში და უფრთხილდებიან, კოდირებული ინფორმაცია დევს ყველაფერში და ეს მათ კარგად ესმით, მარტო ადამიანია ამ ცოდნის მიღმა დარჩენილი თავისი უცოდინრობით, რადგან ყველაფერი სწავლას მოითხოვს, ესეც უნდა ვისწავლოთ რომ უფსკრულში არ აღმოვჩნდეთ, პირიქით მწვერვალის დაპყრობა უნდა შევძლოთ.

რადგან ჩვენი მისია, ჩვენი გადარჩენა მხოლოდ ცოდნაში, ცნობიერების ამაღლებაში დევს!

2023 წელი,
28 ივლისი.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

მეცნიერება და ტექნოლოგიები

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 11, 12 ნომერსა და ათინათის N 42- 43- 44-45-46-47-ში

***

ადამიანის ცოდნას სამყაროს შესახებ კითხვითი ნიშნის ქვეშ ვაყენებ...

***

საინტერესოა, მიკრო და მაკროკოსმოსით გატაცებული ფიზიკოსები (რომლებმაც არაერთი ვნება მოუტანეს მსოფლიოს), რატომ არ უფრთხილდებიან სიცოცხლეს დედამიწაზე, რომლის ანალოგი კოსმოსში ვერ იპოვეს...

***

მეცნიერული აღმოჩენიდან მის გონივრულ გამოყენებამდე წარღვნას უნდა ველოდოთ.

***

აინშტაინისთვის შთაგონების წყარო მუსიკა იყო. ამ დროს იხსნებოდა ზეცნობიერების არხები, - მისი დახშული ტოტები; მუშაობას იწყებდა ზეინსტინქტები - ინტუიციური გზები, - მეცნიერული მუშაობის მთავარი საშუალებები...

***

მეცნიერი, რომელიც სხვისი დაკვეთით მუშაობს, თავის შესაძლებლობებს ვერ იყენებს და თავის შეხედულებებს სათანადოდ ვერ აყალიბებს...

***

მეცნიერების უზუსტესი გამოთვლები აზრს კარგავს სტიქიონების და კატაკლიზმების წინაშე.

***

მხოლოდ, ბუნებასთან დახვეწილი თანამშრომლობა შეიძლება გახდეს მეცნიერული მიღწევების წარმატების და მისი გონივრული გამოყენების საწინდარი.

***

ადამიანის გენზე მანიპულირება რომ საშიშია, მეცნიერები მალე დარწმუნდებიან ამაში...

***

მეცნიერი, ჩემს წარმოდგენაში კარგახანს ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო გენიოსი, ბუმბერაზი, დიდბუნებოვანი, ჰუმანური და მისაბაძი. ამ გულუბრყვილობამ საკმაოდ გვიან

გამიარა, როცა მივხვდი, რომ ის შეიძლება იყოს გულზვიადი, ამბიციური, ვერაგი, ბოროტი, ცალმხრივად განვითარებული ფსიქოპატი, არაჰუმანური, უღვთო და ქვეყნის დამაქცევარი... ამ მოსაზრებას განამტკიცებს, თუნდაც, აინშტაინის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი ნაშრომები გაანადგურა... თუმცა, თავის `მოღვაწეობას" საკმაოდ გვიან დაუსვა წერტილი... სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „არცერთი მიზანი არ არის ისე ამაღლებული, რომ უღირსი საშუალება გაამართლოს მის მისაღწევად.~

***

ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ვარსკვლავთსიმრავლისაა და ვარსკვლავებივითაა მიმოფანტული.

***

მეცნიერებს - ნილს ბორს, აინშტაინს, რეზერფორდს, კიურის და ა. შ. - ჩვენ გენიოსებს ვეძახდით, არადა, ბრმად გატაცებულები თავისი იდეებით, ცხვირწინ ვერ იყურებოდნენ. მათ, დაუთოკავი ატომური ენერგიები ავანტიურისტებს მისცეს ხელში სამართავად, რითაც მსოფლიო საშიშროების ქვეშ დააყენეს... ეს არ არის გენიოსობა - ეს ცალმხრივობაა, რაც ღუპავს ადამიანს. ისინი „სიფრთხილის ზომებს" რასაც ეძახდნენ, ცოტა სასაცილო აღმოჩნდა ატომური ენერგიების წინაშე...

***

რაც არ უნდა ვიმანიპულიროთ ადამიანის გენზე, დაშვებულობის საზღვრებს ვერ გავ-ცდებით. შეცვალოს უდიდესი კანონზომიერება - ეს უსუსური მცდელობაა ამბიციური ადა-მიანისა. თავად გენს აქვს იმდენი შესაძლებლობები, - კავშირები და უკუკავშირები, რომ ადამიანმა, ჯერჯერობით, მას თავი-ბოლო ვერ მოუნახა. ადამიანის გაუცნობიერებელი მოქმედების შემთხვევაში გენი და მისი კომბინაციები განეწყობა იმდაგვარად, რომ აამუშავებას მასში ფარულად მყოფი თვითგანადგურების ინსტინქტს, რომელიც დაასრულებს ადამიანის არსებობას (და ეს დაშვებული იქნება...).

***

გენეტიკურ სფეროში მუშაობა შეიცავს იგივე საშიშროებას, რაც ატომურ ენერგიებზე. ამის გააზრებამ მეცნიერები აიძულა შეკრებილიყვნენ და დაესვათ საკითხი, საერთოდ ხომ არ შეჩერებულიყო ადამიანის გენზე მუშაობა და მანიპულირება.

***

ტექნოლოგიებით და ატომური ენერგიებით აზროვნება შეუძლებელია, არც საზრდოდ და საკვებად გამოგვადგება ის... დღეს საჭიროა აზროვნების მოკრება იმისათვის, რათა ჩვენივე გამოგონებული, კატაკლიზმებად თავს არ დაგვატყდეს უახლოეს მომავალში...

***

ტექნოლოგიების გამალებულ დახვეწა-განვითარებას სჯობს, შეგრძნებები გავიუმჯობე-სოთ, რომელიც ყოველარსის შეგრძნებას დაგვაახლოვებს, რაც დაგვეხმარება, ტექნიკუ-რი პროგრესი ზომიერების ჩარჩოებში მოვაქციოთ და მისი პროდუქტი კეთილგონივ-რულად გამოვიყენოთ.

***

ძალიან საშიშია მეცნიერება, რომელიც ბოროტებას ემსახურება. შესაბრალისია ის მეცნიერი, რომელიც აღტკინებულია თავისი გამოგონებით, არადა, ამ დროს გააზრებული არ აქვს, რა მოყვება მის „შემოქმედებას“.

***

ბოროტება, როგორც საკენკი, ისე იტაცებს კაცობრიობის ახალ მიღწევებს... ჩვენ ეს „საგნები“ (თანამედროვე ტექნოლოგიების ნაწარმს ვგულისხმობ) უბრალოდ შეგვხვდა - წავაწყდით ჩვენი დაუოკებელი ინტერესის გამო, მათი ჩხრეკა-დაშლა და აწყობა დავიწყეთ და ამ ბავშვურ თამაშში მათი არსი და მნიშვნელობა ვერ შევაფასეთ... მეჩვენება, რომ ნატოს ჩრდილოეთ ალიანსი პატარა ბავშვების გროვაა, რომელსაც „კაცობრული“ მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა არ შეუძლია...

***

ფსიქოლოგია არის დარგი, რომლითაც უნდა ინტერესდებოდეს ყველა განათლებული ადამიანი.

***

ფსიქოლოგია არ უნდა განიხილებოდეს ჩაკეტილ სისტემად, კერძო მეცნიერების თემად. დღეს, როგორ არასდროს, საზოგადოებას სჭირდება თემები, რომლებიც წარსულის გამოცდილების შეგრძნება-გააზრება გადამუშავებით, მომავლის სწორად განჭვრეტით და წვდომით ადამიანებს ადამიანური საზოგადოების შენარჩუნებასა და თავად სიცოცხლის იდეის განხორციელებასა და გადარჩენაში დაეხმარება, რაც ხელს შეუშლის ფუტურისტულ-ტრანსგრესიული იდეების შემცველი წარმოსახვებით ადამიანის აზროვნების გაჟღენთვას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნორმალური აზროვნების მადეპრესირებელ-მარეგრესირებელი იდეოლოგიის ფორმას მიიღებს; ამ ნიშნით ბუნებრივ-ლოგიკური განვითარების წესს დაარღვევს და ადამიანური ფენომენის გაქრობას გამოიწვევს...
ფსიქოლოგია, კარგა ხანია, გაყინულ, უსარგებლო, განყენებულ - ჩარჩოში მოთავსებულ მეცნიერებად მოიაზრება. მიმაჩნია, რომ დღეს მსოფლიოში არის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს კაცობრიობის ნააზრევის დახვავებული მადნეულის ნაყოფიერ და სასარგებლო გადამუშავებას და არა მისგან „ერთი მუჭა მასისათვის“ საჭირო პროდუქტის მიღებას. ასეთი მიდგომები ძალიან დააზიანებს ამ დარგს და, საერთოდ, აზროვნებას. ფსიქოლოგია უნდა ცოცხლობდეს, აზროვნებდეს, ვითარდებოდეს და აქტიურად ისახებოდეს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეპოქალური აზროვნების სარკეში ის იმდაგვარად უნდა იცქირებოდეს, რომ იქედან დეფორმირებულ გამოსახულებას არ იძლეოდეს, პირიქით, სინამდვილის მძაფრი განცდით და გათავისება-ინტერიორიზაციით მომავლის სწორ რეფლექსიას უნდა ახდენდეს.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დავით ყანდაშვილი

წერილი-გზავნილი ადამიანებს ძირითადი საერთო კონცეფტუალური მიდგომების ურთიერთშესაჯერებლად. ვფიქრობ, ურთიერთობას ღირებულებითი დატვირთვა რომ ჰქონდეს სამყაროსეული გადასახედიდან, უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს შეჯერებაა გასაკეთებელი ნებისმიერი გონიერი არსებებისათვის.

წინაალმდეგ შემთხვევაში მათი ურთიერთობა

1. **ურთიერთმაამებლობას, ან**
2. **სოციუმში ერთობლივი ძალისხმევით საკუთარი თავის სპეკულაციურ წარმოჩინებას, ან**
3. **საკუთარი ეგოს დაკმაყოფილებას, ან**
4. **საკუთარ პიროვნებაში კირკიტისა და დაპირსპირების მიდგომის გაზრდას მოემსახურება.**

მე პირადად ამ ოთხიდან არც ერთი მიმართების შექმნა და წახალისება არ მსურს. სწორედ ამიტომ ვწერ ამ წერილს. სხვათა შორის, ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადამიანებს რაც უფრო მეტად ჰქონდათ წერილობითი ურთიერთობა (არა მობილურზე გაკეთებული გზავნილები), მით უფრო ახერხებდნენ ერთმანეთისა და საკუთარი პიროვნების რაფინირებასა და სულიერ ზრდას!!!

ქალბატონებო და ბატონებო! ყველაფერი, რასაც დავწერ, ჩემს მრწამსში დაბანდებული ცოდნის გამოხატულებაა და სრული კეთილგანწყობით მინდა გაგიზიაროთ, სადაც არავითარი დიდაქტიკისა და თავზე მოხვევის სურვილი და მცდელობა არ არის გათავლისწინებული, იმიტომ რომ, ჩემის ღრმა რწმენით ნებისმიერი ასეთი მიდგომა (მით უმეტეს ამ მიმდინარე რეალობაში) დაზიანების მეტს ვერაფერს მოუტანს ვერც საკუთარ არსებას და ვერც გარემოს სადაც ამის მცდელობა ხორციელდება.

დავიწყე.

ჩვენ ამ წამს ვურთიერთობთ სივრცეში, რომელიც, ყოველივე გამოვლინებულის გადასახედიდან, დროებით ექპერიმენტალურ მოდელირებულ რეალობას (კონტინიუმს) წარმოადგენს. იგი, თავისთავად იგულისხმება, რომ მაღალვიბრაციულ სიხშირეში მყოფი რეალობიდან მიზანმიმართულად არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ამ ქმნილების შექმნას თავისი დანიშნულება და სხვადასხვა საკითხთა გამოვლინება-განხილვის ამოცანა გააჩნია. მეტაფორულად თუ შევხედავთ, ეს ძალიან ჰგავს უზარმაზარ მონიტორზე ერთი პიქსელის აღქმის ცნობიერული უნარი რომ დაუტოვო არსებას და მთელი დანარჩენი მილიარდობით პიქსელების აღქმის უნარი დაეკეტოს (მონიტორი ხომ მილიარდობით პიქსელებისაგან შესდგება). დაახლოებით ასეა ადამიანის ცნობიერება იმ ტოტალურ რეალობასთან მიმართებაში, რომელიც ზოგადად არსებობს ყოველივე არსებულში.

ამ ჩვენს დროებით რეალობაში (ექსპერიმენტალურ სამყაროში) ე. წ. ცოცხალი არსებები ანუ საკუთარი არსებობის გააზრებისა და დაფიქსირების უნარის მქონენი შემდეგი მიმდევრობით იქმნებოდა.

სულ პირველ საფეხურზე ე. წ. პირველ განზომილებაში შეიქმნა მინერალები, კრისტალები, ადამიანის გადასახედიდან ძვირფასი ქვები, ბუნებრივი წარმონაქმნები. ისინი, როგორ გასაკვირადაც არ უნდა ისმინებოდეს, საკუთარ არსებობას მშვენივრად იცნობიერებენ. ისინიც იბადებიან, იზრდებიან, მრავლდებიან, ცნობიერად მწიფდებიან, ავადდდებიან, ბერდებიან და კვდებიან. მაგალითად, ეგვიპტის პირამიდების აშენების პროცესში ყველა მათი მდგენელი ქვა მათივე ნების გათვალისწინებით არიან იქ მოთავსებულნი. მთელი რიტუალი ტარდებოდა თითოეულ იმ ქვასთან, რომელიც შემდგომ ამ პირამიდების სხეულის ორგანული ნაწილი გახდა. სწორედ ეს არის პირველი განზომილების ფენომენი. მინერალებს მიზეზ-შედეგობრივ ხედვაში ძალიან ფართო აღქმის ცნობიერი უნარი გააჩნიათ, მაგრამ მათი თვითგამოვლინების შესაძლებლობები ზედმიწევნით შეზღუდულია. ისინი ძალიან ჰგვანან ჯინს ლამპიდან, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, მაგრამ საკუთარი ინიციატივით არაფრის განხორციელება არ ძალუძს. სამაგიეროდ ისინი შეიძლება ყოველივე მომხდარის მოწმედ და მიუკერძოებელ შემფასებლად, ამ რეალობის დონეზე იდეალურ დამკვირვებლად ჩაითვალონ.

თქვენ თუ ბრილიანტის ქვას ატარებთ, ის, რა თქმა უნდა, მადლიერი იქნება იმისათვის, რომ თქვენი საშუალებით ახერხებს გაცილებით ბევრი მოვლენის დათვალიერება-დაკვირვებას, რამეთუ თქვენს სხეულზე კი არა სადმე მიწაზე, ან ყუთში ერთ ადგილზე რომ ყოფილიყო დადებული ვერაფერსაც ვერ დაესწრებოდა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თუ თქვენ ამ რეალობისათვის განსაზღვრული კანონზომიერების დარღვევით მოინდომებთ თქვენში ჩასახული სურვილის განხორციელებას, იგი თქვენი შემწე და დამხმარე იქნება. პირიქით ყველანაირად შეეცდება ხელი შეგიშალოთ ამის განხორციელებაში. ეს მისი გადასახედიდან სიკეთის (საკეთებელის კეთების) საუკეთესო გამოხატულება იქნება.

თქვენის ნებართვით გადავალ მეორე განზომილებაზე.

მეორე განზომილებაში გამოვლინების გამოხატულება დედამიწაზე გახლავთ ფლორა. ყველაფერი მცენარეული, რაც არის გამოვლინებული ამ პლანეტაზე მეორე განზომილების გამოხატულების შედეგია. მინერალებთან შედარებით ფლორის წარმომადგენლებს უფრო მეტი კინემატიკური უნარები გააჩნიათ, მაგრამ მაინც შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლად გადაადგილებისა და თვითგამოვლინების უნარები ადამიანური გადასახედიდან. ისინი უფრო შეზღუდულნი არიან მინერალებთან შედარებით მიზეზ-შედეგობრივი აღქმის დიაპაზონის თვალსაზრისით, მაგრამ ზედმიწევნით აქვთ ინტეგრირებული თავისში დედამიწისათვის განსაზღვრული კანონზომიერების უპირობო დაცვა. ფლორას სრულად აქვს თავისში განვითარებული კოლექტიურობის აღქმა (უფრო მეტიც, მე ვიტყოდი ბრმა კოლექტიური ცნობიერი აღქმა). აქ საერთო ინტერესებისათვის საკუთარი არსების მიძღვნა თავგანწირვადაც კი არ ითვლება. ეს იმდენად ბუნებრივად განიხილება, როგორც „სხვანაირად წარმოუდგენელი (как само собой разумеющееся)“, რომ გმირობაზე მათ რიგებში არ ლაპარაკობენ, როდესაც ერთი ბალახი, ფოთოლი, ტოტი, ხე ან ტყის მასივი ნადგურდება. ამიტომ მათის მხრიდან სიკვდილის ცნების აღქმა საერთოდ გაუგებარი და მიუწვდომელია. თუმც, თვითგადარჩენის ინსტინქტი უპირობოდ იქამდე მუშაობს და მოქმედებს, ვიდრე ნებისმიერ მცენარეს ამისი ძალა და უნარი გააჩნია.

მესამე განზომილებას რაც შეეხება – იგი ფაუნით არის გამოხატული. ყველა არსება, რაც ცურავს, დადის, დახტის, დაფრინავს, ხოხავს, თუ, რა ვიცი რა გზებით, ახერხებს ადგილცვალებადობის განხორციელებას, ფაუ-

ნის ცნებას შეესაბამება. მათი დიაპაზონი მიზეზ-შედეგობრივი ხედვის დიაპაზონის გადასახედიდან ბევრად უფრო შემცირებულია, ვიდრე წინა ორის, რამეთუ აქედან იწყება დიფერენცირების, ცალკე ერთეულებად გამოვლინებულობის პირველი საფეხური. ფაუნას სრულად აქვს თავისში განვითარებული კონკურენციის აღქმა (უფრო მეტიც, მე ვიტყოდი ბრმა კონკურენციის ცნობიერი აღქმა). აქ საკუთარი არსებისათვის საერთო ინტერესების იგნორირება ჩვეულებრივ მოქმედებად, ნორმად ითვლება. შესაბამისად, აქ ირთვება ცოცხალ არსებებში სურვილების გაჩენისა და ზრდის მარათონი. თუმც, ამ ყველაფერთან ერთად იქმნება კვების ისეთი ტიპის მოთხოვნილება, რაც მათ გამოჩენამდე არ არსებობდა. მაგალითად მცენარეები სრულიად კმაყოფილდებოდნენ იმით, რაც ბუნებრივად ეძლეოდათ წყლისა და მიწიდან მიწოდებული ნივთიერებების სახით. ცხოველებმა და ფრინველებმა კი საკვები უნდა მოიძიონ დამოუკიდებლად იგივე მცენერეთა ნაყოფებისა თუ ფლორის სხვა წარმომადგენლების სახით. წინა განზომილებაში მყოფთათვის თუ ერთიანობაში აღქმული ცნობიერული ინფორმაცია ბუნებრივად თავისდაუნებურად ეძლეოდა თითოეულ მიკრო ერთეულსაც კი, ამ განზომილებაში, ერთგვარი გაუცხოებულობის შედეგად, ერთიანობაში აღქმული ცნობიერი ინფორმაცია ხელმიუწვდომელი გახდა, რამაც პერმანენტულად მუდმივი შიმშილის შეგრძნება (ერთიანობასთან კონტაქტში მყოფობის მოთხოვნილება) შექმნა. ეს კი, თავის მხრივ, სიკვდილის ცნების შექმნის მაპროვოცირებერიც გახდა.

რატომ?

იმიტომ რომ – თუ ცხოველებისა და ფრინველების ერთი ნაწილი, რომლებიც ბუნებით ზედმეტად პასიურები იყვნენ და მოუთვინიერებელი სურვილებით არ გამოირჩეოდნენ, ფლორის მიერ შექმნილი ნაყოფების, ან ბალახისა და ფოთლების საკვებად გამოყენების გზით ახერხებდნენ ერთიან ცნობიერებასთან ინფორმაციული წყვეტის ანაზღაურებას (იქიდან მიღებული ინფორმაციით ხდებოდა ერთიანობასთან კონტაქტის აღდგენის პროცესი), ფლორის მეორე ნაწილი, რომლებიც ბუნებით ზედმეტად აქტიურები იყვნენ და საკუთარ სურვილებს ვერ აკონტროლებდნენ, ფლორის ნაყოფებით ვერ კმაყოფილდებოდნენ, რამეთუ მათში ერთიანი ცნობიერების ინფორმაციაზე უფრო მეტად საკუთარი დომინირების (უპირატესობის) გაზრდის ინფორმაცია იზიდავდათ. საწადელის მიღწევას ფაუნის ჭარბი პასიურობის მქონე წარმომადგენელების საკვებად გამოყენების გზით ახერხებდნენ. ანუ ისინი ფიზიკურად იმორჩილებდნენ, კლავდნენ და მათ სხეულს საკვების სახით საკუთარი სხეულის საზრდოდ იყენებდნენ. ამ მოკვდინებულ არსებებში, საფრთხეში მოხვედრის, დასახიჩრებისა და მოკვდინების პორცესში, იქმნებოდა ფსიქოლოგიური შოკები, რაც შემდგომ მის საკვებად გამომყენებელში გადაინაცვლებდა. ამან, თავის მხრივ, ავადმყოფობის ფენომენიც შემოიტანა, რამეთუ, ერთიან ცნობიერებასთან, დედამიწისათვის განსაზღვრული კანონზომიერული პრინციპების აღქმის დაკარგვასთან ერთად, ფიზიკურ სხეულად გამოვლინებულობას სამყაროსეული ენერგიის უზრუნველყოფის ცირკულირებადი პროცესი დაერღვა და ახალი, მძიმე არსებობის, ხანმოკლე სიცოცხლის ციკლიანი პროცესი დაიწყო. აი ასე მკვიდრდებოდა შიმშილის, ავადმყოფობის, სიკვდილისა და იმუნიტეტის უნარის დაპატარავების გაზრდის პროცესი.

თუმც, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს არასასურველი ტენდენცია, საერთოდ, როგორც ასეთი, ადამიანის სახეობის შემოსვლამ შემოიტანა. აი, ის თუ რატომ, ამაზე ახლა შეიძლება გადავინაცვლოთ.

დროა გადავიდეთ მეოთხე განზომილების რაობაზე. ამ განზომილების განხორციელება ადამიანის სახეობის შემოყვანით მოხდა.

მოდით შევაჯამოთ-სავით.

პირველ განზომილებაში მოდელირებულ რეალობაში შექმნილი სამყაროს ფასეულობებისა და კანონზომიერებების სრული და უპირობო მოცვისა და დაცვის ამოცანა დგას.

მე-2 განზომილებაში მოდელირებულ რეალობაში ერთიანი კოლექტიური ცნობიერების მომსახურების სრული და უპირობო მოცვისა და დაცვის ამოცანა დგას.

მე-3 განზომილებაში მოდელირებულ რეალობაში ცალკეული არსების ცნობიერების მომსახურების სრული და უპორობო მოცვისა და დაცვის ამოცანა დგას.

მაშ რა იქნება მე-4-ში?

მეოთხეში უკვე დგება ბევრად უფრო დიდი ამოცანა. იგი თავისში მოიაზრებს მოდერებული რეალობის შემქმნელსა და შექმნილ მოდელირებულ რეალობას შორის კავშირის დამყარების მომსახურების სრული და უპირობო მოცვისა და დაცვის ამოცანას.

ადამიანის შექმნა დაკავშირებულია შემომქმედსა და შემოქმედებას შორის ურთერთობისა და ურთიერთთანამშრომლობის განხორციელებასთან.

უხეშად თუ შევხედავთ, პირველი განზომილება ერთგვარად ჰგავს მეოთხე განზომილებას და, ცოტა წინ თუ გავიქცევით, საერთოდ ასეთი ტენდენცია გრძელდება. მაგალითად: პირველი, მე-4, მე-7 და მე-10 განზომილებები, თავისი კონცეფტუალური მიდგომებით, ჰგვანან ერთმანეთს, ისევე როგორც – მე-2, მე-5, მე-8 და მე-11, და შესაბამისად, მე-3, მე-6, მე-9 და მე-12.

აი, ასეთი კანონზომიერება იხატება, თუ სამყაროსეული მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკური საზომით მოვინდომებთ მიდგომას.

დღესდღეობით სწორედაც რომ თავად პლანეტა გადადის მე-5 განზომილებაში და ადამიანები რომლებიც ვიბრაციების გაზრდისა და ამაღლების ნაცვლად ტოტალურად მე-3 და მე-2 განზომილებაში ჩამოვარდნენ, კაცობრიობისთვის არც თუ სახარბიელო სიტუაციაზე მეტყველებს.

თუ საინტერესოდ მოგეჩვენებათ ჩვენი 12-განზომილებიანი მიკროსივრცის განხილვა, მე არ მეზარება, მაგრამ ჯერ ის მაინც უნდა ვიცოდე, ეს გჭირდებათ თუ არა. ამიტომ აქ შევწყვეტ განვრცობას და თქვენს გამოხმაურებას დაველოდები.

პატივისცემით დ. ყანდაშვილი.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №№38-47-ში

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები
(არასისტემატიზირებული)

სხვათა უბედურების თავსდატეხვის ჟინი და ბრალი, ამისგან კმაყოფილების მიღება და საკუთარი სარგებლის პოვნის მოლოდინი, მხოლოდ, სხვისი ხელებით (ფენომენი)

არიან ადამიანები, თავად არააქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობენ და არც ასპარეზს ეძიებენ, მაგრამ მუდამ ელოდებიან, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდება გმირი, რომელიც მათ სასურველ ყოფას და ცხოვრებას მოუტანს; არიან ადამიანები,რომლებიც აღმერთებენ კრიმინალებს, დესპოტებს, სადისტებს, კაცთმოძულე მიზანტროპებს, ფაშისტებს და ა.შ. რომლებმაც „სხვა“ ხალხები და ქვეყნები დალაშქრეს, დაარბიეს და მიწასთან გაასწორეს; მილიონები ტანჯეს და აწამეს და ამით „ბედნიერება“ მოიპოვეს. თუმცა, თავად „ამ მომლოდინე ადამიანებს“, ჯერ კიდევ, არაფერი სიკეთე არ მიუღიათ; შიმშილი, სიცივე, სიდუხჭირე მათი ცხოვრების თანამგზავრია. მათთვის საკმარისია, მხოლოდ მოლოდინი, რომ ეს დესპოტი სხვას წაგლეჯს, წალეკავს, წარღვნის – ძეხორციელს მიწასთან გაასწორებს... რასთან გვაქვს საქმე? სისხლის წყურვილით, ღვარძლით, შურით, ბრალით ძალასთან იდენტიფიცირებასთან და ამით დაკმაყოფილებასთან, თუ მოლოდინთან, რომ ამ იდენტიფიცირებით, ერთ მშვენიერ დღეს, ცხოვრება გაუუმჯობესდებათ? სხვა რა დაერქმევა გასულ საუკუნეში გერმანელი საზოგადოების მოლოდინს, რომ მათი „გმირი“ წარღვნიდა – იავარქმნიდა მსოფლიოს და ისინი ამით იდეალურ საზოგადოებას დააარსებდნენ?..

რაღა შორს წავიდეთ, საკუთარ უბეში ჩავიხედოთ. რატომ ეთაყვანებოდა და ახლაც ელოდება სააკაშვილის დაბრუნებას საზოგადოების ნაწილი საქართველოში? არც სააკაშვილის დროს (იქ მხოლოდ ილუზია მოქმედებდა), და არც მისი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მათი მდგომარეობა ერთი ნაბიჯით წინ არ წაწეულა, მაგრამ იმედი – მოლოდინი იმისა, რომ სააკაშვილი ვიღაცას დასჯის, აწამებს, ბიზნესმენებს ფულს წაართმევს, შეძლებულებს გაყვლეფს, საუბედუროდ, კმაყოფილების განცდას ბადებს ასეთი ფსიქიკის ადამიანებში... შესაძლოა, კი? – ამით რაიმე სარგებელიც მიიღონ?.. არა! მოლოდინი და „ბრალი“ სხვა ადამიანების „ორთხში“ ამოღებისა, კვებავს და ასულდგმულებს „ამ საზოგადოებას“, თუნდაც, თვითონ სიმწუხარეში ამოხდეთ სული... ეს ბრალიცაა და ფენომენიც, რომელიც განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს!

ბრალი კეთილგონიერთა და კეთილისმყოფელთა მიმართ „რატომ უფრო მეტი არა“ – ბრალი

ზოგჯერ, ადამიანები ეძებენ ბიწიერებას თვით კეთილგონიერ და კეთილისმყოფელ ადამიანებშიც და აღძრავენ ბრალს მათ მიმართ. მალე ავიწყდებათ ან წყინდებათ მათ მიერ გაკეთებული სიკეთეები; გულის სიღრმეში იწყებენ ჩიჩქნას (ისევ, მათი გაფუჭებულობიდან გამომდინარე), რომ ეს სიკეთე ჩადენილი იყო რაღაც ქვეგრძნობებით, ანგარებით, გათვლებით და ა. შ. ამ ბრალს განეკუთვნება „რატომ უფრო მეტი არა“ – ბრალი.

ზოგიერთი ადამიანი ამჟღავნებს პარადოქსალურ დამოკიდებულებას საკუთარი მოკეთის მიმართ. იგი აღძრავს ბრალს მოკეთეზე, რომელიც წლების მანძილზე ეხმარება, დოვლათით ავსებს მის ოჯახს, – უზრუნველყოფს მისი და მისი შვილების მომავალს. ამ უკეთურ ადამიანს მოსდის ასეთი ფიქრები: შეეძლო უფრო მეტად დამხმარებოდა, რად უნდა „ამდენი“ ქონება, რატომ არ არის უფრო მეტად ხელგაშლილი და ა.შ. თუკი ხელშეშლის ან სხვა მიზეზის გამო, მოკეთეს ფეხი წაუცდა და მას ადრინდებურად ვერ დაეხმარა, მადლიერების ნაცვლად თავს იჩენს დიდი უკმაყოფილება და უმადურობა, ზოგჯერ, სიძულვილიც კი ამ მოკეთის მიმართ, საიდანაც წარმოიშობა ათასნაირი ბრალი... ასეთი ბრალით გაჟღენთილი ადამიანები ხშირად წარმოშობენ ბრალს ოჯახის წევრების, ახლობლების და სხვათა მიმართ. აქ ბრალის გარდა, შურის ვნებაც დიდ როლს თამაშობს; თან სიკეთეს იღებს, თანაც შურს... აქ მართლდება წმინდა ბასილის სიტყვები: „შური მწუხარებაი არს მოყვასისა სიკეთესა ზედა“.

შურის ბრალი

შურს წმინდა ბასილი კესარიელი ამდაგვარად განმარტავდა: „ვნებაᲘ, უძჯრესი შურისა, არღარა აღმოეცენების სხუაᲘ სულსა შინა კაცთასა... ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეცა შური სულსა მას, რომელსა თანა იყოს, განჰლევს. და უფროᲘსად, ვითარცა იქედნეთათჯს იტყჯან, ვითარმედ მშობელთა მათთა საშოსა შეშჭამენ და ესრეთ გამოვლენ, ეგრეთვე შური სულსა მას, რომელმან იგი მუცლად-იღოს, განჰლევს. რამეთუ შური მწუხარებაᲘ არს მოყუსისა კეთილთათჯს, ამისთჯსცა მოშურნესა არა ოდეს დააკლდების მწუხარებაᲘ და ჭირი... შურიცა და კაცისკლვაᲘცა – მოძმენი ესე ურჩულოებისანი... მოშურნესა კეთილი ყოველივე უმეტესად აღაგზნებს; და რაᲘზომცა ფრიად პატივ-სცეს, უმეტესად შურს და უმძიმეს და უმწუხარეს არს, რამეთუ ქვეყანისმოქმედსა მას უმეტესად ეშურების, ვიდრეღა მადლიერ არს... ჯერ-არს მოშურნეთა ზიარებისა და უბნობისაგან სივლტოლაᲘ, რაᲘთა გარეგან ისართა მათ შურისათა ვიქმნეთ“.

შურით განმსჭვალულობა ბრალის ნაირსახეობას განეკუთვნება. შური სხვა ვნებებთან ერთად აღიძვრის და ხშირია შურის ბრალითი მიმართება სხვა ადამიანების მიმართ. სხვათა გაფურჩქვნა რატომ არის ზოგისთვის შემზღუდველი, სხვათა სიკარგე რატომ აღიზიანებს ადამიანს? სრბოლა სინათლისაკენ მცენარისა, ზოგჯერ, ზღუდავს სხვა მცენარის სრბოლას და საბოლოოდ განვითარებას. ეს ხდება ახლო მდგომ მცენარეებში. ასევეა ადამიანებში. შური შედარებით ახლომდგომ ადამიანებს შორის აღიძვრის, ვიდრე დისტანციურად მყოფ ადამიანებს შორის. ახლო მყოფი ადამიანების წარმატება და სიკეთე შესაძლოა არაფერს გვიშავებს, პირიქით, შეიძლება სარგებელსაც ვიღებთ მისი სიკეთეებით, მაგრამ... ვიღაცის უპირატესობა ხომ გვიკარგავს პირველობის შანსს?.. რა, განა, ეს არ კმარა, რომ ადამიანი შურით და ღვარძლით განეწყოს თუნდაც წარმატებული მოკეთის მიმართ? მსგავსად მცენარეებისა, ჩვენში კონკურენციის, სწრაფვის იდეა იღვიძებს და აქვე იბადება შურის ბრალიც. არ ვამბობ, ყველა ადამიანში, მაგრამ სხვათა უპირატესობის განცდა ზოგიერთ ადამიანში ბადებს შურს, რომელიც, სწორედ რომ, გასაცნობიერებელი და დასაგმობია. თუმცა, თუ არა შეჯიბრებითობა და კონკურენცია, განვითარებაც ვერ მოხდებოდა. ეს მასტიმულირებელად მოქმედებს ძალიან ბევრ ადამიანზე. კონკურენციაში ყოფნა ჯანსაღ სასიცოცხლო ტენდენციაში ყოფნას ნიშნავს. მიზნებისა და სწრაფვების გარეშე ყოფნა ასთენიური მდგომარეობაა. ეს პიროვნების რღვევის ნიშანია, რაც პათოლოგიაა და არა ნორმა. აღმოცენებისა და განვითარებისათვის აუცილებელია სწრაფვა. სინათლის გზაზე ჩრდილები ყოველთვის არის დაბრკოლება. ბრძოლა „სინათლისათვის“ გარდაუვალია. სიცოცხლისა და განვითარების იმპულსი – სასიცოცხლო ტენდენცია წარმოდგენილია ბრძოლის საშუალებებით – ვნებებით და მათ შორის შურის ბრალით. ადამიანს არ შეუძლია ვნებათაგან განცალკევება. მხოლოდ, მას შეუძლია უმაღლეს ხარისხში აიყვანოს თავისი „ადამიანი“ ღვთის სახედ და ხატად ქმნილი, რომელსაც შეუძლია მართოს ვნებები. ამას სჭირდება კავშირი უფალთან და უდიდესი ძალისხმევა...

ცილისწამების ბრალი

ცილისწამება წმინდანთა მიერ განმარტებული და შეფასებულია, როგორც ეშმაკისეული ბოროტება, რომელიც ადამიანის გონებას და აზრს სიძულვილით ავსებს. ეს სიძულვილი კი, ავის ჩადენისაკენ მოუხმობს და საბოლოოდ ღუპავს ადამიანს. ძველი და ახალი აღთქმა საუბრობს ცილისწამების ცოდვის ვნებიანობაზე და აფრთხილებს მომაკვდავთ – არ ჩაიდინონ ეს ცოდვა. ცილისწამების მსხვერპლთ კი მაცხოვარი ასე ანუგეშებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენზედა, გიხაროდენ და მხიარული იყვნეთ, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა“.

არასწორად მიმართული ყოველგვარი ბრალი არაკეთილგონიერებით არის ნაწარმოები; მათში შეიძლება ვეძებოთ დაბნეულობა, საკითხის არ ცოდნა, განსჯის ნაკლულობა, აფექტურობა და სხვა შინაარსები, მაგრამ ცილისწამების ბრალი სრულიად გარკვეული სახის ბოროტებაა, რომელსაც გასასამართლებელი მოტივები არ გააჩნია. ტყუილი და ცილისწამება შეამხანაგებულად ანგრევენ კეთილგონიერ ადამიანთა მიერ რუდუნებით შექმნილ კაცთმოყვარეობის საყოველთაო იდეას და მიმართული არიან უფლის კანონზომიერების საწინააღმდეგოდ. ცილისწამების ბრალს უამრავი ბოროტება მოუტანია და მრავალი ადამიანი დაუღუპავს, როგორც გარდასულ დროთა მდინარებაში, ასევე ჩვენი ცხოვრების უახლოეს წარსულში (ამ მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს). დღესაც, „ბოროტების მანქანა“ გამალებული მუშაობს ადამიანის რწმენის, კეთილგონიერების და კაცთმოყვარეობის შესარყევად, მეტიც, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი გადაგვარების მისაღწევად, რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად უნდა შეფასდეს.

სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის ბრალი შემოქმედებაში

ადამიანის გონებას თუ რამ ოდესმე შეუქმნია, არის ბრალის მონაწილეობით შექმნილი – ბრალსა და უკუბრალს შორის წინააღმდეგობაში ნაშობი. ისევე, როგორც წარსულში, თანამედროვე ხელოვნებაშიც – მწერალთა, მხატვართა, პოეზიის მსახურთა შემოქმედება სულიერ და სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და შევსების წყურვილითაა აღძრული. ფსიქიკური ბირთვი სისტემაა, რომელიც თავისი სრულყოფის, აღდგენის ტენდენციითაა აღჭურვილი; როდესაც დეფიციტია მატერიალურ შევსებაში, ორგანიზმი მიმართულია მისი აღდგენისაკენ. ასევეა სულიერი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ის მიისწრაფვის შევსებისაკენ – დაკმაყოფილებისაკენ. ხელოვანთა მოღვაწეობა აუცილებელი კანონზომიერებითაა ნაკარნახევი. მათ შემოქმედებაში ყველგან არის უკმაყოფილება და ბრალი. „შემოქმედებით“ სფეროებში მოღვაწეების მოტივაციურ შინაარსებში არის კატეგორიები, რომლებიც შეიძლება დიფერენცირდნენ შემდეგნაირად:

ა) წმინდა სულიერი – უკეთესობისაკენ, საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების სურვილით ნაკარნახევი.

ბ)ბიოლოგიური არსის (გენის) დარღვევის გამო ან ფსიქომატრავმირებელი ზემოქმედების შემდგომი ფსიქიკური დეფორმაციების შევსების მოთხოვნილებით ნაკარნახევი.

გ) მატერიალურ-მერკანტილური (განსაკუთრებით ჟურნალისტიკის სფერო).

დ) საზოგადოების მიმართ რევანშისტულად განწყობილთა და „მოსყიდულთა“ ხელოვნება (მამა-შვილი ბუღაძეები, დეისაძე, ქარუმიძე და სხვები). მათი რევანშისტული განწყობილებები, არასრულფასოვნებაში – მთავარი ბიოლოგიური არსის დარღვევა-დეფორმაციებში ან სხვა პათოლოგიურ გადახრებში უნდა ვეძებოთ. ასეთ შემოქმედებას, ამდაგვარი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ადევს შესაბამისი დაღი; მიჰყვება ხაზი,რომლითაც ნათელი ხდება, თუ რა მოტივაციური შინაარსები და ქვეშინაარსები ამოძრავებს მათ ბრალს...

ისტორია

გოჩა ჭელიძე

ასპინძის ომი

რა ვიცით ასპინძის ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ? - არაფერი!

რას გვასწავლიან ისტორიის სახელმძღვანელოები ასპინძის ომთან დაკავშირებით? - არაფერს!

ვეცდები მოკლედ მოგაწოდოთ ასპინძის ომის გამომწვევი მიზეზების ანოტაცია:

1760-იან წლებში ირანში შინაბრძოლები დასასრულს მიუახლოვდა და ირანის გამგებელი ქერიმ ხანიც ერეკლესთან მეგობრულ ურთიერთობებს არჩევდა. ამიტომ იგი არა მხოლოდ სცნობდა ქართლ კახეთის დამოუკიდებლობას, არამედ ირანის ყოფილ პროვინციებზე: ერევნის, განჯის, ნახიჭევანის სახანოებზე ერეკლეს გავლენას აღიარებდა. ოსმალეთი ევროპაში გართულებული ამბებისა და დასავლეთ საქართველოში სრული დამკვიდრებისათვის ბრძოლის წარუმატებლობის ვითარებაში ერეკლესთან მეგობრულ ურთიერთობებში დარჩენას ამჯობინებდა.

ასეთ ვითარებაში 1760 იანი წლების დასასრულს სომხეთის გამანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ემინი ჩამოვიდა საქართველოში და ერეკლე მეფეს თურქეთის უღელქვეშ მყოფი სომხების განთავისუფლების საქმეში დახმარება თხოვა. ამავე დროს წინადადება მისცა სომეხ ქართველთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფის გვირგვინი დაედგა თავზე. მაგრამ ერეკლემ კარგად იცოდა, რომ საკუთარი ძალებით და სომეხთა აჯანყების იმედით ოსმალეთის სულთანთან შეჭიდება არ შეიძლებოდა; ამიტომ მეფემ, შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით სომეხთ პატრიარქის წინადადებით, ემინი საქართველოდან გააძევა.

1768 წელს თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთი ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის გამო ცდილობდა ოსმალეთში მცხოვრები ქრისტიანი ხალხების გამოყენებას, რათა ქრისტიანობის დაცვის მოტივით დამკვიდრებულიყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და მოეპოვებინა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება. რუსეთის გეგმაში ბალკანეთის ქრისტიანებთან ერთად ქართველებსაც გარკვეული ადგილი ეჭირათ და განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ იმერეთის მეფე სოლომონზე, რომელსაც თურქეთთან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. რაც შეეხება ერეკლეს, რუსებს მისი მიმხრობა საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგან მას ამჯერად ოსმალეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ რუსეთი მაინც იმედოვნებდა, რომ „ქრისტიანების საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც ჩაებამდნენ“. რუსეთმა დაიწყო მუშაობა სოლომონ მეფესთან, რათა მას დაუყოვნებლივ დაეწყო ომი თურქეთთან, თანაც ეზრუნა ერეკლე მეფის ომში ჩაბმაზე.

1769 წლის მაისში ერეკლე და სოლომონ მეფე თბილისში შეიკრიბნენ, ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ და რუსეთის მთავრობისათვის პირობების წასაყენებლად რუსეთის წარმომადგენელს თავად ხვაბულოვს თავიანთი ელჩები არტემონ ანდრონიკოვი და დ. კვინიხაძე გაატანეს.

1769 წლის 24 ივლისს ხვაბულოვი გენერალ პოტაპოვს მოახსენებდა: „თბილისში ყოფნისას, თქვენი მაღალაღმატებულობის სიტყვიერი ბრძანებით, მეფე ერეკლეს მოვახსენე თავის მხრივ არარატელი სომხებიც აემხედრებინა თურქეთის წინააღმდეგ ომში. ერეკლემ დაგვთანხმდა და განაცხადა, რომ მას ძალიან ადვილად შეუძლია მათი ამხედრება, რადგან სომხების ნაწილი მის ქვეშევრდომობაშია, მაგრამ მისი თხოვნაა, რომ მას რუსების დახმარება აღმოუჩნდეს და განზრახული აქვს აამხედროს არარატელი სომხები, რომ მათი მხრიდან დაიწყოს ლაშქრობა ოსმალეთისკენ“.

სომხების ამხედრება ერეკლეს რომ არ გაუჭირდებოდა, რუსებისათვის კარგად იყო ცნობილი იმენის საქმიანობით და სხვა მრავალმხრივი სადაზვერვო ინფორმაციებით. საყურადღებოა, რომ ერეკლეს ოსმალეთთან ომში არა მხოლოდ სომხების ამხედრების იმედი ჰქონდა, არამედ ოსმალეთში მცხოვრები ქურთების და ასირიელებისაც. როგორც ქობულოვის

მოხსენებაში წერია, ერეკლემ განაცხადა: „თუ რუსეთიდან დამხმარე ჯარს მივიღებ, თურქეთის ქალაქებს დავიპყრობ თვით ცარგარადამდეო“.

ერეკლემ დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები ოსმალეთის ქურთებთან და ასირიელებთან და მათი უპირობო მხარდაჭერის გარანტიები მიიღო. შეთანხმების თანახმად, როგორც კი ერეკლე ოსმალეთის მიწაზე შევიდოდა, ყარსისა და ბაიაზიდის თურქული და ასირიული მოსახლეობა აჯანყებას დაიწყებდა და შეუერთდებოდა ერეკლე მეორის ჯარს. ეს ინფორმაციები ერეკლეს მიერ მიეწოდებოდა რუსეთის ხელისუფლებას.

სწორედ ამ მიზნით საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. სულ 480 კაცი გენერალ ტოტლებინის მეთაურობით. ერეკლემ რუსის ჯარის გადიდების გარეშე ომში მონაწილეობაზე უარი განუცხადა. ამიტომ ტოტლებენი იძულებული გახდა ერეკლეს დაპირებოდა საექსპედიციო ჯარის 5 ათასამდე გაზრდას. ერეკლე თანახმა იყო ომში ჩაბმულიყო, თუ დანაპირების გარანტია იქნებოდა, ხოლო ამათგან 1500 კაცს მაინც თუ ზამთრამდე გადმოიყვანდნენ, მეფე მზად იყო შეჭრილიყო ახალციხეში და პოზიციები გაეძლიერებინა. მაგრამ ტოტლებენმა 1500 კაცის გადმოყვანა ვერ შეძლო და ახალციხეზე ლაშქრობა 1770 წლის გაზაფხულისათვის გადაიდო.

1770 წლის გაზაფხულზე, როდესაც ერეკლემ შეიტყო, რომ რუსეთმა ჯარი 4000 კაცამდე გაზარდა და დამხმარე ძალები კი გზაში იყო, მარტში ახალციხეზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგა და ოსმალეთის ქურთებთან და ასირიელებთან განაახლა სამხედრო დიპლომატიური კავშირის დამყარება. ამ მიზნით ასირიელთა ეპისკოპოსი ისაია საქართველოში ჩამოვიდა და 1770 წლის აპრილში ერევნის გზით ბაიაზეთისკენ გაემართა. შემდეგ ესაია ქურთებს შეხვედრია და ბოლოს სიმონ კათალიკოსის ხელით 1770 წლის 15 აგვისტოს ერეკლეს წერილი გაუგზავნა: „წავედი იეზიდებიც ვნახე და აისორის კათოლიკეც. სიყვარულობით თქვენი ყული შეიქმნანენ ჩემო ხელმწიფევ, რაც თქვენი ბრძანება იყო ყოველს კუთხეზედ გავისარჯეთ“.... ამ წერილზე ერეკლეს შემდეგი მინაწერი გაუკეთებია: „ასურთ აფისკოპოზი ისაია ჩვენთან მოვიდა და გვითხრა - ასურთ შემოერთება უნდა თქვენიო, ეს იმის მოწერილია და იმ ასურთ მოციქულიც იყო ჩვენთან დიდი ვედრების მხრით, რომელიც რუსეთს მოვახსენეთ, რომ ამათ ჩვენი შემოერთება უნდოდათ“. ამ წერილის შემდეგ 1770 წლის 18 აგვისტოს ისაია ეპისკოპოსი ერეკლე მეფეს წერდა: „თქვენი ფეხთა მტვერი ესაია ეპისკოპოზი, დღე და ღამე თქვენი მლოცველი და თქვენი გამარჯვების მონატრე. ჩვენო ბედნიერო ხელმწიფევ, მოგახსენებთ, რომ აქ დახლი შევიქმენით: წავედი მაჰმედა ქურთისტანს, იეზიდების უფროსი ვნახე, თქვენი ბედნიერი რაყამი ვუჩვენე, დიდად გაეხარდათ, თქვენი რაყამი თავზე დაიდეს და თქვენი მორჩილი შეიქმნენ. ჩემო ხელმწიფევ, ამას მეხვეწებიან, რომ ღმერთმა გამარჯვება მოგვცეს, ხოშობას ციხეს თხოულობენ, ცარიელი ციხე ჩვენ მოგვცესო, საქონელი არ გვინდაო, რომ თამამი იეზიდხანა იქ მოვგროვდეთო. ამ წყალობას ეძებენ თქვენგან“...

ეს წერილები და მანამდე არსებული მოლაპარაკებები მოწმობენ, რომ ქურთები და ასირიელები მზად იყვნენ ერეკლეს ყარსსა და ბაიაზეთში გამოჩენისთანავე დაეწყოთ აჯანყება ოსმანთა წინააღმდეგ, მაგრამ 1770 წლის 26 სექტემბერს, როდესაც ერეკლემ ეს წერილები მიიღო, ის რუსების ღალატიდან გამომდინარე მძიმე მდგომარეობაში იყო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1770 წელს ასპინძის ომში გამარჯვების შემდეგ ერეკლეს ნამდვილად შეეძლო ახალციხე ახალქალაქის აღება და ყარსსა და ბაიაზედში შეჭრა, სადაც მას მოკავშირეებიც ელოდებოდნენ, მაგრამ ტოტლებენმა ჯარი უკან დააბრუნა და ახალციხის მიმართულებით ლაშქრობაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ტოტლებენის ღალატმა ყველა გეგმა ჩაშალა.

ეჭვს არ იწვევს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებული ქმედებით, ტოტლებენმა ჩაშალა სომხების, ქურთების და ასირიელების თურქეთის წინააღმდეგ ომში მომხრობის ერეკლესეული გეგმა. ამ გეგმის განხორციელებით საქართველო უპირობო ლიდერი ხდებოდა რეგიონში და მისი გაძლიერება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. რუსეთმა წინასწარ დაგეგმილი ღალატით ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ამ ხალხების ურთიერთნდობას მომავალი კონფლიქტების პირობებში სამოკავშირეო ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით, არამედ რეგიონში საქრისტიანოს და პირველ რიგში საქართველოს ავტორიტეტს და ინტერესებს. მათ შორის მთავარი - ერეკლესა და ოსმალებს შორის არსებული ზომიერი ურთიერთობები ოსმალეთთან მტრობის ურთიერთობების რანგში გადაიყვანა. სწორედ ეს იყო რუსეთის მთავარი მიზანი, საქართველოს უკიდურესი დასუსტება, რომლითაც ერეკლე მეფის მიერ საქრისტიანოს გარდაუალი წარმატებისკენ მიმართული გასაოცარი დიპლომატიური და სამხედრო ნაბიჯები საქართველოს საბოლოოდ დასუსტების საფუძველი გახადა.

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა და არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია

როგორ არის დაცული მესაკუთრე, რომელსაც უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლება შეეზღუდა არამართლზომიერი მფლობელისგან? უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი. „სავინდიკაციო სარჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობელისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთრების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა - მფლობელობის სახით. ცხადია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქვს მფლობელობის უფლებაც და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელობის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება (იხ.: თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ. 245).

დავის გადაწყვეტა ხდება ვინდიკაციური სარჩელის სასამართლოში წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის გამოთხოვის მართლზომიერება. ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის სამართლებრივი წინაპირობებია: მოსარჩელე არის ნივთის მესაკუთრე; მოპასუხე/მოპასუხეები არიან მოსარჩელის კუთვნილი ნივთის მფლობელი და მათ არ გააჩნიათ ამ ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 311-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ვლინდება საჯარო რეესტრიდან, ხოლო, ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ არსებობს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის, 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრის ჩანაწერების საფუძველზე მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ხოლო მოპასუხეები

არ უნდა წარმოადგენდენ სადავო უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელს. ასევე, მხარეთა შორის არ უნდა იყოს რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც მოსარჩელე (მესაკუთრე) შეიძლება შეზღუდულიყო მოპასუხეებთან მიმართებით. ამასთან, არ უნდა არსებობდეს არც კანონისმიერი საფუძველი უფლებრივი შებოჭვისთვის. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია, სრულყოფილად განახორციელოს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები. აღნიშნული გარემოებები კი, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია. აღნიშნულ საკითხზე უკვე დიდი ხანია არსებობს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა და უმეტეს შემთხვევაში ასეთი სარჩელის ავტორი წარმატებულ შედეგს იღებს, რაც ნიშნავს, რომ მისი, როგორც მესაკუთრის მოთხოვნა კმაყოფილდება.

აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა, გარდა ზემოთ მოხმობილი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებისა, სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებულ საკუთრების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობის პრინციპს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების უფლება ფართოდაა განმარტებული და იგი მოიცავს მთელ რიგ ქონებრივ/ ფულად უფლებებს, რომელიც საკუთრებიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – მარქსი ბელგიის წინაღმდეგ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება“. (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხ. №6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი).

საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება სამივე წინაპირობის არსებობა, შესაძლებელი გახდება მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. ვინდიკაციური სარჩელის საფუძვლიანობა მოწმდება იმ გარემოებათა შეფასებით, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირის არამართლზომიერ მფლობელობაში; (შდრ: სუსგ №ას-709-2022, 30 სექტემბერი, 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეები საკმაოდ ბევრია და აქტუალურობას არ კარგავს. აქ შეიძლება ძირითადად ორი კატეგორიის საფუძველი გამოიყოს: როდესაც ფულადი ან სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობით მესაკუთრე კარგავს ქონებაზე საკუთრების უფლებას, ხოლო ახალ მესაკუთრეს არ უთავისუფლებს შეძენილ საკუთრებას და მეორე, შედარებით ნაკლებია როდესაც დავა ოჯახის წევრების ერთად ცხოვრების შეუთავსებლობიდან გამომდინარეობს. ზემოთ მითითებული სასამართლო პრაქტიკა ორივე შემთხვევისთვის საერთოა. სასამართლოს დასაბუთება ამგვარია: „საკითხისადმი ამგვარი მიდგომა იმითაა განპირობებული, რომ მესაკუთრის ინტერესი, არ დაუშვას სხვა პირის მიერ ქონების უკანონოდ სარგებლობა, აღემატება მფლობელის ინტერესს, რომელიც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის საფუძვლია-

ნობას ვერ ადასტურებს (შდრ. სუსგ: №ას-1315-2018, 2019 წლის 31 იანვრის განჩინება). სხვა-გვარად, წინააღმდეგობა შეიქმნება „საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლების“ პრინციპთანაც, რაც ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლით მესაკუთრის მიერ ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის უფლებას გარანტირებულს ხდის. გარდა ამისა, საწინააღმდეგო მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, შეუსაბამობა გამოიკვეთება მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან, რომლითაც საკუთრებით სარგებლობის თაობაზე მესაკუთრის უფლება აღიარებულია და მფლობელს მესაკუთრის პირისპირ უპირატესობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიენიჭოს, თუკი მისი მფლობელობა მართლზომიერად იქნება მიჩნეული (სსკ-ის 159-ე და 162-ე მუხლები)."

თუმცა მეორე ტიპის დავებში საკითხი უფრო რთულდება, თუ მესაკუთრე ითხოვს არამესაკუთრე ოჯახის წევრის გასახლებას არასრულწლოვან შვილებთან ან შვილიშვილებთან ერთად, არასრულწლოვანი შესაძლოა ფიგურირებდეს პირველი ტიპის საქმეებში, მაგრამ ააქ განსხვავება და გადამწყვეტია ნათესაური კავშირი. ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკას თუ გადავავლებთ თვალს, არასრულწლოვანების ფაქტორი მესაკუთრის საწინააღმდეგოდ არის გამოყენებული და მესაკუთრის სარჩელი არ კმაყოფილდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს საქმეებზე ვხვდებით არაერთგვაროვან მიდგომას. მაგალითად, საქმე №აას-1514-2022 (09 მარტი, 2023 წელი) უშუალოდ არასრულწლოვანებს ეხებათ, რომელთა ბებიას ასევე არ ჰქონდა სხვა საცხოვრებელი სახლი. კონკრეტულ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დაადასტურა მისი საკუთრების უფლების არსებობა სადავო ქონებაზე. მოპასუხეს ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მისი მფლობელობა მართლზომიერია. კასატორი მიუთითებდა, რომ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, ვინაიდან, მან სადავო უძრავი ქონება იყიდა მოსარჩელის აწ გარდაცვლილი მეუღლისგან 2005 წელს და აღნიშნული დაადასტურეს მოწმეებმაც. და რომ მასთან ერთად ცხოვრობენ არასრულწლოვანები.

გადაწყვეტილებაში მითითებულია: „რაც შეეხება კასატორის საკასაციო პრეტენზიას სადავო უძრავ ქონებაში არარულწლოვნების ცხოვრებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნულ პრეტენზიას ასევე ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად ბავშვის (18 წლამდე პირის) კეთილდღეობაზე და საუკეთესო ინტერესებზე ზრუნვის ვალდებულება აქვს ბავშვის მშობლებს, მეურვეებს, სახელმწიფოს, რომელიც წარმოდგენილია სოციალური მომსახურების დაწესებულებებით.

პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გა-თვალისწინებასა და დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა აღსანიშნავია, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-მად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებ-ლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. კონვენციისა და სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის (მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარ-დონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვი-თარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირა-ტესი გათვალისწინებით) ანალიზიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების ჯეროვანი დაცვა მათ კანონიერ წარმომადგენლებს ევალებათ. ამრიგად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო უძრავ ქონებაში არასრულწლოვნებიც ცხოვრობენ, ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ მესაკუთრეს საკუთრების უფლება შეეზღუდოს.“

მოხმობილი საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ სხვა შემთხვევაში მიუთითა სსკ. 115-ე მუხლზე და რომ მესაკუთრე ბოროტად იყენებს თავის უფლებას და იმის გამო რომ მესაკუთრე იქ არ ცხოვრობს ამჟამად, თვლის რომ ქონების გამოთავისუფლების აუცილებლობაც არ არსებობს. მოცემულ საქმეზე სასამართლომ ასევე გამოიყენა 1225-ე მუხლზე მითითებით კანონის ანალოგია

(ბებიის და პაპის საალიმენტო მოვალეობები) და ასევე, ინტერპრეტაციით გააკეთა მისი განმარტება, კერძოდ, საალიმენტო მოვალეობებს მიუსადაგა მესაკუთრე/ბებიის საკუთრებით სარგებლობა, რითაც მესაკუთრეს შეუზღუდა საკუთრების უფლება. სპეციალური ნორმის არსებობის პირობებში კანონის ანალოგიის გამოყენება, ან საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონიერი საფუძვლის გარეშე გადაწყვეტილებას კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს. მოცემულ საქმეზე ჯერ არ არის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და ვფიქრობ, საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკისთვის.

დავას არ იწვევს საკითხი, რომ ბავშვის უფლებები უნდა იყოს დაცული, მაგრამ როგორ უნდა იყოს დაცული ბალანსი მესაკუთრის და არასრულწლოვანის ინტერესთა კონფლიქტის დროს, საკმაოდ რთული დასადგენი და სადავოა.

რომ შევაჯამოთ, სასამართლოს მსგავსი მიდგომა, რაც უდავოდ და ობიექტურად ბავშვის უფლებათა დაცვისკენ არის მიმართული, ჩემი შეფასებით, ლახავს მესაკუთრის უფლებას და ეწინააღმდეგება: 1) საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილს, რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია;

2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში იმეორებს, რომ „საკუთრების ცნებას დამატებითი №1 ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება ფიზიკური ნივთების ფლობით და ის დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ოფიციალური კლასიფიკაციისგან: „საკუთრების“ ცნება არ შემოიფარგლება „არსებული საკუთრებით“, არამედ ის შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, სარჩელების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ მას გააჩნია საკუთრების უფლებისა ან ქონებრივი ინტერესის ეფექტური გამოყენების გონივრული და „კანონიერი მოლოდინი“ (იხ. იონერილდიზი თურქეთის წინაამდეგ, დიდი პალატა, №48939/99, §124, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-XII; პრინცი ჰანს-ადამ II ლიხტენშტეინი გერმანიის წინააღმდეგ; დიდი პალატა, N42527/98, § 83, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-VIII).

3) სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ ნორმებს. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, შემუშავდება სპეციალური ნორმა ან მექანიზმი, რომლითაც ბავშვის კეთილდღეობაზე და საუკეთესო ინტერესებზე ზრუნვის ვალდებულება დაეკისრებათ ბავშვის მშობლებს, მეურვეებს, სახელმწიფოს და ამ საფუძვლით მესაკუთრეს უფლება არ შეეზღუდება.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

Valeri Mosiashvili, Georgian National University SEU
PhD of Economics, Professor, Georgia
Tbilisi. Georgia
vmosiashvili@seu.edu.ge

DEVELOPMENT TRENDS OF REMOTE BANKING SERVICES IN GEORGIA

Annotation. The paper discusses, that the most important feature of banking services is their "productive" character. Receiving cash from the population and enterprises in deposits, "makes the greatest entrepreneurial sense." It is noted, that by providing deposit services, the bank transforms "non-working" and unused monetary resources into "working" assets. This also refers to the "credits" provided to enterprises and organizations for the development of their production and financial activities. By serving the economic activities of their clients, banking operations contribute to the development and acceleration of production. It is noted that, according to the author's opinion, a new banking product is a documented and ordered set of organizational, technical, technological, financial, informational and legal procedures, that make up the regulations for providing new banking services or their complex in an unconventional way, as well as using innovative technology.

Keywords: return on investment, financial assets, innovative investment, bank credit, debt service.

When classifying the services of banks, despite the considerable narrowing of the considered field and the circumstances of their use, the researcher encounters difficulties. The classification can be based on features that carry the qualitative characteristics of the relationship between the bank and the client. Classifications of banking operations are important, such as (Mosiashvili, https://ijsser.org/index.php, 2022):

1. Classification of banking products, in accordance with the ways of bank accounting and banking operations.
2. Classification of banking products "Degree of product similarity according to usage".
3. Mixed qualification, formed simultaneously according to several bases: range of services, type of financial instrument, type of banking operation and others.

The simplicity of construction of the given classification, its insufficient systematicity, does not allow to fully convey the content of the product as a set of features (characteristics) determined by the bank's activities. There is no certainty and clarity in the classification. It is not specified what kind of service each product implies. See Table 1 for the criteria for classifying services drawn up by the author.

First of all, banking services can be divided into specific and non-specific services. Specific services are everything that derives from the specifics of the bank's activities as a special enterprise. Specific services include three types of operations performed by them (Mosiashvili Valeri, 2022): 1. Deposit operations; 2. Credit operations; 3. Settlement operations.

Table 1. Author's classification of products according to the type of providedservices (Mosiashvili, V., 2020)

Classification criteria:	Type of provided services:
Depending on the specifics of banking activity:	• Specific services • Non-specific service
Depending on the objects of receiving services:	• Corporate • Natural persons
Depending on the method of formation and placement of the bank's resources:	• Active operations • Passive operations
Depending on the delivery charge:	• Paid services • Free services
In relation to the movement of the material product:	• Services related to the movement of material products • Services

Deposit operations are related to placement of clients' cash in deposits (deposits). Credit operation is the main operation of the bank. In general, the largest part of the bank's assets is made up of credit operations. Most often, the bank receives a large part of its income at the expense of lending to clients. Credit operation is still not the main link in the modern structure of banking operations. Due to the economic crisis, inflation and higher risk, commercial banks prefer to use not so much lending (especially refusing long-term lending), as other, more profitable and less risky operations (for example, foreign exchange operations).

Settlement operations carried out by banks can be carried out both by non-cash and cash settlement. Banks can open accounts from which payments are made based on the client's instructions. These payments are related to the purchase or sale of goods, wages, taxes, fees. During settlements, the bank acts as an intermediary between the seller and the buyer, as well as between enterprises. It also means tax authorities, population, budget (Valeri, DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“, 2022).

The three types of banking transactions discussed are traditional banking transactions. They are traditional primarily in the sense that historically, over a long period of time, they develop and acquire additional functions. It can be said that the mentioned banking operations are the most expensive.

Traditional banking operations can also include cash operations. In modern legislation, they are not included in the basic operations, but according to their purpose, they express the essence of banking activity.

Additional operations occupy an intermediate position between traditional and non-traditional operations. They include - foreign exchange operations, operations with securities, operations with gold, precious metals.

Non-traditional banking services include all other services. There are quite a lot of them, including: intermediary services, enterprise development-oriented services (stock exchange, stock placement, legal assistance, information services, etc.), guarantees, trust operations (according to the client's order, consultations and assistance), enterprise accounting Assistance, protection of client's interests in judicial authorities, delivery of safes, tourist services and others (Mosiashvili, https://ijsser.org/index.php, 2022).

It is forbidden for banks to carry out production, trade, as well as insurance activities. In accordance with the discussed classification, services are provided to both legal and physical persons. Practically, the set of services in different banks may be the same, their volume may be different. Some types of services occupy a small place in the list of services of commercial banks. They should increase the number of operations for individuals (including payments, lending for business and consumer needs, receiving deposits).

Banking services are divided into two main types - paid and free. It is the bank's job to determine whether it is necessary to take money from customers during settlement or not. Depending on certain

considerations, individual transactions including settlement, credit and deposits can be carried out free of charge.

Other, more detailed characteristics can be used in relation to the bank's income. They often allocate banking services that generate income. Sometimes the service is expensive and sometimes it is cheap. For example, most active operations allow the bank to earn income, while its passive operations involve paying interest on certain types of deposits. Some banking services require a lot of work, so their price is more expensive. For example, it costs more to process a letter of credit at a bank than a regular money transfer based on a client's tax bill.

Depending on the movement of the material product, banking services are divided into two types: 1. Services related to its movement; 2. Clean service.

Banks with their monetary operations mainly serve the movement of material products, the main part of which belongs to the first type of services. The given services of the bank (such as, for example, the services of transport, communication, trade enterprises) create a new additional value (introduce a significant amount of cash in the bank's coffers). Services are used by organizations that are directly engaged in material production, as well as to meet the personal requirements of individual citizens.

According to the novelty, traditional (consisting of standard and initial basic and additional services of a commercial bank) and innovative (created on the basis of non-standard, individual or new banking services and technologies) are distinguished in banking products.Thus, taking into account the above, it is possible to make the following brief conclusion (Mosiashvili, V., 2020):

1. The most characteristic feature of banking services is its production character. Even such a simple form as receiving cash funds of the population and enterprises in deposits acquires great importance.
2. It is noted that the bank, by providing passive or deposit services, transforms unused monetary resources into active resources. By serving their customers, banking operations contribute to the development and acceleration of production.
3. According to the author's opinion, a new banking product is the provision of new banking services or their complex in an unconventional way or using innovative technology. Constituent parts of its regulations are a documented and ordered set of organizational, technical, technological, financial, informational and legal procedures.

Bibliography

1. https://ijsser.org/more2022.php?id=278-დან
2. Mosiashvili Valeri. (2022 წლის 21 november). *http://ijsser.org/more2022.php?id=262*. http://ijsser.org/more2022.php?id=262: https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 http://ijsser.org/2022files/ijsser_07__262.pdf-დან
3. Mosiashvili, V. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.
4. Mosiashvili, V. (2022 1 November). *https://ijsser.org/index.php*. http://ijsser.org/more2022.php?id=262 (DOI: 10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 : URL: https://doi.org/10.46609/IJSSER.2022.v07i11.016 http://ijsser.org/2022files/ijsser_07_-დან
5. Mosiashvili, V. (2022). *https://ijsser.org/index.php*.
6. Valeri, M. (2021). *sabanko saqme.* Tbilisi: Dani.
7. Valeri, M. (2022). DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“. *International Journal of Social Science and Economic Research*, https://ijsser.org/view past2022.php?issue=12.

ხელოვნება

ირმა კეკელიძე

ვარაიდა, სი ვარაიდა

იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ

ქვეყნის უახლეს ისტორიაში, თანამედროვე მსოფლიოში, ცნობილ ქართველ რეჟისორს, დიდ მაესტროს, რობერტ სტურუას, მრავალ ქვეყანაში დაუდგამს სპექტაკლები... მრავალ ქვეყანაში უზეიმია შემოქმედებითი გამარჯვება, წარმატება, რომელიც არა მხოლოდ მისი, რობერტ სტურუას, არამედ სრულიად ქართველი ერის გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს... საქართველო, პატარა ქვეყნების, ნიშნული ქვეყნების რიცხვს მიეკუთნება და სწორედაც კულტურაა დიდ ქვეყნებთან, დიდ ერებთან, ჩვენი სალაპარაკო ენა, ჩვენი სავიზიტო ბარათი. ხელოვანი მარტო ის არ არის, რაც მას შემოქმედებითად გაუკეთებია - დაუდგამს, დაუწერია, დაუხატია და ა.შ.. ხელოვნებაა ისიც, თუ როგორ მოიქცევა დიდი შემოქმედი, ამა თუ იმ სიტუაციაში... როდესაც ერს ჰყავს, ისეთი დიდი ადამიანი, ხელოვანი, როგორიც რობერტ სტურუაა, სწორედაც მისი შემოქმედებით, ერი ხდება ცნობადი- მეგა სახელმწიფოებისათვის, სრულიად სამყაროსათვის...როგორც ზემოთ ავღნიშნე, დიდ მაესტროს, მრავალ ცივილურ, დიდ ქვეყნებში, დიდ სცენაზე, დაუდგამს არაერთი თეატრალური შედევრი...არ არის გასაკვირვი, ბუნებრივიცაა, დიდი რეჟისორის მხრიდან, რომ მან რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენა დაუთმო, მეზობელი ქვეყნის, სომხეთის, ცნობილ რეჟისორს, ჰაკოფ ღაზანჩიანს, რომელმაც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, ქართველ

მსახიობებთან ერთად დადგა, ამერიკაში მცხოვრები, სომეხი მწერლის, მარო მადოიან-ალაჯაჯიანის პიესა...ეს ფაქტი (დღევანდელ რთულ ყოფაში), დიდი მაესტროს მხრიდან, სწორედაც, რომ ერთა შორის კეთილი ნების, ურთიერთ პატივისცემის გამომხატველია. კულტურას საზღვრები არა აქვს და "კულტურული იზოლაცია", ჩაკეტვა ქვეყნის შიდა საზღვრებში, რაღაც უხილავი დაუნგრეველი კედლის აღმართვა, ნამდვილად ნეგატიურად აისახება ერის და ქვეყნის მომავალზე. შემოქმედებითი, კულტურული ურთიერთობები, ერთიან სოლიდარობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ერის, ქვეყნის, როგორც სულიერი, ასევე დიპლომატიური, პოლიტიკური ურთიერთობების წინა პირობაა...შემოქმედებითი ნდობა, ურთიერთ პატივისცემა, კულტურული ტოლერანტობა, ნებისმიერი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!.. კულტურული სოლიდარობის საუკეთესო მაგალითია, სპექტაკლი, რომლის პრემიერაც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ვიხილეთ, სახელწოდებით: "იცხოვრე, ვიდრე ცოცხალი ხარ"...



იცხოვრე ისე, როგორც საკუთარი გონება, გული გკარნახობს. რატომ მივდივართ ჩვენი გონების, გრძნობის, სურვილის წინააღმდეგ?! რატომ ვეწინააღმდეგებით საკუთარ თავს, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, მომავლის ხედვას, რა ასაკისაც არ უნდა ვიყოთ?!. ეს არის პიესის ავტორის ძირითადი სათქმელი...

სპექტაკლი ცნობილი ქართველი მომღერლის ემიგრაციაში ყოფას ასახავს. პერსონაჟები ემიგრაციაში მყოფი ქართველები არიან, რომლთა გონებაც შეპყრობილია სამშობლოსადმი ნოსტალგიით, მონატრებით, განცდით. უცხო ქვეყანაში სიცოცხლის დასრულების შიშით. ყველა მათგანს სურს სიცოცხლის ბოლო დღეები სამშობლოში გაატაროს, მათი სამუდამო განსასვენებელი მშობლიური მიწა იყოს... პიესა კომედიური ჟანრისაა, მაგრამ ლეიტმოტივად მაინც თითოეული პერსონაჟის სევდანარევი ყოფა გასდევს. პიესის მთავარი გმირი, ქეთევანი (მსახიობი ნინო თარხან-მოურავი), დაბადების დღეს მარტოობაში, მოწყენილი აღნიშნავს. შვილები მისგან შორს, თავთავიანთი საქმით არიან დაკავებული. ერთმანეთისგან სიშორით, ცივი, გულგრილი დამოკიდებულებით, მის ოჯახს რაღაცნაირი ჩრჩილი გაუჩნდა, რომელიც შინაგანად ღრღნის და გუნება-განწყობას უმძიმებს. ქეთევანი ცდილობს, შენიღბოს განცდები, მაგრამ მის დაბადების დღეს, ყოველივე ეს შეუძლებელი ხდება... ყველაფერი აშკარაა და ღიაა...მაყურებლის ინტერესს იპყრობს პერსონაჟები, რომლებიც ქეთევანის დაიკოს, ნინოს (მსახიობი მაია ხორნაული), საოცარი ოპტიმიზმით და ენერგიით შემოჰყავს სცენაზე. ესენი არიან, მოხუცთა ბაღის "აღსაზრდელი", ხანდაზმული ადამიანები, რომელთა გულწრფელი მილოცვა, სიმღერა, პოეზია, ცეკვა და ა.შ. ქეთევანის მოწყენილ, ღრუბლიან, დაბადების დღეს, ხალიხიანს და მზიანს გახდის...თითოეული პერსონაჟი (მსახიობი) კარგად გრძნობს, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის ბედი კი არ არის მთავარი, არამედ ყველასი ერთად. მსახიობებს შენარჩუნებული აქვთ აქტიორული თამაშის საერთო დონე, რასაც თითოეულმა მათთაგანმა წარმატებით გაართვა თავი. სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების არტისტები ერთად ეწევიან სპექტაკლის (პიესის) უღელს, რითაც საოცარ ერთგულებას იჩენენ პარტნიორების მიმართ...უჭირს თითოეულ ემიგრანტს, მეტისმეტად უჭირს. მათი სალაპარაკო თემაც მხოლოდ სამშობლოში დაბრუნება, სამუდამო სასუფეველის, ახლობელი ადამიანების გვერდით დამკვიდრდბის თემაა. ლაპარაკობენ, დარდობენ, თითქოს გამოსავალს ეძებენ...და ეს გამოსავალი მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთმა გმირმა, კარმენმა (მსახიობი მარინა კახიანი) მოძებნა. სპექტაკლის მსვლობისას, რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ვერ მეტყველებს, ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ყველას გასაოცრად ხმას

ამოიღებს. მისი პირველი სიტყვებია-"ბრავო! ბრავო!"...კარმენი მიესალმება ინვალიდთა სავარძელში მსხდომ მოხუცი პერსონაჟების (მსახიობები მანანა გამცემლიძე, სოსო აბრამიშვილი) დაქორწინებას....კარმენი ემოციური ხმით მიმართავს, მისი ოცნების მამაკაცს, ირაკლის (მსახიობი თენგიზ გიორგაძე), რომ სიყვარული არასდროს არ არის გვიან...რომ სიყვარულის უფლება ყველას აქვს, ნებისმიერ ასაკში, რითაც გონებით წარსულში ჩარჩენილ, ოცნების მამაკაცს, გამოაფხიზლებს, ცხოვრებას, რეალურ ყოფას დაუბრუნებს...კარმენი და ირაკლი, ერთად ამბობენ ფრაზებს: "უნდა ვიცხოვროთ, ვიდრე ცოცხლები ვართ!..უნდა ვიცხოვროთ, ვიდრე შეგვიძლია!"..კარმენისა და ირაკლის (მარინა კახიანი, თენგიზ გიორგაძე) ყურებისას, როგორც მაყურებელს, პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მსახიობებს არავინ ზღუდავს, ისინი სრულიად თავისუფლები არიან, რასაც წყვილი ძალიან კარგად გამოხატავს, ლამაზი მუსიკის ფონზე ცეკვით, მოძრაობით, ნებისმიერი ქმედებით...გვინახავს სპექტაკლები, სადაც რეჟისორები ზღუდავენ მსახიობებს. ქმნიან რაღაც მოქმედების სქემას, რომელიც მსახიობმა არ უნდა დაარღვიოს. ასეთ შემთხვევაში, მსახიობი, რეჟისორის ბრძანებების ბრმა შემსრულებელი ხდება, რითაც არტისტი და თავისთავად სპექტაკლიც ხიბლს კარგავს. საბედნიეროდ, რუსთაველის თეატრის სცენაზე მდგარ მსახიობებს, ამგვარი წნეხის ქვეშ ყოფნა არ უხდებათ და მათ ყველა მოძრაობაში, მონოლოგში, დიალოგში, ცეკვასა, თუ სიმღერაში, პროფესიონალური თავისუფლება იგრძნობა, რაც უპირველესად მათი პედაგოგის, დიდი მაესტროს, რობერტ სტურუას ხელწერა და დამსახურებაა...

სპექტაკლში გვხვდებიან ძალიან საინტერესო პერსონაჟები: დავითი (მსახიობი ლევან ბერიკაშვილი), ზურაბი (მსახიობი ბაჩი ლეჟავა), თინა (მსახიობი დარეჯან ხარშილაძე), სალომე (მსახიობი მარიტა მესხორაძე)... რომლებმაც ძალიან საინტერესოდ, პროფესიონალურად წარმოაჩინეს თავიანთი პერსონაჟების ხასიათი და სათქმელი... მაყურებელის პოზიციიდან, მოკლედ შევეცადე მეთქვა ის, რისი თქმის უფლებაც მქონდა და ჩემი აზრი გამომეხატა სპექტაკლის შესახებ... დანარჩენს, რა თქმა უნდა ხელოვნებათმცოდნეები, თეატრალები და ა.შ. პროფესიონალები იტყვიან...

გულწრფელად ვულოცავ, წარმატებულ პრემიერას, შემოქმედებით ჯგუფს: პიესის ავტორს - მარო მადოან-ალაჯაჯიანს, რეჟისორს, მხატვარს, მუსიკალურ გამფორმებელს - ჰაკოფ ღაზანჩიანს, ქორეოგრაფ-კოტე ფურცელაძეს, რეჟისორის თანაშემწეს - ციცინო გვაზავას...ვულოცავ მსახიობებს, რუსთაველის ეროვნულ თეატრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელს, ბატონ რობერტ სტურუას, მორიგ წარმატებულ პრემიერას, რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე...

პატივისცემით, სპექტაკლის მონაწილე პარტერიდან, მაყურებელი

ნიშნად სიყვარულისა

საოცარი განცდა მეუფლება, როდესაც თბილისში, რუსთაველის გამზირზე სეირნობისას, კლასიკური გიმნაზიის წინ გავივლი. მინდა თუ არა, ჩემს ყურადღებას ილიას და აკაკის ამაყად მდგარი ძეგლები იპყრობს... ისეთი განცდა მეუფლება, რომ სწორედაც ილია და აკაკი არიან

მასპინძლები, ამ ისტორიული სასწავლებლისა, რომლის არსებობაც ორ საუკუნეზე მეტს ითვლის...რომლის კედლები და შიდა სივრცე, ერის, ახალ და უახლეს ისტორიას სრულყოფილად მოიცავს და გზას გიკვლევს, მომავლის უფრო მკაფიო ხედვისკენ, უფრო მეტად განვითარებისკენ, ერის და ქვეყნის სიყვარულისკენ...

მიმდინარე წლის 24 მაისს, გიმნაზიის დირექტორმა, ულამაზესმა, უნიჭიერესმა, უკეთილშობილესმა, თამარ (თამუნა) კაპანაძემ, მე და ჩემი მეუღლე (რუსთაველის თეატრის მსახიობი- თენგიზ გიორგაძე), კლასიკურ გიმნაზიაში, მოსწავლეთა მიერ დადგმულ სპექტაკლზე დაგვპატიჟა...საოცარი, ხალისიანი, მოსწავლეთა ჟივილ-ხივილით გაჯერებული, საზეიმო განწყობა სუფევდა გიმნაზიის სააქტო დარბაზში, რომლის სცენაზეც სპექტაკლის პრემიერა გაიმართა..."ნიშნად სიყვარულისა", ასე ჰქვია პიესას, რომლის ავტორიც გვანცა ფიფია გახლავთ. სპექტაკლის წამყვანმა და რეჟისორმა, გიმნაზიის მოსწავლემ, მარიამ მითაგვარიამ, საოცრად დამაჯერებლად და პროფესიონალურად გაართვა თავი, იმ საპასუხისმგებლო მისიას, რასაც რეჟისურა და არტისტიზმი ჰქვია...მივყვეთ სპექტაკლის მსვლელობას. თემატიკა, ისევ და ისევ, ყველაზე მტკივნეული, აფხაზეთის ოკუპაცია და ამ უმშვენიერესი კუთხიდან, იძულებით, დედაქალაქში მაცხოვრებელ დევნილთა ყოფაა...

პიესის, სპექტაკლის, თითოეული პერსონაჟის ბუნება, ბედი და ხასიათი, ავტორის მიერ მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის დახატული. მოქმედება, თბილისში, სასტუმრო "საქართველოში" ხდება, რომელიც დევნილთა თავშესაფარი და რეალური საცხოვრებელია. მოქმედ პირთაგან სამი ქალბატონი გამოირჩევა, რომელთა ტკივილიც რეალურად, დევნილთა ყველა პრობლემას მოიცავს. ისინი განსხვავებული, ურთიერთდაპირისპირებული ხასიათით გამოირჩევიან, მაგრამ სატკივარი, სადარდელი, განცდა, ჭირ-ვარამი, მაინც ერთი აქვთ...პიესაში, სპექტაკლში, შემოსული სხვადასხვა პერსონაჟები,სცენაზე ბუნებრივ ატმოსფეროს ქმნიან. პიესის ავტორის და რეჟისორის ჩანაფიქრით- ბუნებრივად, ლაღად, იუმორით, წარმოჩენილი პერსონაჟთა სახეები, აზრიანი უბრალოებით არის გაჯერებული, რომელსაც თავისუფლად (ძალდატანების გარეშე) აღიქვამს მაყურებელი...

სცენაზე დეკორაცია, ერთი შეხედვით, უბრალოა, მაგრამ ზუსტად ქმნის ატმოსფეროს, როგორც თემატიკის, ასევე დევნილთა არსებული სიტუაციის ასახვისა. სპექტაკლის აზრს რეჟისორი (წამყვანი) გამოთქვამს უფრო ლოგიკური სიცხადით, ვიდრე ემოციური კონტაქტით...და რაც მთავარია, სპექტაკლის ყველა დეტალს, სათქმელს და თემატიკას კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით უდგება, რაც არაპროფესიონალი რეჟისორის შემთხვავაში, მხოლოდ და მხოლოდ ქებას, ბრავოს, იმსახურებს...

კლასიკური გიმნაზიის სცენაზე გამართული სპექტაკლის თითოეული პერსონაჟის ბუნება, ბედი და ხასიათი, მართლაც რომ თითოული ჩვენთაგანის ყოფის ნაწილია...ერთ წერილში ძნელია, სპექტაკლზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი. თუმცა უნდა ითქვას, რომ პიესა (სპექტაკლი) აზრობრივი შინაარსით, საოცრად ეხმიანება ილია ჭავჭავაძის გამონათქვამს "რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია"...სპექტაკლის სახელწიდებაც "ნიშნად სიყვარულისა", სწორედაც რომ სიყვარულით შენების მიმანიშნებელია...

სპქტაკლის დამთავრების შემდეგ, გიმნაზიის ულემაზესი, უნიჭიერესი, სახით და სულით ნათელი ქალბატონი, თამარ კაპანაძე, შემაჯამებელი სიტყვით მოეფერა პატარა მსახიობებს, შემოქმედებით დასს...სპექტაკლს ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე- ჯემალ გამახარია; სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვნელი-დავით საყვარელიძე; რუსთაველის თეატრის მსახიობი-თენგიზ გიორგაძე და სხვა მოწვეული სტუმრები... ბატონმა ჯემალ გამახარიამ, მიულოცა გიმნაზიის მოსწავლეებს, ხელმძღვანელობას, საინტერესო, ეროვნული ტკივილით გაჯერებული, სპექტაკლის პრემიერის წარმატებით ჩატარება. საინტერესო მიმოხილვა და შეფასება გააკეთა, დღევანდელ არსებულ სიტუაციაზე, ჩვენი ქვეყნის უმშვენიერესი კუთხეების-აფხაზეთის და სამაჩაბლოს დღევანდელ ყოფასა და რეალობაზე.ბატონმა ჯემალ გამახარიამ, წარმატებები და გამარჯვებები უსურვა, გიმნაზიის

ახალგაზრდობას, ერთიან და ბედნიერ საქართველოში...ახალგაზრდების (მოზარდების) შემოქმედება, დადებითად და ლამაზად შეაფასა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა- თენგიზ გიორგაძემ...რომელმაც ომახიანი შეძახილით დაასრულა მისი სიტყა-"თქვენა ხართ ის თაობა, ის ძალა, ვინც აფხაზეთს და სამაჩაბლოს, ომის გარეშე, მშვიდობიანი, არა დამანგრეველი, არამედ მენტალური რევოლუციის გზით დაიბრუნებს!.."

მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორის, თამარ კაპანაძის, ძალისხმევა და საოცარი მონდომება იმ კუთხით, რასაც მოსწავლეთა მიმართ, საგნობრივ ცოდნასთან ერთად, კულტურულ- შემოქმედებითი აღზრდა, განვითარება და წარმოჩენა ჰქვია, რომლის მაგალითიც თუნდაც იმ სპექტაკლის პრემიერაა, რომელსაც " ნიშნად სიყვარულისა" ჰქვია...და ბოლოს, ისევ ილიას და აკაკის მინდა დაუბრუნდე და მათი სიტყვებით, ფრაზებით, დავამთავრო ჩემი სათქმელი...

"სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას. იგი ამ თავის თვისებებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი სანატრელი, ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი, სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას გააშლევინებს"... - ილია ჭავჭავაძე

"სცენა არის სარკე ცხოვრებისა, ავ-კარგის უტყუარად მაჩვენებელი, რომელიც მსმენელ-მაყურებელს გრძნობა-გონებას უვითარებს. თეატრი ხალხის გამწვრთნელი უმაღლესი სკოლაა, თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ, სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუვრად უნდა აგვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ სანახაობით მოხიბლული, მშვემიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშვერებას ზიზღით გავურბოდეთ...ქართულმა სცენამ უნდა გატეხილი გული გაგვიმთელოს, გაგვამხნეოს, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი გაგვაცნოს, ბოროტი შეგვაძულოს და კეთილი შეგვაყვაროს"... - აკაკი წერეთელი

მადლობა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორს, მოსწავლეებს, შემოქმედებით (თეატრალურ) დასს, ლამაზი დღის ჩუქებისათვის...ისევ და ისევ, მადლიერებით და სიყვარულით - ირმა კეკელიძე

ნორჩი ათინათელები

8 წლის ნია ზეინკლიშვილი ქარელიდან









გიორგი ქენქაძე

დიდი ოჯახი ფორტეპიანო

მოდით ვიმოგზაუროთ მუსიკალურ სამყაროში, წინ საინტერესო გზა გველოდება.

უხუცესი ნოტი დო იჯდა დაფიქრებული, მასთან მივიდა ნოტი რე, მიესალმა,რა გაგჭირვებია ძმაო, ასე დაღონებული რად ზიხარ? - ჰკითხა რემ.

- ეეჰ, ჩემო ძმაო, რამდენი ხანია ჩვენი დედმამიშვილების არა ვიცით რა, დარდი მომეძალა.

ავდგეთ და წავიდეთ, მოვინახულოთ უთხრა რემ, წავიდეთ დაეთანხმა დო და გაუდგნენ გზას, იქვე მახლობლად ნოტი მი ცხოვრობდს, მიაკითხეს, მოიკითხეს და სამივემ გააგრძელეს გზა, მიადგნენ ნოტი ფას სახლს, ჩამიჩუმიც არ ისმოდა, შეშინდნენ, ცუდზე ნუ ვიფიქრებთ, იქნებ სტუმრად არის წასული, უმჯობესია გზა გავაგრძელოთ და განაგრძეს გზა. მიადგნენ ნოტი სოლ-ის სახლთან, სახლიდან ჟრიამული ისმოდა, შევიდნენ სახლში, ნოტი ფა და ნოტი ლაც სოლთან იმყოფებოდნენ, ესენიც შეუერთდნენ და ყველანი სი-ს მოსანახულებლად წავიდა.შვიდი დედმამიშვილი იყო და შვიდივემ ერთად მოიყარა თავი,მოისიყვარულეს ერთმანეთი.

დო-მ განაცხადა კარგია ერთმანეთი ვნახეთ,მაგრამ წავიდეთ ჩვენი ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც ვნახოთო.დიდი ხნის სიარულის შემდეგ ყველანი ერთად შეიკრიბნენ.

– მოდი რადგან ბევრნი ვართ და სახელებიც ერთნაირი გვაქვს ჯგუფებად დავიყოთ.

– არა ძმაო, ჯგუფები არ შეგვეფერება, ჩვენ მუსიკალურები ვართ, ოქტავებად დავიყოთო – სიტყვით გამოვიდა რე. მართლაც ასე მოიქცნენ, ყველას სხვადასხვა სახელი ჰქონდა: სუბკონ-

ტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, პატარა ოქტავა, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ოქტავა.

კარებს ლამაზი მანდილოსანი და ახოვანი მამაკახი მოადგა, – მობრძანდით, ვინ ხართ, ჩვენ არ გიცნობთ?

– მოგესალმებით, ჩვენ ნოტის გასაღებები ვართ, დაგეხმარებით, თუკი ერთად ვიქნებით, დამიჯერეთ კარგად ვიმღერებთ.

ჩემი სახელია ვიოლინოს გასაღები,ძალიან მხიარულად შემიძლია სიმღერა,ხოლო ჩემი მეგობარი ცოტა სევდიანია და მას ბანის გასაღები ჰქვია,მიგვიღეთ თქვენს გუნდში.რაღა თქმა უნდა მიიღეს.

განაგრძეს გზა, თან მღეროდნენ,გზად სამი უცნაური პიროვნება შეხვდათ, მათ შორის ერთი დიდი მუცლით იყო,მიესალმნენ ერთმანეთს, რა კარგად მღერიხართ, ჩვენც მიგვიღეთ გუნდში.

– აბა რისი გაკეთება შეგიძლიათ, გაგვეცანით ვინ ხართ?

– მე დიეზი ვარ და შემიძლია თქვენი ხმა ნახევარი ტონით მაღლა ავწიო.

– მე ბემოლი ვარ და თქვენს ხმას ნახევარი ტონით დაბლა დავწევ.. მე კი,მე ბეკარი ვარ და ხმებს გავაბათილებ. საინტერესოა, მოდით ერთად ვიმღეროთ,დაიწყეს სიმღერა და მათი ხმა ძალიან შორს ისმოდა. თანდათან ემატებოდათ მოხალისეები, სანოტო ხაზები, შტრიხები და ვინ მოსთვლის რამდენი ვინმე შეუერთდათ.

ყველას უნდოდა ამ ლამაზ და მხიარულ გუნდში ყოფნა.

ჩვენც მიგვიღეთ არ ინანებთ, ჩვენც ოთხი დედმამიშვილი ვართ. კი მაგრამ თქვენ რის გაკეთებას შეძლებთ? ჩვეენ, ჩვენ იცი რას გავაკეთებთ? რომ დაიღლებით დასვენების საშუალებას მოგცემთ,ჩვენ პაუზა ვართ.თანდათან ბევრნი გახდნენ და საინტერესო იყო,ზოგიც თეთრი იყო, ზოგიც შავი.

ყველანი ერთად სასიამოვნოდ ვმღერივართ,ნუღა გავიფანტებით,ერთად ვიცხოვროთ, წინადადებით გამოვიფა პირველი ოქტავა.

კარგით,კარგი აზრია მაგრამ ამდენი სად დავეტევით? - ჰკითხეს დანარჩენებმა.

ყველამ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება,იყიდეს ერთი დიდი ბინა და მას ფორტეპიანო დაარქვეს,იმ დღის შემდეგ ყველანი ერთად ცხოვრობენ და ყველასათვის სასიამოვნო სტუმრები არიან.

გახსენება

გეგა გიორგი ხვედელიძე
ჯაბა ლურსმანაშვილი

შინდისის გმირები

გააზიარეთ და გააზიარეთ.... რათა უფრო ბევრმა ადამიანმა იცოდეს ჩვენი დროის გმირების ისტორია!!! ❤

სოფელ შინდისის მაცხოვრებლები ჰყვებიან:

„ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს..

„მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი" -ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, „ლიმონკა" მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის „მამაო ჩვენო". ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც – რომან

ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. „არა" – უპასუხა ალეკომ..

ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა...

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვეს"..

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით გაოგნებულმა მტერმა, დახოცილების ნივთებს ხელი არ ახლო..

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა...

როცა 17 შინდისელი სახლში მიასვენეს,

ერთ-ერთი გმირის,მიშიკო დვალიშვილის ცხედარს ყველაფერი თან ჰქონდა – იარაღიც, ჯავშანჟილეტიც და მობილური ტელეფონიც...

და ჯიბეში, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაწერა –

„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულისკაცები და ვაჟკაცები..
ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს.
ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ"..
ის ლექსებს წერდა და სიგიჟემდე უყვარდა საქართველო...

ლამზირა შეყილაძე

მეგობრისთვის თავგანწირვა ჰქვია..!

შვილო ალიკა შენ გარდიცვალე მეკი მოვკვდი,უშენობით,მონატრებით, უსიცოცხლო სხეულის ტარებით, შენი ძებნით, ლოდინით, უიმედობით, უსასრულო ფიქრით და საერთოდ ყველაფრით. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან ურთიერთობა უმძიმესი სასჯელია, და ეს იკისრა თავად ჩემზე ადრე შვილზე გამწარებულმა და სხვა ტკივილებით გულდამძიმებულმა მეგობარმა და სულიერმა დამ გულნაზ ხარაიშვილმა რომელიც წუთით არ მტოვებს უყურადღებოდ. სადაც წავა თან დავყავარ, ყოველი დაცემისას ფეხზე წამომაყენებს ხოლმე. შენს გატანჯულ გაცრეცილ დედას ნაბიჯ-ნაბიჯ ახლად ფეხადგმული ბავშვივით მასწავლის ჩემთვის უცნობ სამყაროში სიარულს. მასწავლის სიკვდილში სიცოცხლეს და ღმერთთან სიახლოვეს. მაკვირვებს ამ გაუტანელ ცრუთა ჭაობში მისი ერთგულება და თავგანწირვა. სწორედ ასეთ მოქმედებას მეგობრისათვის თავგანწირვა ჰქვია.

შვილო ალიკა... რაც შენ წხვედი ამ ქვეყნიდან მას შემდეგ ჟურნალი, ათინათის მკლავებში განანავებს გულნაზი დეიდა. მან თავადაც მოგიძღვნა ლექსი. ჩემი მადლიერება მისთვის მცირედი იქნება ამიტომ უფალს ვთხოვ უხვი წყალობა გამოიმეტოს მისთვის და ყველა მის გულში მყოფი ადამიანისათვის.

გულნაზ ხარაიშვილს...
უფლის რწმენით დახვალ ქვეყნად,
ალალი და მართალი
შენი თბილი გული გახდა
ჩემი თავშესაფარი.

ვერ მოვიხადე მე თქვენი ვალი

ორი გიორგი – რატიანი და ნიჟარაძე

როგორც დარაჯი მთვარე ცის თვალი,
მოწმეა შხარას სევდის ჩურჩულის,
ვაი მათ დედას სისხლია კვალის,
ბედისწერაა მართლაც ურჩხული.
მე ვდუმვარ როგორც თევზები წყალში,
ვაანალიზებ ცრემლიან აზრებს,
ვერ მოვიხადე მე თქვენს წინ ვალი,
კვლავ გაუფრთხილდი გულს განაკაწრებს.
გაურბი ფიქრებს, მივდივარ სადღაც,
ფეხდაფეხ მომდევს გლოვის აჩრდილი,
მე ჩემი წილი ისეც მაქვს დამღა,
ჩემი გულია დანით დათლილი.
სევდა ეს ჩემი საცხოვრისია,
თქვენ კი გზაში ხართ, მიხვალთ უფალთან,
გელას სახელი უკვე იციან,
დაგელოდებათ გაშლილ სუფრასთან.
შვილკმდარი დედა გავამზიანებ,
რწმენის იმედად ბალიშს ცრემლიანს...
ჩემს შვილს დარდები გაუზიარეთ,
უყვარს სვანები თანაც ძალიან.
ზღვა სამძიმარი ჩემგან თქვენს დედებს,
ერთი აქაა, ერთი ცაშია,
თქვენ მე გამგვანებთ იმ ლამაზ გედებს,
რომ შემოავლებთ ცისკარს არშიას.
გაყობთ ცასა და მიწას შუაზე,
ორნივ ვარსკვლავად ცას აინთებით,
ჩემს შვილს ბიჭებო ასე უამბეთ,
ვარსებობ... ვცოცხლობ ,,ათინათებით"!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

„ვოი დედეშ"... „ვოი ნანა"...

* * *

დღეს რომ ცისკრის მაცნე მოვა,
ტაბლას გავშლი შხარის ძირას,
საქორწილო მაყარს ვუხმობ,
თუ გათენდა ღმერთო დილა!
ნისლის ჯვალოს გადავფერთხავ,
არწივების ცათა ალაგს,
მყინვარიდან გადავხედავ,
თქვენი სულის მყუდრო კარავს!
მაგრამ თუკი ვერ გათენდა,
ცოდვა ედოს „მულხურ" ჭალას,
უდრეკ ლოდებს ბზარს გაუჩენს,
„ვოი დედეშ"! „ვოი ნანა"!
მაგრამ თუკი მეხთატეხად
შავ ღრუბელმა შემოგბღავლათ,
მარტო თქვენ თავს არა ხდება,
იქ, თქვენამდეც იყვნენ მგზავრად!
დღეს რომ დილა გათენდება,
გათენდება თქვენთვის განა?
შხარა დარდით გათეთრდება,
„ვოი დედეშ"!... „ვოი ნანა"!
შავთალხმოსხმულ მნათობებსაც,
ენგური გზას გაუკვალავს,
ლამარია გულს ჩაგიკრავთ,
„ვოი დედეშ"! „ვოი ნანა"!
რადგან ამა საწუთროში
სიყვარულით იხდით ღალას!
თქვენი სულის სიდიადით,
წახვალთ ზეცას უფლის ტაბლას!
დღეს უფალი გიხმობთ... მასაც,
გზა მართალთა თქვენთან უდევს,
რადგან კაცი ცოდვა-მადლის,
სიცოცხლეში ავლებს ზღუდეს!
კლდეებს ზარის ექო ბზარავს;
ცოდვამ ხელი რად დაგვრია...
კვლავ საჯიშე ბიჭებს ვკარგავთ,
ღაწვს იხოკავს ლამარია!
მჯიღებს იცემს მკერდზე შხარა.
„ვოი დედეშ"! „ვოი ნანა"!

ეთერ ჭელიძე

დათა შუბითიძეს

* * *
დღეს შენი გვარი
ილოცება,
შუბითიძეები დათა,
ბედთთან თუ აუგი
წამომცდება,
მასზე გამწყრალი ვარ
მართლა.
რადგან ზეცაში ხარ
უფლის შვილო,
დარდი დაუტოვე მშობლებს,
სული რომ კვლავ არ
ვაშიმშილო,
პური დავუყარე ხოხბებს.
დღეს მე ვუერთდები
ლოცვის დღეებს,
რომ არ წამაქციოს ქარმა,
ალბათ მოვერევი
დარდის დევებს,
იმედს დავეწაფე
ხარბად.

გელა სხირტლაძეს

სულში გადავსახლდი

სულის გაზაფხულში მიტომ გადავსახლდი,
ნაირფერებშია ქორფა ენძელები,
სადაც ფეხი დავდგი შვილო, სულ შენ მახლდი,
ჰოდა, მონატრებას აღარ ეძნელები.
აპრილ- მაისებმა ისე იზეიმეს,
არსად არ გამოჩნდა ნაზი ცისარტყელა,
ცა რომ ლამაზ ვარსკვლავს,
ღამით გულს შეიბნევს,
მაშინ გამოჩნდება ვიცი ჩემი გელა.
და მე ცისკარელი ცისკარს გამოვაღებ,
ტკბილად გავუღიმებ ყველა ჩემიანებს,
დარდის ყინულები რწმენით გამოვალღვე,
ცაში წასასვლელად მიტომ ვიგვიანებ!

გადაღლილი თვალები

ვგრძნობდი, რომ ცის ფანჯრებიდან გარდაცვალებული მირანდა წიკლაური იყურებოდა და უხაროდა თავისი მეგობრების დანახვა. ანგელოზი გოგონა, ათი წლის წინ ქსორველებთან ერთად მღეროდა, ერთი ციცქნა პატარა კუდრაჭა გოგონა ,ქსორველებს ძალიან უყვარდათ. ანგელოზი უფალმა წაიყვანა. რომლის გარდაცვალებამ მომღერალთა გუნდს დიდი ტკივილის დაღი დაუტოვა.

მღეროდნენ მირანდას სურათთან ქსორველები და ვგრძნობდი, რომ მირანდა იქ იყო. თითქოს სურათიც მეტყველებდა, უხაროდა თავისი ძმადნაფიცების დანახვა. მირანდა მასპინძლობდა ივიკო ჭელიძეს, ივიკო ფეხბურთელი იყო და დიდ ნიჭთან ერთად ერთად დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ სპორტის ოსტატები. უფალმა ივიკოც წაიყვანა. ზეცის საიდუმლოებები ჯერ კიდევ აუხსნელია, მაგრამ მე ეს ასე მწამს და მჯერა ანგელოზები მაშინ წაიყვანა როცა დაჭირდა. მადლობა ბატონ ელდარ შოშიტაიშვილს, რომ თხოვნა შემისრულა, მოვიდა და სიმღერით შეეხმიანა, არა მარტო ივიკოსა და მირანდას, არამედ ჯუმბერ ლეჟავას სულს და ყველა აკადემიის წევრს, მეცნიერებსა და პოეტებს. სულების წინაშე ვალმოხდილმა სიმშვიდით გადავინაცვლე მეორე ითახში სადაც ახალი 48 ნომრის ჟუნალის პრეზენტაციას ატარებდა პოეტი ეთერ ჭელიძე. ბოლოს კი ოცდახუთი ივნისის ღონისძიების კმაყოფილებით ვალმოხდილმა, რუსთავის გზაზე მიმავალმა, ლოცვით გავიარე, ანჩისხატი, სამება, სიონი, მეტეხი და და სახლში მისულმა სიმშვიდის ბალიშზე მივლულე გადაღლილი თვალები!

მარეხი რიკაძემ გადმომიგზავნა

ხვანის სასაფლაოზე შევიარე და სურათები გადაუღე შენს მშობლებს და ძმებსო. მარეხი მჯერა, რომ სურათებს როცა იღებდი ქვად ნაქცევი თვალები გეჟღრტულებოდნენ .ისიც მჯერა ,რომ ჩემი მშობლები და ძმების სულები დაგლოცავდნენ. მახარებ ჩემო ნიჭიერო გოგო, შენი ნიჭით. თამამად ვიტყვი შენ პოეტი ხარ. რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული ყურადღებას არ მოგაკლებ. ღრმად ვარ დარწმუნებული რომ ბეჟანის და ჩემს შემდეგ ხვანში გაზრდილი მარეხი რიკაძე დაბლიდან ზეცად შემოგვაფენს ლექსის თითებს და გაგვიხსნებს.

ტრაგედია რაჭაში

* * *

❤

ვტირი, მთამ გული დამარხა,
რადა სძულს ნეტავი მოყვრები,
თვალებო, ნეტავ არ განახათ,
ჩაყლაპა კლდეებმა ბოკვრები.
სად გარბის ნეტავი ეს ღორღი,
რად იშვა ან საით წავიდა,
რაჭის მთებს ბოროტი
 რად სჯობნის,
წალკოტი მიწაში ჩავიდა.
მოგისამძიმრებ ბუნებავ,
როგორც სულიერ არსებას,
ნუთუ ეს ღმერთმა ინება,
ვერ გნახავ ნუ გეწყინება
სად გაქრა შენი კანონი,
სტუმრების გამასპინძლება,
ჩაირთო სიკვდილის წამზომი,
დღითი დღე უფრო მძიმდება.
რა წესები გაქვს ასეთი,
მიყვარდე თუ არ მიყვარდე,
მანიშნე რატომ გამხეცდი,
ისევ გულში რომ გიკრავდე!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

* * *

ნეტავი იყოს სიზმარი
ცუდი სიზმარი ღამისა,
დედის უბეში გაზრდილნი
სადარნი მზის და მთვარისა,
გესმოდეთ დედის ტკბილი ხმა
სიმღერა იავნანისა,
ტკბებოდეთ დედის ზღაპრებით
არ გაშინებდეთ ავი ხმა,
ვაი რომ ბედის განგებას
ვერც თქვენი ბედი გაექცა,
დედას, საბრალოს რა ექნა
რომელი შვილი დაეცვა,
იქნებ და როგორ იბრძოდა
და ბრძოლის ველზე დაეცა,
ზეცად აჭრილილმა კივილმა
მთები დასეტყვა, დანისლა,
ცოცხლად ჩამარხულს შვილებთან
უფალი გულში ჩაიკრავს,
ვაგლახ- ბედკრული ბედისგან
დღე ბედნიერი გაექცა,
შვილ მკვდარი დედის სახელით
ყველა ტკივილებს აიტანს,
შვილმკვდარი დედის გაჩენა
უკვე რამდენჯერ დაიწვა,
ანგელოზებად გაფრინდით
მეგზურნი თეთრი ღამისა,
იძინეთ მშვიდად დედასთან...
დედა ყოველთვის დაგიცავთ!

მალვინა ჭელიძე

მილოცვა

მარიამ იორამაშვილი

,,შენ რომ ფეხსაცმელი არა გაქვს გაიხსენე სხვას ფეხი არა აქვს.."

,,მშიერს ცხვირწინ ნუ უტრიალებ შემწვარ-მოხრაკულს..."

და კიდევ რამდენი ასეთი შეგონება მახსენდება ჩემი ტკბილი მშობლებისგან იმისთვის რომ ადამიანად გავზრდილიყავით სხვისი ტკივილი გვტკენოდა და სხვისი სიხარულით გაგვეხარა... მადლობელი ვარ ჩემო უტკბილესო დედუკა რომ თუკი რამე კარგი გამაჩნია შენი და მამას სამართლიანი და ზეადამიანური სულისკვეთებით და ულამაზესი სულით დამამჩნიეთ კვალი გულში და გონებაში..მიყვარხართ სიცოცხლეზე მეტად და მეამაყებით ჩემს სამყაროს ასე ავსებთ სიყვარულით, რწმენით და იმედით!

უკვდავი ლეგენდა



ცხრა წელიწადი იმოგზაურა, მსოფლიო მოგზაურმა მსოფლიოს გარშემო ჯუმბერ ლეჟავამ და გარდაცვალებიდან უკვე ცხრა წელი გავიდა. აკადემიას რომელიც უკვდავი ლეგენდის სახელს ატარებს, დაარსდა 2010 წელს. მისი სიცოცხლეშივე დაარსებულ ორგანიზაციის წევრებმა, მეცნიერებმა, პოეტებმა, მხატვრებმა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა იციან მსიფლიო მოგზაურის ფასი და ყოველთვის მოწიწებით იხსენებენ გინესის რეკორდსმენის სახელს.

ივლისი მისი დაბადების თვე არის.

გილოცავთ

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო აკადემიის წევრებო, გილოცავთ „ათინათის“
ორმოცდამეცხრე ნომრის გამოცემას.

რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
„ ჯვარცმა“ 3
„ ფერისცვალება“ 4
დეისუსი 4
მამა გაბრიელი 5
გულნაზ ხარაიშვილი
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
გულნაზ ხარაიშვილი
მამა ამირან ამირანაშვილი 8
შევქმენ ჟურნალი 9

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 10
კახა ბაციკაძე 11
გიორგი ზუხბაია 12

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე 14
ირაკლი ნადარეიშვილი 16
თემურ გოგსაძე 18
თეა ბარბაქაძე 20
ეთერ ჭელიძე 22
კოტე მესხიძე 25
ნინო უძილაური 26
გერონტი მესხი 28
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 30
მამა ამირან ამირანაშვილი 32
ლამზირა შეყილაძე 33
თენგიზ ფანცულაია 34
ეთერ ისაკაძე 36
მანანა სამყურაშვილი 40
მირზა ვარძუკაშვილი 42
ეთერ ლობჟანიძე 45
დარეჯან მაჭარაშვილი 48
მაგული კორძაია 51
ცაგო აბაშმაძე 54
მზია გომართელი 57
იზოლდა მოშიაშვილი 59
მთვარისა ზეინკლიშვილი 60
ხათუნა მითაგვარია 63
ლია ჩიქოვანი 64
ნელი ტორონჯაძე 70
მარინა კოლხელი 74
ვალიდა ხარებავა 76
ნინა გაჩეჩილაძე 78
გოჩა ჭაბუკაიძე 80
ქეთი სიმონიშვილი 82
ანდრია შერვაშიძე 86
სულიკო ჯამალაშვილი 88
თამთა უგულავა 90
ბადრი უგულავა 91
მირანდა ზაბახიძე 92
იოსებ ტაბიძე 94
დარეჯან ღონღაძე 95
ლია შენგელიძე 96
გვანცა პაატაშვილი 98
მარეხი რიკაძე 102
დავით ძნელაძე 104
მადონა კისმეიძე-ქორიძე 106
დავით მოდებაძე 108
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 109
თამარ ფიცხელაური 113
ვერიკო პარწიკანაშვილი 114
ირინოლა ტყეშაველი (ირინა ხურციძე) 116
ხათუნა ჩიტაძე 118
ნანა ჩარკვიანი 120
თამრო ნიუარიძე-გენელიძე 124
მალვინა ჭელიძე 126
შორენა ჩხიკვიშვილი 128
ლეილა ვადაჭკორია 130
ნანა გიგუაშვილი 132
მზია ერგემლიძე 136
გიგი თეთრაძე 139
ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი 140
ვალია კვაშილავა 142
მზიური დათიაშვილი-აფციაური 144
გულიკო კაპანაძე 146
გიორგი ჯავახიშვილი 150
მარინა დიერაშვული 154
ნელი საგინაძე 156
ეთერ გაჩეჩილაძე 158
ლია ალადაშვილი 161
თინა ბასაძიშვილი 162
ლალი სოხაძე 164
მარინა კიკნაველიძე 165
ნორა მგელაძე 166
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 168

მიძღვნები

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 175

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი 182
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 182
ბესიკ ხარანაული 184
ეთერ გოგეშვილი-ისაკაძე 186

სვანური ზღაპრები
გოჩა ჭელიძე 187

საბავშვო განყოფილება
ნათია დაშნიანი..... 190

ერდავინყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 192
ბეჟან ხარაიშვილი..... 193
დათო გამთენაძე 194

პროზა

რევაზ მიშველაძე..... 195
ნატალია სამუშია 201
ნელი საგინაძე..... 207
მირანდა ზაბახიძე 210
ლალი სოხაძე 214
სერგი ლომაძე 216
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 219

იუბილე
მაია ფეიქრიშვილი 243
გიული ერგემლიძე 245

წერილები

ლუარა სორდია 246
მანანა კვატაია 250
რეზო ბალანჩივაძე..... 254
ნია გორდელი 257
ხათუნა ელიაშვილი..... 260

სიბრძნის სკივრი
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 262

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა
დავით ყანდაშვილი 265

შემეცნებითი სამყარო
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 267

ისტორია
გოჩა ჭელიძე 270

სამართალმცოდნეობა
ლალი ჩოდრიშვილი 272

ეკონომიკა
ვალერი მოსიაშვილი 276

ხელოვნება
ირმა კეკელიძე 279

ნორჩი ათინათელები
ნია ზეინკლიშვილი..... 284
გიორგი ქენქაძე 286

გახსენება
გეგა გიორგი ხვედელიძე 288
ჯაბა ლურსმანაშვილი..... 288
ლამზირა შეყილაძე..... 289
ეთერ ჭელიძე 290
გულნაზ ხარაიშვილი..... 293
მარიამ იორამაშვილი 294

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე — პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com